

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

IV

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**  
**Faculty of Humanities**

**Institute of Georgian History**

**Proceedings**

IV

გამომცემლობა „მერიდიანი“

**Meridian Publishers**

თბილისი

**Tbilisi**

2011

უკ(UDC)94(479.22)

ს–323

**რედაქტორები:**

თედო დუნდუა  
მარიამ ჩხარტიშვილი  
ალექსანდრე ბოშიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

მარიამ ლორთქიფანიძე  
გიული ალასანია  
თეიმურაზ პაპასკირი  
აპოლონ თაბუაშვილი  
ქეთევან გორჩიტაშვილი  
ლერი თავაძე  
ანდრო გოგოლაძე  
გიორგი ჟუჟუნაშვილი  
შალვა გლოველი  
ქეთევან მირზიკაშვილი

**Editors:**

Tedo Dundua  
Mariam Chkhartishvili  
Alexander Boshishvili

**Editorial Board:**

Mariam Lordkipanidze  
Giuli Alasania  
Teimuraz Papaskiri  
Apolon Tabuashvili  
Ketevan Gochitashvili  
Leri Tavadze  
Andro Gogoladze  
Giorgi Zhuzhunashvili  
Shalva Gloveli  
Ketevan Mirzikashvili

<http://geohistory.humanities.tsu.ge>

E-mail: [geohistory@tsu.ge](mailto:geohistory@tsu.ge)

[geohistory@live.com](mailto:geohistory@live.com)

© ტექსტი – ავტორები, 2011

© შედგენა – თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი, 2011

ISSN 1987–9970

**შინაარსი**  
**CONTENTS**

<i>თელო ღუნღუა</i> ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ .....	10
<i>Tedo Dundua</i> ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ (Summary) .....	17
<i>ზვიად კვიციანი</i> სვანეთი – ოქრომჭედლობის უძველესი კერა (არქეოლოგიური, გეოლო- გიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები) .....	19
<i>Zviad Kvitsiani</i> Svaneti – Ancient Site of Goldsmithery (Archaeological, Geological and Chemical-Technological Data) (Summary) .....	32
<i>ნესტან სულავა</i> სახარებისეული ალუზია ქართულ ისტორიულ საბუთებში .....	33
<i>Nestan Sulava</i> Gospel’s Allusion in the Georgian Historical Documents (Summary) .....	38
<i>ლერი თავაძე</i> ფეოდალური საქართველოს სოციალური შემადგენლობა ქოროლოს რე- ლიეფების მიხედვით .....	39
<i>Leri Tavadze</i> Social Composition of Feudal Georgia According to Korogho Reliefs (Summary) .....	57
<i>ირაკლი ბაქრაძე</i> X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლო- გიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით) .....	59
<i>Irakli Bakradze</i> Arms and Armory of Georgian Warriors During the 10 <sup>th</sup> - 11 <sup>th</sup> cc. (According to the Archaeological and Written Sources) .....	98

**ჯაბა სამუშია**

ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ ..... 100

**Jaba Samushia**

Campaign of Bagrat III Against Amirate of Ganja (Summary) ..... 117

**მიხეილ ბახტაძე**

რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ათაბაგის „კელის“ შემოღებასთან დაკავშირებით ..... 118

**Mikheil Bakhtadze**

Some Hypotheses about Introducing a Position of Atabag in Georgia (Summary) ..... 128

**ანდრო გოგოლაძე**

მეფე-ხუცესის ლეგენდის მონღოლური რემინისცენციები ქართულ წყაროებში ..... 129

**Andro Gogoladze**

Mongolic Reminiscences of Prester in the Georgian Historical Sources (Summary) ..... 146

**თემო ჯოჯუა**

მასალები სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის (XIII-XIV სს.) ..... 147

**Temo JoJua**

Materials for the History of the Feudal Family of the Sikanelisdzes (the 13<sup>th</sup> - 14<sup>th</sup> cc.) (Summary) ..... 191

**აკაკი ჩიქობავა**

ერთი საკითხი ოდიშისა და ცხუმის საერისთავოების ისტორიიდან ..... 193

**Akaki Chikobava**

One Episode from History of Odishi and Tskhumi Saeristavos (Dukedoms) (Summary) ..... 198



<i>ვლადიმერ კეკელია, ირმა ხოსიტაშვილი</i>	
Jer. Geo.49 ხელნაწერის მინაწერები და ხანთუბისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალი.....	199
 <i>Vladimer Kekelia, Irma Khositashvili</i>	
Colophons to the Manuscript Jer. Geo. 49 and the Geographic Area of the Activity of the Khantubisdze/Khantumisdze House (Summary) .....	203
 <i>ნიკოლოზ ჯღენტო</i>	
მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია).....	204
 <i>Nikoloz Zhgenti</i>	
Mtis St. George Monastery Charter of 1465-1467 (Newly Established Text and Classification) (Summary).....	216
 <i>თეა კართველიშვილი</i>	
ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო (აფხაზთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის პერიოდში).....	217
 <i>Tea Kartvelishvili</i>	
Khobi Monastery and Catholicate of Abkhazia (in the Period of Administration of Grigol Lortkipanidze, Catholicos of the Abkhazians) (Summary).....	230
 <i>დიმიტრი შველიძე</i>	
თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა და მისი შედეგები.....	231
 <i>Dimitri Shvelidze</i>	
Foreign Policy of Teimuraz I and Its Consequences (Summary).....	245
 <i>მაია შაორშაძე</i>	
XVIII საუკუნის უცნობი სამთავნელი ეპისკოპოსი.....	246
 <i>Maia Shaorshadze</i>	
The Unknown Bishop of Samtavisi of the 18 <sup>th</sup> c. (Summary) .....	251

**აპოლონ თაბუაშვილი**

ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს დაპირისპირება ალა-  
მაჰმად ხანის ჯარებთან 1795 წლის ივნისში ..... 252

**Apolon Tabuashvili**

Confrontation of Kartl-Kakheti Kingdom and Khanate of Karabakh with  
the Armies of Agha Mohammad Khan in June 1795 (Summary)..... 258

**ალექსანდრე ბოშიშვილი**

დავის სამართლებრივი და სოციალური ასპექტები XVIII საუკუნის სა-  
ქართველოში (სოლოლაშვილების და იესე ოსეს ძის შვილების დაპი-  
რისპირების ნარატივი) ..... 259

**Alexander Boshishvili**

Legal and Social Aspects of Controversy in 18<sup>th</sup> c. Georgia (Story of  
Conflict between Solaghashvili Family and Heirs of Iese, Son of Ose)  
(Summary) ..... 271

**ბონდო კუპატაძე**

გენდერული თანასწორობის საკითხი „თერგდალეულთა“ პუბლიცისტი-  
კაში ..... 272

**Bondo Kupatadze**

About Gender Equality in the Publications of “Tergdaleulebi” (Summary) 284

**ნიკო ჯავახიშვილი**

ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები და ოჯახური გარემო ..... 285

**Niko Javakhishvili**

Ekvtime Takaishvili’s Ancestors and Family Environment (Summary) .... 296

**ნატო სონღულაშვილი**

ქართული სოციალური გარემო 1900-1921 წლებში (გლენობა) ..... 297

**Nato Songulashvili**

Social Environment in Georgia: Peasantry (1900-1921) (Summary) ..... 310

**ზაზა ცინაძე**

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (ოფიციალური მონაცემების მიხედვით) ..... 311

**Zaza Tsinadze**

The Elections in the Georgian Constituent Assembly of 1919 (According to official Data) (Summary)..... 322

**მიხეილ ქართველიშვილი**

საეკლესიო საკითხი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში..... 323

**Mikheil Kartvelishvili**

The Church Issue in the August Uprising of 1924 (Summary) ..... 331

**მერაბ კალანდაძე**

ივანე ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხები ..... 332

**Merab Kalandadze**

Ivane Javakhishvili and the Issue of Historical Epistemology (Summary) . 350

**გიორგი გოცირიძე**

სვანთა დასახლებები ქვემო ქართლში (გარდაბნისა და მარნეულის რაიონები). ..... 351

**Giorgi Gotsiridze**

Settlements of the Svans (Western Georgian Highlanders) in Kvemo (Lower) Kartli (Municipalities of Marneuli and Gardabani) (Summary) ... 363

**როზეტა გუჯეჯიანი**

ვახტანგ მალაკმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში (1936-2002 წწ.) ..... 364

**Rozeta Gujejiani**

Vakhtang Malakmadze (Hayri Hayrioglu) – Georgian Scientist and Public Figure in Turkey (1936-2002) (Summary) ..... 373

**როლანდ თოფჩიშვილი**

ქართული ეთნოლოგიის წარსული, აწმყო და მომავალი ..... 376

**Roland Topchishvili**  
 Past, Present and Future of Georgian Ethnology ..... 397

**ქეთევან გოჩიტაშვილი**  
 კომპლიმენტის გამომსატველი ფრაზების სტრუქტურული აგებულება  
 თანამედროვე ქართულ ენაში ..... 400

**Ketevan Gochitashvili**  
 The Structures of Phrases Expressing Compliment in Modern Georgian  
 Language (Summary)..... 407

**საერთაშორისო პრეზენტაცია**  
**International Conferences**

**დიმიტრი შველიძე**  
 ყარსის ხელშეკრულების თანამედროვე ასპექტები ..... 408

**გიორგი ყუყუნაშვილი**  
 ყარსის ხელშეკრულების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტების გან-  
 ხილვა თანადროულ ქართულ პრესაში ..... 414

**Mariam Chkhartishvili, Sophio Kadagishvili**  
 Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols 426

**Giuli Shabashvili**  
 Georgian Social Stereotype According to the Estimation of the Citizens of  
 Europe Visiting Georgia ..... 436

**რეცენზია**

**თელო ღუნღუა**  
 რეცენზია ნინო ჩიქოვანის მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის  
 სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ საკვალიფიკაციო  
 ნაშრომზე – „საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური  
 კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში (თეორიული და მე-  
 თოდოლოგიური ასპექტები)“ ..... 447

## პოლემიკა

### *ჯონი კვიციანი*

კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ (პასუხი რ. თოფჩიშვილის ინტერპრეტაციებს) ..... 456

## ქრონიკა

### *ლერი თავაძე*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია ..... 466

*თელო დუნდუა*

## ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ

69 წლის სამოქალაქო ომის დროს იმპერატორ მარკუს სალვიუს ოტონის რომაულ ფლოტს სათავეში ედგა აზატი (libertus) მოსხი.<sup>1</sup> I - II სს-ში რომაულ ლეგიონში ჩარიცხვის წინაპირობა რომის მოქალაქეობა იყო.<sup>2</sup> ფლოტს ეს არ ეხებოდა.<sup>3</sup> ფლოტის ნავარქოსი მოსხი სწორედ რომ აზატია; აზატებს და მონებს კი რომში ხშირად სპეციფიურ სახელებს არქმევდნენ – მათ ეთნიკურობას, ან, ზოგადად, წარმომავლობას რომ აღნიშნავდა. მაგ., იმპერატორ ოტონის მოწინააღმდეგის და მისი „მესაფლავის“, იმპერატორ ავლუს ვიტელიუსის ფავორიტი აზატი აზიატიკი იყო, რომელიც მხედრის წოდებას და რომაულ სახელს (nomen) იღებს.<sup>4</sup> ხომ არ არის მოსხი, ან მისი წინაპარი ქართლიდან (ანტ. იბერია) წაყვანილი?! თუ ასეა, რატომ არ უწოდებენ მას იბერს?! II - III სს. პლატეის საიდუმლო ქრისტიანული ორგანიზაციის წევრი გაიოსი ხომ იბერია ზედწოდებით.<sup>5</sup> ქართლის/იბერიის ეკონომიკური სისტემის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში (მესხეთი ფართო გაგებით), ბაგრატიონ/ბივრათიანთა დომენში<sup>6</sup>, ყოველთვის ძლიერი იყო ცენტრიდანული პოლიტიკური (და არა ეკონომიკური) ტენდენციები. იყო დრო (ძვ. წ. II - ახ. წ. IV სს.), როცა ეს მხარეები გუგარქის ავტონომიუ-

<sup>1</sup> Tacit. Hist. I. 87, *Историки Античности. т. II. Древний Рим. 1989, გვ. 243; Tacitus. In Five Volumes. II. The Histories. Books I - III. With an English Translation by Clifford H. Moore. Loeb Classical Library. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press. London. MCMLXXX, გვ. 150.*

<sup>2</sup> T. Dundua. Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? *Caucasica. The Journal of Caucasian Studies. vol. 5. Tb. 2000, გვ. 60.*

<sup>3</sup> T. Dundua. Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship . . . , გვ. 60.

<sup>4</sup> Tacit. Hist. II. 57, *Историки Античности. т. II, გვ. 281.*

<sup>5</sup> T. Dundua. Gaius the Iberian – First Ever Recorded Georgian To Be Baptized. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II. თბ. 2011, გვ. 425.*

<sup>6</sup> T. Dundua. Bagrat, Son of Bivrat. *Phasis. Greek and Roman Studies. vol 4. Tb. 2001, გვ. 26 - 29.*

რი საპიტიახშოს ბირთვს შეადგენდა.<sup>7</sup> აქედან გამომდინარე, მესხთა/Μρόχთს სოციალური კონტრაქტიც რეალობაა, და მათი ეთნიკური იბერობაც. მეტიც, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის გარიჟრაჟზე (XI ს.) ტერმინოლოგიური კომპლექსიც კი არსებობს, ერთ სიბრტყეზე დაფიქსირებული – ქართველნი და მესხნი.<sup>8</sup> ხოლო ის, ვინც მესხეთს ფლობს, ქართველთა მეფეა.<sup>9</sup> კონკრეტული სინთეზი, ანუ – სტატუსი, აზატი, და სახელი, მოსხი, სხვა შესაძლებლობას არ გვიტოვებს, თუ არა იმას, რომ ამ პიროვნების წარმოშობა (პირადი ან წინაპრის) ქართულ სამყაროს დავუკავშიროთ.

„მოსხის“ ლათინური ტრანსპლანტაცია იოლი ასახსნელია; ბერძნულ სამყაროსთან მიმართებაში საქმე ცოტა გართულებულია. მოსხი ხომ ელინური საკუთარი სახელია (ეტიმოლოგიისთვის, Μρόχიც ὁ 1) ჩამომავალი, ტოტი, 2) მოზვერი, ხბო, 3) ბოკვერი, ახალგაზრდა ხვადი ლომი, 4) ჭაბუკი. Μρόχიც ἡ 1) დეკეული, 2) გოგო, ქალიშვილი)<sup>10</sup>, თუმცა, არც თუ ძალიან გავრცელებული. აქედან გამომდინარე, ძნელია, ვინმემ ამტიკიცოს შემდეგი პიროვნებების ქართული წარმომავლობა: 1) მოსხი ელეელი, ფილოსოფოსი, 2) მოსხი ლამფსაკიდან, ტრაგიკოსი, ან, მით უმეტეს, 3) მოსხი სირაკუზიდან, პოპულარული პოეტი-ბუკოლიკი.<sup>11</sup>

კონკრეტულ ნომინალს ვარიანტებიც გააჩნდა – Μρόχიც, Μρόχიც, Μοσχιασός, Μρόχισ, Μοσχίνη, Μρόχισთ, Μοσχιάσ, Μρόχლის, Μοσχῆσ, Μοσχῆσ, სუბსტრატიც და დერივატიც ძვ. წ. III ს-ში გაერთიანებულა ათენთან (ორპში) მცხოვრები ერთ-ერთი ებრაელი მონის სახელში – Μρόχიც Μοσχιάσος Ἰουδαῖος<sup>13</sup>, ე.ი. მოსხი მოსხიონის ძე. ეს ებრაელი აშკა-

<sup>7</sup> თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველოს ისტორია: თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი. თბ. 2000, გვ. 53 - 54.

<sup>8</sup> თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თ. 1997, გვ. 144 - 145.

<sup>9</sup> თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია . . . , გვ. 144 - 145.

<sup>10</sup> Древнегреческо-русский словарь. Составил И. Х. Дворецкий. М. 1958. т. II, გვ. 1110; Greek-English Lexicon, Compiled by H. G. Liddell and R. Scott. New edition completed 1940. Reprinted 1961. Oxford, გვ. 1148.

<sup>11</sup> Der Neue Pauly. Enzyklopädie der Antike. Band 8. Stuttgart. Weimar. სტატია “Moschos” (Μρόχიც), გვ. 414 - 415.

<sup>12</sup> იხ. მაგ., W. Pape's Wörterbuch der griechischen Eigennamen. Zweite Hälfte. Braunschweig. 1884, გვ. 946 - 947.

<sup>13</sup> E. L. Gibson. The Jewish Monumission Inscriptions of the Bosphorus Kingdom. Tübingen. 1999, გვ. 66.

რად ელინიზირებულია. ის წარმართია.<sup>14</sup> თუმცა, საკუთრივ ელინებში, მამის და შვილის სახელი იშვიათად თუ მეორდება, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ელინისტურ დინასტიებს არ ეხება.<sup>15</sup> ხომ არ გამოიყენეს ბერძნებმა Μῦθη-ის, როგორც ებრაელთა ეთნიკური ნომინალური დიფერენტის, ფონეტიკურად მსგავსი ფორმები, ებრაელ მონებს სახელებს რომ არქმევდნენ?!

რა ვქნათ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ებრაელ მონას არ ეხება, ხოლო სახელი „მოსხი“ გაორებულია – Μῦθη Μῦθη?! ვინ არის ჩვენ წინაშე, „წმინდა ელინი“, თუ ელინიზირებული ბარბაროსი, ალბათ, უფრო მესხი. არ გამოვრიცხავთ რა პირველ შესაძლებლობას, ჩვენ უფრო მეორისკენ ვიხრებთ. ეს ექსტენსიური სახელი რაღაც ზედმეტად არის გაორებული, თითქოს ეთნიკურობისთვის ხაზის გასასმელად. კონკრეტული ასპექტით საინტერესო, წარმოსახვითი გენეალოგიური გზა ასეთია: მამა მესხეთიდან მოიყვანეს, როგორც მონა, და მას მოსხი უწოდეს; მისი ბიოლოგიური შვილი მსგავსად იწოდა. ის გახდა აზატი, შემდეგ – რომელიმე პოლისის მოქალაქეც. შესაძლოა, და, ალბათ, ასეა, ეს გზა კიდევ უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო თაობების კუთხით, მაგრამ ტიპოლოგიურად – აღწერილის იდენტური. ეთნონიმის ონომასტიკურ შტრიხად ქცევის მაგალითიც გვაქვს: „ . . . [K]ῖχθς γῆ[γῆαφ]θεν“<sup>16</sup>, ატიკურ ამფორაზე.

Μῦθη Μῦθη სამჯერ მაინც გვხვდება, ორჯერ – მონეტებზე, ერთხელ – ეპიგრაფიკულ ძეგლზე. ქალაქ სმირნის მაგისტრატი სადღაც ძვ. წ. II ს., ის ე.წ. ჰომერულ მონეტებზე (Homereia) თავის სახელს – Μῦθη Μῦθη – სიამაყით ათავსებს.<sup>17</sup> ეს მნიშვნელოვანი ქალაქი ყოველთვის დიდი თავისუფლებით სარგებლობდა; ამის პროლუქტია ქალაქის სამონეტო ემისიები. იქნებ სწორედ ეს მაგისტრატია ნახსენები ჰალიკარნასის თეატრის<sup>18</sup> წარწერაში (სურ. 1):

<sup>14</sup> ოროპიდან მომდინარე ძვ. წ. III ს. წარწერის მიხედვით, ის თავიანთ სცემს ამფიარაოსს და პიგეიას.

<sup>15</sup> იხ. მაგ., Ch. Seltman. Greek Coins. L. 1955, გვ. 227 - 233, 240 - 245.

<sup>16</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ. 1970, გვ. 410; იხ. აგრეთვე გვ. 408.

<sup>17</sup> აპოლონის თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინში მარჯვნივ/Rv. მჯდომარე ჰომეროსის გამოსახულება, მარცხნივ. ლეგენდები – ΣΜΥΡΝΑΙΩΝ. ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ. J. G. Milne. The Autonomous Coinage of Smyrna. II. The Numismatic Chronicle. Fifth Series – vol. VII. London. 1927, გვ. 95 №321.

<sup>18</sup> [www.whitman.edu/theatre/theatretour/halicarnassus/halicarnassus.htm](http://www.whitman.edu/theatre/theatretour/halicarnassus/halicarnassus.htm). The Ancient Theatre Archive. A Virtual Reality of Greek and Roman Theatre Architecture.



კარნიზის I ნატეხი

ΜΟΣΧΟΣΜΟΣΧΟΥ ΤΟΥΜΟ

კარნიზის II ნატეხი

ΓΟΝΟΘΕΤΗΣΑΣΤΟΜΠΥΑΝΑΔΙΟΝΥΣΩΙ<sup>19</sup>

კიდევ ერთი ნატეხი იქვე იღო; შესაძლოა, წარწერა მასზე გრძელდება (?).

თითქოს – ΟΠΙΟΙ (?).

აქ, მინიმუმ, III თაობის მოსხზეა საუბარი – ΜΟΣΧΟΣΜΟΣΧΟΥ ΤΟΥΜΟ[ΣΧΟΥ]. იქნებ ეს სულ სხვა მაგისტრატია, და ის ჭრის ქვემოთ აღწერილ ფულს.

სმირნა. ძვ. წ. II - I სს. ბრინჯაო.

Av. კიბელას თავის გამოსახულება მარჯვნივ.

Rv. აფროდიტე სტრატონიკისის ქანდაკება, მარჯვნივ. ლეგენდები – ΣΜΥΡΝΑΙΩΝ; ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ.<sup>20</sup>

ან, საერთოდ, წარწერაში ნახსენები ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ ჭრის ორივე ტიპის მონეტას.<sup>21</sup>

ასეთი ფორმა – ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ ΤΟΥ ΜΟΣΧΟΥ – რომ შესაძლებელია, ამისათვის იხ. წარწერა: Magistratus eponymi Heracleotarum.<sup>22</sup>

Φασίαξ Φασίω τῶν Φαγ[ίω] 14

სხვათა შორის, ამ წარწერაში მამა-შვილის სახელის დამთხვევის პრო-

<sup>19</sup> A, როგორც A-ს ვარიანტი, ძვ. წ. III - I სს. ჩნდება, ხოლო II ცვლის Π - ს ძვ. წ. I - ახ. წ. I სს. B. H. McLean. An Introduction to Greek Epigraphy of the Hellenistic and Roman Periods from Alexander the Great down to the Reign of Constantine (323 B.C. - A.D. 337). The University of Michigan Press. 2005, გვ. 41. აქედან დასკვნა – ჩვენი წარწერა ძვ. წ. III - II სს. უნდა დათარიღდეს.

<sup>20</sup> A Catalogue of the Greek Coins in the British Museum. XVI. Catalogue of the Greek Coins of Ionia. Barclay V. Head. London. 1892, გვ. 240 №33.

<sup>21</sup> J. G. Milne. The Autonomous Coinage of Smyrna, გვ. 89 - 92.

<sup>22</sup> Orientis Graeci Inscriptiones Selectae. Supplementum Sylloges Inscriptionum Graecorum. Edidit Wilhelmus Dittenberger. Volume Alterum. Lipsiae. MDCCCCV, გვ. 60 - 61, №459.

ცენტული მაჩვენებელი დაახლ. 25%-ს უტოლდება.

ამრიგად, მეტად ფრთხილი ჰიპოთეზის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქ სმირნის ერთი წარმატებული ოჯახი ქართული წარმომავლობის ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, კონკრეტული ნუმიზმატიკური და ეპიგრაფიკული მონაცემების კომენტარის გარეშე დატოვება არ შეიძლებოდა.

სურათები

1.



კარნიზის I ნატეხი




კარნიზის II ნატეხი



კარნიზის III ნატეხი (?)

2.



*Tedo Dundua*

## ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ

### Summary

Civil war of 69 reveals freedman Moschus as admiral of the Roman fleet subordinated to Emperor M. Salvius Otho. In the 1<sup>st</sup> - 2<sup>nd</sup> cc. the Roman citizenship was a prerequisite for enrolment in the legion but not for service in other units, such as the two Italian fleets. That is why Moschus found himself in his position. Romans used to give specific names to the slaves and freedmen, often connected with their original nationality. ex. Emperor Aulus Vitellius, rival of Otho, had Asiaticus, as a favourite, gradually allotting him with the Roman citizenship and *nomen*. Having on mind Meskheta (Graeco-Roman Moschicē), a province of Iberia (Eastern and Southern Georgia), one can suggest Iberia, as a mother-land for Moschus or his parent. If so, he could also be called Iberian (*Iber*), like Gaius the Iberian (Καίος ὁ Ἰβήρ), mentioned on the bronze plate from Platea in Greece.

In the Roman World a slave or a freedman, Moschus by name could be only Georgian. Greek case is different, for Moschos is original Greek name with the Greek etymology, employed rather extensively. There are no chances if proving the Georgian origin for Moschos of Elis, philosopher, Moschos of Lampsacos, tragic poet, and Moschos of Syracuse, famous bucolic poet.

This name had its derivative forms, like as follows: Μόσχης, Μόσχιος, Μοσχιανός, Μόσχιω, Μοσχίνη, Μόσχιον, Μοσχίων, Μόσχιλος, Μοσχίνα, Μοσχίλιος. Both, substratum and a derivative form found themselves joined in the 3<sup>rd</sup> c. B.C. in the name of Hellenized Jewish slave, inscribed on plaque from Oropos near Athens – Μόσχος Μοσχίωνος Ἰουδαῖος. Son could have father's name in the Greek society, but these cases are not frequent if not within the Hellenistic dynasties. If it happened like as follows: Mōšēh is a general name to denote a Jew, and “Moschos” – very close to it in phonetical way.

But, if we have Μόσχος Μόσχου and apparently he is not a Jew, then he must be Iberian, whose direct, or far ancestor had been taken away from the Iberian province of Meskheta. This duplicity in the name could mean nothing

but stressing the ethnicity properly. For a transformation of ethnonym into proper name we have example, [Κ]όλχος γέ[γραφ]σεν on Greek pottery.

Final step for those barbarian slaves and freedmen was a citizenship.

Μόσχος Μόσχου occurs, at least, for three times – twice, on the coins, once – in inscription. Magistrate of Smyrna, perhaps, in the 2<sup>nd</sup> c. B.C., he put his name on the bronze coins of the city, the so-called Homereias (Apollo/Rev. Homer. ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ). Maybe, that was him again to issue *Kybele/Rev. Aphrodite Stratonikis* type bronze coins with the legend ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ, and to be mentioned in the Greek inscription of the theatre in Halikarnassos (the 3<sup>rd</sup> - 2<sup>nd</sup> cc. B.C.) – ΜΟΣΧΟΣΜΟΣΧΟΥ ΤΟΥΜΟ[ΣΧΟΥ].

We are moving to declare one of the leading families of Smyrna in the 2<sup>nd</sup> c. B.C. to be of the Georgian origin.

*ზვიად კვიციანი*

## **სვანეთი – ოქრომჭედლობის უძველესი კერა**

(არქეოლოგიური, გეოლოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები)

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოში თავს იყრიდა მსოფლიოს სხვადასხვა მატერიალური ფასეულობა. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობების გარკვეული ნაწილი შემოტანილია, მაგრამ ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა არტეფაქტების ავტონტონობისა და ნედლეულის წყაროს პრობლემაც.

უძველესი წერილობითი ცნობების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს დიდი როლი მიუძღვით ლითონების მოპოვებისა და მისი დამუშავების მეთოდების განვითარების საქმეში.

ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს მოწმობს საჩხერეში თრიალეთის კულტურის ყორღანული სამარხები, რომლებიც ფუნქციური თვალსაზრისით უაღრესად მდიდარსა და მრავალფეროვან ოქროსა და ვერცხლის ნივთებს შეიცავს. მათ დამზადების უაღრესად რთული ტექნიკა ახასიათებთ: ლითონის პლასტიკური დამუშავებისათვის სახარატო ჩარხის ფართოდ გამოყენება, ლითონის წნეხით დამუშავება, ფურცლოვანი ნამზადებიდან ღრუტანიანი ნაკეთობების დამზადება, მხატვრულორნამენტიანი ნაწილების (გავარსი, წნული) მირჩილვა, ფერადი ქვებით ინკრუსტაცია. ადგილობრივმა ოქრომჭედლობამ ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში განვითარების ძალიან მაღალ დონეს მიაღწია.

აღმოსავლეთ საქართველოში სპილენძის, ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის მეტალურგიის განვითარებისათვის ნედლეულად იყენებდნენ ქვემო ქართლში არსებული სპილენძის აღმადანური საბადოს მეორეული წარმოების სპილენძს, თვითნაბადი ოქროს შემცველ ქვიშრობულ მადნებს (მდ. ხრამი).

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული წლის წინ აღმოჩნდა ძველი სამთო გამონამუშევრები, ქვის უროები და გადამუშავებული მადნის წილა. დადასტურებულია, რომ მადანს მოიპოვებდნენ ძირეულ საბადოებზე ცეცხლით გახურებისას, გავარვარებამდე და შემდეგ წყლით გაცივების შედეგად გაჩენილ ბზარებში ქვის უროებით ანგრევდნენ ძირეულ მადნებს.

გამდიდრება ხორციელდებოდა მხოლოდ მექანიკური ზემოქმედებით, პირდაპირ, ისე, როგორც მოიპოვებდნენ. დაქუცმაცება ხდებოდა იმ ზომამდე, რაც საჭირო იყო სასარგებლო კომპონენტის გამოსაცალკევებლად. თავიდან თვითნაბად ოქროს მხოლოდ მექანიკური გამდიდრებით ასუფთავებდნენ, ფუჭი მასა მექანიკური დამუშავებით სცილდებოდა და ძირითადად რჩებოდა ჭედადი მასა, ხოლო მადნეული მინერალების გამდიდრებას, მექანიკურ დამუშავებასთან ერთად, ქურაში გამოლლობით ახორციელებდნენ.<sup>1</sup>

სვანეთი სამართლიანად ითვლება კეთილშობილი ლითონების მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად მსოფლიოში, რისი დასტურიცაა დღემდე შემორჩენილი უცხოელი ისტორიკოსების, და მკვლევრების წერილობითი წყაროები, რომლებშიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით არის მოცემული ცნობები სვანეთის ტერიტორიაზე ოქროს არსებობის შესახებ. ასევე მოცემულია კონკრეტული ცნობები ოქროს მოპოვების ხერხებზე და ქართველი ხელოსნების მიერ ხალასი ოქროს ნედლეულისგან საიუველირო ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიაზე.<sup>2</sup>

ბერძნები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი კოლხეთითა და აღმოსავლეთმაზიზღვისპირეთით. სტრაბონი თავის გეოგრაფიაში (ძვ. წ. I ს.) საგანგებოდ აღნიშნავდა: სვანეთის მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქროს ქვიშა, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები დახვრეტილი ვარცლებით (ცხრილებით) და ბეწვიანი ტყავების მეშვეობით აგროვებენო. სტრაბონის ცნობები სვანეთის შესახებ ჩვენთვის მრავალმხრივ არის საყურადღებო. „იმ ტომებში, რომლებიც თავს დიოსკურიაში იყრიან, არიან სვანებიც. საუკეთესონი სიმაძაცისა და ძალის მხრივ. ისინი ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არიან და ჰყავთ 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო. ამასთანავე, ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვთ, ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებით და ბეწვებიანი

<sup>1</sup> ვ. ზუსბაია. ქართული ოქრო. თბ. 1985, გვ. 35.

<sup>2</sup> გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. თბ. 2008.



ტყავებით აგროვებენ“ (Strabo. XI. II. 18).

ამ თვალსაზრისით, არანაკლებ საყურადღებოა პლინიუს უფროსის (ახ. წ. I ს.) ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც მის თანამედროვეს – კოლხთა მეფე სავლაკს – დიდი რაოდენობით შემოუდიოდა სვანების მიწა-წყლიდან ოქრო და ვერცხლი. სვანების ოქრომრავლობაზე ცნობას გვაწვდის აგრეთვე ახ. წ. I ს. ავტორი პლინიუსი თავის ნაშრომში „ბუნების ისტორია“. ის წერს, დაწყებული კავკასიის კარებიდან გორდების მთებში ცხოვრობენ სვანები, დაუმორჩილებელი ხალხი, ისინი ოქროს მოიპოვებენ. პლინიუსის ცნობით, „კოლხეთთან მეფობდა მეფე სავლაკი, აიეტის შთამომავალი, ამბობენ, რომ სვანეთის ქალწულებრივი მიწიდან ამოიღო ბევრი ვერცხლი და ოქრო. გარდა ამისა, მისი მიწა ცნობილია ოქროს საწმისებით (Pl. NH. XXXIII. 52). მითრიდატეს ეპოქის ისტორიკოსების შრომები საქართველოს, კერძოდ კოლხეთის შესახებ ფართოდ აქვს გამოყენებული ახ. წ. II ს. მწერალს აპიანეს – ის იმეორებს ანტიკური სამყაროსათვის ტრადიციულ ცნობებს კოლხური ოქროს შესახებ: „აქ მრავალ ნაკადულს ოქროს შემცველი ქვიშა ჩამოაქვს, ადგილობრივი მოსახლეობა მათ რეცხავს და სქელმატყლიანი ცხვრის ტყავების მეშვეობით აგროვებს“ (App. Hist. Romana. I. 103). ინტერესი სვანური ოქროს მიმართ არც შუა საუკუნეებში გამქალაა. კერძოდ, არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) ოქროს არსებობას მიუთითებდა კავკასიის მთებსა და სამეგრელოში,<sup>3</sup> XVII ს დასასრულისთვის კი, ი. რეინგის ცნობით, ოქროს მოიპოვებდნენ მდ. ცხენისწყლის ჭალებში.<sup>4</sup> გამბას მიხედვით, ოქროს მოპოვება სოხუმის მიდამოებშიც ხდებოდა.<sup>5</sup> ფრ. დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს, რომ სვანეთის მდინარეების ქვიშები, ძირითადად ცხენისწყალი და აბაშა, ოქროს შემცველი არიან.<sup>6</sup> ჟან ბატისტ ტავერნიე (XVII ს.) თავისი წიგნის „სერიონის კარის ახალი აღწერა“ ერთ-ერთ თავში – ახლანდელი სამეგრელოს ვითარების აღწერა – წერს, რომ საქართველოში არა მარტო რეინის მადნებია, არამედ ვერცხლიც მოიპოვება სვანეთსა და ოსეთში.<sup>7</sup> ამასთან დაკავშირებით XVI ს. ცნობილი გერმანელი სამთო მეტალურგი და გეო-

---

<sup>3</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ. 1938, გვ. 189.

<sup>4</sup> J. Reineggs. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. II. Hildeshiem St. Peterburg. 1979, გვ. 138.

<sup>5</sup> J.-F. Gamba. Voyage dans la meridionale etc. fait 1820 a 1824. T. I. Paris. 1926, გვ. 85.

<sup>6</sup> Frederic Dubois de Montpereux. Voyage autour du Caucase. T. II. Paris. 1926, გვ. 18

<sup>7</sup> ნ. ფოფორაძე, ხ. გაჩეჩილაძე. ქართული თვითნაბადი ოქროს ქიმიური შედგენილობა. კურნ.: „საქართველოს ნავთობი და გაზი“. თბ. 2002, გვ. 45.

ლოგი, რომლის წიგნი<sup>8</sup> ურყევი ავტორიტეტით სარგებლობდა XVIII ს. ევროპაში, წერდა: „კოლხეთი განდიდებულია ანალებში ოქროს საწმისის გამო. სვანები, რომლებსაც იბერიელებს უწოდებდნენ, ცხოვრობდნენ კავკასიაში. მათ პატარა და დიდ მდინარეებს ჩამოჰქონდათ ოქროს ქვიშა. იმის გამო, რომ იქ მცხოვრებნი აგროვებდნენ მას დახვრეტილი ფიცრების მეშვეობით, რომლის ქვეშ ცხვრის ტყავებს აფენდნენ, წარმოიშვა ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ“.

მართალია, აქ იგრძნობა სტრაბონის, აპიანესა და სხვა ანტიკურ ავტორთა ცნობების გავლენა, მაგრამ ზოგიერთი დეტალი, კერძოდ, დახვრეტილი ფიცრებისაგან შედგენილი ხის ყუთების მაგვარი მოწყობილობების ძირში ცხვრის ტყავების ჩაფენა, მიგვანიშნებს მის ხელთ არსებულ ცოცხალ ეთნოგრაფიულ მასალებზე. მითუმეტეს, რომ სვანეთში, ოქროს ქვიშის მოპოვებისას, ცხვრის ტყავების გამოყენების ფაქტი დადასტურებულია ქართველი ეთნოგრაფების მიერ.<sup>9</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ოქროს საწმისის შესახებ არსებული მითი დაკავშირებულია ენგურის სათავეებში უძველესი დროიდან ცნობილი ოქროს მოპოვების სინამდვილესთან. სვანეთში გავრცელებული ამირანთან დაკავშირებული თქმულების ზოგადი ვარიანტი დარჯელანს ოქრომჭედლობის ოსტატადაც წარმოგვიდგენს. სვანეთში, მართლაც, არის ნაპოვნი ჩამოსხმული ოქროს ვერძები, ოქროსაგან გამოძერწილი ხარის ქანდაკება,<sup>10</sup> ერთი მათგანი დღესაც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ოქროს გველი (გველთევზი), ოქროს თასი, რომელიც ნაკიფარის წმ. გიორგის (ჯგურავის) ეკლესიისათვის შეუწირავთ და დღესაც იქ ინახება. ლასილში აღმოჩენილი ოქროს ნივთების საჭედად ხმარებული კვერი (კვათხ) და პატარა ცული (კადა), ლასილსა და აცშია აღმოჩენილი ნაჯახები, ორკაპიანი ისრები, ოქროს ბაყაყები და თევზის მსგავსი გამოსახულებები.

მდინარეთა ჭალებში სვანები ზოგჯერ დიდრონ ნატეხებსაც პოულობდნენ. ხალხს ახლაც ახსოვს გიე კვებლიანის მიერ ნაპოვნი ოქროს ლოდის ამბავი: კვებლიანს ვერ გაუგია მოპოვებული საგნის ღირებულება და თავისი სახლის ეზოში დაუდგამს. უპატრონოდ მიტოვებული ოქრო თავად დადემქე-

<sup>8</sup> Г. Агрикола. О местонахождениях и рудниках в старое и новое время. М. 1979, გვ. 79.

<sup>9</sup> ლ. ბოჭორიშვილი. ოქრომჭედლობა სვანეთში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. VII. №5. თბ. 1946, გვ. 285.

<sup>10</sup> ე. გაბლიანი. არქეოლოგიური გათხრები სვანეთში. ჟურნ.: „დროშა“. 1930 წ. №19.

ლიანს უნახავს და წაუღია, ამის სანაცვლოდ მას კვებლიანი დიდად დაუსაჩუქრებია.<sup>11</sup>

ჩატარებული გეოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მდ. ენგურის ქვიშრობების მკვებავი მარჯვენა და მარცხენა შენაკადების ოქრო თავისი ქიმიური შემადგენლობით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მარცხენა შენაკადების ოქრო ხასიათდება უფრო მაღალი სინჯით (960-970), გამოირჩევა ვერცხლის შედარებით დიდი შემცველობით, მაღალი ჭეღვადობით, მსხვილმარცვლოვანობით. მარჯვენა შენაკადების ოქრო, პირიქით, უფრო წვრილკრისტალურია, მაგრამ დაბალსინჯიანია (960 და დაბლა), ხასიათდება სპილენძის აწეული შემცველობით და დაბალი ჭეღვადობით. მდ. ენგურის მარცხენა შენაკადების მკვებავეს ძირითადად წარმოადგენენ არშირის, ცერის და ლასილის ოქროს გამოვლინებები. ცნობილია არშირის ოქროს გამოვლინება. ის განლაგებულია სვანეთის ქედის ჩრდილო ფერდზე, მდ. ენგურის მარცხენა შენაკადის, არშირის სათავეებში და წარმოდგენილია დამრეცად დაქანებული მრავალრიცხოვანი ოქროს მატარებელი კვარცის მარღვებით, რომლებიც თანხმობით არიან განლაგებული მათ შემცველ იურული ასაკის თხელფიქლებლივ თიხაფიქლებთან. აღნიშნული მარღვები ქმნიან 300 მ. სიძლიავრის და 3 კმ. გამწეობის მადნიან ზონას. კვარცის გარდა, მარღვებში აღინიშნება წვრილკრისტალური პირიტის ჩანაწინწკლები, გალენიტის, არსენოპირიტის და ქალკობირიტის მცირე ზომის დანაგროვები. მადნიან ზონაში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ოქროსმატარებელი, ძლიერ დამსხვრეული კვარცის მარღვი და ლინზა.

თვითნაბადი ოქრო გვხვდება ორი ფორმით: 1) 1,5 გრამიანი კრისტალები შეზრდილი მასიურ კვარცთან; 2) წვრილი იზომეტრული მარცვლები რელიქტურ სიცარიელებში. ოქროს შემცველობა მადნიან ზონაში არათანაბარია და ცალკეულ სინჯებში მერყეობს 56 გრ/ტ-დან 166 გრ/ტ-მდე, ხოლო საშუალოდ მისი შემცველობა შეადგენს 1 გრ/ტ. შემდეგი ე. წ. ცერის ოქროს გამოვლინება მდებარეობს მდ. ცერის (მდ. ენგურის მარცხენა შენაკადი) სათავეებში. აქ იურულ თიხაფიქლებში ასევე დაფიქსირებულია მრავალრიცხოვანი კვარცის მარღვები.

აქ მადნეული მინერალების თვალსაზრისით გამოიყოფა მარღვები პირიტის, სფალერიტის, გალენიტის, ქალკობირიტის იშვიათი ჩანაწინწკლებით და თვითნაბადი ოქროს ფირფიტებით, გვხვდება მარღვები ოქროს მტკრისებრი

---

<sup>11</sup> ლ. ბოტორიშვილი. ოქრომჭედლობა სვანეთში, გვ. 287.

დანაგროვებით და პირიტისა და ველენიტის იშვიათი ჩანაწინწკლებით. თვითნაბადი ოქრო გვხვდება ფირფიტების, ნახევრად დამრგვალებული კრისტალების და უფორმო მარცვლების სახით. ოქროს შემცველობა მერყეობს კვადრდან 4,88 გრ/ტ-მდე. ლასილის ოქროს გამოვლინება მდებარეობს მდ. ლასილის (მდ. ენგურის მარცხენა შენაკადი) აუზში. აქ ქვედა იურული ასაკის თიხაფიქლებში ასევე ფიქსირდება მრავალრიცხოვანი კვარცის მარღვები 5 მ. სიმაღლით.

მინერალური შედგენილობით გვხვდება ორი ტიპის კვარცის მარღვი: 1) ოქრო-შეელიტ-კვარც-კარბონატული შედგენილობისა და 2) არსენოპირიტ-პოლიმეტალური გამადნების მატარებელი. ორივე ტიპის მარღვებში ოქრო გვხვდება რკინის ჰიდროქსიდებით ამოვსებულ გამოტუტვის სიცარიელებში.

წარმოდგენილ ნაშრომში შემოვიფარგლებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოპოვებული მხოლოდ თვითნაბადი ოქროს ქიმიური და მინერალოგიური კვლევისას მიღებული შედეგებით და დეტალურად არ შეგჩერდებით ძირეული ოქროს ქიმიურ თავისებურებებზე.

სვანეთის ოქროდან შესწავლილი ეს თვითნაბადი მარცვლები ადიშ-ჭალის, სოფ. იელის, არშირას და ენგურის (შუა წელი) ქვიშრობებიდან და ლასილ-არშირას კვარცის და ყვების კვარც-სულფიდური მარღვების ოქროს მარცვლები. მათში მიკროკომპონენტების Ag, Cu, Si, Fe, Pb, As, Te, Se, Cd განაწილება არაკანონზომიერია, შემცველობა კი სხვადასხვა წერტილში განსხვავებულია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული ელემენტების შემცველობა (რაოდენობა) და განაწილების ფორმა ზემო სვანეთის ოქროს მარცვლებში ძირითადად მსგავსია.<sup>12</sup> ადრეული დროიდან ოქროს მოპოვება ხდებოდა როგორც მდინარეული ნალექებიდან უმცირესი ნაწილაკების სახით (ოქროს სილა), ასევე – სამთო გამონამუშევრებიდან.

შემორჩენილია გარკვეული დანიშნულების სხმული და სხვადასხვა შემცველობის ზოდები, რაც დასტურია იმისა, რომ აქაური ოქრომჭედლები ამუშავებდნენ როგორც ძირეული საბადოებიდან მოპოვებულ ოქროს ნედლეულს, ასევე ქვიშრობიდან მოპოვებულ ხალას მასას.

ლითონური მასალის ქიმიურ-ტექნოლოგიურმა შესწავლამ საშუალება მოგვცა, მათი ნედლეულის სავარაუდო წყარო დაგვედგინა. ამისთვის გამოვიყენეთ სვანეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ქვიშრობი საბადოების ხალასი

<sup>12</sup> ნ. ფოფორაძე, ხ. გაჩეჩილაძე. ქართული თვითნაბადი ოქროს ქიმიური შედგენილობა.

ოქროს მარცვლების დეტალური მიკროზონდური კვლევა. ხალასი ოქროს მარცვლების ქიმიური შედგენილობა განისაზღვრა, როგორც მარცვლის ზედაპირზე, ასევე გარე შრეებსა და შიდა უბნებში, ასეთივე საშუალები ჩატარდა სვანეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი საიუველირო ოქროს ნაკეთობებზეც.<sup>13</sup>

არქეოლოგიური ლითონური მასალის (ოქრო) დეტალურმა მიკრორენტგენოსპექტრალურმა ანალიზმა და მისმა შედარებამ თვითნაბადი ოქროს ქიმიურ შედგენილობასთან მრავალი საგულისხმო ფაქტი მოგვცა, ასეთი სახით დამზადებულ ნაკეთობებში იდენტური მინერალური ჩანართები და ქიმიური ელემენტების მიკროკომპონენტები ისეთივე რაოდენობით, ფორმითა და განაწილების თავისებურებებით ხასიათდება, როგორც თვითნაბად ოქროში.

სვანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ხალასი ოქროს ქიმიური შედგენილობის შედარებამ სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროს საიუველირო ნაკეთობების ქიმიურ შედგენილობასთან საინტერესო შედეგი მოგვცა. რაც უფრო ადრეული პერიოდისაა ოქროს ნაკეთობა, მით უფრო ნაკლები ხარისხითაა გადამუშავებული ოქროს ნედლეული და ის პრაქტიკულად ისე გამოიყენებოდა, როგორც სახითაც მას მოიპოვებდნენ. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, ნაკეთობის ცალკეული დეტალის დასამზადებლად (რომელზეც გარკვეული დატვირთვა მოდიოდა), მცირე დანამატის სახით უმატებდნენ ვერცხლს ან სპილენძს.

ოქროს საიუველირო ნაკეთობები ძირითადად დამზადებულია მაღალი სინჯის ოქროთი. საიუველირო ნაკეთობების შემადგენელი მასალის ქიმიური შემადგენლობა, ცალკეული ქიმიური ელემენტების (Au, Ag, Cu) შედგენილობის ცვალებადობა და მათი გარკვეული არაკანონზომიერი განაწილება პრაქტიკულად ეთანადება სვანეთის ტერიტორიაზე არსებული თვითნაბადი ოქროს მარცვლების ქიმიურ შედგენილობას.

საშუალო და დაბალი სინჯის ოქროს ნაკეთობების დასამზადებლად, ძირითადად, გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდით გასუფთავებული ოქრო, გადამუშავებით, ვერცხლისა და სპილენძის დამატებით მიღებული შენადნობები, რომელიც პრაქტიკულად თავისუფალია მექანიკური ჩანართებისა და სხვა მინარევი ელემენტებისაგან.

ლითონის მოპოვებისა და დამუშავების ადრინდელი ტრადიცია გავრ-

---

<sup>13</sup> ნ. ფოფორაძე, ხ. გაჩეჩილაძე. ქართული თვითნაბადი ოქროს ქიმიური შედგენილობა.

ძელდა. ლითონის ჭედვით და, კერძოდ, კი ოქრომჭედლობით ცნობილ კუთხეთა შორის სვანეთს იმთავითვე საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ექთაყაიშვილმა იმოგზაურა რა სვანეთში 1910 წელს, აღნიშნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვითარება: ეკლესიებში დაცული „ცხრა მეთაული ხვარ-ხატებისათვის სვანეთშია დამზადებული, ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა“.<sup>14</sup> გ. ჩუბინაშვილის აზრით, „ქართული ოქრომჭედლობის ნივთები, რომლებიც სვანეთშია შემონახული, სვანეთის საოქრომჭედლო სახელოსნოებშივეა დამზადებული“.<sup>15</sup>

ოქრომჭედლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ზემო სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესაც ცოცხლობს. ოქრომჭედლობის ძირითადი ცენტრები ბალსქვემო სვანეთშია წარმოდგენილი: ბალსზემო სვანეთის ოსტატთა უმრავლესობასაც, როგორც გადმოგვცემენ, სახელოვნო განთლება ბალსქვემო სვანეთში აქვთ მიღებული.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სვანეთშიც რკინას მამაკაცები სჭედენ, ოქრომჭედლობას კი მამაკაცებთან ერთად ქალებიც მისდევენ.

სვანეთის მოსახლეობის მოთხოვნილებას ამჟამადაც სვანური ოქრომჭედლობა აკმაყოფილებს; იარაღის შემკულობას, ცხენის საკაზმის მორთულობას, მამაკაცისა და ქალის მრავალსახოვან სამკაულს ადგილობრივი მუთვრი ამზადებს (სამკაულის ზოგი სახეობა სვანურ ჩაცმულობას მუდამ თან ახლავს. ამის გამოა, რომ სამკაულების ბეჭდვას აქაური ოქრომჭედლის საქმიანობაში ახლაც დიდი ადგილი უჭირავს. სვანი ოსტატი დღესაც ჭედს სხვადასხვაგვარ ღილაკებს (ღილიკებს, ღილებს), მუსკადს (ბეჭედს), ჰერწამად სახელდებულ სამრგოლა ბეჭედს, სამაჯურს, ლემდმარალს (საყურებს) და სხვა სამკაულს.

ოქრომჭედელი მცირე ზომის ნივთებს აკეთებს და მისი სამჭედლოს ე.წ. ლაშქდაშ-ის მოწყობილობასაც მცირე ზომის იარაღები შეადგენს, საოქრომჭედლო სახელოსნოს ხელსაწყო იარაღთაგან შეიძლება დავასახელოთ: ბალ – ცეცხლის გასაძლიერებლად განკუთვნილი საბერველი; ტუნუ – გასადნობი ლითონის მოსათავსებლად ხმარებული პატარა ჯამი, ძირმრგვალი

<sup>14</sup> ექთაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმსა და სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937, გვ. 436.

<sup>15</sup> გ. ჩუბინაშვილი. X-XIII სს. სვანური საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია. მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ. 1946.

და ტუნგამოწეული; ღვებილ – ნავისებურად მოყვანილი, ბოლომოკაუჭებული რკინის ჭურჭელი, რომელშიც გამდნარ ლითონს ასხამენ; კვან – რკინის პატარა გრდემლი; კალპეტ – მცირე და მოხრილი ნახვრეტებით დაფარული, ოთხწახნაგოვანი ლითონის კალაპოტი; კვათხ – კვერი; მარწინუ – მარწუხი.

ოქრომჭედლებს მუშაობის დროს ამა თუ იმ სახის ლითონთან ერთად, სხვა დამხმარე მასალაც ესაჭიროებათ: ხამიშ – ღორის ქონი გახურებულ ღვებილს უნდა წაუსვან, რომ გამდნარი ლითონი მის კედლებს არ მიეკრას. წაქ – რძის შრატია; გადადნობილ ლითონს გაცივების შემდეგ აღუდებულ წაქში ათავსებენ. წაქში ამოვლებულ ლითონს ბრწყინვალეა ემატება (მაგ. „ვერცხლს ათეთრებს“). ბორაკი გადნობის პროცესში ღებულობს მონაწილეობას, ტუნუში ლითონთან ერთად ათავსებენ, ბორაკი ლითონს აწმინდავებს, უვარგის ნაწილს, ე.წ. წიდას, ლითონისგან გამოჰყოფს. ქართველი ოქრომჭედლებისთვის ეს ნივთიერება ძველ დროშივე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ბორაკი ანუ ბავრუკი – ამბობს საბა – „მარილს ჰგავს, ოქრომჭედელნი იხმარებენ ოქროსა დასადნობადო“ და იქვე დასძენს: „ელვარე წყალი არს, რომელი ხაშურის მსგავსთა გამოჰყრისო“.<sup>16</sup>

შესწავლილი ნიმუშების ქიმიური-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები დოკუმენტურად ადასტურებს საოქრომჭედლო საქმის მაღალ დონეს სვანეთში.

---

<sup>16</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. ტფ. 1928.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV

ცხრილი 1 ზემო სვანეთის ოქროს ქიმიური შემადგენლობა

ნომრის №	მინერალი	ნომრის აღების ადგილი	ანალიზის №	ელემენტის პროცენტული შემცველობა												
				Au	Pb	Cu	Fe	Te	Ca	Sb	Ag	Cd	Si	ჯამი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		
1		ადიშქალა	1	91.55	-	0.37	0.02	-	-	-	-	5.76	-	0.05	97.75	
			2	90.79	-	0.57	0.04	-	-	-	-	5.4	-	0.12	96.92	
			3	93.06	-	0.64	-	-	-	-	-	-	6.07	-	0.16	99.93
			4	91.89	-	0.7	0.26	-	-	-	-	-	6.24	-	0.05	99.14
2		რასლა-აშბას (ცირის ძარეუბა)	9	88.73	0.71	0.27	6.16	-	-	-	-	1.86	-	0.18	97.2	
			10	96.49	-	0.26	0.58	-	-	-	-	2.25	-	0.05	99.63	
			11	90.03	1.34	0.11	4.45	-	-	-	-	2.04	-	0.04	96.67	
			12	93.2	0.41	0.17	0.07	-	-	-	-	2.34	-	0.32	96.1	
3		ენგურის ხეობა	13	95.12	0.28	-	0.11	-	-	-	-	1.73	-	0.19	97.15	
			14	89.56	1.37	0.09	0.16	-	-	-	-	2.21	-	2.09	94.11	
			15	97.42	-	0.09	0.11	-	-	-	-	1.5	-	0.18	99.3	
			16	92.55	1.02	0.03	1.52	-	-	-	-	1.25	-	0.35	96.72	
4		სოფ. იელო	17	93.65	0.22	0.05	0.03	-	-	-	-	3.25	-	0.05	97.03	
			18	96.23	-	0.06	-	-	-	-	-	3.14	-	0.09	99.52	
			19	96.73	-	0.07	-	-	-	-	-	2.95	-	0.09	99.84	
			20	95.84	-	0.14	0.03	-	-	-	-	3.05	-	0.09	99.15	
			21	88.25	1.05	-	0.37	-	-	-	-	5.25	-	-	94.92	



ზვიად კვიციანი. სვანეთი – ოქრომკვდლობის უძველესი კერა (არქეოლოგიური, გეოლოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები)

ცხრილი 2. ლარილარის სამარხის ოქროს ნივთების ქიმიური შედგენილობა

ნიმუშის N	ნივთის დასახელება	ნივთის დეტალის (ფრაგმენტის) დასახელება	ანალიზის N	ელემენტების პროცენტული შემცველობა									
				Au	Pb	Cu	Fe	Sb	Si	Ag	Sn	S	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
70	საყუე	ცვარი	1	84.94	-	0.26	0.05	0.2	0.09	34.71	-	0.01	98.35
			3	83.12	3.26	0.9	0.1	0.4	0.01 6	14.33	0.41	0.17	99.45
			4	85.31	3.25	0.43	0.12	-	-	27.56	0.04	0.06	98.77
			5	84.17	0.2	0.33	0.35	0.5	0.03	40.11	0.14	0.09	98.42
			6	90.46	-	0.54	0.06	0.06	-	25.89	-	0.26	99.27
			7	96.74	3.16	0.45	-	-	0.01	35.03	-	0.13	98.52
			8	84.72	2.24	0.65	0.39	0.02	-	33.2	-	0.1	99.32
			9	83.27	1.24	1.8	0.12	-	0.1	27.51	0.3	0.03	96.37
		საკიდი გოლი	12	90.7	1.07	0.08	0.11	0.12	0.08	28.18	0.02	0.07	97.31
			13	90.77	1.18	0.91	0.07	0.05	0.08	30.01	0.13	0.02	96.22
			14	81.84	0.03	0.08	0.04	-	0.17	27.94	-	0.01	93.11
			15	91.78	1.19	0.13	0.04	0.09	0.22	29.4	0.09	0.07	96.01
			1	80.73	16	0.55	0.06	-	0.03	28.55	-	-	97.52
			2	82.57	-	0.79	-	-	-	11.18	-	0.01	83.55
			3	75.41	1.00	0.84	0.15	0.08	0.14	25.91	-	0.04	99.57
			4	83.13	-	0.26	-	-	0.03	26.05	0.03	0.01	97.51
			5	82.09	-	0.31	0.13	-	0.04	28.11	0.09	-N698	99.37



ზვიად კვიციანი. სვანეთი – ოქრომზედალობის უძველესი კერა (არქეოლოგიური, გეოლოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები)

---



*Zviad Kvitsiani*

**SVANETI – ANCIENT SITE OF GOLDSMITHERY  
(ARCHAEOLOGICAL, GEOLOGICAL AND CHEMICAL-  
TECHNOLOGICAL DATA)**

Summary

Svaneti (Western Georgian Highlands) is reckoned to be one of the ancient areas in the World for extracting and elaboration of precious metals. Some foreign sources indicate that gold existed in Svaneti. The same sources include accounts about different methods for extracting the gold, also about technology of goldsmithery. The myth about golden fleece is related to extraction of gold at the upper reaches of Enguri River.

Gold used to be extracted as gold sand in the rivers, and gold mining was another way of getting it.

Chemical analysis of the artefacts from Svaneti shows the use of local gold for them; they were done by the local goldsmiths. Longtime tradition is still preserved in ethnographical reality of Zemo (Upper) Svaneti.

*Zviad Kvitsiani*

**SVANETI – ANCIENT SITE OF GOLDSMITHERY  
(ARCHAEOLOGICAL, GEOLOGICAL AND CHEMICAL-  
TECHNOLOGICAL DATA)**

Summary

Svaneti (Western Georgian Highlands) is reckoned to be one of the ancient areas in the World for extracting and elaboration of precious metals. Some foreign sources indicate that gold existed in Svaneti. The same sources include accounts about different methods for extracting the gold, also about technology of goldsmithery. The myth about golden fleece is related to extraction of gold at the upper reaches of Enguri River.

Gold used to be extracted as gold sand in the rivers, and gold mining was another way of getting it.

Chemical analysis of the artefacts from Svaneti shows the use of local gold for them; they were done by the local goldsmiths. Longtime tradition is still preserved in ethnographical reality of Zemo (Upper) Svaneti.

*ნესტან სულავა*

## სახარებისეული ალუზია ქართულ ისტორიულ საბუთებში

ქართული საისტორიო წყაროები, კერძოდ, დიპლომატიკური ძეგლები, არა მხოლოდ ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ინფორმაციითაც არის დატვირთული და სახისმეტყველებითი ანალიზის საფუძველს იძლევა. ჩემი ყურადღება მიიქცია რამდენიმე ქართულმა ისტორიულმა საბუთმა, რომლებშიც იოანეს სახარების ერთი ეპიზოდის ალუზიაა გამოყენებული „დაწერილისა“ და „სიგელისათვის“ დამახასიათებელი ფორმულით. ცხადია, მისი დანიშნულება ისტორიული ხასიათისა არაა. ყოველ ისტორიულ საბუთს თავისი დამოუკიდებელი სტრუქტურულ-კომპოზიციური აგებულება აქვს, რომელსაც ითვალისწინებდნენ თითოეული მათგანის შედგენისას. დასაწყისში, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა დიპლომატიკის, ანუ სიგელთმცოდნეობის ტერმინოლოგიის დადგენისას სიგლის შესავალი უწოდა და რომელიც მოცულობით დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ყოველთვის მოიხსენიება ღმერთი, მისი ჰიპოსტასები, ყოველადწმინდა ღვთისმშობელი, ანგელოზები და მთავარანგელოზები, წმ. იოანე ნათლისმცემელი, მოციქულები, ყველა წმინდანი. ეს საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ფორმა//ფორმულაა, რომელშიც ზოგჯერ სახარებისეული ან, საზოგადოდ, ბიბლიური ალუზიებიც ჩაერთვოდა ხოლმე. აგრეთვე, თითქმის ყველა ისტორიულ საბუთში დასტურდება პოლემიკური ნაკადიც, რასაც, საღვთისმეტყველოსთან ერთად, სიგელში შეტანილი ბრძანება//ბრძანებულებისა თუ პირობის დაცვისა და ამის გამო კრულობითი მოწმობის ფუნქციაც ენიჭებოდა.<sup>1</sup>

IX საუკუნის II ნახევრით დათარიღებული (თ. ენუქიძე, ნ. შოშიაშვილი)<sup>2</sup> ისტორიული საბუთის – „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი“ – და-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თხზულებანი. ტ. IX. თბ. 1996, გვ. 471-477

<sup>2</sup> საბუთი სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული: თ. ჟორდანიას მიერ – 909/941

საწყისში აღნიშნულია შემდეგი: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაითა, **შუამდგომლობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა ივოვანე ნათლისმცემლისაითა, რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა სამოციქულოთა ქალწულთა**, რომელთა გუიქადაგეს განკორციელება სიტყვისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამის შიოისითა“.<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილმა ისტორიული საბუთების შედგენილობის განსაზღვრისას ყურადღება გაამახვილა ფავნელის „დაწერილზე“, კერძოდ, სიგლის შესავალზე საუბრისას, და აღნიშნა: „...გრძელი „ვედრება“ მიქელ მემღკმეს ცხირეთ-ცხევერელ-გავაზელთა ფავნელ-ტბელთაგან მონასყიდლობის წიგნში, რომელიც თუმცა IX-X სს. ეკუთვნის, მაგრამ რომლის ენა გადამწერთაგან უეჭველია უნდა განახლებულ-დამახინჯებული იყოს და ამის გამო სიფრთხილითაა გამოსაყენებელი. იქაც ასეა ნათქვამი.“<sup>4</sup> შემდეგ კი მან დაიმოწმა ფავნელის, დაწერილის, ტექსტის დასაწყისი, სადაც საღვთისმეტყველო თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე არ იყო, რაც, ცხადია, შენიშნა ივანე ჯავახიშვილმა და შესწორება შეიტანა. დავიმოწმებ „დაწერილის“ ივანე ჯავახიშვილისეულ შესწორებულ ვარიანტს: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისაითა, **შუამდგომლობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა ივოვანე ნათლისმცემლისაითა [და იოვანე მასარებელისაითა]**, რომელი მიეყრდნა მკერდსა საუფლოსა, წმიდათა სამოციქულოთა ქალწულთა, რომელთა გუიქადაგეს განკორციელება სიტყვისა ღმრთისა, მეოხებითა და შუამდგომლობითა წმიდისა მამის შიოისითა“...<sup>5</sup> აქ **[და იოვანე მასარებელისაითა]** ფრჩხილებშია ჩასმული და მის შესახებ სქო-

წლებით (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. 87-88) და 890/913 წლებით (ქრონიკები. ტ. II. ტფ. 1897); ი. ჯავახიშვილის მიერ – X საუკუნით; ი. დოლიძის მიერ – საბუთის პირველი ნახევარი – IX საუკუნით, მეორე ნახევარი – 893/918 წლებით (ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, საძიებლები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 1-2); კორპუსში – ფავნელის დაწერილი – IX საუკუნით, მიქაელ მემღვიმის დაწერილი – IX საუკუნის ბოლოთი (ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. ტ. I. შეადინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 17). ზემოთ ეს უკანასკნელი დათარიღებაა მითითებული.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს., გვ. 17.

<sup>4</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 477.

<sup>5</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 477.

ლიოში აღნიშნულია, რომ „ეს ადგილი დამახინჯებულია“.<sup>6</sup> ამრიგად, ი. ჯავახიშვილმა შენიშნა „დაწერილის“ ტექსტში უზუსტობა, რომ *„რომელი მიეყრდნა მეყრდნს საუფლოს“* შეიძლება მხოლოდ იოვანე მახარებელზე თქმულიყო და ამიტომ მან ტექსტში იგი სრულიად სამართლიანად აღადგინა<sup>7</sup>.

სხვა ისტორიულ საბუთებში ეს სახარებისეული ალუზია სწორი ვერსიითაა დამოწმებული. კერძოდ, 1189 წელს შექმნილ დოკუმენტში – ჭიაბერის „დაწერილში მღვიმისადმი“ ფავენელის „დაწერილისაგან“ განსხვავებული, სწორი ვერსიაა დაცული: „ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა, რომლისაგან შეისხნა კორცნი *ქრისტემან* ღმერთმან ჩუენმან და კუალად შემდგომად შობისა მშობელი ქალწულად დაცვა. ძალითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისა, ძელისა ცხორებისადითა, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი მკლავნი თუისნი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, კსნისათუის ჩუენისა, თავსმდებობითა და შეწევნითა წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთათა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდისა ღიდებულისა წინასწარმეტყუელისა, ნაშობთა ყოველთა უვალრეისისა ნათლისმცემელისა იოვანესითა, *თავსმდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა და ყოვლად ქებულისა იოვანე მახარებელისათა, რომელი მიეყრდნა სერობასა მას მეყრდნს საღმრთოს*“<sup>8</sup>

საყურადღებოა XIII საუკუნის ბოლოთი დათარიღებული „დაწერილი ქაქანასი ქვათაჴვეისადმი“, რომელიც სახარებისეული ალუზიის ამავე ვერსიას ასახავს: „ქ. სახელითა არსებად ცნობილისა და არსებადაუბადებელისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა და შეწევნითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა მთავარანგელოზთა: მიქეელ, გაბრიელ და მისა შემდგომთა ძალთათა, მეოხებითა და ძალითა ყოველთა ნაშობთა უმეტესისა წმიდისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესათა, *ძალითა და შეწევნითა რომელი მიეყრდნა სერობასა მას მეყრდნს მაცხოვრისასა, წმიდისა იოვანე მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისათა*, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა, მოწამეთა“<sup>9</sup>

<sup>6</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 477.

<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ „ქართული სიგელთმცოდნეობის, ანუ დიპლომატიკის“ 1926 წლის გამოცემაში ფავენელის „დაწერილის“ ეს უზუსტობა გასწორებული და აღდგენილია ივანე ჯავახიშვილის მიერ, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში“ ეს შესწორება არ არის გათვალისწინებული და არც სქოლიოშია აღნიშნული ტექსტის გამოსაცემად მომზადებულთა მიერ (ეს საბუთი გამოსაცემად მომზადებულია თ. ენუქიძისა და ნ. შოშიაშვილის მიერ).

<sup>8</sup> ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს., გვ. 95-96.

<sup>9</sup> ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს., გვ. 194.



სახარებისეული ალუზიის განსამარტებლად საჭიროა იოანე მახარებლის სახარების ის ეპიზოდი გავიხსენოთ, სადაც საუბარია იოანე მახარებლის უფლის მკერდს მიყრდნობაზე. იოანესადმი უფლის სიყვარულის გამოხატულებაა უფლის მკერდს მიყრდნობა, რაზეც თვით იოანე მოგვითხრობს საიღუმლო სერობის სურათის ასახვისას: „და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუდსთა, რომელ-იგი უყუარდა იესუს... ხოლო მიყრდნა იგი იესუდსსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს?“ (იოანე, 13, 23, 25). წმ. იოანე მახარებელი იყო მაცხოვრის უსაყვარლესი მოწაფე, რასაც ადასტურებს ჯვარცმისას მაცხოვრის მიმართვა იოანესა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი: „იესუ ვითარცა იხილა ღელად თვისი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა ღელასა თვისსა: ღელაკაცო, აჰა ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა ღელად შენი! და მიერთგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თვისთა თანა“ (იოანე, 19, 26-27).

წმ. იოანე ოქროპირმა ეგზეგეტიკურ თხზულებაში „თარგმანება იოანეს სახარებისად“ სიმბოლურ-სახისმეტყველებითად განმარტა იოანეს სახარების ზემოხსენებული მუხლი იოანე მახარებლის უფლის მკერდს მიყრდნობის შესახებ: „რომელი უყუარდა იესუს“ არც ერთ სხვა მახარებელს არ უთქვამს, რადგან იესუს ყველანი უყვარდა, ხოლო იოანე – ყველაზე მეტად. წმ. იოანე ოქროპირი სვამს კითხვას: „ესე ვითარსა კადნიერებასა მისცემდა იესუ მოწაფეთა თვისთა?“ პასუხსაც თავადვე იძლევა: „ხოლო უკუეთუ მიზეზსა ეძიებდე ამის საქმისასა, საყუარელ იყო, რამეთუ იტყვს, რომელი მიზეზისათვის იქმს ამას, რადთამცა გამოაჩინა თავი თვისი უცხოდ საქმისა მისგან ბოროტისა მიცემისა მისისა. ამისთვის მიყრდნობის და იტყვს მინდობით, ხოლო რადსათვის მიყრდნა მკერდსა? ერთად, რამეთუ ჯერეთ არა იცოდის, ვითარცა ჯერ-იყო, და ვითარცა შემდგომად ცნეს, თუ ვინ არს, ანუ ვითარ, და მეორედ, რამეთუ მწუხარებასა მისსა ნუგემინის-სცემდა უფალი, რამეთუ შეცვალებულ იყვნეს პირნი მათნი და სულნი შემფოთებულ და ამისთვის უმეტესად შეიტკობს იესუ და ნუგემინის-სცემს სიტყვით და საქმით, და იხილე ამისი უტყუველობა და სიწორეობა: არა იტყვს სახელსა, არამედ: „რომელი უყუარდაო“, ვითარცა ნეტარი პავლე იტყვს, ვითარმედ: „ვიცი კაცი, უწინარეს ათოთხმეტი წლისა“, ხოლო რაჟამს ჰკითხა ნეტარმან მან, მაშინდა ოდენ გამოაცხადა იგი უფალმან და მაშინცა არა სახელის-ღებით, არამედ ესრეთ ჰრქუა: „იგი არს, რომელსა მე დავაწო პური და მივსცე“ (13, 26).<sup>10</sup> უფალმა ბრძანა, ვისაც მე პურს მივცემ, ის არის გამცემი; ხოლო გამცემის მისამართით თქვა, რაც

<sup>10</sup> იოანე ოქროპირი. თარგმანება იოანეს სახარებისა, გვ. 198.

განგიზრახავს, რაც შეიძლება მალე აღასრულო. იოანე მახარებლის ეს სიტყვები „არავინ ცნა მენაჴეთაგან“ – მრავლისმეტყველია. როგორ ან რატომ ვერ მიხვდნენ, ვის გულისხმობდა იესუ? წმ. იოანე ოქროპირი ამაზე გვიპასუხებს, რომ იოვანე მახარებელმა ფარულად ჰკითხა უფალს, რომელმაც ასევე ფარულად უპასუხა, რათა წინასწარ ცნობილი არ ყოფილიყო მენახეთათვის უფლის გამცემის სახელი. ვერავინ მიხვდა მის სიტყვას, ვერც პეტრე, რომელიც მიხვედრისთანავე მოკლავდა მიმცემელს, ვერც იოვანე, რადგან „შორს იყვნეს იგინი მანქანებისაგან, და იოვანე არა უწყოდა, თუ მაშინ იქმნების მიცემად იგი, არამედ ჰკონებდეს, ვითარმედ დღესასწაულისათჳს ჰრქუა განმზადებად“. <sup>11</sup>

იოვანე მახარებლის „სიტყვსა მკერდს მიყრდნობილსა“ რამდენიმე ფარული, სიმბოლური, სახისმეტყველებითი აზრის მომცველი ფრაზაა, რომელსაც ძველი დროიდანვე განმარტავდნენ წმიდა მამები და რომლის გააზრებას ჰიმნოგრაფიულ თხზულებებშიც ვხვდებით. უპირველეს ყოვლისა, დავიმოწმით არეოპაგიტულ კორპუსში მკერდის სიმბოლური მნიშვნელობის განმარტება: „ხოლო კუალად მკერდნი გამოაჩინებენ დაუთრგუნველობასა და შემცველობასა, ვითარ თუძცა ზელამდებარე იყო საფარველად გულისა ცხოველსმყოფელობითა მათ განმყოფელობათა“. <sup>12</sup> „მკერდს მიყრდნობა“ იოვანეს წარმოაჩენს ვითარცა ღვთის, ქრისტეს უსაყვარლეს მოწაფეს, ვითარცა ღმერთის შეცნობის მოწადინეს და ვითარცა უძლიერესს, რომელიც ვერაფერმა დათრგუნა; იგი ერთადერთი იყო მოწაფეთა შორის, რომელიც ჯვარცმას ესწრებოდა. ტბელ აბუსერის ძის საგალობელში, რომელიც სამ იოანეს, იოანე ნათლისმცემელს, იოანე მახარებელსა და იოანე ოქროპირს ეძღვნება, იოანე მახარებლის შესახებ ნათქვამია, რომ „სიტყვსა მკერდსა მიყრდნობილსა – ცუარად ვქადაგებთ“ <sup>13</sup> და „შარავანდეად – საუფლოფსა მკრდისა მახლობელსა“ <sup>14</sup> სახელდება. <sup>15</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფაენელის „დაწერილის“ ტექსტში გასათვალისწინებელია ივანე ჯავახიშვილის მიერ 1926 წელს აღდგენილი სახარებისეული ალუზიის სწორი ვერსია და უნდა დაიწეროს: „*შუამდგომელობითა ნაშობთა უმეტეს წოდებულისა ივოვანე ნათლისმცემელისათა [და იოვანე მახარებელისათა], რომელი მიყრდნა მკერდსა საუფლოსა*“, რათა ნათელი გაჩნდეს, თუ ვის შეეხება სიგელში ნათქვამი სიტყვები „*მიყრდნა მკერდსა საუფლოსა*“.

<sup>11</sup> იოანე ოქროპირი. თარგმანება იოანეს სახარებისა, გვ. 200.

<sup>12</sup> პეტრე იბერი – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბ. 1960, გვ. 146.

<sup>13</sup> ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბ. 2003, გვ. 306.

<sup>14</sup> ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 308.

<sup>15</sup> ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, გვ. 159-160.

*Nestan Sulava*

## GOSPEL'S ALLUSION IN THE GEORGIAN HISTORICAL DOCUMENTS

### Summary

Georgian historical sources are important in regards of the source study and historiography. Historical diplomas carry both theological and literary information and give the room for trophological analysis. An allusion of one episode from John's Testament is used in several Georgian historical documents as a formula peculiar to "written" (*datserili* in Georg.) and for "diploma" (*sigeli* in Georg.) styles. The purpose of allusion does not have any historical value. A structural-compositional form of historical documents has been shaped in the process of their development, which was taken into account while working on each of them. God, His hypostases, Holy Mother, angels and archangels, St. John the Baptist, St. Apostles, and all saints are always mentioned at the introduction of diploma. In this formula the allusions from the Bible developed through centuries have often been introduced.

At the beginning of the historical document "Written of Phavneli to Shio-Mgvime Monastery", dated by the second half of the 9<sup>th</sup> century, after mentioning of God, St. John the Baptist is mentioned: "***who leant on God's chest***". This could be only said about St. John the Evangelist, the source of the latter being John's Testament (John, 13: 23, 25). Ivane Javakhishvili found this mistake and recovered the name of John the Evangelist in the text. In spite of this, the name has not been recovered and is printed in the published issues. In other documents, where this allusion from the Testament is confirmed, namely, in the following documents: "Written to Shio-Mgvime Monastery" of Chiaber dated by 1189 and "Written of Qaqana to Qvatakhevi Monastery", dated by the end of the 13<sup>th</sup> century, the correct version is reflected and the phrase "who was leant on God's chest" refers to John the Evangelist.

*ლერი თავაძე*

## ფეოდალური საქართველოს სოციალური შემადგენლობა ქოროლოს რელიეფების მიხედვით

ქრისტიანობის დამკვიდრებით (IV საუკუნე) საქართველოში ფეოდალიზმის ეპოქის დასაწყისს ვარაუდობენ. ადრეფეოდალურ ეპოქას მკვლევრები განსხვავებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში აქცევენ, ნაწილი თვლის, რომ ადრეფეოდალური ეპოქა IV-VIII საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს, სხვა კარიანტები შემდეგია: IV-IX/X საუკუნეები, IV-XIII საუკუნეები და ასე შემდეგ.<sup>1</sup> თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ IX-X საუკუნეებში ხდება ფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება და მასთან ერთად ახალი ქალაქების მასობრივი წარმოქმნა – ე.წ. „ახალქალაქობა“, ნათელი გახდება, რომ ფეოდალური სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა, ხოლო საქალაქო ცხოვრების განვითარებამ ხელი შეუწყო ადრეფეოდალიზმის ხანის დასასრულს. ქვეყანა, უკვე ფეოდალიზმის ახალ სტადიაშია შესული. ამდენად, VIII-X საუკუნეები ერთგვარი გარდამტეხია საქართველოს ფეოდალიზმის ეპოქაში.

პირველადი ნარატიული მასალის შუქზე, კარგად შეიძლება გამოიკვეთოს ის სურათი, რაც შექმნილი იყო სოციალური კუთხით ფეოდალურ საქართველოში. თუმცა ნარატიული მასალა არ აცოცხლებს, მკვეთრად არ გამოხატავს იმ სოციალურ დიფერენციაციას, რომელიც შუა საუკუნეების სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. ამის საუკეთესო ილუსტრაციას რელიეფები იძლევა, რაც V-X საუკუნეებში მრავლად არის დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

---

<sup>1</sup> მ. დუმბაძე. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციისათვის (XV საუკუნემდე). საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 5-43; ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალური-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 3-7.

რელიეფური კვეთის ნიმუშები, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, არ გამხდარა სპეციალური შესწავლის ობიექტი საქართველოს სოციალური ისტორიის კვლევის კუთხით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანი ამ კუთხით მუშაობის გაღრმავებაა.

### სოციალური შემაღენლობა

ქართულ სოციალურ სისტემაში ორი კლასის გამოყოფა შეიძლება: მაღალი სოციალური ფენა, რომელშიც ერთიანდებოდა სამეფო ოჯახი, დიდებულები, წარჩინებულები და აზნაურები – იყვნენ ქვეყნის მმართველი ზედაფენა; მარტივად ეს არის ფეოდალური კლასი. მეორე კლასი, ეს არის დაბალი სოციალური ფენა, რომლის აღსანიშნავად ხშირად ტერმინი „მონა“ იხმარებოდა, ამავე კლასს შეადგენდნენ გლახაკები.<sup>2</sup>

აღნიშნული ორი კლასის გარდა, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ კიდევ ერთი, ერთგვარი გარდამავალი სოციალური ფენა – მსახურები. მსახურებს შორის ყველაზე დაწინაურებულნი ტაძრეულები იყვნენ, ტაძრეული შესაძლოა ყოფილიყო, როგორც ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, ასევე მდაბიო წარმოშობის ადამიანი. ტაძრეულები მეფის მსახურეულ ფენას ქმნიდნენ, რომელთაც სხვა ვალდებულებებთან ერთად მოლაშქრეობაც ევალებოდათ. მეფის მსახურეული ფენის – ტაძრეულების გარდა, მსახურები ჰყავდათ სხვა ფეოდალებსაც. მათი მფლობელი იყო ეკლესიაც.<sup>3</sup>

<sup>2</sup> ადრეფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიის შესახებ იხილეთ: ა. ბოგვერაძე. საქართველოს ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1961; მისივე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში; თ. პაპუაშვილი. ფეოდალური სენიორიების წარმოქმნა-განვითარების ისტორიიდან საქართველოში (IV-X სს.), საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 78-94; შ. ბადრიძე. სენიორალური ხელი-სუფლების ზოგიერთი პოლიტიკურ ნიშნისათვის ადრეფეოდალურ ქართლში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. I. თბ. 1970, გვ. 139-157; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003, გვ. 401-441.

<sup>3</sup> მსახურების სოციალური ფენის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მასში დიდი ადგილი ტაძრეულთა შესწავლასაც უკავია, იხ.: დ. გოგოლაძე. მსახურთა სოციალური ვინაობის საკითხისათვის. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. VI. თბ. 1990, გვ. 37-69; ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალური-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 201-216; ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1979, გვ. 47-62.

ზემოხსენებული სოციალური ჯგუფების გარდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოში მყოფი ვაჭარ-ხელოსანთა წოდებაც. ვაჭარ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენლები, როგორც წესი, თავს იყრიდნენ ურბანულ ცენტრებში, სადაც მათი საქმიანობა ყველაზე კარგად წამოიხრებოდა ხოლმე.<sup>4</sup>

ვაჭრებში განასხვავებდნენ რამდენიმე კატეგორიის ვაჭარს, ამათგან ყველაზე დაწინაურებული იყო დიდვაჭარი. მას მოსდევდა ვაჭართა შედარებით უფრო წვრილი ფენა, რომელთა საქმიანობა ქვეყნის შიგნით სავაჭრო ურთიერთობის წარმოებით შემოიფარგლებოდა. დიდვაჭრები ქვეყნის ყველაზე დაწინაურებული და ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანები იყვნენ – მათი სავაჭრო ოპერაციები ხშირ შემთხვევაში სცდებოდა ქვეყნის ფარგლებს. ისინი ფლობდნენ დიდ ქარავნებს, სავაჭრო ობიექტებს, მათივე სამსახურში იდგა მსახურებისა, თუ მონების ერთი ჯგუფი, რომლებიც მათ განკარგულებაში იყო. ვაჭრობდნენ ყველა ხელთ არსებული საქონლით. ქვეყნიდან გაჰყავდათ მონებიც. ვაჭრობის განვითარებას უნდა უკავშირდებოდეს ვაჭართუხუცესის თანამდებობის არსებობაც.<sup>5</sup> ვაჭრობის ინტენსიობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან განსაკუთრებით შეუწყო ხელი არაბების საქართველოში გაბატონებამ. მიუხედავად არაბების ბატონობის ბევრი უარყოფითი შედეგისა, რაც მათი სამხედრო ლაშქრობებითა და მიძიმე ხარკით იყო გამოწვეული, მათ შეძლეს და საქართველოს ქალაქები დაუკავშირეს ახლო აღმოსავლეთის ბევრ მხარეს, რითიც ქვეყნის გარკვეულ ეკონომიკურ განვითარებას შეუწყვეს ხელი.<sup>6</sup>

ხელოსნობა საქართველოში ანტიკური ეპოქიდან იყო განვითარებული. ხელოსანს ძველად „ხუროს“ უწოდებდნენ, ხოლო პროფესიის მიხედვით „ხუროები“ სხვადასხვა დარგის ხელოსნებად იყოფოდნენ, მათ შორის: „კირითხურო“ – კალატონი; „ხურო ანთრაკისა“ – ძვირფასი თვლების დამამუშავებელი; „ქვითხურო“ – ქვის მთლელი; „კვერითხურო“ – მჭედელი. ხელოსნის

---

<sup>4</sup> ვაჭარ-ხელოსანთა ფენის შესახებ ფეოდალური საქართველოში, იხ.: ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I-II. თბ. 1968-1970; შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983; გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.). თბ. 1984.

<sup>5</sup> შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ. 1992, გვ. 228, სტრ. 1068.

<sup>6</sup> არაბების ბატონობის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი II. თბ. 1965, გვ. 73-92; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 283-296; ბ. სილაგაძე. არაბთა ბატონობა საქართველოში: არაბული ცნობების მიხედვით. თბ. 1991.

სხვა პროფესიების აღსანიშნავად იხმარებოდა, ასევე ტერმინი „ხელოვანი“. გვხვდება ისეთი ტერმინები როგორცაა: „მეხამლე“ – ხარაზი; „მეჯადაგე“ – ტყავის გამომყვანი; „მქსოველი“ და სხვა.<sup>7</sup>

ყველა ამ პროფესიისა თუ ზოგადად ვაჭარ-ხელოსანთა კლასის წარმომადგენლები მოსახლეობის არაპრივილეგირებულ ფენას შეადგენდნენ. მათი რაოდენობა IV-X საუკუნეების განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა.

ნაშრომში შევხებით მხოლოდ სკულპტურული მხატვრობის რამდენიმე ნამუშევარს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოადგენენ ფეოდალური საქართველოს სოციალური ჯგუფების ილუსტრირებულ სურათს.

### მონუმენტური სკულპტურა

შუა საუკუნეების საქართველში რელიეფური ფიგურების არაერთი ნიმუშია შესრულებული, მათი დიდი ნაწილი კი ეკლესიებზე მოდის. ჩვენთვის საინტერესოა ქოროლოს სატაძრო კომპლექსის რელიეფები (სურ. 1).

დაბალი სოციალური ფენის ილუსტრაცია, ყველაზე ნათლად ქოროლოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დასავლეთ ფასადზეა წარმოდგენილი (სურ. 4). თავად ეკლესია მდებარეობს ისტორიულ მთიულეთში, ხადას ხეობაში (თანამედროვე ღუშეთის მუნიციპალიტეტი). ეკლესია დაახლოებით X-XI სს. თარიღდება და მასზე გამოსახულია ეკლესიის მშენებლობის პროცესი. აღნიშნული რელიეფი, როგორც თემატიკით, ასევე მხატვრობის თვალსაზრისით უნიკალურად ითვლება საქართველოში.<sup>8</sup>

მშენებლობის პროცესი გამოსახულია ეკლესიის დასავლეთ ფასადის

<sup>7</sup> საქართველოს ისტორია. I. მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე. თბ. 2006, გვ. 299.

<sup>8</sup> ქოროლოს შესახებ არსებული ლიტერატურის შესახებ იხილეთ: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წგნ.: 2. თბ. 2008, გვ. 327-331; Georgian Architecture: A Documented Photo-Archival Collection on Microfiche. Vol. 2-3. Leiden. 1995-7; R. Mepiaschwili, W. Zinzadse. Die Kunst des Wehrbauten und Kirchen. Leipzig. 1987; ქსე. ტომი 10. თბ. 1986, გვ. 550; ჯ. გვასალია, მ. გიორგიძე, მ. სურამქლაშვილი, ლ. ჭურჭულია. ხადის ხეობა. თბ. 1983; R. Mepiaschwili, V. Tsintsadze. The Art of Ancient Georgia. Leipzig. 1979; Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков. М. 1977; ლ. ხუსკივაძე. ბიზანტიური სპილოს ძვლის ფირფიტა ქოროლოდან. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. კრ. მე-6. თბ. 1967, გვ. 19-25; P. C. Мепиашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого. журн.: «Советская археология». 1969. № 4, გვ. 219-234. ამავე სტატიაში იხილეთ, აღნიშნული თემატიკის ირგვლივ 1969 წლამდე გამოსული ძირითადი შრომები. გვ. 219, სქ. 3.

ლაგვარდანზე, სადაც ორ მწკრივად მოცემულია თორმეტ რიგად განლაგებული კომპოზიცია, ფიგურები ორივე მხრიდან სიუჟეტის ცენტრში მდებარე ფიგურებისკენ – მარიამ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტესკენ მიემართება (სურ. 5). აღნიშნული უჩვენებს იმას, თუ ვის სახელზე, ვის სადიდებლად შენდებოდა ქოროლოს ეკლესია. კომპოზიციის არსი, ღვთისმშობლისა და მაცხოვრისთვის დასრულებული ტაძრის ჩაბარებაა. ეკლესიის მაკეტი ტაძრის ქტიტორს უპყრია ხელში, მის გამოსახულებას კომპოზიციის მარჯვენა რიგში ვხვდავთ პირველი ფიგურის სახით ღვთისმშობლის გვერდით (სურ. 6).

თორმეტი რიგისგან შემდგარ კომპოზიციას სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ქრისტიანულ სიმბოლიზმში თორმეტი საკრალური ციფრია, ამის საილუსტრაციოდ ქრისტეს თორმეტი მოციქულის არსებობაც – გამოდგება. არ არის გამორიცხული, რომ კომპოზიციის თორმეტ ჯგუფად დაყოფა წელიწადის, ამავე რაოდენობის თვეებს უკავშირდებოდეს, თუმცა ვინაიდან მინიშნება კალენდრის ფაქტორზე არ ჩანს, ამ მიმართულებით მსჯელობისაგან თავს შევიკავებთ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია სკულპტურული მხატვრობის ის ნიმუშები, რომლებზეც საერო პირებია გამოსახული. ასეთი კი ქოროლოს ეკლესიაში სამია, მათ შორის, ერთ-ერთი ეკლესიის დასავლეთ ფასადის რელიეფური გამოსახულებაა, მეორე – ბურჯის ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახული ფიგურა, ხოლო მესამე რელიეფური გამოსახულება, რომელიც იმავე კომპლექსის კაპიტელზეა შესრულებული. ეს უკნასკნელი, თავის დროზე ეკლესიის ძირითად ნაწილს ჩამოშორდა და მოგვიანებით სამშენებლო მასალად იქნა გამოიყენებული (სურ. 2-3).

ეკლესიის დასავლეთ ფასადის კომპოზიცია თორმეტ რიგად არის დაყოფილი, რომელიც, ორი ძირითად ჯგუფს გამოყოფს, ამათგან რელიეფის ყველაზე ამაღლებულ წერტილში გამოსახულია ღვთისმშობლის კომპოზიცია ქრისტესთან ერთად. ღვთისმშობლისა და ქრისტეს ცენტრალური ფიგურის მარჯვენა მხარეს, მათთან ყველაზე ახლოს გამოსახულია წვეროსანი მამაკაცის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელში ეკლესიის მაკეტი უპყრია. აღნიშნული რელიეფური გამოსახულება ეკლესიის ქტიტორის ილუსტრაციაა.<sup>9</sup> ქტიტორის ჩაცმულობა გამოირჩევა კომპოზიციის სხვა პირების ჩაცმულობისგან. ქტიტორს ტანზე მოსასხამი აქვს მოცმული, რაც მისი სტატუსის მაჩვენებელია.

---

<sup>9</sup> P. С. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 227.



ნებელია. ანალოგიური ჩაცმულობა აქვს იმავე მხარეს გამოსახულ ცენტრიდან მეორე კომპოზიციის მარჯვნივ მდგარ ფიგურას (სურ. 7). ნათელა ალადაშვილის აზრით, ის სასულიერო პირია და მის მიერ გაშვებული ხელი ტაძრის კურთხევის აღმნიშვნელია. მაკურთხეველსა და მის მარცხნივ მდგარ ფიგურას შორის საკურთხეველია აღმართული, რომლის კურთხევისაც ის ახდენს.<sup>10</sup> გაუგებარია, რა ადგილი უკავია ამ პროცესში მარცხენა ფიგურას. ჩვენი აზრით, აღნიშნული კომპოზიცია ეკლესიის ფუნდამენტის – საძირკვლის ჩაყრას უნდა ასახავდეს, სადაც მარცხენა ფიგურა სამუშაოს შემსრულებელი, ხოლო მარჯვნივ გამოსახული წარჩინებული, სავარაუდოდ, ხუროთმოძღვარი უნდა იყოს. ხუროთმოძღვრის ხელის მოძრაობა გარკვეული ბრძანების გაცემის ამსახველია უფროა, ვიდრე კურთხევის. ორივე ფიგურას შორის ბოძია აღმართული, რაზეც ეკლესიის ფუნდამენტის დაშენება ხდებოდა. ამ შემთხვევაში ამოცანის შემსრულებელი მარცხენა ფიგურაა, ხოლო ბრძანების გამცემი მარჯვენა. არ ხერხდება იმის გარკვევა, თუ რა სამუშაოს ასრულებდა მარცხენა ფიგურა, სავარაუდოდ, მისი ფუნქცია ბოძისა და სვეტების გამართვა იყო.

ღვთისმშობლისა და ქრისტეს მარჯვენა მხარეს მესამე სურათზე გამოსახულია ახალგაზრდა უწვერო მამაკაცი. ჩაცმულობიდან გამომდინარე, ის დაბალი სოციალური სტატუსის მატარებელია, ხოლო სამოსი უბრალო ჩოხას წარმოადგენს – მისი ტანისამოსი ანალოგია სხვა მომუშავე პირების ჩაცმულობისა (სურ. 8). სახის ნაკვთებიდან გამომდინარე, ეტყობა, რომ ასაკით ყველაზე ახალგაზრდაა. ის თითქოს მლოცველის პოზიშია გამოსახული, ამას მის მიერ ზემოთ აღმართული ხელეები მიუთითებს. ნათელა ალადაშვილის აზრით, აღნიშნული ფიგურაც, წინა კომპოზიციის მსგავსად, ეკლესიის კურთხევისთან უნდა იყოს კავშირში. რუსუდან მეფისაშვილის აზრით, აქ უნდა იყოს გამოსახული მშენებლობის ზედამხედველი, რომელიც ლოცვის პოზიშია წამოდგენილი. ზედამხედველი, ქართული წყაროების მიხედვით, ხუროთმოძღვარის თანამემწე გვევლინება მშენებლობის საქმეში.<sup>11</sup>

მომდევნო სურათზე სამი წვეროსანი მამაკაცია გამოსახული. მათ და-

<sup>10</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 226-227; Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 106.

<sup>11</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 226; Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 106.

მუშავებული ქვების ეკლესიაზე ატანა ევალეობდათ. ამათგან ერთ-ერთი ქვის მიწოდებას უზრუნველყოფდა, ხოლო დანარჩენი ორი – მის ადგილზე მიტანას (სურ. 9). აღნიშნული სამუშაო, როგორც ჩანს, მძიმე ფიზიკურ შრომასთან იყო დაკავშირებული.<sup>12</sup>

მეხუთე კომპოზიცია – მარჯვენა მხარე – გამოახულია ორი მამაკაცი, რომლებიც ქვის მთელელებს წარმოადგენენ (სურ. 11). სწორედ ისინი აღეკვნიან ფორმას იმ ქვებს, რომლისგანაც ეკლესია იგებოდა.<sup>13</sup>

მარჯვენა მხარის ბოლო სურათზე ქალის ფიგურაა წარმოდგენილი, რომელსაც მომუშავეთა საკვებით მოძარაგება ევალეობდა (სურ. 10). ფიგურის სქესი ნათელი ხდება მისი სახის ნაკვეთების, მოძრაობისა და ჩაცმულობის მიხედვით.<sup>14</sup>

მარცხენა მხარეს მოთავსებული ფიგურები, მხოლოდ ეკლესიაზე მომუშავე მუშებისა და ხელოსნების კომპოზიციას წარმოადგენს. მათი ჩაცმულობა იდენტურია, მხოლოდ ხელობა განსხვავებულია (სურ. 12).

ღვთისმშობლისა და ქრისტეს მარცხნივ გამოსახულ პირველ სურათზე, ორი წვეროსანი მამაკაცია ილუსტრირებული, რომლებიც თოკის მეშვეობით ლოდს მიაგორებენ (სურ. 13). საერთო ჯამში, აღნიშნული კომპოზიცია ლოდის გადაზიდვის თავისებურ მეთოდს გვთავაზობს.<sup>15</sup>

მარცხენა მხარის, მეორე სურათზე ორი მამაკაცია გამოსახული. ორივეს მხარზე თოკი აქვს მობმული და ყუთით მშენებლობისთვის აუცილებელ თხევად მასალას ეზიდებიან (სურ. 14).<sup>16</sup>

---

<sup>12</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 226; Н. А. Аладашвили. Монуменальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 106; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2, გვ. 330.

<sup>13</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 226; Н. А. Аладашвили. Монуменальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 106; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2, გვ. 330.

<sup>14</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 226; Н. А. Аладашвили. Монуменальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 106.

<sup>15</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 226; Н. А. Аладашвили. Монуменальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 106; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2, გვ. 330.

<sup>16</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 224-225; Н. А. Аладашвили. Монуменальная скульптура Грузии:

მარცხენა მხარეს მესამე კომპოზიციაში კვლავ ორი მამაკაცის ფიგურაა გამოსახული, რომლებიც მშენებლობისთვის აუცილებელი მასალის შეღებვით არიან დაკავებული, ამთგან მარჯვენა ფიგურა თოხით მუშაობს, ხოლო მეორეს რაღაც საგანი უჭრავს ხელში და პირველს ეხმარება (სურ. 15).<sup>17</sup>

მარცხენა მხარის მეოთხე სურათი საინტერესო სცენას გვთავაზობს, აქ ნაჩვენებია, თუ როგორ გადააქვთ ხარებშებმული მარხილით საშენი მასალა. სურათზე მოცემულია ორი მამაკაცის ფიგურა. ამთგან ერთი ურემს მიუძღვის წინ, ხოლო მეორე მარხილის უკან იკავებს ადგილს (სურ. 16).<sup>18</sup>

მარცხენა მხარეს, ბოლოს, გამოსახულია ფიგურა, რომელსაც ხელში ურო უკავია (სურ. 17). ნათელა ალადაშვილის აზრით, ილუსტრაცია ზოგადად მშენებლის განსახიერებაა, რომელიც მთელი ამ სიუჟეტის ერთგვარი გამსხნელია. ჩვენი აზრით კი, ეს სურათი საშენი მასალის მოპოვების ამსახველი უნდა იყოს და არა მშენებლის ზოგადი სახის. იმავე აზრისაა რუსუდან მეფისაშვილი და მიანია, რომ ქული, რომელიც განსხვავებული ფორმისაა, შესაძლოა, მის პროფესიასთანაც იყოს დაკავშირებული.<sup>19</sup>

რა საერთო დასკვნის გაკეთება შეიძლება აღნიშნული სურათის ანალიზის შედეგად? რუსუდან მეფისაშვილის დაკვირვებით ფიგურები, რომლებიც კომპოზიციის დასავლეთ ფასადზე არის შესრულებული, წარმოადგენენ საქართველოს, როგორც უმაღლეს მმართველ ზედაფენას, ასევე მოსახლეობის დაბალ სოციალურ ჯგუფს – მათი ზომა და ადგილი, რაც თითოეულ ფიგურას უკავია კომპოზიციაში, მკვლევარს აძლევს საშუალებას, რომ ისაუბროს მათ შორის გარკვეულ სოციალურ თანასწორობაზე. რუსუდან მეფისაშვილის დასკვნით, ქოროლოს ტაძრის მშენებლობა მთიულეთში მოსახლე

---

Фигурные рельефы IV-XI веков, гв. 106; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2, გვ. 330.

<sup>17</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, гв. 224; Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, гв. 106; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2, გვ. 330.

<sup>18</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, гв. 224; Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, гв. 106; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2, გვ. 330.

<sup>19</sup> P. C. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, гв. 223-224.

თემის საერთო ძალისხმევით უნდა მომხდარიყო.<sup>20</sup>

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ტადრის მშენებლობა მთიულეთის კონკრეტულ თემს (ან რამდენიმე თემს) დაუკავშიროთ. ეკლესიას, როგორც ვნახეთ, ჰყავს კონკრეტული ქტიტორი, რომლის გამოსახულებასაც დასავლეთ ფასადის კომპოზიციაში ვხვდებით. უფრო მეტიც, იმავე კომპლექსის კაპიტელის რელიეფზე შემორჩენია ქტიტორისა და მის მარცხნივ გამოსახული ორი მოზარდის პორტრეტები, რაც აღნიშნულ მშენებლობაში კონკრეტული ფეოდალური სახლის მონაწილეობას გულისხმობს. ეკლესიის გეგმით გამოსახული ქტიტორის ჩაცმულობა აშკარად მიუთითებს ეკლესიის დამკვეთების წარჩინებულობაზე. თუმცა იმისთვის, რომ კონკრეტულად გაირკვეს ქოროლის ღვთისმშობლის ეკლესიის დამკვეთთა სოციალური სტატუსი (და შესაძლო ვინაობა) აუცილებელია კაპიტელის რელიეფური გამოსახულებების უფრო ღრმად შესწავლა.

კაპიტელზე გამოსახულია სამი წარჩინებული, ამათგან მარჯვენას უპირატესი პოზიციას უკავია, ეს ჩანს, როგორც მისი სიმაღლიდან, ასევე ჩაცმულობის, ზომისა და პორტრეტის პოზიციიდან – ყველა ნიშნის მიხედვით მარჯვნივ გამოსახული მამაკაცი უპირატესია მის მარცხნივ მდებარე ორივე ფიგურაზე (სურ. 3). მარჯვნივ გამოსახულ ქტიტორს მარცხენა ხელით ეკლესიის გეგმა უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიბჯენილი. შესამოსელიდან ნათლად ჩანს ფეხსაცმელი, თავსაბურავი და კაბა, რომელსაც ზემოდან მოსასხამი აქვს მოხმული. თავსაბურავი გრძელი და მართკუთხა ფორმისაა, რითიც იმეორებს ეკლესიის დასავლეთ რელიეფზე გამოსახული ქტიტორის ჩაცმულობას.<sup>21</sup> რუსუდან მეფისაშვილის შენიშვნით, მარჯვნივ გამოსახულ ქტიტორს სახეზე ოდნავ წვერი აქვს მოშვებული, რაც ძნელი შესამჩნევია, მისივე შენიშვნით, სამივე ფიგურას უჩვეულოდ დიდი თავი აქვს და ვიწრო მხრები<sup>22</sup> – ეს ერთი შეხედვით მცირე დეტალი მნიშვნელოვნად გვეჩვენება რელიეფის და ზოგადად ეკლესიის დათარიღების კუთხით.

მარჯვენა ქტიტორის გვერდით გამოსახულია ორი მოზარდის ფიგურა, ამათგან შუაში მყოფი შედარებით უფრო მაღალია და ასაკით უფროსი ჩანს,

---

<sup>20</sup> P. С. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 233-234.

<sup>21</sup> P. С. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 229.

<sup>22</sup> P. С. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, გვ. 228-229.

ხოლო კომპოზიციის მარცხნივ მდგომი – ყველაზე პატარა და ასაკით უმრწემესი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ე.წ. კაპიტელის ქტიტორთა გამოსახულებანი საოჯახო პორტრეტა – აქ გამოსახული უხუცესი ქტიტორი ფეოდალური სახლის მეთაური და ოჯახის უფროსია, ხოლო ორი მოზარდი, რომელთაც ერთნაირი თავსაბურავი და შესამოსელი აცვიათ, მისი შვილები. მამისა და შვილების ზუსტი იდენტიფიკაცია ეპიგრაფიკული მასალის ბუნდოვანი ინფორმაციიდან გამომდინარე არ ხერხდება. ამ გამოსახულებაში მნიშვნელოვანი სწორედ მარჯვენა ქტიტორია, მისი პოზიცია (გამოსახულების მარჯვენა მხარის დაჭერა), სიმეტრია, ძვირფასი მოსასხამი და გრძელი თავსაბურავი უჩვენებს (სურ. 3), რომ ის არამარტო ოჯახის მეთაური და დიდებულია, არამედ გარკვეული სახელის მატარებელია – ამ უკანასკნელ მოსაზრებას გვიდასტურებს მისი თავსაბურავი, რისი დაწვრილებითი ანალიზიც მნიშვნელოვნად მიგვანჩნია.

კაპიტელის რელიეფზე გამოსახული ქტიტორის თავსაბურავი სადა გვირგვინს წარმოადგენს. მას მართკუთხედის ფორმა აქვს და მსაგავსებას ავლენს იმავე კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე გამოსახული ქტიტორის თავსაბურავთან, იდენტურია მათი ტანისამოსიც – მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ორივე საქტიტორო გამოსახულებაზე სხვადასხვა პირებია გამოსახული.

გვირგვინს, რომელიც კაპიტელზე გამოსახულ ქტიტორს ახურავს თავზე, ქართული მონუმენტური სკულპტურისა და ფრესკული მხატვრობის ძეგლების მიხედვით, რამდენიმე ანალოგი შეგვიძლია მოუნახოთ. იდენტური გვირგვინი, ოღონდ გარკვეული ორნამენტებითა და ძვირფასი ქვებით შემკული, გამოსახულია ოშკის ტაძრის გუმბათის ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთ სვეტის რელიეფებზე. აღნიშნული გვირგვინით, იმიერ ტაოს მფლობელები – ერისთავთ-ერისთავი ბაგრატი (სურ. 19) და მისი უმცროსი ძმა დავით მაგისტროსი<sup>23</sup> – არიან წარმოდგენილი (სურ. 18). ოშკის ტაძრის ეს ძეგლი X საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.<sup>24</sup> ვინაიდან ოშკის რელიეფურ ძეგლზე შესრულებული გვირგვინები გაცილებით უფრო დახვეწილია და გაფორმებული, გვიჩნდება შეგრძნება, რომ ის უფრო გვიანდელია, ხოლო ქოროღოს კაპიტელზე შესრულებული გვირგვინი, მისი ნაკლებად დახვეწილი ფორმის მიხედვით, შესაძლოა, უფრო ადრეული იყოს. ამ აზრს კიდევ უფრო

<sup>23</sup> შემდეგში დავით III კურაპალატად და მეფეთ მეფედ წოდებული.

<sup>24</sup> ვ. სილოგავა. ოშკი: X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2006, გვ. 101-102.

გვიმყარებს კაპიტელის რელიეფზე გამოსახული ფიგურების არაპროპორციული აღნაგობა.

ამგვარად, რუსუდან მეფისაშვილის მიერ შემოთავაზებული ქოროლოს ეკლესიის დათარიღება X-XI სს-ის მიჯნით, თითქოს უფრო ადრეული ხანით არის განსასაზღვრი. რამდენად ადრეული უნდა იყოს ქოროლოს კომპლექსი? ნათელა ალადაშვილი ქოროლოს რელიეფურ გამოსახულებებს VIII-X სს-ის მონუმენტური სკულპტურის ძეგლების რიგში აქცევს, რაც სრულიად მისაღებია.<sup>25</sup> ამ გარემოების დადასტურებად მიგვაჩნია ის სოციალური ფონი, რომელიც მთიულეთში VIII საუკუნიდან შეიქმნა, რასაც ეხმაურება ჯუანშერ ჯუანშერიანის ცნობა არჩილ მეფის დროს VIII საუკუნეში ქართლის ერისთავებისთვის სამფლობელოების გადაცემის შესახებ. როგორც წყაროში ვკითხულობთ, მთიულეთი კონკრეტული ერისთავის ხელში აღმოჩნდა და ეს ერისთავი თავად ჯუანშერი იყო:

*„ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა მისწულნი მისნი ... მეექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელი-იგი იყო ნათესავი მირიან მეფისაჲ შვილთაგან რვეისთა, და მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისისკევი და ტფილისი. ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამოწაფოფი ყოველთა ამთ კეკთაგან. და ვითარ იხილეს, რამეთუ ჯუანშერს უკეთესი ნაწილი მისცა, დაუძიძიდა მცირედ რაიმე სხუათა მათ, და განუტევენა მთავარნი ესე ცოლებითურთ თვს-თვსად აღვილად.“<sup>26</sup>*

ამრიგად, მთიულეთს, უკვე VIII საუკუნიდან, ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ერისთავი განაგებს. სამეფო ხელისუფლების სიმტკიცის პირობებში შიდა ქართლს სპასპეტი უდგას სათავეში, რომლის სამფლობელო თითქოს ფარავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთის დიდ ნაწილს,<sup>27</sup> თუმცა ამის მტკიცება ძნელია, ამასთან, სპასპეტი აღარ ჩანს VIII საუკუნისთვის. აღსანიშნავია ჯონდო გვასალიას თვალსაზრისი, რომელიც მიიჩნევს, რომ ის საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც გვხვდება არაგვის,

---

<sup>25</sup> აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნათელა ალადაშვილს არ უცდია, რ. მეფისაშვილის დათარიღების (X-XI სს. მიჯნა) გადასინჯვა, უბრალოდ მან ძეგლები VIII-X სს. ტიპს მიაკუთვნა: Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы IV-XI веков, გვ. 63-141.

<sup>26</sup> ჯუანშერ ჯუანშერიანი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 241-242.

<sup>27</sup> ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 44.

ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, ლიახვისა და თერგის ხეობებში წარმოადგენს ერთიან თავდაცვით სისტემას. მისი მთავარი ელემენტი ზურგიანი კოშკი ანუ ქართული კოშკი ყოფილა. ხადის შესახებ კი მიუთითებს, რომ თავდაცვითი ნაგებობების სიმრავლე შეიძლება არამარტო საგარეო საფრთხის, არამედ ფეოდალიზაციის საწინააღმდეგო ქმედება ყოფილიყო.<sup>28</sup> ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, თუმცა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ რეგიონში ერთიანი თავდაცვის სისტემა ყალიბდება მნიშვნელოვანია. ის ასევე გარკვეულ მსგავსებას ხედავს ტერმინებს ქოროლოსა და ქორეპისკოპოსს შორის და თვლის, რომ „ქოროლოს ქტიტორთა რელიეფზე შეიძლება გამოსახული იყოს კახეთის ერთ-ერთი ქორეპისკოპოსი თავისი ოჯახით“.<sup>29</sup> თუ დაუშვებთ ქორეპისკოპოსისა და მისი ოჯახის მიერ სამშენებლო საქმის წარმოებას ქოროლოში, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ აღნიშნულ ხელისუფალს უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული, შესაძლოა, არა როგორც მესაკუთრესა და სენიორს, არამედ როგორც ფეოდალსა და გამგებელს, რომლის წინაშეც ხადაში არსებულ თემებს გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ.

ამრიგად, ქოროლოს ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაკავშირებული იყო გავლენიან ფეოდალურ საგვარეულოსთან, რომელიც, შესაძლოა, წარმოადგენდა, როგორც კონკრეტულ ერისთავს ფართო საერო უფლებებით, ასევე კახეთის მთავარს. დასაშვებია, აფხაზთა სამეფო ოჯახის მონაწილეობაც, მით უმეტეს, ცნობილია რომ მეფე კონსტანტინე III-ს (893-922 წწ.), რომ ორი ვაჟი ჰყავდა: გიორგი და ბაგრატი.<sup>30</sup>

<sup>28</sup> ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბ. 1983, გვ. 60-61.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>30</sup> მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 261.

**სურათები:**



**სურათი 1**



**სურათი 2**



**სურათი 3**





სურათი 4



სურათი 5



სურათი 6



სურათი 7



სურათი 8




სურათი 9



სურათი 10



სურათი 11



სურათი 12



სურათი 13



სურათი 14





სურათი 15



სურათი 16



სურათი 17



სურათი 18



სურათი 19

*Leri Tavadze*

## **SOCIAL COMPOSITION OF FEUDAL GEORGIA ACCORDING TO KOROGHO RELIEFS**

### Summary

Two major classes were distinguished in the medieval Georgian social system: the high class composed by the royal family and the nobility, and the lower class of the Georgian society divided among different categories. In our research we examine only several examples of sculpture from Korogho complex that would show an essential picture of medieval Georgian social composition.

The church itself is situated in Khada valley (present day Dusheti municipality), Mtskheta-Mtianeti region. The western facade of Holy Virgin church of Korogho, main part of Korogho complex, shows the most vivid illustrations of lower class. This composition is considered to be unique in Georgia.

The process of construction of the church is depicted on the cornice of the western facade, where we can find twelve stones divided in two parallel columns on the both side of the church's cornice. Composition has a central depiction of the Holy Virgin with the head of Jesus Christ placed on her chest and the other figures facing them from both sides of the facade. The main idea of the composition is the dedication of church to Holy Virgin and Jesus Christ.

Western facade of the church has a depiction of laymen from various social groups. They are divided into two parts. The closest figure to the central part of facade is bearded ktitor of the church holding its model in his right hand. He is portrayed with a coat which illustrates his noble origin. One more figure has the same outfit to the right from ktitor's depiction. All other secular laymen belong to the non-privileged social groups, some of them are artisans, and the others are workers specially employed for the construction of the church.

The same complex has another ktitorial sculpture which is represented on the capitellum of the church. The relief on the capitellum has a depiction of three laymen. One of them is ktitor, the leading member of group, and two others are youngsters. The Imagery reflects certain participation of feudal house in the construction of the church. The outfit of the ktitor that holds the draft of

the church shows his noble birth. The ktitor stands to the right in this composition. He is the head of the family and the others are his sons.

Judging from the frame of his crown, the ktitor should had been the official in Georgia, namely Eristavi of certain province. The analysis of the crown is very important. The crown on the ktitor is simple and has rectangular form. The similar crown is visible on the ktitor on the western facade of Korogho the Holy Virgin church. The crown that ktitor has on his head, has several analogies in Georgian monumental sculptures and fresco paintings. Identical crown, but with ornaments and precious stones is depicted on the niche in south-west pillar under the dome of Oshki cathedral. In Oshki the mentioned type of crown is seen on two brothers, sovereigns of Imier-Tao: Bagrat Eristavt-Eristavi and his junior brother David Magistros (2<sup>nd</sup> half of 10<sup>th</sup> c.).

Since the crowns depicted on Oshki reliefs are skillfully crafted and more ornamented then the crown on the ktitor of Korogho capitellum, presumably the latter should be of earlier period. Hence the church of Korogho could have been erected in the 1<sup>st</sup> half of 10<sup>th</sup> century. This opinion is further strengthened when we analyse non-proportional bodies of figures from Korogho capitellum.

Therefore suggestion of Rusudan Mephisashvili about date of Korogho Holy Virgin church (edge of the 10<sup>th</sup> - 11<sup>th</sup> cc.) must be reconsidered to the first half of the 10<sup>th</sup> century as latest. Natela Aladashvili places Korogho church among the monuments of 8<sup>th</sup> - 10<sup>th</sup> cc. That seems to be very plausible suggestion for the dating of the Holy Virgin church of Korogho. It is likely that the church and the whole complex were built according to the instructions of feudal family. The corresponding social situation was established only after the 8<sup>th</sup> century when the office of Eristavi gained the strength in the region. Previously Mtianeti region was under the control of King of Kartli. In the 8<sup>th</sup> – 9<sup>th</sup> cc. the region was under the control of Korepiskoposi, the prince of Kakheti. From the end of 9<sup>th</sup> century it passed to the king of Abkhazia, hence none of them should be excluded from the list of potential builders of the church.

ირაკლი ბაქრაძე

## X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის (არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით)

*„...ქართველნი ვართ ნათესავით მკნენი და მკვდრობით  
აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი...  
მცირედნილა ვინ ჩუწნნი მომკუდარ არიან სარეცელსა ზელა  
თვსსა მშვიდობით“.*

გრიგოლ ბაკურიანის-ძე,  
პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონიდან, 1083 წ.

### შესავალი

X-XI სს., როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საინტერესო და საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით საქართველოს გაერთიანების ეპოქის ქართველი მეომრის შეიარაღების მიმოხილვას უპირატესად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე.

უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ხანის საბრძოლო იარაღი საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისას შედარებით იშვიათად გვხვდება (მეტწილად საქმე გვაქვს ისრის პირების აღმოჩენებთან). საბრძოლო იარაღის სიმცირეს, პირველ რიგში, ცხადია, ქრისტიანული დაკრძალვის წესი განაპირობებს, თუმცა არსებობს სხვა მიზეზიც: როგორც ცნობილია, განვითარებული შუა საუკუნეების სამარხებს (ქვაყუთებს) მრავალგზის იყენებდნენ, როგორც ვარაუდობენ, მეტ-ნაკლებად ძვირფასი ნივთები სამარხების მორიგი გასხნისას იკრიფებოდა.<sup>1</sup> უცხო არ არის ამ ეპოქისათვის სამარხების უფრო მასშტაბური ძარცვა. ამ მხრივ ნიშანდობლივია არაბი ისტორიკოსის

---

<sup>1</sup> М. М. Иващенко. Руставский могильник. Описание погребального инвентаря. კრებ. „რუსთავი“. თბ. 1988, გვ. 73.



იბნ-მისკავეიძის ცნობა: როდესაც 943-944 წწ., რუსებმა ალბანეთის დელაქალაქი ბარდავი აიღეს და უკან გაბრუნდნენ, ადგილობრივმა მუსლიმებმა „შეაწუხეს დარჩენილი მათი საფლავები“ და ძვირფასი ხმლები დაინაწილეს.<sup>2</sup> V-IX საუკუნეებში, სამარხებში ინვენტარის გაქრობას ეკონომიკური ფაქტორსაც უკავშირებენ.<sup>3</sup>

მასალის სიმცირეს ახლავას მისი ზუსტად დათარიღების პრობლემაც;

მრავალგზის გამოყენებული ქვაყუთებიდან მომდინარე ძუნწი ინვენტარის ქრონოლოგია გაჭიმულია რამდენიმე საუკუნეზე.<sup>4</sup> საცხოვრისებიდან მომდინარე განვითარებული შუა საუკუნეების იარაღი ასევე მეტწილად ზოგადად XI-XIII (ან X-XIV) საუკუნეებით თარიღდება.<sup>5</sup>

არქეოლოგიური მასალის სიმცირის გამო შუა საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებას ძირითადად წერილობითი წყაროებსა და ქართული ქრისტიანული სახვითი ხელოვნების ძეგლებზე დაყრდნობით სწავლობენ.<sup>6</sup> ამგვარი წყაროების მნიშვნელობა მართლაც დიდია, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათთან მუშაობა დიდ სიფრთილეს მოითხოვს. ხშირად ამა თუ იმ გამოსახულების ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი: გასათვალისწინებელია კანონიკა, მხატვრის ფანტაზია, დამკვიდრებული მხატვრული სტილის თავისებურება, რეგიონში დომინანტი ქვეყნის ხელოვნების

<sup>2</sup> რ. მეტრეველი. და მოვიდეს ვარანგნი... თბ. 1988, გვ. 74.

<sup>3</sup> ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1972, გვ. 25.

<sup>4</sup> ლ. ჭილაშვილი. არეში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ. 1991, გვ. 74, 93.

<sup>5</sup> ლ. ჭილაშვილი. არეში, გვ. 42, 47, 72, 83, 106; ც. ლომიძე. ნასოფლარი მღვიმეკრებ. „შუა საუკუნეების ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. I კონფერენცია. მოხსენებათა მოკლე შინაარსები“. თბ. 2001, გვ. 46; ც. ჩიკოძე. რუსთავში მცხოვრების რიგითი მისახლეობის ყოფა და კულტურა. საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ტ. I. თბ. 2007, გვ. 11; ნ. ბახტაძე. კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში (საისტორიო-ხელოვნებათმცოდნეობითი და არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ. 2007, გვ. 164, 220.

<sup>6</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ. 1962; ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XVII სს.). თბ. 1964; ლ. შერვაშიძე. К вопросу о грузинской светской миниатюре (Миниатюры батальной тематики Држучской псалтири). Тб. 1964; გ. აკოფაშვილი. რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 1992; მ. წურწუშია. სინას მთის წმინდა მხედრები. ჟურნ. „ქართველოლოგია“. ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი. № 12. დეკემბერი. თბ. 2008; მ. წურწუშია. ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში, ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი X-XII საუკუნეებში. ჟურნ. „ქართველოლოგია“. ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი. № 12 (ბეჭდვითი შეცდომის გამო ჟურნალს ყდაზე აწერია № 1). იანვარი-თებერვალი. თბ. 2010.

გავლენა და ა. შ. ყველაზე უფრო სანდო ამ თვალსაზრისით საერო პირთა გამოსახულებები და ქტიტორთა პორტრეტებია, თუმცა მათი რიცხვი, ბუნებრივია, გაცილებით მცირეა. აღსანიშნავია, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1937 წელს გამოქვეყნებულ წერილში კედლის მხატვრობასთან ამ კუთხით მუშაობას შესაძლებელს მიიჩნევდა მხოლოდ „...სათანადო სიფრთხილის დაცვითა და წინასწარი კვლევა-ძიების შემდგომ“.<sup>7</sup> ნინო ჩოფიკაშვილის საინტერესო ნაშრომში ასევე სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „...წმინდა გიორგის ხატებით X-XIV სს. მეომრის შეჭურვილობის სრული სურათის აღდგენა არ შეიძლება. რიგი იარაღები წერილობით წყაროებში მოხსენებული მას [წმ. გიორგის ი. ბ.] არა აქვს...“.<sup>8</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო მკვიდრდება აზრი, რომ შუა საუკუნეების იარაღის შესწავლა წერილობითი წყაროების, მხატვრობისა და არქეოლოგიური მასალის შეჯერების საფუძველზე უნდა ხდებოდეს,<sup>9</sup> თუმცა არქეოლოგიურ მასალას ამ მხრივ უთუოდ უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. X-XI საუკუნეებისთვის ჩვენ ხელთაა როგორც მდიდარი წერილობითი და სახვითი წყაროები, ისე – უნიკალური არქეოლოგიური მასალა, რაც აღნიშნულ სტატიას დაედო საფუძვლად.

### წერილობითი ცნობები

უაღრესად საინტერესო ცნობები შუა საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღების შესახებ დაცულია ქართულ და უცხოური წერილობით წყაროებში, რომელთა ნაწილს ქვემოთ განვიხილავთ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ X-XI საუკუნეების წერილობითი წყაროებისა და გამოსახულებების სრული მიმოხილვა ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა არ ყოფილა, ისინი, ძირითადად, არქეოლოგიური მასალის უკეთ შესწავლისათვის მოვიხმეთ.

როდესაც ვსაუბრობთ X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებაზე, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ამ შეიარაღების შემადგენელი ცალკეული ელემენტები, რაშიც წერილობით წყაროებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

---

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა. გაზეთი „კომუნისტი“. № 55. თბ. 1937.

<sup>8</sup> ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XVII სს.). თბ. 1964, გვ. 50.

<sup>9</sup> Raffaele D'Amato, A Prôtospatharios, Magistros, and Strategos Autokrator of 11th cent.: the equipment of Georgios Maniakes and his army according to the Skylitzes Matritensis miniatures and other artistic sources of the middle Byzantine period. PORFYRA. N 4. 2005, გვ. 16.

თელ ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ ნიკორწმინდის სიგელში (XI ს.) ამ მხრივ ერთი მეტად საყურადღებო ცნობა არის დაცული: „წირქვალელის ძემან შემოსწირა გლეხი: ზ: და **კრმალი**: ა: ...მივეც **ჯაჭუ**: ა: და **ქაფი ჯაჭვისა**: ა: ...მივეცი **ცხენი**: ა: და **ჩაბალახი გუდამაყრული**: ა“.<sup>10</sup> „2 **ჯაჭვი**“ იმავე წყაროში სხვაგანაც გვხვდება.<sup>11</sup> ამ ცნობების მიხედვით, XI ს. ქართველი მეომრის შეიარაღებაში შედიოდა ხმალი, ჯაჭვი, ე. წ. „ქაფი ჯაჭვისა“ და ჩაბალახი. იარაღის კონტექსტში ნახსენებია ასევე ცხენი, რაც გვაფიქრებინებს, რომ საუბარია ბრძოლაში გამოსადეგ, გაწვრთნილ ცხენზე.

უაღრესად საინტერესო ცნობები ქართველთა შეიარაღების შესახებ დაცულია ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სომეხი და ბიზანტიელი მემატიანეებისათვის ქართველთა საჭურველი მეტ-ნაკლებად ცნობილი უნდა ყოფილიყო, ამასთან, აღნიშნული ეპოქისა და რეგიონისათვის საკმაოდ დამახასიათებელიც, ამიტომ, მათი ყურადღება ქართველთა შეიარაღებისადმი შედარებით ნაკლებია. ამ მხრივ საყურადღებოა სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის), ერთი ცნობა: ტექსტში აღწერილია შეტაკება, რომელიც მოხდა ბაგრატ III-ის ქართველ მებრძოლებსა და ბასილ II-ის დაქირავებულ სლავ მებრძოლებს შორის დაახ. 1000 წელს. ასოლიკი საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ რეგიონში შედარებით გვიან გამოჩენილი „რუსები“ აღჭურვილნი იყვნენ „შუბებითა და ფარებით“,<sup>12</sup> მაგრამ არაფერს ამბობს ქართველთა შეიარაღებაზე.

ბარდა ფოკას მხარეზე მებრძოლ ქართველების შეიარაღების შესახებ, საინტერესო ცნობას გვაწვდის ბიზანტიელი სწავლული ბერი მიქელ ფსელოსი (1018 - დაახლ. 1078 (?) წწ.). „...როდესაც ის [ფოკა] სამეფო ჯარის ახლოს აღმოჩნდა, მან თავის გარშემო შეაგროვა ქვეითთა ჯარი, მე ვგულისხმობ უმამაცესად მებრძოლ იბერიელებს; ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი, და თვით გაფურჩქნულ ყვავილს ჰგვანდნენ; მაღალი ტანისა იყვნენ და თანაზომიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი, **შეიარაღებული იყ-**

<sup>10</sup> გ. გასიტაშვილი. ხეცურული აბჯარი. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. IX. თბ. 1957, გვ. 80; კ. ჩოლოყაშვილი. ქართული საჭურველი, ჯაჭვი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX-B. თბ. 1956, გვ. 299; ეს ცნობა უაღრესად საყურადღებოა იარაღის ფასების თვალსაზრისითაც. ჯაჭვი, „ქაფი ჯაჭვისა“ ცხენი და „ჩაბალახი გუდამაყრული“ ყოფილა 9 (ზ) გლეხისა და ხმლის ტოლფასი.

<sup>11</sup> გ. აკოფაშვილი. რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 1992, გვ. 42.

<sup>12</sup> В. Г. Васильевский. Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI и XII веков. Труды В.Г. Васильевского. Том I. СПб. 1908, გვ. 126.

ნენ მახვილით, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირათ და შემართვით იყენენ უძლეველნი; ესენი რომ თავისთან ჰყვანდნენ, ის მათ მართავდა ერთნაირი გეზით, ფალანგს წინ მიუძღოდა. აღვირი მიუშვა თავის ცხენს და საბრძოლო შემახილით უმაღლ მეფისკენ გაექანა: მარჯვენა ხელი ელო მახვილის ბუნზე [ტარზე ი.ბ.], თითქოს იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ გაეგმირა მეფე“.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ ქართველებისა და ფოკას მახვილებს მიქელ ფსელოსი ერთი სიტყვით – „ქსიფოს“-ით აღნიშნავს. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველები და ბიზანტიელები ამ დროს დაახლოებით ერთნაირი თუ მსგავსი ხმლებით იყვნენ აღჭურვილნი.

ამ მხრივ საინტერესოა ასევე სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოს ორბელიანის (XIII ს. II ნახ.), ნაწარმოების ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც აღწერილია, თუ როგორ იყო შეიარაღებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ორბელიანი თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში: „...შეიბა ყელსა თვისსა ნაწილი მაცხოვრისა ძელისა და ეგრეთ შეჭურვილი ამკედრდა ცხენსა, და გარდაიდლო ოქროთ მოჭედილი ფარი ბეჭსა ზედა, ორპირი ბასრი კრძალი მარჯუენესა კელსა იაყრა და აქუნდა ნაჯახნი ამიერ და იმიერ და მას საზარელთა რაზმთა შორის განვლიდა ამ კერძოთ და იმ კერძოთ. და ოქროთ მოჭედილისა ფარისა მისგან და მუზარადისა მიერ სხიენი სცუოდნენ, ვითარცა მზისა მიერ, იზახდა და ბრდღვინვიდა, ვითარცა ლომი მრისხანე...“.<sup>14</sup> აღნიშნული ეპიზოდი უაღრესად საინტერესოა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი გამოყენება დიდ სიფრთილეს მოითხოვს; არ არის გამორიცხული სტეფანოს ორბელიანს<sup>15</sup> ლიპარიტის აღწერისთვის ძველი წყარო გამოეყენებინა, რასაც

<sup>13</sup> მიქელ ფსელოსი. გეორგიკა. ტ. VI. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 11,12.

<sup>14</sup> სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგერეიშვილმა. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები. ტ. IV. თბ. 1978, გვ. 33-34.

<sup>15</sup> საინტერესოა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებში საერთოდ იგრძნობა ინტერესი ყოფითი დეტალებისადმი, რითაც შუა საუკუნეების ყველა მატრიანე არ გამოირჩევა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით: „როგორც საისტორიო მასალის შერჩევით, ისე მოთხრობის შინაარსით“, „...შინაური ყოფა-ცხოვრებისა და წეს-წყობილების“ შესწავლის თვალსაზრისით, „სომეხ ისტორიკოსთა შორის სტეფანოს ორბელიანი არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს“ იხ. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგერეიშვილმა. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები. ტ. IV თბ. 1978 გვ. 7.

საბრძოლო იარაღის ასეთი დეტალური აღწერაც გვაფიქრებინებს, თუმცა, ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში სომეხი ისტორიკოსი საუკუნე-ნახევრის უწინ მომხდარ ამბავს აღწერს.

ბიზანტიელი ავტორის, მიხეილ ატილიატეს (XI ს.), მიხედვით, ქართველთა „სიმაძაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც, რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცულნი და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც ყველა მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ“.<sup>16</sup>

საინტერესო ცნობები დაცულია სომეხ ისტორიკოს იოანე დრასხანაკერტელთან, რომელიც აღწერს X ს-ის ქართველ (აფხაზთა სამეფოს) მხედრობას: „დიდძალი ჯარი, შეჭურვილი ჰაერში მონავარდე რაშებით, რკინა ნაჭველი აბჯრით, შიშის მომგვრელი ჩაფხუტებით, მკერდის საფარი რკინის ლურსმნებიანი ფირფიტებითა და მაგარი ფარებით, სამკაულებით, შუბებითა და ლახვრებით [მახვილებით ი.ბ.]“.<sup>17</sup>

იმ ფაქტს, რომ ქართველები არიან „მაგრად (მძლავრად) შეიარაღებულნი“ მრავალი ევროპული წყაროც აღნიშნავს, თუმცა უმთავრესად ეს ცნობები XIII ს-ით თარიღდება.<sup>18</sup>

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი წერილობითი წყაროები რომ შევაჯეროთ, X-XI საუკუნეების წარჩინებული ქართველი მეომრის შეიარაღების შემდეგ სურათს მივიღებთ: **ხმალი** (მათ შორის ბიზანტიურის „ქსიფოს“-ის მსგავსი – სწორი და ორღესული), **შუბი**, **ფარი**, **ჯაჭვის პერანგი**, „**ქაფი ჯაჭვისა**“, **ჯავშანი**, **საბრძოლო თავსაბურავი**, („ჩაბალახი“), **ჯავშნით** (ჯაჭვით ?) შემოსილი საბრძოლო ცხენი. ჩამოთვლილი აღკაზმულობის არაერთი დეტალი არქეოლოგიურადაც არის დადასტურებული, რისი წყალობითაც წერილობითი წყაროებში დაცული მშრალი ცნობების შევსების საშუალება გვაქვს.

#### არქეოლოგიური მასალა

როგორც ზემოთ ითქვა, საკვლევი პერიოდისთვის მოგვეპოვება, საბრძოლო იარაღით მდიდარი ორი სამარხი, **ვანისა** და **ზურტაკეტის**.

<sup>16</sup> მ. წურწუშია. ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში, ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი X-XII საუკუნეებში, გვ. 31.

<sup>17</sup> მ. წურწუშია. ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში, ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი X-XII საუკუნეებში, გვ. 30.

<sup>18</sup> აღ. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII - XIV საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბ. 2004, გვ. 140, 142, 143.

შეიარაღების თვალსაზრისით, სამარხები ერთმანეთს კარგად ავსებენ.<sup>19</sup> რა თქმა უნდა, X-XI სს. არქეოლოგიური მონაპოვარი ამით არ ამოიწურება, მაგრამ ამ ორი ძეგლის შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა ხერხდება, X-XIV სს. მასალის დიდი ნაწილისგან განსხვავებით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე სამარხის აღმოჩენიდან საკმაო დრო არის გასული, ისინი სათანადოდ შესწავლილი არ არის. ქვემოთ განვიხილავთ ამ სამარხების ინვენტარსა და თარიღს. ასევე ზოგიერთ სხვა ექსპონატსაც, რომელიც, ჩვენი აზრით, X-XI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

**ვანის ე. წ. „მეომრის“ სამარხი** აღმოჩნდა 1957 წელს **ვანის ნაქალაქარზე**. სამარხში აღმოჩნდა ძვლის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები (მიცვალებული ორიენტირებული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, სახით აღმოსავლეთისკენ), მცირეოდენი სამკაული და მეომრის მრავალფეროვანი აღჭურვილობა, რომელიც საველე-საადრიცხვო დავთრის მიხედვით ასეთია: ხმალი (07:1-57:313), დროშის ბუნიკი (07:1-57:319), ისრისპირი (07:1-57:320), ორი პირგანპებული ისრისპირი (ბოძალი) (07:1-57:314, 315), ორი შუბისპირი<sup>20</sup> (07:1-57:316, 318), დანისპირი (07:1-57:317), ვერცხლის საკიდი (07:1-57:321) და გაურკვეველი დანიშნულების ოქროს ფურცლით დაფარული რკინის ორი ჭვირული ფირფიტა (07:1-57:322)<sup>21</sup> (ტაბ. I). აღსანიშნავია, რომ სამარხის ცენტრალური ნაწილი ძლიერ დაზიანებული იყო, ამდენად, შესაძლოა, სამარხის ინვენტარი ჩვენამდე არასრული სახით იყოს მოღწეული.

ექსპედიციის ხელმძღვანელი ნინო ზოშტარია სამარხს X ს-ით ათარიღებდა.<sup>22</sup> თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თარიღი დამაჯერებლად და-

<sup>19</sup> აღსანიშნავია, ორივე სამარხი ცხენოსან მეომარს უნდა ეკუთვნოდეს, რაზეც მეტყველებს ზურტაკეტის სამარხში აღმოჩენილი ლაგამი და ვანის სამარხში აღმოჩენილი მოხრილი ხმალი. მძიმედ შეჭურვილი მხედრების არსებობა X-XI სს. ქართულ ფეოდალურ ლაშქარში კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი წერილობითი წყაროებიდანაც.

<sup>20</sup> ვანის ექსპედიციის საველე დავთარში ზოგიერთი ისრისპირი (316, 318) „ხელ-შუბისპირის“ სახელით არის დაფიქსირებული. ამ სახით მოხდა მასალის აღწერილობა „ვანი IV“-ის კრებულშიც.

<sup>21</sup> Н. Хоштариа. Средневековое погребение «Война». კრებ. „ვანი. არქეოლოგიური გათხრები“. ტ. IV. თბ. 1979, გვ. 133; საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1957 წლის საველე-საადრიცხვო საველე წიგნი № 1 (დავთარი), გვ. 45, 46.

<sup>22</sup> Н. Хоштариа. Средневековое погребение «Война», გვ. 133; Н. Хоштариа. Археологические раскопки в Вани в 1959 году. Научная сессия посвященная итогам полевых-археологических исследований 1959 г. Тб. 1960, გვ. 48.

საბუთებული არ არის. სხვადასხვა დროს სამარხის მიდამოებში ჩნდებოდა VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული კერამიკული და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს სამარხის დათარიღებისას. ამრიგად, ვანის სამარხის თარიღი დაზუსტებას საჭიროებს, რაშიც სამარხის ინვენტარის დეტალურ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

**ხმალი:** ხმალი ვანის სამარხიდან (ტაბ. I-57:313) მცირედ მოხრილი და ცალპირლესულია, ორლესულია მხოლოდ ხმლის ბოლო მეხუთედი – ე.წ. საშარი<sup>23</sup> (წვერიდან დაახ. 20 სმ.). ხმალი საკმაოდ მასიურია (მთლიანი შემორჩენილი სიგრძე – 110 სმ.; პირის სიგრძე – 93 სმ.; ყუის მაქსიმალური სისქე – 1,0 სმ.; ტარის სიგრძე – 17 სმ.) ყუას მიუყვება ღარი, რომელიც წვერიდან დაახ. 25 სმ-ში წყდება. ხმლის ტარი შემორჩენილია დაუშლელად. ვადა საკმაოდ დაზიანებულია კოროზიით, თუმცა ჩანს, რომ იგი ნახევარმთვარისებურია. ტარის ქუდი მრგვალია. ხმალი შუაშია გადატეხილი, რაც, სავარაუდოდ, დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ვანის სამარხში აღმოჩენილი ხმლის დამზადების თარიღს თავის დროზე ვარლამ ართილაყვა შეეხო. ჭედურ ხატებზე, ფრესკებსა და საფლავის ქვებზე დაყრდნობით მან ვანის ხმალი (და მასთან ერთად ხევესურეთის ხმალი, რომელზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ) დაახ. X-XI საუკუნეებით დაათარიღა.<sup>24</sup> ასეთ დათარიღებას საფუძვლად დაედო ხმლების პირის, ვადისა და ტარის ქუდის მოყვანილობა.<sup>25</sup> ჩვენი აზრით, აღნიშნული თარიღი სიმართლეს შეესაბამება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის მსჯელობა ბევრ უზუსტობასა და შეცდომას შეიცავს,<sup>26</sup> რომელთა ნაწილი,

<sup>23</sup> **საშარი** (*შაშალი*, *შაშარი*) ხმლის წვერიდან დაახლოებით 15 - 20 სმ. სიგრძეზე აღესილი ყუა. სულხან-საბა: „...[ხმალი იყოს] *შაშარ*-მოკლე“. იხ. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, კრძალი. ZA.; ხალხური (ხევს): „...ხმლის პირის 1/3 „*შაშალი*“ აქვს“. იხ. გ. გასიტაშვილი. ხევესურული აბჯარი. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. IX. თბ. 1957, გვ. 88; „Противозвие – *საშარი*“. იხ. В. Элашвили. Парикаоба (хевсурское фехтование). Тб. 1956, გვ. 31.

<sup>24</sup> В. Артикава. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 18, 126, 170.

<sup>25</sup> В. Артикава. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 126.

<sup>26</sup> წიგნში დაშვებული უზუსტობები და შეცდომები ბევრ გაუგებრობას იწვევს მკვლევრებში და ზოგჯერ თანამედროვე გამოკვლევებშიც მორღებია, ამდენად, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასახელდეს ზოგიერთი მაინც:

- ვანის ხმალი, ავტორს, ყველგან მოხსენებულია ტერმინით «Меч». ასევე აღნიშნულია, რომ მას აქვს სწორი ზურგი. იხ. В. Артикава. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 37, 125, 126, 170, ტაბ. 71-2. სინამდვილეში, ვანის

მოგვიანებით სხვა გამოკვლევებშიც მოხვდა.

ჩვენი აზრით, ვანის ხმლის ღათარილების თვალსაზრისით ტარის მოყ-

ხმალს მოხრილი პირი და ყუა აქვს. ამასთან, ჩვენი აზრით, ამ ტიპის იარაღს ტერმინი «Сабля» უფრო შეეფერება.

• ავტორი მიუთითებს თითქოს ვანის ხმალს ტარზე ჰქონდეს ოქროს ინკრუსტაცია. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 125, 126. ასეთი რამ ვანის ტარზე არ აღინიშნება.

• ვანის სამარხში თითქოს აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტა. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 125. მონეტის არსებობა არ დასტურდება არც საინვენტარო დავთრით, არც რაიმე პუბლიკაციით.

• ვანის ხმლის ტარი სახარატო დაზგაზეა გამოჩარხული. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 125. პრიმიტიული რკინის სახარატო ჩარხის არსებობა XI საუკუნეში დასაშვებია, თუმცა ამ წესით ისეთი რთული ნაკეთობის დამზადება, როგორცაა ვანის ხმლის ტარის დეტალები, აღნიშნულ პერიოდში სრულიად წარმოუდგენელია. ვანის ხმლის ვადა-ქუდი, ხვესურეთის ხმლის ტარის მსგავსად უნდა იყოს დამზადებული – რკინის ფორფიტების ჭედურობითა და შედუღებით.

• ვ. ართილაყვას ნაშრომის მიხედვით, ხმალი აღმოჩნდა ზურტაკეტსა და დმანისში. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 125, 170. ზურტაკეტის მე-4 ყორღანში, ჩაშვებულ სამარხში 1962 წ. მართლაც, აღმოჩნდა მეომრის აღჭურვილობა და ცხენის აღკაზმულობის ნაწილები, რასაც ქვემოთ დაწვრილებით შევსებით. იხ. ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ. 1969, გვ. 43. თუმცა ხმლის აღმოჩენის ფაქტი არსად დასტურდება. ყორღანში ხმლის არსებობა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბ-ნმა ოთარ ჯაფარიძემ, ჩვენთან პირად საუბარშიც უარყო. ე. წ. „ზურტაკეტის ხმალი“ მუზეუმის გზამკლევის მიხედვით ხვესურეთიდანაა შემოსული. იხ. ლ. ჭილაშვილი. საქართველოს IV - XVIII სს. მატერიალური კულტურა. გამოფენის გზამკლევი. თბ. 1990, გვ. 22.

ასევე, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ჩვენ ვერ მოვიძიეთ ვერავითარი ცნობა დმანისში აღმოჩენილი ხმლის შესახებ. ვ. ართილაყვას წიგნში მოყვანილი ე. წ. „დმანისის“ ხმლის გრაფიკული სურათი წარმოადგენს ხვესურეთის ხმლის ჩანახატს. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, ტაბ. 71-1.

• ვარლამ ართილაყვა ხვესურეთის ხმალში ხედავს ცალპირღესულ ხმალს სწორი ყუით («Однолезвийный меч с прямой спинкой»). იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 170. ხვესურეთის ხმალი, ეჭვგარეშეა, თავდაპირველად სწორი და ორღესული იყო, რასაც ქვემოთ კიდევ დაუბრუნდებით. უხეირო და არაარსებითი გადაკეთების კვალი, რომელიც ხვესურეთის ხმალს ატყვია, საინტერესოა მოხრილი ხმლის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ხვესურეთის ხმლის ნამდვილ ფორმას არ ცვლის.

• ავტორი მსჯელობაში მიუთითებს, რომ მაცხვარიშში დემეტრე II-ის მეფედ კურთხევის სცენაზე ცალპირღესული სწორი ხმალია («Прямой однолезвийный меч») გამოსახული. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 126. მაცხვარიშში (1140 წ.) დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენაში ხმალი გამოსახულია ქარქაშით. გარდა ამისა, კარგად შეიმჩნევა ხმლის მცირე მოხრილობა (ტაბ. II-14).



ვანილობაზე არანაკლებ საინტერესოა ასევე სამარხში აღმოჩენილი ჭვირული ფირფიტები, რასაც მოგვიანებით დაუბრუნდებით.<sup>27</sup>

ვანის ხმაღს X-XI საუკუნეების მოხრილი ხმლის ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნები ახასიათებს: ასე, ვანის ხმლის (ასევე ხევსურეთის ხმლის) მოხრილი ვაღა დამახასიათებელია X ს. II ნახევრისა და XI ს-ის აღმოსავლეთ ევროპული ხმლებისათვის.<sup>28</sup> მსხლისებური ტარის ქული, რაც ალანურსა და უნგრულ ხმლებშიც გვხვდება, XI ს-ზე გვიან აღარ ჩანს.<sup>29</sup> შედარებით მცირე სიგრძე და მცირე მოხრილობა XII საუკუნეზე, უფრო ადრეულ ხანაზე მიუთითებს, კერძოდ X ს. - XI ს-ის I ნახევარს.<sup>30</sup>

**ჭვირული ფირფიტები:** როგორც ზემოთ ავლინშნეთ, ვანის სამარხში აღმოჩნდა 2 მცირე ზომის (შემორჩენილი ზომები 4.5 X 4.5 სმ. და 4.3 X 5.5 სმ.) ოქროთი მოვარაყებულ ჭვირული ფირფიტა (ტაბ. I-57:322). ფირფიტები ბრტყელია, ზურგის მხრიდან ერთ-ერთ ფირფიტაზე შემორჩენილია რკინის ორი მანჭვალი, რითაც ფირფიტა ხისა თუ ტყავის სარჩულზე მაგრდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მანჭვალი ორსავე ფირფიტას რამდენიმე ჰქონდა.

სამწუხაროდ, სამარხის ჩანახატი არ გამოსახავს ფირფიტების მდებარეობას სამარხში,<sup>31</sup> თუმცა ვარაუდი მათი ადგილის შესახებ მიცვალებულის კოსტუმზე X-XII საუკუნეების მრავალრიცხოვანი გამოსახულებების მიხედვით არის შესაძლებელი. ამ პერიოდის ქართულ ჭედურ ხატებზე, ფრესკებსა

<sup>27</sup> დევან ჭარელიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ვანის „სამარხს ათარიღებს მასში აღმოჩენილი ისრისპირები და ბაღთები“. „მგავსი ბაღთები... გვხვდება, ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებზე“ იხ. ლ. ჭარელიშვილი. ქართული იარაღის ისტორიიდან (ხმაღი). კრებ. „კვალი ნათელი“ (მიხეილ გეგეშიძის ხსოვნას). თბ. 1998, გვ. 85. ვ. ართილაყვას წიგნზე დაყრდნობით, ორკაპა და რომბისებურ ისრისპირებს იგი X-XIII საუკუნეებით ათარიღებს, თუმცა ზოგადად ბოძალისა და ქეიბურის ტიპის ისრისპირები რომ ადრე და გვიან შუა საუკუნეებშიც არ გვხვდება, არაფრით დასტურდება. ასევე, გაუგებარია, კონკრეტულად თუ რა მასალას გულისხმობს ავტორი ვანის ბაღთებზე საუბრისას.

<sup>28</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв. Л. 1966, გვ. 68. მკვლევარ უ. კოჩკაროვის ვარაუდით, ამ ტიპის ვაღის გავრცელების პერიოდი შედარებით ხანგრძლივია და X-XII საუკუნეებს მოიცავს. იხ. У. Ю. Кочкаров. Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья: Оружие ближнего боя. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. М. 2005, გვ. 41.

<sup>29</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв. Л. 1966, გვ. 68.

<sup>30</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв. Л. 1966, გვ. 67; А. Н. Кирпичников, В. П. Коваленко. Орнаментированные и подписные клинки сабель раннего Средневековья (по находкам в России, на Украине и в Татарстане). СПб. 1993, გვ. 126.

<sup>31</sup> Н. Хоштария. Средневековое погребение «Война», სურ. 7.

და რელიეფებზე გამოსახულ ხმლებს ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება ახასიათებს: **ხმლის ქარქაშზე, იქ სადაც ხმლის ჩამოსაკიდი ზონრებია გამო-ბმული, დამახასიათებელ ნახევარმთვარისებურ ან არკისებურ შვერილებს ვხვდავთ** (ტაბ. II-1-9). ის, რომ ქართულ საეკლესიო ხელოვნების ძეგლებზე, ამ შემთხვევაში ყოფაში რეალურად არსებული დეტალია გამოსახული, ადას-ტურებს ჩრდილო კავკასიაში, მდიდრულ ალანურ ყორღანებში აღმოჩენილი ხმლები და ქ. ვენის „ცოიგჰაუზში“ დაცულ ე. წ. კარლოს დიდის ხმალი. ხმლები XI ს. მეორე ნახევრით – XII ს. პირველი ნახევრით თარიღდება.<sup>32</sup> მათი დამზადების ადგილთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რამ-დენიმე განსხვავებული აზრი არსებობს; მათ ალანურ, უნგრულ, კიევეურ თუ აღმოსავლეთ ევროპულ პროლექციად მიიჩნევენ, თუმცა ჩვენთვის უფრო არ-სებითი ის არის, რომ მთელი რიგი ნიშნებით – ვადა-ტარის კონსტრუქციით, და, რაც მთავარია, გამოკვეთილი საკიდებით, ეს არქეოლოგიური მასალა ქართულ ჭედურ ხატებზე გამოსახულ ხმლებს ეხმიანება. **ჩვენი აზრით, დი-დია ალბათობა, რომ ვანში აღმოჩენილი ფირფიტები ხმლის ქარქაშის საკი-დების მოსართავები იყოს.**

უნდა ითქვას, რომ ვანის ფირფიტებისგან განსხვავებით ჩრდ. კავკა-სიურ ხმლებზე სალტე და საკიდი ერთ მთლიან ელემენტს წარმოადგენს (სურ. 1). ასეთი არსებითი განსხვავება, ერთი შეხედვით, საეჭვოს ხდის ვა-ნის ფირფიტების აღნიშნულ ფუნქციას, თუმცა ჩრდილო კავკასიური მასალი-სა და ვანის სამარხის ინვენტარის აბსოლუტური ტექნოლოგიური თუ დეკო-რატული იდენტურობა მოსალოდნელი არც არის.

აშკარა მსგავსების მიუხედავად (ვადა-ტარის კონსტრუქცია, პირის მცირე მოხრილობა), წარმოების საერთო ცენტრზე საუბარი არ შეიძლება. საერთო ეპოქით, გარკვეულწილად საერთო ესთეტიკით გამსჭვალულ ამ ნივ-თებს შორის არაერთ არსებით განსხვავებასაც ვხვდავთ; მაგალითად, ალანურ სამარხებში აღმოჩენილი ხმლების სატარე ყუნწი პირისკენ დახრილია, ვანის ტარი კი – სწორი. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო განსხვავება ძალზე სა-ყურადღებოა: ვანის ხმალი ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს, სადაც ახლებური,

---

<sup>32</sup> В.Н. Каминский, И.В. Каминская-Цокур. Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье. Историко-археологический альманах. Вып. 3. Армавир, 1997, გვ. 63; А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв. Л. 1966, გვ. 66; А. Н. Кирпичников, В. П. Коваленко. Орнаментированные и подписные клинки сабель раннего Средневековья (по находкам в России, на Украине и в Татарстане). Спб. 1993, გვ. 127; Laszlo Gyula. The art of migration period. Budapest. 1974, გვ. 72, 154, სურ. 145.

ნომადური სამყაროსთვის დამახასიათებელი მოხრილი პირი ადგილობრივი სწორი ხმლისთვის დამახასიათებელ ტართან არის შერწყმული. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ხმლის ევოლუცია საქართველოში მიმდინარეობდა ადგილობრივი იარაღის, პირველ რიგში, ორღესული ხმლის საფუძველზე, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სიბერეთი VIII-XIV საუკუნეებში არ იცნობს.<sup>33</sup>

**ქართულ ჭედურ ხატებზე, ფრესკებსა და რელიეფებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გამოკვეთილი საკიდები განსაკუთრებით X ს. - XI ს. პირველ ნახევარს ახასიათებს** (კვაისა-ჯვარი (ტაბ. II-1); შემოქმედის ჭედური ხატი (ტაბ. II-2); ჭედური ხატი ხირხონისიდან (ტაბ. II-4); ჭედური ხატი მრავალძალიდან (ტაბ. II-5); ჭედური ხატი ჩუკულიდან (ტაბ. II-6); ჭედური ჯვარი სამთავისიდან (ტაბ. II-7); ნიკორწმინდას ბარელიეფები (ტაბ. II-8); მრავალძალის (ფარახეთის) ჭედური ხატი (ტაბ. II-9). XI-XII სს. მიჯნიდან საკიდები ზომებში თითქოს მცირდება (იფრარი, მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია (ტაბ. II-11); ჭედური დროშის თავი სვანეთიდან (ტაბ. II-12); ლაგურკა, წმ. ივლიტესა და კვირიკეს ეკლესია (ტაბ. II-13); მაცხვარიში (ტაბ. II-14) და შემდგომში საერთოდ ქრება ტიმოთესუბანი (ტაბ. II-15); ლაშთხვერი (ტაბ. II-19); უბისა (ტაბ. II-21). საინტერესოა, რომ ზოგიერთ ჭედურ ხატზე, ხმლის საკიდზე მცირე რგოლებია გამოსახული (მაგალითად, მრავალძალისა და ჩუკულის ჭედური ხატები (ტაბ. II-5,6), რაც ვანის საკიდების ანალოგიურ ჭვირულ ტექნიკას მოგვაგონებს.

**ამრიგად, თუ ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი ვანის ჭვირული ფირფიტების დანიშნულების შესახებ სიმართლეს შეესაბამება, ვანის ხმლის და, შესაბამისად, სამარხის X-XI სს. მიჯნით დასათარიღებლად დამატებითი არგუმენტი ჩნდება.**

### **საქართველოში მოხრილი ხმლის გავრცელების თარიღისათვის**

ვანის სამარხში აღმოჩენილ მოხრილ ხმალზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი აგუაროთ საქართველოში მოხრილი ხმლის გავრცელების საკითხს.

ჩვენში მოხრილი ხმლის გამოჩენის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ისტორიული მხატვრობის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, რომ XII საუკუნემდე საქართველოში გავრცელებული ყოფილა შვეტი ხმლები.

<sup>33</sup> У. Ю. Кочкаров. Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья: Оружие ближнего боя. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. М. 2005, гл. 52.

მაგრამ XIII საუკუნის დამდეგს უკვე ჩნდება მოხრილი ხმალი, ისეთი, როგორც გავრცელებული იყო ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში“. მისი დაკვირვებით, თუ ლაშა-გიორგი ბეთანიის ფრესკაზე სწორი, „შვეტი“ ხმლით არის გამოსახული, ბერთუბნის ფრესკაზე მას უკვე მოხრილი ხმლით ვხედავთ: „რით იყო გამოწვეული ეს გარემოება? მართლა იმ დროს შემოვიდა, თუ წინათაც არსებობდა მოხრილი ხმალი, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ეს კია, რომ მოხრილი ხმალი XIII საუკუნის ოციანი წლებიდან უკვე აშკარად ვხედავთ“.<sup>34</sup>

ნინო ჩოფიკაშვილის ნაშრომში, რომელიც შუა საუკუნეების იარაღსა და ეხება, ამ მხრივ დამაჯერებელი დასკვნა გაკეთებული არ არის;

ერთი მხრივ, წალენჯიხისა და ლალამის ფრესკები მას აფიქრებინებს, რომ „მოხრილი ხმლის შემოდების მიუხედავად, სწორი ხმალი XIV ს. მაინც ძირითად იარაღად რჩება“,<sup>35</sup> მაგრამ შალვა ქირქიშლიანის პორტრეტზე საუბრისას ავტორი იზიარებს დამკვიდრებულ აზრს, რომლის მიხედვითაც „მართალი“ ხმალი (იგულისხმება სწორი, ორღესული ხმალი ი. ბ.) XIV ს. დამახასიათებელი არ არის, რადგან ის ჯერ კიდევ XIII ს. დასაწყისში განდევნა მოხრილმა“.<sup>36</sup>

ვარლამ ართილყვა მიიჩნევდა, რომ საქართველოში სწორ ხმალი მხოლოდ X-XI საუკუნეებამდე იყენებდნენ.<sup>37</sup> XII-XIII საუკუნეებიდან მოყოლებული კი უკვე მცირედ მოხრილ ხმლების დამზადება დაიწყო – ეს დასკვნა არსებითად იმავე ლაშა-გიორგის ბერთუბნის ფრესკას ეფუძნება.<sup>38</sup>

ლევან ჭარელიაშვილის წერილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხმალი (იგულისხმება მოხრილი, ცალპირღესული ხმალი. ი. ბ.) საქართველოში XII საუკუნეში მაინც უნდა შემოსულიყო და არა XIII-XIV საუკუნეში...“. ასეთ ვარაუდს ავტორი ჩრდილოეთის მომთაბარებებთან და ხაზარებთან ქართველების ურთიერთობის საფუძველზე აკეთებს.<sup>39</sup>

ამრიგად, შეიძლება დამკვიდრებულად ჩაითვალოს აზრი, რომ საქართველოში „სწორედ XIII საუკუნიდან განდევნა თანდათანობით სწორი („მარ-

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბ. 1962, გვ. 253.

<sup>35</sup> ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XVII სს.). თბ. 1964, გვ. 62.

<sup>36</sup> ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XVII სს.), გვ. 39.

<sup>37</sup> В. Е Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 37.

<sup>38</sup> ვარლამ ართილყვას ეს დასკვნა მით უფრო გასაკვირია, რომ ვანის მოხრილ ხმალი თავადაც X-XI საუკუნეებით ათარიღებს. იხ. В. Е Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 126.

<sup>39</sup> დ. ჭარელიაშვილი. ქართული იარაღის ისტორიიდან (ხმალი), გვ. 87.

თალი“) მახვილი მოხრილმა“.<sup>40</sup>

წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, განსხვავებულ აზრს გვთავაზობს გულჩინა აკოფაშვილი, რასაც ქვემოთ დავუბრუნდებით.

სადღეისოდ მიღებულია, რომ მოხრილი ხმალი გაჩნდა დაახ. VII ს-ში, ევრაზიის უზარმაზარ ტრამალებში მომთაბარე ხალხებში, ცხენზე ამხედრებული მეომრების წრეში.<sup>41</sup> უშუალოდ საქართველოს მახლობელ ტერიტორიებზე (ჩრდილოეთ კავკასიისპირეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი) მოხრილი ხმალი უკვე VII-VIII საუკუნეებიდან ფიქსირდება.<sup>42</sup>

არქეოლოგიური მასალის სიმწირის ფონზე უაღრესად საინტერესოა საფლავის ქვების ერთი ჯგუფი ქვემო ქართლიდან, სოფლებიდან **ახალსოფელი** (ბზა) და **გონხარი** (აძიკვი)<sup>43</sup> (სურ. 2). საფლავის ქვებზე გამოსახულია მიცვალებულის ყოფასთან დაკავშირებული ნივთები: სამეურნეო, სახელოსნო, საბრძოლო იარაღი, ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ნივთები და სხვ. ქვები გამოირჩევა ხალხური, ერთგვარი გულუბრყვილო რეალიზმით, ამდენად, მატერიალური კულტურის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად ძვირფას წყაროს წარმოადგენს. რენე შმერლინგმა, რომელმაც გამოიკვლია აღნიშნული საფლავის ქვები და სოფლებში მდგარი ტაძრები, ისინი თანადროულად მიიჩნია და X ს. - XI ს. დასაწყისს მიაკუთვნა.<sup>44</sup> X ს. II ნახევრით - XI ს. ათარიღებს ახალსოფლის (ბზის) წმ. გიორგის ეკლესიას სხვა მკვლევარიც.<sup>45</sup>

<sup>40</sup> აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა. გამოფენის გზამკლავი. რედ. აღ. ჯავახიშვილი, თბ. 1953, გვ. 24.

<sup>41</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв. Л. 1966, გვ. 61; У. Ю. Кочкаров Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья: Оружие ближнего боя. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. М. 2005, გვ. 27.

<sup>42</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв., გვ. 61; А. Н. Кирпичников, В. П. Коваленко. Орнаментированные и подписные клинки сабель раннего Средневековья (по находкам в России, на Украине и в Татарстане), გვ. 126; У. Ю. Кочкаров Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья, გვ. 27, 28.

<sup>43</sup> 1974 წელს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ინიციატივით თეთრი წყაროს რ-ნის სოფლებიდან რამდენიმე საფლავის ქვა გადმოიტანეს მუზეუმის არქეოლოგიურ ზონაში. იხ. რ. კეკელიძე. საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან. ჟურნ. „ძეგლისის მეგობარი“. № 34, თბ. 1974, გვ. 29.

<sup>44</sup> Р. О. Шмерлинг. Архитектурные памятники района древних селений Адзикви и Бза. Сообщения Академии наук Грузинской ССР «Мацне». N 2, 1 Тб. 1969, გვ. 108, 112, 116, 120, 126, 130.

<sup>45</sup> თ. ხუნდაძე. ბზის წმინდა გიორგის ეკლესიის რელიეფები. ჟურნ. „საქართველოს სიძველენი“. № 14. თბ. 2010, 123, 124, 128.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საფლავების ქვების ამგვარ დათარიღებას. ერთის მხრივ, როგორც ცნობილია, ეკლესიებთან სამაროვნების მოწყობა მასობრივ მოვლენად სწორედ X ს-დან იქცა.<sup>46</sup> ამიტომ საფლავების უფრო ადრეული თარიღი ნაკლებად სავარაუდოა. მეორე მხრივ, საფლავის ქვებზე აღბეჭდილი იარაღი არაერთი ნიშნით X-XI საუკუნეებში ექცევა. გოხნარ-ახალსოფელის „ხმლების ქარქაშზე“ გამოსახულია დამახასიათებელი გამოკვეთილი საკიდები – როგორც ზემოთ ითქვა, **XI-XII სს. მიჯნა ამ ტიპის საკიდების გავრცელების ზედა ზღვარად უნდა ჩაითვალოს.**

უძნისუნელო არ არის ამ მხრივ საფლავის ქვებზე გამოსახული ქვიშის საათის მოყვანილობის კაპარტებიც. ასეთ ვიწროწელიანი და ბოლოგანიერი (ე. წ. „დახურული“, „ცილინდრული“ ან „ჯიბიანი“) კაპარტების გავრცელების არეალი ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში ევრაზიის უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა.<sup>47</sup>

ქართულ მასალებში ცილინდრული კაპარტები მასობრივად არის გამო-სახული მათ შორის დავითნის H-1665<sup>48</sup> და მის მსგავს H-75<sup>49</sup> ხელნაწერებში. ამ ფაქტმა მკლევარ ლეო შერვაშიძეს ავარაუდებინა, რომ XV ს. ცილინდრული საისრები ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული საქართვე-

<sup>46</sup> ლ. ჭილაშვილი. არეში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ. 1991, 128.

<sup>47</sup> აღნიშნულ კაპარტებზე იხილეთ: Bede Dwyer. The Closed Quiver. The Journal of the Society of Archer-Antiquaries. Volume 41, 1998; Ю. С. Худяков, В. В. Мясинников. Колчаны древних тюрок Среднего Енисея. Проблемы средневековой археологии Южной Сибири и сопредельных территорий. Новосибирск. 1991; Ю. И. Трифонов. О берестяных колчанах Саяно-Алтая VI-X вв. в связи с их новыми находками в Туве. Военное дело древнего населения Северной Азии. Новосибирск. 1987, გვ. 189-199; Ю. С. Худяков. Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии. Новосибирск. 1986, გვ. 151-152; Ю. С. Худяков. Вооружение древних тюрок Центральной Азии. Проблемы археологии степей Евразии. Кемерово. 1984, გვ. 72; Б. Сегед (Кюрти) Об азиатском происхождении аварских колчанов в Карпатском бассейне. Проблемы археологии степей Евразии. Кемерово. 1984, გვ. 115-119; Н. В. Малиновская. Колчаны 13-14 вв. с костяными орнаментированными обкладками на территории евразийских степей. Города Поволжья в средние века. М. 1974.

<sup>48</sup> შ. ამირანაშვილი ხელნაწერს XIII ს-ის პირველი ნახ. ათარიღებს. იხ. Ш. Амиранашвили. История Грузинского Искусства. М. 1963, გვ. 239. მისგან განსხვავებით ფსალმუნს XV ს-ით ათარიღებს ლ. შერვაშიძე, რომელმაც ხელნაწერი დეტალურად გამოიკვლია. დათარიღება ეფუძნება ტექსტის პალეოგრაფიულ თავისებურებებს, ხელნაწერში არსებულ მინაწერებსა და მინიატურებზე გამოსახულ მატერიალურ კულტურას.

<sup>49</sup> შალვა ამირანაშვილის მიხედვით: XV ს. იხ. Ш. Амиранашвили. История Грузинского Искусства, გვ. 239. ლ. შერვაშიძის მიხედვით: ტექსტი XVI ს.; მინიატურები XV ს. იხ. Л. А. Шервашидзе. К вопросу о грузинской светской миниатюре (Миниатюры батальной тематики Држучской псалтири). Тб. 1964, გვ. 114, 118.

ლოში, მოგვიანებით კი სრულიად განსხვავებული, ახალი ტიპის კაპარჭები გაბატონდა.<sup>50</sup> ასეთი ახლებური, სრულიად ჩამოყალიბებული ფორმის საისრე გამოსახულია, მაგალითად, გურჯაანის წმ. გიორგის ხატზე და მის ანაბეჭდებზე,<sup>51</sup> რომელსაც გიორგი ჩუბინაშვილი XIV-XV საუკუნეებით ათარილებს.<sup>52</sup> (სურ. 3). საფლავის ქვებთან მიმართებით, ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ XIV-XV სს. კაპარჭის ახლებური ფორმა უკვე კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუ მისი გამოსახულება ხატზე მოხვდა. **ამრიგად, საფლავის ქვებზე ცილინდრული კაპარჭების გამოსახვის ფაქტი აგრეთვე XVI ს-ზე ადრეულ თარიღზე მიუთითებს.**

საფლავებზე ხმლების გამოსახულება უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში მოხრილი ხმლის გავრცელების თარიღის დადგენის თვალსაზრისით. საკიდებს რომ თავი დავანებოთ, სწორი ტარიით, ოვალური ვადით და მცირედ მოხრილი პირით<sup>53</sup> გონხარ-ახალსოფლის საფლავებზე გამოსახული ხმლები ვანის სამარხში აღმოჩენილ ხმალს ზუსტად იმეორებენ (ტაბ. II-3; სურ. 2), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **X-XI საუკუნეების საქართველოში მოხრილ ხმალს იცნობდნენ და იყენებდნენ.**<sup>54</sup>

ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა, თუ არაუგვიანეს XI ს-სა საქართველოში უკვე გავრცელებულია მოხრილი ხმალი, რატომ არის გამოსახული განვითარებული შუა საუკუნეების ფრესკებისა და ჭეღურ ხატების

<sup>50</sup> Л. А. Шервашидзе. К вопросу о грузинской светской миниатюре (Миниатюры батальной тематики Држучской псалтири). Тб. 1964, გვ. 69-70.

<sup>51</sup> „ხატი“ წარმოადგენს ჭეღური ხატების გამოსაყვან ბრინჯაოს ხიშტაკს („მატრიცას“), რომელიც შემთხვევით გურჯაანში იპოვეს. როგორც გ. ჩუბინაშვილმა გაარკვია, აღნიშნული ხიშტაკი საფუძვლად დაედო ოდიშის (გულე-კარის), ჟიბიანის, ბოდორნას, თბილისის, შესაძლოა კიდევ სხვა ჭეღურ ხატებს. იხ. Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Т I. Тб. 1959, გვ. XXVII-XXVIII, 336.; т. II. ილ. 519-523.

<sup>52</sup> Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. XXVII-XXVIII, 336.

<sup>53</sup> რ. შმერლინგი გრძელ, სწორ ხმლებზე საუბრობს («длинные прямые мечи»). იხ. Р. О. Шмерлинг. Архитектурные памятники района древних селений Адзикви и Бза, გვ. 127.

<sup>54</sup> აღსანიშნავია, რომ ცნობილი მეიარადე-მედიევისტები დევიდ ნიკოლი და ა. კირპინიკოვი მოხრილი ხმლის გაჩენას საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებში სწორედ XI ს-დან ითვლიან: «Судя по многочисленным изображениям кривых клинков, они довольно редкие в XI в., столетием позже получили определенное распространение в Иране, Грузии, Азербайджане, Армении, Анатолии, Египте». იხ. А. Н. Кирпичников, В. П. Коваленко. Орнаментированные и подписные клинки сабель раннего Средневековья (по находкам в России, на Украине и в Татарстане). СПб. 1993, გვ. 127.

უმეტესობაზე სწორი ხმალი?!<sup>55</sup> მიზეზი ამისა, ვფიქრობთ, რამდენიმე შეიძლება იყოს: პირველ რიგში, X-XI სს. ხმლები ძალზე მცირედ ჩანს მოხრილი (1,5-2 სმ.) (რაც საერთოდ დამახასიათებელია მოხრილი ხმლის განვითარების საწყისი ეტაპისათვის, ამასთან ტარიტა და ვადით სწორი ხმლისგან არაფრით განსხვავდებიან. ხმლის ასეთი მცირე მოხრილობა ქარქაშში კიდევ უფრო შეუმჩნეველი ხდება, ამდენად მისი ფრესკაზე გამოსახვის საჭიროება ძალზე მცირეა. აღსანიშნავია, რომ ამის მიუხედავად, XII ს-ის ზოგიერთ ფრესკაზე სწორედ ასეთი მცირე მოხრილობა ფიქსირდება, მაგალითად, მაცხვარიში (1140 წ.) დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენაზე, ასევე იმავე ეკლესიაში წმ. გიორგის გამოსახულებაზე (ტაბ. II-14).

სწორი ხმლისადმი ქრისტიანული ხელოვნების „ელტოლვა“, შესაძლოა, გააზრებულიც იყო. მოხრილი ხმალი, როგორც ზემოთ ითქვა, მომთაბარე სამყაროში წარმოიშვა და თავის არსით მასთანვეა დაკავშირებული, ამდენად წმინდა მეომრის ხატებას ნაკლებად ესადაგება. შესაძლოა, მოხრილი ხმალი შეგნებულად იქნა ამოღებული საეკლესიო ხელოვნებიდან, როგორც წარმართული, უცხო, თითქმის მტრული ატრიბუტი, სწორი ხმლის „ანტიპოდი“. შემთხვევითი არ არის, რომ მოხრილ ხმალს უფრო ხშირად ვხედავთ საერო გამოსახულებებზე (საფლავის ქვები, ქტიტორთა გამოსახულებები).

ასევე უნდა გვაითვალისწინოთ, რომ თანადრული ყოფის ასახვა ხატმწერის მიზანს ზოგადად არ წარმოადგენს, პირიქით, ხატმწერი ჩამოყალიბებულ საეკლესიო კანონიკას ემორჩილება უმეტეს შემთხვევაში, იგი სწორედ წარსულ დღეთა ამბის მთხრობელია. ამდენად, ჩანს ყოფითი დეტალების ასახვა, ისეთებისა როგორიც არის, მაგალითად, ხმლის ვადები და საკიდები, წმინდანთა გამოსახვის შემთხვევაში, ყოფის ქვეცნობიერ ანარეკლს წარმოადგენს და არა რეალობის ასახვის მცდელობას.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სწორი ხმლის მოხრილით ჩანაცვლების პროცესი, როგორც წესი, რამდენიმე საუკუნე გრძელდება (რუსეთი, ისლამის გავრცელების აღმოსავლეთი და ცენტრალური რეგიონები).<sup>56</sup> ივა-

<sup>55</sup> მიიხნევა, რომ სწორი ცალღესული ხმალი მოხრილი ხმლის განვითარების საწყისი წერტილია. У. Ю. Кочкаров Вооружение средневекового всадника VIII-XIV вв. по материалам Северо-Западного Предкавказья, გვ. II. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა 90 სმ-დე სიგრძის, სწორი ცალღესული ხმლები, დუშეთის რ-ნის სამარხებიდან. ხმლები ახ. წ. აღ. III-IV სს. თარიღდება, დაცულია უინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ქ. დუშეთში (მასალა გაგვაცნო ბ-მა რამინ რამიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით).

<sup>56</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX - XIII вв. Л. 1966, გვ. 66; А. Н. Кирпичников, В. П. Коваленко. Орнаментированные и подписные



რაუდება, რომ X-XII სს. საქართველოშიც ხმლის ორივე სახეობა ჯერ კიდევ თანაარსებობდა,<sup>57</sup> რაც აისახა კიდევაც კელის მხატვრობასა და ჭეღურ ხატებზე.

საქართველოში მოხრილი ხმლის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა, ერთი მხრივ, მობილური ცხენოსანი მოწინააღმდეგის, თურქ - სელჯუკების გამოჩენას და, მეორე მხრივ, დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმებს. როგორც ცნობილია, დავით IV-ის ინიციატივით, ქართული ლაშქარი მნიშვნელოვნად შეივსო ყივჩაღი მეომრებით – ანუ, მოხრილი ხმლით მებრძოლი მხედრებით.<sup>58</sup> გარდა ამისა, როგორც მოსალოდნელი იყო, დავით აღმაშენებელი მნიშვნელოვნად ზრუნავს მხედართა რაოდენობის გაზრდაზე, რაც ასევე მოხრილი ხმლის პოპულარულობას უწყობს ხელს. ყივჩაღებიდან „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ მეფემ „**განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა**“. მემატიაზე საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც, რომ „ეგრეთვე თქისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, **ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი**“<sup>59</sup> იყვნენ.

სწორი ხმლის საბოლოო გაქრობა მონღოლთა შემოსევას უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც ბრძოლის ველზე მეტწილად მსუბუქად შეიარაღებული მხედრები, „საჭურველისა არასა მქონებელნი მშვილდისა და ისრისა კიდევ“<sup>60</sup> გაბატონდნენ. იშვიათი ცნობებიდან XIII ს. მონღოლთა შეიარაღების შესახებ უნდა გავიხსენოთ პლანო კარპინის (Giovanni da Pian del Carpi,

клинки сабель раннего Средневековья (по находкам в России, на Украине и в Татарстане), გვ. 127.

<sup>57</sup> მოხრილი და სწორი ხმლების თანარსებობის კარგი მაგალითია ყორღანი «Черная могила» (რუსეთის ფედერაცია), სადაც მოხრილ ხმალითან ერთად ორ სწორი ხმალი იყო ჩატანებული. იხ. А. В. Арциховский. История культуры древней Руси. Домонгольский период. I. Материальная культура. Оружие. М. Л. 1951, გვ. 422, 429.

<sup>58</sup> ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაღთა რაოდენობა 25 ათასს არ აღემატებოდა, საიდანაც მეომართა რაოდენობა 5 ათასს თუ აღწევდა (მაშინ როდესაც დავითის შემატანესთან 40 000 ყივჩაღურ ოჯახზეა საუბარი) იხ. ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი საღჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006, გვ. 93-98. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყივჩაღურმა იარაღმა და ბრძოლის ტექნიკამ ქართულ ლაშქარზე გარკვეული გავლენა იქონია.

<sup>59</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 337.

<sup>60</sup> ჟამთააღმწერელი. მონღოლთა დროინდელი მატიაზე. ქართული პროზა. წიგნი III. თბ. 1982, გვ. 286.

დაახ. 1180-1252) საყურადღებო ცნობა, რომლის მიხედვითაც მონღოლები მოხრილ ხმალს ხმარობენ,<sup>61</sup> რასაც მწირი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს.<sup>62</sup>

შესაძლოა, სწორი ხმალი უფრო დიდხანს არსებობდა დასავლეთ საქართველოში (რომელსაც მონღოლთა დაპყრობა ნაკლებად შეეხო). შესაძლოა, ამიტაც იხსენებოდეს ის ფაქტი, რომ ლაღაშში (XIV ს. I ნახ.) „ორიგინალური სამოსითა და შესანიშნავი გარეგნობით“ გამორჩეულ **შალვა ქიშლიანის** ფრესკაზე<sup>63</sup> სწორი ხმალია გამოსახული (ტაბ. II-20).

ამრიგად, ლაშა-გიორგის ბერთუბნის ფრესკაზე მოხრილი ხმლის გამოჩენის ფაქტი თუმცა თავისთავად ძალზე საინტერესო, მაგრამ არც მოხრილი ხმლის ჩასახვას ასახვას და არც სწორი ხმლის საბოლოო გადავარდნას. ერთი რამ ცხადია: ბერთუბნის გამოსახულება (XIII ს. დასაწყისი) ახალი ტიპის იარაღის „აღიარებაც“, მისი საყოველთაოდ გავრცელების დასტურიც არის.

**ტერმინები „ხმალი“ და „მახვილი“:** სწორი ხმლის მოხრილით ჩანაცვლების პროცესი წერილობით წყაროებშიც უნდა ასახულიყო. საინტერესო დაკვირვება ამ მხრივ გულჩინა აკოფაშვილს ეკუთვნის. წერილობითი წყაროების გულდასმით დამუშავების შედეგად ის ასკვნიდა, რომ „...დაწყებული დაახლოებით XI საუკუნიდან „მახვილი“ მკვეთელი იარაღის უკვე ზოგადი, კრებისითი სიტყვაა და კონკრეტული, მოქმედ საომარ იარაღად თითქმის აღარ გვხვდება...“ „...მახვილი (იგულისხმება სწორი ორღესული ხმალი ი.ბ.) დაახლოებით X საუკუნის შემდეგ არსებითად ხმარებიდან გამოდის და მის ადგილს იკავებს ხმალი (იგულისხმება მოხრილი, ცალბირღესული ხმალი – ი. ბ.)...“ „XI–XII საუკუნეთა საქართველოში ძირითადი შემტვეი იარაღი ხმალია (იგულისხმება მოხრილი ხმალი ი. ბ.)“.<sup>64</sup>

უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ X საუკუნიდან ახალი ტერმინი – „ხმალი“ ვრცელდება, მითუმეტეს, რომ, როგორც დავინახეთ, ეს ემთხვევა ახალი ტიპის იარაღის, მოხრილი ხმლის გავრცელებას.

აქ გვერდს ვერ აუვლით ტერმინების „ხმლისა“ და „მახვილის“ ზუსტი

---

<sup>61</sup> Джиованни дель Пано Карпини. История Монгалов. Гильом де Рубрук. Путешествие в Восточные страны. Перевод А. И. Малеина. М. 1957, გვ. 51.

<sup>62</sup> Ю. С. Худяков. Вооружение центральноазиатских кочевников в эпоху раннего и развитого средневековья. Новосибирск. 1991, გვ. 130.

<sup>63</sup> ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XVII სს.), გვ. 37, 39.

<sup>64</sup> გ. აკოფაშვილი. რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 1992, გვ. 51-53.

მნიშვნელობის გარკვევას: თანამედროვე ქართულ ენაში, ტერმინით „მახვილი“, როგორც წესი, სწორსა და ორლესულ იარაღს აღნიშნავენ (რუს. «Меч», ინგლ. “Sword”), ტერმინით „ხმალი“ კი – მოხრილსა და ცალბირლესულს (რუს. «Сабля», ინგლ. “Sabre”). მაგალითად, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩვენ ვკითხულობთ: „ხმალი – წელზე შემოსაკრავი გრძელი მახვილი ცალმხრივ პირიანი (ხაზი ჩვენია ი. ბ.)“.<sup>65</sup> მაგრამ არ ჩანს, რომ ძველი ქართული ენაც ასე ასხვავებდეს ამ სიტყვებს.<sup>66</sup> აღნიშნული ტერმინების ასეთნაირად გაგება რუსული ენის გავლენას უნდა მივაწეროთ.

ტერმინები „ხმალი“ და „მახვილი“ წერილობით წყაროებში გვხვდება როგორც სინონიმები და არა როგორც სხვადასხვა ტიპის იარაღის აღმნიშვნელი ცნებები. მაგალითად, ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ „დაირთო ჳრმალი ჩემი... მახვილი ო-ნ განძღეს სისხლითა“. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „ბერძნულსა და სომხურს თარგმანებში... ისევე როგორც ფრანგულსა და გერმანულში, ერთი და იგივე ხმალია აქ დასახელებული... ქართველ მთარგმნელს პირველად (§ 5) ჳრმალი დაუწერია, მეორე შემთხვევაში კი მახვილი“.<sup>67</sup> „ველთა მითა აქუნდა ჳრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა... ..ნუ უკუე პოს რამე ბიწი და მცეს მე მახვილი იგი...“<sup>68</sup> – ვკითხულობთ „ქართლის მოქცევაში“.

ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბატონიშვილისა და იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური სახის ნაშრომებში ძველი ქართული იარაღის ჩამონათვალში „მახვილი“ დასახელებული საერთოდ არ არის.<sup>69</sup> საფიქრებელია, რომ „მახვილი“ გამორჩენილი კი არ არის, არამედ, როგორც „ხმლის“ სინონიმი, შეგნებულად არის გამოტოვებული.

ზოგიერთი წყაროდან ნათლად ჩანს, რომ „ხმალი“ ზოგადი სახელია

<sup>65</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. თბ. 1987, გვ. 448, „ხმალი“.

<sup>66</sup> ამას ყურადღება მიაქცია ქართული ტანისამოსის მკვლევარმა ნინო ჩოფიკაშვილმა: „ქართული წერილობითი წყაროები სწორსა და მოხრილ ხმალს არ ანსხვავებს („მახვილი“?, „ხმალი“?), რუსულში კი ორი ტერმინია მათ აღსანიშნავად «меч» და «сабля». იხ. ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI-XVII სს.), გვ. 62.

<sup>67</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე. თბ. 1962, გვ. 248

<sup>68</sup> დეონტი მროველი. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, 89.

<sup>69</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ღომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1941, გვ. 6,36-40; იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით. ქართული პროზა. წიგნი VI. თბ. 1984, გვ. 557. „საჭურველი“.

მოხრილისა თუ სწორის, ცალღესული და ორღესული მახვილის. ასე, მაგალითად, სულხან-საბა პირდაპირ მიუთითებს, რომ „თემნი და გულნი კაცთანი“ „რომელიმე დრეკილსა, რომელიმე შვეტთა“ (ანუ სწორს ი.ბ.) *ხმალითა* „ჰყვარობენ“.<sup>70</sup> ზემოთ უკვე მოვიყვანეთ სტეფანოს ორბელიანის ტექსტის ძველი ქართული ვარიანტი, სადაც „*ორპირი ბასრი ჯრმალია*“ ნახსენები<sup>71</sup> და ა. შ.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „ხმლის“ შემოსვლა და „მახვილის“ განზოგადება ქართულ ენაში, მართლაც მოხრილი, ცალპირღესული ხმლის გავრცელებამ განაპირობა, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ტერმინით „ხმალი“ წყაროში სწორი, ორღესული ხმალიც (თანამედროვე ქართულით „მახვილი“, რუს. «Меч», ინგლ. “Sword”) შეიძლება იყოს აღნიშნული.

### ისრისპირები

ვანის სამარხში, როგორც ზემოთ ითქვა, 5 ისრისპირი აღმოჩნდა. ამთვან 2 ორკაპა (314, 315) (საბასეული ტერმინოლოგიით „ბოძალი“), ერთი მოზრდილი რომბისებური (316) („ქეიბური“), ერთი ფოთლისებური (318) („სარჩა“) და ერთი ხიშტისებური (320) („საყალნო“) (ტაბ. II). ცხადია, X-XI ს-ის მეომარს 5-დე ისარს არ დასჯერდებოდა. სამარხში ჩაყოლებული ისრისპირები, სრულ საბრძოლო-სანადირო კომპლექტს კი არა, ასე ვთქვათ, მის „ნიმუშს“, მცირე მოდელს უნდა წარმოადგენდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამარხი როგორც ითქვა, შუა ნაწილში დაზიანებული იყო, ამდენად, გამორიცხული არ არის, ჩვენამდე მოღწეული ისრისპირების რიცხვი არასრული იყოს. ვფიქრობთ, წარმოდგენილი ისრისპირის 4 ტიპი მაინც შეიძლება აღნიშნული პერიოდისათვის ძირითად სახეობებად მივიჩნიოთ.

ისრისპირების ზედაპირი საკმაოდ დაზიანებულია კოროზიით, თუმცა მაინც შესამჩნევია ის, რომ ვანის ისრისპირები XII-XIV საუკუნეების ისრისპირების ფონზე შედარებით უხეშად არის დამზადებული. XII-XIV საუკუნეების ისრისპირები, რომლებიც საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა რუსთავის, ახალქალაქის, ჟინვალის, ქვემო ქართლის ქვაბების გათხრებისას, ხშირ შემთხვევაში უფრო დახვეწილ ნამუშევარს წარმოადგენს, განსაკუთრებით ეს

---

<sup>70</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II, „ჯრმალი“. ZA

<sup>71</sup> სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგერეიშვილმა. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები. ტ. IV თბ. 1978, გვ. 33-B.

ვანის „ბოძალეს“ ეტყობა. ვანის ისრისპირები არის ნაკლებად პროპორციული და ხაზოვანი, კუთხეები შედარებით მომრგვალებულია, ნაკლებად არის გამოკვეთილი ყუნწის გვირგვინებიც. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოხაზულობის „ბოძალს“ კვლავ ვხვდავთ გვიან შუა საუკუნეებში ქორეთის ეკლესიაში, წმ. ევსთატეს ნადირობის ფრესკაზე (სურ. 4), როდესაც ხელოსნობა, XII-XIII საუკუნეებთან შედარებით, დაკნინებულია. ცხადია, მხოლოდ ვანის ისრისპირების საფუძველზე ზოგადად X-XI საუკუნეების დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნების გამოყოფა შეუძლებელია, თუმცა, ვფიქრობთ, ვანის მასალის გათვალისწინება ამ მხრივ აუცილებელია.

### დროშის ბუნიკი

ვანის სამარხში აღმოჩნდა ასევე მსხვილი ისრისპირის მოყვანილობის ნივთი (L-28 სმ., W-7,5 სმ.), რომელსაც აღმოჩენი, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად, დროშის ბუნიკს უწოდებს.<sup>72</sup> იმაზე, რომ ნივთი სწორედ დეკორატიული ბუნიკია და არა საბრძოლო იარაღი, მეტყველებს მისი სუსტი კონსტრუქცია და ისრისპირისათვის შეუფერებლად გრძელი ჩასამაგრებელი ყუნწი (18 სმ.) (ტაბ. I-57:319). ნივთი მეტად თავისებურია და მისი ანალოგებს ჩვენ არ ვიცნობთ. სამარხში აღმოჩენილ სხვა ნივთებთან ერთად (მოხრილ ხმალი, ოქროს ვარაყიანი ფირფიტები) აღნიშნული ბუნიკი, ადასტურებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს წარჩინებული მეომრის ნეშტთან. ბუნიკი, შესაძლოა, მცირე ან საშუალო ოფიცრის ინსიგნიას წარმოადგენს (გამორიცხული არ არის მას ალამიც ამშვენებდა).

### ზურტაკეტის სამარხი

1962 წელს ზურტაკეტში (დმანისის რ-ნი), ბრინჯაოს ხანის მე-4 ყორღანში აღმოჩნდა შუა საუკუნეების სამარხი ჩვენთვის საინტერესო ინვენტარით: „შიგ ქვაყრილში, სადაც იგი მთავრდებოდა და ქვამიწაყრილიანი იწყება, აღმოჩნდა ჩამკვეთი სამარხი, რომელშიც ნაპოვნია ცხენის რამდენიმე კბილი, რკინის ლაგამი, რკინის ჯაჭვის პერანგის ნატეხები, რკინის ისრის პირი, რაღაც კაუჭის მაგვარი ნივთი და სამად გაჭრილი მონეტა, კონსტანტინე X (1059-1067 წწ.)“ (ტაბ. III-2,3,4). „ძვლები ცუდად იყო შენახული და სამარხის დამხრობა და დამარხვის წესი ვერ დადგინდა“.<sup>73</sup>

<sup>72</sup> Н. Хоштариа. Средневековое погребение «Война», გვ. 133.

<sup>73</sup> ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ. 1969, გვ. 43; იხ. აგ-

ამრიგად, სამარხში აღმოჩენილი მონეტა სამარხის მეტ-ნაკლებად ზუსტ თარიღს (ყოველ შემთხვევაში მის ქველა ქრონოლოგიურ ზღვარს) გვაძლევს.

სამარხში ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება. ისევე, როგორც განის სამარხის შემთხვევაში, სამხედრო აღჭურვილობა საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, თუმცა თვალშისაცემად არასრულად. ვერ ვხედავთ ხმაღს, შუბს (შუბისპირს), ფარის დეტალებს და სხვ. მეომრის მშვილდოსნობაზე ერთადერთი ისრისპირი მიაჩნდება, მის მხედრობაზე – მხოლოდ ლაგამი. სავსებით აშკარაა, რომ მიცვალებულის დამკრძალავნი ამოკრებილი იარაღის ჩატანებით მეომრის სტატუსის წარმოჩენას, მისთვის სამხედრო პატივის მიგებას ცდილობდნენ და არა მის საიქიო დოვლათზე ზრუნავდნენ.

**ჯაჭვის პერანგი:** ჯაჭვის პერანგის ნაშთს ზურტაკეტის სამარხიდან ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა<sup>74</sup> (ტაბ. III-2,3). ნაქსოვი ზედაპირი კარგად იკითხება, თუმცა ნივთი ისე ცუდად არის შემონახული, რომ ქსოვის ტექნიკასა თუ სხვა დეტალებზე საუბარი არ ხერხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაჭვის პერანგი, საზოგადოდ ხშირი აღმოჩენების რიცხვს არ მიეკუთვნება, საქართველოში ჯაჭვის არაერთი ნიმუშია აღმოჩენილი, მათ შორის შუა საუკუნეების ხანისაც,<sup>75</sup> ურბნისის (V-VI სს.), ზურტაკეტის, დმანისის (XII-XIII სს.) ჯაჭვებს უნდა დავუმატოთ თორნიკე იოანე ერისთავის ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი, რომელიც ათონზე, ქართულ მონასტერშია დაუნჯებული.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, კერძოდ: X-XI საუკუნეებში ფრესკებსა და ჭედურ ხატებზე **ჯავშნის** (ფირფიტოვანი, ე. წ. ლამელარული აბჯრის) მრავალრიცხოვანი გამოსახულებები გვარწმუნებს, რომ აბჯრის ეს ტიპი აღნიშნულ პერიოდში უთუოდ კარგად იყო ცნობილი საქართველოში, თუმცა წერილობითი მონაცემების (გამონაკლისს იოანე დრასხანაკერტელის ცნობა წარმოადგენს) მიხედვით ჯავშანი, ჯაჭვის პერანგთან შედარებით, ნაკ-

---

რეთვე ლ. ჭილაშვილი. საქართველოს IV - XVIII სს. მატერიალური კულტურა. გამოფენის გზამკლავი. თბ. 1990, გვ. 22; ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1972, გვ. 31; ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. თბ. 1964, გვ. 96.

<sup>74</sup> კრემაცია ნაკლებად სავარაუდოა; სამარხში აღმოჩენილი ლაგამი სავსებით საღია.

<sup>75</sup> იხ. ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. თბ. 1964, 94-97; ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 30; ი. გაგოშიძე. პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. არქეოლოგიური ძიებანი. № 13-14. თბ. 2004, გვ. 131, 132;

ლებად ჩანს გავრცელებული. უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ V-XIII საუკუნეებში ქართველი მეომრის სულ მცირე 4 ჯაჭვია ჩვენთვის ცნობილი, ჯავშნის კი არც ერთი ნიმუში არ გვაქვს.

ჭელურ ხატებზე ჯავშნის ასეთი საყოველთაო გამოსახვა, ტექნოლოგიურსა და დეკორატიულ მიზეზებს უნდა მივაწეროთ; შედარებით მსხვილი, მკაფიო მოხაზულობის ჯავშნის ფირფიტების გამოსახვა უფერულ ჭელურ ხატებზე გაცილებით რეალისტური და შთამბეჭდავია, ვიდრე ჯაჭვის პერანგის გამომხატველი წერტილოვანი ორნამენტი.

### სწორი ხმლები ხევსურეთიდან და ცაგერიდან

ვფიქრობთ, X-XI საუკუნეებს შეიძლება კიდევ ორი სწორი ხმალი დავუკავშიროთ. პირველი ინახება სიმონ ჯანაშიას სახ. მუზეუმში, ისტორიის მიმართულების შუა საუკუნეების არქეოლოგიის კოლექციების განყოფილებაში (ტაბ. III-1). ხმალი მუზეუმში ხევსურეთიდან არის შემოსული.<sup>76</sup> ხმლის პირი გადატეხილია შუაში, თუმცა ლითონი მთლიანობაში ძალიან კარგად არის შემონახული.<sup>77</sup> ხმალი საკმოდ მასიური, სწორი და ორლესულია (პირის სიგრძე 97 სმ., სატარე ყუნწის სიგრძე 8.8 სმ., პირის მაქსიმალურ სიგანე 4.7 სმ., პირის სიგანე წვერთან: 3.8 სმ. პირის სისქე დაახ. 0,35 სმ.). ხმლის წვერი მომრგვალებულია. ვადიდან 22-31 სმ-ის მონაკვეთში ხმლის პირზე შესამჩნევია მცირე ნაქლიბი (სიგანე დაახ. 1 სმ. სიღრმე 0,5-0,7 მმ.) გამორიცხული არ არის, რომ ხმალს ამ ადგილას წარწერა ჰქონდა, რომელიც ამოუქლიბავთ.

ხმლის პირს ერთი თავისებური იერი აქვს. ხევსურეთის ხმალი ეჭვგარეშე, სწორ, ორლესულ ხმალს წარმოადგენს. თუმცა რაღაც პერიოდში ხმალი დიდი სიფრთხილით გადაუკეთებიათ: ცალი პირი, ვადიდან დაახ. 35 სმ-ის სიგრძეზე მცირედ ჩაქუჩით დაუბლაგვებიათ, „დაუყუებიათ“. პირი, როგორც ჩანს ასევე მცირედ გადაუღესავთ, რის შედეგად მისი ფორმა მოხრილ ხმალს დაუახლოვდა.

<sup>76</sup> ლ. ჭილაშვილი. საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა. გამოფენის გზამკლვეი. თბ. 1990, გვ. 22; იხ. აგრეთვე სქოლიო 25.

<sup>77</sup> ძალზე საყურადღებოა, რომ ხევსურეთის ხმლის პირზე სხმული ჯავარისათვის (ბულატისათვის) დამახასიათებელი მსხვილი ნახჭი შეინიშნება, რაც ნივთის სამეცნიერო მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. ჩვენი დაკვირვება მხოლოდ ნივთის ვიზუალურ დათვალიერებაზე არის დამყარებული, ამდენად, ცხადია, ამის დასადასტურებლად საჭიროა ნივთის გაწმენდა და საგანგებო მეტალურგიული კვლევის ჩატარება.

ხმლის ტარი შემორჩენილია დამოუკიდებელი Y-სებური ვადისა და ქულის სახით (მათი დამაკავშირებელი ხის (რქის ?) ტარი უნდა ყოფილიყო) ვადაცა და ქუდიც ორ-ორ ნახევარსფეროსებურ ნაწილად უნდა იყოს ნაჭველი და შემდგომში შედუღებული (თითბერით ?). ტარის ცალ მხარეს შემორჩენილია თეთრი ლითონის (ვერცხლი ?) ინკრუსტაცია, მარტივი ორნამენტი შედგება პარალელური და გადაჯვარებული ხაზებისგან (სურ. 5).

სიახლე არ არის, რომ ხევსურეთის ხმლის ვადა-ქულის მოყვანილობა ძალიან ჰგავს ვანის ხმლისას, თუმცა არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც: ვანისგან განსხვავებით, ხევსურეთის ხმლის ვადა კიდევში მომრგვალებულია, ვადის შუაწელში კი, ცალ მხარეს ქიმს ვხედავთ (მეორე მხარეს მოტეხილი უნდა იყოს). ამასთან, ხევსურეთისა და ვანის ხმლის პირები კარდინალურად განსხვავდება.

ხევსურეთის ხმლის მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად დათარიღებული ანალოგის მოძებნა რთული აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის მსგავსი ხმლის პირი დაცულია ცაგერში, ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიულ მუზეუმში (სურ. 6). სამწუხაროდ, ხმალს არა აქვს ტარი, ქარქაში ან რაიმე სხვა დეტალი, რომელიც მის დათარიღებაში დაგვეხმარებოდა.<sup>78</sup>

ხევსურეთის ორლესული ხმალი ძალიან ჰგავს X-XI საუკუნეების როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ხატებზე გამოსახულ იარაღს. ამის კარგი მაგალითია ცნობილი არბავილის ტრიპტიქი ლუერის კოლექციიდან (X ს-ის მიწურული – XI ს. პირველი ნახ.) (სურ. 7). პირის მოყვანილობით ხევსურეთის ხმალი ეხმიანება ასევე IX ს. არაბი სწავლულის ალ-ქინდის (Abū Yūsuf Yaqūb ibn Ishāq al-Kindī; დაახ. 801 – 873) ცნობას, იმის შესახებ, რომ ბიზანტიური მახვილები დამზადებულია რბილი რკინისგან. არის უღარო, თხელი, მოხდენილი აღნაგობისა და უბრალო.<sup>79</sup> მეორე მხრივ, თუ დადასტურდება, რომ ხმლის პირისთვის გამოყენებულია ჯავარი (ბულატი), ეს უფრო აღმოსავლური თუ ადგილობრივი წარმოების მიმანიშნებელი იქნება, ვიდრე – ბიზანტიურის.

ჩვენ *a priori* ვუშვებთ, რომ X-XI ქართული შეიარაღებისათვის ტონის მიმცემი სწორედ ბიზანტიის ძლევა მოსილი იმპერია იყო, რომელთანაც საქარ-

---

<sup>78</sup> ვ. ართილაყვა ხმლების ამ ჯგუფს ადრე ანტიკური და ანტიკური ხანით ათარიღებს. იხ. В. Артилаква. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб. 1976, გვ. 124. თუმცა, აღნიშნული ხმლის პირის ფორმა და სატარე ნახვრეტები ხევსურეთის ხმალთან ბევრ საერთოს პოულობს.

<sup>79</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. 1. Мечи и сабли IX – XIII вв. Л. 1966, გვ. 44.



თველოს მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობა აკავშირებდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მრავალრიცხოვან ქართულ ხატებსა და ფრესკებზე ხშირად ბიზანტიელი სტრატეგის შეიარაღების ელემენტებს ვხვდავთ. სამწუხაროდ, ამ პერიოდის ბიზანტიური საჭურველი ქართულ იარაღზე არანაკლებ იშვიათია – არსებითად, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ორ ხმალს, რომლებიც, შესაძლოა, შუა საუკუნეების ხანის ბიზანტიური ნაკეთობისა იყოს. პირველია ე. წ. კუბრატის ხმალი, რომელიც თარიღდება VII-VIII ს-ით (აღმოჩნდა 1912 წ-ს, უკრაინაში, სოფ. მალია პერეპეშინოსთან. ინახება ერმიტაჟში) (სურ. 8) და ხმალი, რომელიც დაცულია, გერმანიაში, ქ. ესენის კათედრალის საგანძურში (Dömschatz at Essen), თარიღდება X-XI საუკუნეებით<sup>80</sup> (სურ. 9). არც ერთი ხმალი ხევესურეთის მახვილს არ ჰგავს, არც პირის ფორმითა და არც შემკულობით. კუბრატის ხმალში ყურადღებას იქცევს მხოლოდ რუდიმენტული საკიდები (სურ. 8), რომელსაც X-XI საუკუნეებში უკვე გამოკვეთილად ვხვდავთ.

ხევესურეთის ხმალი განიერი ბრტყელი პირით, მომრგვალებული წვერით, დამახასიათებელი ტარის მოკაზმულობით ძალიან ჰგავს სტამბულის სამხედრო მუზეუმში (Istanbul Military Museum, თურქ. Askeri Müze) დაუნჯებულ ხმლების საკმაოდ დიდ ჯგუფს. სამწუხაროდ, ხმლების ეს ჯგუფიც არ არის დამაკმაყოფილებლად დათარიღებული. იარაღის ცნობილი მკვლევარი დ. ალექსანდერი (D. G. Alexander) სტამბულის სამხედრო მუზეუმის მდიდარი კოლექციიდან გამოჰყოფს ხმლების ორ ჯგუფს ე. წ. სოკოსებური ტარის ქუდებით (ჯგუფები XIV და XV). ხმლების პირველ ჯგუფს ახასიათებს ვადაჯვრის ბოლოების მომრგვალება ან სტილიზირებული ცხოველის თავის მოყვანილობა (სურ. 10,11). ამ ჯგუფის ზოგიერთ ხმალზე მოთავსებულია წარწერა ამირა იაბლუგას სახელზე, თუმცა მკვლევარის მოსაზრება, რომ ეს შეიძლება იყოს ქაიროს ათაბაგი იაბლუგა ათ-თამური (1361-1366 წწ.), ძალზე პირობითია.<sup>81</sup> აღსანიშნავია, რომ იგივე ავტორი ახსენებს სოკოსებურ ტარის ქუდს, რომელსაც დაახ. 1000 წლით ათარიღებს.

მკვლევარი ხმლებს ბიზანტიასა თუ ისლამურ რეგიონში დამზადებულად პროვინციულ ნაკეთობად მიიჩნევს. ვერსია, რომლის მიხედვითაც ასკერი მუ-

<sup>80</sup> Raffaele D'Amato. A Prôtospatharios, Magistros, and Strategos Autokrator of 11th cent.: the equipment of Georgios Maniakes and his army according to the Skylitzes Matritensis miniatures and other artistic sources of the middle Byzantine period. PORFYRA. N 4. 2005, გვ. 23.

<sup>81</sup> D. G. Alexander. European Swords in the Collections of Istanbul. Part 1. Swords from the Arsenal of Alexandria. Waffen und Kostümkunde. N 27. 1985, გვ. 87-90.

ზეუმის ხმლები დამზადებული უნდა იყოს ისლამურ რეგიონში, მაგრამ ბიზანტიური ნიმუშების წაბძვით, ჩვენ საყურადღებოდ გვეჩვენება.

ხმლების მეორე ჯგუფს, რომელსაც ახასიათებს ე. წ. „არშიანი“ ვადა (სურ. 12), მკვლევარი დიდი სიფრთხილით ჩრდილო აფრიკული თუ ესპანური წარმომავლობისად მიიჩნევს, XIV ს-დან.

აღსანიშნავია, რომ მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ბიზანტიურსა და ქართულ ხატებზე, გამოსახულია პირველი ჯგუფის მახვილების მსგავსი ხმლები. სამწუხაროდ, XI-XII საუკუნეების ბრწყინვალე ქართული ნიმუშების ნაცვლად, ავტორი XIV-XV საუკუნეების მდარე ნაკეთობას იმოწმებს, რაც, როგორც ჩანს, ხმლების XIV ს-ით დათარიღების ვერსიას უნდა ამყარებდეს.

ჩვენი აზრით, სტამბულში დაცული ხმლების მთელი რიგი ნიშნებისა – მსხლისებური ქუდი, ნახევარმთვარისებური ვადა, ვანისა და ხევესურეთის ტარის ანალოგიური კონსტრუქცია, XI-XII საუკუნეების ქართული და ბიზანტიური გამოსახულებები, ასკერი მუზეუმში დაცული ხმლების უფრო აღრეულ თარიღზე მიანიშნებს.

აღსანიშნავია, რომ X ს. - XI ს-ის დასაწყისში ევროპულ ე. წ. „რეინულ-დუნაიურ“ ტიპის მახვილებზე, ვანისა და ხევესურეთის ხმლების მსგავსი ნახევარმთვარისებური ვადა ჩნდება.<sup>82</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ სად გაჩნდა პირველად ასეთი ვადა, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა ამ სიახლეს ასე თუ ისე აღმოსავლეთს უკავშირებს. ცნობილი რუსი მკვლევარი ა. კირპინიკოვი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ვადის ფორმირებაში აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის როლის უარყოფა შეუძლებელია.<sup>83</sup> როგორც ცნობილია, X-XI სს. სლავებისა და ბიზანტიელების ურთიერთბა ძალზე მჭიდროა, ამდენად, ვფიქრობთ არ შეეცდებით, თუ ნახევარმთვარისებური ვადის გავრცელების კერის ძებნას ქრისტიანულსა თუ მუსლიმურ აღმოსავლეთში დავიწყებთ.

ხმლების დიდი და საინტერესო ჯგუფი დაცულია ასევე ტოპკაპი მუზეუმში, სტამბულში (The Topkapı Palace. თურქ. Topkapı Sarayı).<sup>84</sup> მათი

<sup>82</sup> ტიპები Y, Z, Z განსაკუთრებული პეტერსენისა (J. Petersen) და ა. კირპინიკოვის ევროპული ხმლის ვადების კლასიფიკაციის მიხედვით. იხ. А. Н. Кирпичников древнерусское оружие. I. Мечи и сабли IX - XIII вв. Л. 1966, გვ. 34.

<sup>83</sup> А. Н. Кирпичников древнерусское оружие. I. Мечи и сабли IX - XIII вв., გვ. 34.

<sup>84</sup> Abdel Rahman Zaku. Medieval Arab arms. Islamic Arms and Armour. Edited by Robert Elgood. London. 1979, გვ. 203-206.

უმეტესობა მუჰამედსა და პირველ ხალიფებს მიეწერება, ამრიგად VII-VIII საუკუნეებით თარიღდება, თუმცა პირების წარმომავლობასა და მათზე მოთავსებული წარწერების ავთენტურობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ასევე გვიანდელ ნაკეთობად მიიჩნევენ ხმლების ტარ-ქარქაშებსაც. ხევსურეთის ხმალთან მიმართებით საინტერესოა 2 ხმლის პირი, რომლებიც, ზედ მოთავსებული წარწერების მიხედვით ეკუთვნოდა უკანასკნელ აბასიდულ ხალიფას ალ-მუსტასიმს (1258 წლამდე) (სურ. 13). ხმლებზე მოთავსებული წარწერა ამ შემთხვევაში სრულიად არა მითიურსა და არა ეპიკურ პირს მოიხსენიებს, ამდენად, მასში ეჭვის შესატანად თითქოს საფუძველი არ არის. ხმლები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ხევსურეთის ხმლისაგან განსხვავებით, პირზე შუაში კუთხე – „ქელი“ გასდევს, რაც ხევსურეთის ხმლის ფორმის განვითარებას უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ არ ვცდილობთ ხევსურეთის ხმლის მაინცადამაინც იმპორტული პროდუქციად წარმოჩენას, თუმცა ქართული საბრძოლო იარაღის განვითარებაზე ბიზანტიისა და ისლამური სახელმწიფოების გავლენა უთუოდ გასათვალისწინებელია.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაღწია ხევსურეთის ხმლის ქარქაშმა, თუმცა თუ X-XI საუკუნეების გამოკვეთილი საკიდების მოდას თუ გავითვალისწინებთ, ასევე თუ მხედველობაში მივიღებთ ხევსურეთისა და ვანის ხმლების ვადა-ტარის იდენტურ კონსტრუქციას, სამართლიანი იქნება, თუ ხევსურეთის ხმლის ქარქაშს სწორედ ამგვარი საკიდებით წარმოვიდგენთ.<sup>85</sup>

#### ილუსტრაციების აღწერილობა:

სურ. 1. ხმალი კოლცო-გორას სამარხიდან (ჩრილოეთ კავკასია) (ვ. კამინსკი და ი. კამინსკაია-ცოკურის მიხედვით).

სურ. 2. საფლავის ქვები ახალსოფელსა და გოხნარიდან. გ. ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. (ავტორის ჩანახატი).

სურ. 3. გურჯაანის წმ. გიორგის ხატი. XIV-XV სს. (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით).

<sup>85</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ფრესკა-ჭედურობაზე გამოსახული ქარქაშების მიხედვით ქარქაშის ბუნიკის რეკონსტრუქციაც არის შესაძლებელი. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, X-XI საუკუნეებში «ножны... ..имеют металлический же наконецник, но не сплошной, а только по ребру ножен». იხ. Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Т I. Тб. 1959, გვ. 345.

სურ. 4. ქორეთი. წმ. ევსთატეს ნადირობის სცენა. XVI-XVII სს.

სურ. 5. მახვილი ხევესურეთიდან. ზარნიში ტარის ვადასა და ქუდზე (ავტორის ჩანახატი).

სურ. 6. მახვილი. განვითარებული შუა საუკუნეები (?). ვ. მახარობლიძის სახ. ცაგერის ისტორიული მუზეუმი.

სურ. 7. არბაველის ტრიპტიქი. ბიზანტია. X ს-ის მიწურული - XI ს. პირველი ნახ. ლუვრი.

სურ. 8. ე. წ. „კუბრატის“ ხმალი. ბიზანტია (?). VII-VIII სს. ერმიტაჟი.

სურ. 9. მახვილი. ბიზანტია (?). X-XI სს. ესენის კათედრალის საგანძური.

სურ. 10, 11, 12. მახვილები. სტამბულის სამხედრო მუზეუმი.

სურ. 13. მახვილები. 1258 წლამდე. სტამბულის ტოპკაპის მუზეუმი.

**ტაბ. I.** ვანის სამარხის ინვენტარის ნაწილი: ხმალი (07:1-57:313), დროშის ბუნიკი (07:1-57:319), ორი ისრისპირი (07:1-57:316, 318), ორი პირგანპებული ისრისპირი (ბოძალი) (07:1-57:314, 315), ორი ჭვირული ფირფიტა (07:1-57:322) (ავტორის ფოტო).

**ტაბ. II.** განვითარებული შუა საუკუნეების ხმლები ძველი ქართული ჭედური ხატების, ფრესკების, ბარელიეფების მიხედვით<sup>86</sup>.

1. კვაისა-ჯვარი, ბარელიეფი ტბელი ერისთავის შვილების გამოსახულებით, X ს. II ნახ. (ნინო ჩოფიკაშვილის მიხედვით)

2. შემოქმედის ჭედური ხატი, გარდამოხსნა, დატირება, X ს.

3. საფლავის ქვები სოფლებიდან – ახალსოფლიდან (ბზა) და გოხნარიდან (აბიკვი), X ს. – XI ს-ის დასაწყისი.

4. ჭედური ხატი ხირხონისიდან. ზედა წმინდა მხედარი (წმ. გიორგი (?)) X ს. (ვ. ართილაყვას მიხედვით).

5. ჭედური ხატები მრავალძალიდან, ქვეითი წმ. გიორგი და ქვეითი წმ. თევდორე, X ს-ის დასარული – XI ს-ის დასაწყისი.

---


<sup>86</sup> აღსანიშნავია, რომ ჭედური ხატების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გამოყენებულია ტაბულაში, განადგურდა ანტირელიგიური მოძრაობის პერიოდში XX ს-ის 20-იან წლებში. გრაფიკული ჩანახატები შესრულებულია გ. ჩუბინაშვილის წიგნში დაცული ფოტოსურათების მიხედვით. იხ. Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Тб. 1959.

6. ჭედური ხატი ჩუკულიდან, წმ. გიორგი დაახ. 1000 წ.
7. ჭედური ჯვარი სამთავისიდან, წმ. თევდორე (?), დაახ. 1030 წ.
8. ნიკორწმიდა, წმ. გიორგის რელიეფი ტიმპანზე, წმ. გიორგის რელიეფი აღმოსავლეთ ფასადზე, 1014 წლამდე.
9. მრავალძალის (ფარახეთის) ჭედური ხატი, წმ. გიორგი, X ს-ის მიწურული – XI ს.
10. ჭედური ხატი ჯუმათიდან (ერისთავთერისთავის ვარდან ვარდანის ძის მიერ შეწირული) XI ს. (ვ. ართილაყვას მიხედვით).
11. იფარარი, მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, მიქაელ მთავარანგელოზის ხმალი, 1096 წ.
12. ჭედური დროშის თავი სვანეთიდან, XII ს.
13. ლაგურკა, წმ. ივლიტესა და კვირიკეს ეკლესია. წმ. ივლიტეს მარტივილობის ფრესკა, 1111 წ.
14. მაცხვარიში, ფრესკა დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის გამოსახულებით, წმ. გიორგის ფრესკა, 1140 წ.
15. ტიმოთესუბანი, წმ. მეომრების ფრესკები, 1205-1215 წწ.
16. ბეთანია, ლაშა გიორგის ფრესკა, 1207-1213 წწ. (ნ. ჩოფიკაშვილის მიხედვით).
17. ბერთუბანი, ლაშა გიორგის ფრესკა, XIII ს-ის დასაწყისი (ნ. ჩოფიკაშვილის მიხედვით).
18. აჭი, წმ. გიორგის ფრესკა, XIII ს. მიწურული.
19. ლაშთხვერი, მიქაელ მთავარანგელოზისა და წმ. დემეტრეს ფრესკა, XIV ს.
20. ლალამი, შალვა ქირქიშლიანის ფრესკა, XIV ს-ის II ნახევარი (ნ. ჩოფიკაშვილის მიხედვით).
21. უბისა, წმ. მეომრის ფრესკა, XIV ს. დასაწყისი.


**ტაბ. III.** ხმალი ხევსურეთიდან და ზურტაკეტის სამარხის ინვენტარის ნაწილი.

1. მახვილი ხევსურეთიდან (ავტორის ფოტო).
2. ჯაჭვის პერანგის ნაშთი ზურტაკეტის სამარხიდან (ავტორის ფოტო).
3. მონეტა (მულაჟი) და ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი ზურტაკეტის სამარხიდან (ავტორის ფოტო).
4. ლაგამი ზურტაკეტის სამარხიდან (ავტორის ფოტო).

ილუსტრაციები:



სურ. 1




სურ. 2




სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7






სურ. 8




სურ. 9

ირაკლი ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის  
(არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით)

---




სურ. 10



სურ. 11.




სურ. 12




სურ. 13

ირაკლი ბაქრაძე. X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის  
(არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით)




ტაბ. I.



ტაბ. II





ტაბ. III.

*Irakli Bakradze*

**ARMS AND ARMORY OF GEORGIAN WARRIORS DURING THE  
10<sup>TH</sup> - 11<sup>TH</sup> CC.  
(ACCORDING TO THE ARCHAEOLOGICAL AND WRITTEN  
SOURCES)**

Summary

The present research reviews the arms and armory of Georgian warriors during the 10<sup>th</sup> - 11<sup>th</sup> cc. The research is mainly based on the most reliable sources as archaeological artefacts. In addition, various written and visual sources and images are used that help to identify purpose and date of archaeological items.

The research gives detailed descriptions of inventories of two barrows of Vani and Zurtaketi, which are rich with arms and armory that could be definitely dated as 10<sup>th</sup> - 11<sup>th</sup>cc. Also, the research reviews the swords from Khevsureti and Tsageri, which are considered to be of the same period. The curve blade of Vani sabre and its specific construction of hilt are well interacted into the evolution of common structure of sabres.

The opinion was expressed regarding the ornamental plates found in Vani barrow. According to the Georgian medieval visual sources and North Caucasian archaeological artefacts, plates are assumed to be decorative elements of sabre scabbard. The period of usage of above items is approximately X-XII cc.

Due to the specificity of hilt of Vani sabre (straight, parallel of sabre blade) the opinion was expressed regarding the local production of the sabre. The process of transformation of the sabre in the region was inspired by Nomadic tribes though was based on local traditions of sword production (straight double blade sword).

Also, it was noted that some specifications of arrow heads found in Vani barrow could be typical to 10<sup>th</sup> - 11<sup>th</sup> cc. The period of spreading of sabre in Georgia was identified. The following facts give assumption that the sabre was actively used in Georgia since 10<sup>th</sup> - 11<sup>th</sup> cc.: sabre from Vani barrow, bas-

reliefs of greavestone of Gokhnari and Axalsopeli villages, frescos of Matskhvarishi Church. During the same period the word „Khmali“ was changed by new word „Makhvili“ (the translate of both words in English is sword or sabre).

During the research it has been also identified the following: the numerous images of straight sword and lamellar armours on frescos and icons should most describe the existing reality. According to the archaeological and written sources chain mail and sabre seem to be the main type of arms in the researched period.



*გაბა სამუშია*

### ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ

არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რუკა ერთობ ჭრელი აღმოჩნდა. X საუკუნის დასაწყისში რეგიონში თითქმის ორ ათეულამდე სამეფო-სამთავრო-საამირო ჩამოყალიბდა.<sup>1</sup> თავიდანვე ასეთი მრავალფეროვნება ნამდვილად არ უქადა კავკასიას სტაბილურობას. როგორც ყოველთვის ხდებოდა, ამჯერადაც, ძლიერმა თანდათან დაიწყო სუსტი პოლიტიკური ერთეულების შთანთქმა და უკვე XI საუკუნის დასაწყისში რეგიონში გამოიკვეთა ძირითადი მოთამაშეები – „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ სამეფო, განძის ამირა ანუ „არანის პატრონი“, ანისის სამეფო, ტაშირ-ძორაგეტის სამეფო. ამას გარდა, კავკასიაში არსებობდა შედარებით მცირე პოლიტიკური ერთეულები, რომელთაც მოკრძალებული ამბიციები ჰქონდათ და სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ერთიანდებოდნენ.

ასეთი იყო რეალობა XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფომ შეიერთა კახეთ-ჰერეთი და თავისი საზღვარი კიდევ უფრო გადასწია აღმოსავლეთით.<sup>2</sup> ამ მოვლენამ ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა წარმოქმნა კავკასიაში. თუ აქამდე განძის საამირო და „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფო უშუალო მეზობლები არ იყვნენ, ამიერიდან ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს საერთო საზღვარი გაუჩნდა. არანის ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვარი, ხოლო ჰერეთის სამხრეთ

---

<sup>1</sup> ვ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეში. თბ. 1975, გვ. 19-32.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. მეფე ბაგრატ მესამე. ქუთ. 2002, გვ. 47; ა. ბოგვერაძე. ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთისა და კახეთის შემოერთების ისტორიიდან. კრებ.: „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“. თბ. 1991, გვ. 189-198; Г. Г. Мкртумян. Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией. Ер. 1983, გვ. 104-106.

და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარი მდინარე მტკვარზე გადიოდა.

განძის ამირას, ფადლონს, თავისი აგრესიული პოლიტიკით შეწუხებული ჰყავდა კავკასიის სახელმწიფოები. როგორც ჩანს, კახეთ-ჰერეთში ახალი ხელისუფლების დამკვიდრებას სათანადო ანგარიში არ გაუწია „არანის“ გამგებელმა და ისევ განაგრძო ამ პროვინციების რბევა. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ „მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისაჲ, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად. ხოლო იხილა რაჲ დიდმან მეფემან ბაგრატ კანდიერება მისი, დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურითა...“<sup>3</sup> მემატიანის ეს ცნობა ყოვლისმთქმელია. შემთხვევითი არ არის, რომ განძის ამირა ქართული პროვინციების დასაპყრობად მასშტაბურ სამხედრო აქციას კი არ ახორციელებდა, არამედ მხოლოდ „მეკობრეობდა“. ფადლონი, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ დაპყრობაზე განძას საბოლოოდ უარი უნდა ეთქვა და მხოლოდ ასეთი „ჟამითი-ჟამად... პარვით რბევად“ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მთლიანად მოკვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ განძის ამირა, მიუხედავად ამისა, აშკარად ძველი პოლიტიკური რეალობით მოქმედებდა. მას ახალი ვითარება მაინცდამაინც კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი. დასუსტებული კახეთ-ჰერეთის ნაცვლად 1008-1010 წლებიდან მისი მეზობელი გახდა კავკასიაში ყველაზე დიდი სახელმწიფო. ბაგრატ III-ის მიერ კახეთისა და ჰერეთის შემოერთების შემდეგ ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები უკვე ერთიანი საქართველოს ხელისუფალთა ინტერესების ქვეშ მოექცა. ამიტომაც აშკარა შეცდომა იყო განძელთა მხრიდან წლების წინათ აღებული სამხედრო-პოლიტიკური კურსის გაგრძელება. სულ მცირე, რაც ფადლონს უნდა გაეკეთებინა, კორექტივები უნდა შეეტანა „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ სამეფოსთან ურთიერთობაში. ყოველ შემთხვევაში, ახალი რეალობა ამის საწინდარი უნდა გამხდარიყო. მაგრამ, ჩვენი აზრით, ფადლონი სხვა რამის გამო იყო ასე რადიკალურად განწყობილი ბაგრატ III-ისადმი. მის მიერ მოწყობილ მარბიელ ლაშქრობებში უნდა დავინახოთ კახეთ-ჰერეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლის გამო გამოწვეული ერთგვარი პროტესტი. არანში ხვდებოდნენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ განძისა და საქართველოს ინტერესები უცილობლად გადაიკვეთებოდა. ამიტომაც ფადლონმა ერთგვარ პრევენციას მიმართა. ისიც უნდა ითქვას, რომ 1010-1011 წლებისთვის ასეთი დაპირისპირება ყველაზე

<sup>3</sup> მატიანე ქართლისაჲ. წიგნ.: ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 272.

მეტად ბაგრატ III-ისთვის არ იყო ხელსაყრელი. მას ჯერ კიდევ კახეთ-ჰერეთში ჰქონდა საქმეები დასალაგებელი და ამ მნიშვნელოვან მოვლენას განძაზე ნაუცბადვე ლაშქრობას არ გადააყოლებდა. ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ განძაზე ლაშქრობის ინიციატივა ქართული მხრიდან არ წამოსულა. მემკვიდრეთაგან სწორედ ისე ჩანს, რომ კონფლიქტის კატალიზატორი ფადლონია, რაზეც ბაგრატ III-მ სათანადო პასუხი გასცა. აქვე მოვლენებს გავუსწრებთ და იმასაც ვიტყვით, რომ ამ ლაშქრობის შედეგები ქართულმა მხარემ მშვენივრად გამოიყენა. ბაგრატ III საკმაოდ გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო და კარგად ესმოდა, რომ კახეთ-ჰერეთს ვერ შემოიერთებდა საბოლოოდ, თუ განძის ამირას ამ მარბიელ ლაშქრობებს არ ამოძირკვავდა. ამ ორი ქართული პროვინციის მცხოვრებთ ერთიან საქართველოში ცხოვრების სიკეთე პირდაპირ უნდა დაენახათ. ასეთი ვითარება რომ გაგრძელებულიყო, ეს ბაგრატ III-ს მაიცდამანც სახარბიელო მდგომარეობაში არ ჩააყენებდა. რა გამოდიოდა? კახეთ-ჰერეთს არბევდნენ და ცენტრალური ხელისუფლება ამაზე აქტიურ ქმედებებს არ ახორციელებდა. ამ რეალობის შენარჩუნება ბაგრატ III-ის ოპონენტების წისკვილზე ასხამდა წყალს. ის ფეოდალები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ კახეთისა და ჰერეთის „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოსთან შეერთებით, ამ ფაქტს მშვენივრად გამოიყენებდნენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განძელთა „ასეთ ქმედებაზე ბაგრატ III-ის მყისიერი რეაგირება იმით უნდა იყოს ნაკარნახევი, რომ მას სურდა სამაგალითოდ დაესაჯა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც კახეთსა და ჰერეთს ავიწროებდა და ამით, უპირველესად, ჰერელებისა და კახელებისთვის ეჩვენებინა, რომ მათ ძლიერი პატრონი გამოუჩნდათ“.

ასეთი იყო ის რეალობა, რომელიც განძის საამიროს წინააღმდეგ ლაშქრობას უძღოდა წინ. ამ ერთგვარი შესავლით მოვლენებს თითქოს გავუსწარით. სანამ სამხედრო მოქმედებებს აღვწერთ, მოკლედ მიმოვიხილავთ განძის საამიროსა და შადადიანების ისტორიას.

ქალაქი განძა – ანუ თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით – განჯა დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, არც ისე შორს საქართველოს საზღვრიდან. საბაჟო-გამშვები პუნქტიდან განჯამდე 130 კილომეტრამდეა, მაგრამ განძის საამიროსთან საქართველოს საზღვარი გაცილებით ახლოს გადიოდა. დღესაც კი დედოფლისწყაროს რაიონთან (ისტორიული ჰერეთი) განჯას 30-40 კილომეტრი აშორებს. განჯა საკმაოდ მოზრდილ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს, რომლის მო-

სახლეობა 350 ათასს აღემატება. მაგრამ ეს ახალი დასახლებაა. ძველი ქალაქი ოდნავ მოშორებითაა, ჩრდილო-აღმოსავლეთით 6-7 კილომეტრში.<sup>4</sup> გეოგრაფიული მდებარეობით განძა ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ კავკასიის ვაჭრობაში, იგი ირანისკენ და შემდეგ შუა აზია-ინდოეთ-ჩინეთისკენ მიმავალ მაგისტრალზე მდებარეობდა. განძა არანის პროვინციის მთავარ ქალაქს წარმოადგენდა. ეს რეგიონი მდინარე მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა და მოიცავდა ისეთ ქალაქებს, როგორც იყო განძა, შამქორი, ბარდავი.<sup>5</sup>

კავკასიაში არაბთა ბატონობის პერიოდში განძა სახალიფოს ერთ-ერთ ქალაქს წარმოადგენდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ეჭირა გამორჩეული ადგილი. მისი დაწინაურება უფრო სახალიფოს დაშლისა და კავკასიაში ადგილობრივი ნახევრად დამოუკიდებელი საამიროების წარმოქმნას ემთხვევა. ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ვ. ბარტოლდი მიიჩნევს, რომ საერთოდ ამ ქალაქის დაწინაურება დაიწყო 943-944 წლებში არანზე რუსთა შემოსევის შემდეგ, რომელსაც შეეწირა ამ რეგიონის მთავარი ქალაქი ბარდავი და რომლის ადგილიც მოგვიანებით დაიკავა განძამ.<sup>6</sup>

მთელი VIII-IX საუკუნეების განმავლობაში არაბი ხალიფას წარმომადგენელი ჯერ დვინში, ხოლო მოგვიანებით ბარდავში იჯდა.<sup>7</sup> IX საუკუნიდან დვინს ფლობდნენ საჯიანები და სალარიანები. 951-952 წლებში დვინი ხელში ჩაიგდო ქურთული წარმოშობის დინასტიის, შადადიანების წარმომადგენელმა მუჰამედ ბ. შადადმა. ეს იყო პირველი შადადიანი, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანს, თუმცა მისი ცხოვრება ტრაგიკული აღმოჩნდა.<sup>8</sup> მან ვერ მოახერხა დვინის შენარჩუნება და სიცოცხლე დევნილობაში გაატარა. მუჰამედს სამი ვაჟი ჰყავდა, რომლებიც მამის გარდაცვალების შემდეგ სხვადასხვა საამიროს მმართველთა სამსახურში ჩადგნენ.

X საუკუნის შუა ხანებში შადადიანები განძაში ჩადიან და ადგილობრივი გამგებლის, ალი ალ-თაზის სამსახურში დგებიან. სომეხი მემატანე ვარდანი მოგვითხრობს, რომ „... (შადადიანები) დაუნათესავდნენ განძაკის ამი-

<sup>4</sup> М. М. Альтман, Исторический очерк города Ганджи. Часть I. Баку 1949, გვ. 8.

<sup>5</sup> არანის ისტორიული გეოგრაფია განხილულია თ. პაპუაშვილის მონოგრაფიაში – პერეთის ისტორიის საკითხები. თბ. 1970, გვ. 218-221. В. Бартольд. Арран. Собрание сочинений в 9 томах. Т. III. М. 1965, გვ. 334-335.

<sup>6</sup> В. Бартольд. Ганджа, გვ. 405.

<sup>7</sup> პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 55.

<sup>8</sup> V. Minorsky. Studies in Caucasian history. Cambridge University Press. 1957, გვ. 33-35; პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 56-57.

რა ალაზიზს (იგივე ალი ალ-თაზი), მოკლეს ის, აიღეს განძაკი და გაბატონდნენ იქ“.<sup>9</sup> პავლე თოფურია არაბულ წყაროზე დაყრდნობით დაწვრილებით აღადგენს განძაში შადადიანების დამკვიდრების ისტორიას. როგორც ირკვევა, დასაწყისში შემდგარა ფარული მოლაპარაკება განძის მოსახლეობასა და შადადიანებს შორის. ამ პროცესს ხელმძღვანელობდა ქალაქის ცნობილი რაისი, აბრეშუმით მოვაჭრე იუსუფ ალ-ყაზაზი, რომელიც თავისი მომხრეებით აქტიურ როლს ასრულებდა განძის საქალაქო ცხოვრებაში.

შემუშავებული გეგმის მიხედვით, როგორც კი შადადიანები განძას მიაღებოდნენ, იუსუფ ალ-ყაზაზი და მისი მიმდევრები გაალებდნენ ქალაქის კარს, დააპატიმრებდნენ ქალაქის ვალს და გადასცემდნენ განძას შადადიანებს. ასეც მოხდა. რაისმა იუსუფ ალ-ყაზაზმა მოუწოდა ქალაქის ფითიანებს. მათაც არ დააყოვნეს, აისხეს იარაღი, მიაღებენ მმართველის სახლს, შეიპყრეს იგი და განძა ალ-ლაშქარი ბ. მუჰამედ შადადიანს გადასცეს. ეს მოხდა 860-971 წლებში.<sup>10</sup> სამხრეთ კავკასიის საამიროებთან ბრძოლაში შადადიანებმა მოახერხეს ქალაქის შენარჩუნება. 978 წლამდე განძას მუჰამედის ერთ-ერთი ვაჟი, ალ-ლაშქარი, მართავდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა შუათანა მამ, მარზუბან ბ. მუჰამედმა, რომელიც მემატანის დანასიათებით, არ გამოირჩეოდა გონიერებითა და მისი მმართველობა მძიმე ტვირთად აწვა ქალაქის მოსახლეობას. ამან გამოიწვია დაპირისპირება მარზუბანსა და განძის მმართველ ელიტას შორის. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა პოზიცია დაიკავა მარზუბანის უმცროსმა მამ ფადლი ბ. მუჰამედმა. შეთქმულებმა განძის ამირა ნადირობისას მოკლეს. წყაროები ყოველივე ამის წარმმართველად სწორედ ფადლონს ასახელებდნენ.<sup>11</sup> ეს მოხდა დაახლოებით 985 წელს. აქედან მოყოლებული, ფადლი ბ. მუჰამედი თითქმის 46 წელი, 1031 წლამდე, მართავდა განძის საამიროს.

ფადლონი თავიდანვე გამოირჩეოდა ენერგიულობითა და შემართებით. იგი საამიროს გაფართოება-განმტკიცებისთვის დაუცხრომლად იბრძოდა და, ფაქტობრივად, განძის საამირომ მისი მმართველობის დროს შეეძლო არა მარტო არანის, არამედ სხვა მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიების დამორჩილება.<sup>12</sup> 994 წელს მან დაიკავა ქალაქები – ბაილაკანი და ბარდავი,

<sup>9</sup> ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბ. 2002, გვ. 123.

<sup>10</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 63.

<sup>11</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 66.

<sup>12</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 66.

რითაც საზღვარი კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადაიწია. მოგვიანებით ხელთ იგლო დვინიც. განძის ამირას გაძლიერებით შეწუხებული იყო მეზობელი სახელმწიფოები, „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ მეფე ბაგრატ III, ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით I „უმიწაწყლო“ (989-1048 წწ.), ანისის მეფე გაგიკი (გარდ. 1017 წ.). ყველა მათგანთან ფაფქი ბ. მუჰამედს კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა.

### განძის ამირას წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შექმნა

კახეთისა და ჰერეთის მიმართულებით წარმოებული მარბიელი ლაშქრობები, მართალია, თავისი მასშტაბებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ამის უყურადღებოდ დატოვება, როგორც ითქვა, არ შეიძლებოდა. ბაგრატ III საკმაოდ რეალურად აფასებდა არსებულ ვითარებას, განსაკუთრებით მოწინააღმდეგის, განძის ამირას, შესაძლებლობებს. ამიტომაც, ქართველთა მეფემ არ იჩქარა და რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების სათავისოდ გამოყენება სცადა. მან დამოუკიდებლად კი არ დაიწყო განძის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ დასაწყისში ფაფქონის მტრების გაერთიანება სცადა. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა გვაფიქრებინებს, რომ განძაზე ლაშქრობას წინ უძღოდა დიდი დიპლომატიური სამუშაო. მემატინე მოგვითხრობს: „ხოლო იხილა რაჲ დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერებაჲ მისი, დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურითა. განემზადა ყოვლითა სპითა მისითა, წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა, სომეხთა მეფისა; აწჳა, რაჲთა იდიოს შური ფაფქონისგან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა დიდითა, მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“.<sup>13</sup> განძის ამირას წინააღმდეგ კოალიციის შექმნას რამდენიმე თვე დასჭირდებოდა. ჩანს, ფაფქონს გამორჩა ქართულ-სომხური ფარული მოლაპარაკება, ყოველ შემთხვევაში, მისი მხრიდან რაიმე აქტიური მოქმედება ლაშქრობის წინ არ ჩანს.

გაგიკ შაჰინშაჰის მონაწილეობა სამხედრო კოალიციაში აბსოლუტურად გასაკებია. X საუკუნის II ნახევრიდან ფაფქონის დარტყმის ობიექტი სომხური მიწები იყო. მათ შორის ის პროვინციები, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდნენ ანის-შირაკის მეფეები. განძის ამირა ჯერ კიდევ X საუკუნის მი-

<sup>13</sup> მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება, გვ. 272.

წურულს აქტიურად იბრძვის ფარისოსის პროვინციის შემოერთებისთვის.<sup>14</sup> ჯერ კარგი ურთიერთობა დაამყარა მმართველ ფილიპესთან, ხოლო შემდეგ შეიპყრო იგი და პროვინციის ტერიტორიის ნაწილი დაიკავა.<sup>15</sup> აშკარაა განძის ამირას სურვილი, გაეფართოვებინა თავისი სამფლობელოს საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით, სადაც იგი ანისის მეფეთა ინტერესებს ეჯახებოდა. აი, სწორედ ამიტომაცაა გაგიკი შაჰინშაჰი ბაგრატ III-ის მოკავშირე. სომეხი მემკვიდრე ვარდანს საინტერესო ცნობას იძლევა: ფადლონი „ამგვარად გაძლიერდა და დაეუფლა ხაჩენს, გოროზს, სევორდელებს, თავს დაესხა ძორაგეტის მეფე გაგიკს, ალბანთა მეფე კვირიკეს და ქართველთა მეფე ბაგრატს და შეავიწროვა ისინი, დაეუფლა აგრეთვე ღვინს და დაადო სომხებს ხარკი“.<sup>16</sup> ტექსტიდან ისე ჩანს, რომ ეს გაგიკი „ძორაგეთის მეფეა“, ამ დროს კი ამ სახელის მონარქი ტაშირ-ძორაგეთში არ ჩანს. ზოგიერთ მკვლევარს შეცდომით მიაჩნია, რომ ეს „გაგიკ ძორაგეთის მეფე“, შესაძლებელია, ერთი ლოკალური, მცირე სამფლობელოს მმართველი იყო.<sup>17</sup> მაგრამ თუ ამ გაგიკის სახით ანისის მეფეს ვიგულისხმებთ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. შესაძლებელია, მათიანის ეს მონაკვეთი გვიანდელი ხანის გადამწერების მიერ იყოს შერყვნილი და რაღაც აკლდეს. ფადლონს მტრული ურთიერთობა ჰქონდა გაგიკ შაჰინშაჰთან, ბაგრატ III-სთან და ტაშირ-ძორაგეტის მეფე გურგენტან (978-989), რომელსაც ზოგჯერ კვირიკესაც უწოდებდნენ.

„მატიანე ქართლისაჲ“ არაფერს ამბობს ამ კოალიციაში მესამე სუბიექტის არსებობაზე. არადა, მოვლენების თანამიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ III-ისა და გაგიკ I-ის გვერდით ამ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიეღო ტაშირ-ძორაგეტის მეფესაც, მაგრამ ქართული წყაროს ამ დუმბილს თავისი ახსნა მოეძებნება.

X საუკუნის II ნახევარში ტაშირ-ძორაგეტი ანისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. სომეხმა ბაგრატიუნებმა ქვემო ქართლის ანექსია ჯერ კიდევ IX საუკუნეში მოახერხეს. 977 წელს ანისის მეფის, აშოტ III-ის, გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა სუმბატ II-მ. ამ დროს სამე-

<sup>14</sup> ფარისოსი ანუ მიაფორი – ისტორიული გავარი სომხეთში. IX საუკუნიდან შედიოდა ანის-შირაკის სამეფოში. ითვლებოდა ალვანთა კათალიკოსის რეზიდენციად. ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია, გვ. 216; К. Н. Юзбашян. Армянские государство эпохи Багратидов и Византия. IX-XI вв. М. 1988, გვ. 72. შენ. 13.

<sup>15</sup> ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია, გვ. 123-124.

<sup>16</sup> ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია, გვ. 124.

<sup>17</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 192-193.

ფო ჯერ კიდევ ერთიანობას ინარჩუნებდა, მაგრამ მალე სუმბატს განუდგა მისი ძმა, ტაშირის ოლქის გამგებელია გურგენი და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ტაშირ-ძორაგეტის ბაგრატუნების საგვარეულოს.<sup>18</sup>

ანისის მეფეები არ ეგუებოდნენ ტაშირ-ძორაგეტზე თავისი გავლენის დაკარგვას. 989 წელს გურგენ-კვირიკე ბერად აღიკვეცა. ტაშირ-ძორაგეტის მეფე მისი უფროსი ვაჟი, დავითი გახდა, მეტსახელად „ანჰოლინი“ (უმიწაწყლო).<sup>19</sup> ამავე წელს ანისის სამეფოშიც მოხდა ცვლილება. სუმბატ II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძმა გაგიკ I (989-1017 წწ.). ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა და, უპირველესად, ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად 1001 წელს დავით „უმიწაწყლოს“ წინააღმდეგ გაილაშქრა და სამი თვე დაჰყო ტაშირ-ძორაგეტში. იგი თავს დაესხა სამშვილდეს და „ქართველთა ველს“. ეს ტერიტორია დავითის სამფლობელოში შედიოდა. ბიძა-ძმისწულს შორის მოლაპარაკება პატრიარქმა სარქისმა წარმართა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ დავითი გაგიკს უნდა დამორჩილებოდა.<sup>20</sup> ამდენად, განძის ამირას წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შედგენისას დამოუკიდებელი ტაშირ-ძორაგეტის სამეფო აღარ არსებობდა. ეს მხარე ანის-შირაკის ბაგრატუნთა სამფლობელოს წარმოადგენდა. ამიტომაც წყაროში არ იხსენიება დავით „უმიწაწყლო“. ქართველი მემატიანე მშვენივრად ერკვევა მიმდინარე მოვლენებში. მიუხედავად იმისა, რომ დავითი ამ დროს ცოცხალი იყო, კოალიციას ორი თანასწორი პარტნიორი ჰყავდა – გაგიკ I და ბაგრატ III. სხვათა შორის, ნიშანდობლივია ერთი ფაქტი. მოგვიანებით ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში განძის ამირას ფადლონის წინააღმდეგ კიდევ ერთი კოალიცია შედგა, რომლის ინიციატორები იყვნენ ლიპარიტ ბაღვაში და ივანე აბაზასძე. მოკავშირეებში დასახელებულნი არიან „დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე“, „დავით სომეხთა (ტაშირ-ძორაგეტის) მეფე“ და „ჯაფარ ამირა ტფილელი.“<sup>21</sup> ამ შემთხვევაში დავითის დასახელება გასაგებია. 1017 წელს, გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ტაშირ-ძორაგეტის მეფეებმა დამოუკიდებლობას მიაღწიეს და ამ სამეფოს მმართველები ცალკე სუბიექტად გვევლინებიან. ბაგრატ III-ის დროს კი არ გამოვ-

<sup>18</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 2001, გვ. 89-99.

<sup>19</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 101.

<sup>20</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 103-104.

<sup>21</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 280.



რიცხვით დავით „უმიწაწყლოს“ მონაწილეობას განძის წინააღმდეგ კოალიციაში, თუძცა მას ცალკე სტატუსი არ ჰქონდა, მისი ლაშქარი ანის-შირაკის ერთიანი მხედრობის ნაწილი იყო და მისი მოუხსენიებლობაც ამით უნდა აიხსნას. ყოველივე ზემოთქმულს ის გვაფიქრებინებს, რომ მოკავშირეთა შეკრების ადგილი ძორაგეტია, რომელიც უშუალოდ დავით „უმიწაწყლოს“ გავლენის ქვეშ მყოფი პროვინცია იყო. ამიტომაც შეუძლებელია დავითი ამ პროცესების მიღმა დარჩენილიყო, მით უმეტეს, რომ ფადლონი მის სამფლობელოსაც უქმნიდა საფრთხეს.

### სამხედრო მოქმედებათა

#### დასაწყისი და შამქორის გარემოცვა

„მატიანე ქართლისაჲ“ ცნობით, ქართველთა მეფის, ბაგრატ III-ის და ანისის მეფის გაგიკ I-ის შეხვედრის ადგილი ყოფილა ძორაგეტი. ქართული ლაშქარი სამხრეთ საქართველოში უნდა შეკრებილიყო, საიდანაც ქვემო ქართლის გავლით ძორაგეტში ჩავიდოდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს შეკრების ადგილად ამ პროვინციის არჩევაც. ძორაგეტიდან პირდაპირი გზა იღო ფარისოსის გავლით განძისკენ. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარისოსი ამ დროს ფადლონის გავლენის ქვეშაა, უკვე ადვილი ასახსნელია სამხედრო კამპანიის დარტყმის მიმართულება.

მოკავშირეებმა გეზი განძისკენ აიღეს. ამირა ფადლონს დასაწყისში უცდია წინ აღდგომოდა ქართულ-სომხურ კოალიციას, მაგრამ „ვითარ იხილა ძალი მათი უძლეველი, შეშინდა, წარვიდა და მიმართა სიმამრეთა შესლვად“.<sup>22</sup> დასაწყისშივე უპირატესობა მიღწეული იყო. განძის ამირამ ბრძოლაზე უარი განაცხადა და აქტიურ თავდაცვით პოლიტიკას მიმართა. მართალია, „მატიანე ქართლისაჲ“ შამქორის ციხე-ქალაქამდე არც ერთ გამაგრებულ ადგილს არ ასახელებს, რომელიც კოალიციამ აიღო, მაგრამ ფაქტია, მოკავშირეები 150 კილომეტრზე მეტ მანძილს უბრძოლველად ვერ გაივლიდნენ. ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დარტყმის მთავარი ობიექტი გახდა შამქორის ციხე. აშკარაა, ქართველებისა და სომხების გაერთიანებული ლაშქარი არანს დასავლეთიდან უტევდა. თანამედროვე გეოგრაფიული რეალობა რომ გავითვალისწინოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ჯარს უნდა ემოდრავა ძორაგეტიდან ქალაქ იჯეკანისკენ, შემდეგ კი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ყა-

<sup>22</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 272.

ზახის ან ქალაქ თაუზის მიმართულებით. ამ შემთხვევაში კოალიციას მართლაც ჯერ შამქორი უნდა გარემოეცვა, ხოლო შემდეგ გეზი აელო განძისაკენ, რომელიც სულ რაღაც 25 კილომეტრით იყო დაშორებული შამქორს აღმოსავლეთის მიმართულებით. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „ამან, დიდმან და ყოვლითურთ ძლევამემოსილმან მეფემან ბაგრატ, წარმოტყუენა ქუეყანად რანისად, მოადგა ქალაქსა შანქორს, დაუდგნა ფილაკავანნი და მცირედთა დღეთა დაღეწნეს ზღუდენი შანქორისანი“.<sup>23</sup> ვფიქრობთ, ეს პასაჟი სათანადო კომენტარს საჭიროებს. დავიწყოთ საკუთრივ ქალაქ შამქორის მდებარეობის აღწერით. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებობს რაიონული ცენტრი შამქორი, მაგრამ მისი არსებობის ისტორია რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. ისტორიული შამქორის ციხე-ქალაქთან მას, სახელის გარდა არაფერი აკავშირებს. ახალი და ძველი შამქორი 9-10 კილომეტრითაა დაშორებული ერთმანეთისგან. ძველი ციხე-ქალაქი მდინარე შამქორისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. იგი შედგება დედაციხისა და საკუთრივ ქალაქისგან. შედარებით კარგადაა შემონახული დედაციხე, რომლის გალავანი და ბურჯები მნახველს ადვილად შეუქმნის წარმოდგენას შამქორის ფორტიფიკაციაზე. დედაციხე მდინარე შამქორისწყალს გადაჰყურებს, აქვეა ცნობილი შამქორის ხიდი, რომელზეც გადიოდა ასევე ცნობილი თბილისი-განძა-ბარდავის მაგისტრალი. უშუალოდ ციხე-ქალაქი ამ გზის დასაცავად იყო შექმნილი. დედაციხის დასავლეთით, ასევე გაშლილ მინდორზე მდებარეობდა საკუთრივ ქალაქი, რომელიც მძლავრი გალავნით იყო შემოსაზღვრული. დღეს შამქორის კედელი, რომელიც თავის დროზე ბაგრატ III-მ შელევწა, მიწითაა დაფარული, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ქალაქს ბორცვი შემოუყვება. აქა-იქ ამ მიწაზე დღემდე დანგრეული ნაშთები მოჩანს. შამქორის ციხე-ქალაქი ჩრდილოეთიდან სამხრეთით 585 მეტრია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით – 540 მეტრი.

ციხე-ქალაქს საკმაოდ დიდი ხანდაკი ჰქონდა შემოვლებული, რათა მტერს იერიშით პირდაპირ გალავანთან მისვლა არ მოეხერხებინა. მისი ნაშთები დღესაც განირჩევა.

მიუხედავად ასეთი მასშტაბური ფორტიფიკაციისა, შამქორს ჰქონდა ერთი სუსტი მხარე, მე ვიტყვოდი უმთავრესი: იგი გაშლილ ველზე მდებარეობდა და მისი აღება არც ისე ძნელი იყო.

როდესაც „მატიანე ქართლისაის“ ზემოთ დამოწმებულ ცნობას ვაანა-

<sup>23</sup> მატიანე ქართლისაი, გვ. 272.

ლიზებთ, ნათელი ხდება, რომ საქართველოს მეფეს ზუსტად განუსაზღვრავს შამქორის სუსტი და ძლიერი მხარეები. ბაგრატ III-მ ქალაქზე ცოცხალი ძალით იერიშს კი არ მიმართა, არამედ შამქორს მოუძებნა სუსტი წერტილი. გარემოცვა და მისი ქვის სასროლი მანქანებით დაბომბვა დაიწყო.<sup>24</sup> სხვათა შორის, „მატიანე ქართლისის“ ეს პასაჟი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ აღწერილია „ფილაკავანებით“ ანუ ქვის სასროლი მანქანებით ქალაქის აღების ეპიზოდი, რაც ესოდენ იშვიათია „ქართლის ცხოვრებაში.“ ივანე ჯავახიშვილის მითითებით, „ფილაკავანი“ არაბული სიტყვაა და ისეთი იარაღის აღსანიშნავად იხმარებოდა, რომელსაც იყენებდნენ ციხესიმაგრეებისა და ზღუდეების დასანგრევად.<sup>25</sup> სამწუხაროდ, ქართული წყაროებიდან კარგად არ ჩანს, რა ტიპის ქვის სასროლი მანქანა იგულისხმება „ფილაკავანის“ ქვეშ. შუა საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში, XI საუკუნემდე აქტიურად გამოიყენებოდა ქვის სასროლი მანქანის ორი ტიპი. პირველი ეს იყო ანტიკური პერიოდის ქვის სასროლი ონაგრის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელშიც ჯერ კიდევ გამოიყენებოდა ცხოველის ძარღვების ან თმის დაგრეხვით წარმოქმნილი ენერჯია.<sup>26</sup> კონაში, რომელიც იგრიხებოდა, ვერტიკალურად მაგრდებოდა ბერკეტი, რომელიც საგანგებოდ აგებულ ხის კონსტრუქციას ებჯინებოდა. სროლის შემთხვევაში დაგრეხილ კონაში მყოფ ბერკეტს თოკებით ჭიმავდნენ და იგი ჰორიზონტალურ მდგომარეობამდე მიჰყავდათ. ამის შემდეგ ბერკეტის თავზე მიმაგრებულ შურდულში (რომელიც ძირითადად ტყავისგან მზადდებოდა) ათავსებდნენ ქვას ან ქვებს და სასხლეტის მეშვეობით ბერკეტი მოძრაობაში მოჰყავდათ. ვერტიკალურ მდგომარეობამდე მისული, იგი ხის კონსტრუქციას ეჯახებოდა. ეს იყო გვერდებზე საგანგებოდ დამაგრებული კოჭი, რომლის ის მონაკვეთი, სადაც ბერკეტი ხვდებოდა, ცხოველის ტყავით იყო დაფარული, რათა დარტყმისგან ქვის სასროლი მანქანის ელემენტები არ დაზიანებულიყო. ციხესიმაგრის გარემოცვისას ონაგრის ტიპის იარაღი საკმაოდ მძიმე დარტყმას აყენებდა მოწინააღმდეგეს. საშუა-

<sup>24</sup> გურამ გაბუნია თვლის, რომ ამ დროს ფადლონი შამქორის ციხეში იმყოფებოდა. იხ. გ. გაბუნია. ასე იწყებოდა დიდი საქართველო. ქუთ. 1996, გვ. 122. მაგრამ ეს მოასწრება არ დასტურდება. მოგვიანებით, შამქორელთა ელჩების ბაგრატთან მისვლა არ ნიშნავს იმას, რომ ფადლონი უცილობლად შამქორში იყო იმ მომენტში. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, მაშინ საქართველოს მეფე ზავს კი არ დადებდა, არამედ, პირიქით, ქალაქის აღებას შეეცდებოდა, რათა განძის ამირა ჩაედლო ხელთ და ეს დაშქრობა სრული გამარჯვებით დაესრულებინა.

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის. III-IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე. თბ. 1962, გვ. 243.

<sup>26</sup> Jim Bradbury. The Medieval Siege. London 1996, გვ. 250-253.

ლოდ 5-10-კილოგრამიანი ქვის ბირთვი მას შეედლო მიზანში მოერტყა 150-200 მეტრზე, 30-კილოგრამიანი ბირთვი კი 100 მეტრზე.<sup>27</sup> ეს არის თანამედროვე რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული მონაცემები, თუმცა შუა საუკუნეებში ასეთი სამხედრო იარაღის დამზადებისთვის გაცილებით მაღალი კვალიფიკაციის ხელოსნები ჰყავდათ, ვიდრე დღეს არიან ამ საქმის მოყვარულნი. ამიტომ იმდროინდელი ქვის სასროლი იარაღი შედარებით სრულყოფილი იქნებოდა.

არ გამოვრიცხავთ, რომ ფილაკავანი იყო არა ერთი რომელიმე კონკრეტული იარაღის სახელწოდება, არამედ ერთგვარი კრებსითი სახელი. ასეთი შემთხვევები შუა საუკუნეებში ბევრია. მაგალითად, ბიზანტიელები როგორც ონაგრს, ასევე ტრებუშეტს იხსენიებდნენ მანგანიკა//მანგანონის სახელით, რომელიც უკავშირდება ირანულ-არაბულ „ალ-მანჯანიკს“. ეს უკანასკნელი ასევე ქვის სასროლი იარაღის ზოგადი სახელი იყო აღმოსავლეთში. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ ტრებუშეტი. ჩვენი აზრით, „მატიანე ქართლისაჲში“ მოხსენიებული ფილაკავანი სწორედ ამ ტიპის სასროლ იარაღს უნდა გულისხმობდეს. თავისი მოწყობილობით იგი საფუძვლიანად განსხვავდებოდა ონაგრისგან. ტრებუშეტში სროლისას გამოყენებული იყო არა დაგრეხვის შედეგად დაგროვებული ენერგია, არამედ ბერკეტის ცალ მხარეს არსებული საპირწონის სიმძიმე.<sup>28</sup> ამ სახის იარაღი ჯერ კიდევ ჩინეთში შექმნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. შემდეგ ის არაბებმა და ბიზანტიელებმა აითვისეს. როგორც ჩანს, არაბების წყალობით ის ევროპელთათვისაც გახდა ცნობილი. ბაგრატ III-ის ეპოქაში ჯერ კიდევ მარტივი ტრებუშეტები იყო ცნობილი, რომელშიც ძირითადად ადამიანის ძალა გამოიყენებოდა. ეს ქვის სასროლი მანქანა იმითაც იყო მოსახერხებელი, რომ მას გაცილებით მეტი სიზშირით შეედლო ქვის ბირთვის სროლა. იგი შედგებოდა საყრდენი ჩარჩოსგან, რომლის გვერდით ვერტიკალურ ბოძებს სიმაგრისათვის ბიგები ჰქონდა მიდგმული. ჩარჩო ზემოთ ერთიანდებოდა ღერძით, რომელზეც დამაგრებული იყო სასროლი ბერკეტი, რომლის თითქმის ორი მესამედი ცალ მხარეზე იყო მიქცეული. სწორედ ამ ნაწილში ბერკეტის თავზე საკმაოდ გრძელი შურდული იყო მიბმული. შედარებით მოკლე მხარეზე დამაგრებული ჰქონდათ თოკები და მისი მოჭიმვით

<sup>27</sup> ანტიკური პერიოდის სასროლი ბირთვების სიდიდის შესახებ იხ. Дункан Б. Кэмпбелл. Искусство осады. Знаменитые штурмы и осады античности. М. 2008, გვ. 118. ზოგადად ამ ტიპის ქვის სასროლი იარაღის შესახებ იხ. К. Носов. Осадная техника античности и средневековья. СПб. 2003, გვ. 162-166.

<sup>28</sup> К. Носов. Осадная техника античности и средневековья, გვ. 183-191.

რამდენიმე მეომარს იარაღი მოქმედებაში მოჰყავდა. მოგვიანებით ტრეპუშეტი დაიხვეწა და ბერკეტის ცალ მხარეს საპირწონე დაამაგრეს. სროლის წინ ჩაკეტილი ბერკეტი ისე მაგრდებოდა, რომ საპირწონე ჰაერში იყო ჩამოკიდებული. სასხლეტის მეშვეობით ბერკეტი თავისუფლდებოდა და, შესაბამისად, მასზე მიბმული შურდული მოძრაობაში მოდიოდა საპირწონის დაქაჩვის საშუალებით. რამდენადაც მძიმე იყო საპირწონე, იმდენად შორს ისროდა ეს იარაღი, თუმცა XI საუკუნეში, ძირითადად, ტრეპუშეტის ის სახეობა გამოიყენებოდა, რომლის ბერკეტი მოქმედებაში ადამიანის ძალას მოჰყავდა.<sup>29</sup>

„მატიანე ქართლისაჲს“ ფილაკავანი სწორედ ტრეპუშეტის ტიპის იარაღი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამის გადაჭრით მტკიცება ჭირს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბიზანტიელები ამ სახის საომარ მანქანებს IX-X საუკუნეებში უკვე აქტიურად იყენებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ III-ს, შესაძლებელია, ამ სახის ქვის სასროლი არტილერია მიეყენებინა შამქორის ციხე-ქალაქისთვის.

### შამქორის საზავო შეთანხმება

ძირითადად ქართულ-სომხური კოალიცია შამქორს გარემოცავდა ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში. სწორედ აქედან უნდა დაეწყოთ კიდევ ქალაქის დაბობვა. მემატიანე ამ ეპიზოდს დაწვრილებით აღწერს და სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ ბევრი ფაქტოლოგიური ინფორმაციის არსებობას. როგორც ჩანს, შამქორელებს, თავდაპირველად კოალიციის წინადადებაზე, დანებებულიყვნენ, უარი შეუთვლიათ. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მოგვიანებით ბაგრატ III-ის განრისხების მიზეზიც, რომელიც ბოლო მომენტამდე მომხრე იყო ციხე-ქალაქის ძალით აღებისა. მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა „მცირედთა დღეთა დაღეწნეს ზღუდენი შანქორისანი“,<sup>30</sup> ქალაქის მესვეურთა სიჯიუტე გატყდა. ქართველები და სომხები მეორე დღეს იერი-

<sup>29</sup> არ არის მართებული სოსო მარგიშვილის მტკიცება, რომ ტრეპუშეტი (ავტორი მას იხსენიებს როგორც ტრეპუჩეტი) მცირე აზიურ სამყაროში სელჩუკებმა შემოიტანეს, რომელთაგანაც XI საუკუნის II ნახევარში შევიდა ბიზანტიაში, ხოლო პირველი ჯვაროსნული დაშქრობების დროს გავრცელდა ევროპულ არმიებში. იხ. ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. ნაწ. I. თბ. 2008, გვ. 98. უნდა აღინიშნოს, რომ ტრეპუშეტის ტიპის სასროლი მანქანები ჩინელებისგან XI საუკუნემდე დიდი ხნით ადრე შეითვისეს არაბებმა და ბიზანტიელებმა.

<sup>30</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 272.

შისთვის ემზადებოდნენ. შესაძლებელია, ეს დღე გადამწყვეტიც აღმოჩენილიყო, მაგრამ ღამით ბაგრატ III-ის ბანაკში ფადლონის მოციქული მივიდა და ზავი ითხოვა. შეთანხმების პირობები მხოლოდ შამქორის ციხე-ქალაქის მომავალს არ მოიცავდა. არანის გამგებელმა „აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავისთავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“.<sup>31</sup> დამეთანხმებით, მართლაც მიმზიდველი და ყოვლისმომცველი წინადადება იყო. ზავის პირობები მოიცავდა:

1. ფადლონი აღიარებდა უზენაესობას (როგორც ჩანს, აქ იგულისხმება საქართველოს მეფის უზენაესობა).
2. ის კისრულობდა ხარაჯას.
3. თანახმა იყო საქართველოს მხარეზე ებრძოლა, ანუ აღიარებდა სამხედრო მოკავშირეობას.<sup>32</sup>

მიუხედავად ამისა, ბაგრატ III ბრძოლის შეწყვეტის მომხრე არ იყო. მემატიაუნესთან კარგად ჩანს ეს დეტალი. ყურადღებით დავუკვირდეთ მემატიაუნის ცნობას და შევეცადოთ აღვადგინოთ სტრიქონებს შორის ჩაკარგული მოვლენები. დასაწყისში ერთი რამაა გასარკვევი, ქართულ წყაროში შამქორის მოვლენათა გადმოცემისას არსად ნახსენები არ არის სომეხი მოკავშირეები. ვფიქრობთ, ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. გამორიცხულია, კოალიცია მხოლოდ დასაწყისში არსებულიყო და შემდეგ ანისის მეფე თავისი მხედრებით უკან გაბრუნებულიყო. ამას ჩვენი ისტორიკოსი უთუოდ აღნიშნავდა. თანაც გავიკ I-ის ასეთ ქმედებას არავითარი ლოგიკური ახსნა არ ექნებოდა. საქმე ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო მიყვანილი. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ფადლონის მოციქული მოლაპარაკებას ბაგრატ III-სთან წარმართავს, ეს დეტალი ადვილი ასახსნელია. ჯერ ერთი, შესაძლებელია, ამ მო-

<sup>31</sup> მატიაუნე ქართლისაჲ, გვ. 272.

<sup>32</sup> „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ბაგრატ III-სა და ფადლონის შეთანხმებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ განძის ამირამ „დაუწერა თავისთავითა ლაშქრობაჲ“ ქართველთა მეფეს. როგორც ჩანს, საქმე უნდა გექონდეს დიპლომატიური შეთანხმების გაფორმებასთან, რომელსაც შუა საუკუნეებში მხარეები „დაწერილის“, სიგელის ფორმით გაცემდნენ. მაგალითად, ასეთი „დაწერილი“ უნდა გაეგზავნა გიორგი I-ს ბასილ II-ისთვის შირიმნის ბრძოლის შემდეგ. ასეთი „დაწერილი“ ანუ წერილობითი იურიდიული დოკუმენტი იდებოდა ბიზანტიასა და ქართულ-სომხურ სამეფოებს შორის (ტარონი, იმიერ ტაო, ვასპურაკანი, ანისი, ყარსი), რომლის ძალით მოგვიანებით იმპერიამ ეს პოლიტიკური ერთეულები შეიერთა. ტერმინ „დაწერილისთვის“ იხ. ნ. ბერძენიშვილი. მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. წგნ.: „საქართველოს ისტორიის საკითხები“. წ. III. თბ. 1966, გვ. 232-248; ასევე იხ. პ. თოფური. აღმოსავლეთ იმიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 190.

მენტში მთელი ლაშქარი შამქორთან არ ყოფილიყო თავმოყრილი და სომეხთა მეფე სხვა მიმართულებით მოქმედებდა, და მეორეც, ეს ასეც რომ იყოს, შამქორის ვრცელ ველზე ქართველთა და სომეხთა მეფეს ერთი ბანაკი არ ექნებოდა. ისინი ქალაქის მიდამოებში სხვადასხვა ნაწილში იქნებოდნენ დაბანაკებული. ფადლონის ელჩი კი, ბაგრატ III-სთან მივიდა, ვინაიდან განძის ამირამ შესანიშნავად იცოდა, ვინ იყო ამ კოალიციის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამდენად, მოციქულის მისვლის შემდეგ ბაგრატ III-მ „უბრძანა და შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა; უბრძანა პირველად, რაფთა დაიჭირონ ქალაქი იგი ძალითა მათითა. იხილეს და განიცადეს და მოაქსენეს, რომელ ვერ ვის ძალ-ედვა, და უფროდს ამისთვის, რომელ სხუათა ყოველთა სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდეს“.<sup>33</sup> როგორც ვხედავთ, მეფე არ ცხრება და მას ქალაქის აღების სურვილი უწინდებურად ამოდრავებს. ამიტომაცაა, რომ პირველად უბრძანა „დაიჭირონ ქალაქი“. დიდებულების პასუხში საინტერესო რეალობა გამოსჭვივის. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამას გააკეთებენ და იერიშით აიღებენ შამქორს, სხვა „სალაშქროთა საქმეთაგან უცილო იქნებოდეს“. აშკარაა, რომ კოალიცია მხოლოდ ერთ ციხე-ქალაქს არ იყო შემომდგარი და ლაშქრის ერთი ნაწილი სხვა მიმართულებითაც მოქმედებდა.<sup>34</sup> სწორედ ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ გაგიკ I შეიძლება შამქორთან საერთოდ არ ყოფილიყო და მას განძის საამიროს სხვა ციხეები ჰქონოდა გარემოცული. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ერთია, ბაგრატ III-ს საკუთარმა დიდებულებმა თუ კოალიციის საერთო სარდლობამ გადააფიქრებინეს ქალაქის გარემოცვა და იერიში. მათ მეფე აიძულებს ზავის პირობები მიეღოს. ბაგრატ III-ს კომპრომისზე წასვლა მაინცდამაინც არ ახასიათებდა, მაგრამ არსებული რეალობა აიძულებდა თავისი გეგმებისთვის გადაეხედა. ბოლოს და ბოლოს, ბაგრატ III-მ ფადლონის ზავის პირობები მიი-

<sup>33</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 272.

<sup>34</sup> გიორგი მჭედლიძეს მიაჩნია, რომ ბაგრატ III-ს შამქორის შემოერთებაში ხელი შეუშალეს საკუთარმა დიდებულებმა (იხ. გ. მჭედლიძე. ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთ. 1996, გვ. 487-488). ასეთი პოზიცია ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად. შამქორის აღება არ ნიშნავდა არანის დაპყრობას. ფადლონის საზავო პირობები შეიცავდა იმ მაქსიმუმს, რისი მიღწევა იმ მომენტში შეეძლო ქართულ მხარეს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა განძაზე ლაშქრობის გაგრძელებაც და მთლიანად არანის დამორჩილებაც, მაგრამ ეს დამატებით რესურსებს მოითხოვდა. შეეძლო საქართველოს იმ კონკრეტულ მომენტში ასეთი მასშტაბის ლაშქრობის განხორციელება? ვფიქრობთ, რომ ბაგრატ III-ს საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მზად ასეთი სამხედრო კამპანიისათვის. თვით ფადლონის წინააღმდეგ ლაშქრობისას ბაგრატის მხრიდან კოალიციის შექმნა იმის მანიშნებელია, რომ ქართული მხარე ვერიდებოდა დამოუკიდებლად ასეთი მოქმედებების განხორციელებას.

ლო. სომხურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ გაგიკ I-მა ამ სამხედრო კამპანიის ჟამს თავისი გავლენა გაავრცელა ფარისოსის პროვინციის დიდი ნაწილზე, რომელიც მანამდე ფადლონს ჰქონდა მიტაცებული.<sup>35</sup> მოგვიანებით ეს მხარე ტაშირ-ძორაგეტის მეფეთა სამფლობელოში ექცევა. ეს ბუნებრივ-ცაა, რადგანაც გაგიკ I და ფადლონი მრავალი წელი იბრძოდნენ ფარისოსში გაბატონებისთვის და კოალიციის ლაშქრობის შემდეგ სომეხთა მეფეს იმის შესანიშნავი შანსი ეძლეოდა, საბოლოოდ შემოეერთებინა ეს პროვინცია. ანის-შირაკის მეფის ინტერესები გასაგებია, მაგრამ რა მიიღო ამ სამხედრო კამპანიისგან ბაგრატ III-მ? ნუთუ ქართველთა მეფე მხოლოდ იმ პირობებს დათანხმდა, რაც ფადლონის მოციქულმა წარუდგინა და არავითარი ტერიტორიული პრეტენზია ქართველებს განძელთათვის არ წაუყენებიათ? ამ საკითხზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ვარაუდით უნდა შემოვიფარგლოთ. შეიძლება დავუშვათ, რომ ბაგრატ III განძის ამირასგან მოითხოვდა კახეთ-ჰერეთსა და არანს შორის მომიჯნავე ტერიტორიაზე კონტროლს, რათა ამით აღეკვეცა „მეკობრეობა“. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ მეფე დაზღვეული არ იყო, რომ შამქორიდან უკან გამობრუნების შემდეგ ფადლონი ისევ არ განაგრძობდა ქართული პროვინციების რბევასა და შევიწროებას. არავითარი გარანტია ამისა არ არსებობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბაგრატ III-ს ან რაიმე ღონიძიება უნდა გაეტარებინა, რათა ზავის პირობები დაცული ყოფილიყო და დარღვევისას მყისიერი რეაგირება მოეხდინა, ან არადა ქართველი მონარქი სიტყვაზე უნდა მინდობოდა ფადლონს. თავის დროზე პ. თოფურია მყრადღება მიაქცია „მატიანე ქართლისაის“ ავტორის ერთ ცნობას, რომელშიც საუბარია დაახლოებით 1029-1030 წელს განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ასევე დიდი კოალიციის შექმნის მიზეზებზე. მემატიანე მოგვითხრობს: „...და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას ძე; მოვიდა დიდი კკრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით, სომეხთა მეფე, და ჯაფარ, ამირა ტფილელი“.<sup>36</sup> პ. თოფურია დასძენს: „ქართული წყაროს ციტირებულ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ფრაზა: „დიდი ფადლონ... სწუნობდა ყოველთა მოთაურთა ამას (ბაგრატის) სამეფოსათა“. სულხან-საბა ორ-

<sup>35</sup> Г. Г. Мкртумян. Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией, გვ. 106.

<sup>36</sup> მატინე ქართლისაი, გვ. 280.



ბელიანის ლექსიკონის განმარტებით, „მოთაური თავად მყოფია“. ვინ იყვნენ ეს „მოთაულები“, რაიმე ძალაუფლება ჰქონდათ ფადლონის ქვეყანაზე და ამიტომ „სწუნობდა“ მათ განძის ამირა? ხომ არ უკავშირდება ეს მომენტი ბაგრატ III-ისა და ფადლონის ზავის პირობებს? ყველა ეს კითხვა პასუხს ელის“. <sup>37</sup> ქართული გარნიზონის დატოვება განძის ამირას ზოგიერთ ციხეში ვფიქრობთ, ლოგიკას არ უნდა იყოს მოკლებული. ეს ერთგვარი გარანტია იქნებოდა ზავის პირობების დაურღვევლობისა. ის, რასაც ფადლონი ჰპირდებოდა ბაგრატ III-ს, იყო მომავალი ურთიერთობის ფორმა, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო და შეიძლება არა. ნაკლებად დასაჯერებელია, მართლოდენ ამით შემოფარგლულიყო ქართველთა მხარე. ამიტომ „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ დამოწმებული ციტატა ბევრ რამეს ჰყენს ნათელს. ვფიქრობთ, არანაში ბაგრატ III-მ დატოვა „მოთაულნი“ ანუ არანის „თავადმოფი“ კაცნი. რა ფუნქციას ასრულებენ ისინი, ამის დადგენა ჭირს. შესაძლებელია, ეს იყო ორი პოლიტიკური ერთეულის საკონტაქტო ზონაში არსებული ციხესიმაგრეების გარნიზონები, რომლებიც აკონტროლებდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალებს და თვალყურს ადევნებდნენ განძის ამირას საქმიანობას. მათი არსებობა XI საუკუნის 20-30-იან წლების მიჯნაზე მეტად მძიმედ მიაჩნდა ფადლონს და ამიტომაც „სწუნობდა“. ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობაც რომ არ ყოფილიყო, პოლიტიკური რეალობა გვაგარაუდებინებდა, რომ იმ ზავის პირობების გარდა, რომელზეც წყაროშია საუბარი, კიდევ იქნებოდა რაღაც, რაც მემატეიანეს აღუნიშნავი დარჩა. შეუძლებელია, ბრძოლით მიღწეული წარმატებისას საქართველოს მეფე მხოლოდ სიტყვიერ პირობებს დასჯერებოდა და ამ შეთანხმების სათანადო დაზღვევა არ მოეხდინა. რა ფორმით გამოიხატა ეს, ამის დაზუსტება ჭირს და, სამწუხაროდ, მხოლოდ ვარაუდის დონეზე უნდა შემოვიფარგლოთ.

ასე დასრულდა არანზე ლაშქრობა. ამიერიდან საქართველოს მეფის გავლენა აღმოსავლეთით საკმაოდ შორს გავრცელდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სამხედრო კამპანიამ აჩვენა, თუ ვინ იყო სამხრეთ კავკასიაში დომინანტი სახელმწიფო.

<sup>37</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, გვ. 193.

*Jaba Samushia*

## **CAMPAIGN OF BAGRAT III AGAINST AMIRATE OF GANJA**

### Summary

Article deals with campaign of Bagrat III, king of united Georgia against amir of Ganja Fadl ibn Muhammad. Aims of coalition (composed by Bagrat III and Gagik I, king of Ani) for this campaign is discussed. Area of military operation and the details of siege of Shamkori castle is researched. Special attention is paid to the peace agreement between Fadl ibn Muhammad and king Bagrat III of Georgia.

*მიხეილ ბახტაძე*

## რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ათაბაგის „კელის“ შემოღებასთან დაკავშირებით

ათაბაგი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო წყობილების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი მოსაზრება ამ „კელის“ საქართველოში გაჩენის საკითხთან დაკავშირებით.

თავად ეს ტიტული სელჩუკთა სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი და პირველად 1077 წელს ნიზამ ალ-მულქს ებოძა. „შემდეგ ათაბაგის წოდებულებას ატარებდა არა მარტო უფლისწულის აღმზრდელი, არამედ პროვინციის გამგებელი ამირაც“. <sup>1</sup> ამავე დროს ეს ინსტიტუტი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელდა და ახალი შინაარსით შეივსო. <sup>2</sup> როგორც ირკვევა, ათაბაგობის ინსტიტუტის არსებობისა და განვითარების მანძილზე ეს „კელი“ ხშირად სულ ახალ და ახალ შინაარსს იძენდა. არსებობდნენ სხვადასხვა კატეგორიის ათაბაგები. ტახტის მემკვიდრე უფლისწულის ათაბაგები; ათაბაგები, რომლებიც მართველი დინასტიის წევრები იყვნენ; სულთნის ათაბაგები (ასეთები იყვნენ ელდიგუზიანები); ამირები და მხედართმთავრები, რომლებიც ათაბაგის ტიტულს ატარებდნენ; ე.წ. მეორე რიგის ათაბაგები (ათაბაგთა შვილების აღმზრდელები ან ათაბაგთა ნაცვლები). <sup>3</sup>

ივანე ჯავახიშვილის აზრით, პირველი ათაბაგი იყო ივანე მხარგრძელი, რომელსაც ეს ტიტული თამარ მეფემ მიანიჭა ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, 1212 წელს. თავად ათაბაგის „კელი“ კი, საქართველოში სელჩუკთა სახელმწიფოდან გადმოღებული, ქართული სამოხელეო წყობისათვის უცხო

---

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი. საქართველო და თურქული სამყარო XI-XII საუკუნეებში. აღმოსავლური ფილოლოგია. III. თბ. 1973, გვ. 94.

<sup>2</sup> ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო. თბ. 1978, გვ. 126.

<sup>3</sup> Гусейнов. Палестинский Сборник. вып. 15 (78). М. 1966, гв. 193.

და ზედმეტი რამ იყო.<sup>4</sup>

ივანე სურგულაძე აღნიშნავდა, „ათაბაგი – სელჩუკთა სახელმწიფოში სულთნის მემკვიდრის აღმზრდელი და მეურვე იყო. პირველი ათაბაგი იყო მალიქ-შაჰის აღმზრდელი ნიზამ ალ-მულქი. სელჩუკთა სახელმწიფოს დამსრუტის შემდეგ ათაბაგი დამოუკიდებელი სამთავროს მეთაურის წოდებაა, ან მხოლოდ საპატიო ტიტული ეგვიპტის მამელუქთა სახელმწიფოში – მხედართმთავარი. საქართველოში ათაბაგი იყო ვაზირი. მის ფუნქციებში შედიოდა ტახტის მემკვიდრის აღზრდა. ათაბაგობა საქართველოში დამკვიდრდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციურად განწყობილი მსხვილი ფეოდალების გაძლიერების შემდეგ. 1212 წელს იგი პირველად ებოძა ივანე მხარგრძელს. ათაბაგობა იმთავითვე დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობას“.<sup>5</sup>

სრულიად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ნოდარ შოშიაშვილს, რომელიც მიიჩნევდა, რომ არსებობდა პროვინციის მმართველი ათაბაგიც და ათაბაგი-ვაზირიც. მეცნიერი წერდა, „ათაბაგი – უფლისწულის გამზრდელი, ადგილობრივი მართველობის მოხელე და ერთ-ერთი ვეზირი გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში. საქართველოში ათაბაგობა შემოვიდა თურქული სამყაროდან. უფლისწულის გამზრდელი ათაბაგის გარდა საქართველოში ჩანს აგრეთვე პროვინციის გამგებელი ათაბაგი. ასეთი ყოფილა ივანე ახალციხელ-თორელი, რომელიც თამარ მეფეს კარის (ყარსის) ალების შემდეგ (XIII ს-ის დასაწყისი) დაუნიშნავს ამ მხარის გამგებლად, მონაპირედ და უბოძებია ათაბაგის და ამირთამირას სახელო ... ათაბაგობა საქართველოში დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობას და თანდათანობით წაართვა მას „ვაზირთა უპირველესობა“. პირველი ათაბაგი ვაზირი იყო ივანე მხარგრძელი. იგი ჯერ თამარ მეფის მსახურთუხუცესი იყო, ხოლო XIII საუკუნის დასაწყისში (1205) ათაბაგობა მიიღო. თავისი ძმის ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ (1212) ივანემ მისი სახელო, ამირსპასალარობაც დაიმკვიდრა“.<sup>6</sup>

დაახლოებით მსგავსი მოსაზრება ჰქონდა ილია ანთელავასაც. „ისტორიანთა და აზმანთა“ მთელი კუპიურა, სადაც თამარისა და ივანე მხარგრძე-

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკ. I. თხზ. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 179.

<sup>5</sup> ი. სურგულაძე. ათაბაგი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I, თბ. 1975, გვ. 222.

<sup>6</sup> ნ. შოშიაშვილი. ათაბაგი. ენციკლოპედია საქართველო. ტ. I. თბ. 1997, გვ. 73.

ლის საუბარია მოტანილი ათაბაგობის ბოძების თაობაზე, ანაქრონიზმს წარმოადგენს. ამკარაა, რომ ივანე მხარგრძელს ათაბაგობა ებოძა თამარის სიცოცხლეშივე, არაუგვიანეს 1207 წლისა ...ივანე მხარგრძელისა და ივანე ახალციხელის ათაბაგობა არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში. ივანე მხარგრძელი უფლისწულის ათაბაგი, ე.ი. ფაქტობრივად, სამეფო ათაბაგია, ხოლო ივანე ახალციხელი – საუფლისწულო ოლქის ათაბაგი. ივანე ახალციხელის ათაბაგობა კარის აღებასთან და მის იქ ამირთამირად დანიშვნასთანაა დაკავშირებული. ეს კი 1206 წელს მოხდა ... ივანე მხარგრძელს უფლისწულის აღმზრდელის, ათაბაგის სახელო ვფიქრობთ დავით სოსლანის გარდაცვალების – 1205 წლის შემდეგ უნდა მიეღო და გასაგები მიზეზების გამო 1207 წლამდე. სავსებით დასაშვებია, რომ ის პირველი მფლობელი იყო ამ ტიტულისა. კარის აღება ხომ 1206 წელს მოხდა ...სადღეისოდ ძნელია გავიზიაროთ მოსაზრება, თითქოს ათაბაგობა შემთხვევით შემოღებული, ხელოვნურად დანერგილი სახელო იყო“.<sup>7</sup>

ვალერიან გაბაშვილი წერდა, რომ „საქართველოშიც, როგორც ჩანს ამირთ-ამირობა და ათაბაგობა გაიგივებული იყო“.<sup>8</sup>

საინტერესოა დავით გვრიტიშვილის მოსაზრება ათაბაგობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იქ, სადაც საუბარია ივანე მხარგრძელის მოტივებზე, თუ რატომ ითხოვდა ამ „ჭელს“. მეცნიერი წერდა, „ათაბაგობა 1212 წელს დაარსდა ... ათაბაგობა ... ქართული სამოხელეო ინსტიტუტი არ ყოფილა და იგი წინათ არც არავის ჰქონია ... იბადება კითხვა, ქართულ სინამდვილეში რა სახე უნდა მიეღო ათაბაგობას? იგი პირდაპირი ასლი ხომ არ იყო სხვაგან არსებული ათაბაგობისა? ... ათაბაგი პირდაპირი ასლი არ, ან ვერ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ივანე მხარგრძელი მაინც თავაპოდებით იბრძვის ათაბაგობა მიიღოს. მაშ რით უნდა ავხსნათ ეს? ნუ თუ მარტო განდიდებული ფეოდალის პატივმოყვარეობით აიხსნება ეს მოთხოვნა? სამწუხაროდ, პირდაპირი ცნობები არა გვაქვს ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, მაგრამ თუ მომდევნო ხანის ამბებს დავუკვირდებით, მაშინ ნათელი გახდება, რომ ივანეს ეს მოთხოვნა სრულიად მოფიქრებული ჰქონდა და კარგად ესმოდა რას ითხოვდა და რატომ ითხოვდა. ის ამბავი, რომ იმ დროს, როცა ეს „ჭელი“ დაარსდა, მეფის კარზე აღსაზრდელი არავინ იყო, კიდევ არაფერს ნიშ-

<sup>7</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII სს. თბ. 1983, გვ. 135-137.

<sup>8</sup> ვ. გაბაშვილი. საქართველო და თურქული სამყარო XI-XII საუკუნეებში, გვ. 94.

ნავს. თანამდებობა მემკვიდრეობითად თუ გადაიქცეოდა, მომდევნო მხარგრძელებს გამოადგებოდათ და თუ ღღეს მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი „მამა არს მეფისა“, ხვალ ათაბაგზე იტყოდნენ „მამა არს მეფისაო“. ასე, რომ ჭკვიანი ფეოდალი ხვალინდელ ღღეზე ფიქრობდა. მართლაც, მომდევნო მოვლენები გვიდასტურებენ, რომ ათაბაგში ეს ტენდენცია ე.ი. ათაბაგის ბრძოლა მწიგნობართუხუცესის დაპირისპირების შესახებ, ამკარად ჩანს.<sup>9</sup>

შოთა მესხია ათაბაგობის შემოღებას ივანე მხარგრძელის საკითხს უკავშირებდა. იგი წერდა, „ათაბაგობის სამოხელეო ინსტიტუტი, ასე გავრცელებული იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროში, თვით ივანესვე განცხადებით, მანამდე სავსებით უცხო იყო ქართული სამოხელეო წყობისათვის ... ივანე მხარგრძელი ათაბაგობის შემოღებით ცდილობდა დაპირისპირებოდა სამეფო ვაზირის სახელოს და თამარის კარზე მეფის კიდევ ერთი „მამის“ თანამდებობა დაემკვიდრებინა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ვაზირის როლის შესუსტება და მხარგრძელთა საგვარეულოს, კერძოდ ივანეს სახლის შემდგომი გაძლიერება. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ივანე, ათაბაგობის შემოღებით, თავის სახლს სამემკვიდრეო სახელოს უტოვებდა, რაც სხვა გზით, კერძოდ, ამირსპასალარობისა და მანდატურთუხუცესობის მიღებით, შეუძლებელი იყო. სწორედ ამ ორმა უმთავრესმა მოტივმა განაპირობა ივანე მხარგრძელის მიერ ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების მოთხოვნა და არა მისმა ზრუნვამ საათაბაგოს სახით დამოუკიდებელი ერთეულის ჩამოყალიბებისათვის“.<sup>10</sup>

„ისტორიანი და აზმანში“ ძალიან საინტერესოდ არის აღწერილი ივანე მხარგრძელისათვის ათაბაგობის ბოძების სცენა. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ „მეფემან მოუწოდა ძმასა ზაქარიასასა ივანეს მსახურთუხუცესსა, და ინება პატივსა ძმისა მისისასა აღყვანება, და უბოძა ამირსპასალარობისა პატივი. ხოლო ივანე საქმეთა შინა განკურვებულ იყო და ესე რქუა მეფესა: პატივი ესე, რომლითა პატივიცემიეს ჩემდა, ღიდად ღიდი არს და მე უღირს ვარ. ესრეთ შემიწყალე, ძმისა ჩემისა სახელსა ჩემ ზედა არა ახსენებდნენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად მისა ღვომად, არამედ ათაბაგობითა პატივმეც. საქართველოსა არა არს წესად და კელად თქუენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა და ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რომე ახალსა და უაღ-

<sup>9</sup> დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს.). თბ. 1962, გვ. 85-86.

<sup>10</sup> შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979, გვ. 309-310.

რესსა პატივისა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო. რომელ სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელი მამად და გამზრდელად, მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი. ამით განადიდე წყალობა შენი უწინარეს ჩემთა პირველთა. ყოცა მეფემან და უბოძა ათაბაგობა, რომელი არა ყოფილ იყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ბოძებოდა“.<sup>11</sup>

ძალიან უცნაური სიტუაციაა აღწერილი წყაროში. ქვეშევრდომი მეფეს უბედავს, რომ უარი უთხრას მისთვის შეთავაზებულ საკვლეოზე და სამეფოში მანამდე არარსებული და ახლა საგანგებო მისთვის შესაქმნელი თანამდებობა – ათაბაგობა ითხოვოს.

პირადად ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი და დაუჯერებელი ფაქტია, რომ ივანე მხარგრძელს ასეთი თავხელობა გაეხედა მეფისათვის. რომც გაეხედა, რატომ უნდა დაეკმაყოფილებინა მეფეს ერთი, თუნდაც ძალიან გავლენიანი და ძლიერი ფეოდალის ასეთი ახირებული და თავხედური თხოვნა. თანაც თხოვნა ისეთი თანამდებობის შემოღების შესახებ, რომელიც ქართული სახელმწიფოს მმართველობის სისტემისათვის სავსებით ზედმეტი იყო. უფრო მეტიც, როგორც მართებულად არის აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ათაბაგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის „კონკურენტი“ გახდა და დიდად შეუწყო ხელი ამ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო თანამდებობის „დამცრობასა“ და საერთოდ გაქრობასაც.

თუ ათაბაგობის შემოღების იმ ვერსიას გავიზიარებთ, რომელიც „ისტორიანი და აზმანშია“ დაცული, მაშინ აშკარაა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა ძალიან ღრმა კრიზისს განიცდიდა.

ჩვენი აზრით, ცხადია, რომ ზაქარია მხარგრძელი თამარზე ადრე არ გარდაცვლილა<sup>12</sup>. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რამდენად რეალურია ყველაფერი იქიდან, რაც, „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, ვითომდა ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდგომ ხდება? ბენიამინ სილაგაძის აზრით, „თხზულება თამარის მეფობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი, როცა მის ავტორს არათუ ამა თუ იმ ამბის თარიღი, არამედ თვით ამბების თანმიმდევრობაც აღარ სცოდნია“.<sup>13</sup> რა თქმა უნდა, ნებისმიერ მემპატონეს შეიძლება მოსვლოდა შეცდომა. შესაძლოა, არეოლა ლაშქ-

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 477-478.

<sup>12</sup> მ. ბახტაძე. კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 2011.

<sup>13</sup> ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ აღასირის ცნობათა შუქზე. კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ. 1966.

რობებისა ან ქალაქების დაკავების თანმიმდევრობა, ისევე როგორც ამა თუ იმ პიროვნებათა გარდაცვალების თანმიმდევრობაც. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – საქმე ეხება საქართველოს მეფისა და იმ პერიოდის ყველაზე უფრო გავლენიანი ფეოდალის, ამირსპასალარ-მანდატურთუხუცეს ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების საკითხს. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შეცდომა ნაკლებად მოსალოდნელია. მაგრამ სანამ იმას გავარკვევდეთ, თუ რატომ წერია მატთანეში, რომ ჯერ ზაქარია მხარგრძელი გარდაიცვალა და შემდეგ თამარი, პასუხი უნდა გავცეთ ერთ კითხვას – იყო კი ივანე მხარგრძელი, პირველი ათაბაგი?

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იმავე „ისტორიანი და აზ-მანში“ დაცული შემდეგი ცნობა, „აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა. წარავლინა ლაშქარი გარედგომად და ცნეს თურქთა, დააგდეს კარი და ივლტოდეს. ზოლო მეფემან აიღო და მიითულა კარი და დაუტევა კარისა მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთამირობა“.<sup>14</sup> ჩნდება საინტერესო კითხვა, ვინ იყო პირველი ათაბაგი ივანე ახალციხელი თუ ივანე მხარგრძელი?

თავის დროზე ლოვარდ ტუხაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ათაბაგობა საქართველოში შემოღებულ იქნა, დაახლოებით, 1205-1206 წელს<sup>15</sup>, ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა მიიღო მხარგრძელთა და თორელ-ახალციხელთა სავგარეულო ურთიერთბრძოლაში გამარჯვების შემდეგ პირველი ათაბაგისაგან, ივანე ახალციხელისაგან, განსხვავებული შინაარსით. საუფლისწულო მამულების მართვას დაემატა მხარგრძელთა (თმოგველებისა და გაგელების გამოკლებით) სამმართველო ოლქების კოლექტიური მმართველობის გაფორმებაც. ივანე გახდა არა მთელი საქართველოს, არამედ მხოლოდ ერთი რეგიონის ათაბაგი. ათაბაგობის მიღებით დასრულდა მხარგრძელთა სამოხელეო მფლობელობის სამამულო მფლობელობად გადაქცევის ევოლუცია. XII-XIII საუკუნების საქართველოსათვის ეს უაღრესად ტიპური მოვლენა შედარებით გაამძაფრა თამარის ნაადრევმა სიკვდილმა (1207 წ.) და ლაშას კუროხევის დაგვიანებამ (1210 წ.), რამაც ხელი შეუწყო ივანე ათაბაგის „მამობრივი“ ზრუნვის მითის შექმნასა და მხარგრძელთა პანეგერიკს.<sup>16</sup>

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი თბ. 2008, გვ. 462.

<sup>15</sup> როგორც ჩანს, მეცნიერი თვლიდა, რომ ქართველებმა კარი 1205 ან 1206 წელს აიღეს.

<sup>16</sup> ნ. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. „მაცნე“. ისტორიის სერია. თბილისი 1975. №3, გვ. 164.



ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ პირველად ათაბაგობა სწორედ ივანე ახალციხელს ებოძა. რამ გამოიწვია ახალი თანამდებობის შემოღება და რა უფლება-მოვალეობები ჰქონდა მას, უცნობია. მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა, მართლაც, ივანე ახალციხელის შემდგომ მიიღო. თუმცა ჩვენ არ ვიზიარებთ დებულებას ივანე მხარგრძელის საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის ათაბაგობის შესახებ, ის საქართველოს სამეფო კარის ათაბაგი იყო.

ძნელი სათქმელია, თუ როდის და რატომ ჩამოართვეს ათაბაგობა ივანე ახალციხელს და გადასცეს ივანე მხარგრძელს. შესაძლოა მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა. ჩვენი აზრით, სამეფო კარზე სამოხელეო ცვლილებების განხორციელება 1210 წელს უნდა მომხდარიყო, როდესაც ტახტზე ახალგაზრდა მეფე გიორგი IV ავიდა. ეს ის პერიოდი, როდესაც მემბტიანეს ცნობით, „და იყუნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და ივანე ათაბაგი“.<sup>17</sup> ალბათ, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენეს და ახალციხელთა საგვარულოს ათაბაგობა ჩამოართვეს. ცხადია, ეს დაძაბავდა ურთიერთობას ამ ორ საგვარეულოს შორის, თუ საერთოდ მტრობას არ ჩამოაგდებდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამის მერე დაიწყო დაპირისპირება ამ ორ საგვარეულოს შორის (თუმცა, შესაძლოა მანამდეც არსებობდა). ამიტომ იყო, ალბათ, რომ 1225 წელს გარნისის ბრძოლაში ივანე მხარგრძელმა დამხმარე ძალა არ გაუზზავნა ძმებ ახალციხელებს და ეს უკანასკნელები სასიკვდილოდ გაწირა. აკი პირდაპირ წერს ჟამთააღმწერელი, „იტყვიან **შურითა ყო** ახალციხელთა შალვა და ივანესითა“.<sup>18</sup>

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ სურდა ივანე მხარგრძელს ათაბაგობა, ამასთან დაკავშირებით სრულიად ვიზიარებთ დავით გვრიტიშვილისა და შოთა მესხიას მოსაზრებებს, რომელთა ციტირებაც ზემოთ უკვე მოვახდინეთ.

ჩვენი აზრით, „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტში საგანგებოდ იქნა ჩართული გამოგონილი, არარეალური სიუჟეტი – ივანე მხარგრძელისათვის ვითომდა თამარ მეფის მიერ ათაბაგობის ბოძების შესახებ – რათა შექმნილიყო მხარგრძელთა მიერ ათაბაგობის მიღების „კანონიერი“ ვერსია. ამისთვის კი საჭირო იყო, რომ თამარ მეფე ზაქარიაზე გვიან გარდაცვლილიყო. დიდი ხანია და ფხოველთა წინააღმდეგ ლაშქრობაც სწორედ ივანეს განდიდები-

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 356.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 536.

სა და წარმოჩენის მიზნით არის ასე დაწვრილებით და მაღალფარდოვნად აღწერილი.

ძალიან საინტერესოა, რომ ორივე ცნობა, ივანე ახალციხელისა და ივანე მხარგრძელისათვის ათაბაგობის ბოძების შესახებ დაცულია ერთსა და იმავე წყაროში – „ისტორიანი და აზმანში“. როგორ შეიძლება, რომ მემატიანემ, რომელიც წერს, რომ თამარ მეფემ „დაუტევა კარისა მცველად ახალციხელი ივანე ... და უბოძა ათაბაგობა“, შემდგომ დაწეროს – „ყოცა მეფემან (ივანე მხარგრძელი – მ. ბ.) და უბოძა ათაბაგობა, რომელი არა ყოფილ იყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ბოძებოდა“. ჩვენი აზრით, სავარაუდოა, რომ მან, ვინც თხზულების დაწერის შემდგომ მასში ჩაუმატა სიუჟეტი ივანე მხარგრძელისათვის ათაბაგობის ბოძების შესახებ, ყურადღება არ მიაქცია (ეგებ არც იცოდა) მანამდე არსებულ ინფორმაციას, ათაბაგობის ივანე ახალციხელისთვის გადაცემის შესახებ.

ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ პირველად ათაბაგობა ივანე ახალციხელს ებოძა ქალაქ კარის აღების შემდეგ. ათაბაგობასთან ერთად ივანე ახალციხელს მიანიჭეს ამირთამირობა და მონაპირეობა. ამირთამირობა – რადგან ქალაქი კარის გამგებელი გახდა და საქართველოში დიდი ქალაქის მმართველები ამირთამირას ტიტულსაც ფლობდნენ. მონაპირედ კი იმის გამო დაინიშნა, რომ ქალაქი კარი და მისი „მიმდგომი ქუეყანანი“ სასაზღვრო ანუ სანაპირო მხარეს წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, ორივე „ჰელი“ – ამირთამირა და მონაპირე – რეალური შინაარსის მატარებელი იყო. სავარაუდოა, რომ ათაბაგობაც ებოძა გარკვეული კონკრეტული მიზნით და არა უბრალოდ საპატიო წოდებად ანდა თუნდაც განდილებისათვის.

რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა ივანე ახალციხელისათვის ათაბაგობის მიცემას? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენდა ათაბაგობა XIII საუკუნის დასაწყისისათვის. სელჩუკთა სახელმწიფოში ათაბაგი, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით, ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი იყო. შემდგომში ათაბაგის „ჰელმა“ შინაარსი შეიცვალა და XIII საუკუნის დასაწყისისათვის ათაბაგის ტიტულს ცალკეული მუსლიმური სამფლობელოების მმართველებიც ატარებდნენ. მაგალითად, ელდიგუზიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები. ანუ იმ დროისათვის, როდესაც საქართველოს სამეფო კარმა ივანე ახალციხელს ათაბაგობა მიანიჭა, ამ „ჰელის“ ფლობა ცალკეული სამფლობელოს მმართველთა ტიტულიც იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოდარ შოშიაშვილის აზრით, ივანე ახალ-

ციხელი პროვინციის მართველი ათაბაგი იყო. თითქმის ანალოგიურ თვალსაზრისს იზიარებდა ილია ანთელავაც, რომელიც თვლიდა, რომ ივანე ახალციხელი საუფლისწულო ოლქის ათაბაგი იყო.

ჩვენ აზრით, წყაროებიდან არ ჩანს, რომ თამარ მეფის დროის საქართველოში არსებობდნენ პროვინციის მმართველი ათაბაგები. საქართველოს ადგილობრივი მმართველობის სისტემა არ იცნობდა ათაბაგის თანამდებობას. სახელმწიფო მიწების მართვას ერისთავები ახორციელებდნენ. დიდ კერძო მამულებს (გაგი, თმოგვი და სხვ.) თავად მათი პატრონი ფეოდალები განაგებდნენ. რაც შეეხება საუფლისწულო დომენს, არც აქ ჩანს ათაბაგის მმართველობა. უპირველესი საუფლისწულო დომენი ჯავახეთი იყო და ამ რეგიონში ათაბაგი არ ჩანს. საერთოდ იყო კი კარი საუფლისწულო დომენი (და არც 1206 წელია მისი აღების ერთადერთი და უცილობელი თარიღი)? მართალია, ბასილი ეზოსმოდუარი წერს, რომ კარის „ციხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშვიდობასა და ფიცსა, რათა არა განსცნეს კარი, ვითარ ანისი და ღვინი არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთვისცა მისცა სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა თვისსა გიორგის რათა შევიდეს და თვით მოითუალოს ქალაქი და ციხე. რომელი ესე ესრეთ იქმნა. და ესე ერთი ქალაქი და ციხე თვისად დაიმჭირა“.<sup>19</sup> ანუ თამარმა ლაშა-გიორგის უბრძანა „თვით მითუალოს ქალაქი“, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნავს გიორგის მიერ ქალაქის ჩაბარებას და არა უფლისწულისათვის გადაცემას. აკი თავადვე წერს შემატთანე, რომ მეფემ „ესე ერთი ქალაქი და ციხე თვისად დაიმჭირა“. ე.ი. თავისთვის დაიტოვა ანუ აქცია სამეფო და არა საუფლისწულო დომენად.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ივანე ახალციხელისათვის ათაბაგობის ბოძება, მართლაც, რომელიდაცა მხარის (პროვინციის, ოლქის) ფლობასა თუ მართვასთან იყოს დაკავშირებული. მაგრამ რომელი მხარის? ხომ არ იყო ივანე ახალციხელი გამიზნული საქართველოს მოსაზღვრე რომელიმე ტერიტორიის შესაძლო, პოტენციურ მართველად? ჩვენ მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამთ, ივანე ახალციხელისთვის ათაბაგობის ბოძება ხომ არ იყო ქართული სახელმწიფოს მიერ სამხრეთით მდებარე ტერიტორიების დაკავებისაკენ მიმართული პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ანუ თუ შეიძლება ასე ითქვას, ივანე ახალციხელი მზადდებოდა საქართველოს სამხრეთის საზღვრებთან მდებარე რომელიმე მუსლიმური სამეფოს ახლად შემოერთებული

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 462.

მიხეილ ბახტაძე. რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ათაბაგის „კელის“  
შემოღებასთან დაკავშირებით

---

ტერიტორიის მმართველად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას შემდეგი, ჩვენი აზრით, თავდაპირველად ათაბაგის „კელი“ სრულიად კონკრეტული მოსაზრებით გაჩნდა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. ამ შემთხვევაში ის გარკვეული ტერიტორიის (მართალია, ჯერ კიდევ შემოსაერთებელის) მმართველს გულისხმობდა. ივანე მხარგრძელის მიერ ათაბაგობის მიღებასთან ერთად კი მისი შინაარსის შეცვლაც მოხდა. როგორც აღვნიშნეთ, ამას ლოვარდ ტუხაშვილიც ვარაუდობდა. მაგრამ, მისი აზრით, მხარგრძელები იყვნენ არა მთელი საქართველოს, არამედ მხოლოდ ერთი რეგიონის ათაბაგები. ჩვენი აზრით, კი შინაარსის ცვლილება სწორედ საპირისპიროდ მოხდა. ათაბაგი გახდა უფლისწულის აღმზრდელი ვაზირი და ივანე მხარგრძელიც ამ მხრივ მთელი საქართველოს ათაბაგია.

შემდგომში კი ათაბაგობა, მართლაც, დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს და „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ უკვე წერია – „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალა“.<sup>20</sup>

---

<sup>20</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 95.

*Mikheil Bakhtadze*

**SOME HYPOTHESES ABOUT INTRODUCING A POSITION OF  
ATABAG IN GEORGIA**

Summary

Original function of atabag within the Georgian administration was that of ruler of certain province. Georgian feudal Ivane Akhaltsikheli became the first man to occupy this position after capture of the city of Kars by the Georgians. At the beginning of Giorgi IV Lasha's reign (1210 - 1222), Georgian great lord Ivane Mkhargrdzeli became atabag and he transformed the function of atabag to vizier/minister, tutor of prince. Georgian historical narrative "Histories and Laudations of the Kings" was provided by the false version how queen Tamar (1184 - 1210) allotted Ivane Mkhargrdzeli with a position of atabag, to prove the "legitimacy" of receiving this honour for Mkhargrdzeli family.

*ანდრო გოგოლაძე*

## მეფე-ხუცესის ლეგენდის მონღოლური რემინისცენციები ქართულ წყაროებში

XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთიდან მოსულმა მონღოლებმა არაერთგვაროვანი განცდა გააჩინეს მაშინდელი საზოგადოების აზროვნებაში. მონღოლებს მათი გამოჩენის პირველ ეტაპზე ქრისტიანები მოკავშირეებად მიიჩნევდნენ. იმდროინდელი ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ჯვაროსნული სამყაროს რეალური ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაწიერი შუა აზიის საზღვრებს არ სცილდებოდა. ევროპელთათვის, ზოგადად, აღმოსავლეთი თავისი ეთნიკური, გეოგრაფიული და პოლიტიკური სივრცით ნახევრად ზღაპრულ სამყაროდ აღიქმებოდა. როდესაც მონღოლები ამ თვალსაწიერის არეალში შემოვიდნენ, მაშინ დაიბადა ყალბი წარმოდგენა მათი წარმომავლობის, რელიგიური მრწამსისა და სამხედრო მიზნების შესახებ. ამ დროს სირია-პალესტინაში მყოფ ჯვაროსნებს მძიმე დღეები ედგათ. 1187 წელს იერუსალიმის დაკარგვამ ჯვაროსანთა ისედაც მყიფე მდგომარეობა წმინდა მიწაზე კიდევ უფრო შეარყია, შორეული აღმოსავლეთიდან გამოჩნდა უცხო ძალა, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა და ეს გრიგალი, პირველ რიგში, შუა აზიასა და ირანის მუსლიმებს დაატყდა თავს. სწორედ ამ რეგიონებიდან წამოსულმა სასოწარკვეთილმა ცნობებმა გააჩინა ქრისტიანებში წარმოდგენა ახალი შესაძლო მოკავშირის შესახებ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნის 40-იანი წლებიდან ჯვაროსანთა წარმოდგენებში არსებობდა მოლოდინი აღმოსავლეთიდან მოკავშირის გამოჩენის შესახებ. ეს იმედეები ემყარებოდა XII საუკუნეში შუა აზიაში დატრიალებულ ამბებს, კერძოდ, სპარსეთის აღმოსავლეთით მცხოვრები ნესტორიანული მრწამსის, მითიური მეფე-ხუცესის (პრესვიტერი)<sup>1</sup>

<sup>1</sup> პრესვიტერი – *Preste Giani* – ეს არის ზეპირი ფორმით გადმოცემული ლათინური თარგმანი იტალიური სახელწოდების პირველადი ვარიანტისა. მეცნიერთა ნაწილი

ფიგურას, რომელსაც ჯვაროსნები წმინდა მიწისათვის ბრძოლებში სავარაუდო მოკავშირედ განიხილავდნენ. შემდგომში სწორედ ამ ლეგენდამ მოახდინა დიდი გავლენა ჯერ კიდევ უცნობი მონღოლების და მათი მეთაურის, ჩინგის-ხანის, პიროვნების ქრისტიანთა მოკავშირედ აღქმაში.

პირველ ცნობებს ამ ნესტორიანელი მეფე-ხუცესის შესახებ ვხვდებით გერმანელი მემატიანის, მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილის, ოტო ფონ ფრაიზინგის, თხზულებაში “Chronicon sive historia de duabus civitatibus” – „ქრონიკა ანუ ორი სახელმწიფოს ისტორია“.<sup>2</sup>

1145 წელს რომის პაპ ეგვინიუს III-სთან ჩასული იყო სირიის ქალაქ გაბალას კათოლიკე ეპისკოპოსის, ჰუგო ფონ გაბალას (Hugo von Gabala) ელჩობა. ის დახმარებას სთხოვდა პაპს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყებად, რათა ჯვაროსნებს დაებრუნებინათ 1144 წელს დაკარგული ედესა (მოსულის ათაბაგმა იმად აღ-დინ ზენგიმ 1144 წელს ჯვაროსნებს წაართვა ქალაქი ედესა). სწორედ ამ ეპისკოპოსის მონათხრობმა გააჩინა ახალი განცდა აღმოსავლეთში მცხოვრები მოულოდნელი მოკავშირის შესახებ, რომელმაც დიდ ბრძოლაში დაამარცხა მაჰმადიანთა გაერთიანებული არმია და მოისწრაფოდა ქრისტიანთა დასახმარებლად. ეპისკოპოსის ცნობაში აღნიშნულია, რომ „რამდენიმე წლის წინ ვინმე მეფე და მღვდელი იოანე, რომელიც სპარსეთისა და სომხეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობდა და რომელიც თავის ხალხთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი იყო, ოღონდ ნესტორიანული ეკლესიის, შეებრძოლა სპარსეთისა და მიდიის მეფის ძმებს, შამიარდოდ წოდებულებს, მან დაიპყრო მათი სატახტო ქალაქი ეკატანა. ხსენებული მეფეები თავისი სპარსული, მიდიური და ასირიული ჯარებით შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეს. სამი დღის განმავლობაში გაუწიეს მათ წინააღმდეგობა, რადგან ორივე მხარეს სიკვდილი ერჩივნათ გაქცევას. ბოლოს, პრესბიტერმა იოანემ, ასე უწოდებდნენ მას, აიძულა სპარსელები

ოგლის, რომ პრესვიტერი – Prestegiani სპარსულად ნიშნავს მოციქულებრივ ხანს, Prester-chan – parastan – თაყვანისმცემელთა ხანი. Pristeghan-ს ავტორები ხანის ტიტულს უკავშირებდნენ, რომელსაც იღებდნენ მარკო პოლოს მიერ დასახელებული ყარახატაელების ტომების ბელადები. სახელწოდება იოანეს – Johannes ინტერპრეტირებას ახდენენ ასევე „ხან“-იდან/“Khan“. G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte. Berlin. 1864, გვ. 155.

<sup>2</sup> Otto Bischof von Freising. Chronik oder die Geschichte der zwei Staaten. Übersetzt von Adolf Schmidt. hrsg. Von Walter Lammers. Ausgewählte Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters 16. Darmstadt 1960 (lateinisch/deutsch). “Chronicon sive historia de duabus civitatibus”.

გაქცეულიყვნენ და გამარჯვებული დარჩა. როგორც შემდეგ ეპისკოპოსი მოგვითხრობს, ამ გამარჯვების შემდეგ ხსენებულ იოანეს უნდოდა იერუსალიმის ეკლესიას დახმარებოდა, მაგრამ ჯარმა სამგზავრო საშუალებების უქონლობის გამო ტივროსზე გადასვლა ვერ შეძლო. . . ასე რომ, მეფე (იოანე პრესვიტერი – ა. გ.) იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო თავის სამეფოში. ის მეფე სახარებაში მოხსენიებული მოგვების ჩამომავალია და იმავე ხალხებზე მბრძანებლობდა, რომლებზეც თავის ღრძოზე მოგვები მეფობდნენ . . . თავისი წინაპრების მაგალითმა, რომლებიც გზას გაუდგინენ, რათა აკვანში მყოფი ქრისტესათვის თავიანთი ეცათ, უბიძგა მას გაელაშქრა იერუსალიმზე, მაგრამ შექმნილი გარემოება აღნიშნულის განხორციელებას ხელს უშლიდა“.<sup>3</sup>

ეს ზეპირ გადმოცემაზე დაფუძნებული ამბავი, აღწერილია გერმანელი მემატაინის, ოტო ფონ ფრაიზინგის თხზულებაში, რომელშიც ნესტორიანელი მეფე-ხუცესი მოხსენიებულია, როგორც იოანე პრესვიტერი.

შემდგომში იოანე პრესვიტერის ისტორია ახალი ლეგენდარული სიუჟეტებით შეივსო. XII საუკუნის მეორე ნახევარში წყაროები იოანეს სამეფოს ეთიოპიასა და ინდოეთში მოიაზრებენ. 1165 წელს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა ინდოეთის მეფის, იოანე პრესვიტერის, ეპისტოლე, რომელიც გაგზავნილი იყო რომის პაპ ალექსანდრე III-ის, საფრანგეთის მეფე ლუი VII-ის, საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას, ბიზანტიის იმპერატორ მანუელ I კომნენოსის და პორტუგალიის მეფისადმი. ჩვენამდე მოაღწია ბიზანტიის იმპერატორისადმი გაგზავნილმა წერილმა. ამ ეპისტოლემ კიდევ უფრო დაამორა მეფე-ხუცესის ამბავი ისტორიულ რეალობას. წერილში იოანე პრესვიტერი წარმოდგენილია, ფაქტობრივად, მთელი აღმოსავლეთის მბრძანებლად, რომელსაც ემორჩილებოდა 72 მეფე, იგი აღემატებოდა დედამიწაზე ყველას თავისი ძლევაშედეგით და სიმდიდრით. მისი სამფლობელო გადაჭიმული იყო სამ ინდოეთზე, სადაც მდებარეობს თომა მოციქულისა და დანიელ წინასწარმეტყველის საფლავები, ბაბილონის ქვეყანა, გოგისა და მაგოგის ხალხებისა და ებრაელთა ათი ტომის საცხოვრისი, სამოთხის ბალებში მცხოვრები ამაზონები და ბრაჰმანების სამყარო.<sup>4</sup>

მსგავსი აღწერილობა გვხვდება ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანში“.

---

<sup>3</sup> G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte, გვ. 13-16.

<sup>4</sup> G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte, გვ. 25-50; ამ ეპისტოლეს ქართული თარგმანი მოცემული გვაქვს ჩვენს წიგნში. ა. გოგოლაძე. იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბ. 2005, გვ. 75-88.



მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ამ რომანის სიუჟეტები ჩანს იოანეს ეპისტოლეში და გარკვეულწილად, მან დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლურ სამყაროზე ევროპელთა შეხედულებებზე.<sup>5</sup> თუ ლეგენდის არქეტიპში ჯერ კიდევ ამოიკითხებოდა ისტორიული პარალელები, ეპისტოლეს მიხედვით, ამ სამეფოს აღწერილობაში აღრეულია იმ დროის ფოლკლორული და ლეგენდარული სიუჟეტები. ეს აღწერილობა, ზოგადად, მიწიერი სამოთხის პანეგირიკს ჰგავს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპისტოლეში დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპაში. რომის პაპმა ალექსანდრე III-მ იოანეს სამეფოში გააგზავნა ელჩობა, რომელსაც სათავეში მისი მკურნალი ექიმი ფილიპე მაგისტროსი ედგა და თან პაპის წერილი მიჰქონდა. სამწუხაროდ, ამ ელჩობის ბედი უცნობია. მიაღწია თუ არა ელჩობამ მიზანს, საიდუმლოებით არის მოცული.<sup>6</sup>

დრო გადიოდა და ჯვაროსანთათვის სამწუხაროდ, მოსალოდნელი დახმარება არსაიდან ჩანდა. II ჯვაროსნულმა ლაშქრობამ (1147-1149 წწ.) საბოლოოდ მარცხი განიცადა. ედესა კვლავ მაჰმადიანთა ხელში დარჩა. ამასობაში 1187 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმიც დაკარგეს და თითქოს მიივიწყეს კიდევ წარმოსახვითი მეფე-ხუცესი.

იოანე პრესვიტერის ისტორიული პროტოტიპის შესახებ მეცნიერები მრავალ ჰიპოთეზას გამოთქვამენ. ვის არ უკავშირებენ მას: ყარა-ხატაელთა სამეფოს დამაარსებელს, იელუ დაშს, რომელმაც 1125 წელს „გურხანის“ ტიტული მიიღო, ბიზანტიის იმპერატორ იოანე კომნენოსს, იოანე მოციქულს, კერაიტების და ნაიმანების ტომების მეთაურებს, ვან-ხანს და უნკ-ხანს, საქართველოს სამეფოს ისტორიულ პერსონაჟებს: დავით აღმაშენებელს, დემეტრე I-ს, იოანე აბულეთისძეს, იოანე ორბელს.<sup>7</sup> მაგრამ მითიური მეფე-ხუცესის

<sup>5</sup> Александрия. Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века. издание подготовили М. Н. Ботвинник, Я. С. Лурье и О. В. Творогов. М-Л. 1965, გვ. 156-158; ა. გოგოლაძე. ზოგიერთი მოსაზრება იოანე პრესვიტერის თქმულების გენეზისის შესახებ. კრებ.: „მესხეთი“. ტ. VII-VIII. თბილისი-ახალციხე. 2007, გვ. 80-87.

<sup>6</sup> G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte, გვ. 25-50; Fr. Zarnke. Der Piester Iohannes. Leipzig. 1879.

<sup>7</sup> G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte; Fr. Zarnke. Der Piester Iohannes; Al. Nikuradze. Skandinavien und Georgien auf der Pontisch-Baltischen Landsbrücke. Bedi Kartliisa. Revue der karthvelologie. № 30-31. Paris. 1959; Ф. Брун. О странствованіяхъ царя-пресвитера Иоанна. Изъ Записокъ Императорскаго Новороссійскаго университета. Одесса. 1870; Л. Гумилев. В поисках вымышленнаго царства. СПб. 1994; ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. თბ. 1989; შ. ბადრიძე. „ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელზე და დემეტრე პირველზე“. კრებ.: „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის

ისტორიულ პროტოტიპად ძირითადად მეცნიერები თვლიან იელუ დაშს, რადგან ლეგენდის არქეტიპი ძალიან ჰგავს ამ პიროვნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს. იელუ დაშმა XII საუკუნის 30-იან - 40-იან წლებში შვიდმდინარეთის რეგიონში ჩამოაყალიბა ყარა-ხატაელთა სამეფო, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ბალასაგუნი, მდინარე ჩიუიზე, ისიკ-ყულის უდაბნოსთან ახლოს. ყარა-ხატაელთა სამეფო მოიცავდა ტერიტორიას ამუდარიიდან და ბალახშის ტბიდან აღმოსავლეთით თურქესტანის (ბეიშანის მთიანეთის) ჩათვლით. ყარა-ხატაელების მეთაური იდგა იმ ტომების გაერთიანების სათავეში, რომლებმაც თავი შეაფარეს შუა აზიის აღმოსავლეთ რეგიონებს მას შემდეგ, რაც ჩინეთში დაინგრა ლიასო იმპერია. ამ სამეფოს მმართველი ოჯახის ერთ-ერთმა უკანასკნელმა წარმომადგენელმა, პრინცმა იელუ დაშმა თავის მომხრეებთან და ხალხთან ერთად თავი შეაფარა დასავლეთით, თურქესტანის რაიონებს. ყარა-ხატაელების გაერთიანებაში შედიოდნენ ასევე თურქულ-მონდოლოური მოდგმის ტომები: უილურების, ტანგუტების, მერკიტების, კერაიტების, ონგუტების მომთაბარეები. ნაწილი ამ ტომებისა ნესტორიანული მრწამსის მიმდევრები იყვნენ.<sup>8</sup>

როდესაც სტეპის ტომთა ეს დიდი გაერთიანება შუა აზიის აღმოსავლეთ რეგიონებში შემოვიდა, შეეჯახა ხორასნის დიდი სულთნის, სანჯარის, სამხედრო ძალებს. 1141 წელს სამარყანდთან ახლოს კატვანის ველზე გაიმართა დიდი ბრძოლა. იბნ-ალასირის გადმოცემით, ასეთი მასშტაბის ომი მაშინდელ სამყაროში მანამდე არ მომხდარა, რადგან მოწინააღმდეგეთა ძალები ასეულ ათასებს ითვლიდა. ამ ბრძოლაში ყარა-ხატაელებმა სასტიკად დაამარცხეს ხორასნის სულთნის სანჯარის ჯარები. ამ ბრძოლამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მაშინდელ მუსლიმურ აღმოსავლეთში. როგორც იბნ-ალასირი და ჯუვეინი მოგვითხრობენ, ასეთი დიდი მარცხი მაჰმადიანებს მანამდე არ განუცდიათ. ბრძოლაში დაიღუპა სანჯარის 30 000 მეომარი, მთელი მისი

---

საკითხები“. თბ. 1968; შ. რევიშვილი. საქართველო გერმანულ თქმულებაში იოანე პრესვიტერზე (XI-XVII სს.). ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე. თბ. 1987; ალ. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ. 2004; ა. გოგოლაძე. იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბ. 2005.

<sup>8</sup> კერაიტებმა 1009 წელს მიიღეს ნესტორიანული მრწამსი. დაახლოებით ამ პერიოდში მიიღეს ქრისტიანობა ონგუტებმა. როგორც ლ. გუმილიოვი აღნიშნავს, თვით ხატაელების და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტომებში გავრცელებული იყო ნესტორიანული მრწამსი, რამაც საფუძველი დაუდო ევროპელებში იოანე პრესვიტერის ლეგენდის გავრცელებას. Л. Гумилев. В поисках вымышленного царства, гл. 32-33.

ქონება და ოჯახი ტყვედ ჩავარდა. ყარა-ხატაელებმა აიღეს სამარყანდი და ბუხარა. ხორეზმის მმართველმა ხარკი იკისრა მათ სასარგებლოდ.<sup>9</sup> მაგრამ, რადგან ყარა-ხატაელებს დასავლეთისაკენ წინსვლა აღარ გაუგრძელებიათ, მათი გამარჯვების ექიმ დამახინჯებული ფორმით მიაღწია სირია-პალესტინაში მყოფ ჯვაროსნებამდე და მუსლიმთა ეს სასტიკი მარცხი მათ ახალი მოკავშირის გამოჩენის ამაღ ალიქვეს. სავარაუდოდ, სწორედ ეს ისტორია იქცა გაბალის ეპისკოპოსის ინფორმაციის წყაროდ. ჯვაროსანთათვის სამწუხაროდ, მოსალოდნელი მოკავშირის გამოჩენა დაუსრულებელ მოლოდინად იქცა.

ყარა-ხატაელების სამეფო XII საუკუნის მეორე ნახევარში შუა აზიის მაჰმადიანების და ირანის სელჩუკებისათვის ისეთ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, როგორც ეს მისი შემქმნელის დროისათვის იყო. შემდგომში ყარა-ხატაელებმა ხორეზმის სამეფოს დასავლეთის მიწებიც დაუთმეს, და ბოლოს XIII საუკუნის დასაწყისში ხორეზმის სულთანს მშვიდობის სანაცვლოდ ხარკსაც უხდიდნენ. 1211 წელს კი მათ თავს დაესხნენ ჩინგის-ხანისგან დევნილი ნესტორიანელ ნაიმანთა მომთაბარე ტომები, რომლებმაც დაიპყრეს კიდეც ყარა-ხატაეთი და მათმა მეთაურმა ქუნლუკმა მიიღო ყარა-ხატაეთა მეთაურის, გურხანის, ტიტული.<sup>10</sup> მაგრამ, მიუხედავად მათი ინერტულობისა, XII საუკუნის შუა ხანებში გაჩენილი ეს ლეგენდა კვლავ დიდხანს ცოცხლობდა ჯვაროსანთა მეხსიერებაში.

შემდგომში, თითქმის მივიწყებული ეს თქმულება XIII საუკუნის 20-იან წლებში გააცოცხლეს მონღოლებმა. შორეული უცნობი მიწებიდან მოსულ, მონღოლთა მეთაური ჩინგის-ხანი ჯვაროსნებს – ახალი პრესვიტერი, ხოლო მისი ჯარი მეფე-ხუცესის ის ძლევაძოცილი არმია ეგონათ, რომელიც აგერ უკვე თითქმის საუკუნეა იერუსალიმის დასახსნელად მოემართებოდა.

იოანეს ლეგენდა ახალი სიუჟეტებით შეივსო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში. დამიეტასთან მყოფ ჯვაროსნებში არსებობდა განცდა აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი მოკავშირის გამოჩენის შესახებ. ამ პერიოდში მათ წრეებში ახალი ვერსიები ჩნდება ძველი წინასწარმეტყველებების გააზრების საფუძველზე. კერძოდ, ეს მოლოდინი მოცემულია მოციქულთა მოწაფის, კლემენტის, წიგნში და IX საუკუნის სპარსელი ნესტორიანელი მეცნიერის, ჰანანის, წინასწარმეტყველებაში. აქ აღწერილია, რომ უცხო, შორეული მხარეებიდან მოვიდოდნენ მეფეები, რომლებიც დაიპყრობდნენ დამიე-

<sup>9</sup> Л. Гумилев. В поисках вымышленного царства, გვ. 46-47.

<sup>10</sup> Л. Гумилев. В поисках вымышленного царства, გვ. 46.

ტას, დამასკოს, მექას და შეხვედებოდნენ ერთმანეთს იერუსალიმში. ეს წიგნები აქტუალური გახდა სწორედ დამიეტას აღების პერიოდში და ჯვაროსანთა მეთაურებმაც მას საღვთო ომის ინტერპრეტაცია მისცეს. ამ წინასწარმეტყველებებს პროპაგანდისტული ხასიათი რომ ჰქონდა, იქიდანაც ჩანს, რომ დამასკოს ამლები ერთ-ერთი მეფეთაგანი, მათი წარმოდგენით, ქართველთა მეფე უნდა ყოფილიყო, რომელიც მთებს გაღმდიან მოვიდოდა.<sup>11</sup>

ვფიქრობთ, რომ ამ წარმოდგენებში ქართულ კვალს გარკვეული საფუძველი დაულო ფრანგი ჯვაროსნის, დე ბუას, 1211 წლის წერილმა. ეპისტოლეში ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველები თავიანთი მეფის, ლაშა-გიორგის, მეთაურობით დაეხმარებოდნენ ქრისტიანებს წმინდა ქალაქის განთავისუფლებაში. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ქართველთა დახმარებას დე ბუა უკვე მომხდარ ფაქტად აღიქვამს. ჯვაროსანი რაინდის წარმოსახვაში კვლავ წამოტივტივდა ძველი ლეგენდების კვალი, ისევე გაცოცხლდა ჩამქრალი იმედი აღმოსავლეთში მცხოვრები მოკავშირისა და ლაშა-გიორგის სურვილს, დახმარებოდა ჯვაროსნებს, დე ბუამ ხორცი შეასხა და სასურველი სინამდვილედ მიაწოდა ევროპაში თანამემამულეებს.<sup>12</sup> ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დე ბუას ასეთ ინტერპრეტაციას გარკვეული ბიძგი მისცა 1211 წელს რომის პაპს ინოკენტი III-ის მოწოდებამ ლაშა-გიორგისადმი, რომ ქართველთა მეფე დახმარებოდა ჯვაროსნებს ახალ ლაშქრობაში.

მსგავსი მოსაზრება ადრე გამოთქვა ივ. ლოლაშვილმა. მისი ვარაუდით, დე ბუას წერილი გამოძახილია მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს გავრცელებული ლეგენდებისა და დაწერილია იმ წლებში, როდესაც დამიეტაში მყოფი ჯვაროსნები წმინდა ადგილების დასალაშქრად ემზადებოდნენ.<sup>13</sup> თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ დე ბუას წერილს მეცნიერები 1207-1211 წლებით ათარიღებენ, დამიეტას აღება კი გვიან მოხდა, 1219 წელს.<sup>14</sup>

ასევე ქართველთა შესაძლო გამოჩენაზე გარკვეულწილად გავლენა იქო-

---

<sup>11</sup> Gian Andri Bezzola. Die mongolen in abendländischer sicht (1220-1270). München. 1974, გვ. 18; ა. თვარაძე. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა და „დავით მეფის რელიჯიო“. კრებ.: „ანალები“. №3. თბ. 2008, გვ. 98-99.

<sup>12</sup> ა. გოგოლაძე. მეფე-ხუცესის ტრანსფორმირებული ვარიანტი დე ბუას ეპისტოლეში. კრებ.: მიძღვნილი აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 85 წლისთავისადმი. თბ. 2007, გვ. 380-382.

<sup>13</sup> ივ. ლოლაშვილი. თამარ მეფის აკლდამა. თბ. 1989, გვ. 45-47.

<sup>14</sup> ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 100-101; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია 2. თბ. 1974, გვ. 168-189.

ნია მათმა მუქარამ დამასკოს სულთან ალ-მუაზამისადმი. XIII საუკუნის ფრანგი მემატიანე, აკრის ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი გადმოგვცემს, რომ მას შემდეგ, რაც დამიეტასთან მაჰმადიანთა მდგომარეობა უიმედო გახდა, ეგვიპტის სულთნის, ალ-ადილის, შვილმა დამასკოს სულთანმა ალ-მუაზამმა დაანგრია იერუსალიმის კედლები და პალესტინის ციხეები. ამ საქციელის გამო ქართველები დაემუქრნენ მას, რომ სამაგიეროს გადაუხდიდნენ და დაარბევდნენ მის ქვეყანას. ქართველთა სურვილის შესახებ, დაეპყროთ დამასკო და სირიის სხვა ციხეები, ცნობებს გვაძლევენ ასევე: პადერბორნის ეპისკოპოსი ოლივერუსი, ვენეციელი მარინო სანუტო, ვინსენტ ბოვე.<sup>15</sup>

იორდანუსი გვაწვდის ცნობას, რომ „ქართველები ეპისტოლეებით მოუწოდებდნენ ჯვაროსნებს ბრძოლებისაკენ, აგულიანებდნენ გაემრავლებინათ გამარჯვებები. ამასთანავე მიუთითებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნება, თუ არ გადაწვავდნენ დამასკოს, არ დაიმორჩილებდნენ უწმინდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს“.<sup>16</sup>

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წინამძღოლის პელაგიუსის ელჩობა ქართველებს სთხოვდა, რომ ზურგიდან დაერტყათ მაჰმადიანებისათვის და ასე შეექმნათ მათთვის საფრთხე.<sup>17</sup>

ჯუვეინი აღნიშნავს, რომ გავრცელებული ხმების თანახმად, ქართველებს სურდათ დაეპყროთ აზერბაიჯანი და თავრიზი, შემდეგ ბაღდადი, ჩამოეგდოთ ხალიფა და იქ კათალიკოსი დაესვათ.<sup>18</sup>

როგორც ვხედავთ, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებისა, და მისი მიმდინარეობის პერიოდში ევროპელთა იმედის თვალი ჩრდილოეთის მხრიდან ქართველთა შესაძლო გამოჩენისაკენ იყო მიპყრობილი. აღმოსავლეთიდან მონღოლთა მოსვლასთან დაკავშირებით იოანე პრესვიტერის ლეგენდის რეინკარნაციამ ახალი დატვირთვა შესძინა ქართველთა როლს ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში.

ჟაკ დე ვიტრის თავის მეშვიდე წერილში აღნიშნული აქვს, რომ დამიეტას ალყის დროს ეგვიპტის სულთანმა ალ-ქამილმა მოუწოდა თავის ძმებს, დამასკოს და ხლათის გამგებლებს, ალ-მუაზამს და ალ აშრაფს, რომ

<sup>15</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბ. 1995, გვ. 173-174; ალ. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, გვ. 144.

<sup>16</sup> ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. თბ. 1984, გვ. 75.

<sup>17</sup> ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 74.

<sup>18</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 222.

დახმარებოდნენ ალყაშემორტყმულ დამიეტას და ჩრდილოეთიდან საფრთხე შეექმნათ პალესტინაში მყოფი ჯვაროსნებისათვის. კერძოდ, ალ-მუზაში თავს უნდა დასხმოდა იერუსალიმის სამეფოს მიწებს, ხოლო ალ-აშრაფი კი ანტიოქია-ტრიპოლს. ამით მაჰმადიანები ვარაუდობდნენ, რომ დაქსაქსავდნენ ქრისტიანთა ძალებს. მაგრამ, როგორც მემათიანე გადმოგვცემს, ეს გეგმა მათ დროებით ჩაეშალათ. ამის მიზეზი მათ საზღვრებთან ვითარების გართულება იყო.<sup>19</sup> ჟაკ დე ვიტრი ამ ამბავს ახალ პრესვიტერს, ხატაეთის მეფეს, ვინმე დავითს უკავშირებს. როგორც ვიცით, მონდოლოთა გამორჩენამ შუა აზიის და ირანის რეგიონში გააცოცხლა მითი ამ ლეგენდარული მეფის შესახებ. მაგრამ, როგორც ცნობილია, იმ დროისათვის დამიეტას ალების პერიოდში, დაახლოებით 1218-21 წლებში, მონდოლები ხლათის და სირიის მიმართულებით არ გამოჩენილან. სავარაუდოდ, ეს ინფორმაცია ეხება ქართველთა მხრიდან გამორჩენილ აქტიურობას ამ რეგიონში. სამხრეთისაკენ, კერძოდ, ხლათის, ბასიანის, კარნუ-ქალაქის მიმართულებით ქართველთა ლაშქრობებზე მოგვითხრობს ლაშა-გიორგის მემათიანე.<sup>20</sup>

ასევე აღსანიშნავია, თავრიზში დაცულ კრებულში („თარასსოლი“) არსებული სპარსული წყაროს ცნობა, რომელშიც ლაშა-გიორგი აფხაზთა მეფე დავითად არის მოხსენიებული. ეს დოკუმენტი გადაწერილია 1219 წელს და ეხება იკონიის სულთნის პასუხს ლაშასადმი („პასუხი მეფე დავითს, აბხაზიის პატრონს“), რომელიც ქართველთა მეფის რაღაც თხოვნას ეხება. იმ დროის ევროპულ და აღმოსავლურ წყაროებში საქართველოს მეფეებს ხშირად დავითად ან დავითიანებად იხსენიებდნენ.<sup>21</sup>

რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის მიერ დასახელებულ ხატაეთის მეფე დავითს, მისი სახე აქ გაიგივებულია ჩინგის-ხანის ისტორიულ ფიგურასთან.

<sup>19</sup> Jacques de Vitry. Lettres de la Cinquieme Croisade. teste letin etabli par R.B.C. Huygens, Traduit et presente par G. Duchet-Sechaut. Brepols. 1998, გვ. 163-203.

<sup>20</sup> ლაშა-გიორგის მემათიანე. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 369-371: ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ ხლათელი მოდიოდნენ და ხარკს უხდიდნენ სამეფო კარს. ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 156 თ. ნატროშვილი ვარაუდობს, რომ ალ-აშრაფის ასე დაგვიანებით გამგზავრება (იგი ეგვიპტეს გამგზავრება 1221 წელს) გამოწვეული იყო ქართველთა მხრიდან თავდასხმის შიშით, რადგან მისი წასვლა დამასკოსკენ გაუხსნიდა გზას ქართველებს. თ. ნატროშვილი. მაშრიყით მადრიბამდე. თბ. 1991, გვ. 89

<sup>21</sup> ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ. თბ. 1979, გვ. 5-6.

ჟაკ დე ვიტრის ეს ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ მის ცნობებში აღრუ-  
ლია მონღოლთა და ქართველთა სამხედრო მოქმედებების ამბები, რომლებიც  
იმ დროისათვის ლეგენდარული მეფის, იოანე პრესვიტერის თქმულებას უკავ-  
შირდებოდა.<sup>22</sup>

ჟაკ დე ვიტრი ჩინგის-ხანს ახალ იოანედ წარმოიდგენდა. მემპტიანე,  
ჩინგის-ხანის მიერ შუა აზიაში ყარა-ხატაელთა და ხორეზმელთა სამეფოს  
განადგურებას, მის მიერ ირანსა და კავკასიაში გამოგზავნილი სარდლების  
ჯებებს და სუბუდაის რაზმების მოძრაობას, საერთო ჯვაროსნული ომების  
ჭრილში განიხილავს. შეიძლება ითქვას, რომ ჟაკ დე ვიტრი პირდაპირ  
აცოცხლებს ამ ძველ ლეგენდას. ოღონდ მემპტიანეს იოანეს ადგილზე ვინმე  
დავითი ჰყავს გამოყვანილი, რომელიც წყაროში ახალი პრესვიტერია და იო-  
ანეს პირდაპირი მემკვიდრე. როგორც ჩანს, მის ცნობებში არეულია აღმოსავ-  
ლეთში, კერძოდ, სპარსეთის მხარეებში მცხოვრები ებრაელთა თემების შესახებ  
არსებული ძველი გადმოცემები. ძველი თქმულებებით, აღმოსავლეთში მცხოვ-  
რებ ებრაელებში უნდა გამოჩენილიყო ვინმე დავითი, მესიანისტური იდეებით.  
ებრაელთა მეხსიერებაში დავითის ფიგურა იყო იმ ბიბლიური დავითის სახე,  
რომელიც მათ სამშობლოში დაბრუნებისა და იერუსალიმის გათავისუფლების  
რწმენას აძლევდა. ვის უნდა შეესრულებინა ეს მისია, თუ არა დავითს, ან მი-  
სი სახელის მქონე რომელიმე ისტორიულ თუ ლეგენდარულ პერსონაჟს?!<sup>23</sup>  
ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ლეგენდარულ დავითში რამდენიმე პერსონაჟის  
სახე იყო აღრუული: ბიბლიური მეფე დავითის, ქართველთა მეფე ლაშა-გი-  
ორგის და ჩინგის-ხანის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟაკ დე ვიტრი, მის  
მიერ აღწერილი ამბების თანამედროვე და მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის  
აქტიური მონაწილეა. ამიტომ მისი ცნობები ნათლად ასახავს იმდროინდელი  
ვეროპელების შეხედულებებს აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებზე.

ისტორიოგრაფიაში ძირითადად აღიარებულია, რომ ჟაკ დე ვიტრის მი-  
ერ მოცემული მეფე დავითის ისტორია, ეს არის ჩინგის-ხანის ლაშქრობების  
ჯვაროსნული ინტერპრეტაცია, რომელიც მონღოლთა გამოჩენის გარიჟრაჟზე

<sup>22</sup> ა. გოგოლაძე, თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა. მე-5 ჯვაროსნული ლაშქრობა ჟაკ დე  
ვიტრის ცნობების მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესადმი მიძღ-  
ვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 3-4 მაისი. 2011 წელი. სამეცნიერო კონფერენცი-  
ის მასალები. თბ. 2011, გვ. 30-31.

<sup>23</sup> ა. თვარაძე. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა და „დავით მეფის რედაქციო“. კრებ.: „ანალები“ №3. თბ. 2008, გვ. 106-114; ა. გოგოლაძე, თ. წითლანაძე. ლეგენდა-  
რული სამეფო შუა საუკუნეების ევროპულ ქრონიკებსა და რუკებში. ჟურნ.: „გეო-  
ორგია“. № 32. ბერლინი. 2009, გვ. 72-82.

ხალხთა აზროვნებაში ასე აღიქმებოდა. დავითის ეს ლეგენდა გაგრძელებაა XII საუკუნეში დაბადებული იოანე პრესვიტერის მითისა.<sup>24</sup>

ინგლისელი მემპტიანე რაღვ კოგეშალიც იოანე პრესვიტერს დავითს უწოდებს. რაღვ კოგეშალის ცნობებშიც ვხვდებით ამ ლეგენდის რემინისცენციებს.<sup>25</sup>

მონდოლთა გამოჩენას დიდი იმედით ელოდნენ რომის პაპის კარზეც. პაპის კურიაში ელჩობები გააგზავნა, რათა შეესწავლათ, თუ ვინ იყვნენ შორეული აღმოსავლეთიდან მოსული უცნობი ტომები. ამ ელჩობებს დავალებული ჰქონდათ დაედგინათ, რამდენად გამოადგებოდათ ისინი ჯვაროსნული მიზნებისთვის და იყვნენ თუ არა მონდოლები იოანე პრესვიტერის მემკვიდრეები. ამ ძიების კვალი ჩანს პაპის მიერ გაგზავნილი ელჩობების ჩანაწერებში.

იტალიელი ფრანცისკანელი მისიონერი ჯოვანი პლანო კარპინი აღნიშნავს, რომ ჩინგის-ხანმა დაამარცხა ყარა-ხატაელები და ნაიმანები, რომელთა მეთაურიც იყო ნესტორიანელი წინამძღოლი ქუჩლუკი. პლანო კარპინის იოანე პრესვიტერის სამეფო ინდოეთში აქვს ნაგულისხმევი; როცა ჩინგის-ხანმა დაიმორჩილა მეზობელი ხალხები და ჩინეთი, ინდოეთში გააგზავნა თავისი ჯარები, სადაც მონდოლები შეებრძოდნენ დიდი ინდოეთის მეფე იოანე პრესვიტერს (როგორც ცნობილია, მაშინდელი ევროპული კარტოგრაფია აღმოსავლეთს სამ ნაწილად ჰყოფდა: დიდი ინდოეთი, მცირე ან შუა ინდოეთი, რომელსაც ეთიოპიად-აბისინიად აღიქვამდნენ და საკუთრივ უკიდურესი აღმოსავლეთი).<sup>26</sup>

ფრანცისკანელი მისიონერი გიომ დე რუბრუკი თავის ნაშრომში „მოგზაურობა მონდოლთა იმპერიაში 1253-1255 წლებში“ აღნიშნავს, რომ ყარა-ხატაელების მბრძანებელს უწოდებდნენ კონ-ხანს. „კონ“ საკუთარი სახელია,

<sup>24</sup> G. Oppert. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte, გვ. 17-25; R. Hennig. Das Christentum im mittelalterlichen Azien und sein einfluss auf die Sage vom Priester Iohannes. in: HV 29. 1935, გვ. 242-252; Fr. Zarnke. Der Piester Iohannes, გვ. 831-836; L. Olschki. Der brief des Presbyters Iohannes. Berlin und München. 1931, გვ. 9-14; Л. Гумилев. В поисках вымышленного царства, გვ. 20-23.

<sup>25</sup> რაც შეეხება იოანეს ადგილზე დავითის სახელის გაჩენას, მეცნიერები მას ამ ლეგენდაში ებრაელთა ბიბლიური მეფე დავითის და საქართველოს მეფის, დავით აღმაშენებლის, ისტორიული პერსონაჟების გაიგივებას უკავშირებენ. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 107-108; დ. ნინიძე. საქართველო-ევროპის დიპლომატიური კონტაქტები XIII ს. I ნახევარში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნაწილი I. თბ. 1998, გვ. 400-405; ა. თვარაძე. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა და „დავით მეფის რელაციო“, გვ. 99-101.

<sup>26</sup> Джованни дел Плато Карпини. История монголов. Комментарии М. Горнунга. М. 1997, гв. 43-44.



ხოლო „ხანი“ მისი ღირსების მაჩვენებელი. ყარა-ხატაელები მთიელები იყვნენ. მათ მეზობლად ცხოვრობდნენ ნაიმანები, რომლებშიც გავრცელებული იყო ნესტორიანელობა. ნესტორიანელები მას მეფე იოანეს უწოდებდნენ, რომლის შესახებ დაუჯერებელ არაკებს ყვებოდნენ. კონ-ხანის სიკვდილის შემდეგ მან თავი მეფედ გამოაცხადა. იოანე უძეოდ გარდაიცვალა. მას ჰყავდა ძმა უნკი – უნკ-ხანი, რომელიც მისი მემკვიდრე გახდა. მან მიიღო ხანის ტიტული. სწორედ მას აუჯანყდა მონღოლთა ერთ-ერთი წინამძღოლი ჩინგისი, რომელმაც თათრების დახმარებით დაამარცხა უნკ-ხანი და მიიღო მისი მემკვიდრეობა.<sup>27</sup>

საინტერესოა, რომ გიომ დე რუბრუკის ცნობით, ხატაეთში მრავალი ნესტორიანელი ცხოვრობს და ეპისკოპოსიც ჰყავთ. აქ ქრისტიანობა სირიიდან შემოიტანეს ნესტორის მიმდევრებმა და საღვთო წერილიც სირიულ ენაზე აქვთ. ეპისკოპოსი იშვიათად ეწვევა ამ ქვეყნებს და მღვდლად (პრესვიტერად) აკურთხებს მამრობითი სქესის ყველა პატარა ბავშვს, ამით აიხსნება, რომ თითქმის ყველა ნესტორიანელი მამაკაცი ხუცესია.<sup>28</sup>

ვენეციელი ვაჭრის, და მოგზაურის, მარკო პოლოს, ცნობით, ჩინგის-ხანმა დაამარცხა თავისი ყოფილი პატრონი იოანე, რომელსაც ხარკს უხდიდა. კონფლიქტი წარმოიშვა მას მერე, რაც იოანემ უარი უთხრა ჩინგისს ქალიშვილის მითხოვებაზე. გადმოცემით, იოანეს ემინოდა მისი გაძლიერებისა და გადაწყვიტა თათრების განდევნა დაკავებული ტერიტორიებიდან. აღელვებულმა თათრებმა 1187 წელს ჩინგისი აირჩიეს წინამძღოლად. მათ შორის გაიმართა ბრძოლა ტანდუკის ველზე. ბრძოლაში ჩინგისმა მოკლა იოანე და მიიღო მისი მემკვიდრეობა. მარკო პოლოს მიხედვით, იოანეს სამფლობელოები მდებარეობდა ტანდუკის მხარეში. ამჯერად ეს მხარე ეკუთვნოდა დიდ ხანს და იოანეს ჩამომაველები მას ემორჩილებოდნენ.<sup>29</sup>

XIII საუკუნის დომინიკანელ ბერ სიმონ დე სენ-კვენტინის მსგავსი ისტორია აქვს მოთხრობილი. იოანეს ვაჟს იგი დავითს უწოდებს. სწორედ მას

<sup>27</sup> Гильом де Рубрук. Путешествие в восточные страны. Комментарии М. Горнунга. М. 1997, გვ. 113-114. გ. ქიქოძის აზრით, იოანე ხუცესზე ლეგენდას საფუძველი მისცა ნამდვილად არსებულმა უნ-ხანმა ანუ ვან-ხანმა, რომელიც ქრისტიანი კერაიტების მბრძანებელი იყო და ჩინგის-ხანის ამაღლებამდე უძლიერეს პიროვნებას წარმოადგენდა მონღოლებში; გ. ქიქოძე. გუილიომ რუბრუკი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა. შურნ.: „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვ. V. თბ. 1942, გვ. 182.

<sup>28</sup> გ. ქიქოძე. გუილიომ რუბრუკი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 80-83.

<sup>29</sup> Книга Марко Поло. Комментарии М. Горнунга. М. 1997, гв. 84-87.

აუჯანყდა თათრების მეთაური ჩინგისი, რომელმაც დაამარცხა ღავითი და მისი ქალიშვილი მოიყვანა ცოლად.<sup>30</sup> ინგლისელი ფრანცისკანელი ბერი-ფილოსოფოსი როჯერ ბეკონიც აღნიშნავს, რომ იოანე იყო ნესტორიანელი ნაიმა-ნების მეთაური, რომელიც დაამარცხა ჩინგის-ხანმა.<sup>31</sup>

როგორც ვხედავთ, იოანეს სამშობლოს ეს ავტორები მონდოლოგიის და ჩინეთის მხარეებში მოიაზრებენ და სწორედ მათი მონაცემების საფუძველზე წარმოიშვა თეორიები იოანე პრესვიტერის ინდოელობის, კერაიტობის, ნაიმა-ნობის თუ ეთიოპელობის შესახებ. ეს მოსაზრებები კი, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია ჩინგის-ხანის მიერ ხატაელების, კერაიტების და ნაიმა-ნების მეთაურების დამორჩილების ამბებთან, რომლებიც ატარებდნენ ვან-ხანის ან უნკ-ხანის ტიტულებს („ვან“ ჩინურად ნიშნავს მეფეს).<sup>32</sup>

ზემოთ ხსენებული ავტორები ამ მეთაურთა ტიტულებს აიგივებდნენ იოანე მეფე-ხუცესის სახელთან და აღნიშნავდნენ, რომ, ვინაიდან ჩინგის-ხანმა დაამხო მათი ძლიერება და გახდა მათი სამფლობელოების მემკვიდრე, ამიტომ ის ახალი პრესვიტერია.

თანამედროვე და გვიანდელი მემატეანეების შრომებში მონდოლებზე ამგვარი წარმოდგენა ძველი ლეგენდის სიუჟეტური ნახების ინტერპრეტაციისა და გადაკვეთის საფუძველზე საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა.

ჩინგის-ხანის შესახებ მსგავსი ისტორიები გვხვდება აღმოსავლურ წყაროებში. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ სპარსელი ისტორიკოსი და ილ-ხანთა სახელმწიფო მოხელე ალა აღ-დინ ათა მალიქ ჯუვეინი. მის კალამს ეკუთვნის თხზულება „მსოფლიოს დამპყრობლის ისტორია“. ეს თხზულება სამი ტომისაგან შედგება. მასში მოთხრობილია ჩინგის-ხანის და მისი უახლოესი მემკვიდრეების ისტორია. ჯუვეინი გადმოგვცემს ჩინგის-ხანის, ქერაიტების (კერაიტები) და საყიათის ტომების ონ-ხანის ურთიერთობებს და ბრძოლებს. აღწერილი აქვს, თუ როგორ დაამარცხა იგი ჩინგის-ხანმა, ონ-ხანი ბრძოლაში დაიღუპა და მისი ქონება და ცოლ-შვილი მონდოლთა მეთაურს ჩაუვარდა ხელში. შემდეგ ავტორი აღწერს ჩინგის-ხანის მიერ უილური ტომების დამორჩილებისა და ყარა-ხატაეთის სამეფოს მეთაურის, „გურხანის“,

<sup>30</sup> დ. ნინიძე, სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელწობა). კრებ.: „ქართული დიპლომატია“. წელიწადი. ტ. 11. თბ. 2004, გვ. 456-461.

<sup>31</sup> В. И. Матузова. Англиские средневековые источники IX-XIII вв. текст, перевод, комментарий. М. 1979, гв. 216-217.

<sup>32</sup> ტერმინი „ვან-ხანი“ – ვან – ჩინურად, ხოლო ხან – თურქულად მმართველს ნიშნავს. ლ. გუმილიოვის აზრით, ევროპელები „ვან-ხანს“ აღიქვამდნენ როგორც მეფე იოანეს: ვან – Иван, Иоанн, ხანი-მეფე.

დამარცხების ამბებს.<sup>33</sup> აქ გურხანი არის ნაიმანების ნესტორიანელი მბრძანებელი ქუჩლუკი, რომელმაც 1212 წელს დაიპყრო ყარა-ხატაეთი და მიიღო გურხანის ტიტული.

მსგავსი ამბები მოთხრობილი აქვს მეორე სპარსელ ისტორიკოსს – რაშიდ ედ-დინს, ასევე არაბ ისტორიკოს იბნ-ალასირს, ებრაელ აბულ ფარაჯს (ბარ ჰებრაია), სომეხ სმბატ სპარაპეტს. ისინი მეტ-ნაკლები განსხვავებით გადმოგვცემენ ჩინგის-ხანის ხელისუფლებაში მოსვლის ისტორიას.

როგორც ჩანს, სპარსელ ისტორიკოსთა ნაშრომებს გარკვეული გავლენა მოუხდენიათ ქართულ წყაროებზე.<sup>34</sup> ჟამთააღმწერლის თხზულებაში გვხვდება ის სიუჟეტები, რომლებიც ჯუვეინთან და რაშიდ ედ-დინთან გვხვდება ჩინგის-ხანის მმართველობაში მოსვლის შესახებ. მემატთანე საკმაოდ თანმიმდევრულად გადმოგვცემს ჩინგის-ხანის მიერ ონ-ხანის მეძვიდროების დაუფლების, უიღურების ტომების და ხატაეთის დამორჩილების ამბებს. ჟამთააღმწერლის ცნობით, ონ-ხანის (უნკ-ხან – ა. გ.) დამარცხების შემდგომ ჩინგის-ხანმა დაამარცხა მისი შვილი გორხანი და ასევე ხელში ჩაიგდო მისი მეძვიდროება (გურხანი – ყარა-ხატაეთის მფლობელების ტიტული იყო). ჟამთააღმწერლის მიერ აღწერილი ამბავი ძალიან ჰგავს პლანო კარპინის და გიომ დე რუბრუკის მიერ აღწერილ ისტორიებს. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ის იყენებდა სპარსელი ისტორიკოსების ცნობებს.<sup>35</sup>

საინტერესო ცნობაა დაცული ჟამთააღმწერელთან იმის შესახებ, თუ როგორ გამოეცხადა ხატაეთში მყოფ ჩინგის-ხანს იესო ქრისტე. „მივიდა ხატაეთს და შევიდა ეკლესიათა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მეყსეულად თაყუანი-სცა და თქუა: „აჰა კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამა სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი ესე წესი. ესე შეიყუარა ჩინგის-ყაენმან და მას აკურთხევდის და ამისი მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა“.<sup>36</sup> ჟამთააღმწერელზე დაყრდნობით გადმოგვცემს ცნობებს ფარსადან გორგიჯანიძეც. მისი თქმით, ჩინგის-ხანს ჩინეთსა და ხატაეთში „გამოეცხადა იესო ქრისტე ჯვარცმული და ასწავლა სა-

<sup>33</sup> რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი საკითხები. თბ. 1982, გვ. 73-75.

<sup>34</sup> რ. კიკნაძე დაასკენის, რომ ჯუვეინის თხზულება იყო ჟამთააღმწერლის მთავარი წყარო. რ. კიკნაძე. ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი საკითხები. თბ. 1982, გვ. 73-74.

<sup>35</sup> ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 161.

<sup>36</sup> ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ. 1959, გვ. 162-163.

მართალი და უბრძანა: შენ და შენი შვილნი და შვილის შვილნი და ჩამომავალნი ნათესავნი თქვენნი გაძლიერდებიან ქვეყანათა ზედან ზღვათა და ხმელეთს დაიჭერენ. გაგზავნეთ ყველგან ლაშქარნი და მოგეცემა გამარჯვება. რა ეს სასწაული ნახა ჩინგის ხან, გაკვირვებული შეიქნა. მივიდა ხატაეთს და შევიდა სალდართა მათთა შიგან. ნახა ჯვარცმა იმავე სახით, რომე ჩინეთის მთაზე ენახა.<sup>37</sup> აღსანიშნავია, რომ ჟამთააღმწერელი და ფარსადან გორგიჯანიძეც ასხვავებენ ერთმანეთისგან ჩინეთსა და ხატაეთს. ხატაეთი ეს არის ყარა-ხატაეთის სამეფო, რომელიც ჩამოაყალიბა იელუ დაშმა XII საუკუნის 40-იან წლებში. ამის შემდეგ ჩინგის-ხანმა დაიპყრო ხატაეთი და ლაშქარი დაძრა დასავლეთისაკენ. მან გააგზავნა სარდლები ხორეზმის, რუსეთისა და ყივჩაღეთის დასალაშქრად.

ჟამთააღმწერელი იმასაც აღნიშნავს, რომ, როდესაც მონღოლებმა განძა აიღეს, ქალაქი საშინლად მოაოხრეს და მრავალი მცხოვრები ამოწყვიტეს, „რამეთუ საძაგელი უჩნდათ სჯული მოამედის მიერ ქადაგებული.“<sup>38</sup> მსგავსი ინფორმაციაა ვახუშტი ბატონიშვილთანაც,<sup>39</sup> რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავტორისათვის ცნობილი იყო მონღოლთა დამოკიდებულება მაჰმადიანთა რჯულის მიმართ. წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მონღოლების სისასტიკე მაჰმადიანების მიმართ აიხსნებოდა მათი რჯულისადმი სიძულვილით, რაც გამოწვეული იყო მონღოლების ნესტორიანელი თანამებრძოლების გავლენით. ქართველთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკის მიზეზი კი იყო არა სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა, არამედ დაპყრობილი მოსახლეობისადმი დამოკიდებულება. ჟამთააღმწერელის ეს ცნობაც ამას მოწმობს.

როგორც ცნობილია, მონღოლები თავიანთი გამოჩენის პირველ ეტაპზე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ რელიგიურ ფაქტორს, რადგან თვითონ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. მემატაიანეთა ცნობებით, ისინი ქრისტიანობას უფრო მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე მაჰმადიანობას. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის მრავლად არსებული ნესტორიანელი ტომების, კერძოდ, უილურების, კერაიტების და ნაიმანების დამსახურება იყო. ნესტორიანელებმა დიდი როლი ითამაშეს მონღოლების მიერ დაპყრობილი მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ გამოჩენილ სისასტიკეში. მაშინდელი მონღოლების რელი-

---

<sup>37</sup> ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H-2140, გვ. 49.

<sup>38</sup> ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ. 1959, გვ. 185.

<sup>39</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 204.

გიურ პოლიტიკას ხშირად ისინი განსაზღვრავდნენ, რადგან თავიანთი განვითარებით წარმართ მონღოლებზე შედარებით მაღალ საფეხურზე იდგნენ და მონღოლი ხანების სამსახურშიც მაღალი თანამდებობები ეკავათ. ლ. გუმილიოვი მონღოლების ბაღდადზე ლაშქრობას „ყვითელ ჯვაროსნულ ლაშქრობას“ უწოდებს.<sup>40</sup>

მართალია, ქართულ წყაროებში არ არის რაიმე მინიშნება ჩინგის-ხანის ნესტორიანულ მეფე-ხუცესთან გაიგივების შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ქართული პოლიტიკური წრეები ინფორმირებული იყვნენ აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შესახებ და მემატაინეთა ცნობები ჩინგის-ხანის მიერ ქრისტეს რჯულის თაყვანისცემის შესახებ, გარკვეულწილად, იმ ცნობების გააზრება იყო, რომლებიც ეხებოდა, მონღოლების დაკავშირებას იოანე პრესვიტერის ლეგენდასთან.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა საქართველოს მეფის, რუსუდანის, მიერ 1223 წელს გაგზავნილი წერილი რომის პაპ ჰონორიუსისადმი. რუსუდანი აღნიშნავს: „ღამიეტაში მყოფი შენი ლეგატისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ თუ თქვენ გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენ ხალხს, ჩვენი ექვსი ათასი კაცი ამოჟლიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არც ველოდით, რადგან გვწამდა, რომ ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინვე შეგროვილი ძალებით შევუტეთ მათ, ოცდახუთათასი კაცი დავუხოცეთ, ბევრი ხელთ ვიგდეთ, დანარჩენი გავდევნეთ ჩვენი მიწებიდან. ამის გამო დავრჩით და ლეგატის მითითებისამებრ ვერ წამოვედით“.<sup>41</sup>

ასეთივე ცნობაა დაცული ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის წერილში რომის პაპ ჰონორიუს III-სადმი: „თქვენი წმინდა და სამართლიანი ბრძანება, ღამიეტადან თქვენი ლეგატის მიერ გამოგზავნილი, მეფემდე და ჩემამდე მოვიდა, მაგრამ როდესაც ჩვენ ვემზადებოდით იარაღის, სურსათის, ცხენებისა და მებრძოლთა საჭირო მარაგით, რათა წამოვსულიყავით ქრისტიანების დასახმარებლად და წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად, ჩვენს ქვეყანას ჯვრის ნიშნებით შენიღბული თათრები შემოესივნენ. გარეგნულად ისინი ქრისტიანობის აღმსარებლებს ჰგავდნენ. ასე მოგვატყუეს და ექვს ათასამდე

<sup>40</sup> Л. Гумилев. В поисках вымышленного царства, гл. 175-176, 199.

<sup>41</sup> ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 176-177.

კაცი მოგვიკლეს“.<sup>42</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ამ წერილებში აღნიშნული ინფორმაცია მონდოლთა ქრისტიანობის შესახებ იყო გამოძახილი იმ ხმებისა, რომლებიც უკავშირდებოდა იოანე პრესვიტერისა და ჩინგის-ხანის ფიგურების აღრევას. ამავე დროს, საყურადღებოა წერილის ის ფრაგმენტი, რომელშიც რუსუდანი აღნიშნავს, რომ მონდოლები „კარგი ქრისტიანები“ არ იყვნენ. საქართველოს მეფე ამ ცნობაში არ უარყოფს მონდოლთა ქრისტიანობას. ეს ეხება მონდოლებსა და მათი დროშის ქვეშ გაერთიანებული სტეპის ხალხებში გავრცელებულ ნესტორიანულ მრწამსს. კათოლიკე და მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის ისინი ხომ ქრისტეს სწორი მცნებიდან აცდენილი მწვალებლები იყვნენ. მით უმეტეს, რომ ლეგენდის თანახმად, მეფე-ხუცესი ნესტორიანელი ქრისტიანი იყო და, სავარაუდოდ, შეიძლება ეს აზრი იყოს გატარებული წერილის ამ ფრაგმენტში.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ და ქართულ წყაროებში თუნდაც არაპირდაპირი მინიშნებებით ჩანს იოანე პრესვიტერის ლეგენდის კვალი, რაც იმ დროისათვის, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის და შემდგომ ხანაში, ამ რეგიონში ქართველთა და მონდოლთა სამხედრო გააქტიურებას უკავშირდებოდა.

---

<sup>42</sup> ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 178-179.

*Andro Gogoladze*

**MONGOLIC REMINISCENCES OF PRESTER IN THE GEORGIAN  
HISTORICAL SOURCES**

Summary

The legend about John Prester had influenced the consciousness of medieval people regarding the historical and ethnographical study of the East.

This legend about Prester began to spread by the crusaders in the 12<sup>th</sup> c. and it lived in the public memory for several centuries. It was associated with the different historical persons. Prester was the hope for crusaders in the fights against the Muslims. In the 13<sup>th</sup> c., during the Fifth Crusade the Prester was identified with Genghis Khan. This idea was based on their belief that the Mongols were Christians, which was widespread in the sources of those times. Therefore, the crusaders were considering the Mongols as possible allies in the liberation of Jerusalem.

The Georgian sources do not contain the direct information about this legend, nevertheless the mentioning of Mongols' Christianity in Georgian chronicles can be considered as the trace of the legend.

During the Fifth Crusade, the Georgian military activity towards Syria led Europeans to the consideration of Georgians as their new allies. It was a new interpretation of the legend.

*თემო კოჯუა*

## მასალები სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის (XIII-XIV სს.)

სიქანელისძეთა ფეოდალური სახლი შუა საუკუნეების იმ წარჩინებულ ქართულ საგვარეულოთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შესახებაც მეტად მწირი წერილობითი ცნობები მოგვეპოვება. ქართველ მკვლევართა მიერ ამ ფეოდალური სახლის ისტორიის შესწავლის მცდელობას, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, აქამდე ადგილი არ ჰქონია და წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ ხარვეზის დაძლევის ისახავს მიზნად. ჩვენი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად სრულად მოვუყაროთ თავი სიქანელისძეთა ფეოდალურ სახლთან დაკავშირებულ ცნობებს და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, თვალი გავადევნოთ ამ ნაკლებად ცნობილი ფეოდალური სახლის XIII-XIV საუკუნეების ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს.

### 1. ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ (XIV ს.)

XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერელი თავის „ასწლოვანი მატიანეში“ 1281 წელს სირიის ქალაქ ჰომსთან (იგივე, ჰომსთან, ემესასთან) ირანის ილხანთა (ჰულაგუიანთა) მონღოლურ სახელმწიფოსა და ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს შორის გამართულ ბრძოლაზე საუბრისას დაწვრილებით მოგვითხრობს ამავე ბრძოლაში აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დემეტრე II თავდადებულისა (1270-1289 წწ.) და ქართული მხედრობის მონაწილეობის ამბებს.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> „ასწლოვანი მატიანეში“ აღწერილი ეს საომარი პერიპეტეები 1281 წლის ჰომსის ისტორიულ ბრძოლასთან პირველად ივანე ჯავახიშვილმა გააიგივა (ივ. ჯავახიშ-



ვინაიდან აღნიშნული ამბები ყველაზე უფრო სრულყოფილად „ასწლოვანი მატიანის“ 1670-იან წლებში გადაწერილ იმ ფრაგმენტულ ნუსხაშია გადმოცემული, რომელიც ვალერი სილოგავამ სულ ორიოდ წლის წინ შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილებს სწორედ ამ ნუსხიდან მოვიტანთ:

*„ინება ყანმან აბლა (ილხანთა ყანმა აბლამ (1265-1282 წწ.) – თ. ჯ.) წარსვლა ეგვიპტეს, რათა ანუ დაიპყრას, ანუ მოხარკე ყოს. და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და მეფესა დიმიტრის ყოვლითა სპათა მისითა წარსლავად და ბრძოლად ეგვიპტისა სულტანსა. რამეთუ მაშინ ფანდუყადარ (ეგვიპტის სულთანი ბაიბარს I (1260-1277 წწ.) – თ. ჯ.) გარდაცვალებულ იყო და სხუა დაედგინა მეგვიპტელთა სულტანი, სახელით ნასირ, რომელსა უკანასკნელ ეწოდა ნასრი-მელიქ (ეგვიპტის სულთანი საიფ კალავუნი (1279-1290 წწ.) – თ. ჯ.). და მოუწოდა ძმასა თუისსა მანგუ-დემურსა და აჩინა მკვდართმთავარად, და კვლთ-უღვა ყოველი სპა მისი ყანმან და უბრძანა, რათა ჰბრძოდეს სულტანსა... აიყარნეს და მივიდეს ქალაქთა, რომელთაცა ეწოდების ამასი (ჰიმსი – თ. ჯ.) და ამაი (ჰამა – თ. ჯ.) და დაიბანაკეს მახლობელად ქალაქთა. და ვითარ ცნა სულტანმან მისრი-მელიქ მისულა თათართა, წარმოვიდა ყოვლითა ძალითა მისითა და მოვიდა ამასიას და ამიას. ხოლო ვითარ იხილა მანგუ-დემურ სულტანი და სპა მისი, ამკედრდა და წინა-განაწყო სპა თათართა, რამეთუ იყო რიცხუი მკვდარისა მისისა ასოცდათორმეტი ათასი. ხოლო მეფე დიმიტრი, დადათუ ჯერეთ არა სრულ იყო ბრძოლათა შინა, გარნა ეგრეთცა ევედრა მანგუ-დემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს თუით იგი და სპა მისი. რომელი ისმინა და დააწესა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესმე ყოფილთა და გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი. ხოლო ვინათგან უწყოდა სულტანმან წყობათა შინა*

ვილი. ქართველი ერის ისტორია. წგნ. მესამე. ნაწ. პირველი (XIII-XIV სს.). წგნ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 104). მკვლევრის ეს მოსაზრება დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულად არის გაზიარებული (ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.). წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 606; დ. გოჩოლეიშვილი. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე XIII-XIV საუკუნეებში. ჟურნ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. I. 1978, გვ. 106-108; დ. ნინიძე. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში. წგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I ნაწ. თბ. 1998, გვ. 423; და სხვ.).

სიმკნე და წინადაუდგრომელობა მეფისა და სპათა მისთა, ამისთუის თორმე-  
ტი ათასი მკედარი რჩეული თუის თანა იპყრა და წინაშე მისსა დააყენა (და  
უბრძანა) ორთა თანა მთავართა მათთა, მკნეთა, ყარასუნღულს <და> აყუშ-  
ფარავს, რათა განძლიერებასა და შენივეთებასა ომისასა, უკანასკნელ ივანი  
მიეტევენ და სძლონ და აოტნენ ქართველნი. და ვითარ ყოველგნით განგრ-  
ძელდა ომი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი, მაშინ მსწრაფლ ზედა მიეტევენს  
მეფესა ყარასუნღულ და აყუშაფავს ათორმეტი ათასითა მკედრითა რჩეული-  
თა. კუალად იქმნა სასტიკება ბრძოლისა ესევეითარი, რომელ ორი ათასი მკე-  
დარი წინამბრძოლად განიწესა მეფესა და არა დამთა მთვანი თუინიერ სამ-  
თა კაცთასა. და სრულიად მოისრნეს და ცხენიცა მეფისა შუბითა ყარასუნ-  
ღულის მიერ. ხოლო მღულოველთა ქართველთა, დაცემასა მეფისა ჰონისასა  
მეის ქუეით-ქმნილთა, იწყეს ბრძოლად ყოველთავე ძლიერად და უმრავლესნი  
მეგუიბტელნი მოისრნეს. და მეფეცა ძლიერად იბრძოდა ცხენმოკლული. ვი-  
თარ იხილა მეფე ქუეითი სიქანელისძემან ჩოგაშვილმან აბაშმან (ხაზი, აქაც  
და შემდგომშიც, ჩვენია – თ. ჯ.), მეის აღსუა მეფე ონესა თუისსა ზედა.<sup>2</sup>

<sup>2</sup> ციტირებულ ტექსტში დასახელებული „სიქანელისძე ჩოგაშვილი აბაში“ „ას-  
წლოვანი მატიანის“ სხვა ნუსხებში სამი განსხვავებული ფორმით არის მოხსენიე-  
ბული: 1. „სიქანალიძეა, აბაშმან“ („ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული (M)  
ნუსხა (1634-1645 წწ.); 2. „სიქანალის ძემან, აბაშმან“ („ქართლის ცხოვრების“ თეი-  
მურაზისეული (T) (XVIII ს-ის I მეოთხ.), მაჩაბლისეული (m) (1736 წ.) და რუმიან-  
ცევისეული (R) (1703 წ-მდე) ნუსხები); და 3. „სიქანლის ძემან აბაშმან“ („ქართ-  
ლის ცხოვრების“ საეკლესიო მუხუემის (E) ნუსხა (1748 წ.) (ჯამთააღმწერელი.  
წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მი-  
ხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 280; ჟამთააღმწერელი. ასწლო-  
ვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექ-  
სიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ. 1987, გვ. 171; ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მა-  
ტიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ. წგნ.: ქართლის ცხოვრება.  
თბ. 2008, გვ. 618). „სიქანელისძე ჩოგაშვილი აბაში“ კიდევ უფრო განსხვავებული  
ფორმით არის მოხსენიებული ფარსადან გორგიჯანიძის მიერ 1685-1696 წლებში  
შედგენილ „საქართველოს ისტორიასა“ და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1742-1745  
წლებში შედგენილ „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“, რომელთა შესაბამისი  
ფრაგმენტებიც მთლიანად „ასწლოვან მატიანეზე“ დამყარებული. ფარსადან  
გორგიჯანიძემ: „სიქანლის ძემან, აბაშმან“ (ჯამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე.  
ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო  
რ. კიკნაძემ, გვ. 32-33, 171); ვახუშტი ბაგრატიონი: „აბაშმან“ (ქართლის ცხოვრება.  
ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგე-  
ნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973,  
გვ. 232). დასახელებული წერილობითი ძეგლების ამგვარი არასრული (ჯამთააღმ-  
წერლის თხზულების სხვენებული ნუსხები, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება)  
თუ მცდარი (ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება) ჩვენებების გამო ჟამთააღმ-  
წერლის თხზულების შესაბამისი ფრაგმენტი, აგრეთვე, არასრული ან მცდარი სა-  
ხით იქნა შეტანილი „ასწლოვანი მატიანის“ მარი ბროსეს, ექვთიმე თაყაიშვილის,

და ვითარ იხილეს აღმკვედრებული ქართველთა, მაშინ ყოველნი აღმკვედრდეს და კუალად მიეტევნეს და მეოტ იქმნეს ყარსუნლულ და აყუშვარაბ ათორმეტი ათასთა თვსთა თანა. ხოლო ლტოლვილ იქმნნეს აქათ პირველად ნოინნი და თუით მანგუ-დემურ უკმოიქცა ყოველთა სპათა თუისთა თანა. მაშინ ულონოქმნილთა ქართველთაცა სივლტოლა იკუმიეს, გარნა ზეგ(ა)რდამოთა განგებითა მეფე დაცულ-იქმნა, დაღაცათუ უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს. და მოვიდეს მანგუ-დემურ და მეფე წინაშე აბაღასსა<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის მონათხრობის თანახმად, ჰიმისის ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპზე ეგვიპტელ ცხენოსანთა წინასწარ მომზადებულმა 12 000-იანმა შენაერთმა ეგვიპტელთა განლაგებაში შეჭრილ და ხელჩართულ ომში ჩაბმულ დემეტრე II-ზე მოულოდნელი იერიში მიიტანა. ამ შეტევის დროს ეგვიპტურმა კავალერიამ ქართველთა ერთ-ერთი, 2 000 მხედრისაგან შემდგარი წინამბრძოლი რაზმი თითქმის მთლიანად გაანადგურა, დანარჩენი რაზმები კი უკუაქცია. ამავე იერიშის დროს ერთ-ერთმა ეგვიპტელმა სარდალმა ყარასუნლულმა დემეტრე II-ს შუბით ცხენი მოუკლა და ქვეითად დარჩენილ მეფეს დალუპვის საფრთხე დაემუქრა. როცა ქართველმა მხედრებმა

სიმონ ყაუხნიშვილის, რევაზ კიკნაძისა და გიული ალასანიას მიერ მეცნიერულად გამოცემულ ტექსტებში. მარი ბროსე და სიმონ ყაუხნიშვილი: „ხოლო ვითარ იხილა მეფე სიქანაღის ძემან, აბაშმან, მის აღსვა მეფე ჰუნესა თვსსა“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამით-გან მეათცხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული დეაწლოთა უფლისა ბროსე, წვერისა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწ. პირველი. ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ. სანკტ-პეტ. 1849, გვ. 417). „ხოლო ვითარ იხილა მეფე სიქანაღის ძემან, აბაშმან, მის აღსვა მეფე ჰუნესა თვსსა“ (ჟამთააღმწერელი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ, გვ. 280); ექვთიმე თაყაიშვილი: „ვითარ: იხილა: მეფე: სიქანაღიძემა: აბაშმან: მის: აღსვა: მეფე: ჰუნესა: თვისსა:“ (ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1906, გვ. 728); რევაზ კიკნაძე: „ვითარ იხილა მეფე სიქედურის ძემან, აბაშმან, მის აღსვა მეფე ჰუნესა თვსსა“ (ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, გვ. 171); გიული ალასანი: „ვითარ იხილა მეფე სიქედურის ძემან, აბაშმან, მის აღსვა მეფე ჰუნესა თვსსა“ (ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, გვ. 618). აღნიშნული ხარვეზი მთლიანად აღმოიფხვრა 2009 წელს, როცა ვალერი სილოგავამ ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტი მანამდე უცნობ, 1670-იანი წლების ნუსხაზე დაყრდნობით გამოქვეყნა და სამეცნიერო საზოგადოებას „ასწლოვანი მატიანის“ განსახილველი ფრაგმენტის ყველაზე უფრო სრული და სწორი ჩვენება შესთავაზა: „ვითარ იხილა მეფე ქუეითი სიქანაღისძე მან ხოგაშვილმან აბაშმან, მის აღსვა მეფე ონესა თუისსა ზედა“.

<sup>3</sup> ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). გამოსცა ვ. სილოგავამ. თბ. 2009, გვ. 28-30.

დემეტრე II-ის ქვეითად დარჩენის ამბავი შეიტყვეს, უკან დახევა შეწყვიტეს, ცხენებიდან ჩამოხდნენ და ეგვიპტური კავალერიის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის მხარდამხარ, ქვეითად ჩაებნენ. მართალია, ქართველი მხედრების დროულმა მოქმედებამ დემეტრე II მყისეულ სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ გარდაუვალი დაღუპვის საფრთხის წინაშე ახლა უკვე მთელი ქართული ლაშქარი აღმოჩნდა, ვინაიდან სრულებით ცხადი იყო, რომ ქვეითად მებრძოლი ქართველი მხედრები ეგვიპტური კავალერიისათვის წინააღმდეგობის გაწევას დიდხანს ვერ შეძლებდნენ. და, აი, ამ კრიტიკულ მომენტში ერთ-ერთმა ქართველმა მოლაშქრემ, ვინმე „სიქანელისძემ ჩოგაშვილმა აბაშმა“ უდიდესი თავდადება გამოიჩინა და დემეტრე II საკუთარ ცხენზე ამხედრა. როცა ქართველებმა მეფე ამხედრებული დაინახეს, თავადაც ცხენებზე ამხედრდნენ და მოწინააღმდეგეზე თავგანწირული იერიში მიიტანეს. ეგვიპტელმა ცხენოსნებმა ქართული კავალერიის შეტევას ვერ გაუძლეს და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. სამწუხაროდ, „ასწლოვან მატთანში“ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ქვეითად დარჩენილ „სიქანელისძე ჩოგაშვილ აბაშს“. შესაბამისად, ჩვენ თანაბარი ალბათობით შეგვიძლია ვიფიქროთ ისიც, რომ იგი ჰიმსის ბრძოლაში დაიღუპა და ისიც, რომ მან სიკვდილს თავი დააღწია და დემეტრე II-სთან ერთად საქართველოში დაბრუნდა.

ჟამთააღმწერლის თხზულების აღნიშნული ფრაგმენტის განხილვის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ არის „ასწლოვან მატთანში“ „სიქანელისძე ჩოგაშვილად“ მოხსენიებული აბაში, რომელმაც 1281 წელს გამართულ ჰიმსის ბრძოლაში დემეტრე II-ისა და ქართული ლაშქრის გადასარჩენად თავი სასიკვდილოდ გასწირა, საკუთარი ცხენი მეფეს დაუთმო, თავად კი მრავალათასიანი კავალერიული შენაერთების ბრძოლის ეპიცენტრში ცხენის გარეშე, ქვეითად დარჩა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ქართველ მემატიანეთა თუ მეცნიერთა შორის მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების ენციკლოპედისტმა და ლექსიკოგრაფმა იოანე ბაგრატიონმა (1768-1830 წწ.) სცადა, რომელმაც თავის ნაშრომში: „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, აღნიშნა, რომ ჰიმსის ბრძოლის მონაწილე აბაში ეროვნებით „აბაში“ ანუ ეთიოპიელი იყო. იგი ეგვიპტის ერთ-ერთ მხარეში ცხოვრობდა და ყიფიანის გვარს ატარებდა. ჰიმსის ბრძოლის შემდეგ აბაში დემეტრე II-ს საქართველოში გამოჰყვა. მეფემ აბაშს თავადის წოდება უბოძა და მას ორბეთის ციხის მიდამოებსა თუ ქვემო ქართლის სხვა რაიონებში მდებარე

სახასო სოფლები სამამულოდ უწყალობა. აბაშის ჩამომავლები საუკუნეების განმავლობაში აბაშიშვილის გვარს ატარებდნენ. მოგვიანებით აბაშიშვილთა მთელი ფეოდალური სახლი ამოწყდა და ამ გვარის არც ერთი წარჩინებული საქართველოში აღარ დარჩა: „28. თავადი აბაშის შვილი. ესენი იყვნენ ძველად ყოფიანნი ეგვიპტის ნაწილიდგან; ოდეს მეფესა დიმიტრის ბრძოლასა შინა ეგვიპტელთასა ცხენი მოუკლეს; მაშინ აბაშმან ამან ცხენი თვისი მიაართო და განარინა მით წელსა ქრისტეს აქეთ 1285-სა და შეძღვომად ბრძოლისა, მეფემან მიიღო აბაში იგი და მერეთ, შეძღვომად მოსვლისა ქართლსა შინა, თანა მოჰყვა აბაში იგი და მეფემან ჯილდოდ უბოძა თავადობა აბაშადვე წოდებით და სომხითსა შინა საქეფოთაგან აღვიღნი და სოფელნი ორბისის მხარეს და სხვაგან და მუნ ჟამილგან არიან თავადად აბაშად აღვიარებულნი. გარნა ამდროსა შინა ასწყდა გვარი მათი და არვიხლა არიან შთამომავლობანი მისნი“.<sup>4</sup>

ჩვენ ვერანაირად ვერ გავიზიარებთ იოანე ბაგრატიონის მიერ შემოთავაზებულ ამ მოსაზრებებს. ჯერ ერთი, დღეისათვის გივი ჯამბურიას მიერ არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ აბაშიშვილთა ფეოდალური სახლი ბარათაშვილთა დიდი ფეოდალური სახლის ერთ-ერთ განაყოფს წარმოადგენდა, დასაბამს XV საუკუნის შემდგომი პერიოდიდან იღებდა<sup>5</sup> და ამიტომ შეუძლებელია მას 1281 წლის ჰიმნის ბრძოლის მონაწილე აბაშთან რაიმე საერთო ჰქონოდა. გარდა ამისა, ჟამთააღმწერლის თხზულების ზემოთ მოტანილი ფრაგმენტიდან, იოანე ბაგრატიონის მოსაზრების საპირისპიროდ, ვფიქრობთ, სავსებით ნათლად ჩანს ისიც, რომ „ასწლოვან მატთანეში“ მოხსენიებული აბაში ეროვნებით ეთიოპიელი კი არა, ქართველი იყო და თანაც, ჰიმნის ბრძოლაში არა ეგვიპტელთა, არამედ მონღოლ-ქართველთა მხარეს იბრძოდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ იოანე ბაგრატიონის მიერ „ასწლოვან მატთანეში“ მოხსენიებული აბაშის შესახებ გამოთქმული მოსაზრება დაუსაბუთებელია და მისი გაზიარებისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობს.

დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას. საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ მართალია, ამ კითხვისათვის რაიმე სრული, ამომწურავი პასუხის გაცე-

<sup>4</sup> შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა და უკანასკნელ მეფისა მიერ ირაკლისაგანცა ვითარცა არს მოხსენებულ ტრაქტატსა შინა დადებულსა ოდეს შეეკრა მის დიდებულებას იმპერატრიცა ეკატერინასა, წელსა 1783. შურნ.: ივერია. №№ IX-X. სექტემბერი და ოქტომბერი. თბ. 1884, გვ. 27

<sup>5</sup> გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები). თბ. 1955, გვ. 63-64.

მა მხოლოდ „ასწლოვან მატიანეზე“ დაყრდნობით, სხვა დამატებითი საისტორიო მასალის მოხმობის გარეშე, შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაცული ცნობები მაინც გვაძლევს საშუალებას, არგუმენტირებულად გავარკვიოთ ამ თავდადებულ ქართველ მოლაშქრესთან დაკავშირებული ორი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც მისი საგვარეულო კუთვნილება და მამისშვილობაა.

ჩვენი დაკვირვებით, ის ფაქტი, რომ აბაში ჟამთააღმწერლის თხზულებაში „სიქანელისძედ“ და იმავდროულად, „ჩოგაშვილად“ მოიხსენიება, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ იგი გვარად სიქანელისძე იყო, ხოლო მის მამას სახელად ჩოგა ერქვა.

თუ ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ ღვინდება, რომ „ასწლოვან მატიანეში“ მოხსენიებული არიან სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ორი თაობის წარმომადგენლები: ჩოგა და მისი ვაჟი აბაში. ამასთან, ჟამთააღმწერლის თხზულებიდან ჩანს, რომ 1281 წელს გამართული ჰიმსის ბრძოლის მონაწილე აბაშ სიქანელისძე XIII საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა. აქედან კი ავტომატურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ აბაშის მამა, ჩოგა სიქანელისძე, XIII საუკუნის I ნახევრისა და ამავე საუკუნის შუა ხანების მოღვაწე იყო.

მიღებული დასკვნების შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხოთ უშუალოდ გვარ „სიქანელისძე“-სთან დაკავშირებულ საკითხს.

ჩვენი დაკვირვებით, განსახილველი გვარის ფუძეს სავარაუდო ტოპონიმი „სიქანი(ი)“ წარმოადგენს, რომელიც ჯერჯერობით ლოკალიზებული არ არის.<sup>6</sup> აღნიშნულ ტოპონიმს დართული აქვს სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი „ელი“, საიდანაც წარმომდგარია ანთროპონიმი „სიქანელი“ („სიქანელი“) (შდრ.: „თორ-ელი“, „ლარგე-ელი“ და ა. შ.).

როგორც ჩანს, სწორედ სახელი „სიქანელი“-ს მატარებელი პირი იყო სიქანელისძეთა ფეოდალური გვარის ფუძემდებელი, რომლის ერთ-ერთი ჩამომავალიც, აბაშ ჩოგას ძე სწორედ „სიქანელისძე“-დ („სიქანელი-ს-ძე“) არის მოხსენიებული ჟამთააღმწერლის თხზულებაში.

ამით „ასწლოვან მატიანეში“ დაცული ცნობების ანალიზს ვასრულებთ და სიქანელისძეთა ფეოდალურ სახლთან დაკავშირებული სხვა წერილობითი ძეგლების განხილვაზე გადავდივართ.

<sup>6</sup> სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ თავად ფორმა „სიქანი(ი)“ ტოპონიმ „სიქ(ა)“-ზე მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი „ნი“-ს დართვით იყო მიღებული: „სიქა-ნი“ (შდრ.: „ფოკა-ნი“, „განძა-ნი“ და ა. შ.).

2. ნასოფლარ კარნეთის (ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი)  
ეკლესიის ლაპიდარული წარწერა (XIII-XIV სს.)

სიქანელისძეთა ფეოდალურ სახლთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლების მოძიება-გამოვლენაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან (ქ. ახალქალაქიდან) სამხრეთით, დაახლოებით, 9-10 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ფარავნის (ფარავანისწყლის, ახალქალაქის მტკვრის, ჯავახეთის მტკვრის) მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნასოფლარ კარნეთის XI საუკუნის დარბაზული ეკლესიის მოგვიანო ხანის ერთმა ასომთავრულმა ლაპიდარულმა წარწერამ მიიპყრო.<sup>7</sup>

წარწერა ტაძრის სამხრეთი მინაშენის შესასვლელის თავზე, დიდი ზომის არქიტრავეზა ამოკვეთილი. ტექსტი, რომელიც ცხრა სტრიქონს შეიცავს,

<sup>7</sup> კარნეთის ეკლესია დაწვრილებით არის აღწერილი ირინე ელიზბარაშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილისა და ციციხო წაჩხუნაშვილის მიერ: „გაცდებით თუ არა სოფელს (პატარა ხორენიას – თ. ჯ.), ფარავანისწყლის ვიწრო, კლდოვან ხეობაში მოხვდებით. მდინარის ორსავე მხარეს უჩვეულო მოგვანილობის კლდეებია აღმართული, რომლებიც სტალაქტიტების გროვას მოგვავიწყებს. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი კლდის ძირში ეკლესიის ნანგრევია შექუქული. მისი თლილი ქვის ფასადი შორიდანვე გამოიკვეთება კლდის უსწორმასწორო ფონზე. ირგვლივ სიჩუმეა, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ყველაფრისაგან შორს ხარ. თუმცა, სოფელი (პატარა ხორენია – თ. ჯ.) სულ რაღაც 20 წუთია, რაც უკან მოიტოვებ. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, მინაშენით სამხრეთიდან. შენობის ძირითადი, დარბაზული ნაწილი, რომლის კედლები მეტ-ნაკლებად დაზიანებულია, შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერის მიხედვით – „ქრისტე ადიდებ იოანე ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხორებათა. იყავნ, ამენ“ 1033-1048 წწ-ით თარიღდება, მინაშენი კი XIV საუკუნისაა. წარწერაში მოხსენიებული პირი, ქართლის კათალიკოსი იოანე ოქროპირი, ცნობილი მოღვაწეა. იგი იხსენიება ჯავახეთისავე სოფლების – ყაურმისა (ძველი ტონთი) და ფოკის წარწერებში. კარნეთში წარწერის მოთავსების საპატიო ადგილი და მეფის მოუხსენებლობა გვაფიქრებინებს, რომ იოანე ოქროპირი ქტიტორია ეკლესიისა, რომელსაც იგი საკათალიკოსო სოფელში აშენებს; ასევე საკათალიკოსო სოფლები იყო, როგორც აღინიშნა, ფოკა და ყაურმა. ნაგებობა წარწერის გარეშეც ავლენს თავის ასაკს. XI საუკუნეზე მეტყველებს დარბაზის აზიდული და წამახვილებული ფრონტონი, კედლის სუფთა წყობა და, რაც მთავარია, ორნამენტით დაფარული ჯვარი არქიტრავეზე. ჯავახეთი არქიტექტურისათვის დამახასიათებელია დიდი, გლუვი არქიტრავეები, რომლებიც XI საუკუნემდე მორთავი რჩება. თუნდაც ამიტომ კარნეთის ჯვარ-წარწერიანი არქიტრავეი XI საუკუნეზე ადრეული არ შეიძლება იყოს. თავისი დროისათვის ნიშნულია მინაშენიც – XIV საუკუნეზე მიგვანიშნებს აფსიდის კედლით გამოყოფა, თუ სარკმლის დაზიანებული საპირის მორთულობა“ (ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. რედაქტორი: დ. თუმანიშვილი. ტექსტის ავტორები: ისტორია, ისტორიული გეოგრაფია: დ. ბერძენიშვილი; ნივთიერი კულტურის ძეგლები: ირ. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი. თბ. 2000, გვ. 41).





დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში კარნეთის ეკლესიის წარწერის დათარიღების თაობაზე რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული.

წარწერის ქრონოლოგიის შესახებ საკუთარი მოსაზრება პირველად ნიკო ბერძენიშვილმა გამოთქვა და ტექსტი, მისი პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, XIV-XV საუკუნეებით დაათარიღა.<sup>9</sup>

განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა ვასილ ცისკარიშვილი. მან კარნეთის ეკლესიის წარწერა სოფელ დიდი ხორენიის ეკლესიის XIII საუკუნის წარწერას დაუკავშირა (დიდი ხორენიის ტაძრის წარწერის შესახებ ვრცლად იხ.: ქვემოთ) და ამ ორ ტექსტს შორის გამოვლენილი შინაარსობრივი მსგავსებისა თუ კავშირის გამო, კარნეთის ეკლესიის წარწერის ქრონოლოგია აგრეთვე XIII საუკუნით განსაზღვრა.<sup>10</sup>

წარწერის დათარიღების საკითხს სულ ბოლოს დევი ბერძენიშვილი შეეხო. მკვლევარმა თავის 1985 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში წარწერა, სავარაუდოდ, მის პალეოგრაფიულ თავისებურებებზე დაყრდნობით, XIII-XIV საუკუნეებით დაათარიღა.<sup>11</sup> მოგვიანებით დევი ბერძენიშვილმა ხელშეწყობის ისტორიკოსებთან: ირინე ელიზბარაშვილთან, ნიკოლოზ ვაჩიშვილთან და ციცინო ჩაჩხუნაშვილთან თანაავტორობით, გამოაქვეყნა გზამკვლევის ტიპის წიგნი „ჯავახეთი (ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი)“, სადაც, მართალია, კარნეთის ეკლესიის წარწერის თარიღი პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ XIV საუკუნითაა დათარიღებული კარნეთის ტაძრის სამხრეთი მინაშენი ანუ ის ნაგებობა, რომლის კედელზეც ჩვენთვის საინტერესო წარწერაა ამოკვეთილი.<sup>12</sup> შესაბამისად, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ დევი ბერძენიშვილმა თავადვე დააზუსტა კარნეთის ეკლესიის წარწერის მის მიერ ადრე შემოთავაზებული თარიღი (XIII-XIV სს.) და ტექსტის ქრონოლოგია XIV საუკუნით განსაზღვრა.

ჩვენ საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე კარნეთის ეკლესიის წარწერის ზემოთ მოტანილი სამი თარიღიდან (XIV-XV სს. (ნიკო ბერძენიშვილი), XIII ს. (ვასილ ცისკარიშვილი) და XIV ს. (დევი ბერძენიშვილი) საბოლოო

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), გვ. 110.

<sup>10</sup> ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 62.

<sup>11</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, გვ. 107.

<sup>12</sup> ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 41.

უპირატესობას ჯერჯერობით ვერც ერთს ვერ ვაძლევეთ, თუმცა კი უფრო დევი ბერძენიშვილის მიერ შემოთავაზებული თავდაპირველი თარიღისაკენ (XIII-XIV სს.) ვიხრებით და ვფიქრობთ, რომ წარწერა, მისი პალეოგრაფიული და შინაარსობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, სწორედ XIII-XIV საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს.<sup>13</sup>

კარნეთის ეკლესიის წარწერის თარიღის გარდა, ქართველ მკვლევრებს საკუთარი მოსაზრებები მის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებითაც აქვთ გამოთქმული.

ვასილ ცისკარიშვილის დაკვირვებით, ამ წარწერაში, დიდი ხორენიის ტაძრის წარწერის მსგავსად, „ეკლესიის აშენებაზე დახარჯული კათალიკონის ფულის შესახებაა ლაპარაკი. ამდენად, ეს წარწერაც ხორენიას წარწერასთან ერთად შესანიშნავი დოკუმენტია XIII ს. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად. ეს წარწერები ავსებენ და ამასთან ადასტურებენ სხვა წერილობითი წყაროების ცნობებს მონღოლთა ბატონობის შედეგად ქვეყნის ეკონომიური დაქვეითების შესახებ“.<sup>14</sup>

კარნეთის ეკლესიის წარწერაში დაცული ცნობები გაცილებით უფრო დეტალურად აქვს განხილული დევი ბერძენიშვილს. მისი თქმით, „წარწერაში საუბარია იმაზე, რომ ქართლის კათალიკოსმა (სახელი არ ჩანს) ვინმე ვარდან ... ქანლის ძეს (ალბათ მცხეთის საყდრის) სასამსახუროდ უბოძა სოფლები და მიწები, რომელთა სახელები იქვე ყოფილა მოტანილი. მსგავსი ვითარება აღწერილია 1241 წ. ერთ საბუთში, სადაც კათალიკოსი თავის მსახურთუხუცესს ვაჩე გუარამაის ძეს მიმართავს: „რომელნიღა საყდრისა სასამსახუროდ სოფელნი გქონებოდეს, მოოჯრებულ იყუნეს და ვერარაით დარჩებოდი“-ო...“<sup>15</sup> წარწერაში მოხსენიებულ სოფელთაგან მე ვარჩევ სახელწოდება ხურანიო-ს, რაც თანამედროვე ხორენიაა, კარნეთის მეზობლად ახლაც არსე-

<sup>13</sup> რაც შეეხება ამ ორსაუკუნოვანი ქრონოლოგიური მონაკვეთის კიდევ უფრო დავიწროვებას, მიგვაჩნია, რომ ამისათვის ტექსტის დეტალური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ჩატარებაა საჭირო. ამგვარი ანალიზის ჩატარება კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად სცილდება ჩვენი წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს და საგანგებო კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს. აქვე დავძენთ, რომ კარნეთის წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზზე მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს და ამ სამუშაოების შედეგებს სამეცნიერო საზოგადოებას ახლო მომავალში გავაცნობთ.

<sup>14</sup> ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 62.

<sup>15</sup> აქ დევი ბერძენიშვილს მხედველობაში 1241 წლით დათარიღებული დოკუმენტი, ქართლის კათალიკოსის მიქაელ V-ის (1240-იანი წწ-ის დასაწ.) დაწერილი მსახურთუხუცეს ვაჩე გუარამაისძისადმი, რომელიც ქვემოთ ვრცლად გვექნება განხილული.

ბული სოფელი. იგი იხსენიება „გურჯისტანის დავთარში“, თუმცა კი გამოცემლის (სერგი ჯიქიას – თ. ჯ.) მიერ ეს სახელი ნაგვიანვეადაა გამოცხადებული...<sup>16</sup> ირკვევა, რომ სოფლის სახელწოდების ძველი ფორმა „ხურანიო“ ყოფილა, რაც 1609 წ. ერთ საბუთში „ხურიანია“-დ დასტურდება...<sup>17</sup> ვარლანისათვის ბოძებული სოფლებიდან წარწერაში იკითხება აგრეთვე დევანი („ხურანიო და დევანი“). დევათი ახლა ორი ნასოფლარია ჭობარეთისწყლის ორივე ნაპირზე, ალასტანიდან SO მხარეს დაახლ. 2 კმ-ზე... დევა იხსენიება „გურჯისტანის დავთარში“... წარწერაში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი „ნი“ სწორედ ორ სოფელს გულისხმობს (მდრ.: განძანი, ფოკანი...). მესამე და მეხუთე სტრიქონებში ორჯერ გვაქვს ასოთა ჯგუფი: „აჯი მლშნითა“ და „არჯი მლშენს“. შესაძლოა პირველი სიტყვა სოფ. ორჯა-ს, მეორე კი სოფ.

<sup>16</sup> აქ მკვლევარს მხედველობაში აქვს სერგი ჯიქიას მიერ გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ III ტომში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამჟამინდელ სოფლებს: დიდ ხორენიას და პატარა ხორენიას თავდაპირველად დიდი ჯვარინა და პატარა ჯვარინა ერქვა: „ამგვარად, არქივისეულ საბუთებში (სულთნის სიგელი, ნასყიდობის ქაღალდი და სხვ.) დაახლოებით 1828-1829 წლამდე (ახალციხის საფაშოს შემოერთებამდე) სოფ. ხორენის სახელად „ჩვარინა, ჩვარინი, ჯვარინა, ჯევარინა და ჯივარინა იხმარება. ამ მონაცემების მიხედვით თითქოს უეჭველად დგინდება, რომ ყირქესალიშვილისა და როსტომაშვილის ცნობა სწორია და ხორენია ამ სოფლის თავდაპირველი სახელი არ არის. საყურადღებოა, რომ ამ სოფლის ორმაგ სახელს (დიდი ჩვარინა ან ხორენია და სხვ.) ჩვენ გვხვებით სომეხების არზრუმიდან გადმოსახლების პირველ წლებში (XIX საუკუნის 30-იანი წლები). ეს გარემოება კი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ „ხორენია“ სახელი განჩნდა ამ მხარეში არზრუმიდან სომეხთა გადმოსახლების შემდეგ („დავთრის“ დროს რომ ამ სოფელს ორი სახელი ჰქონოდა, ის უსათუოდ აღნიშნული იქნებოდა, როგორც ეს სხვაგან ყველგან არის ხოლმე)“ (ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III. გამოკვლევა. I. ხელნაწერის აღწერილობა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. თბ. 1958, გვ. 325-326).

<sup>17</sup> აქ დევი ბერძენიშვილს მხედველობაში აქვს სამცხის ათაბაგის მანუჩარ III ჯაყელის (1614-1625 წწ.) მიერ რუისის საეპისკოპოსო საყდრისათვის მიცემული 1609 წლის შეწირულების წიგნის შემდეგი ფრაგმენტი: „ჩუენ, ათაბაგმან, ბატრონმან მანუჩარ ესე შემოწირულობისა მტკიცე და შეუცვალადელი წიგნი და სიგელი გაადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა, რუისსს, საყდარსა დ(მერთ)აქებისასა და ხატსა ფერისცუალებისასა შემოგწირეთ სრულად ხუირანიელნი ბეზნის მსახლობელნი და რაცა ამ ქუეყანასა იყუენ და ან იქიდა<ლ>ქმა ჩამოვიდნენ, ვერავინ შემოეცილოს რუისსს, საყდარსა დ(მერთ)აქებისასა და ხატს ფერისცუალებისასა... ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან კელ ყოს შეცულად და შლად ამისა, მეფემან ანუ დიდმჩანქ ანუ მცირემან ანუ მეფეთა კარისა მოსაქმეთა ანუ თემის უფროსთა კაცთა ესე ჩუქენგან შეწირული და დამტკიცებული წიგნი, რა უფლება არს ჩუქენთა შესხურთა და ჯავახურთა მამულთა ზედა... რისხავსმცა დ(მერთ)თი დაუხაბამო და ესე ზემო წერილთა მადლი“ (ქარაგმის გახსნა, ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წგნ. IV. თბ. 1913, გვ. 5-6).

მუხრაშენს აღნიშნავდეს... ეს სოფლები ერთმანეთის მეზობლად იხსენიებიან დავთარშიც... ვარდანი კათალიკოსთან დაკავშირებით ასახელებს 17000 თეთრს, წარწერის ბოლოს კი 20000 თეთრიც იკითხება. ასოთა გადამლის გამო არ ჩანს ვინ და რაში იხდის ამ თანხას... ხორენია და კარნეთი საკათალიკოსო სოფლები ჩანან აქაურ წარწერებში მელქისედეკისა და იოანე ოქროპირის მოხსენიების მიხედვით“.<sup>18</sup>

ჩვენ, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე მოლიანად ვიზიარებთ ვასილ ცისკარიშვილისა და დევი ბერძენიშვილის მიერ კარნეთის ეკლესიის წარწერის შინაარსის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. თუმცა კი ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ ტექსტზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, სრული სახით აღვადგინოთ წარწერის I სტრიქონის დასაწყისი ფრაგმენტი, რომელიც ქვის ზედაპირის დაზიანების გამოა დაკარგული და ამ გზით საბოლოოდ გავარკვიოთ ტექსტში მოხსენიებული ვარდანის საგვარეულო კუთვნილების საკითხი.

კარნეთის ეკლესიის წარწერის I სტრიქონის დასაწყისში ქანწილია წარმოდგენილი. ქანწილს ტექსტის დაზიანებული ფრაგმენტი მოსდევს, სადაც, სტრიქონში წარმოდგენილ გრაფემათა ზომების გათვალისწინებით, დაახლოებით, ორი გრაფემა უნდა ყოფილიყო შესრულებული. ამ დაზიანებულ ფრაგმენტს თავნაკული სიტყვა **†CНЪСКЪС** (*ქანლისძესა*) აგრძელებს, რომელსაც, თავის მხრივ, სიტყვა **†C K O C H S** (*ვარდანს*) მოსდევს.<sup>19</sup>

აღნიშნული დეტალებიდან გამომდინარე, სრულებით ცხადია, რომ ქანწილის შემდეგ, თავნაკული ფრაზის **†CНЪСКЪС †C K O C H S** (*ქანლისძესა ვარდანს*) დასაწყისში, დაახლოებით, ორი დაზიანებული გრაფემა აღსადგენი,

<sup>18</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, გვ. 107-108. ციტირებული ტექსტის ბოლო ფრაგმენტში მკვლევარს მხედველობაში აქვს დიდი ხორენიისა და კარნეთის ეკლესიათა XI საუკუნის წარწერები, სდაც მოხსენიებული არიან ქართლის კათალიკოსები: მელქისედეკ I (დაახლ. 1010-1033 წწ.) და იოანე V ოქროპირი (დაახლ. 1033-149 წწ.). დიდი ხორენიის ტაძრის 1029 წლის საღებავით შერულებული წარწერა: „*ჯუარი ქრისტესი. ქრისტე, ადიდე მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ. [ქრონიკონი იყო სმთ] (249+780=1029 წ.)*“ (ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (ნ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), გვ. 106); კარნეთის ეკლესიის უთარილო ლაპიდარული წარწერა: „*ქრისტე, ადიდე მო(ვან)ე-ოქროპ(ირ)ი, ქართლისა) კ(ათა)ლ(იკო)ზი, ორთავე შ(ი)ნ(ა) ცხ(ო)რებათა, ძყ(ა)ენ ა(მ)ენ“* (ვ. სილოგავა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში. კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. VII. თბ. 1980, გვ. 177).

<sup>19</sup> ჩვენ კარნეთის ეკლესიის წარწერის განსახილველი ფრაგმენტზე 2011 წლის 3 სექტემბერს ვიმუშავეთ, როცა მეგობრებთან ერთად. მცირე ხნით ვიმყოფებოდით ჯავახეთში.



ქანელისძეების თანადროულად მოღვაწეობდა და სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის მცირერიცხოვანებიდან გამოდინარე, სავარაუდოდ, მათი უახლოესი ნათესავი იყო.

კარნეთის ეკლესიის წარწერაში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ვარდან სიქანელიძეს ქართლის კათოლიკოსისაგან „სასამსახუროდ“ გადაცემული ჰქონდა ზემო ჯავახეთის ოთხი სოფელი: ზვირანო (თანამედრ. დიდი და პატარა ხორენია),<sup>20</sup> დევანი (თანამედრ. დევათის ნასოფლარები),<sup>21</sup> არჯი (თანამედრ. ორჯა)<sup>22</sup> და „მღშენი“ (თანამედრ. მუხრაშენის ნასოფლარი).<sup>23</sup>

კარნეთის ეკლესიის წარწერაში დადასტურებულ ამ მეტად საინტერესო ფაქტზე საუბრისას დევი ბერძენიშვილი, პარალელის გავლების მიზნით, სავსებით სწორად მოიხმობს XIII საუკუნის ერთ ქართულ დოკუმენტს, ქართლის კათოლიკო მიქაელ V-ის მიერ მსახურობუხუცეს ვაჩე გუარამაისძისათვის მიცემულ 1241 წლის დაწერილს, სადაც დაახლოებით მსგავსი ვითარებაა აღწერილი.

ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის, სრული სახით მოვიტანო მის შესაბამის ფრაგმენტს: „...დაგიწერეთ და მოგეცით დაწერილი ესე ჩუენ[ნ], ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკო ზმან მიქ(ა)ელ შენ, გუარამაისძესა ვაჩე მსახუროუ-

<sup>20</sup> სოფლები დიდი და პატარა ხორენია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან (ქ. ახალქალაქიდან) სამხრეთით, დაახლოებით, 7-8 კილომეტრის დაშორებით, ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარეობს. ამასთან, დიდი ხორენია მდინარე ფარავანის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული, ხოლო პატარა ხორენია – მარცხენა ნაპირზე (ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 320-329; ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 38-41).

<sup>21</sup> დევათის სახელით ცნობილი ორი ნასოფლარი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან (ქ. ახალქალაქიდან) ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით, 16-17 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ფარავანის მარჯვენა შენაკადის, მდინარე ბარალეთისწყლის ორსავე ნაპირზე მდებარეობს (ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 285; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, გვ. 107).

<sup>22</sup> სოფელი ორჯა (//ორჯუა) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან (ქ. ახალქალაქიდან) ჩრდილოეთით, დაახლოებით, 6-7 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ფარავანის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 267-268; ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 56).

<sup>23</sup> მუხრაშენის ნასოფლარი სადაც ორჯას მიდამოებში მდებარეობს (ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. III, გვ. 286; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, გვ. 107).

ხუცესსა დ[ა] შვილთა და მოძავ[ა]ლთა შერთა. მას ჟამსა, ოდეს პ(ირვე)ლ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან მოოკრდა ესე სამეფო და ზოგნი ქუეყანანი და სოფელნი დიდადრე მოოკრდეს და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგებუ[რ]ობასა შინა იყვნით, ამისთუის, რ(ომე)ლ რ(ომე)ლნიდა მამულნი გქონდეს, იგინიცა ამოწყუედილნი იყუნეს და მით ოდენ ვერ დაპრჩებოდით, ერთმანერთსა დიდად რომე ეუგებურებოდით. და მისითა მიზეზითა გუეჰაჯენით, რაითამცა შეგუეწყაღენით შენ, ვაჩე გუარამაის ძე და საყდრისა სასამსახურო-სამამულოდ სარჩომი გაგუეჩინა, ჩ(უე)ნ დაგხედნით პ(ირვე)ლ არაის ქონებასა და მერმე, რ(ომე)ლნიდა საყდრისა სასამსახუროდ სოფელნი გქონებოდეს, მოოკრებულ იყუნეს და ვერარაით დაპრჩებოდი. ვისმინეთ ჰაჯაი თქუენი და მოგეცით სამამულოდ შენ, ვაჩე გუარამაისძესა, ჩუენსა მსახურთ-უხუცესსა, შვილთა და მოძავალთა შერთა კათოლიკე ეკლესი[ა]სა სასამსახუროდ ხატი-სოფელი <და> ორომაშენი, ყ(ოვ)ლითა მისითა მზღვრითა და მიძღვომითა მითთა, ველითა, ტყითა, წყლითა, წისქულითა და ყ(ოვ)ლითავე საკმრითა და უკმრითა, თუინიერ მუნ შინა მსხდომთა ხუცესთა სივლოსნათაგან კიდე, რ(ომე)ლნი სანატრელსა ნ(ი)კ(ოლაო)ზს, ქართლისა <ქ>კ(ათალიკ(ო)ზსა, გაღმა გახუბულნი საყდრისათუინევი შინა შემოუხუზან და ღ(მრ)თივეგუირგუინოსანთა მეფეთა და ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზთათუის მწირველად უჩენან. სხუებრ ერთობ ყ(უე)ლაი დაუკლებლად მოგეცით. და მათ მწირველთა რაიცა ძუელიდგან არა ზ(ედ)ა სდებია, ნურას წყენასა იკადრებ. და გქონდეს სოფელი ორომაშენი, ყ(ოვ)ლითა მისითა მიძღვომითა, საკმრითა და უკმრითა შენ და შვილთა და მოძავალთა შერთა. ვიბედნიერენ ღ(მერთმა)ნ. არა შეგეცვალოს დაწერილი ესე მიუკუნისამდე ერთგულად მსახურებასა შინა კათოლიკე ეკლესი(ა)სა და ქართლისა <ქ> კ(ათალიკო)ზთასა, არა ჩუენგან და არცა შემდგომთა ჩუენთა სხუათა ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზთაგან“<sup>24</sup>

ჩვენ, ჩვენი მხრივ, დევი ბერძენიშვილის მიერ მოხმობილ კათოლიკოს მიქაელ V-ის დაწერილს XIII საუკუნის კიდეც ერთ ღოკუმენტს დავამატებთ, რომელიც, შინაარსის თვალსაზრისით, აგრეთვე აშკარა მსგავსებას ავლენს ქართლის კათოლიკოსის მიერ ვარდან სიქანელისძისათვის სოფლების „სასამსახუროდ“ ბოძების ფაქტთან. მხედველობაში გვაქვს ქართლის კათოლიკოსის ნიკოლოზ III-ის (დაახლ. 1250-1282 წწ.) მიერ არვანბეგ საბაისძისათვის მიცემული 1281/1282 წლების დაწერილი.

<sup>24</sup> ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. წგნ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. თბ. 1984, გვ. 115.

მოვიტანო ამ დოკუმენტის შესაბამის ფრაგმენტს: „ესე დაწერილი ჩუენ, გლახაკმან ქართლისა კათალიკოზმან ნიკ(ო)ლ(ა)ოზ დავიწერეთ და მოვეციეთ თქუენ, საბაისძესა არვანბევს. და შვილთა და მოძავალთა ყოველთა სახლისა თქუენისათა. მათ ჟამთა შინა, ოდეს ღ(მრ)თისა სწორი დავით მეფე ამა ჟამთა ძნელბელობისა და მიჭირვებულობისაგან სიმავრეთა კლარჯეთისათა მოჰმართა და თქუენ მათის სამსახურისათუის თავი დასდევით და მცხეთისა მკუიდრი შეუბანი თქუენთუის სამამულოდ სივლითა მოებოძა. და უკანის ჩუენ მოვედით და ყოველნივე საქონებელნი მცხეთისანი მოვიკლენით და შეუბანიც დავიჭირეთ. და თქუენ მოხუედით და ღ(მრ)თის-სწორთა სიველნიც მოიხუენით სამამულოდ ბოძებულობისანი. და შეუბანსა აბუსერეთ საერსთვლი და ბეგარი ზედა სდებოდა და იგი მათგან გეყიდა, და გელათისა რ(ავდენ)იმე ცუილი და ბეგარი ზედა სდებოდა, იგი მათგან გეყიდა. ესე ყუელაი წინაი დავიდევით და ჯაღარ ეგებოდა ამისი შეცვალებაი, ამაღ, რ(ო)მე დიდი წანაგები ჩანდა თქუენგან და მონასყიდენიც იყვენით გელათის და აბუსერეთაგან. აწ ასრე განვაჩინეთ, რ(ო)მე ტუელი ბეგარი ზედა სდებოდა შეუბანსა თერთმეტი ლიტრაი ცუილი, მას ზედა ცხრაი ლიტრაი ცუილი სხუაი მოგიმატეთ და შეკქმენით ოც ლიტრად, მით ლიტ<ი>რითა, რომელი ტუელად ყოფილა. და მოვეციეთ შეუბანი და დავიმკუ<ი>დრეთ ამისას გასრულებასა შიგა, რ(ო)მე ყოველთა წელიწადთა დიდს ხუთშაბათს ესე ოცი ლიტრაი ცუილი ჩუენს ტანუტერს სახლობანსა მოეცემოდეს და მოეთუალვოდეს. და უკუ<ი>ეთუ სადმე ჟამთა სიავისაგან სახლობანი ჩუენ არ გ<ა>უქუონდეს, თუ ჟამი გ<ა>ქონდეს, თქუენ მოიღებ<ი>დით. და თუ თქუენ ვერადმე ვერ მოიღოთ, ჩუენ მოვიკლებდეთ. და რაიზომიც წელიწადი დაეყოვნებოდ<ო>ეს ანგირიშითა წლისა და წლისაი არაი დაჯაკლებოდეს და უკლებად ხელთა მოეცემოდეს ესე ოცი ლიტრაი ცუ<ი>ლი. და ამისასა გასრულებასა შინა გ<ა>ქონდეს შეუბანი თქუენ, საბაისძესა არვანბევს და შვილთა და მოძავალთა სახლისა თქუენისათა მკუიდრად, სამამულოდ, ერდგულებითა მსახურებასა შინა ქათოლ<ი>კე ვკლეს<ი>ქისასა და ს<ა>ყდრის მყრობელათასა. არ შეგეცვალოს არ ჩუენგან და ჯარ შეძგომთა ჩუენთა ქართლისა კათალიკოზთაგან... ჩუენისა ჯუარისმტუერთუელისა ზოსიმე ივანისძისა კელითა დავუიწერია. [დამტკიცება]: ... [2.] ქ. ამა პატრონისა ბ(რძანე)ბისა მიწაი ჯუარისმტუ<ი>პროთველი მოწამე და თანადამხუდარი ვარ. [3.] ქ. ამ(ა) პ(ა)ტრო(ო)ნ(ი)სა ბრძ(ა)ნებ<ი>სქამე, მ(ი)წაი მახასძე... მ(ო)წამე ვარ. [4.] ქ. მიწაი დემეტრე ფროშელი ამა პატრონისა ბ(რძანე)ბისა მოწამე ვარ და თანადამხუდარი. [5.] ქ. ამა პატ-



*როქნათა ბ(რძანე)ბისაი მოწამე და თანადამხუდარი ვარ მე გუარამაისძე გუირგუინაი. [6.] ქ. მე, მარკოზ თადეოზისი მოწამე ვარ პატრონისა კათალიკოზისა ბრძანებისაი. [7.] ქ. ამა კათალიკოზისა ბ(რძანე)ბისა მე, ხეხელისძე არსლან ეჯიბი, მოწამე ვარ“<sup>25</sup>*

როგორც ვხედავთ, XIII საუკუნით დატარილებულ ამ ორ ციტირებულ დოკუმენტში, კარნეთის ეკლესიის წარწერის მსგავსად, აღნიშნულია, რომ ქართლის კათალიკოსმა მიქაელ V-მ თავის მსახურთუხუცეს ვაჩე გუარამაისძეს მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის „სასამსახუროდ“ ქვემო ქართლში, ციხე-ქალაქ ღმანისის მიდამოებში მდებარე სოფელი ხატისოფელი-ორომაშენი უბოძა, ხოლო კათალიკოსმა ნიკოლოზ III-მ არვანბეგ საბაისძეს აგრეთვე, მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის „სასამსახუროდ“ აჭარაში მდებარე სოფელი შეუბანი დაუბტკიცა.

განსახილველი დოკუმენტებში დადასტურებულ ამ მეტად საინტერესო ფაქტს ყურადღება საგანგებოდ მიაქცია შზია სურგულაძემ, რომელმაც დაასკვნა, რომ კათალიკოს მიქაელ V-ის დაწერილში მოხსენიებული ვაჩე გუარამაისძე და კათალიკოს ნიკოლოზ III-ის დაწერილის დამამტკიცებელი პირები: ჯვარისმტვირთველი ზოსიმე ივანისძე, მახასძე, ღემეტრე ფროშელი, გვირგვინაი გვარამაისძე, მარკოზ თადეოზისი და ეჯიბი არსლან ხეხელისძე მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის მსახურეული პირები ანუ ე. წ. მცხეთის-შვილები იყვნენ: „შუა საუკუნეების საქართველოში მცხეთიშვილობა გულისხმობდა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის კუთვნილი მამულების წილობრივ ფლობას და მამულთან დაკავშირებული ყველა სხვა ვალდებულების შესრულებას... მცხეთიშვილობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. ამ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი მემკვიდრეობითი ხაზი წდებოდა, მცხეთიშვილობა შესაძლებელია გადაცემოდა ქალის შთამომავლებს. თუ კი ასეთებიც არ იყვნენ, მაშინ სამცხეთიშვილო წილზე სვამენ ახალ მცხეთიშვილს. ასეთ შემთხვევებში, გადაწყვეტილებას კანდიდატურის შერჩევის შესახებ დანარჩენ მცხეთიშვილებთან თანხმობით იღებდა კათალიკოსი, საბოლოოდ კი ამტკიცებდა მეფე... მცხეთიშვილები ქმნიან ცალკე სოციალურ შრეს, მათთვის დამახასიათებელია კორპორაციულობა და ერთობის განცდა. მათი სამართლებრივი და სამეურნეო ცოდნის მოცულობაზე, აგრეთვე მაღალ სამწიგნობრე კულტურაზე მეტყველებს მათ მიერ შედგენილი დოკუმენტებიც... როგორც ცნობილია, ადრინდელი შუა საუკუნეებიდან სვეტიცხოვლის საბუთები მოლ-

<sup>25</sup> ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII საუკუნეები, გვ. 177-179.

წეული არაა. ყველაზე ადრინდელი სამი საბუთი მიეკუთვნება XI-XIII საუკუნეებს, მათგან პირველია მელქისედეკის (XI ს. I მესამელი) დაწერილი, რომელშიც კათალიკოსის მიერ სვეტიცხოველზე გაწეული შრომის ანგარიშია წარმოდგენილი, ხოლო ორი დანარჩენია მიქაელ და ნიკოლოზ კათალიკოსების წყალობის საბუთები (XIII საუკუნის II ნახევარი). მართალია, ამ საბუთებში თავად ტერმინი მცხეთიშვილი არ გვხვდება, მაგრამ აქ დასახელებულ პირთათვის მიკუთვნებული ფუნქციის მიხედვით მაინც ადვილად ხერხდება მცხეთიშვილთა ამოცნობა. უეჭველად მცხეთიშვილი იქნებოდა იოანე... რომელიც მელქისედეკ კათალიკოსმა სვეტიცხოველში დაადგინა თავის მწირველად. ასევე მცხეთიშვილები ჩანან მიქაელ კათალიკოსის 1241 წლის დაწერილში მცხეთის მსახურთუხუცესი ვაჩე გაუარამაისძე... და ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის 1281 წელს არვანბეგ საბაისძისადმი ბოძებული დაწერილის დამამტკიცებელნი... ჯვარისმტვიროველი ზოსიმე ივანისძე, მახასძე, დემეტრე ფროშელი, გაუარამაისძე გუირგუინაი, მარკოზ თადეოზისი, ეჯიბი – ხეხელისაძე არსლანი“.<sup>26</sup>

ჩვენ სრულად ვიზიარებთ მზია სურგულაძის ამ მსჯელობას, ოღონდ მის მიერ შემოთავაზებულ დასკვნებს, ჩვენი მხრივ, კიდევ ერთ დასკვნას დავამატებთ: განსახილველ დოკუმენტებში მოხსენიებული პირების: ვაჩე გვარამაისძის, ზოსიმე ივანისძის, დემეტრე ფროშელისა და სხვათა მსგავსად, აგრეთვე, მცხეთისშვილი უნდა იყოს არვანბეგ საბაისძეც. ამ ფაქტს თითქოს ცალსახად ადასტურებს 1281/1282 წლების დაწერილის ბოლო ფრაგმენტი, სადაც კათალიკოსი ნიკოლოზ III არვანბეგ საბაისძეს შეუბანს სწორედ მცხეთის საყდრის „ერთგული სამსახურის“ პირობით უმტკიცებს: *„გქონდეს შეუბანი თქვენ, საბაისძესა არვანბეგს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა მკუიდრად, სამამულოდ, ერდგულეებითა მსახურებასა შინა ქათოლქიკე ეკლესიისასა და საყდრის მპყრობელთასა. არ შეგეცვალოს არ ჩუენგან და არ შემდგომთა ჩუენთა ქართლისა კათალიკოზთავან“*.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით ნათლად ჩანს, რომ 1241 და 1281/1282 წლების დოკუმენტებში მოხსენიებული ფეოდალები: ვაჩე გვარამაისძე და არვანბეგ საბაისძე, რომლებსაც ქართლის კათალიკოსებისაგან: მიქაელ V-ისა და ნიკოლოზ III-ისაგან საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში: ქვემო ქართლსა და აჭარაში მდებარე სოფლები: ხატისოფელი-ორომაშენი და შეუბანი „სასამსახუროდ“ ჰქონდათ

<sup>26</sup> მ. სურგულაძე. მცხეთიშვილები. კრებ.: ანალები. №3. თბ. 2008, გვ. 171-174.

მიღებული, მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის მსახურეული ყმა-აზნაურები ანუ მცხეთისშვილები იყვნენ. შესაბამისად, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ კარნეთის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული ვარდან სიქანელისძეც, რომელსაც ქართლის კათოლიკოსისაგან ჯავახეთში მღებარე ოთხი სოფელი: ხვირანიო, დევანი, არჯი და „მღშენი“, ზუსტად ანალოგიური წესით, „სასამსახუროდ“ ჰქონდა მიღებული, აგრეთვე, მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის მსახურეული ყმა-აზნაური ანუ მცხეთისშვილი იყო.<sup>27</sup>

### 3. სოფელ დიდი ხორენიის (ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის ლაბიდარული წარწერა (1250/60-1280-იანი წწ.)

ნასოფლარ კარნეთის ეკლესიის წარწერის შესწავლის შემდეგ ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით კარნეთიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით, 1,5 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ფარავანის მარჯვენა ნაპირზე მღებარე სოფელ დიდი ხორენიის ცენტრში აღმართული X საუკუნის დარბაზული ტაძრის ერთი მოგვიანო ხანის ასომთავრული ლაბიდარული წარწერით, რომელიც, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, კარნეთის ეკლესიის წარწერასთან, შინაარსობრივი თვალსაზრისით, რამდენიმე საყურადღებო პარალელს ავლენს (ამ პარალელების შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).<sup>28</sup>

<sup>27</sup> მიღებული დასკვნის ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური ამოცანა ხდება იმის დადგენა, თუ, კონკრეტულად, რა ადდგენა-განახლებითი სამუშაოები ჩატარა ვარდან სიქანელისძემ მის მიერ „სასამსახუროდ“ მიღებულ ოთხ სოფელსა თუ ჯავახეთის სხვა სამცხეთო მამულებში. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხების გარკვევა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცხეთისშვილების მიერ „სასამსახუროდ“ მიღებულ თუ სამართავად გადაცემულ სამცხეთო სოფლებში წარმოებული საქმიანობის შესწავლისათვის, კარნეთის ეკლესიის წარწერის დაზიანების გამო, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წამოწყება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა საბოლოოდ დავასრულებთ წარწერის ტექსტის წაკითხვა-ადდგენაზე მუშაობას.

<sup>28</sup> დიდი ხორენიის ეკლესია დაწვრილებით არის აღწერილი ირინე ელიზბარაშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილისა და ციციანო ჩანხუნაშვილის მიერ: „სოფლის ცენტრში არსებული ეკლესია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის სახურავის შეკეთებისას ძლიერ შეცვლილია, ტონითოს დარად, მეღქისედვე კათალიკოსის სახელს უკავშირდება. მაგრამ აქ მეღქისედვეს X საუკუნის დიდი ტაძრისთვის სამხრეთის სტოა მიუშენებია. დიდი ტაძარი დარბაზულია, საშუალო და მოზრდილი თლილი კვადრებით ნაგები, ძუნწადაა გაფორმებული. აღმოსავლეთი სარკმლის სათაური, დასავლეთი კარის ბალაგრის ქვის სამი ვარდული, რამდენიმე ადგილას პერანგის ქვები, აი, სულ ესაა, რაც X საუკუნემ ფასადებზე შემოგვინახა. სამაგიეროდ ინტერიერი კამარებადვე ძველია. იგი ფართო და ერთიანია. სამხრეთ-და-

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის ტექსტი ქართული სიძველეებით დაინტერესებულ მკვლევართა შორის პირველად და უკანასკნელად ივანე როსტომაშვილმა ნახა. მკვლევრის თქმით, წარწერა 1896 წელს, მისი დიდ ხორენიაში ყოფნის დროს, ქვის ფილებით გადახურული ეკლესიის ორქანობა სახურავის ჩრდილოეთ კალთაზე იყო განთავსებული. მისივე დაკვირვებით, წარწერიანი ქვის ფილა ტაძრის სახურავზე, სავარაუდოდ, სოფელში ახლად ჩასახლებულ სომხურ მოსახლეობას XIX საუკუნეში, ეკლესიის გადაკეთების დროს, უნდა აეტანა: «Надписи оказались: 1) на крыше большой церкви, крытой плитными камнями, на северномъ скате ея... церковь, какъ видно, обновлена пришельцами-армянами; думаю, этимъ и объясняется, что надпись попала на крышу, которая прежде, нетъ сомненія, была поставлена въ стене».<sup>29</sup>

ივანე როსტომაშვილის დიდ ხორენიაში ყოფნიდან გარკვეული ხნის შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლესია ლითონის ფურცლებით გადახურა და წარწერა, როგორც ჩანს, გადახურვის ქვეშ მოექცა. ამ მიზეზის გამო 1902 წელს დიდ ხორენიაში ჩასულმა ექვთიმე თაყაიშვილმა წარწერის ნახვა უკვე ვეღარ შეძლო.<sup>30</sup>

სავლეთი პილასტრის კაპიტელი ფრინველისა და ვარდულის თხელი გამოსახულებებითაა შემკული. კაპიტელს „აფარებული“ ამ დეკორის გარდა, ტაძრის სიძველეზე მეტყველებს სამხრეთისა და დასავლეთის კართა ნაღისებური თაღები. XV საუკუნეში გამოცვლილმა დაბალმა კამარამ სივრცეს ძლიერ შეუცვალა სახე. XIX საუკუნის შეთეთრებამ და სარკმელთა გაგანიერებამ კი იგი დაამახინჯა. XV საუკუნისა დასავლეთი სარკმლის სამი ჯვარი, ოდნავ ქვემოთ დასმული ადამისა და ევას (?) გამოსახულება სამოთხის ხესთან, რომლებიც ჩოხასა და ქართულს კაბაში გამოწყობილნი, თითქოს ქართულს ცეკვავენ; ასევე, ეკლესიის ინტერიერის დასავლეთ კედელში გვიან ჩატანებული სარკმლის სათაური გადანაკეცვითა და ჯვრიანი ფიგურებით, რომლის ნაწილიც გარეთ, ყორე-გაღავანშია ჩასმული. დიდ ტაძარზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდებარე მხარეთა მიერ XI საუკუნეში მიდგმული მცირე კაპელა უფრო მდიდრულადაა მორთული. შიდა პილასტრ-თაღები, კარ-სარკმელთა მოსართავები, თუ მთავარი ეკლესიის კარსა და მინაშენს შორის დასმული ვერძის თავები, მათი სუფთა მოხაზულობები, დიდი აქცენტები, XI საუკუნის ჩამოქნილობით მეტყველებენ, რომლებშიც შიგადაშიგ ადგილობრივი, „ჯავახური“ სახვითი ხერხები ძალუმად ცნაურდება (მაგ. დეკორის მოუხეშაობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადებზე და სხვა). მაგრამ ყველაფერი ესეც დღევანდელ ნაგებობაში ძნელი დასანახი და შესამჩნევია – სტოაში შესასვლელს დასავლეთიდან მიდგმული ფარდული ფარავს, კედლები შეთეთრებულია, წარწერაც („ჯვარი ქრისტესი. ქრისტე აღიდე მელქიზედე ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხორებათა, ამენ. ქორონიკონი იყო სმთ“ – 1029) დაფარული“ (ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 38-39).

<sup>29</sup> Ив. Ростововъ. Ахалкалакскій уездъ въ археологическомъ отношеніи, გვ. 121.

<sup>30</sup> Матеріалы по Археологіи Кавказа, собранные экспедиціями Императорскаго Мос-

აქედან მოყოლებული, აღნიშნული წარწერა არც ერთ სხვა მკვლევარს აღარ უნახავს და ამიტომ წარწერაზე მსჯელობა დღემდე ივანე როსტომაშვილის მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე მიმდინარეობს.

თავად ივანე როსტომაშვილმა დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის ტექსტი 1898 წელს კრებული «Сборникъ Матеріаловъ для Описанія Местностей и Племень Кавказа» 25-ე ნომერში გამოაქვეყნა. მკვლევარმა პუბლიკაციაში შეიტანა: 1. წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით; 2. წარწერის ტექსტის მისეული წაკითხვა ქართულ ენაზე; და 3. წარწერის ტექსტის მისეული წაკითხვის რუსული თარგმანი.

QTHS TCDCATC Y T Y [-]  
 PC [-] TC Q K L N TC [-] L N H  
 H X S L D H K H Q L C L C H T C H H  
 H H C C [-] H H C H T H T H C Q L Y  
 L Q H L T C Q C T C H T K H L C C C  
 L L T H T H T H T C T H X H X C T C K H T H  
 L C H [-] H L Q H T H ><sup>31</sup>

*„ოდეს თათართა... ქვეყანაი წართო მისვან... ბოლონი კარის ბჭენი... ვაკათავენ ვინცა... ნახვიდეთ მოვევიგონებდეთ ოცდა ჩვიდმეტი ათასი თეთრი ქათალიკოზსა და მეფესა...“.*

*«Когда у татаръ... земли отнялъ... кто увидитъ, вспомните, тридцать пять тысячъ серебряныхъ католикоса и царя...».*<sup>32</sup>

ივანე როსტომაშვილის ციტირებული ნაშრომის დაბეჭდვიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1909 წელს, ექვთიმე თაყაიშვილმა კრებულის «Матеріалы по археологіи Кавказа» XII ტომში დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის ახალი წაკითხვა გამოაქვეყნა. მკვლევარმა პუბლიკაციაში შეიტანა: 1.

ковскаго Археологическаго Общества, снаряженными на Высочайше дарованныя средства. Вып. XII. Съ приложеніемъ 26 таблицъ и 108 цинкографій. Моск. 1909, გვ. 31.

<sup>31</sup> ივანე როსტომაშვილის მიერ დედნის შრიფტის დაცვით გადმოწერილი ტექსტი მოგვაქვს ზუსტად იმ წესების დაცვით, რომელი წესების დაცვითაც გვექონდა მოტანილი ავტორის მიერ დედნის შრიფტის დაცვით გადმოწერილი კიდევ ერთი, კარნეთის ეკლესიის წარწერის ტექსტი (იხ. ზემოთ).

<sup>32</sup> Ив. Ростововъ. Ахалкалакскій уездъ въ археологическомъ отношеніи, გვ. 121-122. შდრ.: ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 60. სხვათა შორის, ივანე როსტომაშვილმა წარწერის მისეული წაკითხვის რუსულენოვან ვარიანტს მცირე შენიშვნა დაურთო, სადაც გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერა ქვის მხოლოდ ამ ფილაზე არ იყო შესრულებული და მისი ტექსტი სხვა ფილაზეც გრძელდებოდა: „Думаю, что надпись эта не полная. Правда исписанъ целый камень, но думаю, что былъ и другой“ (Ив. Ростововъ. Ахалкалакскій уездъ въ археологическомъ отношеніи, გვ. 122).

წარწერის ტექსტის მისეული წაკითხვა, ოღონდ, რატომღაც, არა მხედრული, არამედ ნუსხური შრიფტით და 2. წარწერის ტექსტის მისეული წაკითხვის რუსული თარგმანი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილს დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერა საკუთარი თვალთ ნანახი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მკვლევარმა ტექსტი, ივანე როსტომაშვილის მიერ შესრულებულ გადმონაწერზე დაყრდნობით, ბევრად უფრო სრულად და გამართულად წაკითხა, ვიდრე თავად როსტომაშვილმა:

odes TaTar Ta yovel i queyanaY wagvar To, misgan  
daumTav r ebel ni kar is bWeti me Coga gavaTaven. v inca  
amas naSvideT, mogv SsenebdeT. ocda Cvdmexi aTasi  
TeTr i qaTal ikozisa da mefisa v axmar eT<sup>33</sup>

*«Когда татары отняли у насъ всю страну, притворъ (навесь у дверей) съ того времени остался недоконченнымъ, и я Чога докончилъ. Кто сіе увидитъ, помяните меня. Мы издержали на это 37. 000 тетри католикоса и царя».*<sup>34</sup>

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის დღეისათვის მიღებული საბოლოო წაკითხვა ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის და მისი „საქართველოს ისტორიის საკითხების“ 1964 წელს დაბეჭდილ I წიგნშია გამოქვეყნებული. ნიკო ბერძენიშვილის წაკითხვა, რომელიც აგრეთვე ივანე როსტომაშვილის გადმონაწერზეა დამყარებული, ძირითადად, ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვას მისდევს და მხოლოდ რამდენიმე ადგილს აზუსტებს.

*„ოდეს თათართა ყოველი ქუეყანაჲ წაგუართო, მისგან დაუმთავრებელნი კარის ბჭეტი მე ჩოგა გავათავენ. ვინცა ამას ნახვიდეთ მოგკონებდეთ (sic) ოცდა ჩვდმეხი ათასი თეთრი კათალიკოზსა და მეფისა ვმსახურეთ“.*<sup>35</sup>

<sup>33</sup> აქვე, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნუსხურით გადმოცემული ტექსტით სარგებლობის გასაიოლებლად, მის ზუსტ მხედრულ ტრანსლიტერაციასაც მოვიტანთ: „ოდეს თათართა ყოველი ქუეყანაჲ წაგუართო, მისგან დაუმთავრებელნი კარის ბჭეტი მე ჩოგა გავათავენ. ვინცა ამას ნახვიდეთ, მოგკონებდეთ. ოცდა ჩვდმეხი ათასი თეთრი კათალიკოზისა და მეფისა ვმსახურეთ“.

<sup>34</sup> Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорскаго Московскаго Археологическаго Общества, снаряженными на Высочайше дарованныя средства. Выпускъ XII, გვ. 31. შდრ.: ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 61; კ. ხარაძე. ჯავახეთის სუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები. თბ. 2003, გვ. 52.

<sup>35</sup> ნ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), გვ. III. შდრ.: ჯავახეთი. ისტორიულ-სუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 39 და სხვ.

ჩვენ, XX-XXI საუკუნის სხვა მკვლევართა მსგავსად, ჯერჯერობით, ხელი არ მიგვიწვდება დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაზე, რომელიც დღემდე ტაძრის ლითონის გადახურვის ქვეშ არის მოქცეული და ამიტომ იძულებული ვართ, უპირობოდ გავიზიაროთ ტექსტის ნიკო ბერძენიშვილისეული წაკითხვა, რომელიც, სამწუხაროდ, არა წარწერის დედანზე, არამედ, ტექსტის ივანე როსტომაშვილის მიერ შესრულებულ გადმონაწერზეა დამყარებული.

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის დათარიღება პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა სცადა. მკვლევარმა, როგორც ჩანს, ყურადღება მიაქცია ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენის შესასვლელის თავზე ამოკვეთილ ქართლის კათოლიკოსის მელქისედეკის 1029 წლის წარწერას და გამოთქვა მოსაზრება, რომ, იმ შემთხვევაში, თუკი ეკლესიის სახურავზე განთავსებული წარწერა რომელიმე სხვა ადგილიდან არ იყო მოტანილი, მაშინ ისიც XI საუკუნეში უნდა ყოფილიყო შესრულებული. გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილმა დამატებით ივარაუდა ისიც, რომ წარწერაში ტერმინ „თათრების“ ქვეშ საქართველოს ტერიტორიაზე XI საუკუნეში გამოჩენილი თურქ-სელჩუკები უნდა ყოფილიყვნენ ნაგულისხმევი.<sup>36</sup>

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის ქრონოლოგიის თაობაზე ექვთიმე თაყაიშვილისაგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელმაც ტექსტი, სავარაუდოდ, მასში მოხსენიებული „თათრების“ მონღოლებთან გაიგივების გამო, XIII საუკუნით დაათარიდა.<sup>37</sup>

ზუსტად ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ვასილ ცისკარიშვილიც, რომელმაც არგუმენტირებულად უკუაგლო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „ე. თაყაიშვილის თქმით... თუ ეს წარწერა ხორენიას ძველ ეკლესიას ეკუთვნის და სხვა ადგილიდან არა არის მოტანილი, მაშინ მასში მოხსენიებულ თათრებად უნდა ვიგულისხმოთ ბაგრატ IV დროს შემოსული თურქ-სელჯუკები. საიდანაც არ უნდა იყოს წარწერა, ე. თაყაიშვილის მოსაზრება წარწერის ბაგრატ IV დროით დათარიღების შესახებ არ არის მართებული, ვინაიდან თურქ-სელჯუკებს ქართველები თათრებს არ უწოდებდნენ. სიტყვა „თათარი“ მონღოლებამდე არ იცის ჩვენმა წერილობითმა წყაროებმა.

<sup>36</sup> Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, снаряженными на Высочайше дарованные средства. Выпуск XII, გვ. 31.

<sup>37</sup> ნ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), გვ. 111.

ამიტომ ხორენიას წარწერა XIII საუკუნისაა და მონღოლებზეა მასში ნათქვამი „ოდეს თათართა ყოველი ქვეყანაი წავგართო“.<sup>38</sup>

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის ნიკო ბერძენიშვილისა და ვასილ ცისკარიშვილის დათარიღება მთლიანადაა გაზიარებული.<sup>39</sup>

ჩვენ, სხვა მკვლევართა მსგავსად, ვიზიარებთ აღნიშნულ დათარიღებას, თუმცა კი, ვფიქრობთ, რომ წარწერაში დაცული ცნობები საშუალებას გვაძლევს, კიდევ უფრო დავავიწროვოთ ეს საკმაოდ ვრცელი, ასწლოვანი ქრონოლოგიური მონაკვეთი.

ამ მხრივ, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია წარწერის პირველი ნაწილის ტექსტი, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჩოგას მიერ დასრულებული „კარის ბჭენის“ მშენებლობა „თათართა“ მიერ ქართველებისათვის „ყოველი ქუჭყნის“ წართმევის ანუ მონღოლთა მიერ საქართველოს სამეფოს დაპყრობის გამო იყო შეჩერებული.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ მონღოლებმა საქართველოს სამეფო 1235-1239 წლებში დაიპყრეს, მანამდე კი, 1226-1231 წლებში, ქვეყანა ხორეზმელთა გამაჩანაგებელი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა.<sup>40</sup> აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ირკვევა, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობა დაწყებული იყო 1231-1235 წლებში, საქართველოს სამეფოს ხორეზმელთაგან გათავისუფლების შემდეგ და შეწყვეტილი იყო 1235-1239 წლებში, მონღოლთა მიერ ქვეყნის დაპყრობის გამო.

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის მომდევნო ფრაგმენტში ნათქვამია, რომ „კარის ბჭენის“ შეწყვეტილი მშენებლობა ვინმე ჩოგამ „გაათავა“ ანუ დაასრულა, რისთვისაც მან „ქათალიკოზისა და მეფის“ კუთვნილი 37 000 თეთრი „იმსახურა“ ანუ დახარჯა.

წარწერის ამ ფრაგმენტიდან ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ტექსტში მშენებლობისათვის გახარჯული სახსრების ერთ-ერთ მთავარ გამ-

<sup>38</sup> ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 61.

<sup>39</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, გვ. 107; ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 39 და სხვ.

<sup>40</sup> რ. კიკნაძე. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 547-459; რ. კიკნაძე. ხორეზმელები საქართველოში. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 541-546.



ღებად მხოლოდით რიცხვში მოხსენიებული „მეფეა“ დასახელებული. ეს მეტად მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულების ფაქტის დათარიღებისათვის.

მართლაც, სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია განსახილველი პერიოდის შემდეგი ისტორიული რეალიები: 1. 1239-1242 წლებში ლიხთიმერეთში გახიზნული მეფე რუსუდანის (1223-1245 წწ.) იურისდიქცია მონღოლთა მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოზე, პრაქტიკულად, აღარ ვრცელდებოდა; 2. 1242-1245 წლებში მონღოლებთან დაზავებული და თბილისში დაბრუნებული მეფე რუსუდანის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას არც სატახტო ქალაქში და არც სადმე სხვაგან რანაირი სააღმშენებლო-განახლებითი სამუშაოები არ ჩაუტარებია; 3. 1245-1246 წლებში საქართველოს მეფე არ ჰყავდა და ქვეყანას მონღოლთა მიერ სამხედრო-ადმინისტრაციულ მოხელეებად, დუმნისთავეებად დადგენილი ქართველი ფეოდალები მართავდნენ; დაბოლოს, 4. 1246-1249 თუ 1246-1259 წლებში საქართველოს ერთდროულად ორი მეფე, დავით VII ულუ (1246-1270 წწ.) და დავით VI ნარინი (1246-1249 ან 1246-1259 წწ.) განაგებდა.<sup>41</sup>

ვფიქრობთ, აღნიშნულ ისტორიულ რეალიებზე დაკვირვება თვალნათლივ აჩვენებს, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობა ვერანაირად ვერ დასრულდებოდა 1239-1245 წლებში, ვინაიდან საქართველოს მეფე რუსუდანს იმხანად ამის შესაძლებლობა, უბრალოდ, არ ჰქონდა. მშენებლობა ვერ დასრულდებოდა ვერც 1245-1246 წლებში, ვინაიდან ამ პერიოდში საქართველოს მეფე არ ჰყავდა და ამიტომ ვერც მისი ხარჯით ჩატარდებოდა განსახილველი სააღმშენებლო სამუშაოები. დასასრულ, „კარის ბჭენის“ მშენებლობა ვერ დასრულდებოდა ვერც 1246-1249/1259 წლებში, ვინაიდან ამ დროს საქართველოს ერთდროულად ორი მეფე განაგებდა და ამიტომაც დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში

<sup>41</sup> რ. კიენაძე. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, გვ. 548-459; ბ. ლომინაძე. მონღოლებთან დაზავება. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 549-451; ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 - XIV ს. 10-იანი წწ.), გვ. 552-553, 556-557, 585-590; თ. მოდებაძე. ერთიანი საქართველოს მეფეები. წგნ.: საქართველოს მეფეები. რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი. თბ. 2000, გვ. 150-153; ნ. ასათიანი. დავით რუსუდანის ძის (ნარინის) მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების საკითხისათვის. (წერილი I). კრებ.: საისტორიო შტუდიები. II. თბ. 2001, გვ. 28-49; ნ. ასათიანი. დავით რუსუდანის ძის (ნარინის) მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების საკითხისათვის. (წერილი II). კრებ.: საისტორიო შტუდიები. V. თბ. 2004, გვ. 3-28; და სხვ.

„მეფე“ მოხსენიებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ, არამედ მრავლობით რიცხვში, როგორც ამას, მაგალითად, აბელიის ეკლესიის 1250-1259 წლების წარწერაში ვხვდავთ: „წ. აღიდ(ე)ნ და და(ა)მ[ე]ქარენ ღ(მერთმა)ნ მ(ე)ფ(ე)ნი ჩ(უე)ნნი – დ(ავი)თ და დ(ავი)თ; დ(ე)დ(ო)ფალი თამ(ა)რ-ხ(ა)თ(უ)ნ და ძე მ(ა)თი გ(იორგ)ი, რ(ომე)ლთა წყ(ა)ლ(ო)ბ(ი)თა ღირს ვიქმ(ე)ნ აღშენ(ე)ბად ეკლესი(ი)სა ამის, სამლოცვე(ე)ლოდ მეფ(ო)ბ(ი)სა მ(ა)თისა, მე, გლ(ა)ხ(ა)კი არსენი მშკდ(ა)ისძე, მ(ა)ნგლეელი მ(თავრეპი)სკობ(ო)სი“.<sup>42</sup>

მაშასადამე, ღვინდება, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულების ფაქტი მხოლოდ მხოლოდ 1249/1259 წლების შემდგომ პერიოდში შეიძლება ვივარაუდოთ, როცა დავით VI ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქ გამეფდა, ხოლო დავით VII ულუ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა.<sup>43</sup>

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულების ფაქტის ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის (1249/1259 წწ.) დადგენის შემდეგ სრულებით ცხადი ხდება, რომ ამ სააღმშენებლო სამუშაოებით დაკავებული ჩოგა აგრეთვე 1249/1259 წლების ახლო ხანების ან 1249/1259 წლების შემდგომი პერიოდის მოღვაწე იყო.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს, 1249/1259 წლების ახლო ხანებსა თუ 1249/1259 წლების შემდგომ პერიოდში მოღვაწე ჩოგა და 1281 წლის ჰიმსის ბრძოლის მონაწილე აბაშ სიქანელისძის მამა, ჩოგა სიქანელისძე ერთი და იგივე პირი?

ჩვენი დაკვირვებით, ამ შემთხვევაში, საქმე, მართლაც, ერთსა და იმავე ისტორიულ პირთან უნდა გვქონდეს. ამგვარი დასკვნისაკენ, ძირითადად, ორი მნიშვნელოვანი გარემოება გვიბიძგებს.

1. სახელი ჩოგა შუა საუკუნეების ქართულ ანთროპონიმოკაში იმდენად იშვიათად გვხვდება, რომ ძნელი დასაჯერებელია, დაახლოებით, ერთი და იმავე პერიოდის ისტორიული რეალების (1249/1259-1281 წწ.) ამსახველ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერასა და ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატეანეში“ ამ სახელის მატარებელი ორი სხვადასხვა პირი იყოს მოხსენიებული.

<sup>42</sup> გ. ოთხმეზური. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1981, გვ. 113-114.

<sup>43</sup> ბ. ლომინაძე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.), გვ. 570-574.

2. ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, კარნეთის ეკლესიის წარწერის განხილვისას, რომ XIII-XIV საუკუნეებში სოფელ დიდი ხორენიას ქართლის კათოლიკოსის აზნაური ვარდან სიქანელისძე ფლობდა. შესაბამისად, საცხებით ლოგიკური იქნება, ვიფიქროთ, რომ ამავე დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მაშენებელი ჩოგა, რომელმაც აღნიშნული სამუშაოები 1249/1259 წლების შემდგომ ხანებში სწორედ „ქათალიკოზისა და მეფის“ სახსრებით ჩაატარა, გვარად, აგრეთვე, სიქანელისძე იყო.

ამრიგად, თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ საბოლოოდ დგინდება, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მაშენებელი ჩოგა და ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“ მოხსენიებული აბაშ სიქანელისძის მამა, ჩოგა სიქანელისძე ერთი და იგივე პირი იყო.

აღნიშნულ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის, ვინაიდან მასზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვეძლევა, არა მხოლოდ მნიშვნელოვნად დავაზუსტოთ ჩოგა სიქანელისძის ცხოვრება-მოღვაწეობის ზემოთ დადგენილი ქრონოლოგია (XIII ს-ის I ნახ. და შუახან.), არამედ მეტნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანიდან“ ციტირებული ფრაგმენტის განხილვისას, რომ 1281 წელს გამართულ ჰიმსის ბრძოლაში სხვა ქართველი მხედრების გვერდით ჩოგა სიქანელისძის ვაჟი, აბაშ სიქანელისძეც იღებდა მონაწილეობას. ამ დეტალიდან ამკარად ჩანს, რომ 1281 წელს აბაშ სიქანელისძე სრულ სალაშქრო ასაკში იმყოფებოდა და სულ მცირე, 16-18 წლის ჭაბუკი მაინც იყო. აღნიშნული ფაქტი, ცხადია, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ 1281 წელს ჩოგა სიქანელისძე ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო და თავადაც მიეღო მონაწილეობა ჰიმსის ბრძოლაში, მაგრამ ის კი სრულებით ნათელია, რომ იგი ამ დროისათვის, მინიმუმ, 35-40 წლის ან, მაქსიმუმ, 60-65 წლის მამაკაცი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუკი დავასკვნით, რომ ჩოგა სიქანელისძე, დაახლოებით, 1220-1280-იანი წლების მოღვაწე იყო.

თუ ჩვენი ეს დასკვნა სწორია, მაშინ ავტომატურად დგინდება დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც – 1280-იანი წლები და საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ ხსენებული „კარის ბჭენის“ 1231-1235 წლებში დაწყებული და

1235-1239 წლებში შეწყვეტილი მშენებლობა, ჩოგა სიქანელისძის მიერ, დაახლოებით, 1250/1260-1280-იან წლებში იყო დასრულებული.<sup>44</sup>

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში გადმოცემული „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულების დათარიღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად წარწერის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის. მართლაც, სრულებით ამკარაა, რომ ეს სააღმშენებლო ხასიათის წარწერა, თავისი შინაარსის მიხედვით, უეჭველად მასში გადმოცემული ამბის სინქრონულ წერილობით ძეგლს წარმოადგენს. შესაბამისად, სრულებით ცხადი ხდება ისიც, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერა შესრულებული იყო არა ზოგადად, XIII საუკუნეში, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ კონკრეტულად, 1250/1260-1280-იან წლებში.

<sup>44</sup> აღნიშნულ დასკვნას, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის გარდა, ირიბად ადასტურებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ჟამთააღმწერლის ცნობით, 1230-1250-იან წლებში საქართველოს ეკლესია, ქვეყანაში მონღოლთა ბატონობის დამყარებისა და სამეფო ხელისუფლების უკიდურესი დასუსტების გამო, მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საკუთარი ყმა-მამულის დაცვას სხვადასხვა სუბიექტების ხელყოფისაგან ვეღარ ახერხებდა. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება, დაახლოებით, 1250-იანი წლების II ნახევარში მოხერხდა, როცა ქართლის კათოლიკოსი ნიკოლოზ III ირანის ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელს, ყაენ ჰულაგუს (1256-1265 წწ.) პირადად ეახლა და მისგან საეკლესიო ყმა-მამულის დაცვის იურიდიული გარანტიები მიიღო: „ხოლო ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა და მონასტერნი არავისგან იცვებოდეს, რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თვისისა ქუეყანისათვის ზრუნვიდეს. ამისთვის წარვიდა ულოს (ჰულაგუს – თ. ჯ.) წინაშე კათალიკოსი ნიკოლოზ, კაცი მხილველი სულითა, ანგელოზთა მობაძავი, და ძრავალთა მოღუაწებათა შინა საკურველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალ-უხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოცა, და არავის თუალნი აუხუნის. იხილა რა ყაენმან, განკურდა წესსა და ხილვასა შესახედავსა მისსა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქრისტეანეთასა, თვნიერ არქუანთა; და ვითარ პატივ-სცა, დაუწერეს იერლავი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა, შეუქმნეს და მოსცეს შანად ჯუარნი ოქროსანი, და შეუქმუნა თვალითა და მარგალიტითა, და უბოძა ერთი თვთ კათალიკოსსა და ერთი მოძუარსა ვარძიისასა, რომელი თანა ჰყვა კათალიკოსსა. და არგანიცა იგი ოქროთა შემკული მოანიჭა კათალიკოსსა ოდენ, ჯუარიანი იგიცა, და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს. და დაიცვნა ყოველნი საყდარნი და მონასტერნი“ (ჟამთააღმწერელი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 224). აღნიშნული ისტორიული ფაქტის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობის კათოლიკოს ნიკოლოზ III-ის ხსენებული ვიზიტის შემდეგ ანუ 1250-იანი წლების II ნახევრის შემდგომ პერიოდში უნდა დასრულებულიყო: მცხეთის საყდრის მძიმე მატერიალური მდგომარეობა მხოლოდ მისი კუთვნილი ყმა-მამულის დაცვის იურიდიული გარანტიების მიღების შემდეგ გამოსწორდებოდა და ქართლის კათოლიკოსიც მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა, ჩოგა სიქანელისძისათვის „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო თანხები გამოეყო.

მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად ზუსტად განვსაზღვრეთ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის შესრულების თარიღი, შეგვიძლია, თამამად გადავიდეთ წარწერაში დაცული სხვა ცნობების განხილვაზე.

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში დაცული ცნობები, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, ქართველ მკვლევართა შორის ყველაზე უფრო საფუძვლიანად ვასილ ცისკარიშვილს აქვს შესწავლილი. მისი დაკვირვებით, „ხორენიას წარწერაში ნათქვამია: „...დაუმთავრებელი კარის ბჭენი მე ჩოგა გაგათავენ, ვინცა ამას ნახვიდეთ მოგვიგონებდეთ“-ო და ბოლოს აღნიშნულია, რომ ოცდაჩვიდმეტი ათასი თეთრი კათალიკოსისა და მეფისა ვახმარეთო. როგორც ჩანს, ჩოგა ადგილობრივი ფეოდალია და თავის ეკლესიას აშენებს. ამიტომაც, რომ წარწერაში აღნიშნავს: „ვინცა ამას ნახვიდეთ მოგვიგონებდეთ“-ო. მეფისა და კათალიკოსის შესახებ კი ასეთი რამ არაა თქმული, აღნიშნულია მხოლოდ მათი ფულადი დახმარება. საჭიროა აიხსნას, თუ რატომ გაიღეს მეფემა და კათალიკოსმა ჩოგას მიერ წამოყენებული ეკლესიის ასაშენებლად 35 ათასი თეთრი. ცხადია, როგორც მეფე, ისე კათალიკოსი რაღაცნაირად დაინტერესებული იყვნენ ამ მშენებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ფეოდალს ეკლესიას არ აუშენებდნენ. ამ საკითხის ახსნა ჭირს იმის გამო, რომ თვით წარწერა არაფერს გვამცნობს ამის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ მხარეში (ჯავახეთი) როგორც კათალიკოსს, ისე მეფეს ჰქონდათ მამულები. ვფიქრობთ, რომ ამ მხარეში მათ სამამულო მფლობელობასთან უნდა იყოს როგორღაც დაკავშირებული მათი დაინტერესება აქ საეკლესიო მშენებლობით. ხორენიის, და კარნეთის ეკლესიების მშენებლობაზე მეფის, და კათალიკოსის ფულის დახარჯვა, რამდენიც უნდა ყოფილიყო ეს თანხა, იმის მაჩვენებელია, რომ ადგილობრივ ფეოდალს – ჩოგას, სხვისი დახმარების გარეშე, მარტოს არა ჰქონია იმდენი მატერიალური სახსარი, რომ ეკლესია აეშენებინა. მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართველ ფეოდალებს ასეთი ხელმოკლეობა ახასიათებთ საქართველოში. ამას სხვა ეპიგრაფიკული ძეგლებიც ადასტურებენ. ასე, მაგალითად, აბელიის ეკლესიის წარწერაში მისი აღმშენებელი ეპისკოპოსი ჩივის: „...მას ჟამსა კვლევავ შენებად, ოდეს თართათა დაეპყრა ესე სამეფო და ყოელი ქსყანად. ძალით და შრომით შეემართებოდა ჩემებრ გლახაკისა და არას მქონებლისაგან, გარნა პატრონთა წყალობით კვლევავ“-ო. მანგლელ ეპისკოპოსსაც-კი არა ჰქონია იმდენი საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით ეკლესია აეშენებინა: „პატრონთა წყალობით

ხელეყავ“<sup>45</sup> -ო. ასეთსავე მატერიალურ ხელმოკლეობაზეა ლაპარაკი ქობერის ეკლესიის წარწერაშიც.<sup>46</sup> ანალოგიური ცნობები გვხვდება სხვა წერილობით წყაროებშიც: კახა ერისთავთ-ერისთავის 1260 წ. რკონის დაწერილი გვამცნობს, რომ „მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს. ხარკობისაგან ოქროდ ძუირ იყვის და სოფელი იეფად“<sup>47</sup> -ო. აქვე აღნიშნულია, რომ სოფელი ხოვლე სამოცდახუთი ათას თეთრად გაყიდულა.<sup>47</sup> ამასთან დაკავშირებით, თუ გა-

<sup>45</sup> აქ ვასილ ცისკარიშვილს მხედველობაში აქვს აბელიის ეკლესიის 1250-1259 წლების ლაპიდარული წარწერა, რომლის ერთი ფრაგმენტიც ზემოთ უკვე გვქონდა მოტანილი. საკითხის სისრულისათვის აქ კიდევ ერთხელ, ამაჯერად, სრული სახით მოვიტანთ აღნიშნული წარწერის ტექსტს: „ჩ. აღიდენ და და(ა)მქსარენ ღ(მერთმა)ნ მ(ე)ფ(ე)ნი ჩ(უ)ენნი – დ(ავით) და დ(ავით); დ(ე)დ(ე)ფა(ა)ლი თამ(ა)რ-ხ(ათ)უნ და ძე მ(ათი) გ(იორგი), რ(ომე)ლთა წ(ა)დ(ო)ბ(ო)თა ღირს ვიქმენ აღშენებად ეკლესი(ი)სა ამის, სამლოცველოდ მეფ(ო)ბ(ი)სა მ(ა)თისა, მე. გლ(ა)ხ(ა)კი არხენი მშუდ(ა)სძე, მ(ა)ნგლელი მ(თავრე)პ(ი)სკოპ(ო)სი, და საკსენ(ე)ბ-ლ(ა)დ ც(ო)დ(ე)ლისა ს(უ)ლისა ჩ(ე)მისა და ძმისა ჩ(ე)მისა ანელაისა და მშ(ო)ბ(ე)ლთა და ძმ(ა)თა და ყ(ოვე)ლთა მიცვა(ა)ლ(ე)ბ(უ)ლთა ჩ(უ)ენთათჳს. გარწმუნოს ღ(მერთმა)ნ. ვინცა ჰნ(ა)ხთ ჰ(ი)რით და რუღუნებით ნამუშ(ა)კ(ე)ვი ჩ(უ)ენი. შ(ე)ნდობ(ა)ი ბრძანეთ, რ(ათა) ღ(მერთმა)ნ თქ(უ)ენცა მოგ(ა)ნიჭოს ს(ა)სყიდ(ე)ლი შრომ(ა)თ(ა)დ, აქა და სუკ(უ)ენსა. ამენ. მას ჟ(ა)მსა ჯ(ე)ლ-ყ(ე)ვე შ(ე)ნებ(ა)დ, ოღეს თათ(ა)რთა დაუყრა ესე სამ(ე)ფო და ყ(ოვე)ლი ქ(უ)ე(ა)ნ(ა)დ. ძ(ა)ლით და შრომით შეიმართებოდა ჩემებრ ვ(ლ)ახაკისა და არ(ა)სს მქონებლისაგ(ა)ნ, გ(არ)ნა პ(ა)ტ(ო)ნთა წყ(ა)ლ(ო)ბითა ჯ(ე)ლ-ყ(ე)ვეთა ვისიცა რაი სხვსა სალოც(ა)ვი წ(ა)გებულა ამისსა შ(ე)ნებ(ა)სა, მ(ა)სცა ღ(მერთმა)ნ ს(ა)ს(უ)ფ(ე)ვ(ე)ლი მიანიჭოს და მაშენებ(ე)ლთადა. და რადაცა ვინ მოიჭირვა, ყ(ოვე)ლთა შ(ე)უნდვენს ღ(მერთმა)ნ. ა(მე)ნ“ (გ. ოთხმეხური. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, გვ. 113-114).

<sup>46</sup> აქ ავტორს მხედველობაში აქვს ქობერის მონასტრის 1295 წლის წარწერა: „ქორნიოლისა [ხქმთ] (6899-5604=1295 წ.). ჩ მოწყალებითა და კაცთმოყვარებითა შენ (?) ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა უფლისა იესუსი ქრისტესითა და შეწევნითა ყოვლად-წმიდისა მშობლისა შენისათა, მე. უღირსი შაჰნა მანდატურთუხუცესისა ძე მკარგრძელი, და თანამეცხედრე ჩემი, ათაბაქისა და ამირსპახალარისა სადუნისა ასული ვანენი, ღირს ვიქმნებით აღშენებად სამრეკლო-სამარხისა ამის ჩუენისა, იწროებასა შინა დიდსა ჟამთასა, სადიდებელად სახელისა შენისა წმიდისა და საკსრად და სალოცველად სულისა ჩუენისა. შეიწირე, მაცხოვარო და ღმერთო, ვითარ გ სასოებად, და ორკერძოთავე სატანჯუელთა-გან განგუარინენ, და ნუ ქვათა უნდობსა მიხედავთ, არამედ სასოებისა გულსმოდგინეობასა“ (ღ. მედიქსეთ-ბეგი. ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები. კრებ.: ტფილისის უნივერსიტეტი მთაწმე. VII. ტფ. 1926, გვ. 71).

<sup>47</sup> აქ ვასილ ცისკარიშვილს მხედველობაში აქვს მეკურჭლეთუხუცესისა და ერისთავთერისთავის კახა თორელის მიერ რკონის მონასტრისათვის მიცემული 1260 წლის დაწერილის ერთი ფრაგმენტი: „...ესე დაწერილი დაგიწერეთ და მოვაკსენეთ თქვენ, რკონისა ღ(მრთ)ისმშობელსა სასოსა და მფარველსა ჩუენსა, მე კახამან და ხათუთამან. შეილი არა გუესუა და ვიყიდეთ სოფელი ხოვლე თქუენთჳს, მემეჟულეთა აღბუდაისაგან და მისთა შეილთაგან გასყიდულნი, ვითა თუით დაწერილნი მათნი თქუენს წ(ინა)შე დაგუისხმან – ორტადთა ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ. მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისა-

ვითვალისწინებთ, რომ ხორენიის ეკლესიის აშენებისთვის 37 ათასი თეთრი დაუხარჯავს ამშენებელს (თანაც ეს თანხა, კონტექსტის მიხედვით, მხოლოდ ნაწილი ჩანს მშენებლობაზე დახარჯული მთელი თანხისა), ცხადი გახდება, თუ რამდენად გაიაფებულა სოფელი, თუკი მისი ფასი 2 პატარა ეკლესიის ასაშენებლად საჭირო თანხასაც კი არ შეადგენს. ამრიგად, ხორენიას და კარნეთის წარწერები ცხადყოფენ, ერთი მხრივ, იმას, თუ როგორ გაჭირვებას განიცდიდნენ მონღოლთა ბატონობის ხანაში არა მარტო უშუალო მწარმოებლები, არამედ ფეოდალებიც, რომლებსაც ერთი ეკლესიის აშენებაც აღარ შეეძლოთ მეფის ან კათალიკოსის დახმარების გარეშე, ხოლო, მეორეს მხრივ, იმას, თუ რამდენად გაიაფებულა მონღოლთა ხარკის შედეგად ამოძრავებული მამულები. უნდა ვიფიქროთ, რომ ხორენიის და კარნეთის ეკლესიების მშენებლობაზე დახარჯულ ფულში მუშა-ხელის ქირაც შედიოდა. ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი: ვინ იყვნენ მუშები – ყმა-გლეხები თუ თავისუფალი მწარმოებლები – „წვრილი ერი“... საფუძველი გვაქვს ვიგულისხმობთ, რომ ხორენიისა და კარნეთის ეკლესიების მშენებლობაზე თავისუფალი მუშახელი იყო გამოყენებული. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ ქიარობდნენ უმთავრესად ხელოსნებს (კალატოზები, ხუროები, მჭედლები და სხვ.), რომლებიც, რო-

*გან. ოქროდ ძუირად იყვის და სოფელი იეფად. პატრონმა მამამან ჩემმა ეზოში მამული დაძივდო, რომე, თუმცა სხუა რომელი მამულისა სოფელი შემოქმეწირა, ესეც კვლამეწიფებოდა, მაგრა, თუ შვილი მომეცემის, მას არ ვეპართელები და თუ შვილი არ მომეცემის, ჩემთა ძმათა არ უზმიდი და ჩემგან ნახყიდი უკეთე დაგრჩებოდა. მას ჟამსა, ოდეს ბაღდადი გატეხეს თათართა, პატრონმან აფხაზთა მეფემან უღაოს წ(ინაშე) გამგზავნა მოციქულად. მაშინ ბაღდადური ალაფი ყუელაი იეფად იყო. და მე არა მქონდა სასყიდელი. წავედი, ორტალთავან დაპირი და თეთრი ავიდი. ვიარებოდი და ვიყიდი თუალსა, მარგალიტსა და ზარქაშსა, ორტალთა მათი კვლთავე მივსცი და მე შიგა ეზოში დამრჩა, შენითა წყალობითა, რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგე და ვიყიდე ხოვლე ხოჯა საღამის ცოლისა და შვილისაგან ნახეყარი და ნახეყარი პასან სუმბატისძისა სომეხისაგან და იოსებ ბუღბაფაისძისა პურიისაგან. მათ სამოცდა ხუთი თას თეთრად ყვიდა აღბუღასაგან და მისთა შვილთაგან, ვითა დაწერილია შიგა სწერია. და აწ მე მივეც ფასი სრული. და პასრე მიმჭირდა ამის სყიდასა შიგა, რომე ზოგი მათ მომხყიდელთა წამილიან იეფად: რაიც ხუთი ათას თეთრად ღირდის, ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი, და ზოგი სხუვან დიდებულთა ზედა გავყიდი, რაიც ათიათას თეთრად ღირდის, ხუთი ათასად ძლივ გავყიდი და ვგრე გარდავეც ყუელაი. და არა ვისი წამიგია ამას შიგა, რომე ასი ცხუარი და ექუსასი თეთრი პატრონმა მამამა ჩემმა მიბოძა... მისითა წყალობითა დია მქონდა. მაგრა ამის მეტი არა წამიგია, და ჩემთუის სიკეთისათუის ხუთასი თეთრი ბიძამ ჩემმა მიბოძა და ერთნი ჯუბანანი – საჰმადაველა. სხუი არაი ვისი მომიკმარებია ხოვლის ფასსა შიგა: არც მამეულითა, არც დედულისა, არც სხუა არ გუარისაი, ამა ზემოწერილთა მადლმან და მან დღემა, რომლისათუის შემოგუიწირავს“ (ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII საუკუნეები, გვ. 146-147).*

გორცა ჩანს, შუა საუკუნეებში ყველგან არ ყოფილან<sup>48</sup>.

როგორც ვხედავთ, ვასილ ცისკარიშვილს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში ასახული ისტორიული რეალების შესახებ. ჩვენთვის ამ მოსაზრებათა ერთი ნაწილი სრულებით მისაღებია, თუმცა კი, ვფიქრობთ, რომ მკვლევრის მოსაზრებათა მეორე ნაწილი მართებული არ არის და რამდენიმე აუცილებელ შესწორებასა თუ დაზუსტებას საჭიროებს.

დავიწყოთ ვასილ ცისკარიშვილის იმ მოსაზრებით, რომ „მეფემ და კათალიკოსმა“ ერთ-ერთ ქართველ ფეოდალს, ჩოგას „თავისი ეკლესია აუშენეს“. აღნიშნული მოსაზრება, ძირითადად, ორ დებულებაზეა დამყარებული: 1. დიდი ხორენიის ტაძრის წარწერაში საუბარია „ეკლესიის“ მშენებლობაზე; და 2. ხსენებული „ეკლესია“, რომელიც „მეფისა და კათალიკოსის“ ხარჯებით აიგო, ჩოგას ფეოდალურ საკუთრებას წარმოადგენდა. განვიხილოთ ორივე დებულება ცალ-ცალკე.

დიდი ხორენიის ტაძრის წარწერაში, ვასილ ცისკარიშვილის მოსაზრების საპირისპიროდ, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჩოგამ დაასრულა არა „ეკლესიის“, არამედ „კარის ბჭენის“ მშენებლობა. თავად ტერმინი „კარის ბჭენი“, ჩვენი დაკვირვებით, უეჭველად ამავე დიდი ხორენიის ეკლესიის არქიტექტურული სხეულის შემადგენელ ერთ-ერთ ელემენტს უნდა გულისხმობდეს, რომელიც, თავის მხრივ, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ტაძარზე მიდგმული რომელიმე მოგვიანო ხანის მინაშენი ან მინაშენები.

დღეისათვის დიდი ხორენიის ტაძარს მხოლოდ ერთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიდგმული მინაშენი ახლავს. ეს არის მცირე ზომის კაპელა, რომელიც კათალიკოს მელქისედეკ I-ის მიერ XI საუკუნეშია აგებული.<sup>49</sup>

რაც შეეხება დიდი ხორენიის ეკლესიის სხვა მინაშენებს, რომლებიც ტაძარს, სავარაუდოდ, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და/ან სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა მიდგმული, ისინი დღეისათვის მთლიანადაა დანგრეული და მათი ნაშთების გარჩევაც კი ვეღარ ხერხდება. სამაგიეროდ, ამ მინაშენების არსებობის ფაქტზე პირდაპირ მიგვითითებს დიდი ხორენიის ეკლესიის ირგვლივ მიმოფანტული უამრავი ორნამენტირებული ქვის ლოდი თუ ფილა, რომლებიც უშუალოდ ტაძარსა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მინაშენს არ ეკუთვნის და უეჭველად დანგრეული მინაშენების შემკულობის

<sup>48</sup> ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 62-65.

<sup>49</sup> ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, გვ. 39.



ფრაგმენტებს წარმოადგენს.

მართალია, ეს ორნამენტირებული ქვის ლოდები თუ ფილები, შეუსწავლევლობის გამო, დანგრეული მინაშენების ზუსტად დათარიღების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულებით აშკარაა, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული ტერმინი „კარის ბჭენი“ ტაძრის სწორედ ამ მინაშენებს გულისხმობდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ჩოგა სიქანელისძემ 1250/1260-1280-იან წლებში საბოლოოდ დაასრულა არა ეკლესიის აგება, როგორც ვასილ ცისკარიშვილი ფიქრობდა ამას, არამედ დიდი ხორენიის ტაძრის ჩრდილოეთის, დასავლეთის და/ან სამხრეთ-დასავლეთის მინაშენების მშენებლობა.

გადავიდეთ ვასილ ცისკარიშვილის მიერ შემოთავაზებულ მეორე დებულებაზე. ჩვენ დეტალურად გავაანალიზეთ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერა და დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ტექსტი არანაირ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რათა დავასკვნათ, რომ ქართლის კათოლიკოსისა და აღმოსავლეთ საქართველოს მეფის სახსრებით აგებული „კარის ბჭენი“ ჩოგა სიქანელისძის ფეოდალურ საკუთრებას წარმოადგენდა. პირიქით, პარალელური წერილობითი ძეგლებს შესწავლა აჩვენებს, რომ განსახილველ „კარის ბჭენს“, სინამდვილეში, სულ სხვა პატრონი ჰყავდა. აქ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს კარნეთის ეკლესიის ზემოთ განხილული წარწერა, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ XIII-XIV საუკუნეებში სოფელი დიდი ხორენია მცხეთის საკათოლიკოსო საყდარს ეკუთვნოდა. შესაბამისად, სრულებით ნათელია ისიც, რომ ამ სამცხეთო სოფლის შუაგულში აღმართული ეკლესია თავის მინაშენებთან ერთად აგრეთვე ქართლის კათოლიკოსის კუთვნილება იყო და ამიტომ ეს მინაშენები 1250/1260-1280-იან წლებში ჩოგა სიქანელისძის ფეოდალური საკუთრება ვერანაირად ვერ იქნებოდა.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ სავსებით გასაგები ხდება, თუ რატომ გახარჯა ჩოგა სიქანელისძემ 1250/1260-1280-იან წლებში „კარის ბჭენის“ მშენებლობაზე არა თავისი პირადი, არამედ ქართლის კათოლიკოსის კუთვნილი სახსრები: დიდი ხორენიის ეკლესიის მინაშენები, ისევე როგორც მთელი ტაძარი, მცხეთის საყდრის საკუთრებას წარმოადგენდა და ამიტომაც მისი მშენებლობის დასრულებაზე სწორედ ქართლის კათოლიკოსის კუთვნილი სახსრები დაიხარჯა.<sup>50</sup>

<sup>50</sup> მიღებული დასკვნის შემდეგ ბუნებრივად იბადება ერთი საინტერესო კითხვა: თუ ჩოგას მიერ აგებული „კარის ბჭენი“ მართლაც ქართლის კათოლიკოსს

ცალკე საუბრის თემაა ის საკითხი, თუ რატომ ითხოვს ჩოგა სიქანელისძე წარწერის წამკითხველისაგან არა კათოლიკოსის ან მეფის, არამედ საკუთრივ მისი სახელის მოგონება-მოხსენიებას. ჩვენი დაკვირვებით, ეს საკმაოდ საინტერესო ფაქტი იმაზე კი არ მიუთითებს, რომ ჩოგა სიქანელისძე „მეფისა და კათალიკოსის“ მიერ საგანგებოდ მისთვის „აშენებული ეკლესიის“ პატრონი იყო, როგორც ამას ფიქრობდა ვასილ ცისკარიშვილი, არამედ იმაზე, რომ წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენი“ ჩოგა სიქანელისძის ანუ შესაბამისი სამცხეთო მამულის მმართველისა თუ დროებითი მეპატრონის მეცადინეობითა და ძალისხმევით იყო აგებული.

ჩვენ მიერ გამოთქმულ ამ ბოლო მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ჩოგა სიქანელისძე სოფელ დიდი ხორენისა და მისი ეკლესიის მმართველი თუ დროებითი მეპატრონე იყო, მთლიანად ადასტურებს ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები კარნეთის ეკლესიის წარწერა, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქართლის კათალიკოსს ჩვენთვის საინტერესო დიდი ხორენია და ჯავახეთის სხვა სამი სამცხეთო სოფელი ჩოგა სიქანელისძის უახლოესი ნათესავის, მცხეთის საყდრის მსახურეული აზნაურის, იმავე მცხეთისშვილის, ვარდან სიქანელისძისათვის სწორედ „სასამსახუროდ“ ანუ დროებითი სარგებლობის წესით გაუცია.

მაშასადამე, დიდი ხორენის ეკლესიის წარწერის შესწავლა აჩვენებს, რომ მისი ცნობები სრულად ეთანხმება კარნეთის ეკლესიის წარწერაში დაცულ ცნობებს და საშუალებას გვაძლევს, საბოლოოდ გავარკვიოთ სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიასთან დაკავშირებული სამი მნიშვნელოვანი საკითხი.

1. დიდი ხორენისა და კარნეთის ეკლესიათა წარწერებიდან ირკვევა, რომ სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები, XIII-XIV საუკუნეებში მოღვაწე ჩოგა და ვარდან სიქანელისძეები, ქართლის კათალიკოსის მსახურეული აზნაურები იყვნენ. აქედან, ვფიქრობთ, ავტომატურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის სხვა წარმომადგენლებიც, მათ შორის, ცხადია, ჰიმისის ბრძოლის მონაწილე აბაშ ჩოგას ძე სიქანელისძეც, ჩოგასა და ვარდანის მსგავსად, აგრეთვე ქართლის კათოლი-

---

ეკუთვნოდა, მაშინ რატომ დაიხარჯა მისი მშენებლობის დასრულებაზე არა მხოლოდ მცხეთის საყდრის, არამედ, დამატებით, სამეფო კარის კუთვნილი სახსრებიც? სამწუხაროდ, დასმულ კითხვაზე რაიმე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია და ამიტომ განსახილველ საკითხს დროებით დიად ვტოვებთ.

კოსის მსახურეული აზნაურები, იგივე მცხეთისშვილები იყვნენ.<sup>51</sup> ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, XIII-XIV საუკუნეებში სიქანელისძეთა მთელი ფეოდალური სახლი მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის ერთ-ერთი ვასალური, ყმა-აზნაურული საგვარეულო იყო.

2. დიდი ხორენისა და კარნეთის ეკლესიათა წარწერების თანახმად, ვარდან სიქანელისძეს სამცხეთო სოფელი დიდი ხორენია ქართლის კათოლიკოსისაგან „სასამსახუროდ“ მიუღია, ჩოგა სიქანელისძეს კი ამავე დიდი ხორენის ეკლესიის ჩრდილოეთი, დასავლეთი და/ან სამხრეთ-დასავლეთი მინაშენების მშენებლობა მცხეთის საყდრის კუთვნილი თანხებით ჰქონდა დასრულებული. აქედან, ვფიქრობთ, აშკარად ჩანს, რომ XIII-XIV საუკუნეებში სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები ქართლის კათოლიკოსის მიერ „სასამსახუროდ“ მიცემულ სოფელ დიდ ხორენიასა და ჯავახეთის სხვა სამცხეთო სოფლებს არა ერთი, არამედ რამდენიმე თაობის განმავლობაში ფლობდნენ.

3. დიდი ხორენისა და კარნეთის ეკლესიათა წარწერებიდან ჩანს, რომ ჩოგა და ვარდან სიქანელისძეები, ძირითადად, ჯავახეთის ტერიტორიაზე მოღვაწეობდნენ: ჩოგა „კარის ბჭენს“ ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში, დიდ ხორენიაში აშენებდა, ხოლო ვარდანი „სასამსახუროდ“ მიღებულ ოთხ სოფელს: ხვირანიოს, დევანის, არჯის და „მღშენს“, აგრეთვე ჯავახეთის ტერიტორიაზე ფლობდა. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, თვალნათლივ მიგვიბრუნებს იმაზე, რომ განსახილველ პერიოდში, ანუ XIII-XIV საუკუნეებში, ჩოგა და ვარდან სიქანელისძეები, მათთან ერთად კი ამ საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც, ჯავახეთში ცხოვრობდნენ და ადგილობრივი ფეოდალები იყვნენ.<sup>52</sup>

სხვათა შორის, XIII-XIV საუკუნეების ჯავახეთში სიქანელისძეების მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ერთი მეტად საინტერესო ისტორიული ფაქ-

<sup>51</sup> ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, სრულებით გასაგები ხდება, თუ რატომ იმყოფებოდა ჰიმსის ბრძოლის დროს აბაშ სიქანელისძე მაინცაღამაინც მეფე დემეტრე II-ის უახლოეს გარემოცვაში. მართლაც, დღეისათვის საბოლოოდ არის გარკვეული, რომ მცხეთის საკათოლიკოსო საყდრის მსახურეული აზნაურები საღაშქროდ გაწვევის შემდეგ უშუალოდ მეფის დროშის ქვეშ დგებოდნენ (აკ. კლიმიაშვილი. საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. კრებ.: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. III. თბ. 1961, გვ. 95-112) და, შესაბამისად, მის უახლოეს გარემოცვაში იბრძოდნენ.

<sup>52</sup> სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო ჩვენ, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვით სიქანელისძეთა ფეოდალური გვარის წარმოშობის დროისა და მისი თავდაპირველი განსახლების გეოგრაფიული არეალის შესახებ.

ტი იპყრობს ყურადღებას. ჟამთააღმწერელი თავის თხზულებაში მოგვითხრობს, რომ სამცხის ძლევა მოხდა მთავარმა ბექა ჯაყელმა, რომელიც ირანის ილხანთა ყაენის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ხელისუფლების სისუსტით ისარგებლა და მცირეწლოვანი დემეტრე II-ის მმართველობის პირველ პერიოდში ანუ, დაახლოებით, 1270-იან წლებში თავისი თავდაპირველი საგამებლოს, სამცხის საერისთავოს გარდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციები და მხარეებიც დაიპყრო: „*მაშინ ბექამან დაიპყრა ქუეყანა ტასისკართიგან კარნუქლასქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის ვეი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს*“.<sup>53</sup>

„ასწლოვანი მატიანის“ ერთ-ერთ მომღვენო ფრაგმენტში ჟამთააღმწერელი კიდევ ერთხელ უბრუნდება ბექა ჯაყელის მფლობელობის საკითხს და გვაუწყებს, რომ სამცხის მთავარს XIII საუკუნის მიწურულისათვის არამხოლოდ მტკიცედ ეპყრა 1270-იან წლებში მიტაცებული პროვინციები და მხარეები, არამედ მას, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებიც ჰქონდა მისაკუთრებული: „*რამეთუ ესე ბექა განდიდებულ იყო, და აქუნდა ტასისკართიგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის ვეი, ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა; ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი, ამათ შორის ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი, და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი, და მონასტერნი, ყოველნი მას აქუნდეს*“.<sup>54</sup>

„ასწლოვანი მატიანის“ აქ ციტირებული ორი ფრაგმენტიდან ჩვენი ინტერესის საგანს ამჯერად მხოლოდ ჯავახეთის ფლობასთან დაკავშირებული დეტალი წარმოადგენს. კერძოდ, ჟამთააღმწერელი 1270-იანი წლების ამბების გადმოცემისას მოგვითხრობს, რომ ბექა ჯაყელმა ჯავახეთის მრავალი სოფელი დაიპყრო, XIII საუკუნის მიწურულის ამბების გადმოცემისას კი გვაუწყებს, რომ ჯავახეთის სოფლები ბექა ჯაყელის საგამებლოში უკვე აღარ შედიოდა. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ბექა ჯაყელს 1270-იან წლებში დაპყრობილი ჯავახეთის სოფლები XIII საუ-

<sup>53</sup> ჟამთააღმწერელი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 273.

<sup>54</sup> ჟამთააღმწერელი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 304.

კუნის მიწურულისათვის უკვე დაკარგული ჰქონდა, მისი იურისდიქცია ამ პროვინციაზე სემენტური სახითაც კი აღარ ვრცელდებოდა და ჯავახეთი მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარის დაქვემდებარებაში იყოფებოდა.

როგორც ვხედავთ, ბექა ჯაყელმა ჯავახეთზე გავლენა 1270-იანი წლებიდან XIII საუკუნის მიწურულამდე ანუ, დაახლოებით, 1280-1290-იან წლებში დაკარგა, როცა იგი თავისი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ლოგიკურად იბადება ორი კითხვა: 1. რა სამხედრო-პოლიტიკური ძალის წინააღმდეგობის გამო ვერ მოახერხა უზომოდ განდიდებულმა სამცხის მთავარმა მთელი ჯავახეთის დაპყრობა 1270-იან წლებში? და 2. რა სამხედრო-პოლიტიკურმა ძალამ აიძულა ბექა ჯაყელი, 1280-1290-იან წლებში ხელი მთლიანად აელო მის მიერ დაპყრობილ ჯავახეთის სოფლებზე?

პირველი კითხვის საპასუხოდ აღვნიშნავთ, რომ 1270-იან წლებში, როცა მცირეწლოვანი დემეტრე II-ის ხელისუფლება უკიდურესად სუსტი იყო, ბექა ჯაყელის ექსპანსიის შეჩერება მხოლოდ სამეფო კარის ერთგულ ფეოდალებს შეეძლოთ. ამ დიდგვაროვანთა ერთი ნაწილი: ახალქალაქის ერისთავის სახელის მფლობელი თორელები, ქვემო ჯავახეთის უძლიერეს ფეოდალებად მიჩნეული თმოგველები და სხვები, ჯავახეთის უმსხვილესი მემამულეები იყვნენ და სამცხის მთავრის ექსპანსიაც, პირველ რიგში, სწორედ მათ მფლობელობას უქმნიდა საფრთხეს. ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ერთგულებაზე დარჩენილ ჯავახ ფეოდალთა მეორე ნაწილს უეჭველად სამეფო და საკათოლიკოსო აზნაურები შეადგენდნენ, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში „სასამსახუროდ“ ფლობდნენ ჯავახეთის სახასო თუ სამცხეთო სოფლებს და ერთგულად ემსახურებდნენ სამეფო კარსა და საკათოლიკოსო საყდარს. ჩვენი დაკვირვებით, ჯავახ აზნაურთა სწორედ ამ დასის წევრები უნდა ყოფილიყვნენ სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მის საპასუხოდ აღვნიშნავთ, რომ 1280-1290-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიიდან ცნობილია მხოლოდ ერთი პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც ძლიერების ზენიტში მყოფი ბექა ჯაყელისათვის ჯავახეთის მიტაცებული სოფლების წართმევა შეეძლო. ეს პოლიტიკური ფიგურა მეფე დემეტრე II იყო, რომელმაც 1280-იან წლებში იმდენად გაიმყარა პოზიციები, რომ ბექა ჯაყელი იძულებული გახადა, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარის ერთ-ერთი ვაზირის, მანდატურთუხუცე-

სის წოდება მიეღო და ამით თავი დემეტრე II-ის ვასალად ეცნო. ჩვენი დაკვირვებით, სამცხის მთავარი ჯავახეთიდან სწორედ დემეტრე II-ს უნდა განედევნა და ამ საქმეში მისი ერთ-ერთი უპირველესი თანამდგომები, ადგილობრივი მსხვილი ფეოდალების: თორელების, თმოგველებისა და სხვათა გვერდით სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.

ჩვენი დაკვირვებით, სწორედ სამეფო კარისადმი თავდადებული სამსახურისა და უდიდესი ერთგულების გამომხატველი იყო ის ფაქტი, რომ ჩოგა სიქანელისძემ 1250/1260-1280-იან წლებში სამეფო კარის კუთვნილი თანხები გამოიყენა დიდი ხორენიის ეკლესიის მინაშენების აგებისათვის და აგრეთვე ის ფაქტი, რომ აბაშ სიქანელისძემ 1281 წელს გამართულ ჰიმსის ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლე გასწირა მეფე დემეტრე II-ის გადასარჩენად.

დავუბრუნდეთ ვასილ ცისკარიშვილის მიერ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მკვლევრის დაკვირვებით, მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართველი ფეოდალები დიდ ხელმოკლეობას განიცდიდნენ, რაზეც მიუთითებს შემდეგი წერილობითი ძეგლები: აბელიისა და ქობერის ეკლესიათა წარწერები, კახა თორელის დაწერილი და ბოლოს, დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერა, საიდანაც ჩანს, რომ ჩოგა სიქანელისძემ „თავისი ეკლესიის“ საკუთარი სახსრებით აგება მატერიალური გაჭირვების გამო ვერ მოახერხა და ამისათვის მას კათოლიკოსისა და მეფის კუთვნილი სახსრების გამოყენება დასჭირდა.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრების იმ ნაწილს, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართველი ფეოდალები დიდ ხელმოკლეობას განიცდიდნენ, მთლიანად ვეთანხმებით მისი მოსაზრების იმ ნაწილსაც, რომ ეს ეკონომიკური სიღუხჭირე თვალნათლივ არის ასახული აბელიისა და ქობერის წარწერებში, აგრეთვე კახა თორელის დაწერილში, თუმცა ვერანაირად ვერ გავიზიარებთ ვასილ ცისკარიშვილის მოსაზრების იმ ნაწილს, რომ ჩოგა სიქანელისძემ „თავისი ეკლესიის“ საკუთარი სახსრებით აგება მატერიალური გაჭირვების გამო ვერ შეძლო.

მართლაც, ჩვენ უკვე გავარკვეით ზემოთ, რომ ჩოგა სიქანელისძემ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულებაზე იმიტომ კი არ დახარჯა კათოლიკოსისა და მეფის კუთვნილი თანხები, რომ ამ სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო სახსრები თავად არ გააჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ეს „კარის ბჭენი“ მცხეთის საყდრის საკუთრებას წარმოადგენდა, შესაბამისად, მისი სააღმშენებლო სა-

მუშაოებისათვის საჭირო ხარჯებიც სწორედ ქართლის კათოლიკოსის სახსრებით უნდა ყოფილიყო დაფარული.

მასასადამე, ირკვევა, რომ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერა, ვასილ ცისკარიშვილის მოსაზრების საპირისპიროდ, არც ერთი ნიშნის მიხედვით არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ წერილობით ძეგლად, სადაც მონღოლთა ბატონობის ხანაში მოღვაწე ქართველ ფეოდალთა ეკონომიკური სიღუხჭირე დოკუმენტურადაა დადასტურებული.

დასასრულ, შევეხებით ვასილ ცისკარიშვილის მიერ გამოთქმულ კიდევ ერთ მოსაზრებას. მკვლევრის დაკვირვებით, მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართული სოფელი იმდენად იყო გაიაფებული, რომ „მისი ფასი 2 პატარა ეკლესიის ასაშენებლად საჭირო თანხასაც კი არ შეადგენდა“. აღნიშნული მსჯელობისას ვასილ ცისკარიშვილს სანიმუშოდ შერჩეული სოფლის (რკონის) ფასი, 65 000 თეთრი, მოტანილი აქვს კახა თორელის დაწერილიდან, ხოლო სანიმუშოდ შერჩეული „პატარა ეკლესიის“ ფასი, 37 000 თეთრი – დიდი ხორენიის ტაძრის წარწერიდან.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრების იმ ნაწილს, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართული სოფელი ძალზე გაიაფებული იყო, თუმცა კი ვერ გავიზიარებთ ამავე მოსაზრების იმ ნაწილს, რომლის თანახმადაც განსახილველ პერიოდში სოფლის ფასი ორი „პატარა ეკლესიის“ ფასის თანაფარდი იყო.

ჩვენ უკვე გავარკვიეთ ზემოთ, რომ ჩოგა სიქანელისძემ 37 000 თეთრი გახარჯა არა „ეკლესიის“ ასაგებად, როგორც ვასილ ცისკარიშვილი ფიქრობდა ამას, არამედ დიდი ხორენიის ეკლესიის ჩრდილოეთი, დასავლეთი და/ან სამხრეთ-დასავლეთი მინაშენების მშენებლობის დასასრულებლად. გარდა ამისა, წარწერაში ხაზგასმით არის აღნიშნული ისიც, რომ ჩოგა სიქანელისძემ თავიდან ბოლომდე თვითონ კი არ აავო ტაძრის მინაშენები, არამედ მხოლოდ დაასრულა მათი ადრე დაწყებული და მონღოლთა დაპყრობების გამო შეწყვეტილი სააღმშენებლო სამუშაოები.

აღნიშნული დეტალების დაზუსტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის სწორად გააზრებისათვის. მართლაც, ტექსტის ვასილ ცისკარიშვილის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომ ჩოგა სიქანელისძემ მთელი ეკლესია აავო, საკუთრივ წარწერა კი გვაუწყებს, რომ ჩოგამ ბევრად უფრო მცირე მასშტაბის სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა და მხოლოდ დაასრულა დიდი ხორენიის ეკლესიის ჩრდილოეთი,

დასავლეთი და/ან სამხრეთ-დასავლეთი მინაშენების მშენებლობა.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ საბოლოოდ ირკვევა დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში დასახელებული 37 000 თეთრის მსყიდველუნარიანობის საკითხიც. კერძოდ კი, ღვინდება, რომ წარწერის შესრულების დროს, ანუ 1250/1260-1280-იან წლებში, 37 000 თეთრი მხოლოდ დიდი ხორენიის ტაძრის მინაშენების მშენებლობის დასრულება ღირდა, თორემ ამავე დიდი ხორენიის ეკლესიის ზომის ტაძრის თავიდან ბოლომდე აგებისათვის, საშუალოდ, სამჯერ უფრო მეტი თანხა ანუ, დაახლოებით, 110 000 – 115 000 თეთრი იყო საჭირო.

ამრიგად, ირკვევა, რომ მონღოლთა ბატონობის ხანაში, უფრო ზუსტად კი 1250/1260-1280-იან წლებში, უკიდურესად გაიაფებული ქართული სოფლის საშუალო ღირებულება (დაახლ. 65 000 თეთრი) შეადგენდა არა ორი პატარა ეკლესიის ფასს, როგორც ვასილ ცისკარიშვილი ფიქრობდა, არამედ დიდი ხორენიის ეკლესიის ზომის ტაძრის საშუალო ღირებულების (დაახლ. 110 000 – 115 000 თეთრი) ნახევარზე ცოტა უფრო მეტს.

ამით ვასრულებთ ვასილ ცისკარიშვილის მიერ დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების განხილვას და ყურადღებას გავამახვილებთ ამავე წარწერასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე.

დიდი ხორენიის ეკლესიის წარწერაში სახელის გარეშე იხსენიება „კარის ბჭენის“ მშენებლობისათვის საჭირო ხარჯის გამღები ორი ისტორიული პირი: „ქათალიკოზი“ და „მეფე“. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ორი პირის იდენტიფიკაცია, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ჯერჯერობით არ ჰქონია. სხვათა შორის, ამ, ერთი შეხედვით, უცნაურ ფაქტს, თავისი ლოგიკური ახსნა თუ მიზეზი აქვს: აქამდე წარწერა, ზოგადად, XIII საუკუნით იყო დათარიღებული, რის გამოც ტექსტში მოხსენიებული „ქათალიკოზი“ XIII საუკუნეში მოღვაწე ქართლის თორმეტ კათოლიკოსს შორის ერთ-ერთთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული,<sup>55</sup> რისი გაკეთებაც, დიდი ხორენიის ეკ-

<sup>55</sup> ეს ქართლის კათოლიკოსები არიან: თეოდორე II (დაახლ. 1188-1204/1205 წწ.), ბასილი IV (1204/1205 წ.), იოანე VII (დაახლ. 1205/1206-1210 წწ.), ეპიფანე (დაახლ. 1210-1220 წწ.), ექვთიმე II (1220-1222 წწ.), არსენ III (1220-1230-იანი წწ.), გიორგი IV (1230-იანი წწ.), ნიკოლოზ II (1230-იანი წწ.), მიქაელ V, არსენ IV ბულმაისიმისძე (1241/1242-1249/1250 წწ.), ნიკოლოზ III და აბრაჰამ I (დაახლ. 1282-1310 წწ.) (ზ. აბაშიძე. ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (კათოლიკოს იოანე IV-დან კათოლიკოს დავით V-ის ჩათვლით). წგნ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. რედაქტორი: რ. მეტრეველი, თბ. 2000, გვ. 53-64).



ლესიის წარწერის ვრცელი, ერთსაუკუნოვანი თარიღის დავიწროვების გარეშე, ცხადია, გადაუჭრელი ამოცანა იყო. ზუსტად ანალოგიური რამ ითქმის წარწერაში მოხსენიებულ „მეფესთან“ დაკავშირებითაც, რომელიც, თავის მხრივ, XIII საუკუნეში მოღვაწე ათი მეფიდან ერთ-ერთთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული.<sup>56</sup>

ჩვენ წინამდებარე ნაშრომში უკვე დავადგინეთ, რომ დიდი ხორენის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „კარის ბჭენის“ მშენებლობა დასრულდა, დაახლოებით, 1250/1260-1280-იან წლებში. შესაბამისად, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ ჩოგა სიქანელისძის მიერ „კარის ბჭენის“ მშენებლობის დასრულებისათვის გახარჯული სახსრების ერთი ნაწილი ქართლის კათოლიკოსების, ნიკოლოზ III-ის (დაახლ. 1250-1282 წწ.) ან აბრაჰამ I-ის (დაახლ. 1282-1310 წწ.), ხოლო მეორე ნაწილი – აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, დავით VII ულუს ან დემეტრე II თავდადებულის მიერ იყო გაღებული.

#### 4. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის №269 აღაპი (XIII ს-ის II ნახ. – XIV ს-ის I ნახ.)

ჩვენ მიერ თავმოყრილი და სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიასთან დაკავშირებული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“, კარნეთისა და დიდი ხორენის ეკლესიათა წარწერების გარდა, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნშიც არის მოხსენიებული. აქ მხედველობაში გვაქვს ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნის №269 აღაპი, რომელიც „სიქანელის ძისა ასულის“, ვინმე აფა-ყოფილი ანნასათვისაა განწესებული.

†. Tmasv e dResa  
aRapi da  
wir v~Y: siqa  
nel is Zisa

<sup>56</sup> ესენი არიან ერთიანი საქართველოს მეფეები: თამარი (1184 – 1213 (1207, 1210) წწ.), გიორგი IV ლაშა (1213 (1207, 1210) – 1223 წწ.), რუსუდანი, დავით VI ნარინი და დავით VII ულუ, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები: დემეტრე II თავდადებული, ვახტანგ II (1289-1292 წწ.), დავით VIII (1293-1311 წწ.), ვახტანგ III (1298, 1302-1308 წწ.) და გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-1246 წწ.) (თ. მოდებაძე. ერთიანი საქართველოს მეფეები, გვ. 138-164).

asul isa a  
fa: yofl isa  
annasi: misiT  
a wasagebl  
iTa: gar dai  
Pdebodes: da  
ukl eb~el di:

„[თუესა ივლისსა იმ (15)]. კ. ამასვე დღესა აღაპი და წირვ(ა)ი სიქანელის ძისა ასულისა აფა-ყოფ(ი)ლისა ანნასი. მისითა წასაგებლითა გარდაიკლებოდეს დაუკლებელ(ა)დ“:<sup>57</sup>

ჯვრის მონასტრის №269 აღაპის ტექსტს ელენე მეტრეველი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII საუკუნის II ნახევრითა და XIV საუკუნის I ნახევრით ათარიღებს.<sup>58</sup>

შესაბამისად, ირკვევა, რომ ამ აღაპში მოხსენიებული აფა-ყოფილი ანნა სიქანელისძე, დაახლოებით, ვარდან, ჩოგა და აბაშ სიქანელისძეების თანამედროვე იყო. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიქანელისძეთა ფეოდალური სახლი მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი არ ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ ჯვრის მონასტრის №269 აღაპში მოხსენიებული აფა-ყოფილი ანნა სიქანელისძე ჟამთააღმწერლის თხზულებაში მოხსენიებული ჩოგა და აბაშ სიქანელისძეების არა მხოლოდ სახლის წევრი, არამედ მათი უახლოესი ნათესავიც იყო. სამწუხაროდ, განსახილველი აღაპის ერთსაუკუნოვანი ქრონოლოგიური მონაკვეთის მომცველი ვრცელი თარიღი ამ ნათესაური კავშირის კიდევ უფრო დაკონკრეტების საშუალებას აღარ იძლევა, რის გამოც აღნიშნულ საკითხს, ჯერჯერობით, ღიად ვტოვებთ.

ჯვრის მონასტრის №269 აღაპის ტექსტი ორ საინტერესო ცნობას გვაწვდის სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესახებ.

ჯერ ერთი, ირკვევა, რომ სიქანელისძეებს იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან, XIII-XIV საუკუნეების სხვა ქართული ფეოდალური სახლების მსგავსად, მჭიდრო კავშირ-ერთიერთობა ჰქონდათ, მათი საგვარეულოს ერთერთი წარმომადგენლის, ანნას სახელით შემონახვნიებული აფა სიქანელისძი-

---

<sup>57</sup> ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ. 1962, გვ. 103-104, ტაბ. 26.

<sup>58</sup> ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), გვ. 167, 173.

სათვის კი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში „წირვა და აღაპი“ იყო განწესებული, რომელიც სამონასტრო ძმობას ყოველი წლის 15 ივლისს თავისი „წარსაგებელით“ „დაუკლებლად“ უნდა გადაეხადა.

გარდა ამისა, ჯვრის მონასტრის №269 აღაპიდან ირკვევა ისიც, რომ XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის I ნახევარში სიქანელისძეთა ფეოდალური სახლი საკმაოდ მდიდარი და შეძლებული საგვარეულო იყო. საპირისპირო შემთხვევაში, ამ ფეოდალური სახლის ერთ-ერთი შემონაზვნებული წარმომადგენელი, აფა-ყოფილი ანა სიქანელისძე იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრისათვის რაიმე ისეთი მატერიალური დახმარების გაწევას ვერ შეძლებდა, რომლის სანაცვლოდაც სამონასტრო ძმობა მას „წირვასა და აღაპს“ განუწესებდა.

ამით საბოლოოდ ვასრულებთ სიქანელისძეთა ფეოდალურ სახლთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით შესწავლას და გამოვთქვამთ იმედს, რომ შემდგომი კვლევა-ძიება საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო მეტი რამ შევიტყუოთ შუა საუკუნეების ამ მეტად საინტერესო წარჩინებული ქართული საგვარეულოს შესახებ.

*Temo Jojua*

**MATERIALS FOR THE HISTORY OF THE FEUDAL  
FAMILY  
OF THE SIKANELIDZES (THE 13<sup>TH</sup> - 14<sup>TH</sup> CENTURIES)**

Summary

Feudal family of the Sikanelidzes is among those noble Georgian families of the Middle Ages Georgia about whom we have quite poor historical sources. The Georgian scientists had not attempted to study the history of this feudal family before. The given work aims to fill up this gap.

From the point of view of historical researches and source studies four written historical sources connected with the feudal family of the Sikanelidzes are studied in the work. These are as follows: a) a fragment of “Chronicle of hundred years” (the 14<sup>th</sup> century) by Georgian anonymous chronicler, where we read about the events that took place in 1281; b) the lapidary inscription of the Karneti church (the 13<sup>th</sup> - 14<sup>th</sup> century) (Karneti was a village in Javakheti, now municipality of Akhalkalaki); c) the lapidary inscription of the village church of Didi Khorenia (the 1250/1260s – 1280s) (Javakheti, the municipality of Akhalkalaki); and d) № 269 agape (memorial) of the Georgian Cross Monastery’s memorials book from Jerusalem (the second half of the 13<sup>th</sup> century and the first half of the 14<sup>th</sup> century).

On the basis of the above listed written sources different problems of lives and activities of the Sikanelidzes feudal family four representatives are completely studied. They are as follows:

1. Vardan Sikanelidze – a nobleman of the Catholicos’ church in Mtskheta, the same as *mtskhetisshvili* (a son of Mtsketa), to whom in the 13<sup>th</sup> - 14<sup>th</sup> centuries four villages belonging to Mtskheta in Javakheti – Khviranio (modern Didi and Patara Khorenias), Devani (modern waste villages of Devati), Arji (modern Orja) and “Mlsheni” (modern waste village Mukhrasheni) – were given for “service” by Catholicos.

2. Choga Sikanelisdze – *mtskhetisshvili*, the close relative of Vardan Sikanelisdze, who in the 1250/1260s - 1280s with the money of Catholicos and the king of Eastern Georgia finished building of the Didi Khoreni church extensions.

3. Abash Sikanelisdze – *mtskhetisshvili*, a son of Choga Sikanelisdze, who participated in the battle between the Mongols and the Egyptians near Hims in 1281. He, with a great risk, managed to rescue from inevitable death king Demetre II the Devoted and the whole Georgian army.

4. Anna, ex-Apha, Sikanelisdze – the close relative of Vardan, Choga and Abash Sikanelisdzes. She was a noble woman who was ordained as a nun. Each July 15, between the second half of the 13<sup>th</sup> century and the first half of the 14<sup>th</sup> century, “liturgy and memorial service-agape” was served in the Georgian Cross Monastery of Jerusalem on her behalf.

*აკაკი ჩიქობავა*

## ერთი საკითხი ოდიშისა და ცხუმის საერისთავოების ისტორიიდან

ოდიშის სამთავრო ცხუმისა და ოდიშის საერისთავოების ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, მანამდე ეს ორი ადმინისტრაციული ერთეული ერთმანეთისგან მეტნაკლებად დამოუკიდებლად არსებობდა.

წყაროთა სიმცირის მიუხედავად, ცხუმის საერისთავოს არსებობა ეჭვს არ იწვევს, ის ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ლეონ II აფხაზთა მეფის რეფორმის შედეგად შეიქმნა. ლეონმა: „განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთავოდ. დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი.., დასუა ცხომს მისცა ეგრის-იქით ანაკოფია ალანთურთ“.<sup>1</sup>

„ისტორიანი და აზმანის“ ტექსტში თამარ მეფის დროინდელ ერისთავებზე ვკითხულობთ: „ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს ბარამ ვარდანის-ძე – სუნთა; კახაბერ კახაბერის-ძე რაჭის და თაკუერის ერისთავად; და ოთალო შარვაშის-ძე ცხუმის ერისთავად; ამანელის-ძე [არგუეთის ერისთავად] და ოდიშის ერისთავად ბედანი“.<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „ამანელის-ძე [არგუეთის ერისთავად]“, ტექსტის ძირითად ხელნაწერში არ წერია და ის შემდგომში აღდგენილია. ჩვენ ვიზიარებთ ილია ანთელავასეულ აღდგენას „ცხუმის ერისთავად ამანელის-ძე“.<sup>3</sup> ასევე ვახუშტის ნაშრომში შესაბამის აღვიღას ვკითხულობთ: „დალათო შარვაშისძე აფხაზთა; ამანელის ძე ცხომის“.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ჯავახიშვილის მიერ. IV. თბ. 1973, გვ. 796.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ჯავახიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 33-34.

<sup>3</sup> ილ. ანთელავა. XI-XIV საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები. თბ. 1988, გვ. 46.

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 172.

წყაროთა ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ თამარ მეფის ზეობის პერიოდში ცხუმს ამანელისძეების განაგებენ. ზურაბ ანჩაბაძეს „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტზე დაყრდნობით აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები ერთ მთლიან ერთეულად წარმოუდგენია და მის მმართველად შარვაშიძე მიაჩნია,<sup>5</sup> თუმცა ჟამთააღმწერელის თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ცხუმი და აფხაზეთი ცალკეულ ერთეულებს წარმოადგენენ, რადგან ლაშა-გიორგი „ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს“.<sup>6</sup>

XIV საუკუნეში ოდიშის ერისთავები ცდილობენ ცხუმის საერისთავო საკუთარ სამფლობელოს შემოუერთონ, რასაც ახერხებენ კიდევ. 1293 წელს, იმერეთის ტახტზე აღის დავით ნარინის ძე კონსტანტინე, რომელსაც თავისი ძმა, მიქელი დაუპირისპირდა. ოდიშის ერისთავმა გიორგი I დადიანმა ისარგებლა შექმნილი არეულობით და „მოიტაცა საერისთო ცხუმისაცა და დაიპყრა თ თ სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“.<sup>7</sup>

გიორგი I დადიანის მიერ ცხუმის საერისთავოს მიერეთების ფაქტი ზურაბ ანჩაბაძემ თავისებური ინტერპრეტაციით ახსნა. მისი აზრით, ცხუმის მიერთებით დადიანებმა აფხაზეთის სამხრეთი ნაწილი დაიპყრეს.<sup>8</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის ეს მოსაზრება ყოველგვარ არგუმენტაციას არის მოკლებული, რადგან არ არსებობს არანაირი წყარო, რომელიც, რაიმე ინფორმაციას გვაწვდიდეს შარვაშიძეთა მიერ ცხუმის საერისთავოს ფლობის შესახებ.

მიქელ დავით ნარინის ძის გარდაცვალების შემდეგ, 1330 წლისთვის, გიორგი V-მ ერთიანი სამეფო აღადგინა, დასავლეთ საქართველოში გადასული: „შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვსად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო“.<sup>9</sup> აქ, ბედიელის ქვეშ, მამია I დადიანი (1323-1345 წწ.) უნდა ვიგულისხმოთ. გიორგი V-ის მიერ „ცხუმის ბოძება“, ბეჟან ხორავას აზრით, უნდა გავიგოთ, როგორც გიორგი I დადიანის მიერ „მოტაცებული“ ტერიტორიის დაკანონება.<sup>10</sup>

<sup>5</sup> З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв). Сухуми. 1959, გვ. 210.

<sup>6</sup> ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 156.

<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 801.

<sup>8</sup> З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), გვ. 238.

<sup>9</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 258.

<sup>10</sup> ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1996, გვ. 41.

რას ნიშნავს ვახუშტისეული ფრაზა: „მისცა საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხუმისა იყო“? ჩვენი აზრით, ამას ეხმიანება ვახუშტისვე ცნობა, რომ „აფხაზთა მეფის ლეონიგან განიყო (აფხაზეთი – ა.ჩ) და ცხომის ერისთავი სხუა, ბედიის სხუა, აფხაზთა სხუა, თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანიისა ოდიშისა დადიანი, და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა“.<sup>11</sup> კონკრეტული ცნობის მიხედვით, ჩვენ ვიზიარებთ მიხეილ ბახტაძის მოსაზრებას, რომ შესაძლებელია დადიანები ფლობდნენ ცხუმის საერისთავოს და რუსუდანიის მეფობისას კი დაკარგეს.<sup>12</sup> ზემოთ მოყვანილი ცნობა ჩვენ გვესმის შემდეგნაირად, თამარის მეფობის გარკვეულ პერიოდში, ოდიშს და ცხუმს სხვადასხვა ერისთავი განაგებს, როგორც წყაროებიდან ჩანს, ოდიშს – დადიანი (ბედიანი), ცხუმს – ამანელისძე.<sup>13</sup> შემდგომ ეტაპზე, ცხუმი დადიანებს უნდა გადასცემოდათ, რუსუდანიის დროს კი კვლავ ჩამორთვათ.

რა გვადლევს ამის ვარაუდის საფუძველს, გარდა ზემოთხსენებული კონკრეტული ცნობისა?

„ისტორიანი და აზმანში“ გიორგი რუსის ამბოხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთაქათ პატრონი ორბეთისა და კენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებასა . . . წარვიდა და მოვიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი (ხაზი ჩვენია – ა.ჩ.)“.<sup>14</sup> ვარდან დადიანმა, რომელიც სავარაუდოდ დასავლეთ საქართველოს ამირსპასალარი იყო,<sup>15</sup> შეკრიბა იქაური ლაშქარი და ჩამოთვლილია დასავლეთის ყველა საერისთავო, გარდა ცხუმისა (არადა ცოტა ხნით ადრე ცხუმის ერისთავი თამარის მეფედ კურთხევისას ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა), რაც ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ ცხუმი, გიორგი რუსის პირველი ამბოხის დროისთვის (დაახლოებით 1187 წელი) ოდიშის შემადგენლობაშია მოქცეული, რასაც ოდიშის მიმართ ფორმა „საეგროის“ გამოყენება გვაგვარაუდებინებს, რადგან ეგროსის წილი კლისურამდე სწორედ ცხუმის საერისთავოს ნაწილსაც მოიცავს. ასევე, ხომ არ შეიძლება

<sup>11</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 780.

<sup>12</sup> მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 246.

<sup>13</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 172; ილ. ანთელავა. XI-XIV საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 33-34.

<sup>14</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. რედაქტორი როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 422.

<sup>15</sup> მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 240.



ვივარაუდოთ, რომ ცხუმი ვარდან დადიანს გადასცემოდა საკარგავად, როგორც მსახურთუხუცესს?

**„შემდგომად რუსუდანისა ოდიშისა დადიანი, და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა“.**

თამარის მეფობისას გადაცემულ ცხუმის საერისთავოს დადიანები რუსუდანის დროს კარგავენ. რას უნდა გამოეწვია ეს ცვლილება?

ამ დროისთვის პოლიტიკური მდგომარეობა შემდეგია: ჯალალ ელ-დინის და მონღოლთა ლაშქრობები – რუსუდანის მიერ თბილისის დატოვება და დასავლეთ საქართველოში გადასვლა – რუსუდანის მიერ თითქმის რეგულაციური ვერცხლის სამონეტო რეფორმა.

რუსუდანის სამონეტო რეფორმით ახალი ეტაპი იწყება ქართულ სივრცეში: 1. შეწყდა ე.წ. უწესოდ მოჭრილი ემისიები და 2. „ვერცხლის კრიზისის“ შემდეგ კვლავ იჭრება ვერცხლის ფული.

### 1) რუსუდანის ვერცხლის მონეტა. წონა 2,35 – 2,70 გრამი.

**შუბლი:** *ქრისტეს წელზევით შარავანდედიანი გამოსახულების ირგვლივ რკალი, რომლის გარეთ ასომთავრული ზედწერილია: „სახელითა ღვთისათა იჭედა ქორონიკონსა 450“ (= 1230).*

**ზურგი:** *რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში, რომელიც მოკვავონებს თამარ მეფის 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ამოკვეთილ ნიშანს, ჩაწერილია ასომთავრული – რსნ – ე.ი. „რუსუდანი“.*

### 2) რუსუდანის ვერცხლი. წონა 2,50 გრამი.

**შუბლი:** *„სახელითა ღვთისათა ჭედაი ვერცხლი ქორონიკონსა 450, (=1230).*

**ზურგი:** *„სრული დაწერილობით რუსუდან“.<sup>16</sup>*

რუსუდანის აღნიშნული ემისიები ნიკიფორე III ბოტანიატეს მონეტის აშკარა ტიპოლოგიაა. XIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში სამონეტო პროდუქცია ძირითადად ვერცხლია, ხოლო სასისხლო სიგელებში ნახსენები „ცხუმური თეთრი“ 1261 წლისათვის ძველია, თეთრი აქ საანგარიშო ერთეულია, თ. დუნდუას აზრით, „ცხუმური თეთრი“ = ბოტინატურს, ანუ „ცხუმუ-

<sup>16</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწილი I. თბ. 2006, გვ. 223-225.

რი თეთრი“ = რუსუდანის მონეტას, ანუ რუსუდანი აღნიშნულ ფულს სავა-  
რაულოდ ცხუმში ჭრის.<sup>17</sup>

1230 წლისთვის თბილისი ოკუპირებულია, კონკრეტულ ემისიებს და-  
სავლეთ საქართველოში გახიზნული რუსუდანი ახორციელებს, რომელიც გე-  
გუთის სასახლეში იმყოფება, ანუ ქუთაისში. მაშინ რატომ ჭრის მონეტას  
ცხუმში?

1. ეს შეიძლება უსაფრთხოებისა და თავდაცვის გაძლიერებული ზომე-  
ბით იყოს ნაკარნახევი და 2. როგორც ვიცით, თამარ მეფე: „ზამთარს ღურს  
იყვის და ზაფხულს – კოლას და ცელის ტბასა, **ზოგჯერ გარდავისს აფხა-  
ზეთს: გეგუთს და ცხომს** (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.)“.<sup>18</sup> ანუ სამეფო რეზიდენცია  
გეგუთთან ერთად ცხუმშიც იყო, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ თბი-  
ლისიდან გახიზნულ რუსუდანს, რომელიც „**იყო რა ქუთაისს და ყოველსა  
აფხაზეთსა** (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.)“<sup>19</sup> ცხუმში მოეჭრა მონეტა.

ჩვენი აზრით, რუსუდანის მიერ ცხუმში მონეტების მოჭრას უნდა  
უკავშირდებოდეს ვახუშტის ფორმულა – „შემდგომად რუსუდანისა ოდიშისა  
დადიანი, და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა“, ანუ თამარის დროს  
დადიანებისათვის გადაცემული ცხომის საერისთავო რუსუდანის დროს სწო-  
რედ რომ სამონეტო საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა ჩამორთმეოდათ. აღ-  
დგა თუ არა ცხუმში ამანელისძეთა საგვარეულოს მმართველობა წყაროები-  
დან უცნობია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რუსუდანის ძეს – დავით ნარინს –  
ცოლად ჰყავდა თამარ ამანელისძე,<sup>20</sup> ანუ სამეფო სახლთან ამანელისძეთა სი-  
ახლოვე ამკარაა.

---

<sup>17</sup> თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლიცია და დასავლეთი ნუმიზმა-  
ტიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 158-159.

<sup>18</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 478.

<sup>19</sup> ჟამთააღმწერელი. თბ. 2008, გვ. 542.

<sup>20</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. რედაქტორი ნ. შოშიაშვილი. ტ. I.  
თბ. 1984, გვ. 161.

*Akaki Chikobava*

**ONE EPISODE FROM HISTORY OF ODISHI AND TSKHUMI  
SAERISTAVOS (DUKEDOMS)**

Summary


The Odishi Principality was formed on the territory of Odishi and Tskhumi saeristavos (dukedom). Initially those two administrative units existed separately. The Odishi eristavi (duke) annexed the Tskhumi saeristavo in the 14<sup>th</sup> c. It was confirmed by Giorgi V (1314-1346). The sources show that his decision was based on the fact that the Dadianis had had owned Tskhumi previously and they had been deprived of it later. Supposedly, the Dadianis got Tskhumi during the reign of Tamar (1184-1210) and lost it during the reign of Rusudan (1223-1245). The specific administrative change has to have some connection with the monetary reform conducted by Rusudan. Since 1226, when Tbilisi was occupied by Jalal ad-Din, Rusudan is in the Western Georgia, where she issued the silver coin in 1230. There exists a view-point that the terms “Botinaturi tetri” and “Tskhumuri tetri” are the synonyms, and they mean the 1230 coinage of Rusudan. Therefore, the deprivation of Tskhumi saeristavo from the Dadianis is to be connected with the issue of this coins in Tskhumi (i.e. administrative activity of queen in Tskhumi), and it happened in 1230.

ვლადიმერ კეკელია, ირმა ხოსიტაშვილი

## Jer. Geo.49 ხელნაწერის მინაწერები და ხანთუბისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალი

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი Jer. Geo.49 ეტრატზე შესრულებული ჯრუჭ-პარხლის რელაქციის ოთხთავია. ძირითადი ხელი XI საუკუნისაა.

214v-ზე ერთი ხელით ნუსხურით მიწერილია მოსახსენებლების რიგი. კოლოფონი პალეოგრაფიულად XVI საუკუნით თარიღდება.




- სვირიდონს შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ. თ(ან)ამეცხედრ(ე)სა მისსა თინათინს შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.
- ძეთა მ(ა)თთა ყ(ოველ)თ(ა)ვე შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.
- სვირიდონის ძმ(ა)სა აბდულმესხ ყოფილსა აპრონს შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.

- მისსა მეულლეყოფილსა გაანს შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.
- მ(ა)თსა ძესა აჯაფბერს და მისსა მეულლ(ე)სა ბურღუხანს შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.
- მიძნადორისა წინამძღუარსა ხანთუბისძეს ზოსიმეს შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ, მისთა მიცვ(ა)ლ(ე)ბ(უ)ლთა ყ(ოველ)თ(ა)ვე შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.
- მისსა ბერსა ბ(ა)რთლომეს და მისთა დედა-მ(ა)მ(ა)თა შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ, / და მისთა ძმ(ა)თაცა შ(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ.

მოცემულ ტექსტში მოსახსენებელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯგუფში სფირილონი და მისი ნათესავები მოიხსენებიან, ხოლო მეორე ჯგუფის მოსახსენებლები წინამძღვარ ზოსიმეს, ზოსიმეს ბერსა და მათ ნათესავებს ეკუთვნით.

ჩვენი ყურადღება მეორე ჯგუფის მოსახსენებლებმა მიიქცია. ამ მინაწერების თანახმად ზოსიმე ხანთუბისძე მიძნადორის წინამძღვარია.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იერუსალიმური წარმომავლობის XVI საუკუნის ხელნაწერზე (H-2338-თვენი), 2r-ზე, მხედრულით მიწერილია ამეტობით შესრულებული მიძნადორის წინამძღვარ ზოსიმეს მოსახსენებელი:



„სულ<ა>სა მიძნადორისა წინამძღუარი<ა>სა ზოსიმესა შეუნ<ა>დ<ა>ნეს<ა> ღმერთ<ა>თ<ა>მა[ნ]“<sup>1</sup>


საინტერესოა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კიდევ ერთ ხელნაწერზე (H-2211-დიდი სვინაქსარი), 49v-ზე, არსებული მიძნადორის წინამძღვარ ხანთუბიდის ასევე ამეტობით შესრულებული მხედრული მოსახსენებელი. თავად ხელნაწერი XI საუკუნისაა, ხოლო მინაწერი XVI საუკუნის ხელით არის შესრულებული. ხელნაწერის აღწერილობაში მოსახსენებელი ასე არის ამოკითხული:

„სულსა მიძნადორისა წინამძღვარსა კანთუმიძეს შეუნდნეს ღმერთმან

<sup>1</sup> H ფონდის აღწერილობაში მოსახსენებელი მოტანილია ამეტობის გარეშე: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია). ტ. V. თბ. 1949, გვ. 233.

და დღა...“<sup>2</sup>

უშუალოდ ორიგინალზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოსახსენებელში წინამძღვრის გვარი იკითხება როგორც კანთუბიძე და არა კანთუმიძე. ამავე დროულად, შესაძლებელია აღდგეს მოსახსენებლის მეორე, ჩამოჭრილი სტრიქონის სიტყვა, სადაც სახელი – ზოსიმე იკითხება: პირველი ასოს მოხრილი ზედა ნაწილი ასო **ზ**-ს თავია, ხოლო მისგან წამოსული განივი ხაზით, ისევე როგორც H-2338 *ზოსიმე*. შემდეგი ნიშანი **ს**-ს ზედა ნაწილია, რომელიც ამავე მინაწერის პირველი სტრიქონის **ს**-ს ანალოგიურია. შემდეგი ასოა **მ** და ისევე **ს**. მოსახსენებლის საბოლოო სახე ასეთია:



„ქ. სულსა მიძნ(ა)ძორისა წინ(ა)მძღვარ(ი) <ა>სა კანთუბიძეს [ზოსიმეს] შეუწინდეს <ა> ღმ(ე)რ(თ)მ(ა)ნ <ა> და დღა...“

ჩვენი აზრით, Jer. Geo.49 ზოსიმე მიძნაძორელი – ხანთუბისძე, H-2338 ხელნაწერის ზოსიმე მიძნაძორელი და H-2211 ხელნაწერის ზოსიმე მიძნაძორელი – ხანთუბიძე ერთი და იგივე პირია.<sup>3</sup> ამას, სახელის გარდა, გვაფიქრებინებს მოსახსენებლების ჩაწერის დრო, კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლოფონები XVI საუკუნის კალიგრაფიული ხელით არის შესრულებული. უფრო კონკრეტულად, მოსახსენებლები XVI საუკუნის I ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან XVI საუკუნეების შუა ხანებიდან მიძნაძორში სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. ამას მიძნაძორის მონასტრის სულთა მატეიანეც ადასტურებს.<sup>4</sup> ძნელი სათქმელია, ზოსიმე თავად იყო იერუსალიმში და მოსახსენებლები Jer. Geo.49 და H-2338 ხელნაწერებზე ჩაწერა თუ ეს ბერმა ბართლომემ ან რომელიმე სხვა პირმა გააკეთა. უფრო რთულად არის საქმე H-2211 ხელნაწერთან დაკავშირებით. ამ ხელნაწერის ისტორია მისი გადაწერის შემდგომ დაზუსტებით ცნობილი არ არის. ძნელი სათქმელია, თუ სად შეიძლებოდა ენახა ხელნაწერი ზოსიმეს ან იმ პირს, რომელმაც ზედ

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია). ტ. V, გვ. 151.

<sup>3</sup> H-2211 და H-2338 ხელნაწერების მიძნაძორელებს სხვადასხვა პირად მიიჩნევდა ღ. მენაბდე; ღ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. ნაკვეთი მეორე. თბ. 1962, გვ. 430.

<sup>4</sup> ღ. კლდიაშვილი. მიძნაძორის მონასტრის სულთა მატეიანე. კრ. „მრავალთავი“. XXI. თბ. 2005, გვ. 293-305.

კოლოფონი ჩაწერა. თავად ზოსიმე მიძნაძორის სულთა მატთანეში მოხსენიებული არ არის, რაც მონასტრის ისტორიის შესასწავლად ზემომოყვანილი მინაწერების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის<sup>5</sup>. როგორც ჩანს, ხანთუბიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები აქტიურ საეკლესიო მოღვაწეობას ეწეოდნენ. XVI საუკუნის A-503 ხელნაწერი, რიგის სახარება, გადაწერილია იორდანე გრიგოლის ძე ხანთუბიძის მიერ (301v-302r). ხელნაწერის 302v-ზე ჩაწერილია წინამძღვარ იოსებ ხანთუბიძის ვრცელი საოჯახო მოსახსენებელი:

*„ს(უ)ლსა კანთუბიძესა, წინამძღუარსა იოსებს, შ(ე)უნ(დო)ს ღ(მერ-  
თმა)ნ, ა(მი)ნ. და მისსა ძმისწულსა / გრიგოლს და მისსა მეუღლესა შე-  
ნიერსა შ(ე)უნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ. და ძესა მათსა, ცოდვილსა იორდანეს  
შ(ე)უნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ და მათსა ნათესავსა<ღ> / გაბრიელს შ(ე)უნ(დო)ს,  
ა(მი)ნ, ა(მი)ნ, ა(მი)ნ, კ(ირილე)ს(ო)ნ, კ(ირილე)ს(ო)ნ, კ(ირილე)ს(ო)ნ“<sup>6</sup>*

კოლოფონიდან ჩანს, რომ ხელნაწერის გადამწერი და მიძნაძორის მონასტრის წინამძღვარი ახლო ნათესავები არიან. შუა საუკუნეების საქართველოში ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი გვარის წარმომადგენლების რამდენიმე თაობა ერთსა და იმავე ეკლესია-მონასტრებში მოღვაწეობდნენ. თუ გავითვალისწინებთ Jer. Geo.49, H-2338 და H-2211 ხელნაწერთა მინაწერების ცნობებს, რომლებიც ზოსიმე ხანთუბიძეს მიძნაძორთან აკავშირებენ, საფუძველსმოკლებული არ იქნება, რომ იოსებ და იორდანე ხანთუბიძეებიც მიძნაძორთან იყვნენ დაკავშირებულნი. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, A-503 ხელნაწერი მიძნაძორულად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, მიძნაძორის მონასტერში, XVI საუკუნის პირველ ნახევარში მის საბოლოო მოსპობამდე, აქტიური სამწერლობო საქმიანობა იყო გაჩაღებული.

ამრიგად, Jer. Geo.49 ხელნაწერის მინაწერები აზუსტებს ხანთუბისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობის გეოგრაფიულ არეალს და XVI საუკუნეში მიძნაძორის სასულიერო კერის ისტორიის შესასწავლად საინტერესო მასალას წარმოადგენს.

<sup>5</sup> მიძნაძორის მონასტრის სულთა მატთანე გამოხატვამდე მომზადებული აქვს ქ-ნ დარეჯან კლდიაშვილს, მან საშუალება მოგვცა სინოდის იკონიში გადაგვემოწმებინა ზოსიმე მიძნაძორელის სახელი, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

<sup>6</sup> სხვა გამოცემა იხ: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია). ტ II-თბ. 2004, გვ. 8.

*Vladimer Kekelia, Irma Khositashvili*

**COLOPHONS TO THE MANUSCRIPT JER. GEO. 49 AND THE  
GEOGRAPHIC AREA OF THE ACTIVITY OF THE  
KHANTUBISDZE/KHANTUMISDZE HOUSE**

Summary

In this article we have reviewed the colophons written on 214v in the manuscript Jer. Geo. 49, which is kept at the Library of Greek patriarchate in Jerusalem. The colophon mentions the abbot of Midznadzori monastery Zosime Khantubisdze. We compared above mentioned colophon to the colophons of the manuscripts H-2338 and H-2211 kept at the National Centre of Manuscripts and have concluded that the same person is mentioned in these texts. The colophons are written in the first half of the 16th century. It seems that Kantubisdze family members had quite alive ecclesiastical life in the same period of time. In the same century was copied manuscript A - 503 (kept at the National Centre of Manuscripts) by Jordan Khantubisdze, son of Gregory. In the manuscript A - 503 on the 302v there is written extensive colophon by Josef Khantubisdze, abbot of Midznadzori monastery, regarding to his family. We consider that representatives of the family of Khantubisdze mentioned in the manuscript A - 503 are connected to Midznadzori centre.

Colophons of the manuscript Jer. Geo. 49 determine the Geographical area of the activity of the Khantubisdze house and give us interesting materials for researching the history of spiritual-cultural site of Midznadzori in the 16<sup>th</sup> century.



*ნიკოლოზ ჟღერტი*

## მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა<sup>1</sup> (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია)

საბუთის დედანი დაკარგულია. გვაქვს: 1) დედნის XIX ს-ის ანოტაცია<sup>2</sup> (ა); 2) ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული 1484-1491 წწ-ის პირი 608<sup>3</sup> (K); 3) 1806 წ-ის პირის ს. კაკაბაძისეული გამოცემა<sup>4</sup> (კ); 4) პეტერბურგის აზიური მუზეუმის 1840 წ-ის პირი (პ).<sup>5</sup>

შემორჩენილ პირთაგან ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე სანდოდ 608 პირი მიმაჩნია.<sup>6</sup>

პირის აღწერილობა: ეტრატი; გრაგნილი; შედგება ექვსი კეფისგან; ზომები: 130,5X17,5 სმ.; ტექსტი შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; ყოველი კეფის კიდის გაყოლებაზე აღინიშნება მცირე ზომის ნასვრეტები, სავარაუდოდ, სტრიქონების დახაზვის დროს წარმოშობილი.

ქვემოთ მოყვანილი საბუთის სრული დედნიეული ტექსტის მიახლოებით დადგენისას ვეყრდნობოდი სწორედ ამ პირის მონაცემებს, საკონტროლოდ კი ვიყენებდი საბუთის დაკარგული დედნის ანოტაციას, ზაქარია არქიმანდრიტის 1806 წ-ის პირის ს. კაკაბაძისეულ პუბლიკაციას, პეტერბურგის აზიური მუზეუმის 1840 წ-ის პირის ტექსტს, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრ-

<sup>1</sup> დათარიღება ჩემია. იხ. ნ. ჟღერტი. მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. შურონ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა“. №XII. თბ. 2010, გვ. 144-155.

<sup>2</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი №1451. საქმე №16, გვ. 436-439.

<sup>3</sup> ქუთაისის ისტორიული მუზეუმი. სიგელი K608.

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე. ბაგრატ, უცნობი მე-XIV საუკუნის რაჭა-არგვეთის მფლობელი. ტფ. 1913.

<sup>5</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ო. სოსელიას პირადი არქივი.

<sup>6</sup> საბუთის შემორჩენილი პირების, სამეცნიერო გამოცემების და დაკარგული დედნის XIX ს-ის უცნობი ანოტაციის შესახებ ჩემი ვრცელი გამოკვლევა უახლოეს მომავალში დაიბეჭდება კრებულში „საქართველო და ქრისტიანობა“.

ში, ო. სოსელიას პირად არქივშია დაცული.<sup>7</sup>

თქუენ, წმიდაო გ(იორ)გი მ[თისა] მთავარმოწაქმეო! რაგუარაც დავით აღმაშენებლისა <sup>3</sup> და ძისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული <sup>4</sup> ყოფილიყო და [ი]ყო, ჩუენ, მეფეთმეფემაქნ, ორთავე საჯელმწიფოთა, ლიხთ-იმერისა და <sup>5</sup> ლიხთ-ამერისა თუთ ფლობით მპყრ<sup>7</sup>ობელმან, პირმშომან ბაგრატ და თანა<sup>8</sup>მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა<sup>9</sup>დედოფალმან ელენე და ძეთა ჩუენტა <sup>10</sup> გ(იორ)გი და ალექსანდრე, ვიგულვეთ თქუენი<sup>11</sup>სა ძალმწეობისა მომართ და ვიგუ<sup>12</sup>ლსმოდგინეთ და ჯელვყავით ახლად <sup>13</sup> აღშენებად და შეპკობად ტადარსა შენსა <sup>14</sup> და გარდავკედეთ ზეით ტყუივითა და <sup>15</sup> სპილენძითა და მოვკედნეთ ხატნი წმი<sup>16</sup>დის გ(იორ)გისანი და წმიდისა მარინასნი და სხუა<sup>17</sup>ნი ძველნი ბნელნი ხატნი გავაახლენით <sup>18</sup> და შევკვახმენით, კარნი ავაბენ და მოუჭედ<sup>19</sup>ენ და კლიტენი მოუწყუენ და დავა<sup>20</sup>მაგრენ და ახლად დაუმტკიცენ და შემო<sup>21</sup>კსწირენ მამულნი და გლეხნი:

სახადს <sup>22</sup> აგარა, მათითა სახლი-კარითა, სასაფლა<sup>23</sup>ოთა, წყლითა, წისქვილითა, ჭალი<sup>24</sup>თა, სათიბითა, საყანითა, ტყითა, ველითა, <sup>25</sup> მზღურითა სამართლიანითა უცილებელად, <sup>26</sup> უცვალებელად, უცვალებელად, შეუც<sup>27</sup>ვალბლად.

შაორი, ვითა ძველთაგან <sup>28</sup> შაორისა მთავარმოწაქმე იქ სვენებუ<sup>29</sup>ლიყო. დიდი სოფელი ყოფილიყო შაო<sup>30</sup>რი და აონრებულიყო ჟამისა გამოსრ<sup>31</sup>ულობისათვის. და აწ, ახლად ჯელუყაუი<sup>32</sup>თ აღშენებად და კაცის დასახლებად და სო<sup>33</sup>ფელი შევკქმენი.

აწ ახლად შემოგწირეთ და <sup>34</sup> დაგიმკუიდრეთ დვალთ სამარხსა და შარეუ<sup>35</sup>ლას შუ[ა]წყალსა გამოღმა და გაღმა, და სა<sup>36</sup>წალიკეს აქეთი, ასრე

<sup>7</sup> ასევე გვაქვს XIX ს-ის ორი პირი, იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd ფონდი, Sd-2898 და Sd-2899. ამ პირების ტექსტი შემოკლებით გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ. იხ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიამ. ტ. II (1213 წლიდან 1700 წლამდე). ტფ. 1897, გვ. 307-309. საბუთის დედნისეული სრული ტექსტის მიახლოებით დადგენისას მიზანშეწონილად არ ჩავთვალე Sd-2898 და Sd-2899 პირების გამოყენება, რადგან მათში არსებული ტექსტი ძალიან დამახინჯებულია და მრავალი შეცდომით ძალზე განსხვავდება ყველა დანარჩენი პირისგან. დედნისეული ტექსტის დადგენას 1924 წ-ის პუბლიკაციით შეეცადა ს. კაკაბაძე. იხ. ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. ჟურნ.: „საისტორიო მთამბე“. 1924. №2, გვ. 247-252. თუმცა, მას არ გააჩნდა დაკარგული დედნის XIX ს-ის ზემოსხენებელი ანოტაცია, რის გამოც, მის მიერ დადგენილი საბუთის ტექსტი თავიდან გადახედვას საჭიროებს, რაც წარმოადგენს ჩემი ნაშრომის მთავარ მიზანს.

რომე, თუ არა მეფემან <sup>37</sup> და მებართლომემან, ვერავინ იკადროს ნად<sup>38</sup>ირობად ჭალათა, და ვერცა სათიბთა თიბუ<sup>39</sup>ა, და ვერცა წყლისა და თევზთა ნადირობა.

ას<sup>40</sup>რე მკუიდრად და უსარჩლავად დაგუიმტკი<sup>41</sup>ცებია [შაორს მსხლომნი] კაცნი სა[მნი]: ს<sup>42</sup>ულაძე, გუენცაძე და ფაქიოტიძენი – ყუ<sup>43</sup>ელანი მ{ა}თითა მზღურითა სამართლიანითა <sup>44</sup> საწლ-კარითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, წისქუი<sup>45</sup>ლითა, ჭალითა, სა[თ]იბითა, ტყითა და ველი[თა], <sup>46</sup> მზღურითა სამართლიანითა ყოველთა. ასე და <sup>47</sup> ამა პირსა ზედან, რომე გარაყანბისა გუა<sup>48</sup>რსა კაცსა არავისრა ჯელი შეუვიდოდ<sup>49</sup>ეს, არცარა საქმე დაიდვას.

თხმორი, ვითა ძვე<sup>50</sup>ლთაგანც ყოფილა, მისითა მიმდგომითა მ<sup>51</sup>ზღურითა სამართლიანითა.

ძმუისი ცხრათავით[ა], <sup>52</sup> ძველთაგან ყოფილიყო მისითა მიმდგომითა <sup>53</sup> მზღურითა სამართლიანითა.

კაციეთს მსხლომნი <sup>54</sup> ბულუშაძენი და ზაქარიადენი, მათითა მიმდგო<sup>55</sup>მითა მზღურითა სამართლიანითა, და შემოგწ<sup>56</sup>ირეთ კაციეთის ადგილი სრულიად სომეეთის <sup>57</sup> ჭალას აქეთ, და ზემო კერძო საზღვარს <sup>58</sup> ქვაყუნტა წოდებული ადგილი, ზენათ <sup>59</sup> შუა ველიეთის მინდორს აქეთ და ს[ო]მ[ყე]<sup>60</sup>თის ჭალას აქეთ. ამ სამზღურებს შუა შემო<sup>61</sup>მიწირავს ყოვლის კაცის უცილებლად. <sup>62</sup>

წყნორს მითათაშუილები და ჭლიკაძენი <sup>63</sup> და აგარა, რომე სასახლედ ქონებია მებარ<sup>64</sup>თლომესი. მას აქეთი მიძო და სოფელნი, <sup>65</sup> გლეხნი:

ჭაშლთას ჭუნჭულაძენი, ქოთბოძიძე, <sup>66</sup> მათი მიმდგომითა სამართლიანითა. ასე და ამა <sup>67</sup> პირსა ზედან, რომე ინასარიძემან გვარმან <sup>68</sup> ამას ზედან არა საქმე დაიდვას.

ბობოს <sup>69</sup> ერაძენი, სრულიად მათითა წისქუილითა, <sup>70</sup> წყლითა, ვენახითა, ტყითა და ველითა, მზღური<sup>71</sup>თა, და როგორათაც პირველად, ასე და ამას პირსა <sup>72</sup> ზედან ღაღანიძემან და ძაგანისშვილთა მომა<sup>73</sup>ვალთა საქმე ვერა დაიდვას.

ფონას [ნოზიგბეძე] <sup>74</sup> მათით[ა] მზღურითა სამართლიანითა, ამა პირსა <sup>75</sup> ზედან სურამი ვისი გინდა იყოს, მებართლ<sup>76</sup>ომეს მეტსა კაცსა ხელი არავის შეუვი<sup>77</sup>დოდეს არა[ვის] [ა]რა.

ესე წმიდისა გ(იორ)გი მ<sup>78</sup>თისა მთავარმოწამელი! ჩუენ, მეფეთა-მე<sup>79</sup>ფემან ბაგრატ, ვითარ პირველთაგა<sup>80</sup>ნ პაპათა ჩუენტაგან შემოწირული

და <sup>81</sup> განჩენილი იყო, აწ ჩუენ ახლად დაგიმ<sup>82</sup>ტკიცეთ და შემოგწირეთ ჩუენად სადიდებ<sup>83</sup>ლად და ჩუენისა მეფობისა წარსამა{რ}თებე<sup>84</sup>ლად.

აწ ვითა არა კადრებულ არს, ვერე{თ}|<sup>85</sup>ვე ნუმცა ვის მოუგონია და უკადრებია. <sup>86</sup> და თუ ვინმე ავაზაკმა კაცმან გვამად მთი<sup>87</sup>სა მთავარმოწამე ხატი ჳელყოს გატეხა<sup>88</sup>დ, მისი სახსარი სხვა არა იქმნების—ძელს აც<sup>89</sup>ვან. მის აქეთ ვინც შეცოდებით შეს{ც}ო<sup>90</sup>დოს, ან ჯოგი წაუსხას და ან მოპაროს, [მი]<sup>91</sup>სი შემოქცეს, და საუბატიო კაცი გა<sup>92</sup>ემარტოს და გაუუბატიოს საუპა{ტიო}<sup>93</sup>თ მისდა შეცოდებისა. წმიდისა გ(იორ)გის შეცო<sup>94</sup>დე[ბა] იქნება: ასი ათასი ძველი თეთრი დაეურვო<sup>95</sup>ს, [ვი]საც წმიდის გ(იორ)გის მამულის შვილი შე<sup>96</sup>აკუდეს, გინდა უზედაესსა და გინდა უქვედაეს[სა], ესე <sup>97</sup> ჩუენთაგან განჩენილი აბჯრიან-გაზრდი<sup>98</sup>ლიანსა—ასსამოცი ათასი თეთრი დაეურვოს, <sup>99</sup> სანახშირო—ორი ათასი თეთრი დაეურვო<sup>100</sup>ს და მას ქვეშემან—ასი ათასი თეთრი სის|<sup>101</sup>ხლი დაეურვოს და სანახშიროთ—ათასი თეთრ<sup>102</sup>ი გერში დადი. ცოლის წახთენა და წაღება <sup>103</sup> და ქალის დაგდება ვინც ყოს, ამან სიგელმა<sup>104</sup>ნ და მონასტერმან სამართლიანითა ასი ათა<sup>105</sup>სი თეთრი დაეურვოს.

აწ<ე> ჩუენ, მეფეთა მე<sup>106</sup>ფის ბაგრატის დამტკიცებელი ესე შეწი<sup>107</sup>რულობის წიგნი ესე ვინც ნახოთ შე<sup>108</sup>მდგომად ჩუენსა მომავალთა მეფემან ან[უ] დე<sup>109</sup>ლოფალმან, კარისა თქუენისა ვაზირთა, მეჭურ<sup>110</sup>ჭლეთა, დიდებულთა, ერისთაუთა ციხე-ქვეყა<sup>111</sup>ნათა ხელსა ქუეშე მპყრობელთა, მოურაუთა <sup>112</sup> და ყოველთაუე და დიდთა და მცირეთა, თქ|(ვ)<sup>113</sup>ვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით და <sup>114</sup> [ნურცა რას დააკლებთ, ნუ დიდთა და ნუ] მცირეთა თუ{ი}ნიერ თანადგომისა და შეწვევის<sup>115</sup>ა.

აწ, ვინც ხელყოს ამისდა შლად და <sup>116</sup> ქცევად, კრულიცა არის პირველად დაუსა<sup>117</sup>ბამოსა ღ(მრ)თის პირითა და უფროსად კურთხე<sup>118</sup>ულ დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თისშობე<sup>119</sup>ლისა, მარადის ქალწულისა მარიამისა, მად<sup>120</sup>ლითა და პატიოსნისა ჯუარის მადლითა და <sup>121</sup> წმიდათა მოციქულთა და ათორმეტთა სამო<sup>122</sup>ციქულთა საყდართა და მოსაყ{დ}რეთა მად<sup>123</sup>ლითა [შვიდთა კრებათა მადლითა, ექმნების მას კეთრი გეზისი, ძრწონა კაენისა, მოშობა გმირთა, დაწვა და რისხვა სოლომელთა, დანთქმა დათან და აბირონისი, გვემა მეგვიპტელთა, შიშოუილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი და ყოველთა მგმობართა თანამც არს ნაწილი და სამკჯდრებელი მისი და ვინცა ვინ მტკიცედ იპყრას, ღ(მერთმა)ნ აკურთხენ და წ(მიდა)მან კათოლიკე და სამოციქულომან საყდარმან] და წმი-

ღამან მლუღელთმოდლუარ<sup>124</sup>მან ნიკოლაოს, ამინ. <sup>125</sup>

(მეფე ბაგრატის ხელრთვა)

ქ. ჩუენ, მეფეთა მეფემან ალექ<sup>126</sup>სანდრე და თანამეცხედრემან ||<sup>127</sup> ჩუენმან დელო<გ>ფ{ა}ლთა-დელოფ{ა}ლმა<sup>128</sup>ნ თამარ და ძემან ჩუენმან <sup>129</sup> ბაგრატ და ვახტანგ ესე წი<sup>130</sup>გნი მოგახსენ{ეტ}თ თქუენ მთ<ი>ის <sup>131</sup> მთავარმოწამეს წმიდას გ(იორ)გის <sup>132</sup> ასრე და ამა პირსა ზელა რაც ა<sup>133</sup>მას ზემო სიმაგრე სწერია ჩუენ<sup>134</sup>ც ამის გამთავებელი ვართ, <sup>135</sup> ნებითა ღ(მრ)თისათა და ანუ ვინც ჯო<sup>136</sup>გი გატეხოს წმიდის გ(იორ)გის <sup>137</sup> შეცოდებით გარდახდეს. <sup>138</sup>

(მეფე ალექსანდრეს და დედოფალ თამარის ხელრთვა)

ქ. ნებითა ღ(მრ)თისა[თა], ჩუენ მეფეთა <sup>139</sup> მეფემან კოსტანტინე და თანამე<sup>140</sup>ცხედრ{ემან} ჩუენმან დედოფალთა <sup>141</sup> დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა <sup>142</sup> პირშომან დავით, გ(იორ)გი და ბაგრა<sup>143</sup>ტ<ი>, ესე ახლ{ა}დ მტკიცე და უცუალეზე<sup>144</sup>ლი ნიშანი მოგახსენეთ თქუენ, მთისა <sup>145</sup> მთავარმოწამეს წმიდასა გ(იორ)გის, <sup>146</sup> მას ჟამსა ოდეს მოკითხული ვქენ<sup>147</sup>ით და ძუელითგან ულაყის გამოლება არ <sup>148</sup> გჭირვებოდა. აწ, ახლად ჩუენცა უ<sup>149</sup>ლაყი ამოუკუეთეთ ასრე და ამა პირსა ზე<sup>150</sup>დან, რომე გიორგობას დღესა ორი[თ] <sup>151</sup> ხუციითა, ორით ცხურითა, თქუენით პურ<sup>152</sup>ლუი{ნი}თა ალაპს გარდინდიდეთ, ნებითა ღ(მრ)თისა<sup>153</sup>თა ჩუენად სადღეგრძელოდ, გასამარჯვე<sup>154</sup>ებელად და საუკუნედ შემწედ.

აწ, ვი<sup>155</sup>ნცა ესე ჩუენი ნიშანი მოშალოს, ჩუენ<sup>156</sup>ისამცა ცოდვის სანაც{კ}ლოდ განიკითხვის <sup>157</sup> მას დიდსა დღესა განკითხვისასა, და დამა<sup>158</sup>მტკიცებელნი აკურთხნეს ღმერთმა<sup>159</sup>ნ.

გქონდეს ნიშანი ესე და არაო<sup>160</sup>დეს მოგეშალოს. რაგინდარა <sup>161</sup> დაჭირება იყოს, თქუენ ულაყი ა<sup>162</sup>რაგინ გთხოვოს.

დაიწერა ნიშანი <sup>163</sup> ესე ქ(ორონი)კ(ო)ნს როთ, თვესა აგვისტოსა<sup>164</sup>სა კ, ჴელითა კარის ჩუენისა მწიგნ<sup>165</sup>ობარ-მუშრობის და მესტუ{მრის} თავ[ა]<sup>166</sup>ქალა შვილისა სადათიერისათა. <sup>167</sup>

(მეფე კოსტანტინეს და დედოფალი თამარის ხელრთვა)

კითხვა-სხვაობანი

2 როგორათაც კ, რაგუარათაც პ; აღმამწენებლისა , აღმამწენებლისა კ, პ.

3. დიმიტრისაგან კ. პ. 4. ისევე პ. 5 სახელმწიფოთა კ. პ; ლიხთიმერსა კ. 6 თუით . 7 და პ. 9 დელუფალთა დელუფალმან კ. 10 ვიგულეთ პ. 11 ვიგულსმოდგინეთ კ. 13 აღშენება კ; ტაძრისა შენისა პ. 14 გარდავაჭედინეთ კ. პ; ტყვევითა კ, ტყვევითა პ. 17 ს[ა]ხნელნი კ, [სა]ხნელნი პ; განვაახლენი პ. 27 თანმიმდევრობა არეულია კ ნუსხაში; შავორი ; ძუელთაგან კ, პ. 28 შავორისა ; იქი . 30 გაოხრებულები კ, პ. 31 გარდასრულობისათვის კ, გარდამოსრულობისათვის პ; აწი . 32 ხელვყავ კ, ხელვყავ პ; კაცთა კ, პ. 33 შევქენი , შაორი კ, პ; შემოგწირე . 34 დაგიმკვიდრეთ პ; დავალთ . 35 შარეულ , შარაულას კ, პ. 36 აქათი ; ასე კ. 39 თიბვა კ; წყალსა კ. 40 ასე კ, პ. 41 აზნაური (გაურკვეველი სიტყვა) შვილი ; შავრს მსხდომნი კ, პ. 42 გვენცაძე კ. 46 ყველათა კ, პ. 51 მთის ცხრათავითა ა. 56 სამყეთი . 57 აქათ , პ. 59 აქათ . 60 სამყეთი . 62 მითათა შვილები . 63 იქმნება პ. 64 აქათი . 65 ჭაშლეთს კ; ჭუჭულაძენი კ, ჭუსჭულაძენი პ; ქობობენი . 68 „ამას,, ორჯერ მეორდება . 71 როროთაც . 72 მაგანის შვილთა . 73 ნოზბეგანიძე კ, პ; ცარიელი ადგილი . 76 არა აქუს და პ. 83 ჩუენდა სადიდებელად პ. 91 „მისი,, ორჯერ მეორდება . 123 საბუთის კრულობითი ნაწილის ეს დიდი მონაკვეთი გამოტოვებულია . 138 ღთისა . 144 უცილებელი პ.

### საკლასიფიკაციო სქემა

შეწირულობის განახლების წიგნი ბაგრატ მეფისა

შესავალი

საბუთი იწყება არა დიდი და ღრმა თეოლოგიური ტექსტით, რაც ძირითადად შეწირულობის აქტებს ახასიათებს,<sup>8</sup> განსაკუთრებით კი XV ს-ის საბუთებს, არამედ მიმართვით მთის წმ. გიორგის ხატისადმი<sup>9</sup>.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. IX. თბ. 1996, გვ. 451-457; მ. ბერძინიშვილი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან („სიგლის თავი“ XI-XV საუკუნეებში). შურნ.: ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. V. თბ. 1978, გვ. 50-59.

<sup>9</sup> მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში დაკონკრეტებული არაა, ჩემი აზრით, საბუთის შინაარსიდან გამომდინარე, მეფე ბაგრატ I სწორედ მთის წმ. გიორგის ხატს მიმართავს და არა სალოცავს ან მონასტრის სამოსს. მსგავსი ანალოგიის მოყვანა შეიძლება მეფე ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) 1419-1420 წწ-ის შეწირულობის წიგნიდან, სადაც მეფე მიმართავს ღვთისმშობლის ხატებს („მეტეხთა, ხახულისა და ვარძიისა ღ(მრ)თისმშობელო...“), იხ. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები. წ. III. ტფ. 1913. გვ. 10-11.

### Arenga

ამას მოსდევს ე. წ. „ჯერჩინება“ (თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგიით Arenga), რაც წარმოგვიდგენს შემწირველის მიერ შეწირულობის გაცემის მორალურ და იურიდიულ მოტივებს.<sup>10</sup>

Arenga იწყება ამ მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის და მისი ძის, დემეტრეს, ამაგის ხსენებით, რასაც პირდაპირ მოსდევს წოდებულება-სახელდება (სტრ. 4-10),<sup>11</sup> ხოლო შემდეგ, შეწირულობათა ჩამონათვალამდე, კვლავ arenga გრძელდება, სადაც ახსნილია მიზეზი მონასტრის შემკობა-შეწირულობისა (სტრ. 10-20). შეწირულობათა ჩამონათვალის შემდეგ კვლავ arenga არის მოთავსებული (სტრ. 77-83).

Arenga-ში დავით აღმაშენებლისა და მისი ძის, დემეტრეს, ხსენება არაა შემთხვევითი. მ. სურგულაძის მიხედვით „წინაპარ მეფეთა მოტივი, რომელიც ყოველ განხილულ საბუთში მეორდება, უპირველესად გულისხმობს „მაშენებელ და შემწირველ“ მეფეებს, რომელთა სულის „არდასამძიმებლად“ ყოველი ახალი მეფე თავს ვალდებულია რაცხავს განუახლოს მონასტრებს მათგან შეწირული მამულები. Arenga-ში შენარჩუნებულია წარმოდგენა წინაპარ მეფეთა და შემწირველთა „სულიერი“ კავშირის თაობაზე მათ მიერვე შეწირულ მამულებთან და ასევე მათ მიერვე მონასტრებისადმი მინიჭებული უფლებების „განგრძობითობის“, უწყვეტობის შესახებ...“

Arenga-ს თემა უჩვენებს სამეფო ხელისუფლებაზე და საკუთრივ მეფის პერსონაზე შემუშავებულ ოფიციალურ შეხედულებებს. ამ შეხედულებებში ჩანს უკვე დამკვიდრებული იდეალიზირებული წარმოდგენები მეფის პერსონაზე: მეფე არის ქრისტიანული სათნოების ნიმუში, იგი განასახიერებს უმაღლესი სამართლიანობისა და ქრისტიანული მოწყალების იდეას – მფარველობს ეკლესიას და მისი მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნავს. იგი არის წინაპართა იურიდიული და ზნეობრივი მემკვიდრე და მათი საქმეების გამგრძელებელი. მეფის ღვთისმოსაობა, გამოხატული ეკლესიებზე ზრუნვაში, არის გარანტი ამქვეყნად თვით მისი (მეფის) და ტახტის მემკვიდრის წარმატებისა...

XIV-XV სს. მეფეთა შეწირულობის სიგელებში ზნეობრივი Arenga ისეთივე შინაარსისაა, როგორც არის XI-XIII სს. საბუთებში. ძალზე იშვია-

<sup>10</sup> ვრცლად arenga-ს შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. IX, გვ. 460; მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს. თბ. 2006, გვ. 70-91.

<sup>11</sup> ვრცლად ამ წოდებულება-სახელდებაზე ქვემოთ, arenga-ს განხილვის შემდეგ ვისაუბრებ.

თად მეფობის „წარმართების“ თემა კვლავ შენარჩუნებულია...

განახლების აქტი, ჩვეულებრივ, დასაბუთებული არის შეწირულობის სიძველით. მითითება სიძველეზე შეადგენს იურიდიული arenga-ს თემას... წინაპარ მეფეთა, როგორც ძველი შემწირველების თემა ამ საუკუნეების (XV ს. – ნ. ჟ.) საბუთებში იურიდიულ arenga-სთან არის შეერთებული. შეწირულობის განახლების უეჭველ საფუძვლად მიჩნეულია შეწირულობის სიძველე. უფრო სწორად, სიძველე არის ქცეული იურიდიული ძალის ფაქტორად.<sup>12</sup>

#### წოდებულება-სახელდება

საბუთში არსებული წოდებულება-სახელდება (სტრ. 4-10) ადრინდელ ტიტულატურასთან შედარებით გაცილებით შემოკლებული სახისაა. სწორედ ამ სახის წოდებულება-სახელდება შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს შემდეგს: „მეფის შემოკლებული წოდებულება შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება შენახულ საბუთთა შორის... შემოკლებულ წოდებულების მქონებელი საბუთების ორ დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ ასეთ სიგლებში წოდებულება ჩვეულებისამებრ მეფის სახელს კი არ მისდევს, არამედ წინ მიუძღვის. და თანაც თვით შემოკლებულ წოდებულებას წინ დართული აქვს სრულებით ახალი გამონათქვამი „ორისავე სამეფოსა“ ან „ტახტის“, „ლიხთიმერისა და ლიხთამერის“ მპყრობელობითი შესახებ...“<sup>13</sup>

ამავე საკითხის შესახებ მ. სურგულაძე აღნიშნავს: „ძველი პოლიტიკური ფორმულის გვერდით ადგილს იკავებს ახალი პოლიტიკური ფორმულა, რომელშიც ასახვა ჰპოვა XIII ს. შემდგომ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უმთავრესმა მომენტმა, კერძოდ, სახელმწიფოს დაშლამ ორ სამეფოდ და შემდგომმა ხელახალმა გაერთიანებამ. ეს არის „ორისავე სამეფოს“ ან „ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის“ ტახტის მპყრობელობის ფორმულა. ამ ფორმულის ვარიანტები ძალზე ბევრია, მაგრამ ყველა დადის ამ ორ ძირითად ვარიანტზე. „ლიხთ-იმერი“ და „ლიხთ-ამერი“ იგივეა, რაც ორი სამეფო და ორი ტახტი. ეს ფორმულა, მოსალოდნელია, გიორგი ბრწყინვალის დროს უნდა გაჩენილიყო, მაგრამ მოღწეულ საბუთთაგან პირველად 1393 წ. გიორგი მეფის სიგელში დასტურდება.

ამ ფორმულათა შემადგენელი ელემენტები, როგორც პოლიტიკური წარმონაქმნების აღმნიშვნელები, ნაწილობრივ მაინც განსხვავებულ აზრობრივ

<sup>12</sup> მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები, გვ. 79-80.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. IX, გვ. 481.



დატვირთვას იძენენ („ლიხთ-იმერი“ ახალ ფორმულაში ფარავს „აფხაზთა“-ს, ხოლო „ლიხთ-ამერი“ მოიცავს ძველი პოლიტიკური ფორმულის ყველა დანარჩენ წევრს).

„ორისავე სამეფოს“ ფორმულაში არეკლილია ის ვითარებაც, რომ საქართველოს ხელმეორე გაერთიანება მოხდა აღმოსავლეთ საქართველოდან. ფორმულაში აღმოსავლეთ საქართველოს ლიხთ-ამერი ეწოდება, დასავლეთს - ლიხთ-იმერი. ლიხთ-იმერი ისეთივე პოლიტიკური შინაარსის ტერმინია, როგორც „აფხაზთა“. თვით იმერთა მეფეები თავიანთ ტიტულატურაში არ ცვლიან საორიენტაციო სიტყვებს. „ლიხთ-იმერი“ მათთვისაც დასავლეთ საქართველოა! მხოლოდ შემდგომ ხდება ამ ტერმინის („იმერთა“) გეოგრაფიულ ცნებად გადაქცევა.

მარტივი ტიტულატურის ნიმუშებია „მეფემან“ ან „მეფეთა-მეფემან“.<sup>14</sup>

#### განგებულება-რიანობა

საბუთში არსებული შეწირულობათა ნუსხა (სტრ. 21-77), ანუ „განგებულება-რიანობა“, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ძალიან საინტერესო ცნობებს შეიცავს, როგორც მონასტრის მიწათმფლობელობის თავისებურებებზე, ასევე სხვა საკითხების შესახებ.<sup>15</sup> განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ ნაწილში დაკონკრეტებულია მონასტრის ძველი და ახალი მფლობელობა, მამულების ხელშეუხებლობა საერო ფეოდალთაგან და სხვა საინტერესო საკითხები.

მეფე ბაგრატის ეს საბუთი წარმოადგენს საჯარო შეწირულობის აქტს, ანუ მეფის მიერ მონასტრისათვის დამტკიცებული ქონება არაა კერძო, მეფე საკუთარ ქონებას არ აძლევს მონასტერს, ესაა საჯარო შეწირულობა.

#### სასისხლო სიგელი

მომდევნო ნაწილია სისხლის ფასის განჩინება მონასტრის მფლობელობაზე (სტრ. 84-105).

ივ. ჯავახიშვილი, მიიჩნევდა რა ყველა სასისხლო სიგელს ნაყალბევად, მთის წმ. გიორგის საბუთსაც განხილვის გარეშე ყალბად თვლიდა.<sup>16</sup>

ამ მხრივ საინტერესოა, რომ მ. სურგულაძის მიხედვით: „ნაწილი სა-

<sup>14</sup> მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები, გვ. 232-233.

<sup>15</sup> რომელთა შესახებ ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებ.

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. IX, გვ. 506 (შენიშვნა). ივ. ჯავახიშვილის აზრს ზოგადად სასისხლო სიგელების ნაყალბეობის შესახებ არ ვიზიარებ, რაზეც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

სისხლო სიგელებისა არ არის პირველადი, არამედ განახლებული. ამიტომ ხშირია მითითება ძველ სიგელებზე... ნატყუარი საბუთების შემქმნელთა აზროვნება მთლიანად წარსულისკენ არის მიპყრობილი...“.<sup>17</sup>

მთის წმ. გიორგის საბუთის შემთხვევაში კი სისხლის ფასის ნაწილში ერთხელაც არაა მითითება თემის სიძველეზე, როდესაც საბუთის თითქმის ყველა დანარჩენ ნაწილში ხაზგასმულია ამა თუ იმ საკითხის სიძველე (დავით აღმაშენებლის და მისი ძის, დემეტრეს, ძველი ამაგი ამ მონასტრისადმი, მონასტრის კუთვნილი მამულების სიძველე და სხვ.). ამ სასისხლო სიგელის კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ნაწილი უშუალოდ მეფე ბაგრატის მიერაა ჩამატებული შეწირულობის წიგნში, რაც, როგორც ჩანს, შექმნილი ფეოდალური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

მ. სურგულაძის აზრით, მთის წმ. გიორგის სასისხლო სიგელი მსგავსია სხვა ძეგლებისა (ბიჭვინთის იადგარი, გელათის იადგარი, ხოფის იადგარი), „რომელთა საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეები უნდა განხილულიყო სენიორიის ფარგლებში“.<sup>18</sup>

#### ბრძანებულება

სასისხლო სიგელს მოსდევს ბაგრატ მეფის „ბრძანებულება“ (სტრ. 105-114). ამ ნაწილში მეფე ბაგრატი უბრძანებს თავის შემკვიდრეებს და სხვადასხვა საერო მოხელეს, რომ მათაც დაუმტკიცონ ეს უფლებები და არ მოაკლონ ყურადღება მონასტერს.

#### კრულობითი და კურთხევითი ნაწილები

ბაგრატ მეფის შეწირულობის წიგნის ბოლო მონაკვეთი წარმოადგენს კრულობით და კურთხევით ნაწილს საბუთის მშლელთათვის და დამამტკიცებელთათვის (სტრ. 116-125). აღსანიშნავია, რომ K608 პირში ეს ნაწილი ამკარად შემცირებული სახითაა, დავაკვირდეთ თუნდაც შეუსაბამობას რომელიც ყურს ასე ცუდად ხვდება—„აწ ვინც ხელ ყოს ამისდა შლად და ქცევად კრულიცა არის პირველად დაუსაბამოსა ღ(მრ)თის პირითა და უფროსად კურთხეულ დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თის მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისა, მადლითა და პატეონისისა ჯუარის მადლითა და წმიდათა მოციქულთა და ათორმეტთა სამოციქულოთა საყდართა და მოსაყდრეთა მად-

---

<sup>17</sup> მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები, გვ. 163.

<sup>18</sup> მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები, გვ. 170.

ლითა და წმიდამან ძლუდელთ-მოძღუარმან ნიკოლაოს, ამინ“. ჩემი აზრით, აშკარაა, რომ წმ. ნიკოლოზი ეკუთვნის იმ გამოტოვებულ წმიდანთა ჩამონათვალს, რომლებიც აკურთხებენ საბუთის დამამტკიცებელთ, ხოლო წმ. ნიკოლოზის ხსენებამდე მოყვანილი ტექსტის კრულობითი ნაწილი არ არის სრული.

საბუთის კრულობითი და კურთხევითი ნაწილი სრულად არის შენახული კ ნუსხაში (სარგის კაკაბაძის გამოცემაში), რისი მიხედვითაც აღვადგინე ძირითად ტექსტში.

#### ხელრთვების შესახებ

საბუთის არც ერთ პირს არ შემოუნახავს მეფეების, და დედოფლების ხელრთვა. მიუხედავად ამისა, დაკარგული დედნის ანოტაციაში ნათქვამია, რომ ბაგრატ მეფის ტექსტს ჰქონდა მისივე ხელრთვა, ხოლო მეფე ალექსანდრეს, და კონსტანტინეს ხელრთვასთან ერთად იყო მათი თანამეცხედრების ხელრთვებიც.<sup>19</sup>

#### ალექსანდრე მეფის დამტკიცება

საბუთიდან როგორც ჩანს, ბაგრატ მეფის ძემაც განაახლა ეს საბუთი. საბედნიეროდ, ალექსანდრე მეფის დამტკიცების ტექსტი უნაკლოდაა შემონახული (სტრ. 126-138), ხოლო ამ დამტკიცების მნიშვნელობის შესახებ უფრო ქვემოთ ვისაუბრებ.

#### შეწირულობის წიგნი მეფე კოსტანტინესი

1491 წ-ს ქართლის მეფე კოსტანტინემ ეს საბუთი არა მარტო განაახლა, არამედ ახალი შეწირულობის საბუთიც დაუმატა (სტრ. 139-167).

ეს საბუთიც მარტივად, არა ვრცელი თეოლოგიური შესავლით, არამედ უბრალო ღვთის ხსენებით იწყება (სტრ. 139), რასაც მოსდევს ასევე მარტივი სახის წოდებულება-სახელდება (სტრ. 140-143).

საბუთის განგებულებიდან ვიგებთ, რომ მეფეს პირადი ამაგის (ულაყის ამოკვეთის) სანაცვლოდ ალაპი გაუჩნია (სტრ. 144-155). კრულობითი ნაწილიც ძალზე მცირეა (სტრ. 156-159). სამაგიეროდ, მეფე ბაგრატის საბუთისგან განსხვავებით, ამ შეწირულობის საბუთს აქვს თარიღი (სტრ. 163-167).

თუ მეფე ბაგრატის საბუთის შემთხვევაში საქმე გვქონდა საჯარო შე-

<sup>19</sup> სცსა. 1451-16, გვ. 439.

წირულობის აქტთან, მეფე კონსტანტინეს საბუთის შემთხვევაში საქმე უკვე გვაქვს კერძო შეწირულობასთან.

„კერძო შეწირულებების დამახასიათებელი ნიშანია მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების ზუსტი აღნუსხვა. კერძო შეწირულების აქტში აუცილებლად არის მითითებული წირვა-ალაპისა თუ მოსახსენებლის დღე, შემწირველის სახელზე დაწესებულია სათანადო სასულიერო სამსახურის წესი და რიგი“.<sup>20</sup>

#### დასკვნა

ამგვარად, მთის წმ. გიორგის საბუთში გაერთიანებულია მეფე ბაგრატის მიერ გაცემული საჯარო შეწირულობის აქტი, სასისხლო სიგელი და მეფე კონსტანტინეს კერძო შეწირულობის საბუთი.<sup>21</sup>

---

<sup>20</sup> მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები, გვ. 91.

<sup>21</sup> აღსანიშნავია, რომ საბუთის ტექსტში სამივე ნაწილს აქვს საბუთის რაობის აღმნიშვნელი ტერმინი: შეწირულობის წიგნი (სტრ. 107-108), სიგელი (სტრ. 104) და ნიშანი (სტრ. 145, 156, 163), რომლებიც ასევე საბუთის შესატყვისად გამოიყენებოდა, იხ. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. IX, გვ. 410-411.

*Nikoloz Zhgenti*

**MTIS ST. GEORGE MONASTERY CHARTER OF 1465-1467  
(NEWLY ESTABLISHED TEXT AND CLASSIFICATION)**

Summary

The object of our work is the charter of Mtis St. George monastery (in Western Georgia). It represents very valuable source for history of medieval Georgia. Unfortunately, the original of the document is lost and we do not have its original text.

Five copies of this document are known. Those are as follows:

1-2. Two copies (Sd-2898/99) that are kept in National Centre of Manuscripts in Tbilisi.

3. A text of a copy made by monk of Gelati Zaqaria in 1806, that was lost in 1922 near Giorgievsk.

4. A copy (H16(G28;H39)-2.ЛЛ.13-16) of 1840, that is kept in Asian Museum of St. Petersburg.

5. The oldest document K-608 kept in Historical Museum of Kutaisi.

Based on these copies, Sargis Kakabadze produced a text, which seems to be very close to original one.

We have found the description of the undoubtable original of the charter. This description (fond №1541, case №16), made in the 19<sup>th</sup> century by priest Giorgi Gabadadze, combines information about document's text and its physical condition. Nowadays it is kept in the Central Historical Archive of Georgia.

This new source gave us an opportunity to fill the charter's text with new words and names, that were absent in copies.

With present paper, we want to produce newly established text of this charter.

*თეა ქართველიშვილი*

**ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო  
(აფხაზეთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის  
პერიოდში)**

ხობის მონასტრის საისტორიო დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთი წარმოადგენს „ნუსხა ხობის შესავალი და შეწირული სანთლისა“. საბუთი გაცემულია აფხაზეთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ. იგი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ძველ საბუთთა დეპონების კოლექციაში, ფონდი 1448, საქმე 1529. დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ,<sup>1</sup> ხოლო შემდგომ ისიდორე დოლიძემ.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ორივე გამოცემის ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს ერთმანეთს, სარგის კაკაბაძე არქეოგრაფიულ აღწერილობაში უთითებს, რომ საბუთი ნუსხა-ხუცურად არის ნაწერი, ხოლო ისიდორე დოლიძე აღნიშნავს, რომ იგი მხედრულადაა შესრულებული. ეროვნულ არქივში დაცული საბუთი 1448-1529 მხედრულად არის დაწერილი. საფიქრებელია, რომ არსებობდა ერთდროულად დამზადებული საბუთის ორი დედანი. სიგელს ახლავს ორი ბეჭედი. ერთი ლეგენდით: „კათალიკოზი გრიგოლ“, მეორე – „ქ. მეუფე და მღვდელმთავარი აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზი გრიგოლ ქკს ტპდ“. ქორონიკონი ტპდ, ანუ 384 უდრის 1696 წელს. გრიგოლი სწორედ ამ წელს აღსაყდრდა საკათალიკოსო ტახტზე და ბეჭედიც მაშინ დაამზადებინა. ასე რომ, საბუთის დათარიღება ამით შეუძლებელია. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ბეჭედი გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გაცემულ სხვა საბუთებსაც ახლავს, თუმცა მათი შედგენის დრო სიგელშივეა მითითებული.

---

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I. ტფ. 1921, გვ. 115-117.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 770-772.

ხობის საბუთს სარგის კაკაბაძე 1696-1715 წწ. ათარიღებს და იქვე მიუთითებს, რომ დათარიღება რაიმე კონკრეტულ ფაქტს არ ეყრდნობა, ზოგადია და XVIII ს-ის დასაწყისში უნდა ყოფილიყო შექმნილი<sup>3</sup>. ისიღორე დოლიძე კი საბუთის თარიღს გრიგოლ ლორთქიფანიძის ზეობის (1696-1742) წლებით განსაზღვრავს.<sup>4</sup> საბუთის დათარიღებას მოგვიანებით დავუბრუნდებით.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მეტად საინტერესო გარემოებამ – საბუთში მოხსენიებული ხობის მონასტრის კუთვნილი ყმა-გლეხები იმავდროულად გვხვდებიან სხვა სიგელებშიც, კერძოდ, გრიგოლ კათალიკოსის მიერ აფხაზთა საკათალიკოსოსთვის, ანუ ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის შეწირულ ყმა-გლეხებს შორის. ამ მონაცემების თანახმად, ფაქტობრივად, ორი სხვადასხვა საეკლესიო სინიორია საერთო საკუთრებას ფლობდა, რაც ყოველად დაუშვებელი იყო. კვლევის პირველ საკითხად დავისახეთ, რომ დასადგენი გახლდათ, საბუთებში მოხსენიებული ყმა-გლეხები, ერთი და იმავე საგვარეულოს გარდა, ერთი ოჯახის წარმომადგენლებიც თუ იყვნენ, რათა ამით ის ეჭვიც მოგვესპო, რომ ერთ სოფელში მოსახლე საეკლესიო ყმა-გლეხები, მხოლოდ მოგვარეები იყვნენ და მათი ნაწილი ეკუთნოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს, ხოლო ნაწილი – ხობის მონასტერს და გადასახადებიც სხვადასხვაგვარი ეკისრათ. ამ მიზნით ხობის აღნიშნული საბუთი შევუდარეთ გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის შეწირულ საბუთებს. ცალკეული შეწირულების საბუთები მრავალია, მაგრამ ჩვენ შევარჩიეთ საკათალიკოსო შეწირულების დავთრები, სადაც სრული სურათია მოცემული. ასეთი დოკუმენტი ოთხი გვაქვს:

1. 1706 წლის, დედანზე დაყრდნობით გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ,<sup>5</sup> თუმცა მისი დედანი არ შემოგვრჩენია, ისიღორე დოლიძე იმეორებს სარგის კაკაბაძისეულ გამოცემას.<sup>6</sup>

2. 1712 წლის, მისი დედანი არ შემოგვრჩენია, პირი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Hd-1450, მეორე პირია Ad-2251-ვ, გამოაქვეყნა ჯერ სარგის კაკაბაძემ<sup>7</sup> და შემდეგ ისიღორე დოლიძემ.<sup>8</sup> სარგის კაკაბაძეს მისი დედანი ჰქონია ხელთ.

<sup>3</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 115.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 770-772.

<sup>5</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 89-96.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 645-652.

<sup>7</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 103-107.

<sup>8</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 668-675.

3. 1733 წლის 16 ოქტომბრის, საბუთი სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა დედნის მიხედვით.<sup>9</sup> ეს გამოცემა გაიმეორა ისიღორე დოლიძემ.<sup>10</sup> საბუთის ასლი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Ad-2251-ვ, ასევე ეროვნულ არქივში 1449-515.

4. უთარილო სიგელი. მისი დედანი არ შემოგვრჩენია. იგი პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ<sup>11</sup> დედანზე დაყრდნობით და ამ შემთხვევაშიც ეს გამოცემა გაიმეორა ისიღორე დოლიძემ.<sup>12</sup> სარგის კაკაბაძე საბუთს 1700-1712 წწ. ათარილებს, ხოლო ისიღორე დოლიძე 1706-1712 წწ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის შეწირული მსგავსი საბუთი ორია სემორჩენილი. პირველი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ძველ საბუთთა დედნების კოლექციაში, ფონდი 1448, საქმე 1532, იგი გამოაქვეყნებულია ასევე სარგის კაკაბაძის<sup>13</sup> და ისიღორე დოლიძის<sup>14</sup> მიერ. მეორე ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, Hd ფონდში, შიფრით 11221. იგი გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა.<sup>15</sup> საბუთი თავნაკლულია და ბოლონაკლული. საინტერესოა, რომ v-ს მხარეს, სადაც ფურცლის მარცხენა კიდე მოფლეთილია, დარჩენილ მარჯვენა ნაწილში ტექსტისგან პირუკუ, კალიგრაფიული ხელით დაწყებულია სხვა საბუთის წერა, რომლის სტრიქონებიც მელნით გადახაზულია. ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული საბუთი სიგელის შედგენის დროს სამუშაო პირი უნდა იყოს. ბოლონაკლულია ასევე ეროვნულ არქივში დაცული საბუთი. ორივე მათგანი ჩვენთვის საინტერესო რეგიონის შესახებ არასრულ ინფორმაციას შეიცავს. ამდენად, კვლევისას ძირითადად აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის შეწირულ ზემოთ ნახსენებ ოთხ საბუთს ვეყრდნობით.

ჩვენ ხობის მონასტრისთვის შეწირული თითოეული ყმა-გლეხი შეკუდარეთ აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრებში მოხსენიებულ გლეხებს და ამ გზით ვცადეთ სრული სურათის აღდგენა.

ხობის საბუთში მოხსენიებულია რამდენიმე ყმა-გლეხი, რომლებიც დროის ამ დიდ მონაკვეთში ოთხივე საბუთში გვხვდებიან. ასეთები არიან: დასტურაია ჭუჭუ, ილანუხუ, იგივე ინალეხუ ლეფონავა და ხუცესი ბერაია

<sup>9</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 131-147.

<sup>10</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 718-735.

<sup>11</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 101-103.

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 676-678.

<sup>13</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 154.

<sup>14</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 765-768.

<sup>15</sup> ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. I. ტფ. 1889, გვ 58-59.



თომა. საბუთების შედარება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათი შედგენის დრო და ამასთან თვალი გავადევნოთ აღნიშნულ ყმა-გლეხების საგვარეულოებში მიმდინარე გენეალოგიურ ცვლილებებს. ამ დაკვირვების შედეგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხობის შესავლის საბუთი შედგენილი უნდა იყოს 1712 წლის შემდეგ, ვიდრე 1733 წლამდე. სარგის კაკაბაძე მას ათარილებს 1696-1715 წლებით, თუმცა საბუთში ასახულია 1712 წლის შემდეგ მომხდარი მოვლენები.

აღნიშნულ საბუთში იხსენიებიან დასტურაია მამაშის შვილები.<sup>16</sup> თავად მამაში დასტურაია გვხვდება 1706 და 1712 წლების საბუთებში. ხობის დოკუმენტში კი ჩანს, რომ მამაში უკვე გარდაცვლილია და მისი მემკვიდრეები ხდებიან ხობის მონასტრის კუთვნილი ყმები. თუკი 1706 და 1712 წლების საბუთებში იხსენიებიან მხოლოდ დასტურაია ჭუჭუ, მისის ძმებითა და სახლ-კართა, მამაში დასტურაია მისის ძმებითა და სახლ-კართა.<sup>17</sup> ამ შემთხვევაში უკვე გამოყოფილი ოჯახები გვხვდება და მათთან ერთად ცალკე იხსენიებიან გაბრიელ, დათუ, მახუტუ და ხაჩილა დასტურაიები.

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა ხობის დოკუმენტში მოხსენიებული ილანუხუ ლეფონავას ძმა ნიკოლა და მისი განაყოფი გიმანძალა.<sup>18</sup> უთარილო, 1706 და 1712 წლების საბუთებში ილანუხუ, ანუ ინალუხუ იხსენიება ძმებთან ერთად, თუმცა მათი სახელები მითითებული არ არის, ამ შემთხვევაში ნათელია გამრავლებული ოჯახის დაშლისა და ძმების გამოყოფის პროცესი.

ძალიან საინტერესო სურათი იხატება მისხულავეების, ანუ მირცხულავეების გვართან დაკავშირებით. ხობის საბუთში იხსენიება პაჭკუტია მისხულავა. 1706 წლის საბუთში აღნიშნულია, რომ „მირცხულავა ქუჩუა იმავე კათალიკოსს ბაბადიში ხახუასგან ეყიდა და ხატისთვის შეეწირა. იმავე დადიანს გამოეწირა; დადიანი გარდაიცვალა, ხახუ ჩიჩუას დარჩა და ჩიჩუასგან სამას მარჩილად ვეყიდე“.<sup>19</sup> აღნიშნავს გრიგოლ კათალიკოსი. ვინ იგულისხმება იმავე დადიანში, რაც საბუთში სხვადასხვა დროს მეორდება? სიგელის დასაწყისში აღნიშნულია: „კათალიკოზი გარდაიცვალა და დადიანმან ლიონ დაიჭირა; ის

<sup>16</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). 1448-1529 რ; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 770.

<sup>17</sup> სცსა. 1448-1529 რ; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 770.

<sup>18</sup> სცსა. 1448-1529 რ; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 771.

<sup>19</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 647.

დადიანი რომ გარდაიცვალა, მეორეს დადიანისაგან და ბატონის გიორგი ლიპარტიანისაგან ჩუენ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ“.<sup>20</sup> საბუთის ტექსტიდან ჩანს, რომ იმავე კათალიკოსში დავით ნემსაძე იგულისხმება, რომელიც 1696 წელს გარდაიცვალა, ხოლო დადიანი ლიონ, არის ლევან IV, რომელიც 1696 წელსვე უნდა გარდაცვლილიყო სტამბოლში.<sup>21</sup> მეორე დადიანი მამია გურიელი არის. ეს ამბავი ასახულია ჩვენს უთარილო საბუთში, რომელსაც ი. დოლიძე 1706-1712 წწ. ათარიღებს, „დადიანობა გურიელს მამიას დარჩა და თავობა გიორგი ლიპარტიანს“.<sup>22</sup> თ. ბერაძემ თურქული წყაროების ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ სულთანმა მამია III გურიელს დადიანობა უბოძა, ხოლო გიორგი ლიპარტიანი დადიანის მოურავი გახდა.<sup>23</sup> ქუჩუა მირცხულავა ბიჯოჯიას ვაჟი გახლდათ. იგი თავის ოჯახთან ერთად იხსენიება ლევან II დადიანის მიერ ხობის ტაძრისთვის მიცემული იადგარის მოგვიანო მინაწერში Hd-1551-ვ, სადაც აღნიშნულია, რომ კათალიკოს დავით ნემსაძეს შეუწირავს ხობის მონასტრისათვის მირცხულავა ბიჯოჯია და მისი შვილი ქოჩუა და პაჭკუ მისითა ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა და ჭურ-მარნითა (Hd-1551-ე). 1706 წლისთვის ქოჩუა დადიანისგან გამოწირული და ხახუ ჩიჩუასგან დახსნილი ბიჭვინთის ღმრთისმშობლისთვის არის შეწირული.<sup>24</sup> იგივე ამბავია მოთხრობილი 1712 წლის საბუთშიც.<sup>25</sup> უთარილო საბუთში იხსენიება ბიჯოჯია მისხულავა: „ნემსაძე კათალიკოსს მამა-შვილნი ცალ-ცალკე ეყიდა, ხატისთვის შეეწირა; კათალიკოსი გარდაიცვალა, ისევ გამოეწირათ. ჩუენ ჰველაჴლა პეპუნა ფადავასაგან ორას სამოც მარჩილათ ვიყიდეთ, თქვენთვის შემოგეწირავს და სანთელი დაგეც; ხუთი ლოლარიკონი ყოველს წელიწადს მოგართმიდეს“.<sup>26</sup> როგორც ჩანს, ბიჯოჯია პეპუნასგან უყიდათ, ხოლო ქოჩუა

<sup>20</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 646.

<sup>21</sup> თ. ბერაძე. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე. კრ: „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“. იღ. ანთელავას საერთო რედაქციით. თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 221-222.

<sup>22</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 101-103; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 676.

<sup>23</sup> თ. ბერაძე. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე. გვ. 222.

ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 647.

<sup>25</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Hd-1450; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 104; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 669.

<sup>26</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 676.

– ხაზუ ჩიჩუასაგან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მისხულავების გენეალოგიის დადგენა საბუთების დათარიღებაში გვეხმარება. ბიჯოჯია რადგანაც აღარ იხსენიება 1706 წელს, იგი გარდაცვლილი უნდა იყოს, ამიტომ მხოლოდ მისი შვილი ქორუა არის დასახელებული. მაშასადამე, ი. დოლიძის მიერ 1706-1712 წწ. დათარიღებული საბუთი 1706 წლამდე არის შედგენილი და ადრინდელია. ვინაიდან იგი გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ არის გაცემული, ამიტომ დაახლოებით 1696-1705 წწ. შეიძლება დავათარილოთ. სავარაუდოა, რომ ხობის სიგელში მოხსენიებული ქორუას ძმა პაჭკუ, იგივე პაჭკუტია გამოწირული იყო და ამიტომ არ ჩანს 1706 და 1712 წლების საბუთებში.

ე.წ. „უთარილო“ სიგელის 1706 წლამდე დათარიღებაში გვეხმარება სხვა დანარჩენ საბუთებში მოთხრობილი ერთი ამბავი. ცნობილია, რომ XVII საუკუნის ბოლოს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი აფხაზეთის სამთავრომ შეიერთა. მდ. კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორიას ზეგნაყ შარვაშიძის ძე ჯიქეშია დაეუფლა, ხოლო მდ. ღალიძგასა და ენგურს შორის არსებულ მიწებს – ზეგნაყის მეორე ვაჟი ყვაპუ შარვაშიძე. აფხაზებისგან შევიწროვებული ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი აიყარა, ნაწილი კი აფხაზებმა ოსმალებს მიჰყიდეს ტყვედ. საკათალიკოსო სოფელი ნაჟანეული (დღევანდელი ოტობაია) კათალიკოს დავით ნემსაძის დროს დაცარიელდა. დავით ნემსაძეს 60 მოსახლე კაცი მიებარებინა ყვაპუ შარვაშიძისთვის. მას გლეხები დაეყიდა<sup>27</sup> და როდესაც გარდაიცვალა, მხოლოდ 7 მოსახლე კაცი იყო დარჩენილი: ღრუბელაია ამასხნელი, ელიშია ხუზა და მისი ძმები, კოღია, ზუმილა, ჯგუბურია, სუბუქია, ბიგვავა. უჩაიას უმატებს 1712 წლის საბუთი. ვინაიდან ისინი სახელებით არ იხსენიებიან, ამიტომ გვიჭირს დავადგინოთ ხობის საბუთში იგივე ყმები არიან დასახელებულნი, თუ მათი შთამომავლები. როდესაც ყვაპუ შარვაშიძე გარდაიცვალა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ მას უწირა, თავი ნიშანში დარჩენილი ყმები აიღო და ისინი ხობში დაასახლა. ამ ყმებს 1706 წლიდან ყველა საბუთი ასახელებს. ყვაპუ შარვაშიძეც დაახლოებით ამ დროისთვის (1705 წლისთვის) გარდაცვლილა,<sup>28</sup>

<sup>27</sup> მართალია, ყვაპუ შარვაშიძემ ყმების გაუყიდველობის შესახებ პირობა დაუდო ჯერ კათალიკოს დავით ნემსაძეს, ხოლო შემდეგ გრიგოლ ლორთქიფანიძეს (ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 88), მაგრამ ტყვეებით ვაჭრობას მაინც აგრძელებდა. ამ პოლიტიკის შედეგად მისი სამფლობელო მკვიდრი მოსახლეობისაგან დაიცალა (კ. ოკუჯავა, ეთნიკური პროცესები, კრ: „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი“. თბ. 2007, გვ. 167).

<sup>28</sup> თ. ბერაძე. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე. გვ. 224; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 88.

რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უთარილო საბუთი 1706 წლამდე არის შედგენილი.

ხობის შესავლის საბუთში მოხსენიებულ დანარჩენ ყმებს რაც შეეხებათ, ჩვენ მიერ ქრონოლოგიურად დალაგებული საბუთები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მათ გენეალოგიას. მაშია ხოჭოლავა ხვიჩა და სოგიჯუმა ხოჭოლაკების შთამომავალია, ასევე ხოჭოლაკასეულ პარტახზე ცხოვრობს თაბუნია. ბესია გიგიბერია მორღებ გიგიბერიას ვაჟია, მათი მემკვიდრეა ბერი, არცანდია გაგინა, ან თავად ხუცესი არცანდიაა, ან მისი მემკვიდრე. გაღმა ხორგას მოსახლე ბერაიების ოთხი ოჯახი დასახელებულია ხობის შესავლის საბუთამდე შედგენილ სიგელებში, თუმცა კონკრეტულად ხობის საბუთში მოხსენიებული ბაბაკონი, ხახუ, გურიკავა, იგივე ბოშიკავა არიან თავად ჩიჩუას შეწირულები აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის. აღნიშნული საბუთი გამოქვეყნებული აქვს სარგის კაკაბაძეს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების I წიგნში. სამწუხაროდ, საბუთი დაზიანებულია და თავად ჩიჩუას სახელი არ ჩანს. იგი აღნიშნავს, რომ გრიგოლ კათალიკოსის კანდელაკის სასანის ძმა შემოაკვდა და ამის სისხლში შეწირა: ბერაია ხახუ ორი ვაჟიშვილით, მისი ძმა ბაბაკონი ცოლითა და სამი შვილით, უმცროსი ძმა ბოშიკავა შვილით და მათი სახლის კაცი მახუტია<sup>29</sup>.

ს. კაკაბაძე საბუთს 1696-1710 წწ. ათარილებს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ხობის საბუთი 1710-1712 წწ. შემდეგ დაიწერა. მისი შესწავლა გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ საბუთი უფრო 1733 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი, ვიდრე 1712 წლის მახლობელ პერიოდში. 1733 წლის საბუთი იცნობს ხახუ, ბაბაკონი, თომა, ბეჟია და შოშიტა ბერაიებს<sup>30</sup>.

ხობის საბუთში მოხსენიებული რამდენიმე ყმა-გლეხი ჩვენ არ გვხვდება 1696-1705 წლების, 1706 წ. და 1712 წ. საბუთებში, სანაცვლოდ ისინი იხსენიებიან 1733 წლის საბუთში. მაგ: ხობის საბუთი იხსენიებს ბიას მოსახლე კონიორე სიჭინავას და მის გლეხს იმანცალა ცხადიას. 1733 წლის საბუთში ნათქვამია, რომ კონიორე სიჭინავა (ს. კაკაბაძესთან კონიგაძე სიჭინავა) მისი ორი გლეხით ბეჟან დადიანმა უბოძა გრიგოლ კათალიკოსს და ჩიჯავადის ნიშანში იყო აყვანილი.<sup>31</sup> ბეჟან დადიანი 1714 წლიდან მართავს სამთავ-

---

<sup>29</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 98.

<sup>30</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 131-144; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 733.

<sup>31</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 131-144; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 732.

როს. ცხადია, კონიორე სიჭინავაც ამის შემდეგ უნდა გამხდარიყო ხობის და აფხაზეთის საკათალიკოსოს ყმა ერთდროულად. ჩიჯავაძე, ვის ნიშანშიც აიყვანეს კონიორე, იგივე ჩიჩუა.<sup>32</sup> აღსანიშნავია, რომ კონიორეს მამა ან ბაბუა უნდა იყოს ბიას მოსახლე ხოსია სიჭინავა, რომელიც 1706 წლისთვის ასევე ხახუ ჩიჩუას ნიშანში აუყვანია გრიგოლ კათალიკოსს.<sup>33</sup> ანალოგიური ვითარებაა ხობს მოსახლე ყმებთან ძლიკვი დიხამინჯია და თაიმაზისთან დაკავშირებით.<sup>34</sup> ისინი პირველად ხობის საბუთში იხსენიებიან, ხოლო 1733 წ. სიგელი მასზე უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს: დეისმამა ჯაიანს და მის ცოლს ხახუ ლოლობერიძის ქალს ძლინკი მიხიმიჯა (ს. კაკაბაძესთან ძლიკვი ჯღამაძე) და მასთან კიდევ თამაზა და ერთი ბიჭი ახალი კონი შეუწირავთ აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის.<sup>35</sup> მხოლოდ ხობის საბუთი და 1733 წლის სიგელი იცნობენ ხობს მოსახლე წულაი თუთაშხიას,<sup>36</sup> იგივე წულუღაი თუთაშხიას (ს. კაკაბაძესთან წულაია თუთაშხია).<sup>37</sup> ხობს მოსახლე ხუტუ კოდუა და მოგელაი იხსენიებიან 1733 წლის საბუთში.<sup>38</sup> ხობის საბუთი იხსენიებს ხობს მოსახლე ჯგუბურია ჭუჭუს, ახალი კონის და მის ძმებს,<sup>39</sup> ხოლო 1733 წლის საბუთში დასახელებულნი არიან ჯგუბურია ახალი კონი, გურიშია, მისი ორი ძმა და ჯგუბურია ნიკურცხა.<sup>40</sup> ესენი უკვე ძმების გამოყოფილი ოჯახები ჩანან და ამ შემთხვევაშიც აშკარაა გამრავლებული ოჯახის დაშლის პროცესი. სახარბედიოს მოსახლე ეჯიბია ივანელა, ჭკოლოფუა და ბაძალია 1706 წლის საბუთში მოხსენიებული ეჯიბია მუთალას შთამომავლები უნდა იყვნენ. მათზე აღნიშნულია, რომ ისინი დავით კათალიკოსმა

<sup>32</sup> ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). წ. I, თბ. 1973, გვ. 299, შენიშვნა 3.

<sup>33</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 647.

<sup>34</sup> სცსა. 1448-1529 რ; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 771.

<sup>35</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 143; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 732.

<sup>36</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 771.

<sup>37</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 143; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 732.

<sup>38</sup> სცსა. 1448-1529 რ; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 771.

<sup>39</sup> სცსა. 1448-1529 რ; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 116; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 771.

<sup>40</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 143; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 732.

იმონა და შეუწირავი დარჩენოდა, შემდეგ ლევან IV დადიანს მიუტაცებია და დადიანის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლ ლორთქიფანიძეს საკათალიკოსოსათვის შეუწირავს.<sup>41</sup> ხობის საბუთისეული ხუცესი ხარბელიც დავით ნემსაძის ნაშოვნია უნდა იყოს საკათალიკოსოსათვის.<sup>42</sup> საინტერესოა სახარბელიოში მოსახლე ნასხილა შულაია, მას 1733 წლის საბუთი იცნობს მხოლოდ, სადაც გრიგოლ კათალიკოსი მოგვითხრობს, რომ „შულაიძე ნასხილა ჯერ სათათროლამ მოვიდა, მერმე აფხაზეთილამ მოვიყვანეთ და დავაყენეთ ცოლ-შვილით“.<sup>43</sup> იგი ეკის მონასტრის ტერიტორიაზეა დასახლებული.

ხობის საბუთი იხსენიებს ხორგას მოსახლე ჯაიანისეულ კაცს აფშილაკა გონჯის. მას მხოლოდ 1733 წლის საბუთი იცნობს და უფრო დაწვრილებით გვატყობინებს, რომ ხორგას საკუთალიოს მოსახლე გოჯი აფშილაკა მერაბ ჯაიანს<sup>44</sup> შეუწირავს.

აღსანიშნავია, რომ ამ გლეხებს მხოლოდ სანთლის გადასახადი აკისრიათ.<sup>46</sup> საეკლესიო ყმა-გლეხებზე სანთლის ბეგარის აღდგენა გრიგოლ ლორ-

<sup>41</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 647.

<sup>42</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 144; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 733.

<sup>43</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 142; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 731.

<sup>44</sup> მერაბ ჯაიანს, თავისი სამკვიდრო მამული თათართა შემოსევების გამო დაუკარგავს და ჯიქთუბანს შეხიზვნია გრიგოლ კათალიკოსს ხატის მამულზე. მას სამი გლეხი და სასახლის ადგილი მიუღია (ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, ტფ. 1921, გვ. 149-150; ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). წ. I, თბ. 1973, გვ. 294). ო. სოსელიას თანახმად, ეს მამული ყოფილა ხორგა. მკვლევარი, მერაბ ჯაიანის მიერ ბესარიონ კათალიკოსისათვის მიცემულ საბუთზე დაყრდნობით ასკვნის, რომ 1742-1750 წწ. მერაბ ჯაიანს დაუბრუნებია ხორგა (ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). წ. I, გვ. 294). კ. ოკუჯავა აღნიშნავს, რომ აფხაზური და ჯიქურ-აბაზური თემების მიერ დაწყებული ექსპანსიის შედეგად, როდესაც განსაკუთრებული სისხტიკით გაანადგურეს თავადაზნაურობა, როგორც ოდიშის სამთავროს მთავარი დასაყრდენი ძალა, სოფ. ჭაღას (ჭლოუს) მფლობელი მერაბ ჯაიანი გამოაძევეს თავისი სამფლობელოდან და მან თავი შეაფარა გრიგოლ კათალიკოსს (კ. ოკუჯავა. ეთნიკური პროცესები. კრ: „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი“. თბ. 2007, გვ. 167). სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ უნდა მიეღო მამული ხორგაში. 1733 წლის საბუთით მტკიცდება, რომ მერაბ ჯაიანს 1742 წელზე გაცილებით ადრე მიუღია ხორგას მამული.

<sup>45</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 144; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 732.

<sup>46</sup> გადასახადების რაოდენობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის განსხვავება ორ ლოდარიკონს არ აღემატება. გადასახადების ეს სხვაობა ძირითადად დაკავშირებული იყო სანთლის გაძვირებასთან. ამ გარემოებას საგან-

თქიფანიძის სახელს უკავშირდება. მან სულადი გადასახადი და ფულადი ბეგარა სანთლის ბეგარით შეცვალა.<sup>47</sup> კათალიკოსის ბრძანება დოკუმენტურად არის ჩვენამდე მოღწეული.<sup>48</sup> იგი აღნიშნავს, რომ „ბიჭვინტისას ჟამთა ვითარებისაგან შეწირული სანთელი საკათალიკოზო მონასტრებში აღარ იყო, არც შევიდოდა. ჩვენს კათალიკოზობაშიდ თქვენს მონასტრებს სანთლები დაკლებოდა, არ იქნებოდა, ზოგი რომელიმე ოცისა და ათის წლიდგან დაკარგული ყოფილიყო და ჩვენ ამოვიყვანეთ და ხელახლა ჩვენ დავასახლეთ და შემოგწირეთ“.<sup>49</sup> ცხადია, სანთლის ბეგარა დაწესებული იყო არა ნებისმიერ საეკლესიო ყმაზე, არამედ საკათალიკოსოს კუთვნილ გლეხებზე. ხობის მონასტერი აფხაზეთის საკათალიკოსო მონასტერს წარმოადგენდა, აქედან გამომდინარე, ისინი საერთო ყმებს ფლობდნენ. გრიგოლ ლორთქიფანიძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სანთლის ბეგარა მან განუახლა საკათალიკოსო მონასტრებს.

ნიშნადობლივია, რომ ხობის შესავალი და შეწირული სანთლის ნუსხას სწორედ აფხაზთა კათალიკოსი განაჩენს. მართალია, გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში ხობის მონასტერი საეპისკოპოსო კათედრასაც წარმოადგენდა, მაგრამ გრიგოლ ლორთქიფანიძის ზეობისას მას ეპისკოპოსი არ ჰყავს.<sup>50</sup>

აღსანიშნავია, რომ XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისში აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შედეგად, როდესაც მდ. ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორია დაიცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან და საკათალიკოსო ყმების დიდი ნაწილი დაიფანტა, გრიგოლ ლორთქიფანიძის მეოხებით სოფ. ნაჟანეულში მოსახლე ყმები სწორედ ხობში დაასახლეს, როგორც საკათალიკოსოს კუთვნილ მამულში და ამ გზით შეინარჩუნეს ისინი.

გეგოდ უთითებს გრიგოლ ლორთქიფანიძე: „როდესაც სანთელი გაძვირდებოდეს ამ თეთრის ბეგარის სანთელშიდ წინამძღვარი შედავათს უზმიდეს გლქს მისი რიგისად“ (ხეც. Hd-4150, Ad-2251-ვ ქართული სამართლის ძეგლები. III, გვ. 672).

<sup>47</sup> თ. ქორიძე, გრიგოლ II ლორთქიფანიძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბ. 2000, გვ. 135.

<sup>48</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 772-773.

<sup>49</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 772.

<sup>50</sup> აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძეს გამოქვეყნებული აქვს ხოფელი მთავარეპისკოპოსის ექვთიმე ფაღავას სიგელი, რომელსაც 1700 წ. ახლო პერიოდით ათარიღებს, თუმც რის საფუძველზე, არ განმარტავს. ხოფელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგის დადგენისას ეს ცნობა გაიმეორეს ა. სიჭინავამ, გ. ჩიტაიამ (ხობის ყოფილადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი. ხობი-თბილისი 2000, გვ. 36) და გ. კალანდიამ (ოდიშის საეპისკოპოსოები. თბ. 2004, გვ. 162, 167), თუმცა გ. კალანდია მის მოღვაწეობას XVII ს-ს უკავშირებს და ქრონოლოგიურ რიგში 1682 წელს მოხსენიებულ წინამძღვარ ზებედეხს წინ ათავსებს. სათანადო წყაროების უქონლობის გამო, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ როდემდე იყო ექვთიმე ეპისკოპოსად, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების თანახმად მისი მოღვაწეობა 1706 წლის აქეთ ვედარ გადმოვა.

საფიქრებელია, რომ ხობის მონასტერში დაბრძანებული უნდა ყოფილიყო ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი. აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის შეწირულ 1712 წლის საბუთში გრიგოლ კათალიკოსი აღნიშნავს: „თუ გლეხი ან წინამძღვრის იყოს ანუ აზნაურისშვილის, სანთელი მაშინაც ხატს მიერთმეოდეს იმერეთსაც და ოდიშსაც“<sup>51</sup> ასევე მითითებულია, რომ „თუ ან წინამძღვარს ანუ აზნაურიშვილს მიეცეს სანთლის ბეგარა, ხატს მიერთმეოდეს“<sup>52</sup> ამ ცნობიდან გამომდინარე, სანთლის გადასახადის აკრეფა შეეძლო წინამძღვარსაც და აზნაურსაც, მაგრამ ბეგარა მათ ხატისთვის უნდა მიერთმეოდათ, იმერეთსაც და ოდიშსაც. ცხადია, ეს ხატი ბიჭვინთის ღმრთისმშობელი გახლდათ. იმერეთში ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი გელათის წმინდა გიორგის მონასტერში იყო დავანებული, როგორც საკათალიკოსო ცენტრში, ხოლო ოდიშში, სავარაუდოა, სწორედ ხობის მონასტერში ყოფილიყო დაბრძანებული. ლოგიკურია, რომ საკათალიკოსო მონასტრებში ყველგან ყოფილიყო ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი დასვენებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო ოდიშის სამთვაროს სხვა მხარეებშიც ფლობდა ყმაგლეხებს, თუმცა მათგან აკრეფილი ბეგარა ხობის მონასტერში არ შედიოდა.

ხობის მონასტერი აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციასაც წარმოადგენდა. წყაროების ანალიზის საფუძველზე, მკვლევარმა თემო ჯოჯუამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მცხეთის საპატრიარქოსგან გამოყოფილი აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრა სწორედ ხობში იყო და აფხაზეთის კათალიკოსად აღსაყდრებული ცაიშელ-ბედიელი იოაკიმე აქვე მოღვაწეობდა<sup>53</sup>. მოცემულ პერიოდში აფხაზეთის საკათალიკოსოს აღზევება-გაძლიერება ოდიშის ერისთავების ინტერესებით იყო განპირობებული. ისინი ბიჭვინთასთან ერთად ხობშიც მოსაყდრებდნენ 1470-1474 წლებიდან, ვიდრე 1553-1554 წლებამდე, როდესაც აფხაზეთის კათალიკოსების მთავარ მხარდამჭერად დადიანების ნაცვლად იმერეთის სამეფო კარი გამოვიდა და საკათალიკოსო ცენტრმაც გელათში გადაინაცვლა.<sup>54</sup> ხობში აფხაზეთის საკათალიკოსო ცენტრის არსებო-

<sup>51</sup> ხეც. Hd-4150, Ad-22251-v; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 107; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 673.

<sup>52</sup> ხეც. Hd-4150, Ad-22251-v; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, გვ. 105; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 671.

<sup>53</sup> თ. ჯოჯუა. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven-4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.) კურ. საქართველოს სიძველენი. №1. 2002, გვ. 123.

<sup>54</sup> თ. ჯოჯუა. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven-4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.), გვ. 131-132.



ბის იდეა გაიზიარეს ანზორ სიჭინავამ და გოგიტა ჩიტაიამ<sup>55</sup>.

ჩვენ მოგვეპოვება ორი მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ასახავს ხობის მონასტრისა და აფხაზეთის საკათალიკოსოს ურთიერთობას. 1. ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) სიგელი და იადგარი ხობის მონასტრისადმი,<sup>56</sup> 2. ვამეყ III დადიანის 1661 წლის სიგელი ბიჭვინთისადმი,<sup>57</sup> თუმცა ამ საბუთებში გარკვევით არ ჩანს ხობის მონასტრის სტატუსი და რაიმეს გადაჭრით თქმა გვიჭირს, რასაც ვერ ვიტყვით ლევან III დადიანის 1675 წლის საბუთზე, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ ხობის მონასტერი ძველთაგანვე ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის იყო შეწირული<sup>58</sup> და იგი აახლებს ამ შეწირულებას.

აფხაზთა კათალიკოსების დაინტერესება ხობის მონასტრით უკავშირდება ოდიშის სამთავროს გაძლიერებისა და იმერეთის სამეფოს დასუსტების პერიოდებს. 1660 წლიდან, ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის სამეფოში არნახული ფეოდალური ანარქია დაიწყო. ბუნებრივია, რომ აფხაზეთის კათალიკოსები ცდილობდნენ პოლიტიკურად შედარებით ძლიერი მოკავშირეები ეპოვათ. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძის ზეობისას ოდიშის სამთავროში დინასტიური ცვლილებები ხდება და სამთავროს ტახტს დადიან-ჩიქვანები ეუფლებიან. გაძლიერებულმა გიორგი ლიპარტიანმა ლევან IV დადიანი გააძევა სამთავროს ტახტიდან. ეს უკანასკნელი სტამბოლს გარდაიცვალა. ვახუშტი ბატონიშვილი 1691-1695 წწ. შორის ათავსებს ამ ამბავს.<sup>59</sup> ამის შემდეგ „დაიპყრა ოდიში ლიპარტიანმან და არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანადვე და თავობდა ლეჩხუმსაცა“<sup>60</sup>. დადიანის ტიტული გიორგი ლიპარტიანმა მიიღო 1701 წლისთვის, როცა ლევან IV დადიანის ერთადერთი ვაჟი, გიორგი, მოსკოვში გადასახლდა.<sup>61</sup>

საბუთებიდან აშკარად ჩანს გრიგოლ ლორთქიფანიძის სიმპატიები ახა-

<sup>55</sup> ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი. ხობი-თბილისი 2000, გვ. 8.

<sup>56</sup> ხეც. Hd-1551; ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. I. ტფ. 1889, გვ. 26-33; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 208-211.

<sup>57</sup> ხეც. Qd-9146-ა.

<sup>58</sup> სცსა. 1448-2225.

<sup>59</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 856.

<sup>60</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 856-857.

<sup>61</sup> თ. ბერაძე. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, გვ. 225.

ლი პოლიტიკური მმართველების მიმართ. დადიანების ძველი დინასტიის წარმომადგენელი ლევან IV საბუთებში ყოველთვის შედარებით ხარისხში და კნინობით ფორმაში იხსენიება ჩიქვანების წარმომადგენელ გიორგი ლიპარტიანთან მიმართებით. არაერთგან არის აღნიშნული, რომ ლევან IV დადიანის საკათალიკოსო ყმები მიიტაცა, მათი დაბრუნება კი, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი, გიორგი ლიპარტიანის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ 1696-1705 წწ. სიგელში ლევან დადიანის გამოწერილი და გიორგი ლიპარტიანის მიერ უკან დაბრუნებული ყმები არ იხსენიებიან. როგორც ჩანს, გიორგი ლიპარტიანის სამთავრო ტახტზე მომაგრების პარალელურად ხდებოდა აფხაზეთის კათალიკოსთა მხარდაჭერის მოპოვება. 1706 წლის საბუთის თანახმად, კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ შეწირული ყმები მისი გარდაცვალების შემდეგ ლევან დადიანმა მიიტაცა და მათი დაბრუნება მხოლოდ გიორგი ლიპარტიანის დახმარებით მოხდა. აღსანიშნავია, რომ საბუთში დასახელებული 25 ყმა-გლეხიდან 11-ის შესახებ ნათქვამია, რომ ლევან IV დადიანის მიერ იყო გამოწერილი და მათი კვლავ საკათალიკოსოსთვის გადაცემის საქმეში ხაზგასმულია გიორგი ლიპარტიანის ღვაწლი. ანალოგიური ვითარებაა 1712 წლის საბუთითაც, იმ განსხვავებით, რომ დასახელებულია 24 ყმა-გლეხი და მათგან 10 არის დაბრუნებული გიორგი ლიპარტიანის მიერ.

ამრიგად, ოდიშის სამთავროში აფხაზეთის კათალიკოსის გააქტიურება და ხობის მონასტრის კვლავ საკათალიკოსო ცენტრად გადაქცევა განპირობებული იყო იმერეთის სამეფოში შექმნილი არმყარი პოლიტიკური ვითარებით. გრიგოლ კათალიკოსი ოდიშის სამთავროს ახალი დინასტიის – ჩიქვანების მხარდამჭერად გამოდის და მათთან თანამშრომლობით ცდილობს ძლიერი დასაყდრენის შექმნას.

*Tea Kartvelishvili*

**KHOBI MONASTERY AND CATHOLICATE OF ABKHAZIA  
(IN THE PERIOD OF ADMINISTRATION OF GRIGOL  
LORTKIPANIDZE, CATHOLICOS OF THE ABKHAZIANS)**

Summary

Among historical documents of Khobi Monastery, one of the significant document is the “List of candles received and contributed to Khobi”, that contains the taxes of the church candels of the serfs of Khobi monastery, issued by Grigol Lortkipanidze, Catholicos of the Abkhazians (i.e. of Western Georgians). The document is supposedly issued after 1712 and before 1733. The serfs mentioned in the documents and belonging to the monastery are also mentioned among those contributed to Catholicate of Abkhazia (Western Georgia). Two different church seigneuries could not have common property. Conducted researches showed that Khobi Monastery was the monastery of Abkhazian Catholicate and consequently, they owned common serfs.

With the incentive of Grigol Lortkipanidze, the serfs belonging to Khobi Monastery are charged with the candle tax only, similar to the other Catholicate serfs.

In the late 17<sup>th</sup> and early 18<sup>th</sup> centuries, in result of processes ongoing in Abkhazia, when the territory between rivers Ghalidzga and Enguri was abandoned by local population and most Catholicate serfs scattered, due to efforts of Grigol Lortkipanidze, the serfs living in village Nazhaneuli were settled in Khobi, as the estate belonging to Catholicate and thus maintained them.

Periodically, Khobi Monastery served as the residence of Catholicos. Documents clearly evidence the political support to the new political rulers of Odishi Samtavro (political unit) from the side of Grigol Lortkipanidze. Levan IV, representative of the old dynasty of Dadiani is always mentioned in pejorative and neglectful form, compared with Giorgi Lipartiani, representative of Chikvani. In Odishi Samtavro, activation of the Catholicos of Abkhazia and transformation of Khobi Monastery into the Catholicate center again was conditioned by instable political situation in Imereti Kingdom. Catholicos Grigol is the supporter of Chikvani, the new dynasty of Odishi Samtavro and attempts to create powerful basis through collaboration with them.

*დამიტრი შველიძე*

## თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა და მისი შედეგები

XVII საუკუნის საქართველოს (ძირითადად კახეთის სამეფოს) მიმართ რუსეთის პოლიტიკის არსი, ნ. კარამზინის შეფასებაში დევს – ბუტურლინის ექსპედიციის დამარცხების შემდეგ, რუსეთმა 118 წლით დაკარგა კავკასიისადმი ინტერესიო. მართლაც, რუსეთის XVII საუკუნის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით კარამზინის სიტყვების ჭეშმარიტებაში. ამ საუკუნის პირველი ოცწლეულის პერიოდი რუსეთის ისტორიაში ცნობილია როგორც „არეულობის“, „შფოთის“ ანუ „სმუტის ხანა“. ბორის გოდუნოვის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ გაჩაღდა მწვავე ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათვის. ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ მცირე ხნით გამეფებული შემთხვევითი პირები და ავანტიურისტები, რომელნიც რუსეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოების მარიონეტებს წარმოადგენდნენ. არეულობით ისარგებლა პოლონეთმა და რუსეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირება მოახდინა. „სმუტის“ დამთავრების შემდეგ, XVII საუკუნის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, რუსეთი კონფრონტაციულ დამოკიდებულებაში იყო პოლონეთთან, შვედეთთან და მათ ხელში არსებული რუსული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა.

1632 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სმოლენსკის დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. 30 000-იანმა ჯარმა ქალაქს ალყაც შემოარტყა, მაგრამ უშედეგოდ. პოლონელებმა რუსთა ჯარი დაამარცხეს და 1634 წლის ზავის პირობებით სმოლენსკი, ჩერნიგოვი და ნოვგოროდ-სევერსკი მიიტაცეს. 1654-1667 და 1656-1658 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-პოლონეთისა და რუსეთ-შვედეთის ომები. ერთი სიტყვით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ყურადღება პოლონეთ-შვედეთისკენ იყო მიმართული.

რაც მთავარია, ამ პერიოდის რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა არ

ჩარუელიყო კავკასიის საქმეებში, არ გაელიზიანებინა ოსმალეთი და ირანი. 1637 წელს ღონელმა კაზაკებმა, რომლებიც ოსმალებს სიცოცხლეს უმწარებდნენ განუწყვეტელი თავდასხმებით, ციხესიმაგრე აზოვი აიღეს და რუსეთის მეფეს შეუთვალეს, თავისი ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა ციხე. ოსმალეთთან და ყირიმის ხანთან ომის პერსპექტივით შეშინებულმა მეფემ მიხეილ რომანოვმა (1613-1645 წწ.), უარი თქვა მუქთა შენადენზე და ბრძანა, აზოვი ძველი პატრონებისათვის – ოსმალებისათვის დაებრუნებინათ. ერთადერთი მიზანი, რაც რუსებს გააჩნდათ ჩრდილოეთ კავკასიაში, თავდაცვითი პოლიტიკის წარმოება და მის მფარველობის ქვეშ არსებული ტერიტორიების შენარჩუნება იყო, მაგალითად, თერგ-ქალაქისა, რომლის რეკონსტრუქციაც მიხეილ რომანოვის მმართველობის პერიოდში მოხერხდა.

ამგვარ ვითარებაში ცდილობდა რუსეთისაგან დახმარების მიღებას პრორუსული ორიენტაციის ერთ-ერთი თავგამოდებული ქართველი მეფე თეიმურაზ I დავითის ძე, ალექსანდრე II-ის შვილიშვილი. პირველად თეიმურაზმა მოსკოვში 1616 წლის თებერვალში გაგზავნა წერილი – თხოვნა. საპასუხოდ მოსკოვმა დიპლომატიური წარმომადგენელი ვერიოვკინი გამოაგზავნა. თეიმურაზს შემოუთვალეს, რომ მოლაპარაკებებისთვის ელჩები გაეგზავნა მოსკოვში, რათა დადგენილიყო, „როგორ უნდა მოექცე ჩვენი მეფური ხელის წყალობის ქვეშ ყველა შენი მტრისაგან დასაცავად“.<sup>1</sup> რუსეთი დიპლომატიურ თამაშებს იწყებდა – იმ პერიოდში იგი ვერც იოცნებებდა კახეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენაზე, მაგრამ სიტყვით მაინც აიმედებდა თეიმურაზს, ყველა მტრის წინააღმდეგ დაგეხმარებო. მალე თერგის ციხესიმაგრის გარნიზონის უფროსმა მოსკოვს შეატყობინა 1616 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე შაჰ აბასის მიერ კახეთის აკლების შესახებ. რუსეთის მეფემ კახეთისკენ გაგზავნილი თავისი შიკრიკი გზიდან უკან, მოსკოვში, დააბრუნა.

თეიმურაზმა, რომელიც შაჰის კახეთში ლაშქრობების შემდეგ დევნილობაში იმყოფებოდა, 1618 წელს მოსკოვში გაგზავნა ელჩობა და რუსეთის მეფეს თხოვა შუამდგომლობა-გამოქომაგება, რათა შაჰ აბასს აღარ აეოხრებინა მისი ქვეყანა. ამავე დროს შაჰ აბასს სამშობლოში უნდა დაებრუნებინა თეიმურაზის შვილები და დედა, რომლებიც მას ირანში მძევლებად ჰყავდა გაგზავნილი. სხვათა შორის, კახთა მეფე აცნობიერებდა მაშინდელი რუსეთის არასაკმარის სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს და მიხეილ თევლორეს ძეს

<sup>1</sup> Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб. 1968, გვ. 59.

სამხედრო დახმარებას არ თხოვდა. ამის მიუხედავად, თეიმურაზის იმედი რუსეთის მხრიდან დიპლომატიური მხარდაჭერისა, არ გამართლდა.

1618 წლის მაისში ირანში ჩავიდა რუსეთის ელჩობა მ. ბარიატინსკის ხელმძღვანელობით. მას ორმაგი დავალება ჰქონდა. თუ გამოირკვეოდა, რომ თეიმურაზი ოსმალეთთან კავშირში აღარ იყო და არც შაჰ აბასი აპირებდა კახეთში მორიგ ლაშქრობას, მაშინ ელჩი მადლობას მოახსენებდა აბასს, რომ მან გაითვალისწინა რუსეთის მეფის თხოვნა და აღარ ომობს „ქართულ მიწებზე“. ხოლო თუ გაირკვეოდა, რომ თეიმურაზი სულთანთან კავშირშია, მაშინ კრინტიც არ უნდა დაედრათ კახეთის შესახებ. ბარიატინსკის ელჩობის მიზანი მოსკოვის ირანთან კეთლმეზობლური ურთიერთობის გაღრმავება და სესხის თხოვნა იყო. ამიტომ თავიდანვე გამოირიცხა თეიმურაზის მხარდაჭერა, მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში, კახეთის ლტოლვილი მეფე თავს ოსმალეთს აფარებდა. რუსეთის დიპლომატია და პირადად მეფე მიხეილი ტკბილი სიტყვებით ამშვიდებდნენ თეიმურაზს, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მისი ელჩობის მოსკოვში გაგზავნის გამო და აიმედებდნენ, შაჰს შეუუთვალეთ, „ივერიის“ მეფეები ადრე რუსეთის მფარველობის ქვეშ იყვნენო. ცხადია, ამ სიტყვების უკან არავითარი რეალური დახმარება არ იგულისხმებოდა.

თეიმურაზის ცდები რუსეთთან კავშირის აღდგენისა და მოსკოვის თუნდაც ფრთხილი მესიჯები კახეთ-საქართველოს მფარველობაზე მხოლოდ და მხოლოდ აღიზიანებდა შაჰ აბასს. მას უფრო უმტკიცებოდა აზრი, რომ „წყვეული გურჯისტანის“ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ მახვილით თუ არ გადაჭრიდა, საქართველოს დაკარგავდა. ამ წლებში თეიმურაზის პრორუსულმა პოლიტიკამ, მის მიერ ელჩობის გაგზავნამ მოსკოვში და ბარიატინსკის ელჩობამ ირანში, უფრო ნეგატიური შედეგი გამოიღო. 1620 წელს თეიმურაზის სიჯიუტით განრისხებულმა შაჰმა კახთა მეფის შვილები, ლევანი და ალექსანდრე, დაასაჭურისებინა. ლევანი გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე ჭკუაზე შეცდა. შაჰ აბასმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია რუსეთის ხელისუფლების შესაძლო უკმაყოფილებას და გადაწყვიტა სათავეშივე ჩაეკლა რუსეთ-საქართველოს ახლად აღდგენილი ურთიერთობების პერსპექტივა. თეიმურაზის შვილების დასჯით ირანი რუსეთს აგრძნობინებდა, რომ არ მოითმენდა რუსეთის ჩარევას საქართველოს საქმეებში, იმ ქვეყნის საქმეებში, რომელიც მას თავის სამფლობელოდ მიაჩნდა.

რუსული დიპლომატია ირანის შაჰთან საქართველოს საკითხის დიად დასმას და გამოქომაგებას ერიდებოდა, მაგრამ ცდილობდა თავისი სათქმელი

ირანელი ელჩებისთვის მაინც შეეპარებინა. ჯერ კიდევ 1614 წლის დეკემბერში, რუსეთის საელჩო „პრიკაზში“ შემდგარ საუბარში, რუსეთის დიპლომატიური მოხელე პ. ტრეტიაკოვი ირანელ ელჩს ხოჯა მურთაზს უსაბუთებდა, რომ კახეთის სამეფო ჯერ კიდევ ალექსანდრე II-ის დროიდან იყო რუსეთის მეფის სამსახურში და გაკვირვება გამოთქვა, ირანის მიერ კახეთის აოხრების გამო, მაგრამ საუბრის ბოლოს არ დაავიწყდა, დაემატებინა, რომ ეს მისი პირადი აზრი იყო. მისი სიტყვით, საქართველოს საქმეზე, რუსეთისა და ირანის მეფეები თვითონ შეთანხმდებოდნენ.

1615 წლის ივნისში, როდესაც ყიზილბაშები მეორედ აოხრებდნენ კახეთს, მოსკოვში ირანიდან დაბრუნდა რუსი ელჩი შახმატოვი და ჩაიტანა შაჰის ფირმანი. აბას I კატეგორიულად უცხადებდა რუსთა ხელმწიფეს: თუ თქვენს მხარეს დაიჭერენ კახელები, მიუხედავად ჩვენი მეგობრობისა და სიყვარულისა, მათ ჩვენკენ მობრუნებას არ მოვერიდებით.<sup>2</sup>

ერთი სიტყვით, 1616-1618 წლებში, როდესაც თეიმურაზ I რუსეთისაგან დიპლომატიური დახმარების მიღებისათვის ელჩობას გზავნიდა და ერთხანს თვითონაც ფიქრობდა მოსკოვში გამგზავრებას, რუსეთისათვის კახეთის მხარდაჭერა მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენდა და გამორიცხავდა რაიმე რეალურ შედეგს. პირიქით, სუსტი დიპლომატიური სიგნალები, რომლებიც შაჰის ყურამდე აღწევდნენ, უფრო ნეგატიურ ფონს ქმნიდა ირან-საქართველოს ურთიერთობაში. რუსეთის კახეთში ფეხის მოკიდების პერსპექტივა ირანის შაჰს მხოლოდ „გურჯისტანის საკითხის“ ძალისმიერი გადაწყვეტისაკენ უბიძგებდა.

აღნიშნულის მიუხედავად, 1614-17 წლებში კახეთში შაჰ-აბასის ლაშქრობებში რუსეთის ფაქტორს მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი შეიძლება ეთამაშა. თეიმურაზ მეფის ელჩობა ხარიტონის მეთაურობით მხოლოდ 1618 წელს ჩავიდა მოსკოვში – ე. ი. *post factum*, კახეთში ყიზილბაშთა ოთხი განადგურებელი ლაშქრობის შემდეგ. კახეთის განადგურება ვერც თეიმურაზ I-ის რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას დაბრალდება. მაშ, რა იყო კახეთის მოთხრის ჭეშმარიტი მიზეზი?

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია, თითქოს დადგენილია და აღიარებულია ეს მიზეზი – იგი შაჰ აბასის იდეიდან მომდინარეობდა და მიზნად ისახავდა კახეთის დაცლას მკვიდრი მოსახლეობისაგან, მის გადასახლე-

<sup>2</sup> Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, გვ. 68.

ბას ირანში და მის ადგილზე ყიზილბაშურ-თურქმანული ტომების ჩამოსახლებას. მაგრამ არ არის გარკვეული და დადგენილი, როდის და რა მიზეზით უნდა შეეშავებინა ეს ანტიქართული პროექტი ირანის შაჰს.

აი, დამახასიათებელი თეზისი: „შაჰი თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას, იქ მაჰმადიანი მოსახლეობის ჩასახლებასა და სახანოების შექმნას. იგი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა თავისი მიზნის განსახორციელებლად“.<sup>3</sup> აქ ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს შაჰ აბასს კახეთის მოთხრა უკვე 1603 წლიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, როდესაც ოსმალეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. სამწუხაროდ, ამგვარ თეზისს არასოდეს არ ახლავს სათანადო წყაროს მითითება. თეზისი კი თავისთავად შეიცავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე ქვეყნის დაპყრობის სხვადასხვა ფორმისა და ხარისხის მქონე პროცესების გაუმიჯნაობას, უზუსტობას. სხვადასხვა კატეგორიებია: ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობა; სამეფოების დამორჩილება; მაჰმადიანური მოსახლეობის ჩასახლება; სახანოების შექმნა და ა. შ. საეჭვოა, რომ ეს ყველაფერი ერთდროულად და თავიდანვე ჰქონოდა მიზნად დასახული აბას I-ს. მით უფრო, რომ საამისო მითითებები და წყაროები არ არის დადასტურებული.

უფრო სარწმუნოდ და ბუნებრივად მოჩანს ის, რომ შაჰ აბასი თანდათან და გარკვეული გარემოებებისა და მოვლენების შემდეგ მივიდა თავის ზემოაღნიშნულ საშინელ გადაწყვეტილებამდე – მოესპო კახეთის სამეფო და მისი მოსახლეობა. 1603 წელს წამოწყებული ომის მთავარი მიზანი ამასიის ზავის პირობების აღდგენა ანუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაბრუნება, კერძოდ, ქართლისა და კახეთის სამეფოების დაპყრობა გახლდათ. შაჰ აბასის ეს განზრახვა სადავო არ არის. საფიქრებელი ის არის, რომ კახეთის მოსახლეობის დეპორტაცია შაჰის თავდაპირველ გეგმებში არ შედიოდა. მით უფრო არ ითვალისწინებდა იგი ქართლის მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც.

1606 წელს შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეებად, შესაბამისად, 14 წლის ლუარსაბი და 16 წლის თეიმურაზი დაამტკიცა. ახალგაზრდა მეფეებს დიდი სიფრთხილე ჰპართებდათ ირანის მეტად შორსმჭვრეტელ მბრძანებელთან ურთიერთობაში. გავიხსენოთ, თუ როგორ ახერხებდნენ ისინი ამას.

ამჯერად ჩვენ უფრო თეიმურაზის პიროვნება გვაინტერესებს. ქართლიდან ახლად გასულმა შაჰმა შემახას ალყა შემოარტყა და დასახმარებლად

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. რედ. მამია დუმბაძე. თბ. 1973, გვ. 262.



თეიმურაზი იხმო ჯარითურთ. ამ უკანასკნელმა თავის სიუზერენს უარი შეუთვალა და ლაშქრობისაგან განთავისუფლება სთხოვა. ისკანდერ მუნში წერს: „მაგრამ მან (თეიმურაზმა) ზოგიერთი იმ ბოროტგამზრახველის მიერ ცდუნებულმა, რომელნიც მუდამ აცდენდნენ უვიცს და გამოუცდელ (თეიმურაზს) სწორ გზას და არწმუნებდნენ მას, არ წასულიყო ცის მსგავს სასახლეში (შაჰის კარზე), ყალბი ბოდიში მოითხოვა და ითხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ იმუამად მაღალ კარზე ხლებისაგან და რომ გამოგზავნიდა თავის დედას, დედოფალს, რომელიც (მისი) ქვეყნის მთავარი საქმეების გადამწყვეტი იყო, რამდენსაც შეძლებდა და მოახერხებდა, იმდენის ლაშქრით“.

იმ საბაბით, რომ ქართველი მეფის გამოუცხადებლობა სხვა ქვეშევრდომებისათვის დაუმორჩილებლობის ცუდი და გადამდები მაგალითი არ გახლესო, შაჰმა თეიმურაზისთვის შეათვლევინა უბრალოდ, „ის მარტო მსუბუქად გვეახლოს“, ლაშქრობისაგან განთავისუფლება და უკან დაბრუნების ნებართვა გვთხოვოსო. მაგრამ, – განაგრძობს შაჰის მეხოტბე-ისტორიკოსი ისკანდერ მუნში, „(თეიმურაზმა) ბოროტგამზრახველების წაქეზებით, ამჯერად საპატიო მიზეზის გარეშე უარი თქვა (მოსვლაზე) და (შაჰის) სამსახურზე ბედნიერებას არ ეზიარა... რამდენიმე დღის შემდეგ მაღალ ურდოში მოვიდა დედამისი ქართველთა ჯარის ერთი რაზმით, რომელიც სულ ათასზე მეტი კაცისაგან არ შედგებოდა... ხელმწიფეს ეწყინა ეს უხამსი საქციელი“, მაგრამ არ შეიმჩნია. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ შაჰ აბასის მლიქვნელი ისტორიკოსის არგუმენტები ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, მაგრამ მას ანგარიში მაინც უნდა გავუწიოთ. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თეიმურაზის საქციელში პირადი პასუხისმგებლობისაგან გაქცევა-არიდება და მშობლის კალთას ამოფარება იკითხება.

შაჰმა წყენა გულში ჩაიკლა. ოსმალეთთან ომი გრძელდებოდა და კახთა ან მათი მეფის დასჯაზე ფიქრის დრო არ იყო. მან ქეთევან დედოფალს ირანულ-ყიზილბაშურად პატივი სცა: „თეიმურაზის დედა გაბედნიერებული იქნა ხელმწიფის ჰარამხანის მანდილოსნებთან შეხვედრით“, ხოლო კახთა რაზმისათვის არაფერი დაუვალეზა.<sup>4</sup>

1610 წლის ზაფხულში შაჰმა ისევ დაიბარა თეიმურაზი. ეს უკანასკნელი ამჯერად ეახლა ირანის მბრძანებელს და ამით ცოტათი გამოასწორა-გა-

<sup>4</sup> ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურძემ. თბ. 1969, გვ. 70.

მოისყიდა თავისი ადრინდელი ურჩობა. საბოლოო კონფლიქტის პირობები 1612 წლის ზაფხულში შეიქმნა. შაჰმა კვლავ დაიბარა თეიმურაზი და ქართლის მეფე ლუარსაბ I. ირანის მბრძანებელს არც ერთი ეახლა და არც მეორე, რაც „აჯანყებას უდრიდა – ამით ისინი შაჰის ვასალობაზე უარს ამბობდნენ“.<sup>5</sup> გაურკვეველია, რამ მისცა საფუძველი ქართველი მეფეების ამ უცნაურ ერთსულოვნებას. ირან-ოსმალეთის ომის სასწორი ირანის გამარჯვებისკენ იყო გადახრილი. ქართველი მეფეების საქციელი ოსმალეთის მძლეველ ირანთან ქართლისა და კახეთის დაპირისპირებას და მასთან მარტოდ დარჩენას ნიშნავდა.

მართლაც, 1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ირან-ოსმალეთის ზავი დაიდო. ძირითადად აღდგა ამასიის ზავის პირობები. შაჰმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ესარგებლა ზავით და დაეპყრო ქართლ-კახეთი. მან თავი მოუყარა ჯარებს და 1613 წლის ოქტომბერში საქართველოსაკენ დაიძრა, თან ხმებს ავრცელებდა, ვითომდა ოსმალეთის დასალაშქრავად მიდიოდა. 1613-14 წლების ზამთარი შაჰმა განჯაში გაატარა.

რას აკეთებდნენ ამ დროს ქართველი მეფეები? მეფე-პოეტი არჩილი თავის ცნობილ პოემაში: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომელშიც კახთა მეფის ცხოვრებაა აღწერილი, თეიმურაზს ათქმევინებს: ირანის შაჰი „განჯას მოვიდა მოპარვით, ამბავი ვერ ვსცანთ მოსვლისა, სიტყვა რამ შემოეთვალა იქილამ სხვაგან წასვლისა“. ე. ი. ირანელთა გამოზამთრება მეზობელ განჯაში ქართველ მეფეებს „მოპარვად“ ჩაუთვლიათ და ამიტომაც არც საომრად მომზადებულან, თუმცა არც მორჩილებას აპირებდნენ.

აბასმა თეიმურაზს მძევლებად შვილები მოსთხოვა. ცხადია, ირანის შაჰი ვერაგულადაც მოქმედებდა და უზნეოდაც. იგი გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა მეფეებს, მაგრამ სწორედ ამგვარი მწარე რეალობა მოითხოვდა მეფეებისგან გონივრულ, შორსმჭვრეტელ, აწონილ-დაწონილ და თავგანწირულ მოქმედებასაც. პირველ რიგში, მათ ის უნდა გადაეწყვიტათ, აპირებდნენ თუ არა ბრძოლას და თუ აპირებდნენ, რა რესურსებით, შესაძლებლობებითა და ვისი იმედით. სწორედ ეს ვერ გადაწყვიტეს. თეიმურაზმა მძევლებად თავისი უმცროსი შვილი ალექსანდრე და დედა ქეთევანი გაუგზავნა შაჰს, ხოლო მოგვიანებით, უფროსი შვილი ლევანიც. ასეთი მძიმე გადაწყვეტილების შემდეგ ცხადია, თეიმურაზი თითქოს სრული მორჩილების გზას უნდა დადგომოდა, მაგრამ მან საწინააღმდეგო ქმედება, დაგვიანებული და აზრს მოკლებული

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 262.

მზადება დაიწყო საომრად. თუ ომს აპირებდა, მძევლებს რაღას აგზავნიდა?

ამის შემდეგ შაჰმა თვით თეიმურაზი დაიბარა, მაგრამ კახეთის მეფე არც ამჯერად წავიდა ირანის მბრძანებელთან და კვლავ განაგრძო ომისათვის მზადება. შაჰ აბასის პირველი ლაშქრობა რომ კახეთის აოხრებით დამთავრდა, კარგადაა ცნობილი. აქ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ თეიმურაზის ნახევრად მორჩილებამ თუ დაუმორჩილებლობამ მშვენიერი საბაბი მისცა აბასს, კახეთი აეკლო. ქართველი მეფეები თითქოს ახლა მიხვდნენ წინააღმდეგობის უაზრობას, დასავლეთ საქართველოში გაიქცნენ და იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1605-1639 წწ.) კარს შეეხიზნენ. შაჰმა იმერეთის მეფეს სტუმრების გაცემა მოსთხოვა. სტუმარ-მასპინძელს შორის დიდი ბჭობა გაიმართა. ლუარსაბმა განაცხადა, რომ შაჰთან წასვლა აუცილებელი იყო. გიორგი III და თეიმურაზი დაბეჯითებით ურჩევდნენ ქართლის მეფეს, რომ თავი არ დაეღუპა და შაჰთან არ გამოცხადებულყო. მაგრამ ლუარსაბი მტკიცე ნებისყოფის კაცი აღმოჩნდა – მან ქვეყნის ბედი საკუთარ თავზე მალლა დააყენა. არჩილი აკი ათქმევინებს ლუარსაბს:

„ანუ ქართლი ავაოხრო დახოცით და მერე წვითა“!

გვითხრა: „წავალ უსაცილოდ, აბა თქვენ და აქა სვითა“!

თეიმურაზი ერთში მართალი იყო, შაჰი რომ სიკეთეს არ უმზადებდა ლუარსაბს, ცხადი ჩანდა, მაგრამ თუ არ წავიდოდა, მის ქვეყანას რა სიკეთეს დააყრიდნენ? კახეთის მაგალითი წინ იდო. ლუარსაბმა თავი გაწირა, ჯერ ქვეყნისათვის, მერე კი სარწმუნოებისათვის. როცა შაჰმა ისლამის მიღება მოსთხოვა, ახალგაზრდა მეფემ უარი განაცხადა და ამისათვის მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა. ფაქტია, ქართლი გადარჩა აოხრებას.

თეიმურაზს შაჰთან გამოცხადება არც უფიქრია. ის ეტყობა განსხვავებულად სჯიდა. მან ფაქტობრივად, საკუთარი მეფობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში კომპრომისი არ დაუშვა და სახანოდ კახეთის გადაქცევა გამორიცხა. რაც მთავარია, მან ამ მიზნისათვის გაწირა ყველა და ყველაფერი. ამგვარმა პოლიტიკამ ჯერ შეცლომების, მერე მძიმე შეცლომებისა და საბოლოოდ დანაშაულის სახე მიიღო. გავიხსენოთ შემდეგი მოვლენები.

1614 წელს ირანელებმა აღმოსავლეთ საქართველო დატოვეს. აქ მათი გარნიზონები დარჩა. 1615 წლის მაისში ოსმალეთმა ჯარების თავმოყრა დაიწყო ირანის საზღვრებზე. იმერეთში მყოფმა თეიმურაზმა კახეთს აჯანყებისაკენ მოუწოდა. კახელები მართლაც აჯანყდნენ, ირანელები განდევნეს და თეიმურაზი კვლავ მეფედ მიიპატიჟეს. თეიმურაზმა შაჰის მიერ კახეთში გა-

მოგზავნილი ალი ყული ხანის ლაშქარი გაანადგურა. ამის შემდეგ ისლა დაგვრჩენია, „ირანის ლომის“ გააფთრებული სახე წარმოვიდგინოთ. როგორც აბასის ფეხის მტკერი – მემატანე ისკანდერ მუნში წერს, „შაჰის უწმინდეს გონებას ხელმწიფის კეთილშობილური ალტკინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ძალით ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნირების დამწველი მეხი იყო“.

საერთოდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გადაჭარბებულია შაჰ აბასის პირველი ლაშქრობის სისასტიკის აღწერა. ცოტა რამ ირანულ წყაროებსაც უნდა დაუჯეროთ. მაგალითად, იგივე მუნში გვარწმუნებს, რომ პირველი ლაშქრობის დროს ყიზილბაშები შაჰის შიშით ვერ ბედავდნენ კახეთის მოსახლეობის დარცვა-გლეჯას. რა თქმა უნდა, ისინი არც ჰუმანურად მოექცოდნენ დაპყრობილ ქვეყანას, მაგრამ, ფაქტია, პირველი ლაშქრობა არ იყო ისეთი საშინელი მასშტაბებისა და მიზნების მატარებელი, როგორც აბასის მომდევნო შემოსევები. პირველი ლაშქრობის დიდი სისასტიკის შესახებ არც „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის ცნობებს. აქ უფრო იმაზეა საუბარი, რომ ყიზილბაშებმა ეკლესია-მონასტრები წაბილწეს და გაძარცვეს. ქართული წყარო თავისი დუმილით თითქოს ადასტურებს მუნშის ცნობას, რომლის მიხედვითაც, ყიზილბაშებს განსაკუთრებით დაუზარალებიათ კახეთის ორი ოლქი, ერწო და თიანეთი, საიდანაც წაუსხიათ 30 000 ტყვე და დიდძალი საქონელი.

აი, სულ სხვა იყო ყიზილბაშების მეორე ლაშქრობა, მაგრამ ჯერ ამ კატასტროფის მიზეზებზე შევეჩერდეთ. აშკარად ჩანს, რომ შაჰ აბასს პირველი ლაშქრობისას მხოლოდ ქართლ-კახეთის დაპყრობა და როგორც თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი წერს, „საქართველოს ვილაიეთის ირანთან შეერთება ჰქონდა გადაწყვეტილი“.<sup>6</sup> აქ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ამჯერად ჩვენთვის იმ გარემოებასაც, რომ შაჰს, რა თქმა უნდა, სამეფოები უნდა გაეუქმებინა და ისინი სახანოებად გარდაექმნა. ჩვენთვის ისაა მთავარი, რომ ამჯერად შაჰ აბასს ქართლისა და კახეთის მოსახლეობის აყრა და გადასახლება მიზნად არ ჰქონია და ჯერჯერობით, არც საამისო ნაბიჯი გადაუდგამს.

ამ გადაწყვეტილებამდე შაჰი კახეთის 1615 წლის აჯანყებამ, ალი ყული ხანის ყიზილბაშური ჯარის გაწყვეტამ და თეიმურაზის კვლავ გამეფებამ მიიყვანა. მძიმე დანაშაულის ტოლფასი შეცდომა დაუშვა არა მარტო თეიმუ-

<sup>6</sup> ნასროლა ფალსაფი. შაჰ აბას პირველის ცხოვრება. უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული. ისტორია. თბ. 1978, გვ. 37.

რაზმა, არამედ, საერთოდ, კახეთის სამეფოს მიეღმა პოლიტიკურმა ელიტამ, მაშინდელმა ცნობილმა მოღვაწეებმა: დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ, შერმაზან ჩოლოყაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც თეიმურაზის წაქეზებით აჯანყება მოაწყეს. ეს უკვე მერამდენედ გამოავლინა თეიმურაზმა თავისი არა-შორსმჭვრეტელობა, სპონტანურობა, აჩქარებულობა, ვერ გათვალა ელემენტარული მოსალოდნელი შედეგები, გამოავლინა ის, რასაც პოლიტიკის სფეროში ირაციონალიზმი შეიძლება ეწოდოს. ამას დაემატა კიდევ ერთი პოლიტიკური სიბეცე – თეიმურაზმა ირანის მოსისხლესთან, ოსმალეთთან დაამყარა კავშირი და ოსმალეთის ხონთქარს მოკავშირედ გაუხდა, იმ ოსმალეთს, რომელსაც არა მარტო ირანი, არამედ რამდენიმე ევროპული ქვეყანა: ავსტრია, პოლონეთი, ბალკანელები, რუსეთი და სხვანი ებრძოდნენ.

როგორ არ უნდა დაეჯეროს ისევ შაჰის გამაღმერთებელ ისტორიკოსი ისკანდერ მუნშისეულ შეფასებას: „რადგანაც ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ვილაიეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა გაწყვეტა და ისლამის გამშვენირება, იმ ურჯულოთა ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა... ამიტომ ბედკრულმა თეიმურაზმა, ბედის შემობრუნების გამო, ყველაფერი გააკეთა თავისი უბედურების და იმ საწყალი ხალხის დახოცვისა და დარბევისათვის“.<sup>7</sup>

კახეთში ნამდვილი კატასტროფა დატრიალდა. 100 000 მცხოვრები მტერს შეაკვდა, 200 000 ირანში გადაასახლეს. აყვავებული ქვეყანა, სადაც ალექსანდრე II-ის დროს, „მოარული ყველა მღერდა“, ხოლო თვით მეფე ჩოდა თურმე, ხალხი ისეა მოძრავლებულ-მოშენებული, რომ კახეთში სანადირო ადგილები აღარ დამრჩაო – უდაბურ, მიტოვებულ, გაპარტახებულ ტერიტორიად იქცა. სამწუხაროდ, კახეთის დაქცევის ერთ-ერთი მიზეზი სამეფოს მაშინდელი ელიტისა და მისი მეთაურის, თეიმურაზ I-ის ახლომხედველური პოლიტიკა აღმოჩნდა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას.

თეიმურაზ I-ის შეცდომებმა ყველაზე რელიეფურად რუსეთთან ურთიერთობაში იჩინა თავი. სამწუხაროდ, უკვე 1618-1619 წლებიდან ამ შეცდომებმა სულ უფრო მწარე შედეგების მოტანა იწყო, ჯერ თვით თეიმურაზის ახლო გარემოცვისათვის, მერე კი – მისი ქვეყნისათვის. ჩვენ იმას სრულიადაც არ უარყოფთ, რომ ქართველი მეფეების ლტოლვა რუსეთისკენ, მაჰმადიანურ-აგრესიულ გარემოცვაში დარჩენილი საქართველოსთვის, სავსე-

<sup>7</sup> ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 102.

ბით ბუნებრივი მოვლენა გახლდათ. მაგრამ რუსეთზე იმედის დამყარება და მისი დახმარების მოლოდინი XVII საუკუნის მანძილზე და XVIII საუკუნის დასაწყისის პერიოდში სრული ილუზია იყო. ეს ილუზია თავის ძირითად პოლიტიკურ კურსად აქცია თეიმურაზ I-მა. მისი პრორუსული ირაციონალური პოლიტიკის პირველ მსხვერპლად, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ მისივე მძევალი ვაჟიშვილები იქცნენ.

1623 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზის ელჩი არქიეპისკოპოსი თეოდოსი. კახთა მეფე სიგელით ეკითხებოდა რუსეთის ხელმწიფეს, მიხეილ თევდორეს ძეს: ჯარს მომცემ დასახმარებლად, თუ ფულს. მოსკოვში კახეთის ელჩს არაორაზროვნად აუხსნეს, რომ არც ერთით და არც მეორით არ შეეძლოთ დახმარება.<sup>8</sup> ამის შემდეგ თეიმურაზის ელჩმა მოსკოვის ხელისუფლებას სთხოვა, დიპლომატიური არხით მაინც დახმარებოდა განდევნილობაში მყოფ მეფეს და შაჰ აბასთან ეშუამდგომლა. რუსეთი ისე ერიდებოდა ძლევამოსილ ირანის შაჰთან მეგობრული ურთიერთობებისათვის ჩრდილის მიყენებას, რომ შუამდგომლობაზეც უარი თქვა. ყველაფერი ეს კი იმით დამთავრდა, რომ თეიმურაზის ანტიირანული დემარშებით გაღიზიანებულმა შაჰ აბასმა 1624 წლის 12 სექტემბერს არაადამიანური წამებით მოაკვლევინა თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი. საკმაო საფუძველი არსებობს იმისა, რომ კახთა დედოფლის წამებული სიკვდილი თეიმურაზ მეფის ოსმალეთთან კავშირისა, რუსეთში მორიგი ელჩობისა და დახმარების ძიების პირდაპირ შედეგად მივიჩნით.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1634 წელს, თეიმურაზმა კახეთის ტახტი დაიბრუნა. იგი, როგორც წინა შემთხვევებში, კვლავ მიიწვიეს. კახეთში დაბრუნება, ცხადია, არ მომხდარა რუსეთის არანაირი ჩარევით. თეიმურაზი ირანთან კომპრომისზე წავიდა. მან ახალ შაჰს, სეფი I-ს, თავისი ქალიშვილი თინათინი მიათხოვა. შაჰ სეფი (1629-1642 წწ.) ოსმალეთთან ახალი ომის მოლოდინში იყო და თეიმურაზთან შერიგება ხელს აძლევდა. მან საჩუქრები გამოუგზავნა თეიმურაზს და კახეთში მისი გამეფება ცნო. თითქოს სტაბილური ვითარების პირობები შეიქმნა. თეიმურაზს წინ ქართლში როსტომ-ხანის მმართველობის მაგალითი ელო – 1632-33 წლებში ირანის შაჰმა ქართლის მეფედ დანიშნა სვიმონ მეფის ძმის – დაუთ ხანის შვილი, გამაჰმადიანებული როსტომი (ხოსრო-მირზა). მართალია ქართლმა ფაქტობრივად დამოუკიდებ-

<sup>8</sup> Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, გვ. 87.

ლობა დაკარგა, მაგრამ ქვეყანამ ცოტა ხნით მშვიდობიანად მოისვენა და აღმშენებლობა დაიწყო. თეიმურაზი უკეთეს ვითარებაში იმყოფებოდა – იგი კახეთში ქრისტიანობის უფლებით იჯდა მეფედ და ვასალურ სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებდა.

აი, ამგვარ პირობებში, როცა ძირიანად მოთხრილ კახეთს მშვიდობიანობის პერსპექტივა შეექმნა, თეიმურაზმა მორიგი ელჩობა გაგზავნა რუსეთში – 1635 წელს. თეიმურაზი მეფე მიხეილ რომანოვს გულნაკლულად საყვედურობდა, თქვენ სრულიად დაგვივიწყეთ დიდი ხნის განმავლობაშიო, ჩვენ კი, ღმერთია მოწამე, სულ გვახსოვდითო. ჩვენ თქვენთან მეგობრობა გვინდა, მაგრამ ამას ხელს უშლის ირანის შაჰიო, რომელიც შიშობს, რომ ჩვენ თქვენთან არ შევერთდეთო. მერე კი ტრაბახობს კიდევ დაქცეული კახეთის მეფე: „ახლა მე თეიმურაზი, ერთი ვარ მის წინააღმდეგ, ხოლო მას არ შეუძლია ჩემი ძლევა, ხოლო – თუ მოსკოვის მეფესთან სიყვარულით ვიქნები, ის მე ვერასოდეს ვერ მძლევს“.

რუსეთის ილუზორული დახმარებით დაიმედებული თეიმურაზ I, 1639 წლის 23 აპრილს ფიცს დებს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე, რასაც მოსკოვი დაჟინებით ითხოვს. ერთგულების ფიცი რუსეთის მფარველობას ნიშნავს, ეს იყო ალექსანდრე II კახთა მეფის 1587-89 წლებში დადებული ფიცის წიგნის ანალოგიური ხასიათის აქტი.

რუსეთი მარტო კახეთის კი არა, მთელი „ივერიის მიწების“ დაცვას კისრულობდა, ოღონდ ქაღალდზე. მას არც ახლა, არც შემდგომში, ერთი ჯარისკაციც არ გამოუგზავნია „უბედური თეიმურაზის“ (ისკანდერ მუნში) დასაცავად. სამაგიეროდ, თავადი ფ. ვოლკონსკის მეთაურობით კახეთში წარმოგზავნილმა ელჩობამ მოსკოვიდან ჩამოიტანა მრავალი საეკლესიო ჭურჭლეულობა, 300 ხატი, წიგნები, ხატმწერები... იგივე ან მსგავსი სურათი განმეორდა მომდევნო ელჩობების დროსაც, რომლებიც მიდი-მოდოდონენ გრემსა და მოსკოვს შორის. 1643 წელს რუსეთის მეფე მიხეილ რომანოვი კახეთის მეფეს წერდა: „ყველა შენი მტრებისაგან მოწყალე უფალი დაგიფარავს. ხოლო როცა მოვა დრო, ჩვენც შენ მეფე თეიმურაზს, ჩვენს მეფურ მოწყალეებსა და დახმარებას გავუწევთ“.<sup>9</sup>

ასეთი დრო არ დადგა. 1648 წელს თეიმურაზი საბოლოოდ დამარცხდა და იძულებული გახდა კახეთს სამუდამოდ გამოთხოვებოდა. მისმა უკომპრო-

<sup>9</sup> М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских отношений 1615-1640 гг. Тб. 1937, გვ. 173

მისო პოლიტიკამ ისედაც გაოხრებული სამეფო, სისხლისაგან დაცალა. დამარცხებულ მეფეს თვით ყველაზე ერთგული თანამებრძოლებიც კი გადაუდგნენ და როსტომ ქართლის მეფეს თეიმურაზის დატყვევებას სთხოვდნენ. თეიმურაზმა კვლავ იმერეთს შეაფარა თავი, ხოლო კახეთი შაჰმა როსტომ ხანს უბოძა.

თეიმურაზმა ახლა უფრო მეტი ენერგიით და ჯიუტად განაგრძო რუსეთში ელჩების გაგზავნა. ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან – 1648 წლიდან, მისმა ბრძოლამ დაკარგა ის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათი, რაც აქამდე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა და მიიღო საკუთარი მეფობისა და ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის შინაარსი. ამ ბრძოლას კახეთ-საქართველოსათვის – რუსეთის დახმარებით თუ რუსეთის ჩარევით ამიერიდან, მხოლოდ უარყოფითი შედეგების მოტანა შეეძლო და ასეც მოხდა. ირანისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ თეიმურაზთან კომპრომისი შეუძლებელი იყო და მან საბოლოოდ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ მოემალა ის საფუძველი, რომელიც თეიმურაზისთვისაც და რუსეთისთვისაც სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრების ბაზას წარმოადგენდა – კახეთის მოსახლეობა. ირანში კახეთის მკვიდრი მოსახლეობის სრული გადაშენება გადაწყვიტეს. 1656 წელს კახეთი როსტომს ჩამოართვეს და განჯის ხანს – სელიმს გადასცეს. ეს გეგმის პირველი ნაწილი გახლდათ. შემდგომში ირანელებმა კახეთში სამი დიდი ციხე ააგეს, კახეთი ორად გაყვეს, ისინი ყიზილბაშ ხანებს გადასცეს და საბოლოო ღონისძიება განახორციელეს – კახეთში 80 000-მდე თურქმანი ჩამოასახლეს.

ქართველი მოსახლეობა სრული გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. კახეთის თურქმანიზაციის პროექტის აღორძინებისა და განხორციელებისაკენ ირანის ხელისუფლებას თეიმურაზის პრორუსულმა ირაციონალურმა პოლიტიკამ უბიძგა. თეიმურაზის უგუნურმა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა, ფაქტობრივად, დანაშაულებრივი შინაარსი და ხასიათი მიიღო. მდგომარეობა დაამძიმა იმანაც, რომ 1650-იან წლებში ირან-რუსეთის ურთიერთობა დაიძაბა. ასეთ ვითარებაში რუსეთმა საერთოდ აიღო ხელი ყველასგან იზოლირებული თეიმურაზის დიპლომატიურ მხარდაჭერაზეც კი, რასაც ადრე ეპიზოდურად მაინც მიმართავდა.

მიუხედავად რუსეთისგან დახმარების სრული უპერსპექტივობისა, თეიმურაზმა ჯერ თავისი შვილიშვილი ერეკლე გაგზავნა მოსკოვის მეფის კარზე, ხოლო 1658 წელს თვითონ ჩავიდა რუსეთის დედაქალაქში. თუ ამ პერიოდის თეიმურაზის ნაბიჯებს დავაკვირდებით, მხოლოდ ერთი დასკვნა



შეიძლება გამოვიტანოთ – კახეთის ექსმეფის ღონისძიებებს, ელჩობებს, თხოვნებს, შვილიშვილის გაგზავნას და პირად ვიზიტს რუსეთში უკვე აღარ ერქვა რაიმე პოლიტიკური კურსის წარმოება. ეს იყო ლტოლვილი და იზოლირებული გვირგვინოსნის განწირული ცდები, როგორმე მიეპყრო რუსეთის ხელისუფლების ყურადღება და ეს ცდები დაცლილი იყო რაიმე რაციონალური პოლიტიკური შინაარსისგან. თეიმურაზი ყველანაირ დათმობაზე თანახმა იყო, ოღონდ რუსეთის მეფისგან დახმარება მიეღო. 1654 წელს თეიმურაზმა თანხმობა განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურის ტახტზე რუსი მიტროპოლიტი დამჯდარიყო.<sup>10</sup> სხვა შემთხვევაში იგი გაურკვეველი მიზეზის გამო თავის შვილიშვილს – „ერეკლენიკოლოზს“, მოსკოვის მეფის კარზე თითქმის მძევლის სტატუსით აგზავნიდა.<sup>11</sup>

თეიმურაზის მეფობის ამ ბოლო აბსურდული ეპიზოდებიდან – მოსკოვში ვიზიტიდან, ერთი პოზიტიური შედეგი მაინც მიიღო ქართულმა მხარემ – კახთა ყოფილი მეფე თავისი 50-წლიანი მეფობის მანძილზე პირველად და პირადად დარწმუნდა, რომ რუსთა ხელმწიფისგან ნამდვილად ვერ მიიღებდა ვერანაირ სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას. 1658 წლის 6 ივლისს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძემ სასახლეში მიიღო „თავისი ქვეშევრდომი, ქართველი მეფე თეიმურაზ დავილოვიჩი“ – ასე აღნიშნავდნენ რუსული წყაროები. თეიმურაზს კიდევ ერთხელ და მერამდენედ აუხსნეს, რომ რუსეთი მას ჯარს ვერ მიაშველებდა და ამის მშვენიერი მიზეზიც ჰქონდათ – პოლონეთთან და შვეციასთან მიმდინარე ომი.

თეიმურაზი ხელცარიელი დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ფაქტობრივად თავშესაფარიც აღარ ჰქონდა. მისი დამარცხებებით სავსე ჯერ პროოსმალური და შემდეგ პრორუსული პოლიტიკა სრული ფიასკოთი დამთავრდა. ეს კიდევ არ იყო ყველაფერი და შეიძლება მხოლოდ მეფის პირად უბედურებად ჩათვლილიყო. მთავარი ისაა, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, თეიმურაზის ირაციონალურმა პოლიტიკამ ორჯერ დააყენა კახეთის მოსახლეობა დიდი საფრთხის, ჯერ გენოციდის, ხოლო შემდგომ – გადაშენების წინაშე.

<sup>10</sup> Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, გვ. 179

<sup>11</sup> გ. ქუჭუნაშვილი. „ამანათობის“ ინსტიტუტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში (XVI-XVIII სს). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. III. თბ. 2011, გვ. 224-226, 232.

*Dimitri Shvelidze*

## **FOREIGN POLICY OF TEIMURAZ I AND ITS CONSEQUENCES**

### Summary

During the first half of the 17<sup>th</sup> century Russia had no military and political strength to challenge Iranian influence in Eastern Georgia. In such circumstances, almost half a century, Teimuraz I King of Kakheti was permanently conducting pro-Russian foreign political course.

Along with other reasons, irrational policies of Teimuraz had twice put population of Kakheti Kingdom in a great danger, first, while genocide in 1616, and then while attempts of ethnic extinction in 1650s.

*მაია შაორშაძე*

## XVIII საუკუნის უცნობი სამთავნელი ეპისკოპოსი

1737-1739 წლებში, მას შემდეგ, რაც დომენტი IV კათალიკოსის (1705-1741წწ.) საქართველოში არყოფნის დროს საკათალიკოსო ტახტი დროებით ქართლის მთავარეპისკოპოსმა კირილე ციციშვილმა დაიკავა (როგორც ცნობილია, 1725-39 წლებში დომენტი კათალიკოსი ქართლში არ იმყოფებოდა), ხოლო კირილეს ადგილზე – ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის კათედრაზე, რომანოზ ერისთავი ავიდა, წყაროებში აქამდე არ ჩანდა, თუ ვინ განაგებდა ამ პერიოდში სამთავისის საეპისკოპოსო საყდარს. საქართველოს ეროვნულ არქივში ჩვენ მივაკვლიეთ სამ დღემდე უცნობ დოკუმენტს, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ სამთავისის საეპისკოპოსო კათედრას XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს განაგებდა ზებედე სამთავნელი. აღნიშნული ეპისკოპოსის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა პ. კარბელაშვილმა, რომელმაც პირველმა გამოიკვლია ქართველ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგები. ზებედე სამთავნელი დღემდე უცნობი იყო სხვა ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვისაც.

1739 წლით დათარიღებულ ერთ სიგელში სამთავნელი ეპისკოპოსი დასახელებულია მოწმეებში, თუმცა მისი სახელი არ იკითხება, ხოლო იმავე წლის სხვა სიგელიდან ამ ეპისკოპოსის ვინაობა გარკვევით ჩანს. კერძოდ, ერთი საბუთი წარმოადგენს „**მამულის ნასყიდობის წიგნს სოლაღაშვილი იესეს მიერ მთავარეპისკოპოს რომანოზისადმი**“. 1739 წლის 21 თებერვლის ამ სიგელს ბეჭდით ამტკიცებს კათალიკოსი კირილე, თბილელი მიტროპოლიტი ეფთვიძე, მროველი ათანასე, სამთავნელი ეპისკოპოსი (სახელი არ ჩანს), რუსთველი მიტროპოლიტი დომენტი და სხვები.<sup>1</sup> ამ დანაკლისს ავსებს მეორე სიგელი, რომელიც 1739 წლის მარიაშობისთვის 14 რიცხვითაა დათარიღებული და წარმოადგენს **მთავარეპისკოპოს რომანოზის მიერ გაცემულ**

---

<sup>1</sup>სცსა. ფ. №1449. საქმე №2176.

**სიგელს ბატონიშვილ აბდულა-ბეგისადმი.** აშიაზე აქვს მოწმეთა ხელროვები: კათალიკოსი კირილე, თბილელი მიტროპოლიტი ეფთვიძე, მროველი ათანასე, რუსთველი მიტროპოლიტი, სამთავნელი ეპისკოპოსი ზებედე და სხვები.<sup>2</sup>

ზებედე სამთავნელის მოღვაწეობის ნაწილობრივ გასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობის სიგელს წარმოადგენს ერთი 1738 წელს გაცემული დოკუმენტი, რომელიც დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში. სრულად მოვიყვანთ ამ ვრცელი დოკუმენტის შინაარსს, რომლის დაზიანებულ დედანთან ერთად პირიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში და მათი ერთმანეთთან შეჯვრებით ხერხდება სიგელის სრული ვერსიის აღდგენა.

სიგელი დაწერილია მოყვითალო ფერის ქაღალდზე, დაზიანებული, რესტავრირებული, ძელანი შავი, განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია I-ზე და V-ზე. (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია):

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა და დაუსწარულებელისა ერთარსებისა და ერთღ[უ]თაებისა ღმთისა, მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, ოხითა და მეოხებითა ყოვლად წმინდისა ღ(მრ)თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, წმინდათა უსხეულოთა ზეცისა მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, წმინდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა, წმინდათა და თავთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა, წმინდათა და სოფლისა დიდთა ქადაგთა და ძველეთმთავართა დიდისა ვასილის, გრიგოლი დვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა, წმინდისა და ღვაწლის ძმლისა მთავარმოწამისა გიორგისა<sup>3</sup>, წმინდათა და ქა[ლ]-წულ-მოწამეთა თეკლა, ბარბარა, ირინა, მარინე, ეკატერინე, რიფსიმე და გაიანესითა და ყოველთა ქრისტიანთა შესავედრებელის კათოლიკე ეკლესიად წოდებულის სვეტიცისა ცხოველისა და კვართისა საუფლოსა მირონ ღმერთ მყოფელისათა და წმინდისა დედისა ჩვენისა, ქართველთა განმანათლებელისა ნინოსითა და ყოველთა წმინდათა მამათა და მამადმთავართა და მეუღაბროვეთა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა, ესე ამიერის უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზ-შემოუღებელი, დროუცვალებელი, ყოველის კაცის უცილ-*ვ*ებელი, დრო-მოუშლელი, ყოველთა კაცთა მოუდევარი სამკვიდრო და საბოლოო შეწირულობით, დეკანოზობის წყალობის საფიცრის წიგნი და

<sup>2</sup> სცსა. ფ. №1449. საქმე №2147.

<sup>3</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღ(მრ)თის მოყუარებან და კეთილ მორწმუნებან ამილახვარმან ბატონმან| ოთარმა და ამილახვარმან პატრონმან გივმან და შვილმან| ჩვენმან რევაზ და ძმამან ჩვენმან ნიკოლაოზ, ძმამან ჩვენმან ბატონმა იოთამ და პატრონმან დავით, ძმისწულმან ჩვენმან დემეტრემ და იესემ და ყოველთა შვილთა და მომავალთა| სახლისა ჩვენიისათა და კიდევ ბიძაშვილმან ჩვენმან| ბატონმან ამირინდომ და თეიმურაზ და **სამთავ-ნელმან ბატონმან ზებედეშ** შენ, ჩვენს ერთგულსა და შინა ყმას| მღვდელ შვენიერს უზნაძე პეტრეს და *ძმას შენსა ხოსიას| და ძმისწულსა შენსა იოანეს*<sup>4</sup>, ასრე რომე, შენ ჩვენი| ძმის ერასტისაგან გაზდილი იყავ და ჩვენი ნამსახური და| <და> მას ჟამსა, ოდენ სამთავის ხატის ღმთაების დეკანოზი| და კანდელაკი ამოწყვეტილი იყო და იმათი ნათესავი აღარცავინ ზუცესი იყო და არცავინ დიაკვნად იზდებოდა და ღ(მრ)თაების ეკლესია უდეკანოზოდ იყო და აწ ჩვენცა ვიგულსმოდგინეთ, ვინებეთ და შეგწირეთ ჩვენს სასოსა და დიდსა შესავადრებელსა| სასწაულთმოქმედსა ეკლესიასა უცვალებელსა და გარე შემოქუწურელსა ხატსა მღთაებისა და დაგიმტკიცეთ მისი დეკანოზობა| და გრიგოლისა და გივის წილი ყმა და მამული თავისის შესავლითა, გასავლითა, წყლითა, წისქვილითა, მიწითა, ვენაჭითა, სავენაჭოთი, მითთა და ბართთა და ამას გარდა, მამამთავრობა, სამთავისის მოურაობა, ომფორის მოღარობა და| ჯვარის მტვირთლობა და როგორათაც სხვანი ღ(მრ)თაების დეკანოზი განთავისუფლებულნი ყოფილან, შენც იმ რიგით გაგვითარხნებიხარ ამ წესითა, რომე არა საყეჩქნო, არა საკელმწიფო, არა| საამილახვარო ბეგარა, არა სამჯამთავროსა, არა ღალა, არა კულუხი, არა სატყ<ვ>ეო, არა საბალახე, არა პირისთავი, არა ნახირის| თავი და არა სამალო და არა *სალაშქრო*<sup>5</sup> სათხოვარი შენ, *უფალს დეკანოზს პეტრეს* და მომავალთა სახლისა შენიისათა<sup>7</sup>, არა გეთხოვბოდესთრა და არ მოგეშალოს ნიშანი| და ბ(რ)მანება ესე ჩვენი არა ჩვენგან და არცა შემდგომად| სხვათა მეპატრონეთაგან, *ჩვენთაგან*<sup>8</sup> თუ ვინმე ან ჩვენმა სახის კაცმან ამილახვარმან, გინა ეფისკოპოზმან და სამთავნელმან, ანუ სხვამან მეპატრონემან, თათარმან, გინა ქართველმან წიგნი ესე მოწლად კვლყოს, იგიმცა მოიშალოს თავისის სახისაგან და| მასამც რისხავს დაუსაბამო და დაუსრულებელი ყოვლის| მპყრობელი ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეციერნი და| ქვეყნიერნი და იგიმცა შეჩვენებულ იქმნების

<sup>4</sup> ეს ადგილი ჩამატებულია მუქი მეღნიით, სხვა ხელით და უფრო დიდი ასოებით.

<sup>5</sup> ჩამატებულია.

<sup>6</sup> ჩამატებულია მუქი მეღნიით და სხვა ხელით.

<sup>7</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

<sup>8</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

ოთხთა| პატრიაქთაგან, მასამც ედების ცეცხლი გეენისა, შიშთვილიბა იუდა-  
სი, ძრწოლა კაენ*(ისა)*, დანთქბა დათან და აბირონისი<sup>9</sup> და ნურათამცა ჳსნით  
ნუ| იჳსნების სული იმისი საშინელისა ღ(მრ)თის რისხვისაგან და| გეენისა  
ცეცხლისაგან, ნურას წირვითა, ნურას ლოცვითა, ნურას გლახის მიცემითა  
(გლახათ შეწენარებითა)<sup>10</sup> და სინანულითა, ხოლო დამამტკიცებ[ელნი] ამი-  
სი ღმერთმან აკურთჳხნეს, ამინ.

ფონდ №1448-3915 დედნის ბოლო ნაწილი დაზიანებულია და ფონდ  
№1449-144 პირის მიხედვით იკითხება შემდეგი მინაწერი აშიაზე:

ქ. ბატონმა ა[მილა]ხ[კ]რებ<ე>მა წყ[ა]ლობა გიყ<ა>ვეს, დეკ[ა]ნოზობა  
და [სადეკანოზო გიბოდეს]. ჩვენც, **ზებედე სამთავნელს** წყალობა| გვიქნია,  
რაც ამ გუჯ[არ]ში ს<ა>წერია, [ჩვენც] იმისი<ც> წყ[ა]ლობა გვიქნია, ტო-  
კ[ი]ას შვილის მამული, ძელყორის შვილის მამული,| კანდელაკის ნასყიდი|  
საწისქვილო უ[ღალთ] და უბაროთ ჩვენც შენტვის გვიბოდებია. ვი[ნცა]ვინ  
სამთავნელმა შენ ეს| მოგიშალოს, ისიმც შეიშლება თავის სახისაგან, იესოს  
[ქ]რისტეს რისხვისაგან [ ], უფალი ...[ ]. (ხელი ჩართული).

**ფ. №1448-3915-ის მინაწერი სხვა ხელით:** ამა თ{ა}თრობ{ა}ში ტოკაის  
შვილისა [ ]სა მამული მამულათა დეკანოზს ჳქონდეს, ღალა სამთ{ა}ვ<ა>ნე-  
ლისა [იყოს]-? (ბოლო სიტყვა გაღაშლილია).

[და]წერა წიგნი ეს[ე] [ ] ჳელითა,... ჳელითა ჳელმწიფის| ... (მოხე-  
ულია). განირჩევა შვიდი ქართული ბეჭედი ლეგენდებით. ხელრთვა: დიმიტრი.

იგივე მინაწერი სრულად დაცულია ფ. №1449-144 პირის მიხედვით  
და ახლავს ამილახვრების რვა ბეჭედი ლეგენდებით:

ღაიწერა წიგნი ესე ჳელითა, ჳელთა ჳელითა, ჳელმწიფის კარის დე-  
კანოზის იოკიმეს შვილის მიქელ მღვდლისათა, თვესა სეკდენბერსა ჳ, ქ(ო-  
რონი)კ(ონ)ს უკვ, ქ(რისტ)ეს აქეთ... ვინცა ვინ ამილახვრიანთ ყმაწვილი თუ  
მხლებელი დაემარხოს, იმათი წასახურავი დეკანოზისა ყოფილა და ამისთვი-  
ნაც წყალობათ მიგვიცია (1738 წ.).

**მინაწერი:** ამისი ასლი ვნახე და ყოველივე ნამდვილად და უცვალებ-  
ლად გარდავსწერე. მღვდელი პავლე ღებროვი.

ფ. №1448-3915 დედნის აშიაზე შემდეგდროინდელი მინაწერები კვლავ  
ფ. №1449-144 პირთან შეჯერებისა და აღდგენის მიხედვით განირჩევა.

**მინაწერი თავში:** ჩვენ, ყოვლისა| საქართველოსა კათოლიკოს-პატ-  
რიარზი მეფის ირაკლი მეორის ძე, ამ სიგელს| ვამტკიცებთ. აღიწერა იული-

<sup>9</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

<sup>10</sup> ასეთი ვარიანტია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

სის იზ. | წელსა ჩღჟა (1791 წ.). ხელრთვა: კათალიკოზი ანტონ.

ქ. ჩვენ, საქართველოსა მეპკვიდრე | ღავით, ამ სიგელს ვამტკიცებთ. ასე უნდა ჰქნან და არაფერხედ არ უნდა შეაწერონ და არც არა გამოერთვას, აპრილის კდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპთ (1801 წ.).

ქ. ჩვენ, ბატონი ამილახორ[ი რევაზ და ბატონი]<sup>11</sup> მღვიანბეგი იესე და ჩვენი სახლის კაცნი ერთობით [ვამტკიცებთ სიგელსა ამას]<sup>12</sup>, რომ არაფერი სათხოვარი არა გეთხოვებოდეს [რა], ლაშკარს [თუ სხვა კომის...] [კაცი]<sup>13</sup> გამოვიდესა, შენც [გამოდი... და სხვა კი არა გეთხოვებოდეს რა]<sup>14</sup>. (ახლავს ორი ამილახურის ბეჭედი ლეგენდებით).

ქ. ჩვენ< >, ბატონი ამილახვარი ოთარ, ამ ჩვენის მამაპაპათ წყალობის სიგელს ვემოწმებით და ვამტკიცებთ. დეკემბრის კთ, ქ(ორონი)კ(ონ)ს ულე (1787 წ.). (ახლავს ბეჭედი ლეგენდით).

ქ. ჩვენ, სამთავნელ მიტრაპოლიტი ბენეკტიკტე ვამტკიც[ც]ებთ სიგელსა ამას მაისს ი გასულს, ქ(ორონი)კ(ონ)სა ულე (1747 წ.). ხელრთვა ჩართულათ: სამთავნელი ბენეტიკტე.

ქ. ბატონს ამილახორებს დეკანოზის პეტრესათვის ამ გუჯრის წყალობა ექმნა[თ], ჩვენ, სამთავნელ მთავარებისკოპოზმ[ა]ნც წყალობა გიყავით. ვინცავენ სამთავნელმა ეს გუჯარი და წყალობა მოგიშალოს, ისიმც შეიმლება თავისს სახისაგ[ა]ნ. ხელრთვა: არსენ.

ჯვარისმტვირთვ[ე]ლობა კანდელაკისა არის, | მამამთავრობა საყვარელიძისა (ხელრთვა ჩართულად: არსენ).

ამდენად, სიგელის შინაარსი მეტად მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს შიდა ქართლისა და, კერძოდ, სამთავისის საეპისკოპოსოს ისტორიის შესწავლისათვის. როგორც ჩანს, ზებედე სამთავნელი ამ კათედრას განაგებდა XVIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ხოლო 40-იანი წლებიდან აქ მოღვაწეობს ჯერ ბენედიქტე სამთავნელი, ხოლო შემდეგ არსენ სამთავნელი (საყვარელიძე), რომელთა შემდეგდროინდელი დამტკიცებანი თან ახლავს ზემოთ აღნიშნულ სიგელს და რომელთა მოღვაწეობა სხვა წყაროებიდანაც ცნობილია.

<sup>11</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

<sup>12</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

<sup>13</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

<sup>14</sup> აღდგენილია ფ. №1449. ს. №144 პირის მიხედვით.

*Maia Shaorshadze*

## **THE UNKNOWN BISHOP OF SAMTAVISI OF THE 18<sup>TH</sup> CENTURY**

### Summary

In 1737-1739 due to the absence of Kathalikos Domenti IV in Georgia, his seat temporarily was occupied by Kirile Tsitsishvili. At the same time on Kirile's throne – the seat of Archbishop of Kartli – was appointed Romanos Eristavi. Until today it was unknown who resided over the Samtavisi seat. According to new sources, the person was identified. He was Zebede of Samtavisi. He was mentioned among the witnesses in two documents of 1739 and together with Amilakhvars, he signs certain document in 1738.

The paper provides the full original version of the document of 1738 for the first time, as well as its copy; both are preserved at the National Archive of Georgia. By comparing the original version with its copy, restoration of the whole contents of the document becomes possible.



*აპოლონ თაბუაშვილი*

## **ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს დაპირისპირება ალა-მაჰმად ხანის ჯარებთან 1795 წლის ივნისში**

1794 წლის შემოდგომაზე ალა-მაჰმად ხანმა შეძლო მთელი ირანის დამორჩილება. მომდევნო, 1795 წელს კი გადაწყვიტა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახანოებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს დამორჩილება. ალა-მაჰმად ხანის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ყარაბაღის მმართველი იბრეიმ ხალილ-ხანი იყო, ამიტომ ქართლ-კახეთის სამეფოს უმთავრესი მოკავშირე ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ყარაბაღის სახანო გამოდიოდა. ეს გარემოება კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ერეკლე II-ს, რასაც ადასტურებს, ჯერ კიდევ, 1791 წელს ერეკლე II-ის მიერ გაგზავნილი წერილი რუსეთში მყოფ არქიმანდრიტ გაიოზისადმი, სადაც მეფე აღნიშნავდა, რომ თუ ალა-მაჰმად ხანი დაიმორჩილებდა იბრეიმ ხანს, მაშინ ქართლ-კახეთის წინააღმდეგაც ილაშქრებსო.<sup>1</sup> ალა-მაჰმად ხანი თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას 1795 წლის აპრილ-მაისში შეუდგა, როდესაც ირანის ჩრდილოეთით, ქალაქ არღეზში, დაიწყო ჯარების შეკრება. რადგან ალა-მაჰმად ხანის ჯარების პირველი სამიზნე, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყარაბაღის სახანო იყო, ერეკლე II-მ უპირველესი ყურადღება მიაქცია მის დაცვას. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ბოლომდე არ არის შესწავლილი და აღნიშნულია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით გაგზავნილმა 1000-კაციანმა ჯარმა, ყარაბაღელებთან ერთად დაამარცხეს ალა-მაჰმად ხანის 8000-კაციანი მეწინავე რაზმი.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Грамоты и другие исторические документы. Относящиеся до Грузии. томъ II. выпускъ II. Подъ редакціею А. А. Чагарели. СПб. 1902, გვ. 66.

<sup>2</sup> იხ. მ. დუმბაძე, ზ. ცეციტიშვილი. საქართველო-ირანის ურთიერთობების გამწვანება. ირანელთა შემოსევა 1795 წ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 757; ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე. თბ. 1969, გვ. 166.

აღნიშნული ინფორმაცია დაფუძნებულია პეტრე ბუტკოვის მონაცემებზე.<sup>3</sup> ბუტკოვი აგრეთვე მიუთითებს, რომ ერეკლე II-მ ყარაბაღის ხანს 1795 წლის მაისში თავდაცვის უკეთ ორგანიზებისათვის 12000 თუმანი გაუგზავნა. სამხედრო დახმარების შესახებ კი სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ყარაბაღში არა 1000 მეგრძოლი, არამედ 3000 ჯარისკაცი წაუყვანია.<sup>4</sup> სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი წყარო აღნიშნულ მოვლენებზე გაცილებით მეტ ინფორმაციას გვაწვდის და მრავალ დეტალს აზუსტებს. მათგან უპირველესად აღსანიშნავია ერეკლე II-ის წერილი, ყარაბაღში წარგზავნილ აზნაურ მურვანიშვილისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ ერეკლე II ალექსანდრე ბატონიშვილისა და იბრეიმ ხანის დასახმარებლად დამატებით 5-6 ათასკაციანი ჯარის გაგზავნას აპირებდა – „ჩუენის შვილის ალექსანდრესათვისაც მოგვეწეროს... ღ-თის მოწყალებით ამ ორსაოდ დღეში ან ჩვენ წამოვალთ ხუთი ექვსი ათასის კაცით და ან ჩვენს შვილს იულონს გამოვისტუმრებთ. ამ ხუთს ექვს ათასს კაცს რომ ვიწერებით ესენი ახლა აქ გზას არიან და დღე დღეობით ემატებიან. ესენი ქართლისა და კახეთის ჯარი არის. ჯერ მთის კაცნი და უცხოს ქვეყნის ჯარები არ მოგვსვლიან. დაბარებულნი არიან და მოველით. და ჯერ ქართლისა და კახეთის ჯარი არცა მესამედი მოსულა და არც მთის კაცნი მოსულან, ჯერ არც იმერლები და არც ლეკები“.<sup>5</sup> დოკუმენტი თარიღდება 1795 წლის 14 ივნისით.

როგორც ვხედავთ, ერეკლე II წერილში აცხადებდა, რომ რამდენიმე დღეში 5-6 ათასკაციანი ჯარს გაგზავნიდა ყარაბაღში, მისივე ან იულონ ბატონიშვილის მეთაურობით.

ალექსანდრე ბატონიშვილის დაახლოებით 2 ათასკაციანი ჯარის გარდა, ერეკლემ, რომ მართლაც იულონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ყარაბაღში გაგზავნა ჯარის ნაწილები, ეს დასტურდება დარჩი ბებუთაშვილის ერთი კერძო წერილიდან ვინმე ისაიასადმი. წერილში აღნიშნულია: „ბატონიშვილი ალექსანდრე [ჯარით] ხომ დიდი ხანია გოგჩაზე ბრძანდება და ახლაც მისი უგანათლებულესობა ბატონიშვილი იულონ და მუხრან-ბატონი, ამილახვარი, – ეს სარდლები უმაღლესობამ (ერეკლე II-მ – ა.თ.) გამოისტუმრა. არტილერიაც სრული ძალით გამოდგა. ღვთით და უმაღლესობის

---

<sup>3</sup> П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. II. СПб. 1869, гл. 333.

<sup>4</sup> П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. III. СПб. 1869, гл. 254.

<sup>5</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Hd ფონდი. საბ. № 14261.

ლოვლათით ვნახოთ რას იმოქმედებს. გუშინ განჯიდამ კაცი მოვიდა ჯავათ-ხანისა, რომ ალა-მაჰმად-ხან ყარაბაღში მოვიდაო. ეს საეჭვო არის, სარდალი კი იქნება რომ მოსულიყოს. აქ დიდრონი ჯარები იყრება. პირიქით ლეკის ჯარი სულ ხვალ ან ზეგ შემოვა და იმერელიც (სოლომონ II – ა.თ.) ახლა ქართლს მოსული იქნება“ (1795 წლის 30 ივნისი).<sup>6</sup>

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერეკლეს იულონ ბატონიშვილი მემარ-ჯვენე სარდალ ამილახვართან და მემარცხენე სარდალ მუხრანბატონთან ერთად გაუსტუმრებია ყარაბაღში იბრეიმ ხანის და ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად. ქართულ ჯარს არტილერია სრული სახით ახლდა. ერთი სიტყვით, 1795 წლის ივნისის ბოლოსათვის ყარაბაღის სახანოს დასახმარებლად ერეკლე II-მ ორ ეტაპად, მინიმუმ, 6000-კაციანი ჯარი გაგზავნა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ბუტკოვი ყარაბაღში მაქსიმუმ 3000 კაცის გაგზავნას აფიქსირებს, რაც სავარაუდოდ გამოწვეული უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ ბუტკოვს არ ჰქონდა ცნობა იულონ ბატონიშვილის მეთაურობით გაგზავნილი ჯარის შესახებ. მისივე ცნობით, ქართველთა და ყარაბაღელთა გაერთიანებულმა ჯარმა ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით ალა-მაჰმად ხანის მიერ შუშის სახანოს წინააღმდეგ გაგზავნილი 10000-კაციანი არმია სატიკად დაამარცხა. აღნიშნულ ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად იულონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით გაგზავნილ ჯარსაც რომ უნდა მიეღო მონაწილეობა, ამას მოწმობს 1795 წელს შედგენილი ერეკლე II-ის წერილი ქეშიკჩიბაშ იოანე აბაშიძისადმი, სადაც მოცემულია ომის წინა საბრძოლო დარიგება ქართველთა და ყარაბაღელთა გაერთიანებული ჯარისადმი. წერილში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ბრძოლა გაშლილ ველზე უნდა ეწარმოებინათ და არტილერიისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა: „... შენ ხომ იცი, ჩვენ ჯარში ყოფნა როგორ გვინდა. ჩვენი სარქარდრობა აქადამ ამას სიჯავს: თუ ისინი გამოვიდნენ და ომი მიუხდესთ, თქვენ მინდორზე შებმას ეცადენით. კინკლაობასა და იმათსავით თოფების მიშველებასა და ისე შებმას დაეხსენით. თქვენ ერთად თქვენის ძალით ღვითთ, მიაწეით და ზარბაზნები წინ მიიძღვანეთ. ქვეითი კაცი იბრეიმ ხანსაც ბევრი ეყოლება, ცხენიანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიძღვაროთ და ომი ზარბაზნებს დააცადოთ. ჩვენი გონება ამას უძღობესად ხედავს, რომ ღვითთ ამ გზით შეებათ. ჩვენ ეს სიტყვა მირზა

<sup>6</sup> ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 82; П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. II. СПб. 1869, გვ. 333

გურგინასაც დავაბარეთ, რომ იბრეიმ ხანს მოახსენოს და ეხლა, გურგინ, შენთვისაც ეს მოგვიწერია. თქვენ რომ არ აუჩქარდეთ, დააცალოთ, ისინი თქვენზე მოიყვანოთ და თქვენ იმათზე არ მიხვიდეთ – ასე სჯობს, რომ ისინი თქვენზე მოსვლით დალალოთ და ღვთით იმ დალალულს ერთიანად შეებათ; ისინი აქეთ-იქიდან ტანებას დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქმთ, ისინი ამაში დაილაღვიან, მასუკან ერთიანათ მიაწვეით და ღვთით თან გაიტანთ“<sup>7</sup> – აცხადებდა მეფე. 1795 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს ჯარებს ერთობლივი სამხედრო კამპანია, ზემოთდასახელებული ბრძოლის გარდა, არ უწარმოებია. ამიტომ აღნიშნული სამხედრო დარიგება ალა-მაჰმად ხანის ყარაბაღის დასამორჩილებლად წარგზავნილ ჯართან დაპირისპირებას უნდა ეხებოდეს. ომში არტილერიის გამოყენება კი იულონ ბატონიშვილის მეთაურობით წარგზავნილი ჯარის გარეშე შეუძლებელი იყო, რადგან საველე არტილერია ამიერკავკასიაში მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს გააჩნდა და იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იულონ ბატონიშვილის მეთაურობით წარგზავნილ ჯარს ახლდა.

ბუტკოვი ბრძოლის თარიღს არ აკონკრეტებს, თუმცა ქვემოთ აღნიშნავს, რომ 25 ივნისს ლეიტენანტმა ბოზომ ბაქოში შეიტყო ალა-მაჰმად ხანის 10000-იანი ჯარის დამარცხება და აცნობა გენერალ გულოვიჩს.<sup>8</sup> როგორც ჩანს, ბრძოლა 1795 წლის ივნისის მეორე ნახევარში მომხდარა. ბრძოლის თარიღის დაკონკრეტება შესაძლებელი ხდება შემდეგი გარემოებებით: 1795 წლის 14 ივნისით დათარიღებულ ერეკლე II-ის წერილში აღნიშნული იყო, რომ „ორსაოდ ღღეში“ გაგზავნიდა ყარაბაღში ჯარს. მაშასადამე რომ ყველაზე ადრე თბილისიდან ჯარი გავიდოდა 16 ივნისს. არტილერიით დამძიმებულ ჯარს თბილისიდან ყარაბაღამდე (დაახლოებით 300 კმ.) ჩასასვლელედ სულ მცირე ერთი კვირა დასჭირდებოდა, ამიტომ ქართული ჯარის ბრძოლის ველზე განლაგება 22 ივნისამდე გამორიცხებულია. თუ ბუტკოვის იმ ცნობას ვენდობით, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველთა და ყარაბაღელთა გამარჯვების ამბავი ბაქოში 25 ივნისს შეიტყვეს, მაშინ ნათელია, რომ ბრძოლა სწორედ 22-23 ივნისს მომხდარა, რადგან ბაქოში ამბის ჩატანას სულ მცირე 2 დღე დასჭირდებოდა.

ანალოგიურ ბრძოლაზე უნდა მიუთითებდეს სპარსული წყაროებიც, სა-

---

<sup>7</sup> ს. კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 78-79.

<sup>8</sup> П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа. с 1722 по 1803 год. ч. III. СПб. 1869, გვ. 258.

დაც აღნიშნულია, რომ ალა-მაჰმად ხანს მაისის თვეში, არდებილში ჯარების თავმოყრის შემდეგ, ივნისში მდინარე არაქსზე იბრემ ხანის მიერ დამწვარი ხუდა აფერინის ხიდი აღუდგენია და 19 ივნისს დაუწვია ჯარის მდინარის მეორე ნაპირზე გადაყვანა. ამის შემდეგ, სპარსული წყაროების ცნობით, შუშის ციხესთან სპარსელთა 8000-კაციანმა ჯარმა დაამარცხა ყარაბაღელები და ციხისაკენ დაახვეინა<sup>9</sup>. როგორც ჩანს, სპარსული წყაროები აქ ტენდენციურობას იჩენენ და, გარდა იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო ბრძოლას მხოლოდ გაკვრით ეხებიან, ამ კამპანიას უკავშირებენ სპარსელთა გამარჯვებას და იბრემ ხანის შუშის ციხეში შეკეტვას. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ბრძოლა ქართველ-ყარაბაღელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ტენდენციური ცნობიდან ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ბრძოლა მართლაც ზემოთ დასახელებულ დროს (22-23 ივნისს) უნდა მომხდარიყო, რადგან 19 ივნისს მდინარე არაქსზე გადასული სპარსეთის ჯარი შუშის ციხესთან 21 ივნისამდე ვერ მიაღწევდა.

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ს რეალური თავდაცვითი ღონისძიებები ივნისის თვეშივე გაუტარებია და ალა-მაჰმად ხანის ჯარების ნაწილი სასტიკად დაუმარცხებია. გარდა ამისა, ერეკლე II-ს ყარაბაღის ხანისათვის სესხის სახით 120000 მანეთიც გაუგზავნია არმიის მობილიზებისათვის.

ამ ბრძოლის შემდეგ ცნობილია, რომ ქართული ჯარი უკან დაბრუნდა და თან ჩამოიყვანეს ყაზახისა და შამშადილუს მესაქონლე ტომები.<sup>10</sup> სპარსული წყაროების ცნობით, 8 ივნისს ალა-მაჰმად ხანი თავისი ძირითადი ძალებით მიაღმა შუშის ციხეს და ალყაში მოაქცია. იბრემ ხანი კი შუშის ციხეში გამაგრდა. არ გაგვაჩნია არანაირი ცნობა იმის შესახებ, თუ რატომ არ განაგრძეს ბრძოლა ერეკლემ და იბრემ ხანმა ერთიანი ძალებით ყარაბაღშივე. ამ საკითხის შესახებ შესაძლებელია გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდი: ტრადიციულად, ქართულ ჯარს სურსათის ცუდი მომარაგების გამო ქვეყნის საზღვრების გარეთ ხანგრძლივი დროით სამხედრო მანევრირება ძალზე უჭირდა. დიდი ხნით ჯარების შენახვა, 1794-1795 წლებში არსებული მოუსავლიანობის გამო, არც ყარაბაღის სახანოს შეეძლო. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რთული იყო იმის გამოცნობა, თუ როდის გადაწყვეტიდა ალა-მაჰმად ხანი ბრძოლის დაწყებას.<sup>11</sup> ამავე დროს, ერეკლე II რუსეთი-

<sup>9</sup> იხ. ზ. შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ. 1970, გვ. 158-159.

<sup>10</sup> M. Brosset. Histoire de la Georgie. II Partie. II Livrason. SPb. 1857, გვ. 550.

<sup>11</sup> ალა-მაჰმად ხანმა შუშის ციხის გარემოცვა მისი მეწინავე ჯარების დამარცხე-

დან დამხმარე ჯარის ითხოვდა, რომლის გარეშეც აქტიურ სამხედრო მოქმედების დაწყებას ერიდებოდა. გულოვიჩი კი, თავის მხრივ, ერეკლეს იბრემ ხანთან გაერთიანებას და ერთობლივ ბრძოლის წარმოებას ურჩევდა, თუმცა დამხმარე ჯარს არ გზავნიდა. ამ დროისათვის იმერეთის სამეფოს დამხმარე ჯარიც არ იყო მოსული.<sup>12</sup> სწორედ ამ გარემოებებით უნდა იყოს ნაკარნახევი ის ფაქტი, თუ რატომ არ განაგრძო ერეკლე II-მ მტერთან დაპირისპირება საქართველოდან საკმაოდ მოშორებით, ყარაბაღის სახანოში. მოკავშირეებმა ბრძოლის გაგრძელების სხვა ფორმა აირჩიეს, რომელიც ყარაბაღელთა და ქართველთა შეთანხმებულ, თუმცა ცალ-ცალკე ბრძოლას ითვალისწინებდა.

---

ბიდან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, 8 ივლისს, დაიწყო. იხ. ზ. შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ. 1970, გვ. 159.

<sup>12</sup> იმერეთის სამეფოს ჯარის პირველი ნაკადი ქართლში მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში შემოვიდა. იხ. M. Brosset. Histoire de la Georgie. II Partie. II Livrasion. SPb. 1857, გვ. 550.

*Apolon Tabuashvili*

**CONFRONTATION OF KARTL-KAKHETI KINGDOM AND  
KHANATE OF KARABAKH WITH  
THE ARMIES OF AGHA MOHAMMAD KHAN IN JUNE 1795**

Summary

Article deals with confrontation of Kartl-Kakheti and Karabakh against the army of Agha Mohammad Khan. According to various historical sources, King Erekle II of Kartl-Kakheti sent approximately 6000 troops to assist his major ally Ibrahim Khalil Khan, ruler of Karabakh against the Iranian invasion. Georgian troops were deployed to Karabakh in two stages together with artillery. Together with the forces of Karabakh, they defeated 8000 warriors that were sent by Agha Mohammad Khan to subdue the castle of Shusha in June 22-23. After that battle, Georgians returned back. King Erekle and Ibrahim Khan agreed to continue the war but chose the different method of it. The plan was to fight the Persians in coordination, but separately from each other.

*ალექსანდრე ბოშიშვილი*

## დავის სამართლებრივი და სოციალური ასპექტები

### XVIII საუკუნის საქართველოში

(სოლოლაშვილებისა და იესე ოსეს ძის შვილების დაპირისპირების ნარატივი)

სასამართლო განჩინებები მნიშვნელოვანი წყაროა ეპოქის სამართლებრივი თუ სოციალური ისტორიის მრავალი კუთხის შესასწავლად, ერთ-ერთ ასეთი ტიპის დოკუმენტს წარმოადგენს, სასამართლოს გადაწყვეტილება, ზაზა სოლოლაშვილისა და იესე ოსეს ძის<sup>1</sup> შვილებს შორის, სასისხლო დავის შესახებ.

1797 წელს „კათალიკოზ-პატრიარქის მოლარეთხუცესს სოლოლაშვილს ზაზას მათის უმაღლესობა მეფისთვის არზა მიერთმივა და იესე მსაჯულის შვილებისთვის ეჩივლა“.

ზაზა სოლოლაშვილი სასამართლოში იესე ოსეს ძის შვილებს უჩიოდა და ამბობდა – „ასე უსამართლოდ მოპყრობისათვის, ჩემს სახლსა და ცოლს შვილს ახლოს მოხლომისათვის, ჩემის სახლობის სისხლში შესვრისათვის და ელდით უგონო ქმნისათვის სამართალს ვითხოვ“.<sup>2</sup>

სასამართლომ ორივეს, მოძივანის და მოპასუხე მხარის საჩივარი მოისმინა:

ზაზა სოლოლაშვილი სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა – „ბორბალას ნახევარ-დღის მიწისა უთხარ ჩემს კაცს, მიდი, შენ გათიბე. სათიბავთ რომ მისულიყო და თიბვა დაეწყო, იესე მსაჯულის კაცნი შეყრილიყვნენ, მიხლომოდნენ და ჩემი კაცი გამოეგდოთ. მოვიდა ეს გამოგდებული კაცი, შემომჩივლა. იმათს კაცებს დაუძახე. ჩემთან მოვიდნენ, უთხარ რათ შეფოთავთ, რა გაჩხუბებთ, რად შეიყარენით ერთად, რად მიუხდით ჩემს კაცს, თიბვა გააშვებინეთ და გამოაგდევით. ჩემმა კაცებმა რომ შეიტყონ ეს

---

<sup>1</sup> იესე ოსეს ძე (1728-1786 წწ.), ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგი.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 32 (საბუთის დედანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (ხეც). Hd-14638).



ამბავი ერთმანეთს უქომავონ, უფრო ავი საქმე მოხდება და სისხლი ჩამოვარდება შუაში, შფოთს ნუ ავლებთ, ჩვენი ჩვენ და თქვენი თქვენ, და ასე რიგიანად გავშველდით... ეს კაცნი თურმე ქალაქს ჩამოვიდნენ, იესე მსაჯულის შვილებს შეატყობინეს, მაშინვე სამნივ ძმანი დაიარაღებულიყვნენ – **ზაზა, გიორგი და ივანე**, შუალამისას ციხის კარის გასაღებათ ერთი აბაზი მიეცათ, კარი გაეღებინებინათ და ჩემს მოსახლომად და ამოსაწყვეტად წამოსულიყვნენ. პარასკევ დილა რომ გათენდა, ჩემს სახლის წინ, ჩემის კაცის სახლის ბანზედ ქერი მოვატანინე დასაბეგვაათ; ფარალათად დახრილი ვიყავ და ჩემის კელით ვაკეთებდი და ჩემი ცოლშვილიც იქავ, ჩემს სახლს წინ ფიცრის საყდარი მიდგას, იმის ღერეფანს ქვეშ იხდნენ და მიყურებდნენ. იმ დროს ზაზა დაჭიმულის თოფით მომიხდა და შემომავინა. დახრილმა მადლა ავიხედე და უთხარ: რას მემართლები, რად მაგინებ. ამის საპასუხოდ მეორედ კიდევ შემომავინა და დაჭიმულის თოფით შემომიტია, თოფის ტუჩი ნეკნებში მკრა და ნეკნები ჩამიდრიკა...

მე და ზაზა (იესეს ძე ა. ბ.) ერთმანეთს შევეჭიდებით. ზაზას ძმა გიორგი მოვიდა, სამჯერ, რაც შეეძლო ისე, გამეტებით თოფის ტუჩი გულის ფიცარში მკრა, მაშინვე უგონო ვიქმენ და დავნდი. ამასაც არ დამაჯერეს: მომეხვივნენ სამნივ ძმანი, თავში, ცხვირსა და პირში მრავალი მცეს, თვალები ჩამისისხლიანდა, ცხვირის ძვალი დამეჩეჩა. გულის ფიცარი ჩამემტვრა და ფერდის ქარიც დამეძრა. ამ ყოფაში ჩემი ცოლშვილი ჩემის სახლიდამ ახლოს მიყურებდნენ. ცოლი ეხვეწებოდა: ქმარს ნუ მომიკლავთო. ხუთი თვის ორსულმა სიკვდილზედ მიწურვილი რომ მნახა, ელდა ეცა, დილიდან მოკიდებული საღამომდის უგონოთ იდვა. მრავალი წამლები მიაყარეს და ისე მოასულიერეს და ჯერაც ღმერთზედ ჰკიდა მისი მორჩენა და ასე ავად არის, იქნება მუცელიც წაუხდეს ...სიკვიდილის პირამდის რომ მიმიყვანეს ...კელი აიღეს და ასე დაიძახეს: მაგ შენის ცოლისთვის გვიპატიებია, თორემ შენთვის თავი უნდა მოგვეჭრაო. ცოტა ხანს უკან ამისი ძახილიც შექნეს: შენის ცოლის ლეჩაგი გეხუროს, თუ არ გამოხვიდეთო.<sup>3</sup>

**„იესე მსაჯულის შვილები ასე ჩიოდნენ:** თათრის მოედანზე ზაზა სოლალაშვილს და ჩვენ ლაპარაკი მოგვიხდა და დაგვექადა: თუ კაცნი ხართ ბორბალას ამოხვალთ: ჩვენ უთხარით: ჩვენს ყმასა და მამულში რად ვერ ამოვალთ: ამგვარმა ლაპარაკებმა გაიარა და გავგაშვალეს.

რამდენიმე დღეს უკან დაქალებული ბორბალას მივიდა. ჩვენი სამი კომ-

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 32-35.

ლი მეშვედრე კაცნი იქილამ აგვიყარა და გამოლალა“. შემდგომ იესე ოსეს ძის ყმები ქალაქში ჩავიდნენ და თავისი შევიწროვების შესახებ ბატონს შესჩვილეს.

„რადგან ქვეითნი ვიყავით, სიცხის მიზეზით ღამე დავიწყევით სიარული და წირვის დროს ბორბალას მივედით. ჩვენ რომ დავგინახა, ზაზა სოლდაშვილი ახალუხით თავის სახლიდამ გამოვიდა და იქ მოვიდა, სადაც ქერს აბეგვინებდა. ჩვენ მივედით ჩვენის ყმის ღობესთან და იქილამ დაუდახეთ: რას გვემართლებოდი, რომ სამი კომლი კაცნი გამოგვიყარე. ამის პასუხად ავის პირით შემოგვაგინა, ...ასე შემოგვახა: შე მეკურტნის შვილო დავაჩოქებ და თავს ისე გაგაგლებინებო. მასუკან ჩვენც ვაგინეთ და უთხარი: შენ მეფის ერეკლეს დროს თავს როგორ გაგვაგლებინებ. მოიწია ჩვენზედ და თავისმა ძღველმა დაიჭირა; რომ ველარ შეიმაგრა, წამოუვიდა.

მე ჩემი თოფი ალაგზე დავდე. დასადებად დახრილი მანამ თავს ავიღებდი, ოთხი-ხუთი მუშტი ბეჭებში და გვერდებში დამკრა, მეც ჯელი შეუბრუნე, ორჯერ მუშტი ცხვირსა და პირში დავკარ. ამ შემოკვრაზედ გამიშო, საცა ჩემი თოფი იდვა, მივიდა, აიღო და ილღის ძირში გამომიმართა. ...ჩემმა ძმამ გიორგიმ ჩემზედ თოფი გამომართული რომ დაინახა, თოფის ტუჩი ჰკრა და მომაშორა. თბილელის კაცი მოვიდა და იმან გაგვაშველა.

ჩემი თოფი ზაზა სოლდაშვილს ჯელში ეჭირა, ჩემი კაცი გვერდს მიდვა, უთხარ: ხომ ნახე, ჩემის თოფით ეგ კაცი სიკვდილს მიპირებდა. მასუკან ის ცხენს შეჯდა, წამოვიდა ჩვენც ქვეითები წამოვედით...<sup>4</sup>

ამას გარდა ზაზა სოლდაშვილს წარსულს წელიწადებში ჩვენზედ ეს დანაშაული აქვს: მსახური გაგვილახა და იმ გალახვის მიზეზით მოკვდა, კიდევ გაგვილახა მოხუცებული მამასახლისი და თავი გაუტენა; კიდევ გაგვილახა მამასახლისის სახლიკაცი ნასყიდა; კიდევ გაგვილანძღა დედა და უპატიურად გახადა; კიდევ გაგვილახა ამ გავლილს თებრევალში ძმა და იმის გალახულობით ოცი დღე იწვა“.

ორივე მხარის საჩივარის მოსმენის შემდეგ სასამართლომ „ამათის ჩხუბის საქმის გამოძიებაში“ **იასაულად გაბაშვილი ტეტია და მოსამართლედ „სამსაჯულოს წვერი“ თურქისტანიშვილი ნინია** „კანონის მიცემით და დიდის სიფრთხილის დარიგებით და საშინელს ფიც ქვეშ შეგდებით“ ბორბალას გაგზავნეს.

ტეტია გაბაშვილმა და ნინია თურქისტანიშვილმა საქმის ვითარება ად-

---

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 34-35.

გილზე შეისწავლეს და აღნიშნეს, რომ „სათიბი მიწა, რომელიც ახლა მიზეზ ქმნიდა ჩხუბისა, ზაზა სოლაღაშვილის მამას იორამს იესე მსაჯულის შვილების ყმის ვარსიმაშვილებისათვის დაუნებებია. ამ მიწაში სოლაღაშვილს თავისი კაცი სათიბათ გაუგზავნია და ვარსიმაშვილებს არ დაუნებებიათ. გამობრუნებულა ის კაცი, ზაზა სოლაღაშვილთან მისულა და შეუჩივლია. ზაზას ვარსიმაშვილები მოუყვანიანებია და უთქვამს: ბატონს თქვენთან მიდით, ამოვიდეს და მამულები გავიყოთ, თქვენი წილი თქვენ და ჩვენი – ჩვენი; მუდამ ნუ შფოთავთო. მხოლოდ მშვიდობიანის სიტყვით ულაპარაკნია... ზაზა სოლაღაშვილს არც აუყრია, არც გამოურეკია, არც უგინებია და არც ავით მოჰპყრობია. მხოლოდ მშვიდობიანის სიტყვით ულაპარაკია... – იასაულთა ჩვენებით – იესე მსაჯულის შვილები ზაზა და მისი ძმები ამ ამბავზედ ბორბალას მისულან და თავისი ყმის ბანზე მყოფი ზაზა სოლაღაშვილი ცოლ-შვილის თვალწინ სასტიკად უცემიათ“.<sup>5</sup>

სამართლო მოსმენისა და საგამოძიებო საქმის წარმოების შემდეგ სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოიტანა:

„იესე მსაჯულის შვილებთან ბორბალადამ რომ თავეთი კაცნი მოვიდნენ და შემოსჩივლეს, მაშინ ესენი საჩხუბრად არ უნდა წასულიყვნენ; თავეთი საჩივარი ან მეფისთვის უნდა მოეხსენებინათ და ან მართლმსაჯულთშეკრებილებასთან გამოეცხადებინათ. რადგანაც ეს რიგიანი და მართებული საქმე არა ჰქმნეს და წავიდნენ, ბორბალას რომ მივიდნენ, სახლში უნდა დამდგარიყვნენ, იარაღი შემოეხსნათ, მოციქული მიეგზავნათ და ისე ულაპარაკი დაეწყოთ. იმავ მისვლაზე არც სახლში დადგნენ, არც მინდორში დადგნენ, არც იარაღი შემოიხსნეს, არც მოციქული მიუგზავნეს... თავისი ყმის ბანზე, იარაღით შეჭურვილნი მიუხდნენ და ცოლ-შვილის თვალწინ გალახეს“.<sup>6</sup>

ზაზა სოლაღაშვილის მიხდომის და გალახვისთვის იესეს შვილები ვახტანგის სამართლის კოდექსის მიხედვით გაასამართლეს.

სადაც, ცალკე თავი ეთმობა „მიკლომას და ღალატად დადგომას“. 51 მუხლში საუბარია „თუ სასახლესა და ცოლშვილში მიუტღეს კაცსა და დაესხას, რაც მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვარისა იყოს და წანაღებიცა“.<sup>7</sup> მაგრამ, რადგანაც შემთხვევის დროს ზაზა სო-

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 35-36.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 37.

<sup>7</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ ი. დოლიძემ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. თბ. 1963, გვ. 496.

ლაღაშვილი თავისი ყმის ეზოში იმყოფებოდა („ზაზა სოლაღაშვილი თავის ყმის სახლის ბანზე ფარალათად მდგარა“), საქმის ვითარება იცვლებოდა, ამიტომ დაძინაშავებებს 51-ე მუხლი აღარ შეეხოთ.

იასაულის და მსაჯულის კაცებს სოლაღაშვილის სახლიდან მისი ყმის სახლამდე მანძილი გაუზომავთ და „ოცდათორმეტი ადლი<sup>8</sup> გამოსულიყო“. სამართლომ 52-ე მუხლის თანახმად „მთელი სისხლის ნახევარი მიუსაჯა“. მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: „თუ ასეთს გლეხს დაესხას, რომე ახლოს იყოს მის ბატონის სასახლეზე, მის ბატონს ნახევარი სისხლი. და იმ გლეხისა რაც მოკუდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წანაღებცა მისცეს. საქონლის წაღებაზე ფიცით შეიჯეროს. თუ გლეხის პატრონი წამოუდგეს და მოკუდეს, მთელი სისხლი მისცეს; აგრევე ჭრილობისა“.<sup>9</sup>

ვახტანგის კოდექსი სისხლის ფასს სოციალური მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრავდა. ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით ქართლის თავადები სამ კატეგორიად იყოფოდნენ (დიდი, საშუალო და მცირე), ყველას განსხვავებული სისხლის ფასი ჰქონდა, განსხვავება იყო სათავადო სახლის უფროსის სისხლსა და მისი სახლიკაცის სისხლის ფასებს შორისაც, რადგან სახლიკაცი ერთი რანგით დაბლა მდგომი იყო. „ზაზა მესამე [ხარისხის] თავადად აღირაცხა“. ამიტომ „მესამე თავადის [მთელი] სისხლი – სამასოთხმოცდაოთხი თუმანი“ იყო,<sup>10</sup> იესე ოსეს ძის შვილებს ამისი ნახევარი ასოთხმოცდათორმეტი თუმნის – გადახდა დაეკისრათ. ამასთან, ზაზა სოლაღაშვილი იმავდროულად კათალიკოს ანტონ II-ის (1788-1811 წწ.) მოლარეთუხუცესი იყო,<sup>11</sup> და 192 თუმანს „მოხელეობის პატივის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანიც“ დაემატა.<sup>12</sup>

გარდა ამისა, „თოფის პირით“ მიყენებული დაზიანებისთვის, იესე ოსეს ძის შვილებს დამატებითა გადასახადი დაეკისრათ. ვახტანგის სამართლის, „სისხლის განაჩენის“, 49-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: ჭრილობა „ქერის მარცვლით გაზომონ, რამდენიც ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისა არის, ძროხა ორ მინალთუნად ჩავარდების. მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ ოთხი მინალთუნი, ცალმოვს აზ-

---

<sup>8</sup> ადლი დაახლოებით 101,15 სმ. უდრიდა. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I. თბ. 1975, გვ. 97.

<sup>9</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 496.

<sup>10</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 489.

<sup>11</sup> იხ. 1784 წ. 21. V. მოლარეთუხუცესობის წყალობის წიგნი, მიცემული ანტონ ბატონიშვილის მიერ ზაზა სოლაღაშვილისათვის. ხეც. Hd-2464.

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 38.

ნაურზედ რვა მინალოუმი, შუას აზნაურზედ – თექვსმეტი მინალოუნი, ღიდს აზნაურშვილზედ – სამი თუმანი და ორი მინალოუნი, დაბალს თავადზედ – ექვსი თუმანი და ოთხი მინალოუნი, შუას თავადზედ – თორმეტი თუმანი და რვა მინალოუნი, ღიდებულზედ – ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალოუნი“.<sup>13</sup>

მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ „წაყვლეფილი ადგილი გაუზომეთ, ათის ქერის მარცვლის ზომა გამოვიდა. რადგან მახვილით არა ჰქონდა ჭრილობა, სამართლის წიგნის ძალით მახვილით ჭრილობის ნახევარზედ ვიანგარიშეთ. მესამე თავადის ერთის ქერის მარცვლის ჭრილობის სისხლი ექვსი თუმანი და ოთხი მინალოუნი არის. ამისი ნახევარი გაუჩინეთ“. ამას ისევ დაემატა მოხელეობის 16 თუმანი, ორივე ჯამში 48 თუმანი.

**საბოლოო ჯამში სასამართლომ ოსეს ძის შვილებს 336 თუმანი დააკისრა.** ეს განაჩენი კი იმ დროისთვის საკმაოდ დიდი გადასახადს წარმოადგენდა, მაგრამ, მიუხედავად განჩენის სიმკაცრისა, საბუთის ბოლოს არის საინტერესო მინაწერები:

„ავის დროსა და შეუძლებლობის მიზეზით სამართალია იპატივა მესამედი, რომ იქნება ასთორმეტი თუმანი. ამას რომ ზემო ჯამიდან გამოვიდეთ დარჩება ძირს ორასოცდაოთხი თუმანი, რომ ეს ორასოცდაოთხი თუმანი იესე მსაჯულის შვილებმა ზაზა სოლაღაშვილს უნდა დაუურვონ და მისცენ ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინსი“.<sup>14</sup>

იქვე დამატებაა „თუ ზაზა სოლაღაშვილის ცოლს ამ ჩხუბის მიზეზით მუცელი წაუხდა, მუცლის წახდენისათვის, როგორც მეფის ვახტანგის სამართალი უჩენს, მთელი სისხლი უნდა მისცენ იესე მსაჯულის შვილებმა“.

იესე ოსეს ძის შვილების გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, სასამართლომ ზაზა სოლაღაშვილსაც გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა, რადგან: ეს განაჩენი მიწის გამო ატეხილი ჩხუბის გამო იყო გამოტანილი და თავის დროზე ზაზას მამამ, იორამ სოლაღაშვილმა, ეს მიწა იესე ოსეს ძეს მიჰყიდა, ზაზას იმ მიწაში თივის მოსათობად ხალხი არ უნდა გაეგზავნა და, შესაბამისად, ჩხუბის მიზეზიც არ გახდებოდა, ამიტომ იესე ოსეს ძის შვილებს ზაზასთვის ცხვირის დაზიანება და თვალების „ჩასისხლიანება“ აპატიეს.<sup>15</sup>

იესე ოსეს ძის შვილები, თავის მხრივ, ზაზა სოლაღაშვილის მიერ, მათზე თოფის მომართვას, სამი კომლის აყრას და გამოყრას უჩიოდნენ. ასევე

<sup>13</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 494.

<sup>14</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 38.

<sup>15</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 38.

ჩიოდნენ: მამასახლისისა და მისი „სახლიკაცის“ გალახვას, მათი დედის შეუ-  
რაცყოფასა და ძმის გალახვას. მაგრამ სასამართლომ ეს საჩივრები, მტკიცე-  
ბულებების არქონის გამო არ გაითვალისწინა და როდესაც სათანადო  
ლოკუმეტაციას წარმოადგენდნენ, მაშინ განვიხილავთ – აღნიშნეს იასაულმა  
და მოსამართლემ.<sup>16</sup>

საბოლოო განაჩენით, „ზემორე განჩენილი სისხლი უნდა დაუურვონ  
იესე მსაჯულის შვილებმა სოლალაშვილს ზაზას. „**იასაულო ტეტიავ!** ეს ასე  
აღასრულე ივლისის ი(10) ქკს უბე (485+1312=1797 წ.)“.

შემდეგ მოდის ტრადიციული დამოწმებები, შვიდი ბეჭედი: 1. იოანე  
ორბელიანი; 2. ქაიხოსრო მსაჯული; 3. ზაალი; 4. ბეჟანი; 5. მდივანბეგი ვა-  
ხუშტი ჯავახიშვილი; 6. მდივანი სულხან თუმანიშვილი; 7. მდივანბეგი დავი-  
თი: თავში – ერეკლე მეფისა და მეფის ძე გიორგის დამტკიცება.<sup>17</sup>

საბუთზევე მიწერილი ტექსტის მიხედვით დარეჯან დედოფლის, ანტონ  
კათალიკოსისა და ძირიან ბატონიშვილის ჩარევის და შუამდგომლობის შედე-  
გად, მოდავე მხარებს შორის 1800 წელს შეთანხმება მომხდარა. სხვა ლოკუ-  
მენტებში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რა სახის გარიგებას ჰქონდა ადგილი  
მოდავეებს შორის. მაგრამ ფაქტია, რომ სოლალაშვილებმა იესე ოსეს ძის  
ძეებს დანაშაული აპატიეს და ზემოთ აღნიშნულ განაჩენსაც აბათილებენ.

„ქ. ჩვენ, სოლალაშვილები იესე, ზაზა, ნინია და იოსებ ამ განჩინებას  
ესრედ ვაწერთ, რომ: რაც ამ სამართლით თქვენ, მსაჯულის იესეს შვილებს  
ზაზას, გიორგის და დავითს ჩვენი სისხლი დაგედვათ, ამ საქმეზედ მისი სი-  
მაღლე დედოფალი დარეჯან, იმისი უწმინდესობა მეფის ძე კათალიკოზი ან-  
ტონი და მეფის ძე ძირიან შუა შემოიყვანეთ და ჩვენ ამ უმაღლესთ მორჩი-  
ლებისა და პატივისცემისათვის და **თქვენსა და ჩვენს შორის ნათესაობისათ-  
ვის**,<sup>18</sup> რაც ამ განჩინებაზედ სამდივანბეგო გაგვსლოდა და ან ავანტყოფობა-  
ზედ და სხუა ხარჯი მოგვსლოდა, ის გამოგართვით; და სხვა გაპატიეთ და  
კელი ავიღევით, რომ ამ სისხლის საქმეზედ დღეს და დღეის იქით არც ჩვენ

---

<sup>16</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 38.

<sup>17</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 38-39.

<sup>18</sup> **ნათესაობის შესახებ** – როდესაც მანუჩარ სოლალაშვილი იესე ოსეს ძეს თავი-  
სი მამულის ყიდვას ეხვეწებოდა, ეუბნებოდა, რომ „დემერთმა ხომ იცის, მე გაუს-  
ყიდავი არ დაუდგები, უნდა გაეყიდო, სხვა ილაჯი რომ არა მაქვს, მაშ რასა ვი-  
ქო და ასეთი ვინმე რომ ჩავუზიარო შენს ქვისლსა, რომ შენც გწყველიდეს და  
მეცა, რაში გიჯობსო“ (იხ. იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი. ტექსტი გა-  
მოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსე-  
ლიანმა. „მსკი“. ნაკვ. 28. თბ. 1950, გვ. 39): სავარაუდოდ, იესე ოსეს ძე და მანუჩარ  
სოლალაშვილის შვილი, ანუ ზაზა სოლალაშვილის ბიძაშვილი, ქვისლები იყვნენ.

და არც ჩვენს შთამომავალთ არ თქვენთან და არც თქვენს შთამომავალთან საღაო და სალაპარაკო აღარა გვაქვს რა“.

„თქვენთან საღაო კი აღარა გვაქვს რა და დღეის იქით, ეს განაჩენი ბათილი არის.“ აღნიშნულს ამოწმებს ბეგთაბეგ მდივანბეგი „მე, მდივანბეგმა ბეგთაბეგმა სოლალაშვილების სიტყვითა და ყაბულობით მოვაწერე ეს გარდაწვევტილობა და მოწამეცა ვარ. აღიწერა იანვრის ა (1) ქკს უპჷ (488+1312=1800 წ.)“.<sup>19</sup>

მიუხედავად ამ შეთანხმებისა, მათი ურთიერთობა გამოსწორებული რომ არ იყო, მალევე გამოჩნდა კიდევ. თუმცა მანამდე ზაზა სოლალაშვილმა იორამის მიერ იესე ოსეს ძისთვის მიყიდული ერთი ყმა დაიბრუნა. ლეკების მიერ გატაცებული სოლალაანთ ყმა, თათულა მურადაშვილი – 1791 წელს სასოლალაშვილო სოფელ ტაგნაგეთში დაბრუნდა და სოლალაშვილ ზაზას, მის ძმებსა და სახლიკაცებს ყმობა სთხოვა („ჩემი თავი შენ მოგეც და შენი კელი დავდე, რაც ჩემგან შეიძლებოდეს ბატონყმურათ გემსახურო“).<sup>20</sup>

1801 წელს სადავო ყმების გამო სოლალაშვილებმა სასამართლოს არჩით მიმართეს. ზაზა სოლალაშვილი მამამისის – იორამის – და ბიძამისის – მანუჩარის – მიერ იესესთვის მიყიდულ სხვა ყმებთან დაკავშირებით დაობდა. ზაზა ჩიოდა – ვარსიმაშვილი ნასყიდა, ირემაშვილი დავითა და ვარსიმაშვილი გულიას შვილი ნინია ჩემი საწილო ყმები არიანო. ამჯერად სამართალი იესე ოსეს ძის შვილების მხარეზე იყო. იესე მსაჯულის შვილმა, ზაზამ, ნასყიდობის წიგნი მოიტანა, რომლის მიხედვით ზაზას მამას – იორამს – და ბიძას – მანუჩარს – თავის დროზე ეს ყმები გაუყიდათ. ზაზა იესეს ძე ეუბნებოდა ზაზა სოლალაშვილს, რომ „მასუკან მამაშენმა შვიდი-რვა წელიწადი

<sup>19</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 40.

<sup>20</sup> თუმცა „მანუჩარ[მა] – აღნიშნავს თათულა მურადაშვილი – ოსეს შვილს იესეს მიმეიდა და იმას ვემსახურებოდი ბატონყმურადა... მაგრამ მერე ...ქვეყნის არეულობისა და ლეკთაგან აოხრებისაგან დავიკარგე და ტყვედ მივეცი ლეკთა და რაოდენიმე ხანი დაღისტანში ტყვედ ვიმყოფებოდი. მასუკან ყიზლარს გამყიდეს და ყიზლარს ვიყავი. ზოგი ჩემი გარჯითა და მუშაობითა, ზოგი ქვეყნის მოწყალებითა ჩემი თავი ტყვეობიდან გამოვიხსენ“. თათულამ კარგად იცოდა, რომ ტყვეობიდან უკან დაბრუნებული ყმა თავისუფალი იყო და ამიტომაც ასე ამოხს – „მისის სიმაღლის მეფის ბრძანებაც ასე იყო და წიგნიც არის დადებული რომ, რომელიც საქართველოს მიწის კაცი ტყვეობიდან მოვა, იმ კაცთან თავის ბატონს კელი აღარა აქვს და ვერცარას ედავება, თავისუფალი არის, ვისიც ტყვეობიდან მოსულის კაცის ნება არის მასთან მივა და იმას ეყმობა... ამიტომ ...ჩემი თავი შენ მოგეც და შენი კელი დავდე, რაც ჩემგან შეიძლებოდეს ბატონყმურათ გემსახურო“. მურადაშვილმა იესე ოსეს ძეს ისევ ზაზა სოლალაშვილის ყმობა არჩია (ხეც. Hd-14285).

კიდევ იცოცხლა, რატომ ის არ გვედავა?“. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბორბალოელი ყმები იესე მსაჯულის შვილს ზაზას ღარჩა.<sup>21</sup> სწორედ ეს სადავო ყმები იყვნენ 1797 წელს ქალაქში რომ ჩავიდნენ ბარათაშვილებთან, ზაზა სოლოდაშვილმა გამოგვყარაო.

თუ თვალს გავადევნებთ, დაპირისპირების მიზეზები ბევრად უფრო ადრე იწყება. თავის ღროზე ზაზას მამამ – იორამმა – და ბიძამ – მანუჩარმა – იესე ოსეს ძეს მამულები მიჰყიდეს, მაგრამ როგორც იესე ოსეს ძე თავის ანდერძში აღნიშნავს, სულაც არ აპირებდა მათი მამულების ყიდვას და რადგან ძალიან „შემოეხვეწნენ“, იძულებული გახდა, ეყიდა სოლოდაანთ სამკვიდრო მამულები, რისთვისაც, სხვათა შორის, როგორც თვითონვე აღნიშნავს, სარგებლით დასაბრუნებელი ვალი აუღია.

1763 წელს ერეკლე მეფე ტაბახმელაში ყოფილა, თავისი მდივანბეგი იესე ოსეს ძეც თან ახლდა. როგორც იესე იხსენებს, „მანუჩარ სოლოდასშვილი ამოვიდა, დიდი საქმის გაჭირვება მიამბო. ელიზბარის<sup>22</sup> წილი ტავნაგეთი იყიდეო“, მანამდე მანუჩარს იესესთვის მონასტერის და ასურეთის მამულები უკვე მიყიდული ჰქონდა.

მანუჩარ სოლოდაშვილი იესე ოსეს ძეს ეხვეწებოდა „შინდისი და ტაბაკმელა, რაც ჩემი წილი არის ჩემის საუფროსოთი, ესენი იყიდეო და მამის ჩემის ნასყიდობითაო, რომ ბიძის ჩემის ელიზბარისგან გვიყიდიო და კიდევ განაყოფებისგან ჩვენის მამა პაპათ სამკვიდრო მამული ესენი არისო“.<sup>23</sup> იესემ, როგორც თვითონ ამბობს დიდი შრომით, „ზოგი ვალით და ზოგი ნაღლით“ ეს მამულები შეისყიდა.<sup>24</sup> იესე ოსეს ძეს „შინდისი და ტაბახმელა, რაც თავისი წილი იყო თავის საუფროსოთი, ბიძისგან ელიზბარ სოლოდაშვილისგან, მამამისის მიერ შეძენილი მამული და სახლიკაცის იორამის გვერდით“ მიჰყიდა.<sup>25</sup>

იესე ოსეს ძეს, როგორც თვითონვე აღწერს, მალევე, 1764 წელს მეფე ერეკლემ „წყალობა მიყო, რაყამი მიბოძა მტკიცე და კარგი, რომელთაც რომ საქართველოში დავემკვიდრე და ჩემის შვილების ვალი მოეხსენ, რომ სიტყვა აქვსთ რა ჩემთან, ღმერთს ვმადლობ ჭეშმარიტად და მეფეს ერეკლეს ამ წიგნის ბოძებისათვის და მისი ბძანება და რაყამი ასეა ბძანებული და აღმო-

---

<sup>21</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 289-292.

<sup>22</sup> ელიზბარი მანუჩარ სოლოდაშვილის ბიძა იყო.

<sup>23</sup> იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 39.

<sup>24</sup> იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 39-41.

<sup>25</sup> იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 39.



ჩენილი“.<sup>26</sup>

ამის შემდეგ, იესემ, დამცრობის გზაზე მღვარი სოლაღაშვილების სათავადოს სხვა მამულები და ყმებიც შეიძინა და 1783 წელს მეფეს თხოვნით მიმართა, რომ ეს შეძენილი მამულები ერთიანად დაემტკიცებინა, რათა მომავალში მის შვილებს არავინ მოღავებოდა. იესემ სხვა სოფლებთან ერთად ადრე სოლაღაშვილებისგან ნაყიდი სოფლები – ასურეთის ნახევარი, საღორისის ნახევარი, შინდისის ნახევარი, ტაბახმელის<sup>27</sup> მეოთხედი დაიმტკიცა. ამასთან ერთად სოლაღაშვილების მიერ დაგირავებული სხვა სოფლების დამტკიცებაც ითხოვა. მეფემ მისი თხოვნა დააკმაყოფილა, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ეს სოფლები – „იესესა და ამის შვილებისათვის გვიბოძებიაო“.<sup>28</sup>

ამ, ერთი შეხედვით, მემამულეთა რიგითი სასამართლოს უკან სოციალური დაპირისპირების თავისებური ფორმა იმალება. საქმე ის გახლავთ, რომ განსხვავებით სოლაღაშვილებისგან, იესე ოსეს ძე მეფის სამსახურში დაწინაურებული ფეოდალია, მისი მამა – ღეკანოზი ოსე მიქაძე – სიონის ეკლესიის მღვდელი იყო. იესე 1750 წლიდან თეიმურაზ II-ის (1744-1762 წწ.) მეუღლის – ანაჩანუმის მდივანი გახდა, შემდეგ – მოღარეთუხუცესი. 1758 წელს თანამდებობიდან გადააყენეს და კალიგრაფ-მდივნად დატოვეს. 1762 წელს ერეკლე II-მ სამეფო მდივნის თანამდებობა უბოძა, ხოლო 1764 წლის 25 ივნისს – თავადობა და ბარათაშვილის გვარი.<sup>29</sup> შემდეგ იესე ოსეს ძეს ერეკლეს მოღალატე თავადებთან კავშირი დასწამეს და 1776 წელს მდივნობიდან გადააყენეს, წაართვეს თავადობა, მამულები, ყმები და ტფილელის ყმად აქციეს. 1777 წელს დარეჯან დედოფლის მხარდაჭერით ისევ მდივანბეგად დანიშნეს. 1786 წელს ახალციხეში მიმავალი იესე ოსეს ძე გზაში ლეკებმა მოკლეს. იესე ოსეს ძე მეფის სამსახურში დაწინაურებული მემამულის ტიპური წარმომადგენელია, ამიტომაც მისთვის მთავარი დასაყრდენი მეფის ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებაა.<sup>30</sup>

სოლაღაშვილების სათავადო ამ პერიოდში კრიზისს განიცდიდა, სათავადოს სხვადასხვა წარმომადგენლები ყიდიან და აგირავებენ მამულებს. ყიდულობენ ბარათაშვილ-ორბელიანები და უმეტესს კი სწორედ იესე ოსეს ძე, რომელიც უკვე ბარათაშვილიც გახდა. ფულთან ერთად მას უკვე შესაბამისი

<sup>26</sup> იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი, გვ. 42.

<sup>27</sup> ტექსტში „დაბახმელა“.

<sup>28</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, 582.

<sup>29</sup> იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძი, გვ. 42.

<sup>30</sup> გ. მჭედლიძე. იესე ბარათაშვილი (1728-1786 წწ.). [http://qim.ge/iese\\_baratashvili.html](http://qim.ge/iese_baratashvili.html).

მდგომარეობაც ჰქონდა, რაც დამატებით უფლებას აძლევდა, რომ, როგორც ქვემო ქართლის მთავარი საგვარეულოს – ბარათაშვილების – წარმომადგენელს სამკვიდროდ შეეძინა ქვემო ქართლში მამულები. იესე ოსეს ძემ მამულების ძირითადი ნაწილი სწორედ სასოლადაშვილოს ხარჯზე შეაგროვა.

ზაზა სოლადაშვილი კი მამის – იორამის – გარდაცვალების შემდეგ შეეცადა სოლადაშვილებისთვის დაებრუნებინა ძველი, პრივილეგირებული, მდგომარეობა და მნიშვნელოვან მამულებსა და ყმებს მოუყარა თავი, ბევრი შეიძინა, ზოგი სასამართლოთი დაიბრუნა, ააშენა ბორბალოში კოშკი და სასახლე,<sup>31</sup> ფლობდა კათალიკოსის მოლარეთუხუცესის სახელოს. ბუნებრივია, ექნებოდა პრეტენზია თავისი გვარისთვის „ავის დროის“ მიზეზით დაკარგული მდგომარეობის დაბრუნებაზე. პირველ რიგში, ვერ ურიგდება შედარებით დაბალი სოციალური წარმოშობის, მეფის სამსახურში ახლად დაწინაურებული იესეს შვილების – „თავადი ბარათაშვილების“ – მათ მამულებზე უფლების მოპოვებას. ამის გამოა, რომ ჩხუბის დროს ზაზა სოლადაშვილმა „მეკურტნის შვილები“ უწოდა იესეს მსაჯულის შვილებს („მეკურტნის შვილო დაგაჩოქებ და თავს ისე გაგაგდებინებო“), თითქოს ამით ზაზს უსვამს თავის უპირატესობას და კიდევ ერთხელ შეახსენებს და წამოაძახებს მათ წარმომავლობას.

მაგრამ იესე ოსეს ძე მეფის სამსახურში დაწინაურებული მემამულეა. რომლისთვისაც ძლიერი მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვანი და მთავარი დასაყრდენია. მისი შვილები დარწმუნებულნი არიან, ძველი თავადური წარმომავლობის ზაზა სოლადაშვილი ვერაფერს დააკლებს და სამართალს იპოვიან. „შენ მეფის ერეკლეს დროს თავს როგორ გაგკავდებინებ“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფის იმედი აქვთ და ზაზს უსვამენ, რომ უკვე ვეღარ დაჩაგრავს სოციალური წარმომავლობით ერთ დროს მაღლა მდგომი თავადი ახლად შექმნილ ფეოდალებს. „ერეკლეს დრო“ ამ კონტექსტში უკვე სხვა დროს აღნიშნავს, რომელშიც ტრადიციულ, დაწინაურებული საგვარეულოების გარდა, სხვებსაც აძლევს შანსს, მოიპოვოს მდგომარეობა.

იესე ოსეს ძესა, და სოლადაშვილებს შორის გაჩენილი უთანხმოება საინტერესო მაგალითია XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიისა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ძველი სათავადო სამემკვიდრეო მფლობელობა თანდათან ირღვევა, ხოლო მათი მამულები სხვა, თუნდაც დაბალი სოციალური

---

<sup>31</sup> ზაზა სოლადაშვილის შექმნილი ქონების შესახებ ვრცლად იხ. სოლადაშვილების 1801 წლის გაყრის განჩინება. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, გვ. 312.

წარმომავლობის, ადამიანების ხელში გადადის, ამას ყველაფერს კანონმდებლობა ხელს არ უშლის და მეფეც ამტკიცებს.

ფეოდალთა ამ კონკრეტული დაპირისპირებიდან იკვეთება, რომ XVIII საუკუნის ფეოდალური საქართველოს საზოგადოებაში, სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა ვახტანგის სამართლის მკაცრი დაცვით ხდება. განსაკუთრებით მოწესრიგებული ყოფილა სასამართლო სისტემა.<sup>32</sup> თუმცა, როგორც ჩანს, ოღონდაც ისევ კანონის ფარგლებში, ხშირად ხდება დაკისრებული სისხლის ფასის სისხლის ფასის შემცირება ან განახევრება. სასამართლო ითვალისწინებდა „ავს დროს“, გადამხდელის შესაძლებლობებს.

---

<sup>32</sup> ერეკლე II-ის მიერ გატარებული სასამართლო რეფორმის შესახებ ვრცლად იხ. აპ. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 158-178.

*Alexander Boshishvili*

**LEGAL AND SOCIAL ASPECTS OF CONTROVERSY IN 18<sup>TH</sup>  
CENTURY GEORGIA  
(STORY OF CONFLICT BETWEEN SOLAGHASHVILI FAMILY AND HEIRS  
OF IESE, SON OF OSE)**

Summary

Article contains account of court procedure about land dispute that took place between heirs of Iese son of Ose and prince Zaza Solaghashvili. Details of confrontation between old noble family (Solaghashvili) and the new landowners raised in king's service (sons of Iese) are discussed in our paper.

Zaza Solaghashvili was injured during the conflict. The guilty persons were put on trial according to codex of king Vakhtang VI. But concerning to the same codex the money set for crime was reduced. The court foresaw "evil time" of economic hardship and abilities of censured persons.

It is interesting that purpose for the controversy emerged much earlier. Both sides reopened the dispute for the land and peasants in 1800.

Kartl-Kakheti Kingdom had well organized system of court procedure, which is documented in the acts. Conflict and disagreement that took place between heirs of Iese son of Ose is interesting for the study of social and juridical aspects of Georgian history in 18<sup>th</sup> century.

*ბონდო კუპატაძე*

## გენდერული თანასწორობის საკითხი „თერგდალეულთა“ პუბლიცისტიკაში

გენდერული საკითხები, კერძოდ კი ქალთა პოლიტიკური და სოციალური უფლებები, ქართველ „თერგდალეულთა“ პუბლიცისტიკის ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს. გენდერულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება უნდა განვიხილოთ როგორც მათი მხრიდან ქართული საზოგადოების მოდერნიზაციის („ევროპეიზაციის“) მცდელობის ერთ-ერთი მიმართულება. ქართული პერიოდიკის აღორძინების ჟამს (XIX ს. 60-80-იანი წწ.) გენდერულ საკითხებს არაერთ სტატიაში განიხილავენ ქართველი სამოციანელები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა). ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

ქართველ პუბლიცისტთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ქართული საზოგადოებისათვის გაეცნოთ ევროპაში მიმდინარე ემანსიპაციისთვის ბრძოლის არსი, გაეცნოთ პარალელი ქართულ რეალობასთან და მოეხდინათ გენდერული პრობლემების პოპულარიზაცია ამგვარი საკითხების მიმართ საკმაოდ დახურულ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში, გაეაქტიურებინათ საზოგადოებრივი აზრი.

ქალთა უფლებების შესახებ პირველი მოთხოვნები საფრანგეთის რევოლუციის პერიოდს უკავშირდება. საზოგადოების გააქტიურებამ და საყოველთაო თავისუფლების ატმოსფერომ ფრანგ ქალებს გარკვეულ მოთხოვნათა წამოყენების საშუალება მისცა. ფრანგმა მწერალმა ქალმა ოლიმპია დე გუჟმა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ საპასუხოდ დაწერა და ეროვნულ კრებას 1791 წელს წარუდგინა მანიფესტი „ქალის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. მან მოითხოვა ქალების სრულუფლებიან მოქალაქეთა კატეგორიაში ჩართვა, რომლის მთავარი იდეაც ქალის, როგორც თავისუ-

ფალი პიროვნების აღიარება და მისი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა იყო<sup>1</sup> („თუ ქალს ბარიკადებზე ასვლის უფლება აქვს, მაშინ ტრიბუნაზე ამღლების უფლებაც უნდა ჰქონდეს“ – წერდა დე გუჟი).

მანიფესტი ძირითადად სოციალური ტიპის მოთხოვნას, კერძოდ კი, განათლების მიღების უფლებას უკავშირდებოდა. საინტერესოა, რომ იმჟამად ამ მოთხოვნის უჩვეულობიდან გამომდინარე პროტესტანტები იძულებულნი იყვნენ თავიანთ პრეტენზიის სამართლიანობა დაესაბუთებინათ არა ზოგადად ადა-მიანის უფლებების თვალსაზრისით (ამას მამაკაცთა საზოგადოება ვერ გაიგებდა – ქალი არც რევოლუციური საფრანგეთისთვის იყო სრულუფლებიანი მოქალაქე), არამედ საზოგადოებრივი სარგებლიანობა-საჭიროების თვალსაზრისით: „ჩვენ განათლება და დასაქმება იმიტომ კი არ გვინდა, რომ უმაღლეს სქესს (მამაკაცებს) შევეჯიბროთ, ან იმ ქალებისთვის კი არ ვზრუნავთ, ვინც უზრუნველყოფილია, ვისაც ჰყავს ოჯახი და ბავშვები ვისაც მისი ენერგია და გულისყური ჭირდება, არამედ, იმ დაცემული ქალებისათვის, ვინც გაუნათლებლობისა და გაჭირვების გამო ირჩევს პროსტიტუციას და ამით საფრთხეს უქმნის ოჯახის სიწმინდესა და სტაბილურობას“.<sup>2</sup> მანიფესტი უპასუხოდ დარჩა. მეტიც, შემდგომში იაკობინელთა მთავრობამ საერთოდ აკრძალა ქალთა ყოველგვარი მოძრაობა და დაჯგუფება. რევოლუციისდროინდელი საფრანგეთის იდეალად დარჩა განათლებული მეუღლე და დედა, რომელსაც შეეძლებოდა თანაბარ დონეზე საუბარი მეუღლესთან და შვილების აღზრდა რესპუბლიკის და რევოლუციის პატრიოტებად.

XIX ს-ის I ნახევარში სოციალური უფლებების (შრომისა და განათლების უფლება) პარალელურად გაჩნდა ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების მოთხოვნაც.<sup>3</sup> გაჩნდა ქალთა კლუბები, ქალთა მრავალრიცხოვანი კავშირები. ევროპაში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალთა სოციალური კუთვნილებები. ქვედა ფენების (მუშათა...) წარმომადგენელი ქალები ძირითადად შრომითი პირობების გაუმჯობესებით იყვნენ დაინტერესებულნი, ხოლო არისტოკრატიული კლასის წარმომადგენელი ქალები მოითხოვდნენ სამოქალაქო უფლებების გაზრდას: საარჩევნო ხმის უფლებას, წარმომადგენლობას ხელისუფლებაში,

<sup>1</sup> თ. კიკნაძე, ნ. დონაძე. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბ. 2006, გვ. 77.

<sup>2</sup> თ. საბედაშვილი. ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები საღვეპციო კურსი თბ. 2006, გვ. 18

<sup>3</sup> G. Bock. Women in European History. Blackwell Publishers. Oxford. 2002, გვ. 82.

თანასწორობას ქორწინებისას და გაყრის პროცესის წამოწყებას.<sup>4</sup>

XIX ს-ის II ნახევარში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა რამდენიმე ეტაპად განიხილება: 1. პოლიტიკური და საარჩევნო უფლებებისთვის ბრძოლა (რომელიც თავის მხრივ ორ მიმართულებად ყალიბდება: ე. წ. „სუფრაჟისტთა მოძრაობა“ – კონსტიტუციური გზებით ცვლილებების მომხრენი და „სუფრაჟისტები“);<sup>5</sup> 2. სოციალური უფლებებისთვის ბრძოლა (ემანსიპაცია საზოგადოებასა და ოჯახში).

ამ მოძრაობის თეორეტიკოსთა ნააზრევი ქალის როლზე საზოგადოებაში ორ ძირითად შეხედულებად ყალიბდება: 1. ნაწილის აზრით, ქალები არიან უფრო ჰუმანური, გულისხმიერნი ჩაგრულთა მიმართ, ვიდრე მამაკაცები. შესაბამისად ქალების აქტიური ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო ცივილიზებულს გახდის პოლიტიკას. ამასთან, ვინაიდან ქალის ძირითადი მოვალეობაა ოჯახური ცხოვრების გაძლოლა, ქალთა პოლიტიკურად გააქტიურება მოაგვარებდა ოჯახთან დაკავშირებულ პრობლემებს (კერძოდ, ალკოჰოლიზმის, ბავშვთა უფლებების) და ხელს შეუწყობდა კანონმდებლობის მოდერნიზაციას. 2. რადიკალების აზრით, ქალები და მამაკაცები სრულად უნდა გათანაბრებულიყვნენ. მათ სისულელედ მიაჩნდათ ცნება „ბუნებით განსაზღვრული ქალის ფუნქცია-დანიშნულება“ და ცხოვრების ყველა სფეროში ქალის აქტიური ჩართვის მომხრენი იყვნენ.

ქალთა საარჩევნო უფლებების მომხრეთა შორისაც განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთა: ერთნი საყოველთაო საარჩევნო უფლებებზე საუბრობდნენ. მეორე ნაწილი რასობრივი და ქონებრივი ცენზის მომხრე იყო და არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ შეძლებული თეთრკანიანი ქალებისა და კაცების უფლებად მიიჩნევდა.

<sup>4</sup> G. Bock. Women in European History. Blackwell Publishers. Oxford. 2002, გვ. 82.

<sup>5</sup> სუფრაჟიზმი წარმოდგება სიტყვიდან Suffrage – რაც ხმის მიცემას, არჩევნებში მონაწილეობას ნიშნავს. შესაბამისად, ქალებს, რომლებიც პოლიტიკური უფლებებისათვის დაწყებულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ, სუფრაჟისტები (Suffragists) ეწოდებოდათ. სუფრაჟისტების მოძრაობა 1848-1920 წლებში მიმდინარეობდა აშშ-ში. 1903 წელს ემელინ პანკჰერსტმა დააფუძნა „ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა“ – ქალთა საამომრჩევლო უფლებათა საერთაშორისო ალიანსი, რომელიც ბრძოლის რადიკალურ ფორმებს ანიჭებდა უპირატესობას. ისინი უფრო მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ აგრესიულობით (შეხვედრების დარბევა, ფანჯრების ღეწვა) იპყრობდნენ საზოგადოების ყურადღებას და ამის გამო უფრო ანგაჟირებულები იყვნენ საზოგადოებაში. მათ „სუფრაჟეტებს“ (Suffragettes) უწოდებდნენ. რადიკალი სუფრაჟეტები განსაკუთრებით საფრანგეთში აქტიურობდნენ. მათ პირველ დიდ გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოთ 1871 წელს პარიზის კომუნის მიერ ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება.

1848 წელს აშშ-ში შედგა ისტორიაში ქალთა უფლებების დაცვის პირველი ყრილობა. 1848 წლის ევროპული რევოლუციის პერიოდში ქალთა უფლებებისათვის მებრძოლთა ლოზუნგებში უკვე იკვეთება პოლიტიკური ქვეტექსტი: „ჩვენ არ გვინდა გავხდეთ კარგი მამაკაცი მოქალაქეები, ჩვენ უბრალოდ გვსურს გავხდეთ კარგი მოქალაქეები, და თუ ჩვენ ვითხოვთ უფლებებს როგორც ქალები, ჩვენ ვითხოვთ ქალების უფლებებს და არა მამაკაცების უფლებებს... ქალებმა უნდა მოითხოვონ თავიანთი უფლებები, არა როგორც ქალებმა, არამედ როგორც ადამიანებმა და სოციუმის წევრებმა“. ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭების ყველაზე ადრეულ მოთხოვნად ითვლება მერი სმიტის პეტიცია. იგი ქალებისათვის ხმის მიცემას ქონებრივი ცენზის საფუძველზე ითხოვდა. ვინაიდან გათხოვილ ქალებს ერთმოდით საკუთრების უფლება, ეს მოთხოვნა რომ გაეთვალისწინებინა დიდი ბრიტანეთის თემთა პალატას, ამ უფლებით მხოლოდ გაუთხოვარი ქალები ისარგებლებდნენ. მერი სმიტის პეტიცია წინ უძღოდა 1832 წლის რეფორმის აქტს.<sup>6</sup>

დიდ ბრიტანეთში 1867 წლის მეორე რეფორმის აქტის მომზადების წინ ახლად შექმნილმა ქალთა ხმის უფლებისათვის მებრძოლმა კომიტეტმა მოამზადა პეტიცია ლორდთა პალატისათვის, რომელსაც ორ კვირაში 1 500-მა ქალმა მოაწერა ხელი. 1865 წელს თემთა პალატას პეტიცია ჯონ სტიუარტ მილმა<sup>7</sup> წარუდგინა, მილი ითხოვდა, გაუთხოვარი ქალებისთვის მიეცათ აქტიური ხმის უფლება იმავე პირობებით, რა პირობებითაც მამაკაცებს ჰქონდათ ეს უფლება. მილი უბრალოდ ითხოვდა აქტში სიტყვა „კაცი“ შეეცვალათ „პიროვნებით“, მაგრამ იმხანად მისი პეტიციები კონსერვატორული უმრავლესობის პარლამენტში უშედეგო იყო.<sup>8</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ჯონ მილის პეტიციამ – გენდერული ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ ბიძგი მისცა საქართველოში ქალთა

<sup>6</sup> თ. საბუდაშვილი. ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები საღვთისმეტყველო კურსის თბ. 2006, გვ. 27.

<sup>7</sup> ჯ. ს. მილი (1806-1873) – ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი, ლიბერალური იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქალთა უფლებების აქტიური დამცველი. ჯ. ს. მილი ამტკიცებდა, რომ განათლებულ, ზრდასრულ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება და ხელისუფლებამ უზრუნველყოს ყველას ინტერესების დაცვა.

<sup>8</sup> მიუხედავად ჯონ მილის თავდაპირველი წარუმატებლობისა, ბრიტანელთა აქტიურობამ და ამერიკულმა „ქალთა სიფხიზლის ქრისტიანული საზოგადოების“ საქმიანობამ გამოხმაურება ჰპოვა ახალ ზელანდიაშიც. სამჯერ წარუმატებელი მცდელობის შემდეგ (1878, 1879 და 1887 წლებში) ბრიტანული დომინიონი – ახალი ზელანდია პირველი სახელმწიფო მსოფლიოში გახდა, რომელმაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა 1893 წელს.



უფლებების საკითხზე მსჯელობის დაწყებას. ქართველი სამოციანელები, მრავალი საკითხის მსგავსად, ამ საქმეშიც მოწინავენი აღმოჩნდნენ. ქართულ საზოგადოებაში, განსხვავებით ევროპისგან, გენდერულ პრობლემატიკაზე (სუფრაჟისტული მოძრაობა, ემანსიპაციის იდეები) მსჯელობას თავდაპირველად მამაკაცები იწყებენ.

ამდენად „თერგდალეულთა“ (გიორგი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა...) მოსაზრებებს საფუძვლად უღევს სწორად გაგებული საზოგადოებრივი ინტერესი და არა თვით ქალთა პრობლემების სიღრმისეული ცოდნა. მეტიც, ისინი მოუწოდებდნენ ქალებს აქტიურობისკენ და ქალთა რეალური პრობლემებისა და სურვილების საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმოჩინებისკენ. XIX ს-ის 60-იან წლებში ქართველი ქალები თითქმის არ მსჯელობენ ემანსიპაციის საკითხებზე. მეტიც, ბევრი ქალისთვის საკითხის ამგვარი განხილვა შეურაცხმყოფელი იყო. სწორედ ამ უცნაურ მოვლენაზე წერს გიორგი წერეთელი „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „დედა-კაცის აზრი დედაკაცზედ“.<sup>9</sup>

„ახლანდელ დროში დაწინაურებულნი პირნი განათლებულ ქვეყნებში ნამდვილად გრძნობენ რომ ქალს საზოგადოებაში არ აქვს მინიჭებული თავისი შესაფერისი მდგომარეობა. ყოველ სახელმწიფოს სჯულში არის ზოგი იმისთანა კანონები, რომლის გამოც დედაკაცი იჩაგრება და იმდენი თავისუფლება არ მიეცემა, რამდენიც საჭიროა სახელმწიფოს კეთილ მდგომარეობისთვის და შთამომავლობის სასარგებლოდ. ამ სიტყვებზე ჩვენი ქალები წყრომას დაგვიწყებენ. – როგორ თუ შესაფერისი მდგომარეობა არ გვაქვსო? დაჩაგვრაკი არა, ჩვენოდენი უფლება და ღირსება არავის აქვსო. ქალები არ ვართ, რომ კაცები, როგორც მეფეს მოწინააღმდეგე ხელზე გვკოცნიან და ზოგჯერ ჩვენს წინ მუხლსაც მოიყრიან? აბა ერთი მიჩვენე საზოგადოების ყრილობაში, თუ ქალს ყოველთვის კაცზედ უპირველესი ადგილი არ უჭირავს! ვის გაუგონია ამგვარი ცილისწამებაო! არა ეგ ტყუილი მოგიგონია, ვილაც გამოსულხარ და სწერ; მაგ სიტყვებს არასოდეს ჩვენს თავზე არ მივიღებთ. ჩვენისთანა ბატონები მამაკაცები არ არიანო, ჩვენ ოჯახებში ბატონებად ვზივართ და ისინი კი ოფლის წურწურით შრომობენ და ხარჯს გვაძლევენო“.<sup>10</sup>

ქალების ამ მცდარი შეხედულების წინააღმდეგ გიორგი წერეთელი იშველიებს „ერთი ჩვენი გამოჩენილი ქალბატონის“ მოსაზრებას. თუმცა შესაძ-

<sup>9</sup> გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. I. (1862-1866). თბ. 1931, გვ. 33-36.

<sup>10</sup> გ. წერეთელი. „დედაკაცის აზრი დედაკაცზედ“. გაზ.: „დროება“. 1866. № 5.

ლებელია ავტორმა უბრალოდ მეტი არგუმენტაციისთვის გამოიყენა „მაღამ X-ის“ პიროვნება, ვინც რეალურად შესაძლებელია, არც არსებობდა. გიორგი წერეთელი ქალის ამგვარ მდგომარეობას დიდ სოციალურ და სახელმწიფო პრობლემად განიხილავს. მისი აზრით, ეს არის სიმახინჯე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივ ზნეობაზე: „ამგვარი ბატონობა დედაკაცისა, დამამცირებელი და შეუფერებელია ქალისთვის. დედაკაცს კანონით აკრძალული აქვს, რომ თავისი ნიჭი და გონიერება საზოგადოების წარსამატებლად მოიხმაროს. დედაკაცს არ შეუძლია, რომ საზოგადო საქმისთვის იშრომოს ისე, როგორც მამაკაცს. მას არ შეუძლია ცხოვრების საშუალება პატიოსანი გარჯით მოიპოვოს. საზოგადოების ჩვეულება ქალს არ აძლევს ნებას, რომ თავისი გონება გაანათლოს იმდენად, რამდენადაც მამაკაცს შეუძლია თავისი გონების გახსნა. საზოგადოების წესდებულება უშლის ხელს დედაკაცს გახდეს სახელმწიფო გამგეობის წევრად. მას არ შეუძლია შეიქმნეს მასწავლებელი, ექიმი, სამოქალაქო თანამდებობის აღმასრულებელი. ის პირმოთნეობა, რომელიც ცოლ-ქმრობაში ხშირია – ოჯახის გამრყენელი და ზნეობის დამამცირებელი. ხასიათის შეუთვისებლობით რომ ცოლის გულში უკმაყოფილება აღიძრას, უეჭველად ქალმა ეს უკმაყოფილება უნდა დაჰფაროს და მუდამ თავის გულს უნდა ასკდებოდეს. ამნაირ მდგომარეობიდან დედაკაცი ვერსა ღონისძიებით თავს ვერ დაიხსნის. თუ ეს უკმაყოფილება მან ცხადად წარმოთქვა, ვაი იმის მოსწრებას. მეტი გზა არ არის. ყოველ ამნაირ მდგომარეობაში დედაკაცი პირმოთნეობით უნდა აღიჭურვოს...“<sup>11</sup>

გიორგი წერეთელი თავის წერილში ერთმანეთს ადარებს აღმოსავლურ და დასავლურ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის ისტორიულ ასპექტებს. ამ შედარების შემდგომ მისი დასკვნიდან ჩანს, რომ გიორგი წერეთელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ქალისადმი აღმოსავლური (ისლამური) კულტურის გავლენად მიიჩნევს. „აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალის მდგომარეობა არ არის ისე სასტიკი, როგორც ველურებში. აღმოსავლეთის ხალხი დედაკაცს ისე უყურებს, როგორც თავის მონას. თუმცა ქალი იქაც ნივთსავით თავის საკუთრებად მიაჩნიათ, მაგრამ ეს საკუთრება ოჯახის მმართველია და მისი ფასიც ადევს: დედაკაცს აქ ყიდულობენ. ვისაც მეტი აქვს შეძლება, ის მრავალცოლიანია. განათლებულ საბერძნეთსა და რომში უფრო პატივცემული იყო, თუმცა კი მამაკაცის ხელში იყო სრულებით. მწერლები, რომლებიც საზოგადო მონობისგან დედაკაცის გათავისუფლებას ეწინააღმდეგებიან

<sup>11</sup> გ. წერეთელი. „დედაკაცის აზრი დედაკაცზედ“.

ორგვარ საბუთებს წარმოადგენენ: 1. ვითომ დედაკაცს თავისი შესაფერი თავისუფლება ჰქონდეს მინიჭებული; მათი აზრით დედაკაცის დანიშნულება არის ოჯახობა და იქ ის სრულიად თავისუფალია. 2. ვითომ ქალის და კაცის ნიჭიერებას შორის დიდი სხვაობა არსებობდეს“.<sup>12</sup>

ჯონ მილის პეტიცია ქართული პრესის ყურადღების ცენტრშია. გიორგი წერეთელი პეტიციას პოლიტიკურ კონტექსტში განიხილავს და ახასიათებს ემანსიპაციის საკითხს. მისი აზრით, ქართული საზოგადოებისათვის მისაბამი უნდა იყოს ევროპაში ქალთა შრომის საზოგადოებების დაარსების ფაქტი, რომლის მთავარი მიზანია „ქალთა გონივრული აღზრდა, საკუთარი შრომით საზრდოს და უზრუნველობის მოსაპოვებლად“. გიორგი წერეთლის აზრით, ემანსიპაციის ეპიცენტრს დიდი ბრიტანეთი და აშშ წარმოადგენენ, ამ მოძრაობის ზენიტი კი ჯონ სტიუარტ მილის მიერ თემთა პალატაში ქალთა საარჩევნო უფლებაზე პეტიციის შეტანაა.<sup>13</sup> პეტიციის ოპონენტთა მთავარი არგუმენტი იყო ოჯახური უსიამოვნებების თავიდან აცილება.<sup>14</sup>

მილის პეტიციის ისტორიას შემდგომში დაწვრილებით განიხილავს ილია ჭავჭავაძე წერილში „ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი“:<sup>15</sup> „10 წლის წინ ჯონ სტიუარტ მილმა 1500-ხელმოწერით პეტიცია შეიტანა ინგლისის პარლამენტში ქალებისთვის საარჩევნო უფლების მოთხოვნით. 10 წლის განმავლობაში მეორდება ეს პეტიცია უშედეგოდ. მაგრამ ლონდონელი ქალები თავისას არ იშლიან, რადგან კარგად იციან რომ ინგლისში ყოველგვარი ცვლილება შეუძლებელია თუ ამ ცვლილებამ საზოგადოების აზრი არ მიიზიდა და არ დაიფლავს“. „საზოგადოება არამცთუ იმისთანა ძნელ საქმეში, როგორც ქალებისთვის საპოლიტიკო უფლებების მინიჭებაა, არამედ მცირე საქმეშიც კი ძნელად თმობს ჩვეულებრივ გათელილ

<sup>12</sup> გ. წერეთელი. „დედაკაცის აზრი დედაკაცზედ“.

<sup>13</sup> გ. წერეთელი. „პოლიტიკური უფლება დედაკაცისა“. გაზ.: „დროება“. 1867, №19-20.

<sup>14</sup> ილია ჭავჭავაძე თავის წერილში მწვავედ აკრიტიკებს თემთა პალატის შემდეგ არგუმენტებს: „ქალებს რომ არჩევანის უფლება მიეცეთ, ოჯახი დაირღვევა, ქალებს სინაზე დაეკარგებათ, კაცებისგან რაინდულ პატივისცემას დაკარგავენ, საზოგადოებრივი ზნეობა დაეცემა. ერთი დეპუტატის სიტყვით რაინდული პატივისცემა იმაში მდგომარეობს, რომ კაცები ქალებს უთმობენ უკეთეს ადგილს ყველგან, სადაც კი შეხვდებიან და თუ ამ უპირატესობის დაკარგვა არ უნდათ, არჩევანის უფლებისგან ხელი უნდა აიღონო. დეპუტატმა ჰენბერიმ თქვა: თუ უქმრო ქალებს მივეცით კენჭი, აღარ გათხოვდებიანო“; დეპ. ფორსაიტი: „ქალები არჩევანის უფლებას თხოულობენ არა იმიტომ, რომ ქალები არიან, არამედ იმიტომ რომ აქვთ საკუთრება და სახელმწიფოს წინაშე იხდიან ხარჯს. ინგლისში მამულის მფლობელთა მემკვიდრე არიან ქალები და დეპუტატის არჩევის უფლება კი არ აქვთ“.

<sup>15</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 6. თბ. 1997, გვ. 102.

გზას და ძნელად გადის ახალზე. ბევრ ტანჯვას გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ბევრ შეჩვენებას განიცდის, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას“. დღეს ამ პეტიციას უკვე 430 000 პიროვნება აწერს ხელს.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით ინტერესდება ქალთა საკითხით მას შემდეგ, რაც 1888 წელს ამერიკელი ქალების ინიციატივით შეიქმნა ქალთა პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია – ქალთა საერთაშორისო საბჭო.<sup>16</sup> ილია თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ემანსიპაცია უფლებასთან ერთად მოვალეობებს გულისხმობს და ქართველ ქალთა საზოგადოება ამისთვის უნდა მოემზადოს. ეს სამზადისი კი პირველ რიგში ქალთა ხარისხიან განათლებას გულისხმობს. „თეორიულად საკმაოდ კარგად გარჩეულმა საქმემ ჯერ საზოგადოების ყურამდე სრულად ვერ მიაღწია. ბევრს დღესაც ჰგონია, რომ ემანსიპაცია სხვა არაფერია თუ არა ქალებისთვის უფლების მინიჭება. სადაც უფლება, იქ მოვალეობაცაა. ყველანი ხედავენ, რომ ქალები დიდწილად უქმნი და უვარგისნი არიან იმ მოკლელ შემოხაზულ წრეშიც კი, რომელშიც დღეს იმყოფებიან. და იმ მცირეოდენ მოვალეობასაც ვერ უძღვებიან, რაც დღეს მოზომილი აქვთ ოჯახსა თუ საზოგადოებაში. ემანსიპაციის მოწინააღმდეგეებს ეს უვარგისობა აქვთ დახვეული ხელზე. ამერიკის მაგალითი აჩვენებს თუ რა დიდ წარმატებას აღწევს საზოგადო ასპარეზზე გამოსული ქალი. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვენ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისთვის“.<sup>17</sup> ქალთა მოძრაობამ, ილიას აზრით, ცხადი გახადა, რომ ქალებს შეუძლიათ საზოგადოებრივ შრომაში ჩაებან, ფასეულობა შექმნან და ამიტომ ის „უსამართლობა, რომელიც დღეს აქომამდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას საძიძაოდან და სამზარეულოდან გარედ არ უშვებდა და ამით გარეთ არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე, რომ ლუკმაბურის საშოვრის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას“.

გიორგი წერეთლის მსგავსად ილიაც გადამწყვეტ როლს ემანსიპაციის

<sup>16</sup> წინასწარმეტყველური და გენდერულ საკითხში „თერგდალეულთა“ პოლიტიკური იდეალის ყველაზე ზუსტ შეფასებად შეიძლება მივიჩნიოთ ილიას სიტყვები: „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად“.

<sup>17</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 10. გვ. 280; გაზ.: „ივერია“. 1888. №138.

საქმეში თავად ქალებს აკისრებდა, საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალების დაინტერესება მათივე გათავისუფლების საქმით. მას „უკბილო საყვედურად და უქმ ჩვილად მიაჩნდა ქალების მამაკაცებზე წუწუნი - აი თქვე გულქვა კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთ“ და ქალთა განთავისუფლების მთავარ პირობად თვით ქალების ინიციატივა და აქტიურობა მიაჩნდა. ეს ინიციატივა და თვითმოქმედება ქალებს უნდა დაეწყოთ თავიანთი სწავლა-განათლების უზრუნველყოფით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, უშედეგოა ლაპარაკი მათ გათანასწორებაზე მამაკაცებთან. ამ გზით მათ შეუძლიათ მოიპოვონ ადამიანური უფლება და ღირსება, ანუ გათავისუფლდნენ.

ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე მიესალმა „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს „საზოგადოების საყურადღებოდ“, რომელსაც ხელს აწერდა „ქართველი ქალი“. ავტორი მოუწოდებდა ქალებს თვითონ აეღოთ თავზე ქალთა სასწავლებლის გახსნა და საკუთარი განათლების ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ქართველ ქალებს თავი დაეღწიათ იმ „უწმინდესი და უსამღვთოესი დანიშნულებიდან“ როგორცაა მხოლოდ დელობა, ცოლობა, დობა.<sup>18</sup> ყოველივე ეს ილიას მიაჩნდა ქალის საპატიო მოვალეობად, მაგრამ მისი დანიშნულების მხოლოდ ამით ამოწურვა – დიდ რეგრესულ, უსამართლო და რეაქციულ საქმედ. სწავლა-განათლების გზით დაამტკიცებს ქალი, რომ იგი სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია, მამაკაცის მსგავსად შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ამავე დროს იყოს საუკეთესო დედა, ცოლი და და.<sup>19</sup>

ამდენად, თერგდალეულებისთვის საყოველთაო განათლების უფლება წარმოადგენდა ამოსავალს ქალთა სოციალური უფლებებისთვის. ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა მონაწილეობას განათლების სფეროში. „სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა ძლიერ მძიმე და დაუფასებელია... განსაკუთრებით უარეს ყოფაში არიან ქალი მასწავლებლები, ნამეტნავად თუ ბელს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგანწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა, რაც უნდა უკეთ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავგამომეტებული თავის თანამდებობის ასრულებისათვის, რაკი

<sup>18</sup> გაზ.: „ივერია“. 1889 წ. 4 მარტი.

<sup>19</sup> თ. კიკნაძე, ნ. დონაძე. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, გვ. 84.

ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა მამაკაცის წინაშე, როცა გარემოება და ცილება ხშირად კარგად მომზადებულ ქალს ულუკმაპუროდ ტოვებს და საწყალი ქალი, რომელმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით, რომ ჩემს დედ-მამას მუქთამჭამელად აღარ ვეყოლებიო, მე თვითონ მოვინაგრებ რამესო, გულდაწყვეტილი ემორჩილება უმართლობას და გარემოების სისასტიკეს, ზნეობრივად დაჩაგრული და ღონემიღებული... 4 იანვარს შედგა ქალ-მასწავლებელთა საზოგადოება. გამგეობაში მხოლოდ ქალები არიან და დიდი იმედია, რომ საქმე კეთილად წარიმართება, რადგან ქალები საზოგადო საქმეებში უფრო მხნენი, მონერნებულნი, დაუღალავნი არიან ვიდრე მამაკაცები. ამ საქმის დამწყებთა სადიდებლად და ჩვენდა სასიხარულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევა ჩვენში ქალების მხრით საკუთარის ძალღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდან“.<sup>20</sup>

ქალის როლზე საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესში საუბრობს აკაკი წერეთელი. თავის მისასალმებელ სიტყვაში საქალებო სასწავლებლის დაარსების გამო აკაკი აღნიშნავდა: „ერის ცხოვრებაში ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში. თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას. და თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება და ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, რადგან ქალია ბურჯი და ქვაკუთხედი, როგორც კერძო ოჯახის, ისე საზოგადოსიც, ე. ი. მთელის მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი“.<sup>21</sup>

„თერგდალეულთათვის“ ემანსიპაციის შემდგომი ეტაპია პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების აქტიური ჩაბმა. ილია ჭავჭავაძე განიხილავს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო პროცესებში ქალების მონაწილეობას და მისაბამ მაგალითად სახავს ქართული საზოგადოებისთვის. „დედათა საქმე წინ მიდის განათლებულ ქვეყნებში და დღითიდღე მომხრეებს პოულობს. უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესი განათლების მიღებისა. ამ ბოლო დროს ქალთა საქმე იქითკენ მიიმართება, რომ ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და კანონმდებლობაში ხმა მიენიჭოს დედათაც. ამ მხრივ ამერიკამ ყველას გაუსწრო, სადაც ბუნებრივია, რომ ქალებმაც კენჭი იქონიონ და თუნდაც რომ ქალი ამორჩეული იყოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არავინ

<sup>20</sup> გაზ. „ივერია“. 1886. № 4.

<sup>21</sup> აკ. წერეთელი. თხზულებანი. ტ. 14. თბ. 1961, გვ. 107.

გაიოცებს. ქალაქ ბოსტონში ბოლო არჩევნებში ქალების დიდმა აქტიურობამ განაპირობა რესპუბლიკელთა გამარჯვება... დიდი ბრიტანეთის პრემიერმა სოლსბერიმ მხარი დაუჭირა არჩევნებში ქალების მონაწილეობის იდეას<sup>22</sup>.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების აქტიური ჩართვა „თერგდალეულთათვის“, გარდა ქალთა უფლებების სფეროს გაფართოებისა, თვით პოლიტიკური ცხოვრების ხარისხობრივ გაუმჯობესებას უკავშირდება. ამ საკითხზე მათი თვალსაზრისი ემოხვევა ემანსიპაციის თეორეტიკოსთა შეხედულებებს. სუფრაჟისტთა ლიდერი ელის დუერ მილერი წერდა: „ძალიან ცოტა მამაკაცს შეუძლია მუშტების გამოყენების გარეშე ნებისმიერი საკითხის მოგვარება, ქალები კი უკეთესად ფლობენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების მეთოდებს. მამაკაცები ბუნებით ძალადობისკენ არიან მიდრეკილნი და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლიათ“. მსგავს მოსაზრებას ავითარებს ვაჟა-ფშაველა თავის საგაზეთო მიმართვაში „სადღესო წერილი მეგობარს“. ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა, ქალების აქტიური ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში ვაჟასთვის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა. „დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მაღამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდით. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩენდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალი პირნი – ისინი ხომ მამაკაცები არიან – „კაი ბიჭობად“, „გულმაგრობად“ არ გაასაღებდნენ თავის სიჯიუტეს, ვინაიდან დედაკაცები უფრო ღმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, შებრალებას. ამიტომ მენატრება, რომ დედაკაცს მიეცეს ისეთივე უფლება, რაც მამაკაცს, როგორც სწავლაში, ისე სამსახურში“.<sup>23</sup>

XIX ს. 60-80-იან წლებში ქართულ პრესაში გენდერული საკითხის პოპულარიზაციას, რასაც თერგდალეულნი უწევდნენ პოპულარიზაციას, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე. ამის ერთ-ერთ გამოხატულებად შეიძლება ჩავთვალოთ XX ს-ის დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბებული ქალთა არაერთი ორგანიზაცია (ქალთა უმაღლესი საგანმანათლებლო კურსები, „ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია“, „თბი-

<sup>22</sup> გაზ.: „ივერია“. 1888. №262.

<sup>23</sup> ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი (ახლადგამოცემილი ნაწარმოებები). ტ. 2. თბ. 2003, გვ. 35-36.

ლისელ ქალთა წრე“, „ქართველ ქალთა საზოგადოება“, „ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი“, „მანდილი“...),<sup>24</sup> რომლებიც ზრუნავდნენ ქალების უფლებებზე, განათლებაზე, სოციალური პრობლემების გადაჭრაზე.

თერგდალეულთა პუბლიცისტური მემკვიდრეობის არაპირდაპირი გავლენა შეიძლება დავინახოთ აგრეთვე რუსეთის რევოლუციის შემდგომ ქალთათვის ფართოდ დეკლარირებულ საარჩევნო უფლებებში. საქართველოს პოლიტიკური სექტორი სრულიად მომზადებული იყო საყოველთაო საარჩევნო უფლების (რაც თავისთავად ქალთა საარჩევნო უფლებასაც გულისხმობდა) დაწესებისთვის. საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ქალთა საარჩევნო უფლება ამოქმედდა რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 15 აპრილის განკარგულებით. ამ პირობით ჩატარდა საქალაქო ხმოსანთა არჩევნები. 1917 წლის 11 სექტემბერს კი ძალაში შევიდა რუსეთის დამფუძნებელი კრების დებულება, რომლის მიხედვითაც, 20 წლის ზემოთ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) კი შედის მსოფლიო ქვეყნების იმ ლიდერ ოცეულში, სადაც პირველად მიეცათ ქალებს სრული საარჩევნო უფლება. ამ საარჩევნო კანონით ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს და საკანონმდებლო ორგანოს 130 დეპუტატიდან 4 იყო ქალი (სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები).

---

<sup>24</sup> თ. კიკნაძე, ნ. დონაძე. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, გვ. 84.



*Bondo Kupatadze*

**ABOUT GENDER EQUALITY IN THE PUBLICATIONS OF  
“TERGDALEULEBI”**

Summary

Gender issues, especially women political and social rights, are the most interesting in publications of the “Tergdaleulebi” (the Georgian political and literary figures in the second half of the 19<sup>th</sup> c.).

The gender issues are presented in the articles by Iliia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Giorgi Tsereteli, Niko Nikoladze, Vaja-Pshavela. Iliia Chavchavadze’s journalistic heritage is of special interest.

Main goal of the Georgian publicistics was to introduce an essence of women’s emancipation in Europe to the Georgian society, to show the parallels with the Georgian reality and to make those ideas popular.

## *ნიკო ჯავახიშვილი*

### **ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები და ოჯახური გარემო**

2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმიდანად შერაცხა გამონიშნული ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953), რომელსაც ამიერიდან ეწოდა – „წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი“.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორ გარემოში აღიზარდა და ჩამოყალიბდა დიდი ეროვნული მოღვაწე. ქვემოთ მოთხრობილია მისი წინაპრების (როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან), უახლოესი ნათესავებისა და ოჯახური გარემოს შესახებ.

\* \* \*

წმ. ექვთიმე ღვთისკაცის მშობლიური სოფელი – ლიხაური მდებარეობს გურიაში, მდინარე აჭისწყლის ხეობაში. 1951 წლამდე ამ სოფელს ვაშტიალი ერქვა.

აღრეფოდალურ ეპოქაში აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობდა გურიის საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი. სოფელში შემონიშნულია XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რომელიც შემდგომ პერიოდში გადაუკეთებიათ. მისი სამრეკლო მიეკუთვნება XV საუკუნის პირველ ნახევარს. სოფლების ლიხაურისა და ჭანიეთის საზღვარზე შემორჩენილია შუა საუკუნეებში აგებული ციხე-სიმაგრის ნაშთები.<sup>1</sup>

ექვთიმე თაყაიშვილს ჰყავდა შესანიშნავი წინაპრები, რომლებიც ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ.

---

<sup>1</sup> ლიხაური. ქსე. ტ. 6. თბ. 1983, გვ. 270.

თაყაიშვილები აზნაურები იყვნენ. მათი საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ საყურადღებო გადმოცემა არსებობს.

ხსენებული გადმოცემის მიხედვით, რომელიც შემონახულია თვით თაყაიშვილთა გვარის წარმომადგენლებში, მეფის (მეორე ცნობით – გურიის მთავარ გურიელის) კარზე მსახურობდა სიმამაცით განთქმული ვაჟკაცი **თაყა სალუქვაძე**. მან ერთ-ერთ ბრძოლაში თავი ისახელა, რის გამოც აზნაურის წოდება უბოძეს. თაყას შთამომავლებმა, თავიანთი სახელოვანი წინაპრის პატივსაცემად, გვარად – „**თაყაიშვილი**“ მიიღეს.

ექვთიმე თაყაიშვილის ძმისწული, ნუნუ ნიკოლოზის ასული თაყაიშვილი თავის სტატიაში „ბიძანემი ექვთიმე“ იგონებდა: „თაყაიშვილების გვარის შესახებ გამიგონია, რომ ჩვენმა წინაპარმა თაყა სალუქვაძემ, ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის მეფისაგან თაყაიშვილის გვარი და ციხის აზნაურობა მიღო. ჩვენს სოფელში ახლაც არის ციხე, რომლის ეზოშიც, მახსოვს, ცხოვრობდნენ ჩვენი მოგვარეები: ქაიხოსრო, დიმიტრი, ნიკიფორე თაყაიშვილები“.<sup>2</sup>

პროფესორები ქველი ჩხატარაიშვილი და ზურაბ ჭუმბურიძე მიუთითებდნენ: „დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ აზნაურული გვარი თაყაიშვილი – XVIII საუკუნეშია გაჩენილი და იგი „გურიელის გაზრდილი აზნაურის თუ მსახურის – თაყა სალუქვაძის ჩამომავლობაა“.<sup>3</sup>

აკად. დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „აჭის მონასტრის წინამძღვრებად ყოფილა სამი წევრი **სალუქვაძე-თაყაიშვილის** გვარიდან: იოსებ მეირუსალიძე (მას, რასაკვირველია, ასე იმიტომ ეწოდა, რომ იერუსალიმი მოილოცა), რომელიც ქაიხოსრო პირველისა და გიორგი მესამე გურიელის დროს ცხოვრობდა, გიორგი მეორე გურიელის დროინდელი ნიკოლოზი და იოსები, შემდგომში შემოქმედელი. მამასადაძე, აჭის 1763 წლის წარწერა გულისხმობს უკანასკნელ იოსებს, ხოლო ეპიტაფიანი საფლავის ქვა იოსებ მეირუსალიძეს ეკუთვნის“.<sup>4</sup>

საინტერესოა, თუ საიდან იღებს სათავეს თვით სალუქვაძეთა გვარი.

სულხან-საბა ორბელიანი სიტყვას „**სალუქი**“ ასე განმარტავდა: „შემკო-

<sup>2</sup> ნ. თაყაიშვილი. ბიძანემი ექვთიმე. საიუბილეო კრებული „ღვთისკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი“. შეადგინა ი. თავბერიძემ. თბ. 2004, გვ. 66.

<sup>3</sup> გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპირი გამოცემა ზ. ჭუმბურიძისა და ქ. ჩხატარაიშვილის რედაქციით. თბ. 1993, გვ. 7.

<sup>4</sup> დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურისასა და აჭარაში. ბათუმი. 1987, გვ. 97.

ბის მოყუარე“.<sup>5</sup>

ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულნი არიან: 1) **მახარობელ სალუქაძე** (1614 წლის გიორგობისთვის 3-ით დათარიღებულ საბუთში), რომელიც სვიმონ გურიელმა შესწირა აჭის წმ. გიორგის და დაუწესა გამოსალბები; 2) **მამუკა** და **პატია სალუქაძეები** (1658-1660 წწ.), რომლებიც ქაიხოსრო გურიელმა თავიანთი კომლენითურთ შესწირა აჭის წმ. გიორგის.<sup>6</sup>

რაც შეეხება ზემოხსენებული გვარის თავდაპირველ ფორმას, აქ ბუნებრივია, ისმის კითხვა, რომელია იგი, „სალუქაძე“ თუ „სალუქაძე“? აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ყველაზე ძველ, 1614 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ეს გვარი იხსენიება „**სალუქაძის**“ ფორმით.

ასევე საყურადღებოა, ხომ არ არის ამ გვარის მეორე ვარიანტის („სალუქაძე“) ბოლოსართი ანუ სუფიქსი „**ქა**“-ძე, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა უკავშირდებოდეს სუფიქსს –**ყვა**“, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, განსაკუთრებით გურიის რეგიონის ტოპონიმთა შორის?

აკად. სიმონ ჯანაშია თავის გამოკვლევაში „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმოგრაფიაში (ისტორიული პრობლემები ქართული ონომასტიკონის სინათლეზე)“ წერდა: „ჩვენი ყურადღება მიიქცია... სუფისის ახლო მდებარე რაიონში... მაწარმოებელმა –**ყვა**-მ. ამგვარი სტრუქტურის სახელების თავმოყრილი აღმოჩნდა ხინო-დაგვას მთებთან: მდ. **აგიდაყვა**, ერთვის ბუფჯს, მდ. **აჭყვა**, ქობულეთთან, მასზე სოფ. აჭყვისთავი და სოფ. **აჭყვა**, ჩაქვთან, ფოთთან კიდევ – ცნობილი მდ. **მალთაყვა**; შემდეგ, იმავე აღნაგობის სახელები, მხოლოდ გართულებული ქართული ადგილის –თ- სუფიქსით: **ჯურუყვეთი**, ნატანებთან, **ბობოყვათი**, ციხისძირთან, **მურყვეთი**, ჭოროხზე...

შემდგომმა ძიებამ ამავე ჯგუფის სახელები აღმოაჩინა სხვა რაიონებშიც: **ბოყვა** (შეადრ. ბობოყვათი), რაჭაში, **აყვა** (ასე ეძახიან აფხაზები სოხუმს) და **აბუაყვა** – აფხაზეთში. დოც. იასე ცინცაძემ, ჩვენი მოხსენების გამო მსჯელობისას, მოგვაწოდა ცნობა ღელე ბერეყვას არსებობის შესახებ გურიაში.

საფიქრებელი იყო, რომ **ყვა**-ც ჩერქეზული წარმოშობისაა... რამდენიმე

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით. ტფ. 1928, გვ. 292.

<sup>6</sup> პირთა ანოტირებული დიქსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. IV. შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. თბ. 2007, გვ. 131.

მოგზაურობის დროს ჩერქეზებში 1929 წელს... გაირკვა, რომ ყვა-ც უდავოდ ჩერქეზული სიტყვაა, „ღელე“-ს, „ხევი“-ს, „ხეობა“-ს მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოული ენაკავისათვის და ტოპონიმიკური მაწარმოებელი ელემენტი უპირატესად სწორედ ყაბარდოელების ტერიტორიაზე... ასეთივე სახელები გვხვდება აგრეთვე სხვა ჩერქეზი ტომების ტერიტორიაზედაც, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ამრიგად, უეჭველი გახდა, რომ დასავლეთ საქართველოს „ყვა“-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე ჩერქეზული წარმოშობისაა.<sup>7</sup>

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს ქართული გვარ-სახელების ცნობილი მკვლევარი, პროფ. როლანდ თოფჩიშვილი, რომელიც წერს: „ტი და –ყვა სუფიქსიანი გვარსახელებიდან შეიძლება ღლონტი, ჯიბუტი, ინგოროყვა, დეღეყვა, როყვა დავასახელოთ. ამ სუფიქსებით გვარები ძირითადად გურიაში გვხვდება. –ყვა სუფიქსის ვარიანტად მიიჩნევენ „ქვა“ („კვა“)–ს, რომელიც დაცულია გვარებში: ბოლქვა-ძე, თალა-კვა-ძე, სალუ-ქვა-ძე... ეს შეხედულება სამართლიანადაა უგულვებელყოფილი გ. ბედოშვილის მიერ (იხ.: გ. ბედოშვილი, ანთროპონიმიკური დაკვირვებანი – III, კრ: „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1991, გვ. 9). „სალუქვაძეში“ ფუძე უნდა იყოს არა „სალუ“, არამედ „სალუქ“, -ვა (ან –უა) კი – ზანური სუფიქსის ნარჩენი. აბა სხვა რით უნდა ავხსნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს გვარი „სალუქაშვილი“ (მკვიდრობდნენ მთაში, ისროლის ხევის სოფელ ატენში). გვაქვს აგრეთვე გვარსახელი **სალუქაური**, რომლებიც პანკისის ხეობის სოფელ ყვარელწყალში მკვიდრობენ. ისინი ხევისურეთიდან გადმოსახლებულან. ხევისურული ანდრეხით, არდოტში ზვიადაურების დასახლებამდე სალუქაურებს უცხოვრიათ. სალუქაურები უკაცურად ყოფილან და ზვიადაურთა წინაპარი მიუღიათ. სალუქაურთა მცირერიცხოვანი გვარი არდოტში ახლაც დადის, „ზღვნობენ“.

სხვათა შორის, თვით გურული სალუქვაძეების წინაპრებიც XVII-XVIII საუკუნეთა საისტორიო საბუთებში **სალუქაძეებად** არიან ჩაწერილი (იხ.: დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 245, 249, 257, 267). დავამატებთ, რომ სალუქაშვილები ქვემო ქართლის სოფელ გორინჯუკშიც მკვიდრობდნენ. 1721 წლის აღწერით, ამ

<sup>7</sup> ს. ჯანაშია. ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში (ისტორიული პრობლემები ქართული ონომასტიკონის სინათლეზე). წგნ.: ს. ჯანაშია. შრომები. ტ. III, თბ. 1959, გვ. 120-121.

სოფელში მკვიდრობდა „სალუქაშვილი სალუქა“ (ე. თაყაიშვილი, მასალანი..., გვ. 83). „სალუქი“ კი, როგორც გ. ბელოშვილის ნაშრომშია გარკვეული, სპარსულიდან შემოსული სახელი ყოფილა და ის კონტას, მოხდენილს, ნაზს, ფაქიზს, ნატიფს ნიშნავდა<sup>8</sup>.

სალუქვაძეთა საგვარეულო გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე თაყაიშვილთა გვარი.

1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა 2. 408 სალუქვაძე<sup>9</sup> და 197 – თაყაიშვილი.<sup>10</sup>

ახლა, რაც შეხებათ საისტორიო დოკუმენტებში მოხსენიებულ თაყაიშვილებს.

აზნაური სიმონ თაყაიშვილი მოხსენიებულია 1808 წლის თავდებობის წიგნში, ხოლო ივანე თაყაიშვილი დასახელებულია 1827 წლის ვალის წიგნში.<sup>11</sup>

თაყაიშვილთა საგვარეულოს შესახებ პროფ. რ. თოფჩიშვილი წერს: „დიმიტრი ბაქრაძის მიერ გურიაში მოძიებული საბუთებიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნეში ქაიხოსრო გურიელის დროს აჭის წმინდა გიორგის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა იოსებ მერიუსალიძე, რომელიც თაყაიშვილ-სალუქვაძეთა გვარიდან ყოფილა. აჭის მონასტერი ძველთაგანვე გურიელებს ამ გვარისათვის უბოძებიათ. შემდეგ აჭის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა ნიკოლოზ თაყაიშვილი, რომლისთვისაც გიორგი გურიელს (გარდაცვალა 1725 წელს) უბოძებია დიაკონი გაბრიელ პატაიასშვილი. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მამია IV გურიელი სიგელით, წინამძღვარ იოსებ თაყაიშვილს ფულადი ბეგარისაგან ათავისუფლებს. შემოქმედელი ეპისკოპოსი ყოფილა იოსებ თაყაიშვილი. ის 1794 წელს გარდაცვლილა“.<sup>12</sup>

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მისი იბულებითი შეყვანის შემდეგ, საიმპერიო ხელისუფლებამ ოფიციალურად დაამტკიცა ქართველ თავადაზნაურთა ნუსხა.

1850 წლის 6 დეკემბერს, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ ხელმოწერილ ქართველ თავადაზნაურთა ნუსხებში, სხვა წარჩინებულ საგვა-

<sup>8</sup> რ. თოფჩიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ. 1997, გვ. 103-104.

<sup>9</sup> ა. სილაგაძე, ა. თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში. თბ. 1997, გვ. 92.

<sup>10</sup> ა. სილაგაძე, ა. თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში, გვ. 171.

<sup>11</sup> რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია. თბ. 2011, გვ. 146.

<sup>12</sup> რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 146.

რეულობთან ერთად, აზნაური თაყაიშვილებიც იხსენიებოდნენ. ამ სიებში შეყვანილი იყო აღნიშნული გვარის 10 კომლი. მათ შორის იყო რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილი და მისი მეუღლე – ნინო, ასევე სიმონის ძმები – ხოსო, ერდიშელი და კონსტანტინე თაყაიშვილები.<sup>13</sup>

1853 წლის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არჩევნებში მონაწილეთა სიაში შეყვანილია პრაპორშნიკი სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილი.<sup>14</sup>

1863 წლის 5 იანვარს, ზემოხსენებული აზნაურის, სიმონ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილისა და ნინო გიტულის (გიტოს) ასული ნაკაშიძე-თაყაიშვილისას ოჯახში დაიბადა ყრმა, რომელსაც ექვთიმე დაარქვეს.

გურიის წარჩინებულ თავადთა – ნაკაშიძეთა საგვარეულო სათავეს XVI საუკუნიდან იღებს. ამ გვარის წარმომადგენლები ფლობდნენ ციხე-სიმაგრეებს სოფლებში ციხესა და ვასხნარში. მათ საგვარეულო საძვალეს სოფელ ციხის მონასტერი წარმოადგენდა. გურიელის სამთავრო კარზე თავად ნაკაშიძეებს ეპყრათ მესტუმრეთუხუცესის თანამდებობა, ასევე შემოქმედის, ოზურგეთისა და ჩოჩხათის მოურავობა. XVIII საუკუნის მიწურულს გურიელის სამთავრო კარზე მოღვაწეობდა სახლთუხუცესი, თავადი ლაზარე ნაკაშიძე. 1827 წელს თავადი გიორგი ნაკაშიძე შეიყვანეს გურიის სამთავროს მმართველი საბჭოს შემადგენლობაში.<sup>15</sup>

თავად ნაკაშიძეთა საგვარეულოს შესახებ ახლახან გამოქვეყნებულ ნარკვევში პროფ. რ. თოფჩიშვილი წერს: „ნაკაშიძეთა სათავადოში შედიოდა: გურიანთა ვაშნარი, ციხე (ციხისფერდი), ჭანიეთური, გამოღმა ბაილეთი, ახალსოფელი, მაკვანეთი. პირველი ექვსი სოფელი ერთ მთლიან ტერიტორიას ქმნიდა. დასახელებულ სოფელთა გარდა, თავადი ნაკაშიძეები ფლობდნენ შეკვეთილისა და გრიგოლეთის ნახევარს. მათი მონახევრეები აქ გურიელები იყვნენ. ნაკაშიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ჩოჩხათში, ზედუბანში, ლანჩხუთში, გოგორეთში, ასაკანაში ხარულში, ოქროქედში, ვაკისჯვარსა და გამოჩინებულში... 1904 წლის აღწერით, თავადი ნაკაშიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ და ცხოვრობდნენ გურიის შემდეგ სოფლებში: ლიხაური, მაკვანეთი (ოთხი კომლი), კვირიკე, წითელი მთა (ხუთი კომლი), დვაბზე (სამი კომლი), ოზურგეთი (ოთხი კომლი), მელიქედური, ბოხვაური (ხუთი

<sup>13</sup> გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 7.

<sup>14</sup> რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 146.

<sup>15</sup> С. Думин, П. Гребельский. Дворянские роды Российской империи. т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думина и Ю. Чиковани. М. 1998, гв. 183.

კომლი), ჭალა (ოთხი კომლი), გურიანთა, გოგორეთი (ორი კომლი), მიქელ-გაბრიელი (ორი კომლი), ზელობანი, ხრიალეთი (ორი კომლი), სამხითი (ოთხი კომლი), ჩიბათი, ჯურყვეთი, ჩოჩხათი (ორი კომლი), ლანჩხუთი, ამაღლება (ორი კომლი), მაწიეთი. თავად ნაკაშიძეთა რეზიდენცია იყო ვაშნარში, ციხისფერდში კი მათ საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდათ. აქვე იყო მათი „გურიანთის ციხე, კლდეგორასა ზედა შენი“, სასახლე და ღვთისმშობლის საგვარეულო ეკლესია. ნაკაშიძეები მრავალყმიანი ფეოდალები იყვნენ. ნაკაშიძეების აზნაურები იყვნენ: ვაშალომიძეები, ფასეიშვილები, ქარცივაძეები, თინიკაძეები, საბაშვილები, დათუნაიშვილები, მამულაიშვილები, ბერიძეები“.<sup>16</sup>

ექვთიმე თაყაიშვილის პაპა (დედის მამა) – თავადი გიტული (გიტო) ლაზარეს ძე ნაკაშიძე (1778-1851) – რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი იყო. მისი მამული მდებარეობდა ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში.

რუსეთის იმპერიის სენატის მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ გურიის თავადაზნაურთა ნუსხაში, სხვა წარჩინებულ საგვარეულოებთან ერთად, თავადი ნაკაშიძეებიც იხსენიებოდნენ. ამ სიებში შეყვანილი იყო აღნიშნული გვარის 11 კომლი. მათ შორის იყვნენ ზემოხსენებული თავადი გიტული და მისი მეუღლე ფეფინა (ექვთიმეს ბებია), ასევე მათი ვაჟები (ექვთიმეს ბიძები), თავადები ალექსანდრე და ივანე ნაკაშიძეები.<sup>17</sup>

სიმონ და ნინო თაყაიშვილებს ექვთიმეს გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ – ლისა, ნიკოლოზი (ნიკო) და ვარლამი.

ექვთიმე თაყაიშვილი – ნაბოლარა შვილი იყო. ის ადრეულ ასაკში – 5 წლისა დაობლდა, როდესაც დედა გარდაეცვალა.

ვარლამ თაყაიშვილი – რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორი იყო. მან გიორგი კვინიტაძესთან (მომავალში სახელოვან გენერალთან) ერთად დაამთავრა რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემია. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და მონარქიის დამხობის შემდეგ, ის საშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში.

ნიკოლოზ (ნიკო) თაყაიშვილს ცოლად ჰყავდა ასული ჩუნეშელი თავადისა ალექსანდრე ლორთქიფანიძისა, რომელიც მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის ახლო ნათესავი იყო. მათ შვიდი შვილი ჰყავდათ.

<sup>16</sup> რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, გვ. 251-252.

<sup>17</sup> გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 27.



ლისა თაყაიშვილმა, რომელიც ცოლად გაჰყვა სოფელ ძიძითში მცხოვრებ აზნაურ სიმონ გოთუას (მწერალ ლევან გოთუას მამის ბიძაშვილს) – ექვსი შვილი აღზარდა.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილს თავისი ნათესავისათვის უკითხავს:

– „კიდევ არის თუ არა საქართველოში ჩემი ძმისა და დის ოჯახებით მრავალშვილიანი ქართული ოჯახებიო?“<sup>18</sup>

1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა, დიდი ილია ჭავჭავაძის ჩარევით, ცოლად შეირთო ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მშვენიერი ასული – ნინო პოლტორაცკაია (1869-1931). მისი მამა იყო იურისტი ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკი (გარდაიცვალა 1892 წელს), ხოლო დედა – ნადეჟდა (ნადო) ზაქარიას ასული გაბაშვილი.

პოლტორაცკები – პოლონური წარჩინებული საგვარეულოს შთამომავლები იყვნენ.

რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფი გრაფი ეგნატე პოლტორაცკი – სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა. მისი სასახლე მდინარე ნევის ერთ-ერთ შენაკადში იდგა. დეკაბრისტულ მოძრაობაში ჩაბმის გამო, იგი დასაჯეს და გადაასახლეს კავკასიაში, კერძოდ, ქუთაისის გუბერნიაში. იქ მან იქორწინა ზედგინიძის ქალზე, რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი – სიმონი და ივანე. ძმებმა, რომლებიც საკუთარ თავს ქართველებად თვლიდნენ, განათლება მიიღეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ივანე დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს. ივანემ ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა არაერთი ნაწარმოები და, მათ შორის, ილიას „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი?!“. იგი მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სწორედ მას მიუძღვნა ილიამ თავისი პოემა „აჩრდილი“. მანვე მონათლა ივანე პოლტორაცკის უფროსი ვაჟი, რომელსაც თავისი სახელოვანი ნათლის პატივსაცემად – ილია (ილიკო) დაარქვეს. ასევე ღირსეული პიროვნება იყო ივანეს ძმა – სიმონ პოლტორაცკი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში იურისტად მოღვაწეობდა და იქ სასწავლებლად ჩასულ ქართველ სტუდენტებს მატერიალურად ეხმარებოდა.<sup>19</sup>

ექვთიმე თაყაიშვილზე გათხოვილ ნინო პოლტორაცკაიას მდიდრული

<sup>18</sup> ნ. თაყაიშვილი. ბიძაჩემი ექვთიმე, გვ. 66-67.

<sup>19</sup> გ. ნიგურიანი. პოლტორაცკების გვარის გამოჩენა საქართველოში. საიუბილეო კრებული „ღვთისკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი“. შეადგინა ი. თავბერიძემ. თბ. 2004, გვ. 282-283.

მზითვეი მოჰყვა მამულის სახითაც, რომელიც თბილისის მახლობლად მდებარე სოფელში – ოქროყანაში მდებარეობდა და გაბაშვილთა საკუთრებას წარმოადგენდა. ყოველივე ამან შეუღლებულთ შესაძლებლობა მისცა, რომ უზრუნველყოფილად ეცხოვრათ.

მთაწმინდიდან დანახული თბილისის არაჩვეულებრივი ხედი ექვთიმე თაყაიშვილს გამორჩეულად ხიბლავდა. ამასთან დაკავშირებით ის მიუთითებდა: „მთაწმინდის თხემიდან გადმოხედვას არაფერი შეედრება! არსად მსოფლიოში ასეთი ლამაზი ქალაქი არ მოიძებნება. პარიზში არაფერი ამის მსგავსი არაა. მთაწმინდის პარკი ხომ წინათ ჩემი ცოლოურის, პოლტორაცკების საკუთრება (გაბაშვილის ქალის ნამზითვი) იყო და იმ ადგილ-მამულებში ხშირად მივლია“.<sup>20</sup>

პროფ. იოსებ მეგრელიძემ შემოგვინახა ექვთიმე თაყაიშვილის დაქორწინებასთან დაკავშირებული ფრიალ საყურადღებო ისტორია, რომელიც მისთვის თვით დიდ მეცნიერს მოუყოლია 1947 წლის 21 სექტემბერს.

ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „ბეტერბურგიდან რომ თბილისში დავბრუნდი და იაკობ გოგებაშვილთან ვცხოვრობდი, ერთი მოწინავე ჯგუფი კვირაობით – დავით სარაჯიშვილთან, ხუთშაბათობით კი – ილია ჭავჭავაძესთან იკრიბებოდა. დიმიტრი ბაქრაძე რომ გარდაიცვალა, ილიას კრებებზე ვხვდებოდი. ზოგჯერ ისტორიულ საკითხზედაც მეკითხებოდა. ერთხელ მას იაკობ გოგებაშვილისათვის ეთქვა:

– „ხვალ ე. თაყაიშვილი მომგვარეო“.

ეტლით წავედი... ჩემი სადღეგრძელოს ჯერი რომ მოდგა, თამადა ილიამ თქვა:

– „სანამ უნდა იყოს ბატონი თაყაიშვილი ბატონ გოგებაშვილის ბინაზე?! იგი შეერთავს ნინო პოლტორაცკაიას და ოჯახს შექმნისო“.

ეს იყო ამ დღეს თითქმის ბოლო სადღეგრძელო.

მესამე დღეს, შაბათს... პოლტორაცკის ერთ-ერთმა ნათესავმა შემომითვალა:

– „არ გნახოთ ამ საქმეზე ჩვენთან მოსული, თორემ მეორე ფეხსაც მოგტეხო!“

ამის გამო, – თქვა ექვთიმემ, – ორშაბათს ილიასთან მივედი ბანკში და შევჩივე: ასე და ასე შემომითვალეს, რატომ გამაბახეთ, ბატონო ილია, ის დიდებული ქალი კოჭლაბუხას როგორ მოისურვებდაო!..

<sup>20</sup> ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. I. თბ. 1968, გვ. 398.

ილიამ მითხრა:

– „ჯერ ამიხსენით, რას ნიშნავს ეს გაბახება და კოჭლაბუხას მაგიერ ხომ არ იტყვიან კოჭლამუხლა, მუხლით კოჭლსაო?!..“

მე ავეუხსენი, რომ პირველს სახელის გატეხაზე იტყვიან გურიაში და მეორეს, აი, მე რომ ვარ კოჭლი, ამაზე ამბობენ, კოჭლამუხლას კი არ იტყვიან...

ილიამ ეს სიტყვები ჩაიწერა და მოკლედ მოჭრა:

– „დღეს ორი სიტყვა გავიგე, ესეც საქმეა, ხუთშაბათს მობრძანდით სადილზეო!..“

მივედი. ჩემს სადღეგრძელოზე, ეს იყო მეოთხე, ილიამ გაიმეორა:

– „ბატონი თაყაიშვილი შეერთავს ივანე პოლტორაცკის ასულ ნინოს, ჯვარს მისი ნათესავი ოლლა (ილიას მეუღლე – ი. მ.) შეუცვლისო“.

ასეც მოხდა. შემდეგო, – გაიხსენა ექვთიმემ, – გიგლა ყიფშიძემ ჰკადრა ილიას:

– „რა იყო, რომ ის ლამაზი და მდიდარი ქალი ინვალიდს შერთეთო!..“

ილიამ უპასუხაო:

– „სხვა ეროვნების კაცს რომ შეერთო, მიწის დიდი ნაკვეთი გვეკარგებოდაო!..“

ილია ძალიან ცდილობდა, ქართველი თავადები რომ მიწებს ჰყიდდნენ, ისევ ქართველს შეეძინა და არა სხვა ერის შვილს. ილია ყველაფერს ეროვნული თვალით ზომავდა.<sup>21</sup>

საგულისხმოა, რომ ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილისა თავს ქართველად თვლიდა. საფრანგეთში ცხოვრების პერიოდში, კერძოდ, 1928 წლის 21 მაისს შევსებულ ოფიციალურ ანკეტაში მან გარკვევით მიუთითა, რომ ის იყო – „ეროვნებით ქართველი“.

ექვთიმეს და ნინოს გასაოცარი სიყვარული და სულიერი ერთობა აკავშირებდათ. 1931 წელს ნინოს მოულოდნელმა გარდაცვალებამ მის მეუღლეს თავზარი დასცა. ამის მიუხედავად, ექვთიმემ შეეძლო რაინდულად გაეძლო ამ ტრაგედიისათვის, ვინაიდან მას ებარა ქართველი ერის საგანძური, რომელსაც გადარჩენა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა.

მართალია, ნინო – ლევილში, ქართველთა საძვალეში იყო დაკრძალული, მაგრამ 1987 წლის 22 თებერვალს მისი ნეშტი თბილისში გადმოსვენეს

<sup>21</sup> ი. მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ. 1989, გვ. 257-258.

და თავისი მეუღლის გვერდით დაკრძალეს.<sup>22</sup>

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები იყვნენ ქართული წარჩინებული საგვარეულოების – აზნაურ თაყაიშვილთა და თავად ნაკაშიძეთა ღირსეული წარმომადგენლები. ექვთიმე აღიზარდა და პიროვნებად ჩამოყალიბდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში, თავის და-ძმასთან ერთად. მას ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მაქსიმალურად უწყობდა ხელს თავისი შესანიშნავი მეუღლე, პოლონური წარჩინებული საგვარეულოს შთამომავალი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი – ნინო ივანეს ასული პოლტორაკაია (დედით – გაბაშვილი).

---

<sup>22</sup> ი. მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. საიუბილეო კრებული „ღვთისკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი“. შეადგინა ი. თავბერიძემ. თბ. 2004, გვ. 278-281.

*Niko Javakhishvili*

**EKVTIME TAKAISHVILI'S ANCESTORS AND FAMILY  
ENVIRONMENT**

Summary

The article ascertains that academician Ekvtime Takaishvili (1863-1953), great Georgian scholar and public figure, who was canonized by the Holy Synod of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church in 2002, was brought up, formed and lived within a traditional Georgian family.

E. Takaishvili's ancestors comprised the reputable representatives of the prominent Georgian gentry and princely families, correspondingly Takaishvilis and Nakashidzes.

Ekvtime Takaishvili was much assisted by his outstanding spouse, Nino Poltorazkaya (1869-1931; whose mother was Gabashvili), a descendant of a notable Polish family but brought up according to Georgian traditions.

*ნატო სონღულაშვილი*

**ქართული სოციალური გარემო 1900-1921 წლებში  
(გლახობა)**

თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დიდი ადგილი ეთმობა ეროვნული, ნაციონალური იდენტობის კვლევას. როგორც ცნობილია, ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა არსებობს და თითოეულ მათგანში საკითხის გადაჭრის საკუთარი ხედვაა წარმოდგენილი. ამჟერად მათ განხილვაზე არ შეეხერხები, რადგან ვფიქრობ, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს ცნობილი თეორიების ძირითად პრინციპებს (როგორცაა ეთნოსიმბოლიზმი, მოდერნიზმი). ნაციონალური იდენტობის საკითხი ძირითადად საყოველთაოდ ცნობილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილება. ესენია: ენა, რელიგია, ისტორიული მენსიერება, ტრადიცია, ტერიტორია და ამასთან, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება თითოეულ სიმბოლოს. ბუნებრივია, აღნიშნულის გააზრება უნდა მოხდეს ეპოქის მოთხოვნებიდან, სულისკვეთებიდან გამომდინარე, რადგან საუკუნეების მანძილზე საზოგადოების ცნობიერება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.

1900-1921 წლები გამოირჩევა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა სირთულით და ხშირი ცვალებადობით. ამიტომ ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად ქართული ეროვნული იდენტობის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია ეპოქისა და სოციალურ ფენათა ცნობიერების ცვალებადობის გათვალისწინება.

საკითხის შესასწავლად, პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს ეპოქის ანუ 1900-1921 წლების ძირითადი მოვლენები და მათი გავლენა საზოგადოებაზე; მეორე, საჭიროა სოციალური ფენების კლასიფიკაცია, თითოეული მათგანის ღირებულებათა გამოკვეთა და მთლიანობაში გადააზრება.

ეს ისეთი საკითხებია, რომელთა შესწავლა წყაროს მხოლოდ ერთი ტიპით შეუძლებელია, საჭიროა ყველა დეტალის გათვალისწინება, კომპლექსური ანალიზი და შემდეგ გარკვეული მოსაზრების ჩამოყალიბება. სოციო-

ლოგის, ფილოსოფოსის, ისტორიკოსის მიდგომა ასეთი პრობლემისადმი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისტორიკოსის განსაზღვრება უნდა განირჩეოდეს ყველა მათგანისაგან იმით, რომ მისი მოსაზრება ფაქტებისა და წყაროთა გამოყენების მრავალფეროვნებით უნდა იყოს გამაგრებული. დავიწყოთ იმით, რომ ამგვარი საკითხებისადმი ინტერესი უძველესი პერიოდიდან შეინიშნება, თუმცა აღქმა და მიდგომა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესაბამისად ცვლილებას განიცდის. როგორც ცნობილია, ახალი და მთავარი ეტაპი ეროვნული საკითხის კვლევის თვალსაზრისით იწყება საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნეში აქტუალურია მონტესკიეს, რუსოს, ჰეგელის, ჰერდერის იდეები. XX საუკუნის პირველ ნახევარში ამ მიმართულებით გამოირჩევა „ანალების სკოლა“, როდესაც წინა პლანზე მენტალობათა კვლევა გამოდის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში აქტუალური იყო ეროვნული საკითხის ირგვლივ შექმნილი თეორიული მოსაზრებები. მაგალითად, საკმაოდ პოპულარული იყო რენანის იდეები. ამ კონტექსტში უნდა გავისვენოთ მიხაკო წერეთლის მოღვაწეობაც. ასე რომ, თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბებასა და ქართულ საზოგადოებაში მათ ცნობა-გამოყენებას მნიშვნელოვანი საფუძველი გააჩნდა.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ მონაკვეთს, ინტერესს იწვევს 1900-1921 წლებში განვითარებული პროცესების სირთულე, გარდაქმნები, მრავალმხრივობა, კერძოდ, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური მოვლენების ხშირი ცვალებადობა, სხვადასხვა სოციალური ფენების ახალ სისტემაზე გადასვლა, ახალი კლასების წარმოშობა და მათი საზოგადოებასთან დაკავშირება, მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას წინ უძღოდა სხვადასხვა მოვლენები, რომლებმაც თავისი კვალი დააჩნიეს საქართველოს ისტორიას. როგორც ცნობილია, საქართველო 1918 წლამდე იმყოფებოდა რუსეთის დაქვემდებარებაში და, ბუნებრივია, იმპერიაში მიმდინარე პროცესები თავის გავლენას ახდენდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე. მათ შორის შეიძლება ცალკე გამოიყოს შემდეგი მოვლენები: 1. 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცია; 2. 1907-1910 წლების რეაქციის ხანა; 3. 1914-1918 წწ. პირველი მსოფლიო ომი; 4. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუცია.

1918-1921 წლები მეტად რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად ბევრი პრობლემა მოიტანა. გარდა იმისა, რომ 117 წლის მანძილზე საქართველო რუსეთის დაქვემდებარებაში იყო, ჯერ კიდევ XV საუკუნის II ნახევარში საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად, თუ არ ჩავთვლით ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამიტომ საჭირო იყო მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმების განხორციელება და, რაც მთავარია, საზოგადოების ცნობიერების რადიკალურად შეცვლა, სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება.

აქედან გამომდინარე, გამოვყავი ორი ძირითადი პერიოდი: 1. 1900-1917 წწ. – როდესაც საქართველო არის რუსეთის გავლენის ქვეშ და 2. 1918-1921 წწ. – დემოკრატიული რესპუბლიკის ხანა. აქ იკვეთება შემდეგი საკითხები: 1. ერთი მხრივ, ეს არის XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექმნილი მოვლენების იდეური გაგრძელება, როდესაც თერგდალეულების ე.წ. მემკვიდრები ცდილობენ ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას და რაც მთავარია ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მთავარი მიზანი ხდება გლექსის უფლებების დაცვა, მისი ფუნქციების გამოკვეთა. 2. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება ახალი სოციალური ფენა, პროლეტარიატი და ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები აქვს და თითოეული მათგანი ცდილობს სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში. ამ მხრივ აქტიურობს სოციალ-დემოკრატიული პარტია. 3. სრულიად განსხვავებული პერიოდი, დამოუკიდებლობის წლები, როდესაც მთლიანად იცვლება იდეოლოგია სახელმწიფოებრივი შეგნების ჩამოყალიბებისაკენ.

რაც შეეხება წყაროთა ბაზას. 1. მთლიანად დავამუშავეთ 1900-1921 წლებში გამოძვარილი ყველა ჟურნალ-გაზეთი. ეს პერიოდი გამოირჩევა პრესის მრავალრიცხოვნობით. ბეჭდურ მედიაში საუბარია ყველა სოციალური ფენის პრობლემებზე, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით გლექსების და მუშების, მაგრამ ყურადღებაამისაქცევია ის გარემოება, რომ თითოეული პერიოდული ორგანო კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეებს გამოხატავდა, რომლებიც პრესის საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი შეხედულებების



ბების რეალიზებას საზოგადოებაში. 2. აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მეშუარები. მართალია, აქ ნებისმიერი მოვლენა ავტორის შეხედულებისამებრ არის შეფასებული, მაგრამ, რადგანაც ჩვენი ნაშრომის მიზანი საზოგადოებრივი რეპრეზენტაციების, მას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. 3. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ 1900-1921 წლებში გამოცემული წიგნები, ბროშურები, ნათარგმნი ლიტერატურა, პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები. ეს მასალები თანამედროვეთა მიერ არის დამუშავებული და შეფასებული, ამასთან, აქცენტი გაკეთებულია ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ეპოქის გამოწვევას წარმოადგენდა. 4. საარქივო დოკუმენტები, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში ასახულია ის საიდუმლო მონაცემები, რომლებიც ხელმისაწვდომი არ იყო აღნიშნული პერიოდის საზოგადოების ფართო ფენებისთვის, განსხვავებით ზემოთაღნიშნულ წყაროთა სისტემისაგან. ამიტომ ეს ინფორმაცია დღეისათვის ორმაგად საინტერესო და მნიშვნელოვანია. 5. ისტორიოგრაფია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა გლეხობის, როგორც ერთ-ერთი სოციალური ფენის, საკითხის შესწავლას (აღ. ბენდიანიშვილი, ილ. მირცხულავა და სხვ.), თუმცა ნაკლები აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა ცვლილებებს განიცდის მისი ღირებულებები. რამდენად აქვს განვითარებული ეროვნულობის შეგნება. როდესაც 1900-1921 წლების მოვლენებს ვაფასებთ, ვეხებით პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ეპოქის რაობა და მისი გავლენა საზოგადოებაზე და პირიქით. ამდგავარი ნაშრომების უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია დაწერილი და ობიექტურად შეფასებული არ არის. თუმცა არსებობს მეორე უკიდურესობაც, შემდგომი პერიოდის მონოგრაფიებში ძირითადად სტატისტიკური მონაცემებია გლეხთა რაოდენობის, კატეგორიების, შემოსავლების, მათ საკუთრებაში მიწის ფართობებისა და ა.შ. მაგრამ არსად არ არის საუბარი იმაზე, თუ ვინ არის გლეხი და რას წარმოადგენს იგი 1900-1921 წლების საქართველოში. ერთი შეხედვით, თითქოს საკითხი მარტივია, გლეხი არის ადამიანი, რომელიც მიჯაჭვულია მიწაზე და მისი მთავარი შემოსავალი არის მისი დამუშავების შედეგად მიღებული მოსავალი. მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდში გლეხის ცნობიერებამ განვლო ყველაზე რთული და მრავალმხრივი გზა, ეპოქის ცვალებადი მოვლენებიდან გამომდინარე. ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში თითქმის ყოველი წელი ახალი მოვლენების დასაწყისია. ამასთან, ეს არის პოლიტიკური პარტიების იდეო-

ლოგიათა მუდმივი ჭიდილის და სოციალური კლასების: ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბების ეპოქა. გლეხი კარგავს თავის ისტორიულ ფუნქციას, ის უნდა გარდაიქმნას და ახალი ეპოქის შვილი გახდეს, შეძლოს კავშირის დამყარება პროლეტარიატთან, რომელზეც მუდმივად მიუთითებენ, რომ მისი „ძმა“ არის და მასთან კავშირია საჭირო. ერთი სიტყვითა, ეს არის გლეხის ცნობიერების, და ფუნქციების გარდაქმნის ეპოქა.

გლეხის ცნობიერების განვითარებაში გამოვყოფდი 3 ეტაპს: I. ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი და სამოციანელთა მოღვაწეობის შედეგად გლეხის ეროვნული, ეკონომიკური ცოდნის და ინტელექტუალური დონის ამაღლება; II. გლეხის შეუკავშირებელი და უსისტემო ბრძოლა მეზატონების წინააღმდეგ მიწის მოსაპოვებლად; III. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის შედეგად გლეხის პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება და ჩაბმა „იმპერიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც თავიდანვე აღვნიშნე, 1900-1917 წლებში განვითარებული მოვლენები გამოიჩინა თავისი სირთულით და ბუნებრივია, გლეხის მდგომარეობაც არ არის სტაბილური. ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და მიმდინარეობს ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილის ბრძოლა გლეხის ეროვნული, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეგნების ამაღლებისათვის. აღნიშნულს თან ერთვის და ართულებს თვითონ პოლიტიკური ელიტის განსხვავებული დამოკიდებულება გლეხისადმი. გაზეთი „მიწა“ 1907 წელს წერდა: „გლეხი არის ბურჟუა, მესაკუთრე, ამბობს სოციალ-დემოკრატი. მიწის მუშა გლეხი არაა ბურჟუა, ამბობს სოციალისტ-ფედერალისტი. გლეხი საკუთრების მოყვარეა და სოციალიზმის წინააღმდეგი, გვასწავლის სოციალ-დემოკრატი. გლეხს უყვარს მიწა და უნდა, რომ მიწა მიწის მუშების იყოს, გლეხი სოციალიზმის მომხრეა, გვასწავლის სოციალისტ-ფედერალისტი“.<sup>1</sup> როგორც ცნობილია, აღნიშნულ პერიოდში ყველა პოლიტიკურ პარტიასა და სოციალურ ფენას საკუთარი იდეოლოგიის გამომხატველი ორგანოები გააჩნდათ. გლეხის იდეების გამომხატველი იყო გაზეთი „გლეხი“, რომელიც 1906 წელს გამოდიოდა. 1906 წლის პირველ ნომერშივე დაფიქსირებულია მოსაზრება გლეხის შესახებ. „ვინ არის გლეხი? გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამე მუშაობს, დღე და ღამეს ასწორებს, სისხლსა და ოფლს ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან

---

<sup>1</sup> გაზ. „მიწა“. თბილისი 1907. №7, გვ. 1.

დღემდე, წლიდან წლამდე და მაინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა“.<sup>2</sup>

XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შემდეგ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა დარწმუნდა, რომ შეიარაღებული ბრძოლის ნაცვლად ახალ ტაქტიკაზე უნდა გადასულიყო, მითუმეტეს, რომ ყველა გამოსვლას საფუძვლად ედო არა ეროვნული, არამედ სოციალური ან ეკონომიკური მოტივი, თუ არ ჩავთვლით 1832 წლის შეთქმულებას, რომლის ორგანიზატორები და მთავარი მონაწილეები საზოგადოების განათლებული და ინტელექტუალური ნაწილი იყო. ნიკო ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ არაფერს ეროვნულ-განმათავისუფლებელს ეს მოძრაობები არ გულისხმობდა. ილია მირცხულავას აზრით, კი ამ აჯანყებებს თავადაზნაურობა თავის მიზნებს უმორჩილებდა და მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. 30-იანი წლებიდან, ე.ი. 1832 წლის შეთქმულების განადგურების შემდეგ, საქართველოს გლეხთა მოძრაობა თავისი დამოუკიდებელი წოდებრივი გზით წავიდა და მიმართული იყო ბატონყმობის წინააღმდეგ. თუმცა გლეხთა მოძრაობა ჯერ ისევ სტიქიურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მაინც დიდი როლი შეასრულა ბატონყმობის გაუქმების საქმეში.<sup>3</sup>

მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, გლეხის ლოიალობის მთავარი ობიექტი, მეფე აღარ არსებობდა. პრივილეგია დაკარგული თავადაზნაურობა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა. გლეხობა წარმოადგენდა არაორგანიზებულ, გაუცნობიერებელ კრებულს, რომელიც, ერთი მხრივ, ვერც ძველი დროის ტყვეობიდან გამოდიოდა და ვერც ახალ მოთხოვნებს ეგუებოდა. ერთი სიტყვით, სრულ გაურკვევლობაში იყო. მითუმეტეს, რომ რუსეთის შემოსვლით დაკარგეთ არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სამღვდელოებას შეეზღუდა უფლებები და ის ვეღარ ასრულებდა იმ როლს იმ მასშტაბით, რაც საუკუნეების მანძილზე ჰქონდა. ქართულმა ენამ დაკარგა თავისი ფუნქცია. XIX საუკუნის II ნახევრიდან ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მკვიდრდება კაპიტალისტური სისტემა, შემოდის ახალი ეკონომიკური ფორმები. გლეხის

<sup>2</sup> გაზ. „გლეხი“. თბილისი 1906. №1, გვ. 1.

<sup>3</sup> ი. მირცხულავა. აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1921 წლები. თბ. 1964, გვ. 104.

ცნობიერება ალღოს ვერ უღებს ახალ ეპოქას და ვარდება მეორე უკიდურესობაში. 1911 წლის „მოსავალში“ კკითხულობთ: „როცა ჩვენ გლექსკაცს რაიმე რჩევას მისცემ შესახებ იმისა, ან რით მოხნას, ან როგორ მოხნას, ან რა დათესოს და სხვა, მუდამ ერთ და იგივე პასუხს გვაძლევს: ჩვენ მამაპაპასაც ბატონო, ასე უხნავ-უთესიათ როგორც ჩვენა ვხნავთ და შიმშილით კი არავინ მომკვდარა შენი ჭირიმე. ასე თქმით ჰგონიათ ისეთ ჭეშმარიტებას ამბობს, რომლის წინააღმდეგ მთელი დედამიწის ზურგზე არავის აღარაფერი საბუთი არ შეუძლია წამოაყენოს. მას ფიქრადაც არ მოდის, რომ ჩვენ წინაპართა ცხოვრება ჩვენ ცხოვრებას აღარ წააგავს, რაც მათთვის შესაძლებელი იყო, რომ ის ჩვენთვის შეუძლებელი და აუტანელი გახდა“.<sup>4</sup> ეს მხოლოდ ერთი ნიმუშია იმისა, რაც, შეიძლება ითქვას, ეპოქის მთავარი პრობლემაა და თითქმის ყველა ბეჭდურ ორგანოში ამ საკითხზეა მსჯელობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხია სამშობლოს აღქმა. როგორ აღიქვამს გლეხი სამშობლოს. გაზეთი „ერთობა“ 1919 წელს წერდა:

„ხშირად გაგიგონიათ სიტყვა სამშობლო და ახლა მინდა გკითხოთ: იცით კარგად, რა არის აი თუნდაც ჩვენი სამშობლო?“

– შე დალოცვილო, თუ ეგეც აღარ ვიცი, მაშ რაღა მცოდნია, სადაც დავიბადე, ჩემი სამშობლო ის არის.

– ჩემი სამშობლო, შენი ჭირიმე, ჩემი სოფელია-აქა მშობა დედაძა და აქვე მოვკვდები.

– მე რომ მკითხო, ასე ვფიქრობ, რომ ჩემი სამშობლო ჩემი კარმიდამოა, ჩემი ყანა და ვენახი, ის მაჭმევს პურს და ჩემი მშობელიც ის არის, დედაც და ყველაფერი.

– ჩემი სამშობლო მთელი საქართველოა.

აი რამდენი პასუხი მესმის თქვენგან და მართალი და ჭეშმარიტი კი მხოლოდ უკანასკნელია.

მართლაც და ჩვენი სამშობლო მთელი საქართველოა, სადაც ქართველი ხალხი ცხოვრობს და ქართული ლაპარაკი, ქართული ენა ყველასთვის საერთო“.<sup>5</sup>

ნაციონალური იდეოლოგიის პროპაგანდის შემდეგ XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური შეგნების გაღვივებისათვის იწყება ბრძოლა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს.

<sup>4</sup> გაზ. „მოსავალი“. თბილისი 1911. №1, გვ. 4-5.

<sup>5</sup> გაზ. „ერთობა“. თბილისი 1919. № 47, გვ. 3.

ილია მირცხულავას აზრით, „1864-1904 წლების საქართველოს გლეხთა მოძრაობა, რეფორმამდელი გლეხთა მოძრაობისაგან განსხვავებით, როცა გლეხობა იბრძოდა პირადი თავისუფლებისათვის, მიმართული იყო მიწის მოპოვებისაკენ. მიწისთვის ბრძოლა გლეხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გადაიქცა. 1864-1904 წლების გლეხთა მოძრაობა საქართველოში აგრარული ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობას, მაგრამ იგი უმთავრესად სტიქიურ ხასიათს ატარებდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1902-1904 წლების გლეხთა მოძრაობას დასავლეთ საქართველოში, რომელსაც სტიქიურ, არაორგანიზებულ გლეხთა მოძრაობიდან ორგანიზებული პოლიტიკური მოძრაობისაკენ გარდამავალი საფეხური იყო. ეს მოძრაობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაუკავშირა მუშათა მოძრაობას და პოლიტიკური ხასიათი მისცა მას“.<sup>6</sup> ასე რომ, როდესაც ამგვარ მოვლენებს ვაფასებთ, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საკუთარი იდეების რეალიზებას ცდილობდა ბეჭდური მედიის საშუალებით. ამასთან, ზემოთქმული მოწმობს, რომ ნაციონალური იდეების აქტუალიზებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალისტურ იდეოლოგიას, რომლის განხორციელებას ესწრაფვოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მათი მოწოდებები საკმაოდ პოპულარული იყო საზოგადოების ფართო ფენებში, განსაკუთრებით მუშებში და ასევე ცდილობდნენ გლეხების ჩართვას ამ პროცესებში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივში, ფონდი 83, საქმე №46, დაცული ინფორმაცია, რომელსაც აღწერს კავკასიის პოლიციური სამმართველოს უფროსი და დათარიღებულია 1905 წლის 7 ოქტომბრით, ზუგდიდის მაზრა. „ეს ახალი მოძრაობა, მიღებული ბოლო ხანებში რევოლუციური აგიტაციის შედეგად, არალეგალური ბრძოლის გამო შეცვლილი მიმართულებით, დაიწყო სენაკის მაზრის სოფელ ხორგინში და სწრაფად გავრცელდა სხვადასხვა მიმართულებით და სამი თვის განმავლობაში დაიკავეს მაზრის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი. გლეხთა შორის არეულობის გამავრცელებლებს ეს გამოწვევა მიყავთ უწესრიგობისკენ. ისინი წარმოადგენენ იატაკქვეშა კომიტეტების აგენტებს, უპირატესად სოფლის მასწავლებლებს, ბათუმის ქარხნის მუშებს, ყოფილი სტუდენტები და ისინი, ვისაც სწავლა სრულიად არ აქვს

<sup>6</sup> ი. მირცხულავა. აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1921 წლებში, გვ. 145.

დასრულებული, დათხოვნილი სხვადასხვა საშუალო სასწავლო დაწესებულებიდან არეულობაში მონაწილეობის გამო, მათში გაერთიანებული არიან გლეხები, უფრო ენერგიულები ითვისებენ რევოლუციურ იდეებს გლეხთა შორის ხელმძღვანელობისთვის“. <sup>7</sup> ეს დოკუმენტი შეეხება გლეხთა 1900-1905 წლების გამოსვლების პერიოდს, რომლის მიზანი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად გლეხების ორგანიზებული გაერთიანებაა.

როგორც ცნობილია, ეს პერიოდი გამოირჩევა იმით, რომ კულტურული ელიტა აქტიურობს გლეხების საგანმანათლებლო დონის ამაღლების, ისტორიული წარსულის, ტრადიციების შენარჩუნების საკითხში. ამისთვის იხსნება სკოლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სოფლებში, ქალაქებში. იბეჭდება და ვრცელდება დიდი რაოდენობით წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, რომლებშიც გლეხისთვის საჭირო მოვლენებზეა საუბარი. ამის პარალელურად პოლიტიკური ელიტა პოლიტიკური შეგნების განვითარებისთვის იბრძვის. პოლიტიკური დონის ამაღლება პარტიების ნაწილს სჭირდება იმისთვის, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლისათვის ნიადაგი მოამზადოს, ნაწილს კი იმისთვის, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატთა, გააერთიანოს და შეაკავშიროს მუშები და გლეხები და სოციალიზმის განხორციელებისათვის შექმნას პირობები. „გლეხი ყველაზე მეტს მუშაობს, ყველაზე უფრო გაჭირვებულია; გლეხმა უნდა მოიპოვოს მიწა და თავისუფლება, რომ თავი დააღწიოს შიმშილს და გამწარებულს ცხოვრებას. გლეხმა უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისთვის. მაგრამ კმარა მიწა და თავისუფლება? გლეხი უნდა დაკმაყოფილდეს, რაკი მოიპოვებს მიწას და თავისუფლებას? ბედნიერი იქნება და სხვა არაფერი დასჭირდება? არა, ამხანაგებო! გლეხისათვის არ კმარა მარტო მიწა და თავისუფლება! აუცილებელი საჭიროა ერთიც და მეორეც, ხოლო ეს ვერ დაიხსნის გლეხს ყველაწიანი შევიწროებისაგან და მანამდე არ ეღირსება ტკბილ და მოსვენებულს ცხოვრებას, სანამ დედამიწაზე არ დამყარდება ჭეშმარიტი ერთობა-სოციალიზმი“.<sup>8</sup> ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა თავისებურად იბრძვის. მაგალითად, მარქსისტების აზრით, „გლეხი სოციალიზმს ვერ შეიგნებს, რადგან მას კოლექტიური თავის ქალა აქვსო“. ამ იდეის მატარებელნი იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები და მათი მთავარი დასაყრდენი პროელტარიატი იყო. მათ-

<sup>7</sup> საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 83. აღწერა 1. საქმე № 46. ფურც. 116.

<sup>8</sup> გაზ. „გლეხი“. თბილისი. 1906. №6, გვ. 1.

გან განსხვავებით სოციალისტ-ფედერალისტები გლეხის იდეალიზაციას ახლენდნენ. „ჩვენი ქვეყანა თავისი სტრუქტურით გლეხური ქვეყანაა. არც არის ახლო მომავალში იმედი გლეხობის გაქრობის, პროლეტარიზაციისა და კონცენტრაციისა. საქართველო წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ქვეყანას და პროლეტარული, ისიც შემცდარი სოციალიზმი მას არ ეგუება. და მხოლოდ ისეთი სოციალისტური მოძღვრებაა მისაღები, რომელსაც აგრარიაში ახასიათებს და რომელიც პროლეტარიატს და გლეხობას ერთმანეთს არ უპირდაპირებს“.<sup>9</sup> სწორედ ამიტომ, როდესაც ამგვარ საკითხებს ვსწავლობთ, ეს გარემოებებია გასათვალისწინებელი.

დაბოლოს, ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია ეროვნული თავისუფლების პრობლემა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენ ხშირად შევხვდებით ცნებებს: „ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისთვის“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. მაგრამ რას ნიშნავდა ქართველი ერისთვის და, ამ შემთხვევაში, გლეხისთვის ეროვნული თავისუფლება – ამაზე საუბარი არსად არ არის. თუ არ ჩავთვლით აკაკი სურგულაძის ნაშრომს „ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი. მოძრაობის ეტაპების შესახებ“. მისი აზრით, „ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიაში შემავალი კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ტენდენცია იყო. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და ეს იყო მისი სოციალური შინაარსი, მეორე მხრივ, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული თვითმყოფადობის მოსაპოვებლად“.<sup>10</sup>

117 წლის მანძილზე რუსულ გავლენაში მყოფი ქართველი ხალხის ცნობიერება გარკვეულწილად შეიცვალა, ამავდროულად, საქართველოში არსებული ყველა სოციალურ ფენას ჰქონდა განსხვავებული ფსიქოლოგია. გლეხობაში დაბალი იყო პატრიოტული, მოქალაქეობრივი შემართება, შესაბამისად დაბალი იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე. მის შეგნებაში მიწა და თავისუფლება შედუღებულნი იყო. გლეხი თავისუფლებას მიწის მოსაპოვებლად იყენებდა.<sup>11</sup> მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „ორიოდ კაცის გარდა, ძველებსა და ახლებს ვერ წარმოუდგენიათ ურუსოთ ქართული თავისუფ-

<sup>9</sup> გა.ზ. „ერთობა“. თბილისი. 1918.

<sup>10</sup> აკ. სურგულაძე. ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ. თბ. 1970, გვ. 40.

<sup>11</sup> გ. ქიქოძე. ეროვნული ენერგია. თბ. 1919, გვ. 72.

ლება“.<sup>12</sup>

ნოე ჟორდანია თავის მემუარებში წერს: „როცა წამოვაყენე დებულება საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობისა, ერთი გლახი ადგა და მომახალა – აწი ჩვენ ტყვედ სყიდვას ვერ დავუბრუნდებითო!“<sup>13</sup>

საზოგადოების უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებში, რუსეთის ხელისუფლება მათ უსაფრთხოებას ნიშნავდა და ამიტომ არსებული ვითარების შეცვლით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით მათი მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვლებოდა. იაკობ მანსვეტაშვილი მემუარებში იგონებს ილიასა და გლახების საუბარს. ეს უკანასკნელი სწორედ რუსული ხელისუფლების მხარდაჭერას გამოხატავდნენ: „ადრე გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შველა არსაიდამ იყო. აი, დალოცა ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა რა გვიშავს, აი, ქალაქშიც ჩამოვდივართ სამუშაოდ. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს ხელს ვმართავთ. გზაში ხელს ვერავინ გვახლებს“.<sup>14</sup>

როგორც უკვე აღვნიშნე, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ისტორიაში. საჭირო გახდა თავისუფალი ფენის არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით დაკმაყოფილება, არამედ მათი ჩართვა ეროვნულ-საზოგადოებრივ სფეროში. თავისუფალი გლახობა უნდა გამხდარიყო საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნულ პერიოდში გლახობის, როგორც თავისუფალი ფენის, საკითხი აქტუალურია. იაკობ მანსვეტაშვილთან ვკითხულობთ: „...მდაბიო ხალხისთვის, მუშა-გლახობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთო“.<sup>15</sup>

1918-1921 წლები, მიუხედავად იმისა, რომ განსახლებული პერიოდაა, ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა, გლახის საკითხი ისეთივე

<sup>12</sup> მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბ. 1990, გვ. 21.

<sup>13</sup> ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ. 1990, გვ. 15.

<sup>14</sup> ი. მანსვეტაშვილი. მოგონებები. თბ. 1985, გვ. 125.

<sup>15</sup> ი. მანსვეტაშვილი. მოგონებები, გვ. 78.



აქტუალურია და მთავარი პრობლემა ისევ მიწა და პირადი თავისუფლებაა. ამიტომ ყველა ჩვენ მიერ განხილული საკითხები ორივე ეტაპის თანმდევი მოვლენებია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოციალური საკითხი თავის აქტუალობას არ კარგავს. სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში ქართული საზოგადოების ყველა ნაწილის ჩართვა აუცილებელი მოვლენა იყო და მათ შორის – ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურად დაბალი ფენების წარმომადგენლების – გლეხების, მუშების. საჭირო იყო თითოეულ მათგანს ეგრძნო სახელმწიფოს მხარდაჭერა და თავი უსაფრთხოდ და ეკონომიკურად უზრუნველყოფილად ეგრძნო, რადგან ანტისახელმწიფოებრივი იდეები ყველაზე მეტად სწორედ მათთან პოულობდა ასახვას. ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აღნიშნული პერიოდის თითქმის ყველა წყაროში სოციალური საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ფართო ფენების ჩართვა ეროვნული საქმის კეთების პროცესში სირთულეს წარმოადგენს. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა და, მით უმეტეს, რომ 117 წლის მანძილზე რუსულ ღირებულებებს ზიარებული ხალხის ქართულ იდეალებზე გადაყვანა მარტივ საკითხს არ წარმოადგენდა. ნოე ჟორდანიას აზრით, „მთავარი იყო ხალხში არ ქონოდა გასავალი მოსკოველთა პროპაგანდას, არ მომხდარიყო აზრთა და გზათა არევ-დარევა, ყოფილიყო ფართე მასების მიერ გაგებული და შეგნებული ჩვენი და მათი წყობის და ცხოვრების (ე.ი. რუსების – ნ.ს.) წესების განსხვავება. ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას – გლეხობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უადრესათ ნაციონალური რეფორმა ჩვენში“.<sup>16</sup>

დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გლეხების მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ნათლად აჩვენებს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ცნობები.<sup>17</sup> სადაც ნაჩვენებია საქართველოს ცალკეულ რეგიონებში გამოკითხვის შედეგები, გამოკითხვები გლეხების საერთო განწყობილებას ასახავს. საუბარია რეგიონების, სოფლების შესახებ, პარტიული მუშაობის, სასაუბრო

<sup>16</sup> ნ. ჟორდანიას ჩემი წარსული. თბ. 1990, გვ. 101, 107.

<sup>17</sup> სცსა. ფონდი 1825. აღწერა 1. საქმე № 13.

თემების, გლახობა დამოკიდებულების სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გლახების პრობლემებზე და ა.შ. ბუნებრივია აქ სრულად ვერ მოვიყვანო ყველა დოკუმენტს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ყველა გამოკითხვაში მთავარი ადგილი სწორედ მიწის საკითხს უკავია. ფაქტობრივად ეს პრობლემები ისევ აქტუალურია.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიის სრულყოფილად და დეტალურად შესასწავლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერების განვითარების შეფასება და მათი დამოკიდებულება ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით. 2. 1900-1921 წლების სხვადასხვა მოვლენების შესაფასებლად გასათვალისწინებელია ეპოქის გამოწვევები და საზოგადოების ცნობიერების ცვლილება. 3. ხშირ შემთხვევაში აქცენტი ან პოლიტიკურ ან ეროვნულ საკითხებზე კეთდება, სინამდვილეში კი მათი კომპლექსური ანალიზი საჭირო. 4. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გლახის შეხედულებები, ცნობიერება განვითარების გარკვეულ გზას გადიოდა 1900-1921 წლებში, რომლის მიმართულებას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა პოლიტიკური და კულტურული ელიტა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში – ეპოქის გამოწვევა.

*Nato Songulashvili*

**SOCIAL ENVIRONMENT IN GEORGIA: PEASANTRY  
(1900-1921)**

Summary

In the period from 1900 to 1921 the process of the Georgian nation building had reached its culmination. How was perceived the said process by various social strata of the Georgian society? This question should be answered before providing final representation of the event.

The paper deals with the most numerous by this time stratum of the Georgian community – peasantry attempting to provide data on the public perceptions of the Georgian peasants in the first two decades of the twentieth century. The issue of peasants was frequently concerned topic in Soviet historiography; however, the aspect we have made as focus for our investigation, was completely ignored. Meanwhile there is really important to know how Georgian peasantry had created and after long struggle developed their national identity. When we are talking about 1900-1921 social and economic life of the society, we should take into consideration the specific features of this epoch and its influence on shaping of public perceptions. In the paper there are distinguished three stages in peasant's perceptions development: the first one was connected with emancipation of the peasants from serfdom and the changes in their social outlook and behavior outgoing from this fact, the second was linked with the peasants' fight against landowners, while the third one was connected with the activities of the social-democratic political party, which fostered in peasants the political views.

*მიხეილ ქართველიშვილი*

**საეკლესიო საკითხი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში**

1924 წლის აგვისტოს აჯანყება ქართულ<sup>1</sup> და უცხოურ<sup>2</sup> ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, გაანალიზებულია მისი ტაქტიკა-სტრატეგია, აჯანყებულთა სამოქმედო გეგმები და სხვა ცალკეული ასპექტე-

<sup>1</sup> ნ. ბენდელიანი. ისტორიოგრაფია საქართველოში. 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. ქუთ. 1993; ვ. ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. თბ. 1991; რ. გრძელიძე. 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბ. 1992; ნესტან (ელისაბედ) კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთ. 1996; ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება საქართველოს რეგიონებში: (სამეგრელო). (მე-2 გამოც.). თბ. 2009; გ. ციციშვილი. სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ: (მე-80 წლისთავის გამო). თბ. 2004; თ. ენდელაძე. ტრაგიკული 1924. თბ. 2004; კ. წენგუაშვილი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მისი შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში: [1924 წლის აჯანყების მიზეზებისა და განვითარების თავისებურების შესახებ. ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმული ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები (კ. შველია, ი. კატარავა, გ. ციციშვილი, ა. მენთეშაშვილი, ა. მუჯირი, ნ. კირთაძე და სხვ.)]. საისტორიო აღმანახი „კლიო“. 2005. N26, გვ. 164-182; 1924 წლის მოვლენები საქართველოში თანამედროვის თვალით: [არქივის მასალები ვ. მერკვილაძისა და ლ. თოიძის კომენტარებით]. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“. №3. თბ. 1989, გვ. 37-53; რ. ლომინაძე. 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი: [„დამკომის“ ერთ-ერთი პერიფერიული ორგანიზაციის, „საქართველოს დამოუკიდებლობის სამეგრელოს კომიტეტის“ მოწოდება 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებისათვის]. ჟურნ. „პოლიტიკა“. №8. თბ. 1991, გვ. 63-65; გ. კლდიაშვილი. საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე-კახეთში და სასულიერო პირები. „საარქივო მონაბე“. N9. თბ. 2010, გვ. 98-113 და სხვა.

<sup>2</sup> რ. დიუგე. მოსკოვი და წამებული საქართველო (ფრანგ. თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა.). თბ. 1994; ა. ათანელიშვილი. საქართველოს 1924 წლის აჯანყება უცხოელ მკვლევართა შრომებში: ანრი ბარბიუსის, ლუი ლეფერის, პიუ სეტონ უიტსონის და უესტ-ვუდის შეფასება. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწადუული „საისტორიო ძიებანი“. თბ. 2000. N3, გვ. 159-166; M. Wehner. Le Soulèvement georgien de 1924 et la réaction des bolcheviks. „Communisme“. № 42-43-44, გვ. 155-170; S. Jones. The Establishment of Soviet Power in Transcaucasia: The Case of Georgia 1921-1928. Soviet Studies. Vol. 40. No. 4 (Oct. 1988), გვ. 616-639.

ბი. წინამდებარე ნაშრომში გვსურს შევეხოთ აჯანყების ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო საკითხს, რომელიც დღემდე საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა, მხედველობაში გვაქვს საეკლესიო საკითხი 1924 წლის აჯანყებაში,<sup>3</sup> ბუნებრივია, ესოდენ რთული საკვლევი პრობლემის შესწავლა ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია და ჩვენ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით.

თავდაპირველად, სანამ უშუალოდ საკითხის შესწავლაზე გადავიდოდეთ ისტორიული სურათის მეტი სიზუსტით აღსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია აჯანყების წინა პერიოდის პერიპეტეიების გამოკვეთა, რამაც განაპირობა როგორც თავის მხრივ აჯანყება, ასევე მასში საეკლესიო საკითხის მნიშვნელობა და სამღვდელოების აქტიური მონაწილეობა.

როგორც ცნობილია, 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისის ხელშკრულება, მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალდატანებითი ანექსია-ოკუპირება.<sup>4</sup>

ქართული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი არ შპეგუებია ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას და აქტიურად იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისათვის.

აღნიშნულ ბრძოლაში ქართული საზოგადოების გვერდში იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაშიც კი წარმატებით ახერხებდა მოსახლეობის სულიერ გამხნევება-გამძლიერებას. საბჭოთა პერიოდში კი, ამ უკნასკნელის ანტირელიგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, მას ქვეყნის დაცვის პარალელურად საეკლესიო ორგანიზაციის გადარჩენისათვისაც უნდა ებრძოლა.

საბჭოთა მთავრობა ხელისუფლებაში ძალადობით მოსვლისთანავე ანტირელიგიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა, რაც სრულად შეესაბამებოდა მის იდეოლოგიურ საფუძვლებს, რომელიც ეფუძნებოდა რა კარლ მარქსის

<sup>3</sup> აღნიშნული კუთხით ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ისტორიკოს გიორგი კლდიაშვილის ნაშრომი „საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე-კახეთში და სასულიერო პირები“, რომელშიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაანხილულია სასულიერო პირების ადგილი და როლი 1924 წლის აჯანყებაში, იხ. გ. კლდიაშვილი. საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე-კახეთში და სასულიერო პირები. „საარქივო მოამბე“. 9. თბ. 2010, გვ. 98-113.

<sup>4</sup> ვ. გურული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ. წგნ.: საქართველოს ისტორია XX საუკუნე. თბ. 2003, გვ. 85; ღ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივად, ანექსიაც: რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის. თბ. 1991.

ცნობილ გამონათქვამს „რელიგია ხალხის ოპიუმია“, მიზნად ისახავდა საზოგადოების აზროვნებაში რელიგიის სრულ აღმოფხვრას.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა №21 დეკრეტით მიიღო დადგენილება „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. დადგენილების მუხლებში საუბარი იყო, იმის შესახებ, რომ თითოეული პიროვნების საქმეა, იწამოს ან არ იწამოს ესა თუ ის რელიგია, რომ სარწმუნოება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებდა არავის. სკოლა გამოყოფილია ეკლესიისაგან, საერო სასწავლებლებში იკრძალებოდა საღვთო სჯულის სწავლება. ასევე საყურადღებოა დადგენილების მე-14 და მე-15 მუხლები: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არა აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, მთელს ქვეყანაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“.<sup>5</sup>

აღნიშნულს დაემატა ისიც, რომ განსაკუთრებულად გაძლიერდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, დაიწყო საკულტო ნაგებობები განადგურება, ხატებისა და ძვირფასი ფრესკების დაზიანებამ მიზანმიმართული ხასიათი მიიღო, ამის პარალელურად საეკლესიო ფენის წინააღმდეგ აქტიური იდეოლოგიური და პრაქტიკული ბრძოლა გაჩაღდა, სამღვდელოება გამოცხადდა ანტი-საბჭოთა და ანტისახელმწიფოებრივ ძალად, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყნის ნორმალურად განვითარებას. რისი დადასტურებაც არის ის ფაქტიც, რომ „ჩეკაში“ საგანგებოდ შეიქმნა მე-3 და მე-4 ქვეგანყოფილებები, რომლებიც, შესაბამისად, მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებზე მუშაობდნენ, მე-3-ე ქვეგანყოფილებას დამატებით ევალებოდა საგანგებო კონტროლის დაწესება მართლმადიდებელ ეკლესიასა და სასულიერო ფენებზე.<sup>6</sup>

ზემოაღნიშნულმა და ქვეყანაში ეროვნული თვითშეგნების ღვეწის დაწყებამ სამღვდელოება საბჭოთა რეჟიმის აქტიურ მოწინააღმდეგე ძალად აქცია, რამაც თავისი საგანგებო გამოვლინებები ჰპოვა როგორც პატრიარქ ამბროსის (ხელაია), ასევე სხვა სასულიერო პირების მხრიდან საგანგებო მიმართვებსა და წერილებში.

<sup>5</sup> საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებათა ქრონოლოგიური კრებული 1921-1940 წწ. თბ. 1959, გვ. 10-13.

<sup>6</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 366, აღწ. 3. საქ. №348, ფურც. 40; თ. ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925 წწ.). საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით). თბ. 2004, გვ. 66.

პატრიარქ ამბროსის ბრძოლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგაზავნილი მემორანდუმი, სადაც თვალნთლივი ასახვა ჰპოვა იმ უმძიმესმა მდგომარეობამ, რომელიც საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ დადგა.

კათოლიკოს-პატრიარქი თავის მიმართვაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კომუნისტური ხელისუფლების მმართველობის დროს „მახინჯდება წინაპართა მიერ შექმნილი ეროვნული კულტურა, შეურაცყოფენ იმასაც კი, რაც ხალხისთვის ყველაზე ძვირფასია მის რწმენას და სინდისის თავისუფლების ნიღბით უკრძალავენ თავისი რელიგიური მოთხოვნების თავისუფლად დაკმაყოფილებას.

სამღვდელოებას უმოწყალოდ სდევნიან. ეკლესია, რომელიც ამდენი საუკუნის მანძილზე კვლავაც ქართული სახელმწიფოს დიდებისა და ძლიერების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, წართმეული აქვს ყველა უფლება, იმდენად, რომ მიუხედავად მისი შრომისა, მოკლებულია საარსებო საშუალებების მოპოვების შესაძლებლობას“.<sup>7</sup>

აღნიშნულ მიმართვაში, სარწმუნოებრივი ასპექტის პარალელურად აქტიურადაა განხილული ეროვნული თავისუფლების იდეაც. პატრიარქი მათ კომპლექსურად, ერთიანობაში განიხილავს და მოითხოვს, რომ „ქართველ ერს მიეცეს უფლება, თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის. განამტკიცოს თავისი პოლიტიკური და სოციალური არსებობის ის ფორმები, რომლებიც უკეთ მიესადაგება მის სულს, მისწრაფებებს, ჩვეულებებს და მის ეროვნულ კულტურას“.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია მივეუთითოთ, რომ ქართული საზოგადოებაში, მათ შორის, სასულიერო ფენებშიც თითქმის მთლიანად ანტისაბჭოთა განწყობა იყო გაბატონებული, რამაც ხელი შეუწყო 1924 წლის აჯანყების დაწყებას.

ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადება საკუთარ თავზე აიღო საგანგებოდ შექმნილმა ორგანიზაციამ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“, რომელიც აერთიანებდა საზოგადოების ყველა ფენასა თუ პოლიტიკურ პარ-

<sup>7</sup> აღნიშნული მიმართვა თავდაპირველად დაიბეჭდა იტალიურ გაზეთში „კაფარა“, შემდგომში იგი არაერთხელ იქნა გამოცემული, ჩვენ ამჟამად ვეყრდნობით ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტომათიაში გამოცემულ ტექსტს. იხ. ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). შეადგინეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ, ჯაბა სამუშიამ. თბ. 2004, გვ. 549.

<sup>8</sup> ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), გვ. 549-50.

ტიას. მისი აგიტატორები აქტიურად ცდილობდნენ აჯანყებაში მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ჩართვას, რათა მომხდარიყო მაქსიმალური დარაზმულობა ეროვნული თავისუფლების იდეის გარშემო. მათი მთავარი თემა იყო დამოუკიდებლობის საკითხი და რელიგიის დაბეჩავებული მდგომარეობა ქვეყანაში.<sup>9</sup>

აჯანყებაში საეკლესიო საკითხის მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამეგრელოს ორგანიზაციის მიერ მოსახლეობაში გავრცელებული პროკლამაცია, რომელშიც ბოლშევიკების მიერ ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულებებთან ერთად აღნიშნულია ისიც, რომ „მან (კომუნისტური ხელისუფლება, მ. ქ.) დახურა და გაძარცვა ათას ოთხასი ეკლესია; ზოგი მათგანი სრულიად დაანგრია, ზოგიც სათეატრო სახლად და კლუბად გადააკეთა და ზოგიც სხვა არამედ, რითაც დასჭირდებოდა. მან სამასხაროთ და ქუჩის ბიჭების დასაცინად გახადა სარწმუნოება. ეკლესიის მსახურნი, ვინც კი გაბედა სარწმუნოების გამოქომაგება, გააკრიჭა, ციხეში ჩაყარა კათალიკოსიანათ, ციხის გარეთ დარჩენილი მღვდლები აიძულეს მღვდელ-მოქმედებაზედ ხელი აეღოთ და ძალად გააკრიჭეს. ამავე დროს ყველა ეს სისამაგლე დააბრალეს ხალხს, განაცხადეს რა თავიანთ ყრილობებზე – ეკლესიები ხალხმა დახურაო“.<sup>10</sup>

აღნიშნულ პროკლამაციაში ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის ქვეყნის სახელმწიფოებრივ, დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგების დაძლევას.

საეკლესიო საკითხის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ნაწყვეტი აჯანყებულთა ერთ-ერთი აქტიური წევრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის – იასონ ჯავახიშვილის – ჩვენებიდან:

„ახალმა ძალაუფლებამ (ბოლშევიკური ხელისუფლება მ. ქ.) დაიწყო

<sup>9</sup> ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება საქართველოს რეგიონებში: (სამეგრელო). (მე-2 გამოც.). თბ. 2009, გვ. 12.

<sup>10</sup> რ. ლომინაძე. 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი: [„დამკომის“ ერთ-ერთი პერიფერიული ორგანიზაციის, „საქართველოს დამოუკიდებლობის სამეგრელოს კომიტეტის“ მოწოდება 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებისათვის]. ჟურნ.: „პოლიტიკა“. №8. თბ. 1991, გვ. 63-65; ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება საქართველოს რეგიონებში: (სამეგრელო), გვ. 28-29.



ექსპერიმენტები ქართული ეკლესიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ გამოაცხადეს სინდისის თავისუფლება, დაიწყო ჩვენი რელიგიის უდიერად დევნა. ძალით დაჰკეტეს ქართული ეკლესიები, რიცხვით თვით გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით 1500, დაუკეტავი დარჩა არაუმეტეს 15-ისა. აიძულებდნენ მღვდლებს გაკრტილიყვნენ, არ გვაკმარეს, შეურაწყვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი, რომელნიც იყვნენ, არამართო საეკლესიო, არამედ ეროვნული გმირები: ამით შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა. რად მიმართავდა ხელისუფლება რეპრესიებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ სარწმუნოება არ ეგუება კულტურას? საფრანგეთი, ინგლისი ჩვენზე კულტურული ერებია, მაგრამ სარწმუნოებისათვის იქ ხელი არ უხლიათ. საბჭოთა ქვეყნები? აზერბაიჯანში არც ერთი მოზაკი არ არის დახურული, სომხეთიც, როგორც ჩანს მანოვსკის წიგნიდან „სომხური პოლიტიკური პარტიები საზღვარგარეთ“, დაკეტილია მხოლოდ რამდენიმე ეკლესია, საბჭოთა რუსეთში კი თითქმის ყველა ეკლესია ღიაა და გარდა ამისა იქ სემინარიცაა, რომელშიც მღვდლებს ამზადებენ.<sup>11</sup>

არ შეიძლება ამ დევნას რაიმე ნორმალური მოჰყოლოდა, მერე რას მიაღწიეს ამით?

ქართველმა ერმა ქართული ეკლესიის დევნით დაინახა ვოსტორგოვის მოვლინების საფრთხე და მართლაც რუსეთის „ცოცხალი ეკლესია“ შეეცადა კვლავ გაერთიანებინა და და საქართველოს ეკლესია გამოეცხადებინა თავის ეპარქიად.<sup>12</sup>

1924 წლის აჯანყებაში საეკლესიო საკითხის კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს მასში სასულიერო პირების მონაწილობის ფაქტს, აღნიშნული კუთხით განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია აჯანყების მონაწილეთა მოგონებებში დაცული ცნობებისა და საარქივო დოკუმენტების განხილვა.

სასულიერო პირების აჯანყებაში მონაწილეობის ფაქტს პირველად იხსნიებს აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის

<sup>11</sup> ცხადია, ამას იასონ ჯავახიშვილი საქართველოში არსებული სიტუაციის მძაფრად აღსაქმელად აღნიშნავს, რადგან, როგორც ცნობილი, საბჭოთა ხელისუფლება ასევე მკაცრად დაუპირისპირდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

<sup>12</sup> იასონ ჯავახიშვილის ჩვენება სრული სახით პირველად გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალში „გუმბათი“. №4. თბ. 1984, გვ. 24-49; იგი ასევე დაიბეჭდა ნესტან კირთაძის მიერ გამოცემულ დოკუმენტების კრებულში, იხ. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930წწ). თბ. 1998, გვ. 77-102 და რევაზ გრძელის ნაშრომში „1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში“. თბ. 1992, გვ. 46-47.

„შეფიცულთა“ რაზმის წევრი ალექსანდრე სულხანიშვილი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს მხოლოდ გაკვრით ეხება, მაგრამ მის მიერ მოყვანილი ცნობა მაინც ფასეულად მიგვაჩნია, რადგან მოვლენის მრავალმხრივი განხილვის შესაძლებლობას იძლევა.

როდესაც ალექსანდრე სულხანიშვილი საუბრობს აჯანყებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე, ხაზს უსვამს ერთ საინტერესო ფაქტს, კერძოდ, სასულიერო პირები მზად იყვნენ დახმარებოდნენ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებს არა მარტო ლოცვა-კურთხევით, არამედ მატერიალურადაც, მათ შორის სურათ-სანოვაგითაც და თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყვნენ ფიზიკურადაც ებრძოლათ ქვეყნის გათავისუფლებისთვის, როგორც ისტორიულად სასულიერო პირები იქცეოდნენ, რაც ხშირად მოსახლეობისთვის და გამოცდილი მებრძოლებისთვის მისაბაძი მაგალითი იყო.<sup>13</sup>

სასულიერო პირების აჯანყებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებასა და მხარდაჭერას ადასტურებს ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრის დათა ვაჩნაძის მიერ მოყვანილი საინტერესო პასაჟი, სადაც აღწერილია მისი საუბარი, ერთი მხრივ, ბაკურციხის ეკლესიის დიაკვან თამაზაშვილსა და, მეორე მხრივ, თავის მამიდასთან, ბოდბის დედათა მონასტრის იღუმენია ნინოსთან (საერო ცხოვრებაში ელენე ვაჩნაძე – მ. ქ.), რომლის მიხედვითაც ისინი საბჭოთა ხელისუფლებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას მხოლოდ ქართველების ერთსულოვნებასა და თავგანწირულ ბრძოლაში ხედავენ.<sup>14</sup>

საინტერესოა ისიც, რომ სასულიერო პირთაგან აჯანყებულთა დალოცვის ფაქტი დაფიქსირებულია აჯანყების კიდევ ერთი მონაწილის – სოლომონ ზალდასტანიშვილის მემუარებში, სადაც ხაზგასმულია ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც აჯანყებულები ამ ფაქტს ანიჭებდნენ.<sup>15</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ აჯანყების მონაწილე სასულიერო პირები მიუთითებდნენ, რომ მათთვის მიუღებელი იყო ბოლშევიკური ხელისუფლების ანტირელიგიური და ანტიეროვნული პოლიტიკა, რადგან იგი პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა როგორც ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას, ასევე მოსახლეობის რელიგიურ მრწამსს.

<sup>13</sup> ალექსანდრე სულხანიშვილი. მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. თბ. 2007, გვ. 217.

<sup>14</sup> დავით ვაჩნაძე. სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). ქართულ-ევროპული ინსტიტუტის კურნალი „ივერია“. №2. თბილისი-ბრიუსელი. 1993, გვ. 180, 185.

<sup>15</sup> სოლომონ ზალდასტანიშვილი. საქართველოს 1924 წლის ამბოხება. მოგონებები. თბ. 1989, გვ. 44-45.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანო ნაწევებს თბილისის მაზრის გარე კახეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ეკლესიის წინამძღვარ, დეკანოზ გიორგი ინაშვილის ჩვენებიდან, რომელიც მან მისცა საქართველოს საგანგებო კომისიის სამწყობრო ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს, მირონ ბაუმფელდს:

„მაშინ, როდესაც მე დავდექი ფაქტის წინაშე, რომ საქართველოში შემოვიდა რუსული ჯარი, ჩემში ითამაშა ეროვნულმა გრძნობამ, მე აგიტაციას ვეწეოდი, როგორც ნაციონალისტი და კიდევ იმიტომ, რომ ეკლესიის შესახებ კანონები ჩვენთვის მიუღებელია და ამასთან ერთად, ჩვენ სასულიერო პირებს გვღვენნიან, განსაკუთრებით კომკავშირლები“.<sup>16</sup>

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ფაქტები ნათლად ადასტურებს, რომ 1924 წლის აჯანყებაში სასულიერო პირები აქტიურად მონაწილეობდნენ და მის ერთ-ერთ წარმართველ ძალასაც წარმოადგენდნენ.

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1924 წლის აჯანყებაში საეკლესიო საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რაც თავის, მხრივ განპირობებული იყო ხელისუფლების მხრიდან გატარებული ანტირელიგიური და ანტიეროვნული პოლიტიკით, რომელიც ბუნებრივ აღშფოთებას იწვევდა ქართული საზოგადოების როგორც საერო, ასევე სასულიერო ფენებში.

---

<sup>16</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. II განყოფილება. ფონდი №6. საარქივო №2424. საქმე №14649-60. ფურც. 24-25.

*Mikheil Kartvelishvili*

## **THE CHURCH ISSUE IN THE AUGUST UPRISING OF 1924**

### Summary

The August uprising of 1924 is studied thoroughly in the Georgian and foreign historiography. Its strategy, tactics, action plans and other aspects are well analyzed. But nobody paid any attention to the problem how the rebels thought of the Georgian Orthodox Church in future.

The paper is based on archival data and memories of laymen and clergy.

The Bolsheviks conducted strictly anti-religious politics, and that was one of the most important reasons of uprising of 1924. The nationalists supported idea of independent Georgian church within the democratic country.

*მერაბ კალანდაძე*

**ივანე ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხები**

აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და ისტორიის ფილოსოფიურ ძიებებში ყურადღებას მიაპყრობს ისტორიის ეპისტემოლოგიის (შემეცნების) საკითხებს. ამ თემისადმი აკად. ივ. ჯავახიშვილის ინტერესი სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და, პირველ ყოვლისა, ამ პრობლემის მეცნიერული წონადობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების, საკითხებზე. მისი თვალთახედვის არეალში ექცევა რთული თეორიული პრობლემების მთელი წყება. რა არის ისტორიული მეცნიერება? რა არის ისტორიის მეცნიერების საგანი? რაშია ისტორიის შემეცნების არსება? რას ემსახურება ეს შემეცნება?<sup>1</sup> აი, ის ძირითადი კითხვები, რომლებიც აკად. ივ. ჯავახიშვილის წინაშე იდგა და რომლებზეც მას აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი. მან თავისი წვლილი შეიტანა ამ რთული თეორიული საკითხების გაშუქების საქმეში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და მას კიდევ ერთხელ ამაღლებდა ევროპის საისტორიო მეცნიერების დონემდე.

დიდი ხნის განმავლობაში აკად. ივ. ჯავახიშვილის ეპისტემოლოგიურ ძიებებს გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, ჩრდილში იყო მოქცეული და პერიფერიულ თემას წარმოადგენდა. ამგვარი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად იმით იყო განპირობებული, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ძიებებს გულგრილად ეკიდებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ თურმე ის იყო უბადლო, შესანიშნავი ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ისტორიკოსი, რომელსაც ისტორიული მეცნიერების თეორიული საკითხები ნაკლებად აინტერესებდა.

---

<sup>1</sup> Р. Дж. Коллингвуд. Идеи истории. Автобиография. М. 1980, გვ. 12-13.

სინამდვილე სულ სხვაგვარი იყო.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ეპისტემოლოგიურ ძიებებთან დაკავშირებით ორი მთავარი ტენდენცია იკვეთება; აკად. ივ. ჯავახიშვილის ეპისტემოლოგიურ ძიებებს განიხილავდნენ ცალმხრივად, სუბიექტურად, უპირატესად კულტურული მარქსიზმის თვალთახედვით.<sup>2</sup> ამგვარი ნეგატიური განწყობის კულმინაციას წარმოადგენდა სტალინური ხანა. ან ამ პრობლემას დუმილით უვლიდნენ გვერდს და თვალს ხუჭავდნენ. ასეთი მიდგომა უფრო სტალინის გარდაცვალების შემდეგ შეინიშნებოდა. თვით ის მცირერიცხოვანი მკვლევრებიც კი, რომლებიც ეხებოდნენ ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას, ამ თემაზე კრინტს არ ძრავენ.<sup>3</sup>

პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, საბჭოთა კავშირის დაშლამ, მძლავრი სტოქოლი მისცა მკვეთრ ფერისცვალებას. ის გამოკვეთილად თვისებრივ ხასიათს ატარებდა და ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის მარქსისტული გააზრების დაძლევაზე იყო ორიენტირებული. უახლესი ქართული ისტორიოგრაფია სულ სხვა გზით მიდის. ეს იმით გამოიხატება, რომ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა პრიორიტეტული ხდება. ნათქვამი, ცხადია, შეეხო ივ. ჯავახიშვილის ეპისტემოლოგიურ ძიებებს. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით საკითხის განხილვას უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მისასალმებელია. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს პროფ. ელუარდ კოლუას<sup>4</sup> და პროფ. გურამ ყორანაშვილის<sup>5</sup> წიგნები. ეს მხოლოდ დასაწყისია, პირველი ნაბიჯებია. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება აუცილებელია.

<sup>2</sup> სტენოგრამა „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“ – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 41. აღწერა 19. საქმე 4 და 5; ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). გამოსაც. მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. თბ. 2004.

<sup>3</sup> პრ. რატიანი. ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის. ქართული ისტორიოგრაფია. ნაკვეთი I. თბ. 1968; მ. დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1898-1912 წწ). თბ. 1984; ამ ფონზე ყურადღებას იპყრობს რ. მეტრეველის ნაშრომი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო თემის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. მან აიღო მეცნიერული პრობლემა, რომელიც მარქსისტულ აკჰშია გახვეული. რ. მეტრეველი, მეცნიერება და მამულიშვილობა. კრებ.: „ივანე ჯავახიშვილი 100“. თბ. 1976, გვ. 22-29.

<sup>4</sup> ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი. თბ. 1997.

<sup>5</sup> გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა). თბ. 1999.

\* \* \*

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხზე ივ. ჯავახიშვილს სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია. შესაძლოა, მას განზრახული ჰქონდა ასეთი ნაშრომის დაწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჩანაფიქრი მას განუხორციელებელი დარჩა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და უმთავრესად ორი გარემოებით გახლდათ განპირობებული: წმინდა მეცნიერული და პოლიტიკური. მისი მეცნიერული მოუცლევლობა, დაკავებულობა. ქართველი ერის ისტორიის სისტემური სურათის გადმოცემა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და მან ბევრი განზრახვის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრო. ის მუდმივი პოლიტიკური ზეწოლა, რომელსაც ის განიცდიდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან და რომელმაც, ფაქტობრივად, ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე დიდი მამულიშვილს, მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ივ. ჯავახიშვილი სტალინის დიდი ტერორის მსხვერპლად. თუ არა პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლა, ის ამ სფეროშიც და საერთოდაც გაცილებით უფრო მეტის გაკეთებას მოასწრებდა. ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხებს სხვადასხვა კუთხით ეხება ივანე ჯავახიშვილი თავის მრავალრიცხოვან შრომებში. ეს, ცხადია, საინტერესოა.

აღნიშნულ საკითხზე ვრცლად ჩერდება პროფ. ელჟარდ კოდუა თავის წიგნში „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“. ეს მონაკვეთი მის ნაშრომში საუკეთესოდ მიგვაჩნია, თუმცა მისი შემდგომი დახვეწასრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. ამ თემაზე საინტერესო ინფორმაციას მოვიძიებთ პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნში „ივანე ჯავახიშვილი“, ჩვენი აზრით, ამ პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე ურიგო არ იქნებოდა მისი ცალკე გამოყოფა და განხილვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ალბათ მასალის სიმცირის გამო შეიკავა ავტორმა თავი ამ თემატიკის უფრო დეტალურად გადმოცემისაგან.

აკად. ივ. ჯავახიშვილის ყურადღების ცენტრში დგას ისტორიის ეპისტემოლოგიის საკვანძო საკითხები: რა არის ისტორია? გააჩნია თუ არა მას რაიმე საზრისი? შესწევს თუ არა ისტორიკოსს წარსულის შემეცნების უნარი? რამდენად ხელეწიფება ფაქტების, და მოვლენების განზოგადება, ინტერპრეტაცია, ახსნა. რა ხასიათს ატარებს ისტორიკოსის მიერ წარსულის რეკონსტრუქციის პროცესი და რამდენად ობიექტურად, მიუკერძოებლად ახორციელებს მას ისტორიკოსი?

ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხების დამუშავების დროს ივ. ჯავახიშვილის წარმატება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ მყარად იდგა თავისი დიდი წინამორბედების, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის, მხრებზე. ამავე დროს მას ზურგს უმაგრებდა იმდროინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის გამოცდილება, დაგროვილი ცოდნა, რომელიც, საფიქრებელია, რომ მას საკმაოდ კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული.

თითქმის დღემდე არ წყდება კამათი იმის თაობაზე, რა არის ისტორია – მეცნიერება თუ ხელოვნება? თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ამაოდ დავუწყებთ ძებნას. ასეთი აზრთა კონფრონტაცია ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ დისკუსიის მონაწილეები ისტორიის მეცნიერულ სტატუსს სხვადასხვა სპექტრში მოიაზრებდნენ. ერთნი ხაზს უსვამენ, რომ ისტორიას აქვს შემეცნებითი დატვირთვა, რომელიც იწვევს ისტორიის მოქცევას ცნებათა სისტემაში და აღიარებენ ისტორიის მეცნიერულ სტატუსს. მეორენი, პირიქით, დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციაზე დგანან და ირწმუნებიან, რომ ისტორია არის წარმოსახვა და ხელოვნების სფეროს მიეკუთვნება.

რა პოზიცია ეკავა ამ გახმაურებულ დისკუსიაში ივანე ჯავახიშვილს? ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს თავისი მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს და მის მთავარ ამოსავალ წერტილს ისტორიის მეცნიერების ორბიტაში მოაზრება წარმოადგენს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილის მთელი მოღვაწეობა, მისი შემოქმედება, უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, ისტორიული მეცნიერებისადმი უსაზღვრო პატივისცემის საუკეთესო ნიმუშია და ისტორიის თავისებურ აპოლოგიას წარმოადგენს. ივ. ჯავახიშვილი იმთავითვე გამორიცხავს ანტიისტორიზმს, რომელსაც მრავლად ჰყავდა მომხრეები როგორც რუსეთში, ისე ევროპაში და ისტორიის მეცნიერული სტატუსის დამცველთა რიგებში ღვება. ეს თვით იმდროინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის ფონზე მოწინავე პოზიციად აღიქმებოდა. საინტერესოა, რა არგუმენტებს ემყარება ივანე ჯავახიშვილი, როდესაც ცდილობს დაასაბუთოს ისტორიის მეცნიერული ღირებულება. ამას ივ. ჯავახიშვილი აკეთებს სხვადასხვა გზით. ერთ-ერთი გზა იყო ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ წყაროების მეცნიერული კრიტიკული მეთოდის მომარჯვება. ისტორიული წყაროების კრიტიკულ ფილტრში გატარება, მკაცრი კრიტიკული გაცხრილვის გამოყენებით ხაზი გაუსვა როგორ შეიძლე-



ბა ისტორია გახდეს მეცნიერება. ივ. ჯავახიშვილმა, რანკეს და პოზიტივისტების მსგავსად, ისტორიის თხრობას მეცნიერული ელფერი შესძინა. თხრობა უნდა ემყარებოდეს მტკიცებას. მტკიცება ანიჭებს ისტორიას მეცნიერულ ღირებულებას და გამოყოფს სიტყვაკაზმული ლიტერატურისაგან. ფაქტობრივად, ის ემიჯნება იმ მეცნიერებს, რომლებიც ისტორიას ხელოვნების, სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთ ნაირსახეობად მოიაზრებდნენ. (ასე, მაგალითად, არტურ შოპენჰაუერი).

ისტორიის მეცნიერულობის დასაბუთებას ლოგიკურად მიჰყავს ივანე ჯავახიშვილი ისტორიის საზრისის გასაზრისებამდე. ისტორიის საზრისის საკითხს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ისტორიის ფილოსოფიაში. ივანე ჯავახიშვილი თავის ისტორიის ფილოსოფიურ ძიებებში ამ თემას, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა. საკითხი არის პრინციპული და აქტუალური. მის გადაწყვეტაზე დიდადაა დამოკიდებული, არის თუ არა ისტორია მეცნიერება. საკითხი არის რთული. მისდამი მკვლევართა დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა და ყოველთვის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. მათ შორის კონსესუსის მიღწევა, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნება და ეს დავა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. ყოველთვის იქნებიან საზრისის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკია. მეცნიერები მათ პირობითად ოპტიმისტებს და პესიმისტებს უწოდებენ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ პრინციპულ და მნიშვნელოვან საკითხზე ივ. ჯავახიშვილს თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია აქვს. ეს ასეც უნდა იყოს. დიდი ქართველი მეცნიერი ოპტიმისტების ბანაკში უნდა მოიაზრებოდეს. ამგვარი მიდგომა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ ფეხმოკიდებული სკეფსისი ფონზე, უეჭველად, მრავლისმეტყველი უნდა იყოს და წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

უწინარესად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ივ. ჯავახიშვილი გაემიჯნა იმ მეცნიერებს, რომლებიც ისტორიის საზრისის საკითხს ან სკეპტიკურად ეკიდებიან, ანდაც საერთოდაც უარყოფენ. ასეთები საკმაოდ მრავლად იყვნენ მაშინაც და საკმაოდ ბევრნი არიან დღესაც. მათი ერთ-ერთი აღიარებული თავკაცი იყო გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი. მისი წიგნი „ევროპის მზის ჩასვენება“ ამავდროულად ისტორიის მზის ჩასვენებაცაა. ივ. ჯავახიშვილმა, როგორც ჩანს, საწყისი პოსტულატები კარგად დასახა, გაიცნობიერა. ამით მან, ფაქტობრივად ამ რთული საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება მკაცრ მეცნიერულ საძირკველზე დააყენა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ივ. ჯავახიშვილმა ამის დამტკიცების საინტერესო ხერხს მიმართა. ისტორიული საზრისის დასაბუთებას ის შეეცადა ისტორიის სარგებლიანობის დაფუძნებით. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ ასპექტს. „ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და ამავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს“.<sup>6</sup> ამგვარი დამოკიდებულება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და ამ შემთხვევაში ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხში თავისი დიდი წინამორბედის, ილია ჭავჭავაძის ხაზის გამგრძელებლად გვევლინება.<sup>7</sup>

აქედან გამომდინარე, გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ივ. ჯავახიშვილს ამ კუთხით რომ გაეგრძელებინა კვლევა და ამ თემაზე სპეციალური ნაშრომი დაეწერა, ის იმ მიმართულების მომხრე აღმოჩნდებოდა, რომელიც ისტორიის საზრისს ეძებს თავისუფლებაში, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ფაქტია, რომ ის ამ პრობლემას საგანგებოდ აღარ ჩაღრმავებია. რატომ? შეიძლება უბრალოდ დრო არ ეყო? შეიძლება ამ საკითხების დამუშავება ისტორიკოსის საქმედ არ წარმოუდგებოდა და უფრო ფილოსოფოსების კომპეტენციად მიიჩნია? ვარაუდებისათვის საკმაოდ ფართო ასპარეზია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ საკითხის განხილვის დროს მას სწორი გზა ჰქონდა არჩეული. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

ივ. ჯავახიშვილი თავის ეპისტემოლოგიურ ძიებებში, ცხადია, დიდ ადგილს უთმობს და საფუძვლიანად მიმოიხილავს ორ რთულ და პრინციპულ თემას – ისტორიის შემეცნების, და ობიექტურობის საკითხს. ეს არცაა გასაკვირი. ამგვარი დაინტერესება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ის უპირველეს ყოვლისა ამ პრობლემატიკის მნიშვნელობის, მეცნიერული წონადობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. სუბიექტურ – ობიექტურის მიმართება ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი რთული პრობლემაა. ამ საკითხით ივ. ჯავახიშვილის დაინტერესება, ცხადია, ძალიან კარგია. ისტორიას გააჩნია, ორი მხარე. ერთი ობიექტური – ისტორიული პროცესი ანუ ის, რაც სინამდვილეში მოხდა და სუბიექტური – მეცნიერება. წარსულს აღიქვამს სუბიექტი, ისტორიკოსი.<sup>8</sup> ამ რთულ ლაბირინთში გზის გაკვ-

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბ. 1967, გვ. 401.

<sup>7</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. IV. თბ. 1955, გვ. 200, 203.

<sup>8</sup> Гегель. История философии – Сочинение. т. VIII. М. 1935, გვ. 58.

ლევა სულაც არ ჩანს ადვილი საქმე. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს აზრ-  
თა ის მწვავე შეხლა – შემოხლა, რომელიც აღნიშნულ საკითხზე არსებობს.

პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაუყვანოთ იმას, რომ ივ. ჯავახიშვილთან დაკავშირებით სრულიად უცხოა პესიმისტური განწყობილება, სკეფსისი. მისი ინტონაცია მაჟორულ ნოტაზეა მომართული. ამგვარ ოპტიმიზმს აქვს მოქა-  
ლაქების უფლება, თავისი ღირსებები და ნაკლი. ივ. ჯავახიშვილი თავის უზარმაზარ მეცნიერულ მეტყველებრაში, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, სერიაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, იმ პოსტულატიდან ამოდიოდა, რომ „ისტორიის უმაღლეს ღირებულებად ჭეშმარიტების დადგენის დასახვაა“.

20-30-იანი წლებში ივ. ჯავახიშვილის ობიექტივიზმზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან ივ. ჯავახიშვილის შეხედუ-  
ლებების კრიტიკა დამაჯერებელი ვერ იყო და ძლიერ პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებულია.<sup>9</sup> ფაქტობრივად, ეს არის ივანე ჯავახიშვილისადმი წა-  
ყენებული პოლიტიკური ბრალდება. სულ სხვა გზით მიდის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. ნათქვამი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეხება პროფ. ედ. კოდუას და პროფ. გ. ყორანაშვილის წიგნებს. ისინი ცდილობენ გაათავისუფლონ, გაწმინდონ, ივ. ჯავახიშვილის ობიექტივიზმში მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამებისაგან და აღნიშნული თემის განხილვა ნორმა-  
ლურ მეცნიერულ კალაპოტში დააბრუნონ.

ივ. ჯავახიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ობიექტივიზმის მნიშვნელობა მეცნიერულ კვლევაში და იმ სირთულეებსაც შესანიშნავად ისიგრძეგანებდა, რომლებიც ამ გზაზე ხვდებოდა ისტორიკოსს. ეს მისი შეხედულებების ძლიერი მხარეა.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ისტორიკოსს ხელეწიფება წარსულის შემეცნება, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, ობიექტურ ხასიათს ატარებს. ისტორიული მეცნიერების ობიექტურობის ერთ-ერთ საიმედო გარანტიად ივ. ჯავახიშვილს წყაროების კრიტიკული მეთოდის დანერგვა ესახებოდა. „ისტორიულს სიმართლეს იგი (ჟამთააღმწერელი – მ. კ.) დედან-საბუთების მიხედ-  
ვით არკვევს, ხოლო ეს უკვე საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია ქართულს მწერლობაში. ეს კრიტიკული მეთოდის პირველი ცდა არის“.<sup>10</sup>

იმ საკითხების წრე, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის ფიქრები დატრია-

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1997, გვ. 260.

ლებს, ასე გამოიყურება: რას უსახავდა მეცნიერი მიზნად ისტორიას? რა დაბრკოლებებია ამ მიზნის განხორციელების გზაზე? რა იწვევს ამ დაბრკოლებებს? როგორ უნდა დაგძლიოთ ისინი ისტორიული შრომის შექმნის პროცესში?<sup>11</sup> ის შეეცადა თავის მრავალრიცხოვან შრომებში პასუხი გაეცა ამ შეკითხვებისათვის.

ის მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისტორიკოსის უპირველეს პროფესიულ ღირსებას წარმოადგენს მისი ობიექტურობა, მიუდგომლობა და პირუთენელობა. ჟამთააღმწერლის თხზულების მაღალი შეფასება ამისი ლოგიკური შედეგია. „იგი, მაგალითად, საქართველოს მტრების ღირსებას ჯალალედ-დინისა, რომელმაც დიდი ცოდვა დაატრიალა ჩვენს ქვეყანაში და მონღოლებისას, საქართველოს გამაოხრებელთა, სასიქადულო თვისებებს მაინც არ ჰმაღავს, პირიქით, ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებს ხოლმე მათ, თუმცა, ამასთანავე იმ საშინელ აოხრებასაც არ ივიწყებს და საუცხოოდ ასურათებს“.<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, ისტორიკოსის ამგვარი პოზიცია იმითაა გამოწვეული, რომ „საქართველოს იმდროინდელი დაცემისა და უბედურების მიზეზად მართო გარეშე მტერს კი არა სთვლიდა, არამედ უმეტესად ქვეყნისა და მკვიდრთა შინაურთა ცხოვრების მრავალს ნაკლულევანებას მთავართა განცალკევებულსა და შეუზრახებელ მოქმედებას, საზოგადოებრივი აზრის დაძაბუნებას და ზნეობის დაცემას და სხვას“.<sup>13</sup>

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს წყაროების კრიტიკის მეთოდების გამორკვევის მნიშვნელობას. „ისტორიის მეცნიერული უეჭველობისათვის, რასაკვირველია, მართო წყაროებს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმ მეთოდსაც, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ამ წყაროებითგან თავისთვის გამოსადეგარ ცნობებსა ჰკრებს; საჭიროა უადრესი სიფრთხილე წყაროებისა და თვითოეული ცნობის მკაცრი, კრიტიკული განხილვა, რომ ისტორიული ნაწარმოებს საეჭვო ღირსებას მასალა არ შეეპაროს“.<sup>14</sup>

რა თქმა უნდა, ივ. ჯავახიშვილს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ისტორიის აღქმა, შემეცნება, ობიექტურობა, სულაც არაა ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და მკვლევარს ამ გზაზე მრავალ

<sup>11</sup> ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 39.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდები..., გვ. 261.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდები..., გვ. 261.

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდები..., გვ. 323. ვერცლად იხ. ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 53-56.

ვალი დაბრკოლების გადალახვა უხდება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, პესიმისტურად არ უნდა განვეწყოთ. ივ. ჯავახიშვილი ასე არ იქცევა. ამ სირთულეებს ის არ მიყავს ისტორიული მეცნიერების უარყოფამდე, ისტორიის შემეცნების უგულვებელყოფამდე, ობიექტურობის მიუღწევლობამდე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მან თავიდან აიცილა ერთი უკიდურესობა – პესიმიზმი და სკეფსისი. ეს უეჭველად დადებითი მომენტია. „თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ „მაცდური სოფლის“ მოძულე ბერი – მემათიანე თავისუფალი აზროვნების და ყოფა-ცხოვრების მიმდევარი საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩინდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მეტეტიანეც მეფეთა საძრახისს საქციელს, ან სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწერებში არ შეიტანდა, ხოლო მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურებისადმი სიძულვილს ვერ შეიკავებდა და სხვა“.<sup>15</sup>

როგორც ხედავთ, ივ. ჯავახიშვილი მკაცრად გაემიჯნა სკეპტიკოსებს, პესიმისტებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ წარსულის, ისტორიის შემეცნება შეუძლებელი იყო. ასეთები საკმაოდ ბევრი იყო მაშინაც და საკმაოდ მრავალია დღესაც. ამ რთული საკითხისადმი ივ. ჯავახიშვილის ოპტიმისტური მიდგომა მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. მისი ღრმა რწმენით, ისტორიკოსს ხელეწიფება წარსულს შემეცნება, აღქმა, რომელიც, მისი შეხედულებით, ობიექტურ ხასიათს ატარებს. ივ. ჯავახიშვილი ობიექტივისტების ბანაკში უნდა მოვიანოთ. მიუხედავად წარსულის რეკონსტრუქციის გზაზე არსებული სიძნელებისა, სირთულეებისა, დაბრკოლებებისა, ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებულია, რომ ისტორია შეიძლება იყოს შემეცნების ობიექტური ფორმა. მოვუსმინოთ მას, „ნამდვილი ჭეშმარიტების გამოსარკვევად თანამედროვე მკვლევარს ამის გამო უფლება არა აქვს მხოლოდ ერთი მხარის საისტორიო ძეგლებს დაენდოს, არამედ როდესაც ეს შესაძლებელია, ორთავე მოპირდაპირე ბანაკის მწერლების თხზულებათა შედარებითი კრიტიკული შესწავლითა და ერთხილი სარგებლობით ცხოვრების უტყუარი სურათი აღადგინოს“.<sup>16</sup> აქ წამოიჭრება ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი. ივ. ჯავახიშვილი ტოტალური ობიექტივიზმის თუ შეფარდებითი, მეტნაკლები, ობიექტივიზმის მომხრეა? ჩვენი აზრით, ივ. ჯავახიშვილის გამოცხადება შეფარდებითი, მეტნაკლები, ობიექტივიზმის მომხ-

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდები..., გვ. 26.

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდები..., გვ. 10.

რედ საკამათო შეიძლება იყოს და, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს, უფრო მეტ დამაჯერებელ არგუმენტაციას, საბუთიანობას, საჭიროებს.<sup>17</sup> სასურველს შესაძლებლად ხომ არ ვსახავთ?

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ივ. ჯავახიშვილი თუ არ იზიარებდა, მაღლიან ახლოს იყო ისტორიის ტოტალური ობიექტურობის იდეასთან. ეს იყოს ისტორიული აზროვნების განვითარების ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპი. ივ. ჯავახიშვილი ცდილობს ფეხი აუწყოს მის თანადროულ ისტორიოგრაფიას. ეს იყო ერთი ხედვა. არსებობს სხვა ხედვა. მისი მომხრეები ტოტალური ობიექტურობის იდეას ეჭვის თვალთ უყურებდნენ და მეტად ფრთხილად უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ობიექტურობა რელატიური, შეფარდებითი ხასიათისაა. ასე ჩაეყარა საფუძველი მთელს „რეალტივისტური რევოლუციას“, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XX საუკუნის 20-30-იანი წლების ევროპულ-ამერიკულ ისტორიოგრაფიაში.<sup>18</sup> როგორ ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს გაცნობიერებული პრობლემის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ასპექტი? სახელდობრ ის შემეცნებითი საშუალებები, რომელსაც ფლობს ისტორიკოსი. როგორია ისტორიის შემეცნებითი შესაძლებლობა, როგორია ის შემეცნებითი, ეპისტემოლოგიური ინსტრუმენტები, რომლებიც არის ადამიანის ტვინში და როგორ შეიძლება მათი რეალიზება. საფიქრებელია, რომ ივ. ჯავახიშვილი, რანკეს და პოზიტივისტების მსგავსად ისტორიის სუბიექტურ მხარეს სათანადოდ, ჯეროვნად, არც კი ჩაღრმავებია. შესაძლოა, მას სურდა ამის გაკეთება, მაგრამ ვერ მოასწრო.

„ისტორიის შემეცნება და ამ შემეცნებაზე რეფლექცია ამოდრავებდა ივანე ჯავახიშვილს თავის ძიებებში. თუ პირველ ნაწილში მან დიდ წარმატებებს მიაღწია, მეორე ნაწილში, ისტორიაზე ფილოსოფიური რეფლექციები მის მიერ დასახული ამოცანების უმეტესობა, ნაადრევი სიკვდილის, თუ ქართველი ერის ისტორიის სისტემატიური სურათის გადმოცემის ამოცანით დაკავებულობის გამო განუხორციელებელი დარჩა“.<sup>19</sup> ეს, უეჭველად, იყო ერთი მიზეზი, მაგრამ მარტო ამის თქმა საკმარისად არ მიგვაჩნია. არის ამის გამომწვევი სხვა ფაქტორები, რომლის გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა. ესაა ის ხანგრძლივი მორალური ტერორი, რომელსაც ტოტალურ-ბოლშევიკური, სტალინური რეჟიმი ახორციელებდა ივ. ჯავახიშვილის მი-

<sup>17</sup> გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა). გვ. 180.

<sup>18</sup> მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 144-164.

<sup>19</sup> ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 39.

მართ და რომელიც, ცხადია, ხელს უშლიდა მას ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობაში. ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში რისი გაკეთებაც მოასწრო, დიდ პატივს მიაგებს გამოჩენილ მეცნიერს.

საინტერესოა, ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება განზოგადების, ინტერპრეტაციისადმი. რამდენად ხელეწიფება ისტორიკოსს განზოგადება, წარსულის ახსნა, მოვლენების ინტერპრეტაცია. ივ. ჯავახიშვილის მიერ ისტორიის ობიექტური შემეცნების ფორმად გამოცხადების ლოგიკური შედეგია მისი ოპტიმისტური დამოკიდებულება ისტორიაში განზოგადების, ინტერპრეტაციისადმი. ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს. თემა არის აქტუალური და ისტორიკოსებს შორის მისი გააზრებისას ერთსულოვნება არ სუფევს. გამოთქმულია დიამეტრულ საპირისპირო შეხედულებები. ყოველთვის იქნებიან განზოგადების შესაძლებლობის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, მათ შორის კონსერვაციის მიღწევა ადვილი საქმე არ იქნება და დავა კიდევ დიდხანს გასტანს, არ გასრულდება. ამ რთულ თემასთან შეჭიდება ივ. ჯავახიშვილის ეპისტემოლოგიური ძიებების კიდევ ერთ ღირსებას წარმოადგენს.

პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს მისი პოლემისტური განწყობილება, რომლის კრიტიკული ისრები მიმართულია კატეგორიული, იმპერატიული, ტონით მსჯელობის მოტრფიალეთა და პესიმიზმების წინააღმდეგ. ის არ იზიარებს სკეპტიკოსების კატეგორიულ განცხადებას, რომ „ისტორიკოსი ვერასოდეს დაადგენს ფაქტობრივ ვითარებას“, „ისტორიკოსს არ შეუძლია მოვლენების და ფაქტების მიზეზობრიობის ახსნა“. მისი დამოკიდებულება განზოგადებისადმი ინტერპრეტაციისადმი რეალისტურია და ოპტიმიზმითაა აღსავსე. მას სჯერა, რომ ისტორიკოსს ხელეწიფება ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა.

ივ. ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, წარსულის რეკონსტრუქციის ღრღის ისტორიკოსი ძალიან ფრთხილი, მიუკერძოებელი და ობიექტური უნდა იყოს. ისტორიულ ფაქტებზე ძალმომრეობა მას დაუშვებლად ესახება. (აქედან გამომდინარე მისი უკმაყოფილება საბჭოთა, მარქსისტული ისტორიოგრაფიისადმი). ასეთი მიდგომა სავსებით სწორია და მისაღებია. თეორიულად ეს ასეცაა, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდა. წარსული არის მრავალფეროვანი, რთული და მრავალწახნაგოვანი და ერთგვაროვან აღქმას ყველაზე უფრო ნაკლებად ექვემდებარება. ამ სირთულეების გასაღები ისტორიული მეცნიერების სპეციფიკურობაში, სუბიექტურისა და ობიექტურის

მიმართებაში, ძვეს. ისტორიული მეცნიერების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტს, წარსულს, ისტორიას აღიქვამს სუბიექტი, ისტორიკოსი. ისტორიის შემეცნების საგანი და შემეცნებელი ერთი და იგივეა. ივ. ჯავახიშვილი პესიმისტი კი არ ხდება, არამედ ცდილობს მოძებნოს გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან.

ივ. ჯავახიშვილს წარსულის ობიექტური რეკონსტრუქციის წინაპირობად წარმოუდგენია სამი ფაქტორი: 1. ისტორიული ფაქტების ზედმიწევნით ღრმად შესწავლა. 2. ისტორიის მამოძრავებელი ძალების გაცნობიერება. 3. ისტორიული პროცესის ობიექტური შეფასება. „ამ წიგნის მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი წადილი იყო, შეძლებისდაგვარად გამოძერკვია, როგორც თითოეული მემატრიანის, ისტორიკოსის პიროვნება, – თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი. რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო – ისე აგრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადა მას, როდესაც თავისი თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე, ყოველთვის ვცდილობდი, გამეგო რა და რამდენი სანდო წყაროები ჰქონდა თვითოეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებებით სურდათ და შეძლეს მათ თავიანთი მიზნის განხორციელება“.<sup>20</sup> ასეთი დასაწყისი, ცხადია, მრავლისმეტყველი უნდა იყოს და მას საპროგრამო დატვირთვა ენიჭება. როგორც ვხედავთ, წყაროების კრიტიკული გაცხრილვის შემთხვევაში მას შესაძლებლად წარმოუდგენია ობიექტურობის შენარჩუნება. მას ღრმად სწამს, რომ ისტორია შეიძლება იყოს ობიექტური შემეცნების ფორმა. მნიშვნელოვანწილად ამითაა გამოწვეული XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოს პაპუნა ორბელიანისადმი მისი სიმპათია. „ასე საუცხოოდ სჩქევს ავტორის მაძულიშვილური გრძნობა და გამოსჭვივის ისტორიკოსის მიუდგომელი, ბრძენი გონება“.<sup>21</sup> ეს არის ერთი ხედავ. მას იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში ბევრი მომხრე ჰყავდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რანკე და პოზიტისტიები. ამ თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. არის სხვა ხედავაც. წარსული რთული და მრავალფეროვანია და ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება ერთგვაროვან შეფასებას. ისტორიას არ ხელეწი-

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, გვ. 25: ანალოგიური აზრი არის გატარებული სხვა ადგილებზე. იხ. გვ. 27, 323, 361, 367-368.

<sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის XVIII საუკუნეში. თბ. 1919, გვ. 15: იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, გვ. 367-368.



ფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ისტორიკოსი არ ადგენს ჭეშმარიტებას. ისტორიკოსს არ გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი. ისტორია სუბიექტური მეცნიერებაა. ამაშია მისი ხიბლი. თუ გნებავთ ღირსებაც და ნაკლიც. ისტორიულ ნაშრომს მკაფიოდ ეტყობა ისტორიკოსის სიმპათია – ანტიპათიის კვალი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისტორია მეცნიერება არაა, როგორც ამას ფიქრობენ სკეპტიკოსები. განზოგადლება, ახსნა ძალიან ძნელია, მაგრამ შეუძლებელია როდია. ზედმეტი პესიმიზმი უადგილოა. ის სულაც არ ატარებს ობიექტურ ხასიათს. პირიქით, სუბიექტურია. ისტორიულ მეცნიერებაში არსებული „კონცეპტუალური ანარქია“ სწორედ აქედან იღებს სათავეს. ისტორიკოსი გვთავაზობს წარსულის საკუთარ ვერსიას. არის ამაში რაიმე მიუღებელი, ცუდი? ვფიქრობთ, არა.

ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში ძალუმაღ იგრძნობა ისტორიული ფაქტისა და წყაროსადმი მოწინააღმდეგე და მოკიდებულება. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი კარგად თავსდება რანკესა და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ივ. ჯავახიშვილი ვიწრო ფაქტოგრაფი, ემპირიკოსი იყოს, რომელსაც თურმე ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ფილოსოფიური თემატიკა ნაკლებად აინტერესებდა, როგორც ამას ბოლო დროს ხაზს უსვამს პროფ. ლევან სანიკიძე.<sup>22</sup> ხომ არ იდგა ამ საკითხის გააზრებისას ივ. ჯავახიშვილი, რანკესა და პოზიტივისტების მსგავსად, პრიმიტიულ-სენსუალიზმის პოზიციებზე? ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ რაიმე ვამპტიცოთ, არც არაფერს ვვარაუდობთ. საკითხი არის საინტერესო და საჭიროებს საგულდაგულო, სიღრმისეულ შესწავლას. მოითხოვს სერიოზულ არგუმენტაციას, საბუთიანობას. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი. ხომ არ გასცდა ივ. ჯავახიშვილი პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებს? ვფიქრობთ, არა. განზოგადება გარკვეული დოზით უცხო არ იყო პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისათვის. თხრობა გარკვეულ ანალიზს შეიცავს.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ისტორიაში ირაციონალური, ინტუციური, ფაქტორის მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილს შედარებით ნაკლებად აინტერესებდა და გაცილებით უფრო მკრთალად, სუსტად შეიძლება ჰქონოდა გაცნობიერებული. ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო

<sup>22</sup> ლ. სანიკიძე. ისტორიული ნაშრომი თუ ნაწარმი. გაზ.: „სახალხო განათლება“. 1990 წ. 19 ივლისი.

და ძირითადად იმით შეიძლება ავხსნათ, რომ ეს პრობლემატიკა იმჟამინდელ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ნაკლებად იყო დამუშავებული. მისი წინ წამოწევა ისტორიული აზროვნების მომდევნო ეტაპზე ხდება და უპირატესად ნეოკანტიანელთა და მაქს ვებერის ძიებებს უკავშირდება. რამდენად ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს გასივრძელებული ეს ნოვაციები ძნელი სათქმელია. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი. როგორი იყო ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ნეოკანტიანელთა ისტორიოსოფიისადმი? თემა საინტერესოა და ქართულ ისტორიოგრაფიაში მასზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ივანე ჯავახიშვილის გამოცხადება ნეოკანტიანელების მიმდევრად, რიკერტიანელად, როგორც ამას თავის დროზე აღნიშნავდა პროფ. გრ. ნათაძე, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.<sup>23</sup> ივ. ჯავახიშვილის მიერ ინდივიდუალიზაციის მეთოდის გამოყენება ამაში ვერ გვარწმუნებს. ეს საკითხი უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს და უფრო მეტ არგუმენტაციას, საბუთიანობას საჭიროებს.<sup>24</sup> ადვილი შესაძლებელია, რომ მას ნეოკანტიანელების ისტორიოსოფიაზე ყურადღების გამახვილება სურდა მაშინ, როდესაც ის განიხილავდა „ისტორიის მიზანს, წყაროებს და მეთოდებს“ თანამედროვე მეცნიერების მიხედვით, მაგრამ ამის გაკეთება მან ვერ მოასწრო.

ვიდრე ახალ საინტერესო მასალას მოვიძიებდეთ, რომელიც უფრო მეტ შუქს მოჰფენს ამ რთულ პრობლემას, მანამდე, ალბათ, ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. ამ ეტაპზე ასეთი სურათი იკვეთება, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ისტორიის სუბიექტური მხარე, კონკრეტულად კი მისი გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური ასპექტები, ივ. ჯავახიშვილს შეიძლება გაცილებით მკრთალად, სუსტად ჰქონდა გაცნობიერებული, რაც სავსებით შეესაბამებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს.

ხშირად გაივლინებთ კითხვას: რა საჭიროა ისტორია? რა სარგებლიანობის მოტანა შეუძლია ისტორიას? აქვს თუ არა რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა? ეს კითხვები საკმაოდ აქტუალურად ჟღერს და მის გადაწყვეტას

<sup>23</sup> სტენოგრამა „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“ – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 4. ფურცელი 99-102; გრ. ნათაძე. საზოგადოებრივმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდის საკითხები. თბ. 1931, გვ. 82-84.

<sup>24</sup> მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 352-359; მ. კალანდაძე. იყო ივ. ჯავახიშვილი რიკერტიანელი? ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 2011, გვ. 208-214.

დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორი პოზიცია ეკავა დიდ ქართველ ისტორიკოსს ამ საკითხებთან მიმართებით? ივანე ჯავახიშვილის მთელი საქმიანობა, მისი უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა ამ სკეფსისის გაბათილების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად გვევლინება. ამ თემაზე ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა საინტერესოა, პოლემისტური მუხბითაა გაჯერებული, რომლის კრიტიკული ისრები სკეპტიკოსების წინააღმდეგაა მიმართული. ივ. ჯავახიშვილს ღრმად სწამს ისტორიის სარგებლიანობა, რასაც ბევრი ეჭვის თვალთ უყურებდა მაშინაც და ზოგიერთები უყურებენ ახლაც. ის ისტორიის სარგებლიანობის ერთ-ერთ გამოვლინებას პატრიოტიზმის გრძნობის გამოვლინებასა და განვითარებაში ხედავდა. იგი ისტორიის სარგებლიანობას, მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ასე ასახულებდა. „ეროვნული თვითშემეცნების გამოვლინებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს. და ამავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს“.<sup>25</sup> ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ ეს თავისებურ „ისტორიის აპოლოგიად“ უდერს. ივ. ჯავახიშვილის ასეთი მაჟორული განწყობა მრავლისმეტყველი უნდა იყოს და ყურადღებას იპყრობს იმდროინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის სკეფსისის ფონზე. ივ. ჯავახიშვილს ეჭვი არ ეპარება, რომ ისტორია ბევრ რამეს გვასწავლის და ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინება შესაძლებელია. მისთვის, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო ფორმულა „ისტორია სასტიკად სჯის თავისი გაკვეთილების უცოდინარობის გამო“.

ივ. ჯავახიშვილი ისტორიის ეპისტომოლოგიის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს თავის ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“. მისი ეპისტომოლოგიური ძიებების ძლიერ მხარეს წარმოადგენს ისტორიის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ მეთოდის წინააღმდეგ გამოსვლა. „ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულიად გამოუსადეგარი გახლავთ. იგი ჩვენ საზოგადოებრივ და ნაციონალური საქმისათვის... ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“. ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან,

<sup>25</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბ. 1967, გვ. 401.

მოგვინიჭებია ყველა უფლებათა<sup>26</sup>.

\* \* \*

ამრიგად, უახლესმა გამოკვლევებმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იყო მხოლოდ ბრწყინვალე ფაქტოლოგი, ეპიპრიოცი, რომელსაც ისტორიის თეორიული პრობლემატიკა ნაკლებად აინტერესებდა. ივ. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული მოვლენების გამოძვევებზე მიზეზებს და ეძებდა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის დაინტერესება ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხით, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და კანონზომიერ, ლოგიკურ ხასიათს ატარებდა.

ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების რთულ პრობლემასთან შეჭიდება, უკვე მრავლისმეტყველი უნდა იყოს და ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ივ. ჯავახიშვილის კიდევ ერთ დიდ დამსახურებას წარმოადგენს. ივ. ჯავახიშვილს ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხში მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია გააჩნდა და შეეცადა თავისი სიტყვა ეთქვა ამ რთული პრობლემის დამუშავების საქმეში. ამ თემაზე მისი შეხედულებების მნიშვნელობა სწორედ ამაში მდგომარეობდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ალბათ ურიგო არ იქნებოდა ივ. ჯავახიშვილის ყურადღება გაემახვილებინა ისტორიული ცოდნის გნოსეოლოგიურ და ლოგიკურ საფუძვლებზე. ეს თემა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში ფრიად აქტუალური იყო. არ ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი ამ პრობლემატიკისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს ამჟღავნებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი ერის ისტორიის სისტემური სურათის შექმნაში ჩაღრმავებისას, მან ამ თემატიკაში ჩაღრმავება ვეღარ მოახერხა.

ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხებში ივ. ჯავახიშვილს ჩახედულობა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უმთავრესად ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. უწინარესად მას საფუძვლად ედო ქართული სინამდვილე. მისი უშუალო წინამორბედი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იყო დიდი ილია ჭავჭავაძე და ევროპული ისტორიოგრაფიის მიერ დაგროვილი გამოცდილება, რომელიც, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, ჯავახიშვილს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. თბ. 2004. დაწვრილებით იხ. რ. მეტრეველი. მამულიშვილობა და მეცნიერება. კრებ.: „ივანე ჯავახიშვილი 100“. თბ. 1976, გვ. 22-29; რ. მეტრეველი. ისტორიული ცოდნის ისტორიის შემეცნების საკითხი. ქართული დიპლომატია. წელიწადეული. ტ. 15. თბ. 2011, გვ. 621-625.

ივ. ჯავახიშვილის მსჯელობის ძირითადი ამოსავალი პოსტულატია ისტორიის მეცნიერებად დასახვა. ივ. ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, ისტორიის შემეცნება ემსახურება ერთ ამოცანას. ისტორიის უმაღლეს ღირებულებად ჭეშმარიტების ძიება. ისტორიის შემეცნება მიზნად ისახავს წარსულის ობიექტურ რეკონსტრუქციას. ისტორიკოსის ცნობიერება უნდა იყოს დაუინტერესებელი. პრაქტიკულად, ეს იყო ივ. ჯავახიშვილის თეორიულ-შემეცნებითი იდეალი. რეალობა გაცილებით უფრო რთულია, რაც დამაჯერებლად ცხადყვეს ნეოკანტიანელებმა და მაქს ვებერმა. ეს ისტორიული აზროვნების ორი სხვადასხვა საფეხურია.

ივ. ჯავახიშვილი ისტორიას მიზნად უსახავს ჭეშმარიტების დადგენას. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ისტორიკოსს ამ გზაზე დაბრკოლების და სიძნელის დაძლევა უხდება, ასეთად მას ესახება: ისტორიკოსის მსოფლმხედველობა, ეროვნულობა, რელიგიური მრწამსი, წოდება და მედასეობა. ამ დაბრკოლებების გასაღებს ის ისტორიული მეცნიერების სპეციფიკურ ხასიათში ეძებს, სადაც შემეცნების საგანი და შემეცნებელი ერთი და იგივეა. ისტორიულ გამოკვლევაში ძალუმად იგრძნობა ისტორიკოსის სიმპათია – ანტიპათია. ამ სიძნელეების დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად მას წყაროების კრიტიკული მეთოდის მომარჯვება მიაჩნია. ისტორია შეიძლება იყოს ობიექტური შემეცნების ფორმა, – ფიქრობს დიდი ქართველი მეცნიერი. შესაძლოა, ივ. ჯავახიშვილის ობიექტივიზმი დღეს უკვე ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენდეს, მაგრამ მაშინ ეს ასე არ იყო და მას ძალიან ბევრი მომხრეები ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხების გაშუქების დროს ივ. ჯავახიშვილი სწორებას იმჟამინდელი ისტორიოგრაფიის მიღწევებზე აკეთებს, თუმცა ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნას.

ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხში ივ. ჯავახიშვილის სახით გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის, მიმდევართან შეიძლება გვექონდეს საქმე. საფიქრებელია, რომ ის, შესაძლოა, იზიარებდა ჰეგელის მოსაზრებას სამყაროს უპრობლემოდ აღქმის შესახებ. მეცნიერს შესწევს უნარი სამყაროს ობიექტურად შემეცნების. ივ. ჯავახიშვილი ჰეგელის პანლოგიზმის მომხრეთა შორის ხომ არ შეიძლება მოვიანროთ? ამგვარი შეხედულება ძალიან კარგად თავსდება რანკესა და პოზიტივისტების ისტორიულ კონცეფციაში. ივ. ჯავახიშვილის თვალში ჰეგელიანურმა მიდგომამ ხომ არ დაჩრდილა მეორე, უფრო პერსპექტიული და საინტერესო მეთოდოლოგიური თვალ-

საზრისი? (აქ ცხადია, მხედველობაში გვაქვს ნეოკანტიანელთა ეპისტემოლოგიური ძიებები).

ყურადღებას იპყრობს ამ რთული საკითხისადმი ივ. ჯავახიშვილის ოპტიმისტური დამოკიდებულება. ასეთი მიდგომა საინტერესო და მრავლისმეტყველი უნდა იყოს იმჟამინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის სკეფსისი, ფონზე. ამგვარ მაჟორულ განწყობილებას ბევრი მომხრე ჰყავს, აქვს არსებობის უფლება და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ რთულ პრობლემაზე მისი მსჯელობა ევროპელ მეცნიერებთან ფარული პოლემისტური მუხტითაა გაჯერებული და ეს მის კიდევ ერთ ღირსებას წარმოადგენს.

ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების საკითხებზე ივ. ჯავახიშვილის ნააზრევი, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ქართული ისტორიოგრაფია კიდევ ერთხელ გაყავდა ფართო ევროპულ მაგისტრალზე. ამ პრობლემაზე ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებები, ჩვენი აზრით, სავსებით თავსდება რანკეს და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და იმაზე მიგვანიშნებს, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიაღწია ევროპული (პოზიტივისტური) ისტორიოგრაფიის დონემდე. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ქართულ რეალობაში ევროპული ორიენტაცია თავის მწვერვალს, პიკს სწორედ დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში აღწევს. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა სულ სხვა გზით წარიმართა. ამ თემატიკის დამუშავება, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში მეოქცა. დამყარდა ერთი, მარქსისტული მსოფლმხედველობის დიქტატი, მონოპოლია. ამ უნიფიკაციის ლოგიკური შედეგი იყო ქართული ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური გაუფერულება. ეს გზა ძნელია მიჩინიოთ ივ. ჯავახიშვილის ხაზის გაგრძელებად.

*Merab Kalandadze*

## **IVANE JAVAKHISHVILI AND THE ISSUE OF HISTORICAL EPISTEMOLOGY**

### Summary

The recent researches clearly show that Ivane Javakhishvili was not solely empiricist. He was concerned with the theoretical issues too.

Ivane Javakhishvili has to be credited for dealing with the complicated issues, such as historical epistemology in his studies. That was determined by the scientific value of the subject. He worked a lot on the topic. He had his own position and tried to solve this difficult problem. Ivane Javakhishvili's theoretical thoughts were well fit with the views of Leopold von Ranke and other positivists. This corresponds well with the level of historiography of that period.

According to Ivane Javakhishvili's epistemological studies, it is probable that he was the follower of Georg Hegel. Perhaps, he shared the view of Hegel over the perception of universe. Ivane Javakhishvili was supporter of Hegelian doctrine of panlogism, which was close to the historical conception of Ranke and positivists.

## გიორგი გოცირიძე

### სვანთა დასახლებები ქვემო ქართლში

(გარდაბნისა და მარნეულის რაიონები)

„სვანეთიდან წამოღებული მონადირის ხელჯოხი შემომრჩა, აქ აღარ მჭირდება, რადგან ნადირობით ვეღარ ვნადირობ და ჭიუხებშიც არ მიწევს წასვლა. საქონელსაც არ ვერეკები მთაში. ახლა ეს ჯოხი წარსულს მაგონებს მხოლოდ და მეც ფიქრებში ჩაძირულს მშობლიური სვანეთი მიხმობს, სულს მიფორიაქებს...“

ეს სევდანარევი სიტყვები ეპიგრამად რომ გამოვიყენე, ჩემი სავლელ დღიურიდანაა ამოწერილი. იგი სვან კაცს – უჩა ხარზიანს ეკუთვნის, წარმოშობით მულახის თემიდან, გარდაბანში 1951 წელს ჩამოსულა განაწილებით და აქ გაატარა მთელი ცხოვრება. საინტერესო პიროვნება იყო, ბატონი უჩა, მაღალი, წარმოსადეგი, ავტორიტეტული, ღვაწლმოსილი, კულტურის დამსახურებული მუშაკი. ის ჩვენი ეთნოგრაფიული ექსპედიციის<sup>1</sup> მასპინძელიც გახლდათ და ბევრი რამ გვიაბო კიდეც აქაურ სვანებზე, მიგრანტებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე. ასე რომ ამ სტატიის დაწერას გარკვეულწილად მასაც ვუმაღლი.

ქვემო ქართლი ისტორიული ბედით გამორჩეული კუთხეა საქართველოსი, ნ. ბერძენიშვილი მას სამხრეთ საქართველოს ისტორიულ კარიბჭეს უწოდებდა.<sup>2</sup> მძაფრი პოლიტიკური პერიპეტეებისა და სოციალური პროცესების გამო იგი დროთა განმავლობაში ისეთ მჭიდროდ დასახლებულ პოლიეთნიკურ

---

<sup>1</sup> მხედველობაში გვაქვს 2003-2007 წლების ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (გ. გოცირიძე, ლ. ბერიაშვილი, მ. ქანთარია, მ. ხაზრაძე, გ. დავითაშვილი). ექსპედიციის მასალები დღიურების სახით ინახება ავტორებთან.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. ქვემო ქართლი. წგ.: „საქართველოს ისტორიის საკითხები“. წ. XIII. თბ. 1990.



რეგიონად ჩამოყალიბდა, სადაც საკუთრივ ქართველების გარდა კავკასიური და არაკავკასიური წარმომავლობის სხვადასხვა ეთნოსი ცხოვრობს: (სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, აისორები, რუსები). მათი ადაპტაციის, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის პროცესების შესწავლა მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ქვემო ქართლის რეგიონი წმინდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით საფუძველიანად არის შესწავლილი (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ბერძენიშვილი, კ. ხარაძე, ქ. ქუთათელაძე და სხვები).<sup>3</sup> მაგრამ საკუთრივ ეთნოგრაფიული კუთხით, მცირე გამონაკლისის გარდა (გ. ჩიტაია, გ. ჯალაბაძე, ლ. ფრუიძე, ლ. ბოჭორიშვილი),<sup>4</sup> მეტადრე გარდაბნისა და მარნეულის მაგალითზე, ძალიან მცირე რაზმა გაკეთებული. ბოლო ხანებში ვეცადეთ ეს ხარვეზი რამდენიმე სტატიით შეგვევსო, მაგრამ, ბუნებრივია, ესეც არ არის საკმარისი და კვლევა ამ მიმართულებით ახლაც მიმდინარეობს.<sup>5</sup>

იმ ქართველურ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის, რომლებიც დღეს ქვემო ქართლის რეგიონში (კერძოდ, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში) ცხოვრობენ (ქართლები, კახელები, იმერლები, რაჭველები, მთიულელები, ფშავ-ხევსურები, აჭარლები), არიან სვანებიც; მათი აქ მოსვლა და დასახლე-

<sup>3</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ. 1980; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. I. ქვემო ქართლი. თბ. 1979; კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი. თბ. 1991; ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში. წყაროების გამოკვლევა და საგეოგრაფიო ცნობები. ნაწ. I და II. ტფ. 1935; ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში. მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა. ნაწ. III და IV. თბ. 1938; ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი (პოლიტიკური ისტორიის საკითხები). თბ. 2001.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბუღადაის რაიონში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. IV. თბ. 1928. კრებ.: „ქვემო ქართლი“ (ეთნოგრაფიული გამოკვლევა). თბ. 1990; ლ. ბოჭორიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან (საფლავის ძეგლები). ჟურნ.: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ (მსე). ტ. VIII თბ. 1956; ლ. ფრუიძე. ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. „მაცნე“. ისტორიის სერია. №4. თბილისი 1971, გვ. 174-178.

<sup>5</sup> მ. ქანთარია, გ. გოცირიძე. მარნეულის რაიონის ეთნო-დემოგრაფიული თავისებურებანი. ჟურნ.: „მსე“. XXV. თბ. 2005, გვ. 263-275; გ. გოცირიძე. გარდაბანი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მერიდიანები). მოსე ჯანაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ. 2005, გვ. 100-104; Г. Ш. Гоциридзе, Л. К. Бериашвили. Глобализация и проблемы развития традиционных хозяйственно-культурных взаимоотношений в полиэтнической среде (Марнеульский район). „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“. ტ. IX. ეძღვნება რუსუდან ხარაძის ხსოვნას. თბ. 2005, გვ. 116-125.

ბა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვითარებაში მოხდა. ძირითადად ეს მიგრაციები ეტაპობრივად გასული საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობის გეგმიურ გადასახლებებთან (1947-1954 წწ.), მეორეს მხრივ, 1987-1989 წლებში სვანეთში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებებთან.<sup>6</sup> პირველ პერიოდში გეგმიური გადასახლების ძირითადი მიზეზი მთიან რეგიონებში შექმნილი განსაკუთრებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია იყო (მცირემიწიანობა, ჭარბმოსახლეობა), ამიტომაც მთავრობამ „განტვირთვის“ მიზნით მთიელების ბარში ჩამოსახლება დაიწყო, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა და ბუნებრივია, სვანებსაც შეეხო, მაგრამ სვანთა ყველაზე მასობრივი „დეპორტაცია“ უფრო მეორე პერიოდში (1987-1989 წწ.) მოხდა, როცა ზვავების ჩამოწოლამ ასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დაანგრია და გაანადგურა სოფლები.<sup>7</sup> ეკომიგრანტები ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში გადაანაწილეს, მათ შორის, ქვემო ქართლში: ბოლნისის, ღმანისის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს რაიონებში, აგრეთვე, თბილისის შემოგარენში – სოფლებში – ლილოსა და გამარჯვებაში, რომლებიც მაშინ ადმინისტრაციულად გარდაბნის რაიონში შედიოდნენ.

მარნეულის რაიონში სვანთა კომპაქტური დასახლების პუნქტია სოფელი თამარისი, რომელსაც მიგრანტებმა „მეორე მულახი“ უწოდეს, რადგან მულახის თემიდან არიან წამოსულები.<sup>8</sup> ადრე აქ (თამარისში), მათ მოსვლამდე, გერმანელები ცხოვრობდნენ, შესაბამისად, ამ დასახლებას გერმანული სახელი, „ტრაუნბერგი“ უწოდეს.<sup>9</sup> გერმანელებამდე რა ერქვა ამ სოფელს, არ ახსოვთ, მაგრამ მოგვიანებით რომ თამარისი შეარქვეს, ამას საინტერესო ლეგენდით ამართლებენ. ლეგენდის თანახმად, ძველად ამ ადგილებში თამარ მეფეს გამოუვლია თავისი ამალით, როცა წასულა, გზაში მანდილი დავარდნია. ის ერთ გლეხს უპოვნია და უკითხავს ვისიად ეს მანდილი? უპასუხიან „თამარისიო“. ასე გაჩენილა ტიპონიმი თამარისი.<sup>10</sup> ამკარაა, რომ ის სვანებმა ალაღვინეს. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ისტორიული მეხსიერების

<sup>6</sup> ლ. ნიჟარაძე. კოშკმა კოშკს გადაუძახა. თბ. 1996, გვ. 3-19.

<sup>7</sup> ლ. ნიჟარაძე. კოშკმა კოშკს გადაუძახა.

<sup>8</sup> ლ. ნიჟარაძე. კოშკმა კოშკს გადაუძახა, გვ. 3-19.

<sup>9</sup> გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ. 1974, გვ. II; გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები. 2005. რგ. №2.

<sup>10</sup> გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. II; გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები. 2005. რგ. №2.

ერთი მაგალითია, ხალხური ვერსია მხოლოდ და მას საგანგებო მეცნიერული კვლევა ესაჭიროება.

გადმოგვცემენ, რომ როცა თამარისში სვანები მოვიდნენ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათ საცხოვრებლად სწორედ გერმანელებისაგან დატოვებული სახლები გადასცა, თუმცა სხვა „ახალშენებიც“ („კოტეჯებიც“) დაახვედრეს. ასე შეიქმნა აქ სვანებით დასახლებული დიდი უბანი, რომელიც დღეს ტრადიციული ცხოვრებით ცხოვრობს, მიუხედავად გარკვეული სირთულეების, რაზეც ქვემოთ საგანგებოდ გვექნება საუბარი.

რაც შეეხება გარდაბნის რაიონს. აქ სვანებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სოფელია „ლემშვანიერა“ – „სასვანო“, სადაც ამჟამად 700-მდე კომლი ცხოვრობს. დასახლების ფორმა აქაც უბნობრივია და „თემების“ მიხედვითაა განაწილებლი. სულ 5 უბანია (იხ. თანდართული სქემა).

პირველ უბანში უშგულიდან, კალადან, ადიშიდან მოსულები არიან: ავალიანები, ქალდანები, ჭელიძეები, ნიჟარაძეები, ჩარქსელიანები, ღვაჩლიანები, რატლიანები.

მეორე უბანში მულახის თემიდან: იოსელიანები, შერვაშიძეები, მარგიანები, ჟორჟოლიანები.

მესამე უბანში: იფარიდან და ლატალიდან ხვისტანები, გულბანები, პირველები, კორძაიები.

მეოთხე უბანში ლენჯერიდან: გულედანები, შუკვანები.

მეხუთე უბანში კალადან: მარგვლიანები, ხარძიანები, გველებიანები (გველესიანების განაყარნი) და სხვები. სულ მთელ დასახლებაში 700-მდე ოჯახია.

ლემშვანიერა უშუალოდ ესაზღვრება აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ჯანდარას და ქართველების სოფელ მზიანეთს. მზიანეთიც გვიან შერქმეული სახელი უნდა იყოს, თუმცა ლემშვანიერაზე ადრეული. აქ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაახლოებით 1945-1955 წლებში მსჯავრდებულთა „კოლონია“ (თავისუფალი განსახლება) ყოფილა, მსჯავრდებულებისათვის განკუთვნილი. მათ მეურნეობაში ამუშავებდნენ. სასჯელის მოხდის შემდეგ კი ბევრი მათგანი ადგილზე დარჩენილა საცხოვრებლად და ოჯახი შეუქმნია. მეორე სოფელი თანდათან გაფართოებულა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსულები შემატებიან (ფშაველები, ხევსურები, მთიულები, იმერლები, რაჭველები). რაც შეეხება სვანებს, ისინი თავიდან მზიანეთში ჩაუსახლებიათ, მაგრამ შემდეგ ცალკე გამოყოფილან ახლანდელი ლემშვანიერას ტერიტორიაზე; ახ-

ლა ეს უკანასკნელი ცალკე საკრებულოა და მზიანეთიც მასში შედის.

სვანები ასევე კომპაქტურად ცხოვრობენ სოფელ ლელაშხაში (154 კომლი), ნაგებში (50 კომლი), კაპანახში. კაპანახში ლენტეხის რაიონიდან გადმოსახლებულები არიან: ონიანები, ქურასბელიანები, ხაბულიანები, ლიპარტელიანები, დაახლოებით, 100-ზე მეტი ოჯახი. გარდა ამისა, ცხოვრობენ თვით ქალაქშიც (გარდაბანში), მაგრამ – გაფანტულად (ქარხნის ტერიტორიაზე, ქალაქის შემოსასვლელში და სხვ.), რის გამოც მათ დასახლებას რაიმე სახელწოდება არ აქვს. ლევენდებია შემონახული ლომთაგორული ლაშხების შესახებაც, პირველი ლაშხი (რაიონში) 50-იან წლებში დასახლებულა. მისი ერთ-ერთი შთამომავალი კახა ლაშხი კი ჩვენი ექსპედიციის დროს ლომთაგორის საცდელ მუურნეობას ხელმძღვანელობდა. მან ძალიან ბევრი რამ გვიაძღო მარნეულში სვანთა ჩამოსახლების ისტორიაზე, თავის წინაპარზე.<sup>11</sup>

უჩა ხარზიანის გადმოცემით, სვანები კომპაქტურად ცხოვრობენ თბილისის შემოგარენშიც, ლილოში (64 კომლი), კრწანისში 140, ფონიჭალაში (100 კომლი). ამას ემატება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა 500-ზე მეტი ოჯახი, რომლებიც სხვადასხვა ადგილებზე არიან გაფანტულნი.<sup>12</sup>

მიგრანტთა გადმოცემით, თავიდან სვანებს ძალიან გაჭირვებით ადგილობრივ პირობებთან შეგუება. (ცხელი კლიმატი, მშრალი ჰავა, უწყლობა) ამიტომაც ბევრი მათგანი უკან გაბრუნებულა, დარჩენილებმა კი როული და ხანგრძლივი ადაპტაცია გაიარეს. ეკონომიკურ პირობებთან ერთად საქმეს ისიც ართულებდა, რომ მონოეთნიკური გარემოდან პოლიეთნიკურ გარემოში აღმოჩნდნენ. მთის ამაყ, პატრიოტ სვანებს ადგილობრივ მოსახლეობასთანაც გაუძნელდა ურთიერთობა. ამიტომაც პირველ ხანებში ეთნოკონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელებთან, რომლებიც შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, რადგან „ჯანდარის ტბა“ და სარწყავი არხი მათ ტერიტორიაზეა განთავსებული. სვანები ამ სარწყავს მოკლებულები აღმოჩნდნენ. ამასთან ერთად წარმოიქმნა დავა მიწის ნაკვეთების განაწილებაზე, კერძოდ, ადგილებში, სადაც მოსახლვრედ აზერბაიჯანელთა სასაფლაო მდებარეობდა.<sup>13</sup> იყო სხვა კონკრეტული მიზეზებიც, რომელთა დაძლევისადაც დრო დასჭირდა. აზერბაიჯანელთა და სვანთა თავდაპირველ დაძაბულ ურთიერთობებზე ეთნოლოგი ხათუნა იოსელიანი შენიშნავს, რომ მთიე-

<sup>11</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები. 2003. რგ. №1.

<sup>12</sup> უჩა ხარზიანი. სვანები გარდაბანში. ხელნაწერი (ინახება ექსპედიციის არქივში).

<sup>13</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები. 2003. რგ. №2.

ლი ქართველების (სვანების) ამ რეგიონში ჩამოსახლებამ გარკვეული დისონანსი შეიტანა ადგილობრივ მოსახლეობაში, ნაწილობრივ ნეგატიური, თუმცა, ძირითადად, პოზიტიური ხასიათისა. მთავარი შედეგი კი ამ ჩამოსახლებასა დემოგრაფიული სურათის შეცვლა იყო. ამან დაარღვია არსებული ძალთა თანაფარდობა. აქაურ ქართულ მოსახლეობას შეემატა ჩამოსახლებული მთიელები (სვანები), რომელთაც მონღოლმეს საკუთარ სამშობლოდ მიჩნეულ ტერიტორიაზე გავლენის მოპოვება; ამან, რა თქმა უნდა, გააღიზიანა აზერბაიჯანელები და არა მარტო აზერბაიჯანელები. სვანებს კონტაქტი გარკვეულწილად ქართულ მოსახლეობასთანაც გაუჭირდათ, მაგრამ დაძაბული, კონფლიქტური სიტუაცია მხოლოდ აზერბაიჯანელებთან შეიქმნა; ზოგჯერ ხელჩართულ წინააღმდეგობამდე მისული.<sup>14</sup>

როგორც ირკვევა, შემდეგში ეს ვითარება თანდათან განიმუხტა, სიტუაციაში ხელისუფლებაც ჩაერია; მაგრამ, გამოთქმული მოსაზრების თანახმად ეს განმუხტვა ძირითადად მაინც მიგრანტების გონივრულმა და თავშეკავებულმა მოქმედებამ განაპირობა,<sup>15</sup> ჩვენი აზრით, აქ აზერბაიჯანელების მხრიდანაც მათი დადებითი როლიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. მთლიანობაში კი ყოველივე ეს შრომითი საქმიანობის თანმხვედრი და ეთნიკური პროცესების თანმიმდევრული რეგულირებისა და განვითარების შედეგია. უნდა ითქვას, რომ სვანები ძნელად, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვივნენ ადგილობრივ პირობებს, ჰავას, კლიმატს; შექმნეს თავიანთი მეურნეობა (უფრო სწორად, მოიწყვეს იგი), დაძლიეს მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ბარიერები, დაიწყეს სრულიად ახალი ცხოვრება.<sup>16</sup> ახლა მათი (აზერბაიჯანელებისა და სვანების) ურთიერთობა გაწონასწორებულია და სტაბილური, კეთილმეზობლური და საქმიანია. ისინი ოჯახებით იცნობენ ერთმანეთს და პატივს სცემენ ურთიერთის წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ აღმსარებლობას. აზერბაიჯანელები დადიან ქართულ ტაძრებში, ღებულობენ მონაწილეობას ეკლესიათა მშენებლობაში (მაგ. ვახტანგისში, სადაც ახალი ტაძარი აშენდა, ჰყავთ თავიანთი ქართველი მეგობრები – „ყონალები“, „ნათლიობენ“, (ზეპირი შეთანხმებით და არა საეკლესიო მირონცხების წესით). აზერბაიჯანელები დღესას-

<sup>14</sup> ხ. იოსელიანი. ეთნოსთა შორისო ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული პრობლემები (გარდაბნის რაიონის ეთნოგრაფიული მონაცემები). „ეთნოლოგიური კრებული“. თბ. 2008, გვ. 3-9.

<sup>15</sup> ხ. იოსელიანი. ეთნოსთა შორისო ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული პრობლემები.

<sup>16</sup> ხ. იოსელიანი. ეთნოსთა შორისო ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული პრობლემები.

წაულებზე იწვევენ ქართველებს (მაგ. „ყურბან ბაირამის“, „ნოურებობის“ დროს) და სხვ.<sup>17</sup> თუმცა წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მაინც რჩება ზოგი ისეთი წესი ან ჩვევა, რაც სვანებს არ მოსწონთ, ან პირიქით. მაგ., აზერბაიჯანელები ძროხას მარცხენა მხრიდან წველიან განსხვავებით ქართველებისა. როცა საკლავს კლავენ, მას გასატყავებლად ცალ ფეხზე კიდებენ;<sup>18</sup> მათ არ მოსწონთ სვანების გოროზი ხასიათი, ღვინის სმა და ხანგრძლივი ქეიფები, „მემთვრალეობა“, სამაგიეროდ, სვანებს მოსწონთ აზერბაიჯანელების ჩაის სმის რიტუალი, ერთმანეთთან მოსაკითხად მისვლა-მოსვლა, ჭირსა და ლხინში თანადგომა და სხვ., რასაც ინტეგრაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ხალხთა კულტურული და სოციალური დიალოგის ეს მხარე (ურთიერთობის ეთიკა), მისი განვითარების დინამიკა) საგანგებო კვლევის საგანია, ამდენად, აქ მასზე აღარ შევჩერდებით,<sup>19</sup> მაგრამ იმ საკითხებზე, რაც უშუალოდ გადმოსახლებულ სვანთა ყოფით ადაპტაციას, (ყოფასა და კულტურას) შეეხება, ამ მხრივ რამდენიმე შემაჯამებელი წინადადების თქმა შეიძლება.

1. **სამეურნეო ყოფა.** ცნობილია, რომ სამეურნეო გამოცდილება და ტრადიციები ეთნოსის არსებობის ძირითადი პირობაა, გარემოსთან შეგუებულის, ადაპტაციისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის კულტურის ყველაზე არსებითი ნიშანი, რა მოხდა მიგრირებულთა ყოფაში ამ მხრივ, სვანები უძველესი დროიდან მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევდნენ და წველადი მეურნეობა მათთვის წამყვანი დარგია. აქ კი, ქვემო ქართლში, სრულიად განსხვავებულ ეკოლოგიურ გარემოში, სადაც ცხელი კლიმატური პირობებია (ნალექების რაოდენობაც ძალიან მცირე), ცხოვრება გაუჭირდათ. ადგილობრივი საძოვრები (იალნოს მთის კალთები და ველები) მშრალნიდაგანია და უწყლო, ზაფხულობით სიცხისაგან გამოფიტული, ეროზირებული. შესაბამისად, ბალახიც ყუათიანი არ არის. ამდენად, სვანებისთვის მთიური მესაქონლეობის ტრადიციული სისტემის აქ გადმოტანა შეუძლებელი აღმოჩნდა. ისინი იძულებული შეიქმნენ ადგილობრივ ბარულ სისტემაზე გადასულიყვნენ, რაც ასევე რთული იყო. სვანეთიდან გადმოყვანილმა საქონელმა აქაურ კლიმატს ვერ გაუძლო და დაიღუპა. ამიტომ იყიდეს ადგილობრივი ჯიშის საქონელი, რომე-

<sup>17</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>18</sup> ხ. იოსელიანი. ეთნოსთა შორისო ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული პრობლემები.

<sup>19</sup> გ. გოცირიძე. ეთნიკური პროცესები და კულტურათა დიალოგი ქვემო ქართლის მოსახლეობაში (ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების მაგალითზე) გარდაბნის და მარნეულის რაიონები. ჟურნ.: „ლოგოსი“. თბ. 2008, გვ. 260-264.

ლიც ნაკლებს იწველება და მას ბაგურ პირობებში ინახავენ.<sup>20</sup> მიიჩნევენ, რომ ქვემო ქართლის ლანდშაფტები უფრო მეცხვარეობისთვისაა მისადაგებული. ამას აზერბაიჯანელები მისდევენ. მსხვილფეხა საქონელი მათ თითქმის არც ჰყავთ, დარგი კი ტრადიციის ძალით აქვთ შემორჩენილი და საძოვრებად იონჯით მოჭარბებულ ველ-მინდვრებს და „იალალებს“ იყენებენ.<sup>21</sup>

სვანები წუხან, რომ აქაური რძე, რაც უნდა ეცადონ, ნაკლებცნიმიანია და სულგუნი ისეთი არ გამოდის, როგორც სვანეთში. მიუხედავად ამისა, სულგუნს მაინც ამზადებენ და რეალიზაციაც არ უჭირთ, ამარაგებენ არა მარტო ადგილობრივ ბაზარს, არამედ – თბილისსაც. საინტერესო ფაქტია, რომ სულგუნის დამზადება სვანების მიბაძვით აზერბაიჯანელებმაც სცადეს. მაგრამ ტექნოლოგია ვერ სრულყვეს; მათი „სულგუნი“ უხარისხოა და მალეფუჭებადი, ამიტომ ეს მოსახლეობა უფრო ცხვრის მოხდელ ყველს ამჯობინებს, რაც ასე თუ ისე მაინც ტრადიციულია და მიღებული.

მიგრირებული სვანებისათვის სამეურნეო ტრადიციების შენარჩუნების მხრივ მარნეულთან შედარებით მდგრადი ვითარებაა შექმნილი მარნეულის რაიონში. სახელდობრ, სოფელ თამარისში, სადაც სარწყავი არხიც ახლოს გადის და ნიადაგიც უკეთესია. აქ ჩასახლებული სვანები არა მარტო მესაქონლეობას მისდევენ (ჰყავთ საკმაო რაოდენობის საქონელი), არამედ მიწათმოქმედებასაც. თესვენ ხორბალს, სიმინდს. გააშენეს ბაღები, ახარეს ვაზი და მშვენიერ ღვინოსაც აყენებენ, ძირითადად თეთრი „უწამლო“ ჯიშისაგან, რადგან რქაწითელი და სხვა ჯიშები აქ არ იციან (ვერ გვარობს), თუმცა შინაჩხადი სულადის არაფიც არ ღავიწყებიათ.<sup>22</sup>

რაც შეეხება პურს – ძირითად პროდუქტს; პურს და ჭადს ისინი ტრადიციულ სვანურ ღუმელში („ფენ“) აცხობენ. ბოლო პერიოდში აქა-იქ თონებიც შემოიღეს. კერძებიდან კი კვლავ ტრადიციულია ღომი და ელარჯი, კუბდარი, ჭვიშტარი, ძეხვეული („ზისხორა“) და სხვ.<sup>23</sup> რელიგიურ დღეებში აცხობენ რიტუალურ პურებს – „ლემზირებს“, ამზადებენ განთქმულ სანებელს „სვანურ მარილს“ (თუმცა მისი ინგრედიენტები სვანეთიდან მოაქვთ), მიცვალებულის ხარჯისათვის კლავენ საკლავს, იხდიან დღეობებს. უყვართ სტუმარი და მას მამაპაპური წესით უმასპინძლებიან.<sup>24</sup>

<sup>20</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>21</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>22</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>23</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>24</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

**მატერიალური კულტურა.** სვანები ქვემო ქართლშიც ტრადიციული მატერიალური კულტურის, ეროვნული ფასეულობების დამცველები არიან. ისინი საუკეთესო ხის ოსტატებად ითვლებიან და ამ ხელობას წარმატებით იყენებენ. ამზადებენ სვანურ ავეჯსა და დგამ-ჭურჭელს. მათგან აღსანიშნავია საუფროსო სკამ-სავარძელი „საკურცხილ“ და საჯალაბო ტახტი, არაჩვეულებრივი, დახვეწილი ორნამენტებით შემკული, სინატიფისა და ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს რომ წარმოადგენენ. საკურცხლის ჩუქება საპატიო სტუმრისთვის დიდ პატივად ითვლება. ასე რომ, მათი ეს ნახელავი ეროვნული მენტალობისა და იდენტობის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>25</sup> გარდა ხის დამუშავების ოსტატობისა, საკვლევ რეგიონში მიგრირებული სვანები შინამრეწველობის სხვა ტრადიციულ დარგებსაც არ ივიწყებენ. ესაა, მაგალითად, მატყლის დამუშავება ქუდებისა და წინდა-ნაბდებისათვის, რასაც ქალები მისდევდნენ. ისინი მატყლს მეცხვარეებისაგან ყილულობენ (რადგან თვითონ ცხვარი არა ჰყავთ), მაგრამ ადგილზე თელავენ და სვანურ ქუდებს კერავენ. ქუდებს ამზადებენ ბაზარზე გასაყიდადაც. სვანური ქუდის გარეშე სვანი კაცის ცხოვრება წარმოუდგენელია. ის მათი საწესო რიტუალის აუცილებელი საგანი, ნამუსისა და ვაჟკაცობის სიმბოლო, ცასთან და ზეციურ ძალებთან დამაკავშირებელი ატრიბუტი, მთიელი კაცის სიამაყის გამომხატველი ნიშანია.<sup>26</sup>

სვანური კულტურის მენტალობის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია სვანური კოშკი, რომელიც თითქმის ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტებში დგას და იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ სვანები ცხოვრობენ.

ცნობილია, რომ კოშკური ნაგებობა (მათ შორის სვანური კოშკები) ციხე-სახლების, საცხოვრებლის, მტერთან ბრძოლისა და თავდაცვის კომპლექსური ნაგებობაა, ვერტიკალურ განზომილებაში გადაწყვეტილი. სივრცობრივად იგი (ინტერიერში) მოიცავს როგორც ადამიანის, ისე საქონლის სადგომს („მაჩუბს“);<sup>27</sup> ბუნებრივია ქვემო ქართლში მოსულ სვანებს საცხოვრებლად სულ სხვა ტიპის (ძირითადად ორსართულიანი ტიპური) სახლები დაახვედრეს, პატარა ეზოებით და სათავსებით, მაგრამ მათ შეძლებისდაგვარად სცადეს ამ სახლების გადაკეთება. ეზოებში მცირე ზომის კოშკები ააგეს, სიმბოლური დანიშნულებით, ნაწილობრივ სამეურნეო მიზნითაც რომ იყენებენ. ისინი პატარა კოშკებს სასაფლაოებზეც დგამენ, შიდა სასანთლებით, იმ

<sup>25</sup> გ. ჩიტაია. სვანური „საკურცხალ“. შრომები. ტ. II. თბ. 2000, გვ. 140-153.

<sup>26</sup> გ. ჩიტაია. სვანური „საკურცხალ“. შრომები. ტ. II.

<sup>27</sup> ა. ქალდანი. კოშკური საცხოვრებელი სვანეთში. ჟურნ.: „ძეგლის მეგობარი“. №3 თბ. 1986, გვ. 21-27.



მიზნით, რომ გარდაცვლილს საიქიმოში დახვდეს სადგომი, სააქოსა და საიქიოს, მიწისა და ზეცის დამაკავშირებელი სახლის ნიშნად.<sup>28</sup> მთხრობელის თქმით: „სვანი სულ ზეცისკენ იხედება, კოშკიც ზეცისკენაა მიმართული, როგორც კიბე, ღერძი ამ სამყაროსი“.<sup>29</sup> ასე, რომ სვანებისათვის კოშკი (საცხოვრებელი), სვანური ქუდი და საკურცხალო ყოფითი კულტურის ის ელემენტებია, რომლებიც გარკვეული რელიგიური სიმბოლიკითაა დატვირთული და სვანთა ხასიათის, მათი მენტალობის მკაფიო მახასიათებლებად გვევლინება.

**სულიერი კულტურა, რწმენა-წარმოდგენები და დღესასწაულები.** სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის საკითხებთან ერთად ყურადღებას იქცევს გადმოსახლებულთა ყოფაში ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების, დღესასწაულებისა და ცალკეული რიტუალების შენარჩუნება-შენახვის საკითხი. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ – ისინი ცდილობენ არ დაივიწყონ თავიანთი საკულტო ძეგლები, ძველი სიწმინდეები, სალოცავები, საერთოდ ყველა ის წეს-ჩვეულება და რიტუალი, რომლებსაც სვანეთში ასრულებენ. ამიტომაც ყოველ დიდ რელიგიურ დღეობებზე, კვირიკობა იქნება ის, ღვთისმშობლობა, ლიფანალი თუ სხვა, მიდიან სვანეთში, თან მიჰყავთ საკლავი, მიაკვთ სხვადასხვა შესაწირავები, რიტუალური პურები და აღასრულებენ მამაპაპურ ადათსა და რიგს.<sup>30</sup> იმავდროულად ცდილობენ ეს ტრადიციები მომავალ თაობას გადასცენ, რათა მათ არ დაავიწყდეთ წინაპართა ხსოვნა, სამშობლოს ცნება, ვაჟკაცობის, პატრიოტიზმის ფასეულობები, სვანური სიმღერა და ფერხულები, საერთოდ „სვანობა“ როგორც თვითონ ამბობენ. მოსახლეობის, ნაწილი კი (მოზუტები, ავადმყოფები), რომელთაც არ შეუძლიათ სვანეთში წასვლა, ახლობლებს სთხოვს ამ წესის მათი სახელით შესრულებას, თან ატანენ სანთელს, რიტუალურ კვერებს, შესაწირავ ფულს და ა. შ.

ბოლო ხანებში ზოგიერთმა თემმა მოახერხა და სალოცავის ნიშის გადმოტანაც შეძლო, რითაც მრევლს კულტმსახურების ადგილზე შესრულების საშუალება მიეცა.<sup>31</sup>

**სოციალური ურთიერთობები.** გადმოსახლებას და მათ ლოკალურ მიგრაციებს არ შეუცვლია სვანთა სოციალური ურთიერთობების ისეთი სფერო, როგორიცაა ოჯახი, საქორწინო ურთიერთობები, ნათესაური სისტემა და სხვ. გაირკვა, რომ ისინი თავდაპირველად ერიდებოდნენ არასვანებთან ქორწინებას,

<sup>28</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>29</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>30</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>31</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

ადგილობრივ ქართლელებთანაც კი, მაგრამ მალე ეს ფაქტორი დაძლეულ იქნა. ახლა შერეული ქორწინების არაერთი შემთხვევა ფიქსირდება, ქართლ-კახელებთან, მთიულებთან; მაგრამ, რაც შეეხება თავად რიტუალს, ქორწილს იხდიან სვანური წესით, ეკლესიაში ჯვრის წესით და სამოქალაქო რეგისტრაციით, სვანური სუფრით, სადღეგრძელოებით, ცეკვა-თამაშითა და სიმღერით. ასე რომ, სვანური „ლილეოსა“ და „ხორუმის“ (სვანური ფერხულის) ხმა ქვემო ქართლის ამ კუთხეშიც გაისმის. ზოგი მამაკაცი ცდილობს ამ დროს ეროვნულ ტანსაცმელში (ჩონხა-ახალუხში) გამოეწყოს, ქუდიც აუცილებლად უნდა ეხუროს.<sup>32</sup>

მიგრანტი სვანები მტკიცედ იცავენ ოჯახისა და სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს. სტუმარს ეზოში ეგებებიან ტაბლითა და პურ-მარილით, სვანური კუბდართ, უკლავენ საკლავს. განსაკუთრებით საპატიო სტუმარს კერასთან ახლოს საკურცხილს უთმობენ, საკურცხილითვე ასაჩუქრებენ. ოჯახში კვლავინდებურად მოქმედებს ეტიკეტით დადგენილი წესები, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, რისი დარღვევაც ღირსების შელახვად მიაჩნიათ.<sup>33</sup>

**დაბოლოს:** ქვემო ქართლში ჩასახლებული სვანების ცხოვრებაში ჯერ კიდევ რჩება გადაუჭრელი პრობლემები. ეს პრობლემები ძირითადად სოციალური და ეკონომიკური ხასიათისა, და შრომითი დასაქმების, შრომითი რესურსების გამოყენებას ეხება. ამის გამო ნაწილი მოსახლეობისა (უმეტესად მამაკაცები) საშოვარზე რუსეთში ან ევროპაში მიდის, ოჯახში მხოლოდ მოხუცები და ქალები რჩებიან; ქალები ნაკლებად გადიან გარეთ, მაგრამ ყოველივე ეს ერთად აღებული ართულებს მათ ყოფას. ამ პრობლემათა გადაჭრა კი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეა დამოკიდებული.

ამრიგად, თუ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ყველა მასლას შევაჯერებთ, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ქვემო ქართლში ჩასახლებული სვანების ყოფა და კულტურა, მიუხედავად გარკვეული ტრანსფორმაციისა, ტრადიციულია. მათი სოციალური და კულტურული ადაპტაციის პროცესები დინამიკურია, თანმიმდევრული და სხვა ადგილობრივებთან მიმართებით ინტეგრირებადი. განვითარებაში ეს პროცესები პერიოდულ, ეტაპობრივ დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვს, რათა სტადიალური მოვლენების ეთნოსპეციფიკა თანმიმდევრულად გამოვლინდეს.

---

<sup>32</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

<sup>33</sup> გ. გოცირიძე. ქვემო ქართლის ექსპედიციის დღიურები.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV

სქემა №1

სვანთა განსახლების სურათი სოფ. ლეშმვანიერას მიხედვით\*

I უბანი		II უბანი		III უბანი		IV უბანი		V უბანი	
თემები	გვარები	თემები	გვარები	თემები	გვარები	თემები	გვარები	თემები	გვარები
კალა, უშგულთი, ადიში, ქალდე	ავალიანები ქალდანები ჭელიძეები ნიჟარაძეები ჩარქსელიანები ღვანელიანები ხვისტანები	მულახი	იოსელიანები შერვაშიძეები მარგიანები ფორფოლიანები	იფარი, ლატალი	ხვისტანები გულბანები ბირველები ვორძაიები	ლენჯვერი	გულელანები შუკვანები	კალა	მარგვლიანები ხარძიანები გველებიანები

\* სქემა შედგენილია 2006 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს

*Giorgi Gotsiridze*

**SETTLEMENTS OF THE SVANS (WESTERN GEORGIAN  
HIGHLANDERS) IN KVEMO (LOWER) KARTLI  
(MUNICIPALITIES OF MARNEULI AND GARDABANI)**

Summary

Article deals with the study of processes of migration in Georgia. The cultural life of migrated Svanetian population (Western Georgian Highlanders) in Kvemo (Lower) Kartli region (namely municipalities of Marneuli and Gardabani) is the case of study. Attention is paid to economic and cultural adaptation and problems of integration of migrated Svans. This problem is scantily researched in Georgian special literature except for few exceptions. The dynamics and the picture of preservation of ethno-cultural traditions are shown; also, relationship of the Svans with local Georgians or non-Georgian population, namely with Azeris that was complicated from the beginning but later, step by step, it was overcome. Nowadays these processes are easy to regulate.

According to ethnographical material of the region which is under our survey the article observes following items: area of settlement of the Svans, monuments of material and spiritual culture, system of values, religious practice, communication with the metropolis, religious tradition, feasts etc.

Concerning to ethnographical investigation, in the modern life of the Svans, despite unusual geo-ecological environment and kind of social and economic problems, they are inclined to maintain traditional way of life and to pursue the economic customs that are traditional for them (mainly stock raising and field crop cultivation), also they follow gardening and wine-making, that indicates the good level of adaptation and integration to the new environment.

Much stable and less changeable is a spiritual, cultural, ethno-psychological, ethno-identical, and mental characteristics of migrated Svans, which is enhanced by traditional values, also construction of churches, religious tolerance towards the faith in the region.

Article deals with modern economic problems in general, issues of unemployment; rational use of labor resources are meant to be resolved in the future.

*როზეტა გუჯეჯიანი*

**ვახტანგ მაღაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) – ქართველი მეცნიერი  
და საზოგადო მოღვაწე თურქეთში  
(1936-2002 წწ.)**

XX საუკუნის თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ვახტანგ მაღაყმაძეს, რომლის თურქული ოფიციალური გვარ-სახელი არის ჰაირი ჰაირიოღლუ. სამწუხაროდ, მისი სახელი თითქმის უცნობია ქართული საზოგადოების ფართო წრეებისათვის, ვახტანგ მაღაყმაძის ღვაწლს, ძირითადად, სამეცნიერო წრეში იცნობენ.

თურქეთის ავტოქტონ ქართველთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესწავლის მიზნით განხორციელებული ეთნოგრაფული ექსპედიციების დროს გაძულებით გვესმოდა ამ დიდი მოღვაწის სახელი, ხოლო საქართველოში ვახტანგ მაღაყმაძის შესახებ საინტერესო მასალა მოგვაწოდა ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა ლია ჩლაიძემ. სწორედ მისი თხოვნით მივიღეთ გადაწყვეტილება – ერთი ექსპედიცია მოლიანად დათმობოდა ვახტანგ მაღაყმაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას<sup>1</sup>.

ვახტანგ მაღაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) სახელი გადაჯაჭვულია დიდი ქართველი მოღვაწის ახმედ მელაშვილის (ოზქანის) სახელთან, ვინაიდან ჰაირი ჰაირიოღლუ იყო ახმედის ახლო მეგობარი, სამეცნიერო კონსულტანტი და მხარდამჭერი. ვახტანგ მაღაყმაძემ და ახმედ მელაშვილმა, სხვა ქართველ მოღვაწეთა (ჰასან, ჰაიდარ, მევლუდ, ზეკერია ზენგინები//კორტანიძე-

---

<sup>1</sup> 2011 წლის ივლისში ვახტანგ მაღაყმაძის მეგობრის – ბატონ **გიორგი ირემაძის (შემსეთინ იემ)** დახმარებით ექსპედიცია შედგა ბურსის რეგიონსა და სტამბოლში. ვახტანგ მაღაყმაძის სამეცნიერო მეკვიდრეობის მოძიებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რეალური სურათის აღდგენის საქმეში დიდი მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს **პროფესორმა ლია ჩლაიძემ, ბატონმა იბერია მელაშვილმა, ბატონმა გურამ ხიმშიაშვილმა, ბატონმა სირრი ოზთურქმა** (გამომცემლობა „სიორუნ იანილარის“-ის დირექტორმა).

ები, გურამ ხიმშიაშვილი//მუსტაფა იაკუთი და სხვ.,) დახმარებით შექმნეს სამეცნიერო მონაცემთა ბაზა თურქეთის ეთნიკური ქართველებისათვის, მოიძიეს საისტორიო, ეთნოგრაფიული მასალები საქართველოს შესახებ და წარსულ დიდ ქართულ კულტურასთან გაწვევტილი მემკვიდრეობითობის ჯაჭვი აღადგინეს.

ვახტანგ მალაყმაძე მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალი იყო და ცხოვრობდა ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონში.

ვახტანგ მალაყმაძე დაიბადა 1936 წელს ინეგოლის რაიონის სფელ ხეირიეში//ჰაირიეში. მამას ერქვა აჰმედი, დედას – აიშე (1917-1988 წწ.). ხეირიე (ჰაირიე) განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სოფელია ქართველებისათვის, ვინაიდან თურქეთის ქართველთა შორის გამორჩეული ორივე მოღვაწე – ახმედ მელაშვილი და ვახტანგ მალაყმაძე სწორედ ამ სოფელთან არიან მკვიდროდ დაკავშირებულები.

სოფელი ხეირიე (ჰაირიე) ეთნიკურად მთლიანად ქართველი მოსახლეობით არის დასახლებული. სოფელი დაარსდა XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველ მუჰაჯირთაგან. სოფელი რამდენიმე უბნისაგან შედგება და ერთ-ერთის სახელი მალაყმეთია. აქ დღესაც ქვემო მაჭახლიდან ემიგრირებულ ქართველთა შთამომავალი მალაყმაძეები ცხოვრობენ.

ვახტანგ მალაყმაძემ ჰაირიეში დაამთავრა დაწყებითი სკოლა (I-V კლასები). დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქალქ ბურსაში განაგრძო, ჯერ დაამთავრა სამშენებლო ტექნიკის კურსები, ხოლო შემდეგ – ბურსის ვაჟთა სახელოსნო ინსტიტუტი.

ვახტანგ მალაყმაძე 1960 წელს სტამბოლის ილდიზის პოლიციის სკოლაში შევიდა სასწავლებლად და მისი დამთავრების შემდეგ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, სხვადასხვა ვილაიეთებში. ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოდლე) დაძაბული შრომითი რიტმი გრძელდებოდა 1982 წლმდე. სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სამსახური, ბუნებრივია, დიდ დროსა და ძალისხმევას ითხოვდა. მას ხშირად აგზავნიდნენ მშობლიური მხარისაგან საკმაო მანძილით დაცილებულ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით მძიმე სოცილური ფონი შეინიშნებოდა.

ვახტანგ მალაყმაძე სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მუშაობის პარალელურად სერიოზულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო ინიციატორი და სულისჩამდგმელი ყოველი ქართული საქმისა, მხარდამჭერი და მფარველი ყველა ქართველი მოღვაწისა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ვახტანგ მალაყმაძე, ძირითადად, ინეგოლში ცხოვრობდა და ქართული კულტურის გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლის მიმართულებით მოღვაწეობდა. სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლო წლებში თვალისჩინი დაკარგა და ეს მისთვის დიდი ტრაგედია იყო, ვინაიდან დაძაბულ, ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას მოწყურებულს, კითხვის საშუალებაც კი აღარ ჰქონდა. ვახტანგ მალაყმაძის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მასთან სტუმრად ჩასული გიორგი ირემაძის (შემსეთინ იემ) მონათხრობი: „15 წუთით მივედი და 4 საათი დავრჩი. მისი თხოვნით მთელი 4 საათი წიგნებს ვუკითხავდი. ასე მითხრა, – სიკვდილზე უარესია, რომ დავბრმავდიო“.

ვახტანგ მალაყმაძე გარდაიცვალა 2002 წელს. დაკრძალულია ქალაქ ინეგოლის „მაჰმუდიეს“ სასაფლოზე.

ვახტანგ მალაყმაძის წინაპრები 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ჩიქნეთიდან (ქვემო მაჭახელი, თანამედროვე ხელვაჩაურის რაიონი) წამოსულან მუჰაჯირებად და დასახლებულან ქალაქ ინეგოლის სოფელ ხეირიეში (ჰაირიეში). ჰაირი ჰაირიოღლუს ქართული გვარი მალაყმაძეა და მან XX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღადგინა ნათესაური ურთიერთობები საქართველოში მცხოვრებ მალაყმაძეებთან.

ვახტანგ მალაყმაძემ ქართული ლაპარაკი ოჯახში ისწავლა. ჯერ კიდევ ბავშვი, დიდი გულისყურით უსმენდა თანასოფელთა საუბარს საქართველოზე, სწავლობდა ქართულ ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს. მოგვიანებით, მოზარდობის პერიოდში, აქტიურად ერთვებოდა სოფლის თავყრილობებში, მეჯლისებში, თათბირებსა და ქორწილებში. ყველგან ქართული ლექსებისა და სიმღერების ახმიანებას ცდილობდა. ამავე დროს, გაუჩნდა მას სურვილი ფოლკლორის ქალაქზე გადატანისა და კორექტირებისა. საგულისხმოა, რომ სცადა ქართული ფოლკლორის დაფიქსირება ლათინური გრაფიკით, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ლათინური ანბანი სრულად ვერ გამოხატავდა ქართული მეტყველების თავისებურებებს, რამაც ვახტანგ მალაყმაძეს უკმარისობის გრძნობას გაუჩინა. მან დაიწყო ინეგოლის რაიონის ბიბლიოთეკებსა და არქივებში ქართული დამწერლობის, ქართველებისა და ქართული კულტურის შესახებ მასალების ძიება.

ვახტანგ მალაყმაძის ახალგაზრდობის წლები თურქეთის სახელმწიფოს ისტორიის ერთ-ერთ მეტად რთულ პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად მუდმივად დაძაბული სამსახურებრივი რეჟიმისა, ვახტანგ მალაყმაძემ ამომწურა-

ვად შეისწავლა ადგილობრივი საარქივო მონაცემები და დავიწყების ფარდა ახადა ქართველთა მუჰაჯირობის ისტორიას, გამოავლინა ადგილობრივ მოღვაწე ქართველთა ბიოგრაფიები, აღადგინა ბურსის ვილაიეთში ქართველთა ჩასახლების ისტორია, მოიძია გამორჩეულად მოღვაწე ქართველთა საფლავები და ყოველი საფლავი შეამკობინა ძეგლებით, რომლებზეც ამოტვიფრულია ამ მოღვაწეთა წვლილი და დამსახურება.

დიდ ქართულ კულტურასთან ვახტანგ მალაყმაძის ზიარება იწყება 1951 წლიდან. ამ წელს ვახტანგ მალაყმაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შემთხვევით თვალს მოჰკრავს ქართულ წარწერას სტამბოლის ცენტრში. განუზომელი ყოფილა მისი სიხარული, როდესაც თურქული წარწერით შეუტყვია, რომ აქ მდებარეობდა ქართული სამონასტრო კომპლექსი (კათოლიკური). ის დიდი ძლევარებით შესულა ქართულ კათოლიკურ მონასტერში. გაცნობია მონასტრის მევეუერებს და უთხოვია ქართული წიგნებისა და ქართული ანბანის ჩვენება. ვახტანგ მალაყმაძეს ამ ბიბლიოთეკაში ძალიან სწრაფად შეუსწავლია ქართული ანბანი. სულ მცირე ხანში კი ქართულად წერაც დაუწვია.<sup>2</sup> წაუკითხავს ბიბლიოთეკაში დაუნჯებული მთელი ქართული ლიტერატურა. ჩაღრმავებია ქართველთა ისტორიისა და კულტურის საკითხებს. ამის შემდეგ ვახტანგ მალაყმაძეს კავკასიის ხალხების წარსულსა და დღევანდელობაზეც დაუწვია ინფორმაციის შეკრება. მან მოიძია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, გადაამოწმა ამ პუბლიკაციების მეცნიერული ობიექტურობა. ამდენი კითხვისა და ანალიზის შედეგად ვახტანგ მალაყმაძის ცოდნის დონე მეტად გაღრმავდა. მან დაიწყო სამეცნიერო-პოპულარული წერილების გამოქვეყნება თურქეთის მასშტაბით და საზღვარგარეთაც. მისი წერილები გამოიცა გერმანიაში, შვედეთში, საფრანგეთში.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვახტანგ მალაყმაძე და ახმედ მელაშვილი, ცხადა, სხვა მოღვაწეთა დახმარებით, იწყებენ მუშაობას ქართველთა ეთნიკური იდენტობის გაღრმავების, თურქეთის ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და განვითარების მიმართულებით.

1968 წელს ახმედ მელაშვილმა და მისმა მეგობრებმა განახორციელეს ერთ-ერთი თვალსაჩინო პროექტი, მათ თურქულად დაწერილი კრებული „გურჯისტანი“ გამოსცეს. წიგნში მოთხრობილია საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ხელოვნების და ფოლკლორის შესახებ. სწორედ ამ კრებულით გაეცნო საზოგადოება ვახტანგ მალაყმაძის სახელს. **კრებულში**

---

<sup>2</sup> საგულისხმოა, რომ ახმედ მელაშვილმაც აქ ისწავლა ქართული წერა-კითხვა.



შევიდა მის მიერ თარგმნილი იაკობ გოგებაშვილის „აენანამ რა ჰქმნა?!“. წიგნის გამოცემაში ახმელს ფინანსურად სხვა თურქეთელი ქართველებიც დაეხმარნენ. წიგნს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელ თურქეთის ქართველობაში და მან, რასაკვირველია, თურქეთის ხელისუფლების ყურადღებაც მიიქცია. ახმელ ძელაშვილი დააპატიმრეს, ბრალად წაუყენეს ისლამისა და თურქეთის უპატივცემულობა, ასევე, კომუნისტური იდეების პროპაგანდა. იგი ორი თვის განმავლობაში იყო დაპატიმრებული. შემდეგ კი სასამართლომ გაამართლა და გაათავისუფლა, წიგნის გავრცელების ნებაც დართო.

„გურჯისტნის“ გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თურქეთის ქართველებისათვის. ამ კრებულით თურქეთელ ქართველებს პირველად მიეწოდათ რეალური ინფორმაცია ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.

ვახტანგ მალაყმაძემ მოამზადა, თურქულად თარგმნა და გამოსცა „ქართული საბავშვო ზღაპრები“. წიგნი ორტომეულის სახით დაიბეჭდა და გამოცემისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ წიგნი დადებითად შეაფასა სახელმწიფო უწყებამაც – თურქეთის განათლების სამინისტრომ იგი „ბავშვებისათვის სასარგებლო წიგნად“ გამოაცხადა. ხოლო შემდეგ განათლების სამინისტროდან წამოვიდა რეკომენდაცია, რომ ეს წიგნი გავრცელებულიყო თურქეთის ყველა სკოლაში. ეს ვახტანგ მალაყმაძის ძალიან დიდი წარატება იყო. სასიხარულო ფაქტი მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად იქცა თურქეთელი ქართველებისათვის.

ვახტანგ მალაყმაძე, ახმელ ძელაშვილი და სხვა თურქეთელი ქართველი მოღვაწეები მუდამ ცდილობდნენ თურქეთის ლაზების დაახლოებას საერთო-ქართულ კულტურასთან. ვახტანგ მალაყმაძემ წელიწად-ნახევარი იშრომა ლაზთა ისტორიისა და წარმომავლობის საკითხების კვლევაზე. ობიექტური სამეცნიერო მონაცემები, ბუნებრივია, ცხადყოფდა ლაზების ერთიანი ქართული კულტურიდან მომდინარეობას. მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ვახტანგ მალაყმაძემ ამ მიმართულებითაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა: ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომლითაც თურქეთის საზოგადოება და თვით ლაზები გაეცნენ ლაზთა ისტორიის, წარმომავლობისა და კულტურის საკითხებს – ობიექტურ სამეცნიერო კვლევას ამ პრობლემებზე, იყო ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მიერ თურქულად თარგმნილი და 1992 წელს გამოცემული მუჰამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას ნაშრომი – „ლაზების ისტორია“. წიგნმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მკითხველებს შო-

რის. ამ ნაშრომის გავრცელებით იწყება ლაზთა ტრადიციული კულტურის შენარჩუნებისათვის ბრძოლა და აღნიშვნა იმ ობიექტური რეალობისა, რომ ლაზთა ეთნოგენეზის ისტორია ქართველთაგან განუყოფელია და ლაზური ტრადიციული კულტურა ქართული კულტურის ნაირსახეობაა. ამ ნაშრომის გავრცელების შემდეგ თურქეთის ლაზებში ლაზური ინსტიტუტის შექმნის იდეა გაჩნდა.

ვახტანგ მალაყმაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მას სურდა თურქეთის ქართველებისათვის მიეწოდებინა საქართველოს ისტორია თურქულ ენაზე. სათარგმნელად შეარჩია ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“, რამდენიმე წლის დაუღალავი შრომის შედეგად თარგმანი შესრულდა. ბუნებრივია, პრობლემა იყო საგამომცემლო თანხის მოძება და ამ საქმეში მას მხარდაჭერა ცნობილმა საგამომცემლო სახლმა „სორუნ იაინლარ“-მა აღმოუჩინა. „საქართველოს ისტორია“ 1997 წელს გამოიცა, განმეორებით გამოიცა 2000 წელს. წიგნი 305 გვერდს მოიცავს. დღეისთვისაც ეს წიგნი წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ უმთავრეს გამოცემას, რომლითაც სარგებლობს თურქეთის დაინტერესებული საზოგადოება.

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეძღვნება ვახტანგ მალაყმაძის მიერ მომზადებული, შედგენილი და თურქულად თარგმნილი კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნაშრომი სახელწოდებით – „ტრაპიზონიდან აფხაზეთამდე – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ხალხების ისტორია და კულტურა“. ნაშრომი წაროადგენს რამდენიმე ცნობილი ავტორის პუბლიკაციების ნაკრებს, ამონარიდებს მათი ცალკეული შრომებიდან და წარმოადგენილია კომპლექსური – კრებითი წიგნის სახით. რასაკვირველია, კრებულში შესულია ვახტანგ მალაყმაძისეული სამეცნიერო ანალიზიც ამა თუ იმ საკითხის გარშემო. ვახტანგ მალაყმაძეს, ძირითადად, გამოყენებული აქვს შემდეგ ავტორთა შრომები: იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, მიხაკო წერეთელი, მარიამ ლორთქიფანიძე, იური სიხარულიძე, წათე ბაწაში, ბიჭი თეზელიშვილი. წიგნი გამოცემულია გრიფით – „სერიალი: ხალხთა ისტორია და კულტურა“. გამომცემელია „სორუნ იაინლარი“ (სორუნის გამომცემლობა). პირველი გამოცემა შედგა 1998 წელს, ხოლო მეორე – 2005 წელს. საყურადღებოა გამომცემლობის წინასიტყვაობაც, რომელსაც „სორუნ იაინლარის“ კოლექტივი აწერს ხელს: „ეს კრებული შავიზღვისპირეთის რე-

გიონში მცხოვრები და კავკასიის ხალხების ერთი ნაწილის ისტორიას და კულტურას ეძღვნება. ჰ. ჰაიარიოლლუმ ცხრა სხვადასხვა ავტორის ნაშრომი თარგმნა და შეადგინა კრებული. ცხადია, ამ ნაშრომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის სრულყოფილი წარმოჩენა მიზანად არ დაუსახავს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ასიმილაციური პროცესები და არ არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი მეცნიერება, ეს მკვლევარი შეეცადა წარმოედგინა შედარებით ობიექტური სამეცნიერო ხედვები შავიზღვისპირეთის ხალხების ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ“.

კრებულში წარმოდგენილია ქართველების (ჭანების//ლაზების, მეგრელების, სვანების) ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხები, ასევე, ზოგადად საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაბმული თხრობაცაა მოწოდებული უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის შუაწლებამდე. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვ. მალაყმადის მიერ თურქული წყაროებიდან ამოკრებილი ინფორმაცია, მაგალითად, „ისლამური ენციკლოპედიის“ ცნობა ლაზთა ქართული წარმოშობის შესახებ („ლაზები ქართველთა ერთ-ერთი შტოა“) და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს სვანეთის ტრადიციული ყოფის ამსახველი თავი, სადაც მოცემულია უადრესად საინტერესო ანალიზი სვანეთის ხალხური დღესასწაულების, ეპოსის (ბეთქილის ციკლი) და მენტალობის შესახებ. კრებულში ქართველთა გვერდით წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა – აფხაზთა და ოსთა – ისტორია და ყოფა, ასევე, თურქეთის აღმოსავლეთშავიზღვისპირეთში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა (ხემშინები, ჩეფნილერები) ისტორიისა და კულტურის საკითხები.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ვახტანგ მალაყმადე იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე, იგი ქართული იდენტობისა და კულტურის გადარჩენისაკენ მიმართული ყველა კეთილი წამოწყების მონაწილე, მხარდამჭერი, ხშირ შემთხვევაში, ინიციატორიც იყო. ახმედ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ეროვნულ-კულტურული მოძრაობის წარმართვის მთელი სიმძიმე იტვირთა. სწორედ მისი რჩევებითა და თანადგომით შეძლო ქართველ მოღვაწეთა ახალგაზრდა თაობამ (გურამ ხიმშიაშვილი//მუსტაფა იაკუთი, გიორგი ირემადე//შემსეთინ იემ, გურამ ქოქოლაძე, მამია ლუმბაძე, იბერია მელაშვილი/ოზკანი და სხვები) დიდი ახმედ მელაშვილის მიერ დაწყებული კულტურული მოძრაობის გაგრძელება. ვახტანგ მალაყმადე იდგა 1980-იან წლებში დაარსებული ქართული საზოგადოებების სათავეებთან და

აძლევედა ახალგაზრდებს სწორ მიმართულებას. ამავე დროს, ვახტანგ მალაყმაძე დაუცხრომლად იცავდა მეცნიერულ ობიექტურობას და ცდილობდა ქართველთა ისტორიისა და კულტურის რეალური სურათის მიწოდებას ფართო საზოგადოებისათვის.

ვახტანგ მალაყმაძეს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მხარში ედგნენ მეგობრები და თანამოაზრეები: ჰასან აიღინი, ნური ჩელები, ჯაზიმ და ნაზი ირემადეები, ასლან ლაჩემბალა, აჰმედ ინჩერი, ენდერ სავჯინი (იგი დაეხმარა ვახტანგ მალაყმაძეს „ლაზების ისტორიის“ გამოცემის საქმეში), გურამ და ფატი ხიმშიაშვილები, გიორგი ირემადე, გურამ ქოქოლაძე/ერგუნ ათაბაი, იბერია და ეკა მელაშვილები//ოზკანები და სხვები. ბატონმა გურამ ხიმშიაშვილმა დააკავშირა ვახტანგ მალაყმაძე გამომცემლობა „სიორუნ იანილარ“-თან, ეხმარებოდა ნაშრომების კორექტირებაში, უგვარებდა ადმინისტრაციულ და საკანცელარიო საკითხებს.

ვახტანგ მალაყმაძე მორწმუნე მუსლიმი გახლდათ, მაგრამ ნებისმიერი საზოგადოებრივი შეხვედრის ან დისკუსიის დროს მკაფიოდ ავითარებდა აზრს, რომ მთავარი ქართველების ერთიანობაა, მიუხედავად რელიგიური განსხვავებულობისა.

ბუნებრივია, ვახტანგ მალაყმაძის ნაშრომებით საქართველოს კულტურული საზოგადოებაც დაინტერესდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების“ (ხელმძღვანელი – პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი) წვლილი. ვახტანგ მალაყმაძე საქართველოში რამდენიმეჯერ მოიწვიეს. იგი პირველად 1977 წელს ჩამოვიდა საქართველოში. ვახტანგ მალაყმაძე ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმებში, ილიასა და აკაკის საიუბილეო საღამოებში მონაწილეობდა<sup>3</sup>.

მას საქართველოს კულტურის სამინისტრომ სთხოვა იუნიუს ემრეს ნაწარმოებების თარგმნა. ქართულიდან თურქულად თარგმნა ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „ხიდი“. ეს პიესა ტრაპიზონის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში შევიდა და ხანგრძლივი დროით დამკვიდრდა. ასევე თარგმნა ქართველ მწერალთა შემოქმედება და გამოსცა „12 ქართველი მწერლის მოთხრობები“.

ვახტანგ მალაყმაძე პოეტიც იყო. 1960 წელს დაწერა ლექსი: მუთლუ-

---

<sup>3</sup> ლ. ჩლაიძე. თურქეთელი ქართველები. კრებ.: „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“. თბ. 2006.

ლუქ დილენჯირერი – ბედნიერების მათხოვრები, რომელიც ფართოდ გავრცელდა და პოპულარობით სარგებლობდა მთელ თურქეთში. ამ ლექსზე სერთარ ბაჯანმა დაწერა მუსიკა და იგი 60-იანი წლების პოპულარულ სიმღერად იქცა.

ვახტანგ მაღაყმაძეს სამი ძმა და ერთი და ჰყავდა: სერვეთი, საამი, ალი, სულთან, რომელთაგან ერთი (საამი) ახლაც ცოცხალია და ინეგოლში ცხოვრობს. ვახტანგ მაღაყმაძის მეუღლე ეთნიკური ქართველია, ინეგოლის რაიონიდან. მათ შეეძინათ სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. 1987 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ვახტანგის 17 წლის ვაჟიშვილი – გიურქანი. გამოძიებამ მკვლელის ვინაობა ვერ დაადგინა და ყველაფერი „ბრმა ტყვიას“ დაბრალდა. ვახტანგის მეორე ვაჟს (ვაჟა/გიურჯა მაღაყმაძე) სამი შვილი ჰყავს, რომელთაც სახელები ბაბუამ შეურჩია: არჩილი, თამარი, ლაშა. ქალიშვილი – ნესტანი/ნესრინი ქართველზეა გათხოვილი, ორი შვილი ჰყავს და ყველანი ინეგოლის რაიონში ცხოვრობენ.

დღეს ამ დიდი მამულიშვილის სახელი, სამწუხაროდ, მივიწყებულია. ვფიქრობთ, აუცილებელია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ვახტანგ მაღაყმაძის სახელის უკვდავყოფისათვის საქართველოში. ცნობილია, 2010 წელს ახმედ მელაშვილის სახელი მიენიჭა თბილისის 31-ე სკოლას, ამ ფაქტმა თურქეთის ქართველთა შორის დიდი სიხარული გამოიწვია. სასურველია, მსგავსი ნაბიჯები გადაიდგას ვახტანგ მაღაყმაძის სახელის უკვდავყოფის კუთხითაც.

ვახტანგ მაღაყმაძის პირადი არქივის დიდი ნაწილი ხანძრის შედეგად დამწვარა, გადარჩენილი ერთი ნაწილი კი დაცულია „ქართული ხელოვნების სახლში“ (დამფუძნებელი ბატონი გიორგი ირემაძე//შემსეთინ იემ). 2012 წლის ზაფხულისათვის დაგეგმილია არქივის მეცნიერული შესწავლა და კატალოგიზირება (პროფესორი ლია ჩლაიძე, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი).

*Rozeta Gujejiani*

**VAKHTANG MALAKMADZE (HAYRI HAYRIOGLU) – GEORGIAN  
SCIENTIST AND PUBLIC FIGURE IN TURKEY  
(1936-2002)**

Summary

Vakhtang Malakmadze, whose official Turkish name is Hayri Hayrioglu, takes a special place among the ethnic Georgians of the Republic of Turkey during the 20<sup>th</sup> century. Unfortunately, his name is mostly unknown for the broad masses of the Georgian society.

The name of Vakhtang Malakmadze (Hayri Hayrioglu) is closely connected with the name of famous Georgian public figure Akhmed Melashvili. Vakhtang Malakmadze was Akhmed's closest friend, his scientific consultant and his great supporter. They created the base of scientific data, found historical, ethnographic material and restored the connection with the Georgian culture together with other great public figures.

Vakhtang Malakmadze entered the police school of Ildiz in Istanbul in 1960; after graduation he worked on high posts in the civil defense sphere in different Vilaiets. Vakhtang Malakmadze's tense labour rhythm continued until 1982. At the same time he was working on scientific and public issues. He was the initiator of every Georgian affair, supporter and protector of every Georgian public figure.

After he retired, Vakhtang Malakmadze worked in the direction of saving and studying Georgian culture. Unfortunately, he went blind during the last years of his life. He died in 2000.

In the 60s of the 20<sup>th</sup> century Vakhtang Malakmadze and Akhmed Melashvili, together with other public figures, began working on saving Georgian identity, waking and developing the national feelings among Georgians in Turkey.

Vakhtang Malakmadze prepared and published "Georgian Children's Tales". The book was published in two volumes and became very popular. It is important, that the book was positively estimated by the state department –

Ministry of Education of Turkey.

Vakhtang Malakmadze, Akhmed Melashvili and other Georgian public figures in Turkey were trying to introduce common Georgian culture to the Lazs in Turkey. Vakhtang Malakmadze was working on the issues of history and origin of Lazs for a year and a half. Scientific materials, naturally, proved the facts that Lazs were the part of common Georgian culture. M. Vanishili's and A. Tandilava's work "The History of Lazs", translated into Turkish by Vakhtang Malakmadze and published in 1992/3 was one of the first works by which Turkish society and Lazs themselves found out the issues of Lazs' history, origin and culture – objective scientific analysis of these problems. By spreading this work began the fight for saving traditional culture of Lazs; the objective reality that the history of Lazs' ethnogenesis is indivisible from Georgians' history and Lazs' traditional culture is part of Georgian culture as well, became obvious.

Vakhtang Malakmadze was working on the issues of Georgian history for a long time. He wanted to provide Georgians in Turkey with Georgian history translated into Turkish. After several years of work he translated "Georgian History" by Ivane Javakhishvili, Niko Berdzenishvili and Simon Janashia. Naturally, the problem was finding sum for publishing the book and the famous publishing house "Sorun Iainlar" helped solving this problem. "Georgian History" was published in 1997, then republished in 2000. The book contains 305 pages. Nowadays this book is the main publication about Georgian history and culture and it is widely used by the interested part of Turkish society.

"From Trapizon to Abkhazeti – the History and Culture of the people of Eastern Black Sea Coast Region" – another work made, composed and translated into Turkish by Vakhtang Malakmadze is dedicated to the popularization of Georgian culture. The work is the collection of the publications of several famous authors and it contains Vakhtang Malakmadze's scientific analysis of some issues as well. The collection presents the issues of Georgians' (Chans'/Lazs', Megrels', Svans') traditional life and culture as well as the Georgian history and culture in common, from the ancient period up to mid-20<sup>th</sup> century. The information collected from the Turkish sources by Vakhtang Malakmadze is very important, for example, notification of "Islam Encyclopedia" about Lazs' Georgian origin, etc. The Chapter about the traditional life of Svaneti gives interesting analysis of folk celebrations, epos and mentality. The collection presents the history and life of Abkhazians and Ossetians – ethnic groups living on the territory of Georgia, as well as the

historical and cultural issues of the ethnic groups living in the eastern Black Sea coast region (Khemshinebi, Chephnilerebi).

Together with the scientific activity, Vakhtang Malakmadze was very important and active public figure. He was the participant, supporter and in most cases, initiator of every activity connected to saving Georgian identity and culture. After the tragic death of Akhmed Melashvili, he became the leader of the national-cultural movement. According to his advices and with the help of his supporting, the new generation of Georgian public figures (Guram Khimshvili/Mustapha Yakut, Iberia Melashvili/Ozkan, Giorgi Iremadze/Şemsettin Iyem, Mamia Dumbadze and others) managed to continue the cultural movement which was started by Akhmed Melashvili.



*როლანდ თოფჩიშვილი*

## ქართული ეთნოლოგიის წარსული, აწმყო და მომავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს ეთნოლოგია განეკუთვნება. როგორც სამეცნიერო დისციპლინა ის XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. მეცნიერება, რომელსაც ვემსახურებით „ეთნოგრაფიის“ სახელწოდებით, პირველად ავგუსტ შლიოცერმა მოიხსენია. როგორც აღნიშნავენ, მან ეს შეგნებულად გააკეთა, რათა ხალხთა ისტორია სახელმწიფოთა ისტორიისაგან გამოეცალკეებინა,<sup>1</sup> ხოლო ცნების „ეთნოლოგია“ ავტორობა კი ეკუთვნის ა. შავანესს.<sup>2</sup> თუმცა საკამათო არაა, რომ ეთნოლოგიას ფესვები კლასიკურ ანტიკურ პერიოდში აქვს გადგმული. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეთნოლოგიის „წინა სამეცნიერო“ პერიოდი ძალიან ხანგრძლივი იყო.

ქართული მეცნიერული ეთნოლოგია სათავეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში იღებს; სისტემატური ეთნოლოგიური კვლევა-ძიების დაწყება კი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელთანაა დაკავშირებული – მისი მოღვაწეობა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება.<sup>3</sup> ქართველთა შესახებ ეთნოლოგიური მონაცემები უძველეს წერილობით ძეგლებშია დაფიქსირებული. რაც მთავარია, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ისეთივე ეთნოლოგი გახლდათ, როგორც ისტორიკოსი და გეოგრაფი. ვახუშტის გვერდს ვერ უვლის ვერც ერთი ეთნოლოგი, რომელი მიმართულებითაც უნდა მოღვაწეობდეს იგი. თუმცა ჩვენი მიზანი არაა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორიის თხრობა – მას სათანადოდ და კარგადაც სწავლობენ. დამაფიქრებელია დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მომავალი.

<sup>1</sup> П. Л. Белков. Этнос и мифология (элементарные структуры этнографии). СПб. 2009, გვ. 11.

<sup>2</sup> X. Ф. Формойлен. Происхождение и институционализация понятия. Völkerkunde (1771-1843). ЭО. №4. 1994, გვ. 102

<sup>3</sup> ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი. საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორია ნაწილი პირველი. თბ. 2009, გვ. 438-446.

ეთნოლოგიას, სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, გარკვეული ბედი (თუ უბედობა) დაჰყვა თან, რაც მის საგანსაც ეხება და სახელწოდებასაც. რას სწავლობს ეთნოლოგია? თითქმის არ არსებობს ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება, თუმცა ეს განმარტებანი შინაარსობრივად მაინცდამაინც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. წიგნში „თეორიული ეთნოლოგია“<sup>4</sup> ეთნოლოგიის ვრცელი განმარტება გვაქვს მოცემული, თუმცა სტუდენტებს ხშირად ს. ლურიეს მარტივ და მოსწრებულ განმარტებას ვთავაზობთ ხოლმე: „ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას“. ეთნოლოგიის ყველა მსახური ერთ რამეზე ნამდვილადაა შეთანხმებული: ეთნოლოგიის საკვლევი სფეროებია – **ეთნოსი**, **საზოგადოება (სოციუმი)** და **კულტურა**. ეთნოლოგიური მეცნიერება ამ სამ პოსტულატს, საფუძველს ეყრდნობა. ასე რომ, ეს მეცნიერება მოვლენათა ფართო სპექტრს მოიცავს: სამეურნეო-ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კულტურულს, რელიგიურს, ყოფითი ცხოვრების ყველა დეტალს. სწავლობს ყველაფერს, რაც კი ადამიანს, და ადამიანთა ჯგუფებს მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროებში შეუქმნია. ვრცელია ქრონოლოგიური პერიოდიც – პირველყოფილი საზოგადოებიდან თანამედროვე საზოგადოებამდე, პირველყოფილი სოციუმებიდან და ტომებიდან თანამედროვე, ყველაზე განვითარებულ სოციუმებამდე და ნაციებამდე.

ერთი ფრიად არსებითი მახასიათებელიც აქვს ეთნოლოგიას; მისი კვლევის ასპექტი და მიმართულება სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო. თავდაპირველად ის წარმოიქმნა, როგორც პირველყოფილი, პრიმიტიული, ბუნებრივი, არაპოლიტიკური ხალხების (ანდა საზოგადოების) შემსწავლელი მეცნიერება. შემდეგ მისი კვლევის სფერო ყველა ეთნოსს, ყველა საზოგადოებას და მათ მიერ შექმნილ კულტურას შეეხო.

ეთნოლოგიურ მეცნიერებას უცბად არ უპოვია თავისი თავი. მან დღევანდელი სახე ხანგრძლივი განვითარებისა და წინააღმდეგობების შედეგად მიიღო (ამისათვის საკმარისია ის მეცნიერული მიმართულებები, სკოლები და თეორიები გავიხსენოთ, რომლებიც ამ მეცნიერებაშია). ეთნოლოგიის საფუძველჩამყრელები ვერც იფიქრებდნენ, რომ პრიმიტიული, პირველყოფილი ხალხების, და საზოგადოებების შემსწავლელი მეცნიერება ცივილიზებული, დამწერლობისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ეთნოსების შემსწავლელ მეცნიერებად იქცეოდა. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ეთნოლოგთა

<sup>4</sup> რ. თოფნიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია. თბ. 2010.

უმრავლესობა საფუძვლიანად მიიჩნევს და წინასწარმეტყველებს, რომ დარგს მომავალში კვლევის ახალი ასპექტები გაუჩნდება. თუ რატომ, ამაზე პასუხი ძნელად გასაცემი არაა. ადამიანთა საზოგადოება, ეთნოსები და მათ მიერ შექმნილი კულტურა მუდმივად ცვლილებას განიცდიდა და განიცდის. ასე იქნება მომავალშიც. იმედია, ეთნოსები და საზოგადოებები მუდმივად იარსებებენ. კულტურათა დაახლოების მიუხედავად, ის მაინც ერთგვაროვანი ვერ გახდება და ეთნოლოგებს კვლევის სფერო, სამკალი ყოველთვის ექნებათ. კლოდ ლევი-სტროსიც ხაზგასმით აღნიშნავდა, ანთროპოლოგია (ეთნოლოგია) იარსებებს ზუსტად იმდენ ხანს, რამდენადაც იქნება კულტურული განსხვავება, რომელიც მის საგანს წარმოადგენს.<sup>5</sup> იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კლასიკურმა ეთნოლოგიამ მომავალში შეიძლება დაკარგოს თავისი კვლევის ჩვეული საგანი, მაგრამ ახალი და მოსაზღვრე მიმართულებები (ეთნოსოციოლოგია, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოპოლიტოლოგია) განვითარდება.<sup>6</sup>

ეთნოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება ახალ ეპოქასთან, კოლონიალიზმის ეპოქასთანაა დაკავშირებული. დამწერლობისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხს სხვა კონტინენტზე დაპყრობილი ეთნოსების ისტორია აინტერესებდა, აინტერესებდა მათთვის დღემდე უცნობი ეთნოსები, საზოგადოებები და ეთნიკური (ტრადიციული) კულტურა. ეს ინტერესი პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. მიზანი ავტოქტონი ხალხების ადვილად მართვა გახლდათ. პირველყოფილი, პრიმიტიული ხალხების შესასწავლად წერილობითი ძეგლები არ არსებობდა, რადგან მათ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ისტორია არ გააჩნდათ. საჭირო შეიქნა ხალხის ისტორიის შექმნა. ხალხთა ისტორიის შემქმნელი კი ეთნოლოგები აღმოჩნდნენ, რომელთა წყაროც არა წერილობითი ძეგლი, არამედ ველი, ველზე ადგილობრივთაგან მიღებული ინფორმაცია იყო. ასე რომ, ეთნოლოგიურ მეცნიერებას, გარდა თეორიულ-სამეცნიერო მიმართულებისა, თავიდანვე გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა.

შეიძლება მთელი სერიოზულობით ითქვას, რომ პირველი ეთნოლოგები, ჩვენი წინამორბედები, დარგის საფუძველჩამყრელნი დამპყრობი, კოლონიზატორი ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდნენ. ეთნოლოგიური აღწერილობის მიზანი სტრატეგიული ჯაშუშობაც იყო. ასე თუ ისე, დროთა განმავლობაში,

<sup>5</sup> К. Леви-Строс. Первобытные мышление. М. 1999, გვ. 36; П. Л. Белков. Этнос и мифология (элементарные структуры этнографии). СПб. 2009, გვ. 61.

<sup>6</sup> С. А. Арутюнов. С. И. Рыжакова. Культурная антропология. М. 2004, გვ. 22.

ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და შემდეგ ეთნოლოგია სახელმწიფოებრიობისა და დამწერლობის მქონე ეთნოსების შემსწავლელ მეცნიერებადაც იქცა. ამ ხალხებსაც ხომ ჰქონდათ შექმნილი ხალხური, ეთნიკური კულტურა, საზოგადოება (სოციუმი), რაც წერილობით წყაროებში არ იყო ასახული.

ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის სისტემატური შესწავლა, როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. დასამალი არაა, რომ ქართველმა ეთნოლოგებმაც მოუხადეს ხარკი მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც მას თავდაპირველად გააჩნდა (ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა პერიოდში, თითქმის 1970-იანი წლების შუა ხანებამდე, უნივერსიტეტებში ერთ საგნად ისწავლებოდა ორი სრულიად განსხვავებული დისციპლინა. სალექციო კურსის სახელწოდება იყო „პირველყოფილი საზოგადოების ისტორია და ეთნოგრაფიის საფუძვლები“). მიიჩნევდნენ, რომ ქართველ მთიელთა საზოგადოება იყო პრიმიტიული, პირველყოფილი საზოგადოება, გაყინული და გაქვავებული რამ, რომ აქ გვაროვნული საზოგადოება (ურთიერთობები) ან მისი გადმონაშთები არსებობდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ყურადღება საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ საზოგადოებებზე იქნა გადატანილი და ბევრი რამ ბარელთა და მთისწინელთა ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესახებ, ფაქტობრივად, შეუსწავლელი დარჩა. თუმცა ივანე ჯავახიშვილის შორსმჭვრეტელურმა აზროვნებამ ამ სფეროშიც იჩინა თავი და მან კორესპოდენტები ეთნოგრაფიული მასალების (მეურნეობის ფორმების, მატერიალური კულტურის) შესაგროვებლად მთაშიც გააგზავნა, ბარშიც და მთისწინეთშიც, აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთ საქართველოშიც.

ვიდრე ქართულ ეთნოლოგიას დაწვრილებით შეეკვხებით, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ეთნოლოგიის კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. მხოლოდ ამ თავისებურებას გავიხსენებთ, რადგან ის, ყველა მკვლევრისათვის ისედაც ცნობილია. სხვადასხვა ჰუმანიტარული მეცნიერება თითქმის თავის თავშია ჩაკეტილი. შესაძლებელია მათაც აქვთ (ალბათ, აქვთ) შეხების წერტილები მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან, მაგრამ არა ისე, როგორც ეთნოლოგიას. ეთნოლოგიას შეხებისა და გადაკვეთის წერტილები გააჩნია ისტორიასთან, არქეოლოგიასთან, ფიზიკურ ანთროპოლოგიასთან, ფოლკლორთან, ენათმეცნიერებასთან, სოციოლოგიასთან, რელიგიის ისტორიასთან, ეკონომიკასთან, ფსიქოლოგიასთან, არქიტექტურასთან, ბოტანიკასთან, ზოოლოგიასთან. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ეთნოლოგიას სხვადასხვა მიმართულება გააჩნია – ის სწავლობს ხალხებს (ეთნოსებს), საზო-

გადოებებს (სოციუმებს) და მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამეურნეო ყოფას და სოციალურ ურთიერთობებს. ქართული ეთნოლოგია არც ერთი ამ მიმართულების მიმართ ვალში არ დარჩენილა. ვალში მხოლოდ ეთნოლოგიის ერთი მიმართულების მიმართ აღმოჩნდა. ესაა ეთნოსი, ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია. ამ პრობლემას, გარკვეული მიზეზების გამო, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საბჭოთა პერიოდში მას მხოლოდ ერთი ნაშრომი მიეძღვნა.<sup>7</sup>

კიდევ ერთი „ნაკლის“ შესახებაც უნდა ვთქვათ. ქართველი ეთნოლოგები მხოლოდ ქართველ ხალხს, მის მიერ შექმნილ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს სწავლობდნენ. არადა, როგორც აღვნიშნეთ, ეს დარგი წარმოიქმნა, როგორც სხვა ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერება. ქართველი მეცნიერების ეს მიმართულება სათანადო ობიექტური მიზეზებითაც იყო განპირობებული. არსებული რესურსი მხოლოდ ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის შესასწავლად იყო საკმარისი. თუმცა, მიგვაჩნია, რომ მაინც საჭირო და აუცილებელი იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ეთნოლოგიური თვალთახედვით კვლევა. ქვეყნის ტიტულოვანი ეთნოსი ვალდებული იყო ეს გაეკეთებინა. აფხაზთა, ოსთა და სხვათა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის კვლევა, იშვიათ, გამონაკლისების გარდა, მხოლოდ ამ ეთნოსთა წარმომადგენელ მეცნიერთა გასაკეთებელ საქმედ მივიჩნით. ეთნიკური ურთიერთობების კვლევა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო. იქნებ ეს პრობლემები (ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური დაპირისპირება, ქართულ-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული... ურთიერთობები) ამ სახით აღარც ყოფილიყო, ქართულ ეთნოლოგიას რომ თავის დროზე ქვეყანაში ისტორიულად არსებული ეთნიკური ურთიერთობები ეკვლია, ეკვლია მათი დასახლებისა და მიგრაციის საკითხები, ინტეგრაციის პრობლემები. ყოველ შემთხვევაში იქნება ასეთ სავალალო შედეგებამდე მაინც არ მივსულიყავით. გვიან ამის საჭიროება ხელისუფლებამაც და მეცნიერებამაც იგრძნეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულ-არაქართული პარალელების კვლევა უკვე დაგვიანებული იყო. დაგვიანებული იყო კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გახსნაც ისტორიის ინსტიტუტში და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლაც. თუმცა, ცნობილია, თუ რაოდენ

<sup>7</sup> მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები. თბ. 1978; იხ. აგრეთვე: რ. თოფჩიშვილი. ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბ. 2008.

დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ ამ განყოფილების შემქმნელთ. საქართველოში ხომ მუდამ პირად ამბიციებს ქვეყნის საერთო საქმეზე მალლა აყენებდნენ. ამ თვალსაზრისით ქართველ ეთნოლოგთა ღვაწლს ვერც კი შევადარებთ ქართველ ენათმეცნიერთა ღვაწლს. დროთა განმავლობაში ქართველ ეთნოლოგთა კავკასიელ ხალხთა შესწავლის ერთუზიანზმით დაწყებული საქმე ნელ-ნელა მინავლდა – განყოფილება კი დარჩა, მაგრამ მან თანდათან თემატიკა შეიცვალა.

ეთნოლოგიას ორი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: 1. მიმართულებათა, კვლევის ასპექტთა მრავალფეროვნება და 2. სახელწოდებათა მრავალფეროვნება. ეს ორი რამ ერთმანეთში უშუალოდაა გადაჯაჭვული. უპირინი იქნება ჯერ სახელწოდებაზე ვილაპარაკოთ: **ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია**. აქ წერტილი კი დავსვით, მაგრამ შეიძლება მრავალწერტილის დასმაც, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ამ მეცნიერებას ნაციონალური სახელწოდებებიც გააჩნია. ეს იმ ენებს ეხება, სადაც სამეცნიერო ტერმინოლოგია იქმნებოდა და იქმნება არა ბერძნულ-ლათინური, არამედ ნაციონალური ლექსიკის საფუძველზე. ამ ენებზე ტერმინები „ეთნოლოგია“, „ეთნოგრაფია“, ჩვეულებრივ, კალკირებული სიტყვებით გადმოიცემა. სიტყვამ მოიტანა და თვით ახალბერძნულ ენაზე, ფუძის – „ეთნოსი“ პოლისემიურობის გამო, ხშირად ტერმინ „ეთნოგრაფიის“ ნაცვლად **ლაოგრაფიას** იყენებენ (ბერძნ. ლაოს „უბრალო ხალხი“). გერმანელებს მისი აღმნიშვნელი ორი ტერმინი გააჩნიათ: **ფოლკსკუნდე** – „მეცნიერება ხალხის შესახებ“, ხალხთმცოდნეობა და **ფოლკერკუნდე** – „მეცნიერება ხალხების შესახებ“. ეს ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ: სომხები ხშირად გამოიყენებენ სახელწოდებებს **აზგაგრუტიუნ** და **აზგაგრაკან** (სომხ. აზგ – „გვარი, ხალხი“ და გრელ – „წერა“. შეიძლება გავიხსენოთ, რომ 1896-1916 წლებში თბილისში გამოიცემოდა სომხური ეთნოგრაფიული ჟურნალი „აზგაგრაკან ანდეს“), ჩინელები – **მინ-ცზუ-სიუე** („ხალხი-ტომი-მეცნიერება“), ე. ი. „მეცნიერება ხალხთა სახეების შესახებ“, იაპონელები – **მინ-ძო-კუ-გაკუ** („ხალხი-წეს-ჩვეულებები-მეცნიერება“) – „მეცნიერება ხალხთა წეს-ჩვეულებების შესახებ“. შენიშნულია, რომ ყველა ამ დისციპლინას განსაკუთრებული საკვლევაძიებო მოდელი გააჩნია, აქვს თავისი საკუთარი ორიენტირები და აქცენტები. ჩამოთვლილი ნაციონალური სახელწოდებანი ტერმინების „ეთნოგრაფია“, „ეთნოლოგია“ შინაარსის გამომხატველნი არიან, მათი ეროვნულ ენებზე კალკირებული ფორმებია.

წინააღმდეგობრივ პარალელიზმს ქმნის ორი სახელწოდება: ეთნოლოგია/ეთნოგრაფია და ანთროპოლოგია. ამავე დროს, დიდ ბრიტანეთში ის წარმოდგენილია სოციალური ანთროპოლოგიის, ხოლო ამერიკაში – კულტურული ანთროპოლოგიის სახელწოდებით. პირველ შემთხვევაში მეცნიერების დარგს საფუძვლად უდევს კრებითობის გამომხატველი სიტყვა „ეთნოსი“ (ე. ი. მეცნიერება ხალხების შესახებ) და მეორე შემთხვევაში – ინდივიდუალურობის გამომხატველი სიტყვა – „ანთროპოს“ (მეცნიერება ადამიანის შესახებ). მიიჩნევენ, რომ ანთროპოლოგია ესაა მეცნიერება ადამიანის დროსა და სივრცეში ცვალებადობის შესახებ. თუ ფიზიკური ანთროპოლოგია ადამიანის ორგანიზმის ცვლილებების საკითხების კვლევითაა დაკავებული, კულტურული ანთროპოლოგია ყურადღებას მიაპყრობს კულტურის ვარიანტულობას.

მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლიდა, რომ ტერმინები ეთნოლოგია/ეთნოგრაფია და სოციალური/კულტურული ანთროპოლოგია სინონიმებია. ასე გვაქვს ეს საკითხი განხილული „თეორიული ეთნოლოგიის“ სახელმძღვანელოშიც. გარკვეულ დრომდე არ იწვევდა ეჭვს ის ფაქტი, რომ ყველა ეს სახელწოდება ერთი და იგივე მეცნიერების სხვადასხვა სახელწოდებები იყო. მაგრამ, დღეს მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ „ეთნოგრაფია“, „ეთნოლოგია“, „სოციალური ანთროპოლოგია“, „კულტურული ანთროპოლოგია“ სრულ სინონიმებს არ წარმოადგენს.

საწყისს და განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მართლაც, ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმები იყო, კვლევის სფეროებიც ერთი და იგივე ჰქონდათ და აქვთ, მაგრამ მიმართულებებში გარკვეული განსხვავებაა, რაც მათ ერთმანეთთან აპირისპირებს. ამკარაა, რომ კვლევათა საგნის გაგებაში ეთნოლოგიას და კულტურულ/სოციალურ ანთროპოლოგიას განსხვავება გააჩნიათ და სხვადასხვა სახელწოდებანიც სწორედ ამითაა განპირობებული, მაგრამ თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ განსხვავებას ქმნის არა კვლევის საგანი და არა ის, რომ ისინი სხვადასხვა დისციპლინებია. სწორედ კვლევის საგნის სხვადასხვაობით, მიდგომის სხვადასხვაობით წარმოიქმნა ერთი სამეცნიერო დისციპლინის სხვადასხვა სახელწოდება – ეთნოლოგია და ანთროპოლოგია, უფრო სწორედ ეთნოლოგიას გაეყარა ანთროპოლოგია.

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა, რომელსაც ზემოთ თითქმის უკვე გავცა პასუხი: რომელი იყო უფრო ადრინდელი? რომელი მიმართულება გაჩნდა უფრო ადრე და რომელი გვიან? ამ საკითხს ქვემოთ დაუბრუნდებით.

დარგის თავდაპირველი ერთიანობის მაჩვენებელია სადისკუსიო ველის ერთობა (ერთიანობა). როგორც ეთნოლოგები, ისე ანთროპოლოგები ერთი და

იგივე დილემის წინაშე იდგნენ. ჩვენი მეცნიერება თეორიულია თუ ემპირიული? ის მეცნიერებაა ადამიანზე თუ ხალხებზე (ეთნოსებზე)? ის მეცნიერებაა კულტურის შესახებ თუ საზოგადოების შესახებ? გეოგრაფიის ნაწილია თუ ისტორიის, სოციოლოგიის თუ ბიოლოგიის? მეცნიერებაა წარსულის შესახებ თუ თანამედროვეობის შესახებ? მეცნიერებაა საკუთარი ხალხის შესახებ თუ უცხო, სხვა ხალხების შესახებ? დაბოლოს, არსებობს თუ არა ის როგორც განსაკუთრებული მეცნიერება?

აქ კიდევ ერთი ჩანართი უნდა გავაკეთოთ. საბჭოთა პერიოდში ეთნოლოგია/ეთნოგრაფია ერთგვარად დაკნინებული იყო იმით, რომ ის ისტორიის დამხმარე დარგად, ქვედარგად მიიჩნეოდა. სხვა საქმეა, რომ ისტორიისთვის ფართო გაგებით ის დამხმარე დისციპლინას, მართლაც, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს, რადგან მას ეხმარება მთელი რიგი პრობლემების ახსნაში, მაგრამ არა როგორც დამხმარე დარგი, ქვედარგი, არამედ როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. ისტორიას, როდესაც თავისი წყაროები არ ჰყოფნიდა და ჰყოფნის, დასახმარებლად მიმართავდა და მიმართავს არა მის ქვედარგს, არამედ სრულიად დამოუკიდებელ მეცნიერებას, რომელსაც თავისი კვლევის მეთოდები, არე და საგანი გააჩნია. სხვაგან მას სოციოლოგიის ანდა გეოგრაფიის ქვედარგებად მიიჩნევდნენ. ეთნოლოგიისადმი ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო იმ მიმართულებებით, რომლებიც მას გააჩნდა და გააჩნია. ბუნებრივია, დღეს ეთნოლოგები ვეღარ შევეურიგლებით იმაზე საუბარს, რომ ის რომელიმე სხვა მეცნიერების ქვედარგია, დამხმარე მეცნიერებაა. უბრალოდ ეთნოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, შეხებისა და გადაკვეთის წერტილები მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან გააჩნია. სხვა მეცნიერებისათვის ეთნოლოგია (მაგალითად, ისტორიისათვის) „დამხმარე“ მეცნიერების ფუნქციას, მართლაც, ასრულებს, ისევე როგორც ისტორია – ეთნოლოგიისათვის. ეთნოლოგიისათვის ასეთი „დამხმარე“ ფუნქცია სხვა მეცნიერებებსაც გააჩნია, რადგან ეს დარგი ხალხებთან (ეთნოსებთან) დაკავშირებულ ყველა მოვლენას იკვლევს.

ახლა ისევ კარდინალურ საკითხს დავუბრუნდეთ – რა ამოსავალი პოზიციები აქვთ ეთნოგრაფიას/ეთნოლოგიას და კულტურულ/სოციალურ ანთროპოლოგიას, ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, რა განსხვავებული მიმართულებები, კვლევის რა განსხვავებული საგანი (სფერო) გააჩნია ზემოთ დასახელებულ ძალიან მონათესავე, თითქმის ღვიძლ დაძმებს ერთმანეთისაგან?

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი და მიმართულება ჩამოყალიბდა გერმანიასა და გერმანულენოვან ქვეყნებში, ანთროპოლო-



გია – ინგლისურენოვან ქვეყნებში, ინგლისში სოციალური ანთროპოლოგიის, აშშ-ში – კულტურული ანთროპოლოგიის სახით (სახელით). ამერიკულმა სკოლამ ინგლისელთა სრული სახელწოდება არ გადმოიღო, რადგან მან კვლევა-ძიება განსხვავებული მიმართულებით წარმართა. რა არის წამყვანი, მთავარი, ერთი მხრივ, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიისათვის და, მეორე მხრივ, სოციალური/კულტურული ანთროპოლოგიისათვის? გერმანული სკოლისათვის დამახასიათებელია საისტორიო მიმართულება, ანგლოსაქსონურისთვის – სოციოლოგიური. აი, ესაა ძირითადი, მთავარი განმასხვავებელი ეთნოგრაფია-სა/ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას შორის. ერთი სიტყვით, ამოსავალი პოზიცია ეთნოლოგიისათვის არის ეთნოსი (ხალხი) და ეთნიკურობა და ეთნოსის (ეთნიკური) კულტურა და საზოგადოება (სოციუმი), ანთროპოლოგიისათვის ამოსავალია: სოციალური ანთროპოლოგიისათვის – სოციუმი (საზოგადოება), კულტურული ანთროპოლოგიისათვის – კულტურული მახასიათებლების შესწავლა ყოველგვარი ხალხისა (ეთნოსისა) და ეთნიკურობის გარეშე. ანთროპოლოგიას, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა რჩება ეთნოსი, ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია, ე. ი. ეთნოლოგია და ანთროპოლოგია ამ თვალთახედვითაც ვერ არიან თანხვედრილნი. არადა, თანამედროვე ეთნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე კარდინალური საკითხი სწორედ ეთნოსის, ეთნიკურ ურთიერთობათა კვლევაა. მხედველობაში გვაქვს დღეისათვის ეთნოსთა შორის გამწვავებული ურთიერთობები, კონფლიქტები.

განსხვავებაა ისიც, რომ **დასავლეთში, განსაკუთრებით ანთროპოლოგია-სა და ენობრივ პრაქტიკაში, ტერმინი „ეთნიკურობა“ (მაგალითად, ეთნიკური ცეკვები, ეთნიკური სამზარეულო...), როგორც წესი, ქვეყნის არა ძირითად მოსახლეობას, არამედ ე. წ. ეთნიკურ უმცირესობებს, ეგზოტიკურ ჯგუფებს მიემართება.** ამას მეცნიერებაში იმით ხსნიან (ს. არუთინოვი), რომ ამერიკელები, ამერიკული იდენტურობა არც თუ ისე დიდი ხნის წარმოქმნილია, მაშინ, როდესაც ძველ სამყაროში როგორც დიდ, ისე მცირე ხალხებს არსებობის ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. ჩვენთვის კი მსოფლიოს ყველა ხალხი განსაკუთრებული ერთობაა (კულტურული ერთობა), მიუხედავად იმისა, დიდია, თუ პატარა, ხანგრძლივი ისტორია აქვთ, თუ ხანმოკლე, განვითარების პრიმიტიულ, აგრარულ და ინდუსტრიულ საფეხურზე არიან, დამწერლობის მქონენი არიან თუ უდამწერლობონი.

ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ეთნოლოგიის თავდაპირველ ეტაპზე ეთნოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა განვითარების

პირველყოფილი საზოგადოების საფეხურზე მდგომი უცხო ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის და სოციალური ცხოვრების, ურთიერთობის შესწავლა, აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოების თეორიული პრობლემების შესწავლა. შემდეგ კი თანდათანობით ეთნოლოგიამ დასძლია თავისი თავდაპირველი „ნაკლი“ და მისი კვლევის სფეროდ იქცა ყველა, მათ შორის, მსოფლიოს განვითარებული ხალხების სოციალური, ეთნიკური და სოციოლოგიური პროცესების შესწავლა. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ეთნოლოგია თავდაპირველად მეტროპოლიათა კოლონიური საქმიანობის მოთხოვნილებათა სამსახურში იდგა. მხოლოდ ეთნოლოგიას შეეძლო მიეცა მონაცემები კოლონიის მკვიდრებზე, მათ ყოფაზე, წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე. ობიექტურად ეს მეცნიერება ხელს უწყობდა კოლონიური მმართველობის ფორმების შექმნაში. ეთნოლოგიამ ეს „საყმაწვილო სენი“ დიდი ხანია მოიშორა.

გერმანულენოვან ქვეყნებში ჩამოყალიბებული მეცნიერების მნიშვნელობა მრავალმხრივი იყო. მას ჰქონდა არსებითად არა მხოლოდ სამეცნიერო-თეორიული, წმინდა შექმნებითი, არამედ უფრო ფართო, აქტუალური პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა. ის არასოდეს არ იყო მხოლოდ აბსტრაქტული და მხოლოდ წარსულით დაინტერესებული, რეალურობას მოწყვეტილი დისციპლინა. ქართული ეთნოლოგიის მომავალი ამ ასპექტების წინ წამოწევაში გვესახება. რეალისტები რომ ვიყოთ, ქართულ ეთნოლოგიას თანამედროვეობის შესწავლა არ ეხალისებოდა, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალისტური ყოფა უნდა შეგვესწავლა და გარკვეულ ჩარჩოებში მოვთავსებულიყავით; ზემოდან მოცემული დასკვნისათვის ეთნოგრაფიული მონაცემები უნდა რამენაირად მიგვესადაგებინა. შეუძლებელი იყო თანამედროვეობის მეცნიერულ დონეზე შესწავლა და ხელისუფლებისათვის რეკომენდაციების მიცემა. პირიქით, ხელისუფალთათვის სასურველი დასკვნებისათვის ხელოვნურად უნდა მოგვევრო სათანადო საველე ეთნოგრაფიული მასალა. ასე რომ, წარსულის და თანამედროვეობის კომპლექსში შესწავლა ფაქტობრივად არ ხდებოდა (ვის აინტერესებდა სიყალბის წერა?!). ამიტომ ქართული ეთნოლოგია როგორც წმინდად ისტორიული მიმართულების მეცნიერებად ჩამოყალიბდა. დღეს ეს კრიზისი დასაძლევია. ეთნოლოგს შეუძლია თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩადგეს. ხელისუფლებას უნდა გავაგებინოთ, რომ ეთნოლოგს შეუძლია იყოს ეთნიკური პროცესებისა და ეთნოსთაშორის ურთიერთობების, კონფლიქტების კვლევის შუაგულში, შეუძლია ასახოს თანამედრო-

ვე ქართულ სოფელსა და ქალაქში მიმდინარე რთული სოციალური და კულტურული პროცესები, რომ ეთნოლოგია არა მხოლოდ უბრალოდ ასახავს, აფიქსირებს და სწავლობს სინამდვილეს, მოვლენებს, არამედ აქტიურად მონაწილეობს მოვლენათა გააზრებაში და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და აქედან გამომდინარე ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტებზე.

ორიოდე სიტყვა გერმანული ეთნოლოგიის ისტორიაზე. ტრადიციულ ისტორიულ მიმართულებას აქ ახალი, სოციოლოგიური მიმართულება ომის შემდგომ პერიოდში დაუპირისპირდა. მართალია, ნელა, მაგრამ თანდათან გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელდა ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის იდეები, რაც, ჩვეულებრივ, ეთნოლოგიის „სოციოლოგიზაციის“ ფონზე მიმდინარეობდა. ეს პროცესები დაკავშირებულია რიჰარდ ტურნვალდის სახელთან, რომელზედაც გარკვეული გავლენა ხანგრძლივად აშშ-ში ყოფნამაც მოახდინა. ახალ იდეებს გერმანიაში მოწონებითა და აღფრთოვანებით არ შეხვედრიან. გერმანულ მეცნიერთა ძირითადი ნაწილი წინააღმდეგობას გამოხატავდა მეცნიერების სოციოლოგიის დანამატად ქცევის გამო. ისინი ტრადიციული მიდგომის ერთგულნი რჩებოდნენ (ტურნვალდი ისტორიული და ფუნქციონალური მეთოდების შეხამებას მოითხოვდა). ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ახალმა მიმართულებამ გერმანიაში ეთნოლოგიური საზოგადოების ფართო დაინტერესება, მოწონება ვერ დაიმსახურა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ტურნვალდის მიმდევართა ვიწრო წრეს. ეთნოლოგიის ტრადიციული მიდგომის მომხრეები ახალ მიმართულებას ინგორირებას უკეთებდნენ. მიიჩნევენ, რომ გერმანიაში ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის გავრცელებამ და ეთნოლოგიისა და სოციოლოგიის გაერთიანების მცდელობამ, ამ უკანასკნელისათვის უპირატესობის მინიჭებით, ეთნოლოგიას ზიანი მიაყენა და გარკვეულწილად მისი ადრინდელი პოზიციების დათმობა გამოიწვია, რადგან ის სოციოლოგიამ შეავიწროვა. შემთხვევითი არაა, რომ ეთნოლოგიური მეცნიერების სახის დაკარგვა, ფუნდამენტალური თეორიული ეთნოლოგიური პრობლემების დამუშავებაზე უარის თქმა, პროფესიონალიზმის დაკარგვა, დილეტანტიზმის დანერგვა ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის შეღწევას მიაწერეს.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მსჯელობა იმას ემსახურებოდა, რომ ხაზი გაგვესვა ეთნოგრაფიის/ეთნოლოგიის და ანთროპოლოგიის არაერთგვაროვნებაზე. ამ შეხედულების გასამყარებლად ცნობილ მეცნიერებსაც უნდა მივმართოთ. რედკლიფ ბრაუნი წერდა: „ეთნოლოგია კულტურას სწავლობს ისტო-

რიული რეკონსტრუქციის მეთოდით, ხოლო სოციალური ანთროპოლოგია ეძებს და იკვლევს საერთო კანონებს, რომლებიც კულტურის მოვლენებზე მიღმა დგას“.<sup>8</sup> იმავე რედკლიფ-ბრაუნის მითითებით სოციალური ანთროპოლოგიის მიზანი პრიმიტიული საზოგადოებების შესწავლაა. ამავე მოსაზრების იყო მალინოვსკი; იგი სოციალურ ანთროპოლოგიას, რომელიც პრიმიტიულ ხალხებს სწავლობს, სოციოლოგიის დარგად მიიჩნევდა. ანალოგიური დასკვნები ჰქონდა ე. გელნერსაც. ის, ერთმანეთს უპირისპირებდა რა ანთროპოლოგიასა და სოციოლოგიას, წერდა: ანთროპოლოგია სწავლობს პრიმიტიულ საზოგადოებებს, სოციოლოგია – განვითარებულს, ანთროპოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, სოციოლოგია – თეორიული. ასე რომ, ანთროპოლოგია, განსაკუთრებით სოციალური ანთროპოლოგია, უპირატესობას „პრიმიტიულ“ საზოგადოებებს და თანამედროვე საზოგადოების მცირე ჯგუფებს ანიჭებს. პრაქტიკულად „პრიმიტიულ“ საზოგადოებებს აშკარად უპირატესობა ენიჭება. XX საუკუნის ბრიტანული ანთროპოლოგიის საყველთაოდ აღიარებული წარმომადგენელი ე. ევანს-პრიჩარდიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალური ანთროპოლოგია სხვა კულტურების მნიშვნელობის გაგებაზე ორიენტირებული ჰუმანიტარული დისციპლინაა.<sup>9</sup> ამ სხვათა კულტურაში ის, ბუნებრივია, არავერობელი (პრიმიტიული) ხალხების, საზოგადოებების კულტურას გულისხმობდა. თუმცა ე. ევანს-პრიჩარდი 1950-იანი წლებიდან გადაჭრით გამოდიოდა სოციალური ანთროპოლოგიისა და ისტორიის სინთეზის მომხრედ. ამის გამო, ზოგიერთი მის გერმანევიკის თეორიულ პოზიციებზე გადასვლაზეც კი მიუთითებდა. არავის უსყვედურია ეთნოლოგიისათვის იმის შესახებ, რომ ის რომელიმე სხვა მეცნიერების კვლევის სფეროში შეიჭრა. ანთროპოლოგია კი ამ საყვედურებს იღებდა. აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი სოციოლოგი ტ. პარსონსი წერდა: *«Трудно охарактеризовать, то особое положение, которое занимает антропология, потому что в определённых отношениях... она присвоила себе область ещё более широкую, чем область самой социологии, тогда как в других отношениях она сконцентрировала своё внимание на культурах и обществах, не знающих письменности»*.<sup>10</sup>

<sup>8</sup> П. Л. Белков. Этнос и мифология (элементарные структуры этнографии). СПб. 2009, გვ. 26.

<sup>9</sup> А. А. Никишенков. История британской социальной антропологии. СПб. 2007, გვ. 324; А. А. Никишенков. Эдвард Эванс-Причард в истории антропологической мысли. – в кн.: Э. Эванс-Причард. История антропологической мысли. М. 2003, გვ. 223-251.

<sup>10</sup> Т. Парсонс. Американская социология. Перспективы. Проблемы. Методы. М. 1972, გვ. 362-363 (თარგმანი წიგნისა: American Sociology. Perspectives. Problems, Methods/ Ed. by T. Parsons. New York; London, 1968).

არ შეიძლება მოკლედ სტრუქტურული ანთროპოლოგიის ფუძემდებლის კ. ლევი-სტროსის შეხედულებასაც არ შევეხოთ. ის საუბრობდა როგორც ეთნოგრაფიაზე, ისე ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიაზე. მისი დასკვნით, ისინი, ვინც ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებს სწავლობენ რომელიმე ერთ რეგიონში, ეთნოგრაფები არიან, მეორენი, რომლებიც ამ ფაქტებს განაზოგადებენ და მეზობელი ხალხების ანალოგიურ მოვლენებსა და ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთის ფაქტებს ერთმანეთს ადარებენ – ეთნოლოგები. მაგრამ, – აცხადებდა კ. ლევი-სტროსი, – ეს სრულიადაც არაა საკმარისი, საჭიროა არა „დეულურობა“ (ეთნოგრაფია, ეთნოლოგია), არამედ ტრიადა (ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია): ეთნოგრაფია – კონკრეტული ფაქტების რეგისტრაცია; ეთნოლოგია – შედარებითი მეთოდის გზით სინთეზის პირველი სტადია; ანთროპოლოგია – სტრუქტურული მეთოდის გზით სინთეზის უფრო მაღალი სტადია, რომლის არსიცაა ადამიანთა შეუცნობადი გონების ერთობლიობიდან სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა.<sup>11</sup> ღიახ, კ. ლევი-სტროსისათვის ეთნოლოგია ანთროპოლოგია არაა; ეს უკანასკნელი უფრო ფილოსოფიური მეცნიერებაა. ფრანგი მეცნიერი თავად გამონაკლისი იყო – კონკრეტულ ფაქტებს როცა აგროვებდა, ეთნოგრაფს წარმოადგენდა. ამ ფაქტების ანალიზისას ეთნოლოგი გახლდათ, მაგრამ, როდესაც ღრმა, ფილოსოფიური ანალიზისას, ეთნოლოგიის ველიდან გადიოდა – ანთროპოლოგი. კ. ლევი-სტროსი „პრიმიტიულ“, „პირველყოფილ“ ხალხებს სწავლობდა (ბრაზილიის ინდიელებს). ფილოსოფიური განათლების მქონე უფრო შორს მიდიოდა და პირველყოფილი ადამიანის აზროვნებასაც იკვლევდა. პირველყოფილი ადამიანის აზროვნების შესწავლა იყო მისთვის ანთროპოლოგია. დავსძენთ, რომ ფილოსოფიურ ჭრილში ქართველი ადამიანის აზროვნების შესწავლა ეთნოლოგთა საქმე არაა; ამას ფილოსოფოსებიც კარგად ახერხებენ, არა ეთნოგრაფიული ფაქტის ეთნოლოგიური ანალიზის შედეგად, არამედ წერილობითი ძეგლებით. ქართული ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის მიზანი ყოველთვის ქართული ხალხური (ეთნიკური) კულტურის ანალიზი და სინთეზი იყო

უფრო მეტიც, გარკვეული დაპირისპირებაა ანთროპოლოგიის ინგლისურ და ამერიკულ სკოლებს შორის, ანუ სოციალურ ანთროპოლოგიასა და კულტურულ ანთროპოლოგიას შორის. თუ რაა თითოეული მათგანის შესწავლის ობიექტი და რას ანიჭებენ უპირატესობას, ეს მათი სახელწოდებებიდანაც კარგად ჩანს. **სოციალური ანთროპოლოგია საზოგადოების (სოციუმის)**

<sup>11</sup> К. Леви-Строс. Структурная антропология. М. 1983, გვ. 425.

შესწავლას ანიჭებს უპირატესობას, კულტურული ანთროპოლოგია – კულტურის. ისინი ერთმანეთის მიმართ გარკვეულ ოპოზიციებაში არიან. ეთნოლოგია კი ამ ორ მნიშვნელოვან პოსტულატს ერთმანეთის დაპირისპირებაში არ შეისწავლის, ერთიანობაში განიხილავს. როგორც აღნიშნავენ, სოციალური ფაქტის განხილვა ნიშნავს მისი როგორც კულტურული მოვლენის განხილვას, რაც ეთნოლოგიის/ეთნოგრაფიის ამოსავალი თვალთახედვაა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას ბევრი რამ საერთო გააჩნიათ, ისინი სხვადასხვა მეცნიერებებია, მათ კვლევის საგნის მიმართ სხვადასხვა გაგება გააჩნიათ. ეთნოგრაფიაც/ეთნოლოგიაც თავდაპირველად პრიმიტიულ ხალხებს სწავლობდა. მართალია შედარებით გვიან, მაგრამ მან თავის კვლევის საგნად ევროპელი და სხვა ხალხების გლეხური კულტურაც, ტრადიციული კულტურაც აქცია. ტრადიციული კულტურა კი, რა თქმა უნდა, სრულიად იგივე არაა, რაც პრიმიტიული, პირველყოფილი კულტურა. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ, შვედეთში ანთროპოლოგიას უწოდებენ „ჩამორჩენილი“ ხალხების კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას, ხოლო ეთნოლოგიას – ევროპული გლეხური კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას.<sup>12</sup> ევროპელი ხალხების სოციოლოგიური მეთოდებით კვლევა (რასაც ანთროპოლოგია აკეთებს) უაზრობად მიაჩნია ჰანს ფიშერს.<sup>13</sup>

ორიოდე სიტყვით უნდა ვთქვათ საფრანგეთში შექმნილ მდგომარეობაზე. აქ თავიდანვე ეთნოგრაფიას/ეთნოლოგიას ენიჭებოდა უპირატესობა. თუმცა ანთროპოლოგიამაც გაიკაფა გზა. ისინი მშვიდობიანად თანაარსებობენ. პირველის შესანიშნავი და ტიპური წარმომადგენლები არიან მარსელ მოსი თავისი ეთნოლოგიის სახელმძღვანელოთი და არნოლდ ვან გენეპი, ნაშრომით „რა არის ეთნოგრაფია“ და მეორისა – კლოდ ლევი-სტროსი. ფრანგები ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას სხვადასხვა მეცნიერებად მიიჩნევენ. ამის დასტურია ისიც, რომ ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალს „საფრანგეთის მერკური“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცალ-ცალკე ჰქონდა ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის რუბრიკები. ზემოთ დასახელებული ა. ვან გენეპი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიას, რომ წერდა: „XX საუკუნეში ეთნოგრაფია იქცევა საფუძვლად, რომელზე დაყრდნობით შეიქმნება

<sup>12</sup> Р. Борофский. Введение к книге «Осмысливая культурную антропологию» // ЭО. №1. 1995, გვ. 5-6.

<sup>13</sup> Г. Е. Марков. Немецкая этнология. М. 2004, გვ. 366.

კაცობრიობის ფილოსოფიური კონცეფცია“. აქვე ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში ეთნოგრაფიას ფოლკლორის სფეროდაც განიხილავდნენ; ფრანგ მეცნიერთა ძირითადი ნაწილისათვის ეთნოგრაფია იყო იგივე ფოლკერკუნდე, ე. ი. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ყველა ხალხს, ხოლო ფოლკლორი შედარებული იყო ფოლსკუნდესთან, ე. ი. საკუთრივ ევროპელი (მოცემულ შემთხვევაში, ფრანგთა) ეთნოსების შესწავლასთან.<sup>14</sup>

მართალია, ქართველები გეოგრაფიულად ევროპას არ ვეკუთვნივთ, მაგრამ განვითარებით, ცივილურად ევროპის ნაწილად მივიჩნევთ თავს. ყოველ შემთხვევაში, ქართული ეთნიკური კულტურა პრიმიტიულ, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი რომ არაა, ამას ნებისმიერი არაქართველი მეცნიერიც დაადასტურებს. საამისოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორია, ქრისტიანობაზე დაფუძნებული სულიერი კულტურა და ორიგინალური ქართული დამწერლობის დასახელებაც საკმარისია. ქართველი ერის საყოველთაოდ აღიარებული მახასიათებლები შემთხვევით არ მოგვიყვანია; ის ჩვენი საბოლოო დასკვნისთვისაა განკუთვნილი.

XIX-XX საუკუნეებში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. რუსეთის მეცნიერული მოდელი გერმანული იყო. ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაც გერმანული მოდელით მოხდა. ქართული ეთნოლოგიაც, ბუნებრივია, ამ მოდელის შემადგენელ ნაწილად იქცა. ქართული ეთნოლოგია ჩამოყალიბდა როგორც ქართველი ხალხის და მისი ეთნიკური (ტრადიციული) კულტურის შემსწავლელი ისტორიული მიმართულების მეცნიერებად. ის ქართული ცნობიერების შენარჩუნების სამსახურში იდგა და დღესაც დგას.

ქართველ ეთნოლოგთა ერთ გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ეთნოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ, დრო მოჰკადა, რომ ის უფრო ვიწრო ფარგლებით შემოიფარგლება, ვიდრე ანთროპოლოგია, ე. ი. აქვთ სურვილი ეთნოლოგიას სახელი ანთროპოლოგიით შეუცვალონ. რას მოიტანს მეცნიერებისათვის სახელის შეცვლა? ზემოთ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ **ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას კვლევის სხვადასხვა განსხვავებული ასპექტები, მიმართულება გააჩნია**. საკითხავია, სახელის შეცვლით ეთნოლოგია უცბად იქცევა ანთროპოლოგიად? რას მოგვიტანს ეს საერთოდ? ხომ არ გამოიწვევს ეთნოლოგიის საერთოდ მოსპობას და ახლის – ანთროპოლოგიის შეუდგარობას?

<sup>14</sup> Ю. В. Иванова. Послесловие // А. Геннеп ван. Обряды перехода: Систематическое изучение обрядов. М. 2002, გვ. 180-184.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა რესურსით უნდა განხორციელდეს ეს? მზადაა სათანადო საგანმანათლებლო ბაზა? ხომ არაა ეს ჩვენი დარგის – ეთნოლოგიის კრიზისით გამოწვეული? საერთოდ ეთნოლოგიის კრიზისზე საუბარი 1980-იანი წლებიდან დაიწყო. საამისოდ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხმობენ ხოლმე კარლ ა. ნოვოტნის სტატიას, რომელიც 1980 წელს ჟურნალში “Zeitschrift für Ethnologie” გამოქვეყნდა. უფრო ადრე – 1960-1970-იან წლებში დაიწყო საუბარი ანთროპოლოგიის კრიზისზე. საკმარისია კ. ლევი-სტროსისა და დ. ლუისის სტატიების დასახელება.<sup>15</sup> კ. ლევი-სტროსი თანამედროვე ანთროპოლოგიის „ნებაყოფლობით ლიკვიდაციად“ კი საუბრობდა. მეცნიერ-ანთროპოლოგთა ერთი ნაწილი კი ახალი გზების ძიებაში ისტორიზმის აუცილებლობაზე მიუთითებდა. საუბარია იმ ისტორიზმზე, რომელიც ჩვენი ეთნოლოგიის ძირითადი მიმართულებაა.

ცოტა ხნის წინ საქართველოში „კრიზისის ანალოგიურ სიტუაციაზე“ მიუთითებდნენ.<sup>16</sup> მიგვაჩნია, რომ ქართულ ეთნოლოგიაში არა „კრიზისის ანალოგიური სიტუაციაა“, არამედ კრიზისი რეალურად არსებობს; ეს ნათელია. კრიზისი მეცნიერებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა (ეთნოლოგიის ასეთ კრიზისზე ომის შემდგომ გერმანიაშიც ლაპარაკობდნენ). როგორც ჩანს, სახელის შეცვლის (სინამდვილეში მეცნიერების მიმართულების შეცვლის) მსურველთა კრიზისიდან გამოსვლის გზად ეს ესახებათ. სახელისა და მეცნიერების მიმართულების შეცვლა ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება ტრადიციული სახელწოდებისა და კვლევის მიმართულების ერთგული უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით გაგვაჩნია რამდენიმე კითხვა:

1. გაგვაჩნია საამისო რესურსი რომ მეცნიერებას მიმართულება შევუცვალოთ? რესურსში ინტელექტუალურ და ფინანსურ რესურსს ვგულისხმობთ. ვფიქრობთ, არა.

2. რა უნდა დაერქვას სახეშეცვლილ მეცნიერებას – ანთროპოლოგია? ასეთ შემთხვევაში მეცნიერთა სხვა დარგების წარმომადგენლებთან (ფილოსოფია, სოციოლოგია...) კონფლიქტი გარდაუვალი იქნება. სხვა შემთხვევაში ან კულტურულ ანთროპოლოგიაზე, ან სოციალურ ანთროპოლოგიაზე უნდა შეეჩერდეთ. ორსიტყვიან სახელწოდებას ერთსიტყვიანი სახელწოდება არ სჯობია?

<sup>15</sup> C. Lévi-Strauss. La crise de l' anthropologie. Le Courrier de l' UNESCO. Paris. №11. 1961; D. Lewis. Anthropology and Colonialism. Current Anthropology. vol. 15, №5. 1973; И. П. Григулевич. Социальная антропология: есть ли у неё будущее! // СЭ. №2. 1975.

<sup>16</sup> მ. შილაკაძე. „ეთნოლოგიის კრიზისი“ // ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?! თბ. 2008, გვ. 49.



3. რას ვუშვრებით (რა ელის) ვეებერთელა ეთნოლოგიურ მემკვიდრეობას, რომელიც რამდენიმე თაობის განმავლობაში იქმნებოდა? პანაშვიდი გადავუხადოთ ეთნოლოგიას?

4. ქართული ცნობიერების, ქართული ეთნიკური კულტურის სამსახურში ეთნოლოგია იღვას და დგას. გასწევს მის მაგივრობას სოციალური/კულტურული ანთროპოლოგია? ვფიქრობთ, ვერ გასწევს.

5. შინაარსობრივი თვალსაზრისითაც უპირატესობა ეთნოლოგიას ენიჭება. ის ხომ ნიშნავს მეცნიერებას ხალხის (ხალხების) შესახებ. ანთროპოლოგია ამ შინაარსის გამომხატველი არაა. ის ნიშნავს მეცნიერებას ადამიანის შესახებ. ეთნოლოგები ინდივიდებს, ან ინდივიდთა ერთობას არასდროს არ სწავლობდნენ. მათ ხალხები (ეთნოსები) და მათი ტერიტორიული/ლოკალური ერთეულები (ეთნოგრაფიული ჯგუფები) აინტერესებდათ და აინტერესებთ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ ხალხის შექმნილი ორიგინალური ეთნიკური კულტურა. „სოციალურ/კულტურულ ანთროპოლოგიაში არ დომინირებს ისეთი კატეგორიები, როგორცაა ეთნოსი, ეთნიკური ერთობლიობა, ეთნოგრაფიული ჯგუფი, ეთნიკური კულტურა, და შესაბამისად, ისეთი ინტეგრირებული მიმართულებები, როგორცაა ეთნობოტანიკა, ეთნოლინგვისტიკა და მისთანანი“<sup>17</sup> ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე წაგებულები არ აღმოვჩნებით? დამთავრდება ერთი და, სამწუხაროდ, მეორე არ დაიწყება. სახელის ფორმალური შეცვლა კი არაფერს მოგვიტანს.

6. კულტურული ანთროპოლოგიის ამოსავალი კულტურული ნიშნების შესწავლაა, სოციალური ანთროპოლოგიისა – სოციუმი (საზოგადოება), ეთნოლოგიისა – ეთნოსი და ეთნიკურობა და ამ ეთნოსების ყველა კულტურული და სოციალური მახასიათებელი. როგორ უნდა შევითავსოთ ისინი ერთმანეთთან? ჩვენ ორიენტირებული ვიყავით და ვართ ქართველ ხალხზე. როგორ უნდა გავხედოთ ორიენტირებული მხოლოდ კულტურაზე, მხოლოდ სოციუმზე (საზოგადოებაზე) ეთნოსისაგან მოწყვეტით? ე. ი. ჩვენი შესწავლის პრიორიტეტი ქართული ეთნოსი აღარ უნდა იყოს? აღარ უნდა შევისწავლოთ ერთიანი ქართული ხალხური, ტრადიციული კულტურა და ამ კულტურის თავისებურებანი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში? სწორედ ახლაა დიდი სამკალი იმ თვალსაზრისით, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის ქართული ტრადიციული კულტურა, რა ნოვაციები ინერგება და რა შენარჩუნდება. რადგან სოციალურ/კულტურულ ანთროპოლოგიას თანამედროვე საზოგადოების მხოლოდ მცირე

<sup>17</sup> მ. შილაკაძე. „ეთნოლოგიის კრიზისი“ // ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?! თბ. 2008, გვ. 52.

ჯგუფები აინტერესებს, მხოლოდ ბაზრების, დღეობების (მაგალითად, თბილისობა, სიღნაღობა...), სექტების, გენდერული პრობლემების, უმუშევრების... შესწავლით დაკმაყოფილდეთ? თუმცა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი მეცნიერება (გინდ ეთნოლოგიისა და გინდ ანთროპოლოგიის სახელით) ამ უკანასკნელ პრობლემებსაც ინტენსიურად, სიღრმისეულად და კომპლექსში უნდა სწავლობდეს.

7. ეთნოლოგთა მოვალეობა ხომ ხალხების ადვოკატობაცაა. ეთნოლოგები მოწოდებული უნდა ვიყოს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა ადვოკატობა გავწიოთ. ხალხების ადვოკატობა სოციუმის (საზოგადოების) ადვოკატობით უნდა შეეცვალოს?

8. ეთნოლოგია/ეთნოგრაფია სწავლობდა და სწავლობს საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე მდგომ ხალხს – პრიმიტიულსაც (პირველყოფილსაც), აგრარულსაც და ინდუსტრიულსაც, ნაციებს. ანთროპოლოგიის კვლევის არეალში განვითარებული, ცივილიზებული, სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხები თითქმის არ ხვდებოდნენ და ხვდებიან (საერთოდ, მას ხალხები არც აინტერესებს. ბევრი მათგანი ეთნოსების არსებობას იგნორირებას უკეთებს და ეთნოსებს და ნაციებსაც მეცნიერთა წარმოსახვად მიიჩნევენ). ქართველი ხალხი არ იმსახურებს იმას, რომ პირველყოფილი და უდამწერლობო ხალხების დონეზე დააყენონ; საქართველოს ეთნოლოგიას თუ საქართველოს ანთროპოლოგიას დავარქმევთ, ამით ხომ დასავლელ მკითხველთა უმეტესობას წარმოდგენა შეექმნება ქართველი ხალხის კულტურასა და საზოგადოებაზე როგორც პირველყოფილზე/პრიმიტიულზე. სამწუხაროდ, ამის ნიშნები უკვე არის. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ნაშრომი, რომელშიც არარეალური რეალურ ფაქტადაა გამოცხადებული. თურმე, ჩვეულებითი სამართალი არა მხოლოდ ქართველ მთიელთათვის (სვანებისა და ხევსურებისათვის) იყო დამახასიათებელი, არამედ ბარის მოსახლეობისათვისაც, რაც დღემდე ქართველ ეთნოლოგთათვის შეუმჩნეველი დარჩენილა.<sup>18</sup> ეს ხომ არსებული მოვლენისა და ფაქტებისადმი არასერიოზული, ზერელე მიდგომის შედეგია. ოციოდე წლის წინ სვანეთიდან ბარში (დმანისში) მიგრირებულმა მოსახლეობამ ჩვეულებითი სამართლით ცხოვრება თუ გააგრძელა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბარშიც სამართლებრივი საქმეები ადათით განიხილებოდა? საქმის არსში ჩაუხედავი უცხოელი კოლეგისათვის მის ქართველ კოლეგებს რომ ერთგვარი მიმართულება მიეცათ, ქართული სამართლის ძეგლების რვატომეული მანც

<sup>18</sup> S. Voell. Practice of Traditional Law in Svan Villages in Kvemo Kartli, Georgia. ანთროპოლოგიური კვლევა (Anthropological Reserches). I. Tb. 2010, გვ. 172-177.

ენკენებიანთ, ბუნებრივია, გერმანელი მეცნიერი ასეთ რამეს არ დაწერდა.

9. ანგარიშგასაწვევი უნდა იყოს ასაკიც. ეთნოლოგია/ეთნოგრაფია თითქმის ასი წლით უფროსია ანთროპოლოგიაზე. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და აშშ-ში ეთნოლოგიის წიაღში წარმოიქმნა სამეცნიერო მიმდინარეობა, რომელსაც კულტურულ ანთროპოლოგიას უწოდებენ. ასაკსაც ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში?

10. თანამედროვე ეთნოსთაშორისი ურთიერთობები და ეთნიკური პროცესები მხოლოდ სოციოლოგთა კვლევის არენად უნდა იქცეს, როგორც ინგლისურ და ამერიკულ სოციოლოგიაში? სოციოლოგიასა და ეთნოლოგიას ამ ურთიერთობებისა და პროცესების შესწავლით ხომ სხვადასხვა მიდგომა გააჩნია.

ბრძოლა ეთნოგრაფიას/ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიას შორის არის ბრძოლა ორ პარადიგმას შორის. ფაქტობრივად, ეს ბრძოლა მიმდინარეობს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ბრიტანეთის „ეთნოლოგიურ საზოგადოებას“ სახელი გადაარქვეს და უწოდეს „ანთროპოლოგიური საზოგადოება“. მას შემდეგ მთელი XX საუკუნის განმავლობაში ანგლოსაქსური მეცნიერება ცდილობს დაასაბუთოს „ანთროპოლოგიის“ პარადიგმის უპირატესობა „ეთნოლოგიის“ პარადიგმაზე. გერმანული მიმართულება დიაქრონულია, ანუ ევოლუციური, ანგლოსაქსური – სინქრონული ანუ სტრუქტურული. ჩვენი ეთნოლოგია კი უპირატესობას კომპლექსურ მიდგომას ანიჭებდა, რაც თავისებური სინთეზი გახლდათ როგორც სტრუქტურული, ისე დიაქრონული მიდგომისა. რაც შეეხება ფრანგულ სკოლას, მას უფრო წინამდებეობრივი ხასიათისად თვლიან. თუმცა, როგორც კ. ლევი-სტროსი ამბობდა „კონტინენტალური“ წარმოშობა ფრანგებს მაინც ეთნოლოგებად ქმნის, ვიდრე ანთროპოლოგებად.<sup>19</sup> ფრანგული ეთნოლოგია ინგლისური ანთროპოლოგიის მიმართ გარკვეულწილად ნიჰილისტურ და სკეპტიკურ დამოკიდებულებას რომ იჩენდა, კარგად ჩანს ა. ვან გენების წიგნის – „გადასვლის (გარდამავლობის) წეს-ჩვეულებები“ – გამოსვლისთანავე მ. მოსის შეფასებიდან. ის საყვედურობდა ა. ვან გენებს, რომ ერთგულებდა ინგლისურ ანთროპოლოგიურ სკოლას, რომლის კვალზედაც ავტორმა მხედველობის არეში კონცენტრაცია მოახდინა მთელი ისტორიისა და ეთნოგრაფიისა, ნაცვლად იმისა, რომ ფუნდამენტურად შეესწავლა ერთი გარკვეული მოვლენა<sup>20</sup>.

<sup>19</sup> К. Леви-Строс. Первобытные мышление. М. 1999, гл. 8-9.

<sup>20</sup> Ю. В. Иванова. Послесловие // А. Геннеп. ван. Обряды перехода: Систематическое изучение обрядов. М. 2002, гл. 195.

შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ საქართველოში სოციალური/კულტურული ანთროპოლოგების მოსამზადებლად უბრალოდ საჭირო იქნება შევქმნათ ან ვთარგმნოთ სახელმძღვანელოები, ანდა წავიკითხოთ სალექციო კურსები შესაბამისი სახელწოდებებით. აქაც მარტივ კითხვებს დავსვამ: ვინაა ასეთი სახელმძღვანელოების დამწერი, მთარგმნელი ანდა სხვადასხვა სალექციო კურსების წამკითხველი? ამისათვის საჭირო იქნება ჰუმანიტარულ დისციპლინებს შორის არსებული ურთიერთმიმართების სისტემური გადაწყობა. ამის გაკეთება კი შეუძლებელია. **ეთნოლოგიური მეცნიერების ხელყოფა, ძალადობრივი მოღერნიზაცია კი სიკეთის მომტანი არც ეთნოლოგიისათვის იქნება და არც ანთროპოლოგიისათვის. ეთნოლოგები ჭეშმარიტ ანთროპოლოგებად ვერ ვიქცევით და ვეღარც ეთნოლოგებად დავრჩებით.**

ზემოთ ეთნოლოგიური მეცნიერების კრიზისი ვახსენე. ეს კრიზისი ახლა არ დაწყებულია, დიდი ხნის დაწყებულია. კონკრეტულ ფაქტებზე და მიზეზებზე სხვა ნაშრომში შეიძლება საუბარი. მეცნიერება კრიზისიდან ნამდვილად გამოსაყვანია. ამ პრობლემაზე ყველა მოქმედმა ეთნოლოგმა ერთად უნდა ვიფიქროთ. დარგი არავის არ უნდა ჰქონდეს პრივატიზებული. საჭიროა დარგის პოპულარიზება, საუნივერსიტეტო განათლების დახვეწა, სრულყოფილი პროგრამების შედგენა, ახალი სალექციო კურსების შექმნა და სახელმძღვანელოების დაწერა (მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში ეთნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს 50-მდე სხვადასხვა ეთნოლოგიური დისციპლინა ეკითხებათ). არ უნდა ხდებოდეს საუნივერსიტეტო ეთნოლოგიური ცოდნის არმქონეთათვის ეთნოლოგიურ მეცნიერებაში კარების ფართოდ გაღება (ასეთი შემთხვევები საბჭოთა პერიოდში, სამწუხაროდ, ხდებოდა. ეს კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებას არ მოგვცემს). რაც მთავარია, საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სახელმწიფოს მესვეურებს გავაგებინებთ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგიას, სახელმწიფოებრივი და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომ ეთნოლოგიას მხოლოდ წარსული არ აინტერესებს, რომ ის კომპლექსში იკვლევს, როგორც წარსულს, ისე თანამედროვე მოვლენებს. **ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი დარგი, ეთნოლოგია და სოციალური/კულტურული ანთროპოლოგია ერთმანეთს კი არ უნდა დაუპირისპირდეს, არამედ გზები უნდა გამოინახოს მათ დასაახლოებლად.** არაა გამორიცხული მათი ერთად, გვერდიგვერდ თანაარსებობაც. ქართული ეთნოლოგიის მთელი რიგი პრობლემები წარსულს ჩაბარდა, გაძნელება ახალი სიტყვის თქმა მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის

კვლევის სფეროში. ხელახლა ინტერპრეტაცია სჭირდება მთელ რიგ საკითხებს სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროებში. სასწრაფოაა მისახედი ქვეყნის გარეთ (თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში...) მცხოვრები ქართველების ეთნიკური კულტურა, ეთნიკური ცნობიერების კვლევა. დასასახია ახალი პრობლემები. პერსპექტიულია ეთნიკური ურთიერთობების კვლევა ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში. ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა კი თანამედროვე ქართული სოფლის კვლევა უნდა იყოს, რადგან მასზეა დამოკიდებული ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ქვეყნის მომავალი. აქტუალურ საკითხთა შორის აუცილებლად უნდა განიხილებოდეს ქვეყნის შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, ახალი ქართული დიასპორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მრავალი სხვ. საერთოდ, თანამედროვე ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებას სჭირდება საკვლევადიებო მიდგომების გადახედვა, მაგრამ საჭიროა ტრადიციული მთლიანობის შენარჩუნება, რაც არაა დამახასიათებელი ანთროპოლოგიისათვის.

P.S. 2007 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!“ წაკითხული მოხსენებები კრებულის სახით და იმავე სათაურით 2008 წელს დაისტამბა. კრებულის სათაურის კითხვისა და ძახილის ნიშნებით აღნიშვნა, ბუნებრივია, ანთროპოლოგიისადმი სიმპატიითაა გამოწვეული. ავტორთა ერთ ნაწილს „ანთროპოლოგიის“ მიმართ აქვს სიმპატიები, მეორე ნაწილს – „ეთნოლოგიის“ მიმართ. თუმცა, გულზე ხელს თუ დავიდებთ, ანთროპოლოგიისადმი სიმპატიით გამსჭვალულთაგან რეალურად არც ერთი არაა ანთროპოლოგი, ყველა ეთნოლოგია. დაპირისპირება ანთროპოლოგებისა ეთნოლოგიის მიმართ უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს, კერძოდ, იმ დღიდან, რაც ბრიტანეთში ეთნოლოგია ანთროპოლოგიით შეიცვალა. ესაა ჭიდილი სხვადასხვა მიმართულებებს, პარადიგმებს შორის. ცდილობდნენ და ცდილობენ ანთროპოლოგიური პარადიგმის უპირატესობა დაამტკიცონ ეთნოლოგიურ პარადიგმასთან. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეს მიმდინარეობები (მიმართულებები), სხვადასხვა სახელწოდებით, კვლავ განაგრძობს არსებობას (თანაარსებობას). დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ არსად ეთნოლოგ მეცნიერებს თვითუარყოფა არ მოუხდენიათ. ამ მხრივაც პიონერები უნდა ვიყოთ ქართველები? მომავლის მეცნიერებაა ეთნოლოგიაც და ანთროპოლოგიაც. ანთროპოლოგიის მომავალი ეთნოლოგიის დაჩრდილვისა თუ გაქრობის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

*Roland Topchishvili*

## **PAST, PRESENT AND FUTURE OF GEORGIAN ETHNOLOGY**

### Summary

It is generally known that ethnology belongs to one of the important spheres of the humanities. It was established as a scientific discipline in the 70s of the 18<sup>th</sup> century.

Unlike other sciences, ethnology has experienced certain destiny (or disaster) which concerns both its object and name. What does the ethnology study? we often offer students a simple and ready explanation by S. Lourie: “Ethnology studies all the problems related to the life of ethnos”.

Anthropology is considered to be the science about changeability of human being in time and space. While the physical anthropology studies the issues of changes of human being’s organism, cultural anthropology focuses on the variation of culture.

Ethnography/ethnology as a scientific branch and direction was founded in Germany and German-speaking countries but anthropology – in English-speaking countries as social anthropology in England and as cultural anthropology in the USA. American school did not take the full name of the English because the former directed the research in a different way. What is a leading aspect for ethnology/ethnography on the one hand, and for social/cultural anthropology on the other hand? German school is characterized by the historical direction, Anglo-Saxons – sociological. This is the main distinctive point between ethnology/ethnography and anthropology. In one word, the point of departure for ethnology is ethnos (people) and ethnicity and ethnical culture and society (socium), but for anthropology – socium (society), for cultural anthropology – study of cultural features of all kinds of people (ethnos) and without ethnicity. Anthropology, actually, overlooks thnos, ethnogenesis and ethnical history, i.e. ethnology and anthropology do not comply with each other from this point of view as well. In the least, one of the most cardinal problems of modern ethnology is to study ethnos, ethnical relationships. We mean existed strained relations, conflicts between ethnoses.

The difference also is that in the West, especially in anthropology and

---

language practice, the term “ethnicity” (e.g. ethnical dances, ethnical cuisine...), as a rule, refers not to the basic population but to so called ethnical minority, exotic groups. The scientific explanation of it (S. Arutinov) is that Americans or American identity was formed not long ago; while in the ancient world both major and minor nations had the long history of existence. For us, all peoples of the world are a special unity (cultural unity) whether they are big or small, regardless the length of their history, despite the stage of their development: primitive, agrarian or industrial, whether they have written language or not.

Thus, the above discussion laid special emphasis on the heterogeneousness of ethnography/ethnology and anthropology. To support this opinion, we should refer to some famous scientists as well. Radcliffe-Brown wrote: “Ethnology studies culture according to the method of historical reconstruction, whereas social anthropology researches and studies common laws which are beyond the cultural events”. Radcliffe-Brown points out that the aim of sociological anthropology is the study of primitive society. Malinowski also shared the same opinion; he considered sociological anthropology, which investigates primitive societies, as a branch of sociology. Ernest Gellner shared similar views, too. Confronting anthropology with sociology, he wrote that anthropology studies primitive societies, while sociology researches developed ones. Anthropology is an empiric science and sociology is a theoretical discipline. Thereby, anthropology, especially social anthropology, gives the preference to “primitive” societies and small groups of contemporary societies. In fact, the “primitive” societies are obviously preferential. The Generally acknowledged representative of 20<sup>th</sup> century British anthropology E. Evans-Pritchard emphasized that social anthropology is the humanitarian discipline oriented to understanding the meaning of other cultures. Under these other cultures, he certainly meant the societal culture of non-European (primitive) people. However, since 1950 E. Evans-Pritchard had advocated the synthesis of the social anthropology and history. Because of this, some scientists were pointing to his shifting on the theoretical positions of hermeneutics. No one reproached ethnology about intrusion in the scopes of study of other scientific disciplines, while anthropology had been getting such kind of reproaches all the time. One of the USA leading sociologists, T. Parsons wrote: “It is difficult to characterize the special position taken by anthropology, as to some degree ... it has assigned the sphere even wider than the sphere of sociology itself, whereas on the other hand, it had concentrated its attention on the cultures in illiterate societies”

Thus, despite the fact that ethnology and anthropology have too much in common, they are two different sciences with different understandings about their objects of study. Initially, the ethnology/ethnography also studied the primitive people. But later on, it began to study the European and other people's peasant and traditional cultures. And traditional culture greatly differs from primitive, savage culture for sure. It also worth noting that in the Scandinavian countries, particularly, in Sweden, anthropology was called the science studying cultures of undeveloped societies, and ethnology – the science studying the European peasant cultures. According to Hans Fisher, studying the Europeans through sociological methods (as anthropology does it), is absurd.

It is true, that the Georgians do not belong to Europe geographically, but according to the civilized development, we consider ourselves as a part of Europe. At least, the Georgian ethnic culture is not at the lowest primitive stage, and this can be confirmed by any non-Georgian scientist. The long history of Georgian statehood, the intellectual culture based on the Christianity, and the original Georgian written language could serve as enough evidence to prove above mentioned.

In the XIX-XX centuries, Georgia was part of the Russian Empire. The scientific model of Russia was similar to the German model. The development of ethnological sciences also took place according to that model. Naturally, the Georgian ethnology became the part of that model. Georgian ethnology was formed as a science of historical approach studying the Georgian people and its ethnic (traditional) culture. It was, and still is, in the service of maintaining the Georgian consciousness.

The certain part of Georgian ethnologists believe that ethnology, as a scientific discipline, became obsolete, and is more limited in comparison with anthropology, i.e. they are inclined to rename ethnology into anthropology. What will the science benefit from changing the name? As we talked above, ethnology and anthropology have different aspects and trends of study.

Apparently, the supporters of renaming (and in reality, supporters of changing the direction) see the way out only by changing the name. In our opinion, substituting the title and direction will only be harmful and is not correct.



## *ქეთევან გორჩიტაშვილი*

### **კომპლიმენტის გამომსატველი ფრაზების სტრუქტურული აგებულება თანამედროვე ქართულ ენაში**

კომპლიმენტი ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რომელიც მოგვიანებით ევროპულ ენებში გავრცელდა, ხოლო ევროპული ენების ზეგავლენით ქართულ ენაშიც შემოვიდა. ეს არის თავაზიანი გამონათქვამი, ფრაზა, ქმედება ან გარემოება, რომელიც გამოხატავს პატივისცემას, შექებას ან ფორმალურ მილოცვას.<sup>1</sup>

კომპლიმენტი ინტერპერსონალური ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახეა და ზედმიწევნით გამოხატავს ერის კომუნიკაციური კულტურის ტიპს. კომპლიმენტი ასახავს ერის ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალებს და ქმნის გარკვეულ იდეალს, რომელიც ეროვნულ ნიშნებს, სპეციფიკურ საც გულისხმობს.

მასალის ანალიზის შემდეგ ქართულში შეიძლება გამოიყოს კომპლიმენტების შემდეგი სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა ქვეჯგუფებად:

როგორც აღვნიშნეთ, კომპლიმენტი ინტერპერსონალური სამეტყველო (ვერბალური) კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. მისი მიზანია გამოხატოს შექება, მოწონება და მოახდინოს ზეგავლენა ადრესატზე (პირდაპირი კომპლიმენტი) ან მსმენელზე. კომპლიმენტი ენობრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ენის ექსპრესიული ფუნქციის რეალიზებას და თავის თავში შეიცავს შეფასებით მომენტს. აღსანიშნავია, რომ მთქმელი შეფასებისას შესაძლებელია იყოს ობიექტური (ანუ რაციონალური) და სუბიექტური (ემოციური), რომელიც გამოხატავს მთქმელის პირად დამოკიდებულებას ობიექტისადმი, (მუქი ნაწერი) თუმცა, ჩვენი აზრით, სუბიექტურობა კომპლიმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და მისი სრული უგულებელ-

---

<sup>1</sup> <http://oxforddictionaries.com/definition/compliment>.

**ქეთევან გოჩიტაშვილი. კომპლიმენტის გამომხატველი ფრაზების სტრუქტურული აგებულება თანამედროვე ქართულ ენაში**

---

ყოფა არ შეიძლება. კომპლიმენტი კარგად ახასიათებს ერის კომუნიკაციური კულტურის ტიპს. სამეტყველო ურთიერთობა კი თავისთავად არის ადამიანური ქმედების უმთავრესი სახე, რომელიც სხვადასხვა დარგის მკვლევრების ინტერესს იწვევს.

კომპლიმენტი, როგორც კომუნიკაციური პროცესის ერთ-ერთი სახეობა, ისევე როგორც სამეტყველო პროცესის ყველა სხვა სახეობა, დამოკიდებულია როგორც პიროვნულ-ინდივიდუალურ, ისე სიტუაციურ (ობიექტურ) გარემოებებზე. კომპლიმენტი გულისხმობს მინიმუმ მოქმელისა და ადრესატის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კომპლიმენტის ავტორისა და მიმღების ურთიერთობას და ენას, რომელსაც მოქმელი (და ან მოქმელი და ადრესატი ორივე) იყენებს კონკრეტულ სიტუაციაში.

თანამედროვე ქართულ ენაზე დაკვირვების შემდეგად გამოიყოფა კომპლიმენტების შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

1. ადამიანის გარეგნულ მხარესთან დაკავშირებული კომპლიმენტები.
2. ადამიანის შინაგან სამყაროსთან დაკავშირებული კომპლიმენტები.
3. ადამიანის ყოფასთან დაკავშირებული კომპლიმენტები.
4. ზოგადი შეფასების გადმომცემი კომპლიმენტი.
5. ადამიანის ინტელექტთან დაკავშირებული კომპლიმენტები;
6. კომპლიმენტი, რომელიც ეძღვნება ადამიანის პროფესიონალიზმს ან მის რომელიმე უნარს.
7. ტანსაცმელთან დაკავშირებული კომპლიმენტი
8. სამკაულებთან დაკავშირებული კომპლიმენტი
9. საკუთარ სახელებთან დაკავშირებული კომპლიმენტები;
10. ოჯახურ გარემოსთან, სახლთან დაკავშირებული კომპლიმენტები
11. ზოგადი შეფასების გადმომცემი კომპლიმენტი.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, რომ ქართულში არსებული კომპლიმენტის სამეტყველო სტრუქტურა ვიკვლიოთ. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა კომპლიმენტის შემდეგი სახეები:

1. პირდაპირი კომპლიმენტი
2. ირიბი კომპლიმენტი
3. კომპლიმენტი-ანტითეზა
4. კომპლიმენტი-პასუხი.

განვიხილოთ თითოეული მათგანის რეალიზაციის შემთხვევები:

პირდაპირი კომპლიმენტი:

პირდაპირი კომპლიმენტის აგებულება მეტ-ნაკლებად სტანდარტულია და შედგება სამნაწილიანი კომპოზიციისაგან: მიმართვა, თავად შეტყობინება (ძირითადი აზრი) და მოტივაცია, ანუ ობიექტის დეტალური დახასიათება: „ეკა, დღეს ძალიან ლამაზად გამოიყურები, გამხდარხარ.“

როგორც წესი, მიმართვა შემდეგი სახისაა:

ასახელებს მხოლოდ ობიექტის საკუთარ სახელს ანუ ერთწევრიანი ნომინაცია:

„ნანა, როგორც ყოველთვის, კარგად გამოიყურები.“

1. ორწევრიანი მიმართვა, რომელიც არ ასახელებს ადამიანის სახელს „ჩემო კარგო, რა კარგად დაგიხატავს.“

უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვის ეს ფორმა დასაშვებია მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა კომუნიკანტები ძალიან ახლობელი ადამიანები არიან, რადგან შეიცავს გარკვეულ ფამილარობას.

2. ქვემდებარის როლს ასრულებს ნაცვალსახელი:

„თქვენ დღეს საუკეთესო გამოსვლა გქონდათ.“

პირდაპირი კომპლიმენტის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა შეხვედრისას, მისალმებისას წარმოთქმული კომპლიმენტი, რომლის დროსაც ადრესატის დასახელება, მიმართვა საჭირო არ არის:

„გამარჯობა, როგორ ხარ? კარგად გამოიყურები, ეს ვარცხნილობა ძალიან გიხდება.“

ხშირია შემთხვევა, როცა პირდაპირ კომპლიმენტებში მოტივაცია არ არის ასახული:

„თქვენ განსაკუთრებული ადამიანი ხარ.“

„თქვენ არაჩვეულებრივი მასწავლებელი ბრძანდებით.“

ვინაიდან კომპლიმენტის მიზანი ემოციის გადმოცემა და მსმენელზე ზემოქმედების მოხდენაა, ლოგიკურია ზედსართავის სახელების უფროობითი ხა-

რისხის ფორმით ხშირი გამოყენება გამონათქვამებში:

„თქვენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანი ხართ“.  
„დღეს ულამაზესი ხარ“.

არც თუ ისე იშვიათად გვხვდება შედარებითი ხარისხის ფორმები:  
დღეს უფრო ლამაზი ხართ, ვიდრე ადრე იყავით,

მეტი დამაჯერებლობისა და კონკრეტიკისათვის არც თუ იშვიათია კომპლიმენტ-გამონათქვამებში ღრობის მითითება:

„გუშინ საოცრად მომხიბლავი იყავით“.  
„თქვენ, როგორც ყოველთვის, მშვენიერი მოხსენება წარმოადგინეთ“.

ექსპრესიის გასაძლიერებლად კომპლიმენტის ავტორები ხშირად მიმართავენ ტროპული მეტყველების სახეებს. კერძოდ, კომპლიმენტ-გამონათქვამებში ხშირია

ჰიპერბოლის, ეპითეტს, შედარების და გრადაციისა და მეტაფორის გამოყენება.

გამოყენება. როგორც მოსალოდნელია, ამგვარი ფორმები ხშირადაა რეალიზებული მხატვრულ ტექსტებში.

ჰიპერბოლა: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“.  
„შენს დანახვაზე მზე ამბობს, მე ჩავალ, შენ გაანათო.“  
„შენს გამოჩენას მზე მოჰყვა.“

შედარება შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს გადმოცემული:  
ადრესატს ადარებენ რომელიმე ლიტერატურულ (ან ხელოვნების ნაწარმოების) პერსონაჟს:

„ხარ ყინწვისის ანგელოსი, თეთრ ღრუბლებში ნახატი“.  
„ასეთი შუქით შუბლი უელავდა ვენერა მილოსელს“.

ადრესატს ადარებენ რომელიმე ცნობილ ადამიანს, რომლის ცნობადობა ძალიან მაღალია და რომლის ავტორიტეტიც საქვეყნოა აღიარებული:

„მას პატარა მოცარტს ეძახიან“/„თამარ მეფესავით ლამაზია.“

ექსპრესიის გადმოსაცემად და ემოციის აღსაძვრელად კომპლიმენტის ავტორი მიმართავს ე. წ. „ტრადიციულად ქცეულ შედარებას:“

„შველივით გოგო ხარ,“ „ანგელოზივით გოგოა,“ „დევივით ვაჟკაცია“ და ა. შ.

ეპითეტი: „თქვენი უზალო გემოვნება ყველასათვის მისაბაძია“.

მეტაფორა: „მოვიდა შველი. (ითქმის ლამაზ, მოხდენილ ახალგაზრდა ქალზე)“.

გრადაცია: გრადაციის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ზურიკელა ვაშალომიძის ცნობილი სასიყვარულო წერილი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი: „მე მაგიჟებენ შენი თვალები, წამწამები, ტანი, გამოხედვა, ბროლის კბილები, მარჯნის ტუჩები, გიშრის თმა, თითები, მკლავები, ანუ მთლიანად მაგიჟებ. მე ვკვლები უშენოდ.“

ირიბი კომპლიმენტი:

ამ ჯგუფში შესაძლებელია რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა:

1. ადრესანტი აქებს არა უშუალოდ ადრესატს, არამედ იმ ადამიანს, საგანს, მოვლენას, რომელიც კომპლიმენტის მიმღებისათვის ძვირფასი ამ მნიშვნელოვანია:

„რა ლამაზი სახლი გაქვთ. მასში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ“.

„თქვენი მეუღლე ძალიან მომხიბლავია. გილოცავთ გაბედნიერებას,“

2. ადრესატის ქება კომპლიმენტის ავტორს მიერ ქება გაშუალოებულა:

„ბებიანჩემი ძალიან გემრიელ სადილებს ამზადებდა. თქვენი კერძები ძალიან მაგონებს მის მომზადებულს.“

„ძალიან გავხარო დეიდას. ის ძალიან ლამაზი ქალი იყო.“

3. ადრესანტი გახაზავს დადებით გავლენას, რომელსაც ადრესატი მასზე ახდენს:

„როცა თქვენ გიყურებთ, ვხვდები, რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია.“

4. ავტორი აქებს ადრესატის მიღწევებს:

„თქვენმა არაჩვეულებრივმა აღმოჩენამ სამყარო შეცვალა“.

„ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალია. ქართველი ერის პოეტური გენია მის პოეზიაში თვალისმომჭრელ სიმაღლეებს სწვდება.“ (გ. ასათიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი).

5. შექების დროს ავტორი იყენებს საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, სენტენციას, რომელიც მოსაუბრეს მომგებიანი პოზიციიდან წარმოაჩენს:

„რა ჭკვიანი ბიჭი ხარ. სწორედ შენზეა ნათქვამი, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახო.“

#### კომპლიმენტი-ანტითეზა

კომპლიმენტი-ანტითეზა ერთ-ერთი ყველაზე რთული სახეობაა კომპლიმენტისა და წარმოაჩენს მისი ავტორის უნარს, აზრის ადეკვატური ვერბალიზაცია მოახდინოს (რასაკვირველია, ადრესანტის ეს უნარი ყველა ტიპის კომპლიმენტში, როგორც შემოქმედებით აქტში, წარმოჩნდება, თუმცა ამ შემთხვევაში გაცილებით ძლიერად).

„იცით, გულწრფელად თანაგიგრძნობთ. ალბათ ძნელია ასეთი ლამაზი იყო.“

კომპლიმენტის ეს სახეობა მეცნიერებს მიაჩნიათ ყველაზე გამომსახველობითად, ემოციურად და დასამახსოვრებლად,<sup>2</sup> თუმცა მიუთითებენ, რომ მინუსებმა არ უნდა გადააჭარბოს პლიუსს, რადგან ამ შემთხვევაში მოსალოდნელია კომუნიკაციური მარცხი, ანუ ადრესატმა შესაძლოა კონცეპტირება გააკეთოს სწორედ მინუსზე და დადებითი მომენტი მისი ყურადღებისა და რეაქციის გარეშე დარჩეს.

კომპლიმენტის ამ სახეობის ძირითადი ობიექტია ადამიანის ნიჭიერება, ხასიათის ესა თუ ის თვისება ან ადრესატის გარეგნობა.

#### კომპლიმენტი-პასუხი

გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

კომპლიმენტის ეს სახეობა 2 ძირითად ქვეჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. მაღლობა, რომელიც შეიცავს ირიბ კომპლიმენტს:

---

<sup>2</sup> <http://5ballov.qip.ru/referats/preview/77878/13>; С. Дерябо, В. Ясвин. Гроссмейстер общения: иллюстрированный самоучитель психологического мастерства. 1996.

„– მშვენივრად გამოგდით.

– თქვენთან ერთად ეს ძალიან ადვილია.“

2. ამავე სახეობაში შესაძლებელია გავაერთიანოთ პასუხები, რომლებიც გამოხატავს, რომ ადრესატი არ ეთანხმება თანამოსაუბრის თვითშეფასებას:

„– შემიძლია გვიანობამდე დავრჩე, შინ არავინ ძელოდება. ყველა კაცი ჩემს მეგობარს ეპრანჭება.

– არა მგონია, რომ შენნაირ ლამაზ ქალზე ყველა კაცი ოცნებობს.“

3. საკუთრივ კომპლიმენტი-პასუხი, რომლის სტრუქტურა დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოვყავალიბოთ:

„– კარგად გამოიყურები.

– დიდი მადლობა, შენც.“

4. ნეგატიური პასუხი, რომლის ახსნაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება:

„– დღეს ძალიან ლამაზი ხართ.

– ლამაზი? არააა...“

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომპლიმენტი, ძირითადად, რეალიზდება მხოლოდ დიალოგური ფორმით. ინტერაქციისას ერთ-ერთი კუმუნიკანტი არის გამგზავნი ინფორმაციისა, რომელიც მარკირებულია ემოციურად და შეფასებითად. ახასიათებს გახსნილობა და გულახდილობა. ქართულ ენაში კომპლიმენტის გამოყენება მოსაუბრის მხრიდან არ არის თავისუფალი. იგი შეპირობებულია სიტუაციით, მოსაუბრეების სქესით, ასაკით, სოციალური სტატუსით, ნაცნობობის დონით. ამ საკითხების კვლევას ჩვენ შემდგომში განვაგრძობთ.

*Ketevan Gochitashvili*

## **THE STRUCTURES OF PHRASES EXPRESSING COMPLIMENT IN MODERN GEORGIAN LANGUAGE**

### Summary

The compliment is a remarkable means of interpersonal communications expressing, both, admire, prize etc. (personal level) and the communication culture type of nation (general level).

The choosing and using of compliments is considerably depended on the personal-individual and objective (situational) circumstances.

The paper is exploring the structure of phrases expressing compliments in Modern Georgian Language. They are as follows:

1. Direct compliments (with several sub-groups) – “You look nice today”

2. Indirect compliments (with several sub-groups as well) – “Your spouse is beautiful.”

3. Compliment-Antithesis – “I guess, it must be difficult to be so beautiful.”

4. Compliment-answer (with verity of content: expressing thanks, positive, negative) – “You look great”.

– Thanks. You too.

Compliments mostly are realized in the dialogical form, message sent via compliment is emotionally marked and contains assessment of object. Use of the compliment In Georgian is not free. It depends on situation, gender and age of communicators, social position, level of acquaintance, etc.



დღიური შევლიძე

### ყარსის ხელშეკრულების თანამედროვე ასპექტები\*

1921 წლის 13 ოქტომბერს მომხდარმა ისტორიულმა მოვლენამ თბილისში, ბაქოში, ერევანსა და ალბათ ანკარაშიც არაერთგვაროვანი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვია.

ამ დროს, 1920-იან წლების დასაწყისში, საქართველოში ჯერ კიდევ განაგრძობდნენ არსებობას პოლიტიკური პარტიები. ესენი იყვნენ: ყოფილი მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია; მისგან გამოყოფილი სოციალ-დემოკრატი „სხიველები“; სოციალისტ-ფედერალისტების პარტია; სოციალისტ-ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული. გარდა სოციალისტ-ფედერალისტებისა, არც ერთ ზემოაღნიშნულ პარტიას აღარ გააჩნდა საკუთარი პარტიული გაზეთი. ამის გამო მათ არ ჰქონდათ საშუალება ლეგალურად და პირდაპირ დაეფიქსირებინათ თავიანთი დამოკიდებულება ყარსის ხელშეკრულებისადმი. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვა არაპირდაპირი ცნობები, რომელნიც ადასტურებენ მათ პოზიციას ხელშეკრულების მიმართ.

მემარჯვენე ნაციონალისტურმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 1922 წელს თურქეთში მიავლინა თავისი ორგანიზაციის აქტიური წევრი შალვა ქარუმიძე მოლაპარაკებებისა და დახმარების სათხოვნელად. მას შემდეგ, რაც თურქეთის მხარემ დახმარების სანაცვლოდ ტერიტორიული ხასიათის მოთხოვნები წამოაყენა, მათ შორის, ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადების აღიარების შესახებ, ეროვნულ-დემოკრატიულმა მოლაპარაკებამ შეწყვიტეს. იგივე განმეორდა 1923 წელსაც, ცნობილი აჯანყების წინ, როცა დახმარების მიღების მიზნით ეროვნულ-დემოკრატიულმა სტამბოლში დავით გაჩნაძე გაგზავნეს.<sup>1</sup>

---

\* მოხსენება წაკითხულია ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ყარსის ხელშეკრულების 90 წლისთავს. ყარსი. 2011 წლის 13-15 ოქტომბერი.

<sup>1</sup> *ოთარ ჯანელიძე*. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი. 2002. გვ. 427-428.

ყოფილი სახელისუფლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია თურქეთის მიმართ ამ პერიოდში ორმაგი სტანდარტის ხასიათს ატარებდა. ერთი მხრივ, პარტია უარყოფითად აფასებდა ყარსის შეთანხმებას, ხოლო მეორე მხრივ, საკითხს არ ამწვავებდა, რათა თურქეთის მხრიდან მხარდაჭერა და დახმარება მოეპოვებინა აჯანყებისათვის. 1922 წელს, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს ელჩის სტატუსის მქონე ცნობილი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი თურქეთის მხარეს „დაემუქრა“, რომ ტერიტორიის საკითხს დააყენებდა და მოითხოვდა ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვას. რა თქმა უნდა, დამხობილი რესპუბლიკის წარმომადგენლის მუქარას არავითარი რეალური ძალა არ გააჩნდა, ის მხოლოდ ემიგრანტული მთავრობის უარყოფითი პოზიციის გამომხატველი შეიძლება ყოფილიყო.

სამაგიეროდ, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მეორე წარმომადგენელი კონსტანტინე გვარჯალაძე იმავე ხანებში წერდა: „ჩვენ მათ (ე. ი. თურქეთის მხარეს – დ. შ.), ისე უნდა ველაპარაკოთ, რათა ჩვენსკენ იბრუნონ პირი და დავარწმუნოთ ჩვენს საიმედოობაში“ და მოითხოვდა ჩხენკელის გამოსვლის გაბათილებას. თავის მხრივ, თურქეთის წარმომადგენელი ლოზანაში, რეფეტ ფაშა, გვარჯალაძესთან შეხვედრის დროს თითქოს თავს იმართლებდა: ჩვენ იბულებულნი ვართ საბჭოთა რუსეთთან და საბჭოთა საქართველოსთან კარგი ურთიერთობები შევინარჩუნოთ, რადგან „მათთან გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ისინი ჩვენთან ტერიტორიულ და ეკონომიურ საკითხებში მორიგებულნი არიან. რომ ძველი მთავრობა დაბრუნდეს საქართველოში და მასთან ჩვენ ლაპარაკი დავიწყოთ, არ ვიცით რას იზამს ის, შეიძლება ტერიტორიული საკითხი წამოგვიყენოს, ეგებ სომხებს ჩაებლაუჭონ ჩვეულებრივად და ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვაც კი მოითხოვონ, ამიტომ არის, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ბოლშევიკები არიან“.<sup>2</sup>

აღნიშნული ორიოდე ეპიზოდზე ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად აქტუალური და წინააღმდეგობრივი იყო საქართველოს პოლიტიკური ძალებისათვის ჩვენთვის საინტერესო პრობლემა გასული საუკუნის 20-იან წლებში.

ყარსის ხელშეკრულება კვლავ აქტუალური გახდა XX საუკუნის 90-

<sup>2</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროაპირები. ს. 1056. ციტირებულია გოგი ცხოვრებადის ნაშრომში: ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. თბ., 1996, გვ. 54.

იანი წლების დასაწყისში. როგორც ცნობილია, 1992 წლის 30 ივლისს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმდა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება“. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საფუძველს უყრიდა ახალ ურთიერთობებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკის, ვაჭრობის, ენერგეტიკის, კულტურისა თუ პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში. მან ერთსულოვნად პოზიტიური შეფასება ჰპოვა იმდროინდელი საქართველოს რთულ და წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ სპექტრში, თუმცა ეს არ ეხებოდა ჩარჩო-ხელშეკრულების პრეამბულაში დაფიქსირებულ ერთ პასაჟს, რომელიც 71 წლის წინ გაფორმებულ ყარსის ხელშეკრულებას ეხებოდა. მასში ვკითხულობთ:

„მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.

მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგენილია საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის.

მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით“.<sup>3</sup>

აღნიშნულმა პასაჟმა კრიტიკული გამოხმაურება გამოიწვია ქართულ მედიაში. ხაზს უსვამდნენ მის არამართლკანონზომიერებას; იხსენებდნენ, რომელ მხარეებს შორის დაიდო ეს შეთანხმება; აფიქსირებდნენ, რომ შეთანხმება არ ეხებოდა მხოლოდ საზღვრების საკითხს და ა. შ. მაგალითად, გაზეთი „7 დღე“ წერდა, რომ ყარსში მომხდარი შეთანხმება „ფაქტიურად, თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული გარიგების იურიდიული გაფორმება იყო“<sup>4</sup>.

განსახილველი შეთანხმება შემდგომ წლებშიც არაერთხელ გახდა ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა, და სხვათა შეფასების საგანი და პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ სფეროშიც გამოჟონავდა ხოლმე. 2004 წლის 17 მარტს საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსმა“ გაავრცელა აზერბაიჯანში თურქეთის ელჩის, უნალ ჩევიქოზის, სიტყვები: „თურქეთის ხელისუფლებას 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს საკუთარი ჯარები შეიყვანოს აჭარაში. ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და ამის თქმა

<sup>3</sup> გა.ხ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 4 აგვისტო. 1992 – „საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება“.

<sup>4</sup> გა.ხ. „7 დღე“. 7-13 აგვისტო. 1992.

უკვე საკმარისია“.

მაშინ თურქი დიპლომატის დაცვა და მისი განცხადების პოზიტიური ინტერპრეტაცია სცადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძემ. მისი კომენტარის მიხედვით, 1992 წლის საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების დადების დროს, „ჩვენ შევთანხმდით და ჩაიდო ხელშეკრულებაში, რომ ყარსი გვანტერესებს მხოლოდ და მხოლოდ საზღვართან დაკავშირებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მხარეებისთვის მოქმედებს (ყარსის – დ. შ) შეთანხმების ის მუხლები, რომლებიც ეხება საზღვრო საკითხებს და მხოლოდ“.<sup>5</sup>

1992 წლის საქართველო-თურქეთის ჩარჩო ხელშეკრულებისა და ყარსის შეთანხმებასთან მისი დაკავშირებისადმი იმხანად გამოქვეყნებული მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილმა მიხეილ სააკაშვილის წერილმა: „ზოგიერთი მოსაზრება საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ“. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, იმხანად კი ახალგაზრდა ავტორი მიხეილ სააკაშვილი, მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველო-თურქეთის შეთანხმებას და წერდა: „თავად ასეთი ხელშეკრულების დადება ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა და იგი ალბათ კიდევ დიდ ხანს იქნება შესწავლის საგანი“. სტატია პირველ რიგში იმითაა საინტერესო, რომ თავად ავტორის განცხადებით, იგი მონაწილეობდა ხელშეკრულების „ქართული მხარის მიერ წინასწარ ჩატარებულ ექსპერტიზაში“.<sup>6</sup>

ავტორის თქმით, საქსპერტიზო მუშაობის დროს „გამოთქმული იქნა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები ხელშეკრულების ტექსტის მიმართ და შემუშავებულ იქნა ერთიანი პოზიცია თურქეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისთვის“. მოლაპარაკებები შედგა, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი „არ ითვალისწინებდა თითქმის არც ერთ ჩვენ წინადადებას, არამედ მთლიანად არის აგებული თურქეთის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტზე“.

ახალგაზრდა „საერთაშორისო სამართალმცოდნის – მიხეილ სააკაშვილისათვის (სწორედ ამ სტატუსით აწერს ავტორი წერილს ხელს – დ. შ.), სავსებით გასაგები და დასაშვები იყო საქართველოს მხრიდან გარკვეუ-

<sup>5</sup> *ჯიმშერ რეხვიაშვილი*. ყარსის ხელშეკრულება აჭარაში თურქეთის ჯარების შეყვანის საფუძველს არ იძლევა. <http://tavisupleba.org>. 2004 წ. 18 მარტი.

<sup>6</sup> *მიხეილ სააკაშვილი*. ზოგიერთი მოსაზრება საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ. გაზ. „საქართველო“. 14-21 აგვისტო. 1992.

ლი დათმობები, მით უმეტეს, რომ საქმე ეხებოდა „ახალშემდინლ მეგობარ“ სახელმწიფოს. მაგრამ, ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა „მეტად პრინციპულ საკითხებს“. ერთ-ერთი პრინციპული საკითხი, წერილის ავტორის აზრით, იყო 1992 წლის ჩარჩო-ხელშეკრულების დაკავშირება ყარსის ხელშეკრულებასთან.

წერილის ავტორის აზრით, საზღვრების საბოლოო დადგენის საკითხი არ იყო ერთადერთი, რაც ამ ორ ხელშეკრულებას აკავშირებდა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის გახლდათ, რომ საეჭვო იყო თვით ყარსის ხელშეკრულების იურიდიული ძალმოსილების, მისი კანონიერების საკითხი. ავტორის აზრით, „ყარსის ხელშეკრულების უარყოფის ერთ-ერთ სერიოზულ არგუმენტად გამოდგებოდა ის, რომ იგი დადებულია საქართველოს ოკუპაციის შემდეგ“. ფაქტობრივად, ეს იყო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომელშიც ფორმალურად ჩართეს საოკუპაციო რეჟიმები<sup>7</sup>.

მიხეილ სააკაშვილისა და სხვა არაერთი ავტორის არგუმენტაციის სამართლიანობის დადგენას დიდი კვლევა არ სჭირდება. ეს რეალობა კარგადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის და პოლიტოლოგებისათვის. მაგალითად, ისტორიკოსი ვახტანგ გურული წერს: „ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმეორა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლები“ და არა მარტო ეს მუხლები<sup>8</sup>.

რაც შეეხება დროს და ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს. ყარსის ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური საქართველოს მარიონეტული და ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებმა – შალვა ელიაშვილმა და ალექსანდრე სვანიძემ. ამ დროს ჯერ კიდევ არსებობდა და დასავლეთ ევროპაში ფუნქციონირებდა დამოუკიდებელი საქართველოს ემიგრანტული მთავრობა. ისიც ანგარიშგასაწვეი ფაქტია, რომ 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება: „საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“. დადგენილების თანახმად, 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა შეფასდა როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია, რაც საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენდა. ოკუპირებულ-დაპყრობილ ქვეყანასთან გაფორმე-

<sup>7</sup> მიხეილ სააკაშვილი. ზოგიერთი მოსაზრება საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ. გაზ. „საქართველო“. 14-21 აგვისტო. 1992.

<sup>8</sup> ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. თბ., 2011. გვ. 113.

ბულ ხელშეკრულებებს კი საერთაშორისო სამართალი ბათილად თვლის.

როგორც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე არსებული რეალობა და სათანადო ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მასალები ადასტურებენ, 1992 წელს თურქეთთან დადებული ხელშეკრულება საქართველოში ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის დიდმნიშვნელოვან აქტი იყო. მაგრამ ამავდროულად, ხელშეკრულების ერთ-ერთ სუსტ და სადავო რგოლადაა მიჩნეული მისი დაკავშირება ყარსის ხელშეკრულებასთან. 2004 წელს ყარსის თემა კვლავ გააქტიურდა. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტს უნდა განეხილა ხელშეკრულების დენონსაციის საკითხი, რაც საფუძველს იყო მოკლებული – ჯერჯერობით საკითხი ასე არ დასმულა.

1992 წლის საქართველო-თურქეთის ჩარჩო-ხელშეკრულება თავდაპირველად 10 წლის ვადით დაიდო. შეთანხმების თანახმად, იგი ყოველი ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო, თუ მხარეები სამი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებდნენ ერთმანეთს, საგულგებელი ცვლილებების და გადაწყვეტილების შესახებ. ჯერჯერობით მხარეებს ამგვარი გადაწყვეტილება ერთმანეთისთვის არ უცნობებიათ, თუმცა თავად კორექტირების სურვილი რეალურად არსებობს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მეცნიერთა და პოლიტიკოსთა აზრით, ყარსის ხელშეკრულების ფაქტორის არსებობას, საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში, გაუგებრობა უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე დადებითი.

*გიორგი ჟუჟუნაშვილი*

**ყარსის ხელშეკრულების სამართლებრივ-პოლიტიკური  
ასპექტების განხილვა თანადროულ ქართულ პრესაში\***

ჩვენი მოხსენება გვინდა დავიწყოთ ამონარიდით 1992 წლის 30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების“ შესახებ ხელშეკრულებიდან. ამ დოკუმენტის პრეამბულაში მითითებულია, რომ მხარეები „დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით.

მხარეები იხელმძღვანელებენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის.

მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით“.<sup>1</sup>

ამ ხელშეკრულებით ორივე ქვეყანა აღიარებს: ერთმანეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

ამ დოკუმენტით საქართველოს ისტორიის ერთი, ძალზე დრამატული, ტრაგიზმით აღსავსე საინტერესო მომენტი გაცოცხლდა.

ყარსის ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში დღიდან მისი გაფორმებისა დღემდე არაერთგვაროვანია. ჩვენ შევეცდებით ქართული პრესის ფურცლებზე გამოტანილი ნააზრვეის განხილვის საფუძველზე ვაჩვენოთ, თუ რა ადგილი და როლი ეკისრებოდა და აკისრია ამ

---

\* მოხსენება წაკითხულია ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიემდგვნა ყარსის ხელშეკრულების 90 წლისთავს. ყარსი. 2011 წლის 13-15 ოქტომბერი.

<sup>1</sup> საქართველოს რესპუბლიკა. 1992. 4 აგვისტო.

აქტს საქართველოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ისტებლიშმენტის ერთი ნაწილი აცხადებს, ვითომ ეს ხელშეკრულება მხოლოდ ისტორიული ფაქტია და მეტი ფუნქცია მას არ აკისრია, როგორც ჩანს, ამას ასე არ აღიქვამს ქართული საზოგადოება და დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირად ამახვილებს ყურადღებას ამ ხელშეკრულებაზე.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე საკითხზე:

1. მოკლედ მიმოვიხილავთ ყარსის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საქართველოში და ზოგადად კავკასიის რეგიონში შექმნილ იმ ვითარებას, რამაც გამოიწვია ამ შეთანხმების დადება;

2. განვიხილავთ თანადროულ ქართულ (ძირითადად) და ზოგადად ჩვენში გამოძვალ სამთავრობო თუ არასამთავრობო პრესაში არსებულ დამოკიდებულებას.

## 1.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ამიერკავკასიაში (საქართველოშიც) დაიწყო არეულობა, რის შედეგადაც შეიქმნა ტერიტორიული, შინაპოლიტიკური, ეთნიკური და იდეოლოგიური ხასიათის პრობლემები, რასაც განსაკუთრებით ართულებდა დაინტერესებული ქვეყნების (გერმანია, ანტანტის ქვეყნები) საგარეო-პოლიტიკური თუ სამხედრო ჩარევა. ყოველივე ეს განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ამ რეგიონში მოქმედი მხარეების პოლიტიკაზე. შემდეგ განსაკუთრებით ეხება ჯერ კიდევ ოსმალეთსა და უკვე საბჭოთა რუსეთს.

მუდროსის ზავით (1918 წლის 30 ოქტომბერი) ოსმალეთის მთავრობის გეგმები ჩაიშალა. კავკასიის რეგიონში რუსეთიც (სამოქალაქო ომით დაუძღურებული<sup>2</sup>) და ოსმალეთიც (გამარჯვებულ მხარეებს შორის დანაწილებული) თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგრამ, სახასიათოა, რომ სწორედ ამ გაჭირვებამ უბიძგა ორივე მხარეს, საუკუნოვან მტრებს, შეთანხმებულიყვნენ შეთანხმებაზე. ანტანტის სახელმწიფოთა ჩანაფიქრმა, ამიერკავკასია ექციათ ორ ქვეყნას შორის დამაშორებელი ბარიერად, პირუკუ შედეგი გამოიღო – ამიერკავკასია რუსეთ-თურქეთის დამაკავშირებელ რგოლად მოგვევლინა. სულთნის ხელისუფლების უსუსურობამ (მუდროსის ზავი, სევრის შეთანხმება (1920 წლის 10 აგვისტო) და სხვა) საშუალება მისცა

---

<sup>2</sup> თუმცა ხელი ბოლომდე არ აუღიათ – ბოლშევიკებისათვის ურთულეს 1918 წელს ლენინი იძლევა ბრძანებას, გამონახონ ყველა შესაძლებლობა ბაქოს კომუნის დასახმარებლად (დაწვრ.: Аралов С. И. Ленин вел нас к победе. Воспоминания. М. 1989).



მუსტაფა ქემალ-ფაშამ, თავისი მომხრეები გაემხნეებინა, მაგრამ საჭირო იყო მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ბიძგი. ამ დროს რუსეთის ფედერაცია იბრძვის „მსოფლიო პროლეტარიატის“ საკეთილდღეოდ, თანაც საშუალება ეძლევა დაიკაყოფილოს გეოპოლიტიკური ამბიციებიც და დიდი ზიანიც მი-  
აყენოს მოწინააღმდეგეს ანტანტის სახით. 1920 წლის 26 აპრილს რსფსრ-ს მთავრობის მისამართით მუსტაფა ქემალ-ფაშას მიერ გადასროლილი „სუსტი თესლი მსუყე ნიადაგში“ მოხვდა და სწრაფად დაიწყო განვითარება. ინგლისელთა ლომინირება შეირყა.

შემდგომ მოვლენები ამგვარად განვითარდა:

26 აპრილის წერილის პასუხად გიორგი ჩიჩერინი წერდა (1920 წლის 3 ივნისი, წერილი № 111551): „ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მთელი ჩვენი შრომა და სამხედრო ოპერაციები ვაწარმოოთ რუსეთის ბოლშევიკებთან ერთად, რომლის მიზანია ბრძოლა იმპერიალისტურ მთავრობებთან და ყველა ჩაგრულის გათავისუფლება“.<sup>3</sup>

უკვე 1920 წლის 2 ივლისს რსფსრ-ს სრულუფლებიან წარმომადგენ-  
ლად ანკარაში დაინიშნა შალვა ელიავა.

ყველაფერი მზად იყო მოლაპარაკებებისათვის.

1920 წლის 8 ივლისს სტალინმა ორჯონიკიძეს ღონის როსტოვში უდებუა: „ჩემი აზრით, არ შეიძლება მხარეებს შორის გამუდმებით ლავირება, ერთ-ერთის მხარე უნდა დავიჭიროთ, ამ შემთხვევაში ეს არის აზერბაიჯანი თურქეთთან ერთად. ლენინს ვესაუბრე, იგი წინააღმდეგი არ არის. სტალინი“.<sup>4</sup>

19 ივლისს მოსკოვს ეწვია ბექირ სემი ბეის დელეგაცია. 24 აგვისტოს შეთანხმების წინასწარ ტექსტს მოეწერა ხელი. საუბარი შეეხებოდა კავკასი-  
ის კორიდორის (აზერბაიჯანი, სომხეთი) გამოყენებას „დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის“ მებრძოლი თურქული არმიისათვის იარაღისა და სხვა საშუალებების მოსაწოდებლად. ამის საფასურად მუსტაფა ქემალ-ფაშას მთავრობა მიდიოდა მნიშვნელოვან დათმობებზე.

მოლაპარაკებები გაგრძელდა 1921 წლის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც მოგვარდა სომხეთის გასაბჭოების პრობლემა. ჯერი მიდგა საქართველოზე. საბ-  
რძოლო მოქმედების წარმოებას ხელი არ შეუშლია რუსეთ-თურქეთის მოლა-

<sup>3</sup> <http://www.kas-kalkan.com/content/index/232>.

<sup>4</sup> *Арутюнов А. А.* Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. Пр. 1808. РЦХИДНИ. Ф. 558. Оп. 1. Д. 4018. როგორც ჩანს, სწორედ სტალინის, იმ დროს ეროვნებათა სახალხო კომისრის პოზიციამ გაიმარჯვა ჩიჩერინ-კარახანის პოზი-  
ციაზე და გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით იქნა მიღებული.

პარაკებებისათვის. უფრო პირიქით: როგორც ალექსანდრე მანველიშვილი შე-  
ნიშნავს, ისინი მოქმედებდნენ აბსოლუტურ უნისონში. სხვათა შორის, ამ მკვლევ-  
რის გარდა, ბათუმისათვის ბრძოლას ამ კუთხით არავინ არ განიხილავს.<sup>5</sup>

ერთი სიტყვით, მოლაპარაკებები მოსკოვში განახლდა 1921 წლის 26  
თებერვალს, ხოლო უკვე 16 მარტს ხელი მოეწერა მოსკოვის შეთანხმებას.  
თუმცა აპრილში შეიქმნა გარკვეული წინააღმდეგობები: ალექსანდროპოლის  
თურქეთ-სომხეთის შეთანხმების გარკვეული საკითხები, ასევე ლონდონის  
კონფერენციაზე თურქების მიერ დასავლეთთან მიღწეული შეთანხმებები, ყარ-  
სის ოლქში მცხოვრები მოლოკების, და სხვა. ამ და სხვა მიზეზების გამო  
(როგორც ჩანს, თურქეთი არ კმაყოფილდება მხოლოდ რუსული გარანტიე-  
ბით) საჭირო შეიქმნა მოსკოვის ხელშეკრულების გადახედვა. საბჭოთა მთავ-  
რობა, რომელიც მანამდე პირობას დებდა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნები (უკვე  
საბჭოთა რესპუბლიკები) შეასრულებდნენ საჭირო შეთანხმებას, იძულებუ-  
ლია, სისრულეში მოიყვანოს პირობა და 1921 წლის 13 ოქტომბერს რუსე-  
თის წარმომადგენლის პატრონაჟით თურქეთთან შეთანხმებას ხელს აწერენ  
სამივე კავკასიური რესპუბლიკის წარმომადგენლები.<sup>6</sup>

მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა: თურქეთის მხარე ასევე ითხოვ-  
და, რომ ხელშეკრულება გაფორმებულიყო ცალ-ცალკე რესპუბლიკებთანაც,  
რომ დამატებითი გარანტიები მიეღოთ, მაგრამ საბჭოთა მხარე კატეგორიული  
წინააღმდეგი იყო. გარდა ამისა, თავად რესპუბლიკები იყვნენ უკმაყოფილონი  
მიმდინარე პროცესებით. ყოველ შემთხვევაში საქართველოში ხელშეკრულების  
გაფორმებიდან რატიფიკაციამდე (სარატიფიკაციო ნოტები მხარეებმა გაცვალეს  
1921 წლის 11 სექტემბერს ერევანში) მიმდინარეობდა სერიოზული კამათი ამ  
საკითხებზე, რამდენიმე საპროტესტო ნოტა გაიგზავნა მოსკოვში ერევნიდანაც.  
ამას თან დაერთო ხანგრძლივი კამათი და შეხლა-შემოხლა ამიერკავკასიის  
ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით და სხვა. თუმცა საბოლოო ჯამში  
ხელშეკრულება დაიდო. თურქეთის მხარისათვის ეს ორივე ხელშეკრულება  
სასიცოცხლო მნიშვნელობისა აღმოჩნდა: ჯერ ერთი, რომ ახალგაზრდა რეს-  
პუბლიკისთვის პირველი საერთაშორისო აქტებია, მეორეც ამ შეთანხმებით  
ანტანტის ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად მუსტაფა ქემალ-ფაშამ რუსე-  
თისაგან მიიღო 10 მლნ. ოქროს მანეთამდე ოდენობის დახმარება, ამას გარ-  
და, უამრავი იარაღი, თოფის წამალი და იარაღის ქარხნების აღჭურვილობა.

---

<sup>5</sup> *ალ. მანველიშვილი*. საქართველოს საზღვრები. პარიზი. 1938. გვ. 16-17.

<sup>6</sup> მოსკოვისა და ყარსის შეთანხმებების ტექსტებს შორის არის მხოლოდ უმნიშე-  
ნელო განსხვავება: მე-7, მე-8 და მე-18 მუხლები.

2.

საინტერესოა აღნიშნული მოვლენისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება. გასაგებია, რომ ახლად გასაბჭოებულ საქართველოში უზურპატორი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვათ, არაერთგვაროვანი, უფრო კი, მტრული იყო და მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს საზოგადოება აშკარად მტრულად თუ არა, არაკეთილგანწყობილად მაინც შეხვდებოდა. მით უმეტეს, როდესაც საკითხი სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას შეეხებოდა.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, როდესაც ვმსჯელობთ საზოგადოებრივ აზრზე, ძირითადად მხოლოდ მოგვიანო ჩანაწერებსა და პუბლიკაციებს უნდა დავეყრდნობთ, ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა უმეტესობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ან ემიგრაციაში წავიდა, ან შეწყვიტა აშკარა საქმიანობა. ეს კარგად ჩანს ნებისმიერი ბიბლიოთეკის კატალოგზე თვალის გადავლებითაც: ქვეყანაში ერთბაშად, თითქოს ჯაღოსნური ჯოხის აქნევით, გაქრა პოლიტიკურ პარტიათა თუ დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანოები. გამონაკლისია გაზეთები „სოციალისტ-ფედერალისტი“ და „ტრიბუნა“, სადაც იბეჭდება საკმაოდ კრიტიკული წერილები მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ბოლშევიკები ერთადერთ პოლიტიკურ პარტიორს – მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს – რაღაც დროის განმავლობაში აძლევენ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალებას.

სამაგიეროდ, ნელ-ნელა ძალას იკრებენ ბოლშევიკური ქართულ თუ რუსულენოვანი გაზეთები.

მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებათა შესახებ ქართული საზოგადოების დამოკიდებულების შეფასებისათვის სწორედ „სოციალისტ-ფედერალისტი“, „ტრიბუნა“, „კომუნისტი“ და «Правда Грузии» გამოვიყენეთ. პირველ ორში ასახულია ოპოზიციური შეხედულებები, ხოლო ოფიციალური პოზიცია დაფიქსირებულია ბოლო ორ გაზეთში.

ქართული საზოგადოების მიერ მოვლენათა ადეკვატურ აღქმაში რომ დავრწმუნდეთ,<sup>7</sup> საკითხის განხილვას მოსკოვის შეთანხმების გაფორმების დროიდან, ანუ 1921 წლის 16 მარტიდან დავიწყებთ.

**„სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 16 მარტი.**

მოყვანილია ნაწყვეტი გ. კლერის სტატიიდან (გაზ. Красный Войн) –

<sup>7</sup> დაწვრილებით იხ.: *შ. ვადაჭკორია*. ქართული პოლიტიკური აზრი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შესახებ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წ. I. თბ. 2003. გვ. 106-117.

„წითელი არმია მოვიდა რა საქართველოში, შექმნა ახალი დასაყრდენი პუნქტი... რომ გამაგრებულმა წაიწიოს წინ აღმოსავლეთის მშრომელი მასებისაკენ“.

**„სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 17 მარტი.**

„ჩვენ გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, რომ საქართველო უნდა დარჩეს სრულიად დამოუკიდებელი და ქართველი ერი სუვერენული.

აქ გვინდა შევეხოთ საქართველოს ტერიტორიის საკითხს...

ჩვენი ახალი მთავრობა საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას უნდა დაეყრდნოს და ამ ფარგლებში ახლავე შემოხაზოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორია, დანარჩენი მიწა-წყლის შემოერთება კი მთავრობის მორიგი საკითხი იქნება.

ტერიტორიის საკითხის ასე მოგვარებით საბჭოთა მთავრობა თავის მიზანს შეასრულებს, ქართველი ხალხის ეროვნულ საჭიროებას დააკმაყოფილებს და თავის მდგომარეობასაც განამტკიცებს... ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა არამც თუ დაიცავს საქართველოს თავის დღევანდელ საზღვრებში, არამედ შეეცდება დაუბრუნოს მას მისი განუყოფელი ნაწილები.“

გაზეთის იმავე ნომერში ვხვდებით თ. ლლონტის სტატიას „მენშევიკების რეზოლუცია“ – „რუსეთის ბრძოლის პირდაპირი მიზანი არის დიდ ბრიტანეთის მსოფლიო – ინდოეთი, სადაც უნდა მახვილი ჩაცეს ანტანტის ხელმძღვანელს მტკივნეულ ადგილას.“

**„სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 25 მარტი.**

გამოქვეყნდა თ. ლლონტის სტატია „ქემალის სცენები“, სადაც ავტორი განიხილავს შექმნილ ვითარებას და დასძენს: „უკვე ათი მარტისათვის ანგორამ მოსკოვის თათბირის შემდეგ იურიდიულად აღიარა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი, მესხეთი და სამაჰმადიანო საქართველო იცნო როგორც განუკვეთელი ნაწილი საქართველოს რესპუბლიკისა და ამის შემდეგაც ქემალის ჯარის ნაწილები არა თუ არ გადიან საქართველოს ტერიტორიიდან, პირიქით, ბრძოლას აწარმოებენ მაშინ, როცა ტერიტორიას იჭერს საქართველოს რეკომისი ძალა...“

ვინ არის და რა არის ქემალი? ქემალის მთელი ძალა გაზრდილია მოსკოვის მფარველობით და ქემალი ჯერ კიდევ კარგად ხედავს, რომ ის ვერ შეძლებს მოსკოვის წინააღმდეგობას...“

შემდეგ კი ახალ ხელისუფლებას შეახსენებდა: „საქართველოს ტერი-

ტორია, მისი საზღვრები არის სიმბოლო საქართველოს სუვერენობისა, ეს არის კვანძი, საიდანაც იშლება მთელი სახეობა რესპუბლიკის შემოქმედებისა და ის, ვინც ამ კარდინალურ საკითხში იჩენს ნებისყოფის სისუსტეს, უაზრო მორჩილების გრძნობას, ის ვერასოდეს შექმნის ვერც სახელმწიფოს, ვერც მოიპყრის ქართველი ხალხის უანგარო სიყვარულს“.

**„სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 26 მარტი.**

ამ ნომერში გამოიჩნევა პ. მ-ს (მირიანაშვილი) სტატია „მოსკოვის კონფერენცია და საქართველო“: „მოსკოვის კონფერენციას გულუხვობას ოსმალეთი დაუფასებს და თუ პირდაპირ ხელს არ შეუწყობს, ალბათ, არც შეუშლის, რათა აზიაში ფეხი მოიკიდოს საბჭოთა სისტემამ“.

იმავე ნომერში ვხვდებით სადაო ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალისა და ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელობაზე მსჯელობას: „ართვინი მასაზრდოებელია აჭარა – ქობულეთისა, მისი ბუნებრივი სიმდიდრე საარაკოა, მისი სპილენძის მადნებს საქართველოს მშრომელი მასისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბაქოს ნავთს აზერბაიჯანისათვის“.

ასეთი შეგონებითი ხასიათის წერილები ქვეყნის მოსახლეობის აზრის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, რითაც შესაბამისი ნიადაგი მომზადდებოდა, რათა ყარსის კონფერენციაზე არ მომხდარიყო მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულების უბრალოდ რატიფიკაცია. უფრო პირიქით, დაისვა მისი გადასინჯვისა და ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი.

ოპოზიციას ყარსის კონფერენციამ იმედები გაუცრუა, მაგრამ ბრძოლა მისი რატიფიცირების წინააღმდეგ ახალი სიმძაფრით გაჩაღდა.

**„ტრიბუნა“. 1921 წლის 14 ოქტომბერი.**

საინტერესოა ს. ხუნდაძის სტატია – „ყარსის კონფერენციის გამო“. იგი წერდა: ყარსის კონფერენციამ უნდა გადასინჯოს მოსკოვის ხელშეკრულება და ართვინ-არდაგანი დაუბრუნოს თავის პატრონს... ყარსის კონფერენციამ ადგილობრივ ძალთა განწყობილებისა და ინტერესთა გაგების მიხედვით უნდა მოახდინოს ისტორიული ცხოვრების მიერ შექმნილი უკუღმართობის ლიკვიდაცია და განამტკიცოს ამიერკავკასიის ერთა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შესაძლებლობა“.

**„ტრიბუნა“. 1921 წლის 23 ოქტომბერი.**

ს. ხუნდაძემ სტატიაში – „ყარსის ხელშეკრულება“ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კონფერენციის გადაწყვეტილება. „საქართველო იურიდიულად აღიარებულია საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც დამოუკიდებელი რეს-

პუბლიკა... გარეშე ძალას, თუგინდ რუსეთს, არავითარი უფლება არ ჰქონდა  
ოსმალეთისათვის გადაეცა ჩვენი მიწა-წყალი“.

„ჩვენ ვფიქრობთ, – წერდა იგი – რომ კონფერენციის მთავარი საქმიანობა ამ ხელშეკრულების (იგულისხმება მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულება) გადასინჯვაში უნდა გამოხატულიყო და მისი უარყოფით ოსმალეთთან სამართლიანი დამოკიდებულების საშუალება მოგვეცემოდა“.

განსაკუთრებით მწვავე კამათი გაიმართა 1922 წლის აპრილ-მაისში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი-საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ცენტრალური საკანონმდებლო ორგანო) საგანგებო სესიაზე, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი. ბოლშევიკური ხელისუფლების მთავარ ბრალმდებლად კვლავ ს. ხუნდაძე მოგვევლინა.

ს. ხუნდაძემ ყარსის ხელშეკრულების ტექსტი დაწვრილებით გაარჩია და სესიის მონაწილეთ მისი ობიექტური შეფასება წარუდგინა: მართალია, იგი ოსმალეთთან ნორმალური მეზობლური ურთიერთობის დამყარებას აუცილებლობად მიიჩნევდა, მაგრამ მიზნის მისაღწევად ორივე მხრიდან გაწონასწორებულ კომპრომისზე წასვლას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, სესიის მონაწილეებს შეახსენებდა, რომ „ყარსის ხელშეკრულებით გაღებული ტერიტორიული დანაკლისი დიდ ზიანს აყენებს საქართველოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად“ („ტრიბუნა“. 1922 წლის 22-23 აპრილი. საგანგებო სესიის სხდომის ოქმები იხ. „გაზეთი კომუნისტი“. 1922 წლის 16 მაისი - 1 ივნისი). ამ დებულების გასამაგრებლად მან სათანადო ფაქტები მოიშველია და იქვე დასძინა: „ამ ხელშეკრულებით მარტო ტერიტორიას კი არ ვკარგავთ, ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ ქართველი ერის დენაციონალიზაციას. ჩვენ ვერ დავთმობთ ვერც ერთ ნაწილს ჩვენი ტერიტორიისას, მით უფრო მაშინ, როდესაც ჩვენ ვკარგავთ სხეულის ერთ ნაწილსაც, რასაც ხელს შეუწყობთ ამ ხელშეკრულების მიღებით“. იქვე აღნიშნავდა, რომ რამდენადაც ყარსის ხელშეკრულება საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, თვითონ და მისი ფრაქცია (მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები) ხელშეკრულების წარმოდგენილ ტექსტს ხელს არ მოაწერდნენ: „არც ობიექტური და არც რევოლუციის ინტერესები არ მოითხოვენ ასეთი ხელშეკრულების დადებას. ჩვენ დროებით მაინც შევჩერდეთ, გენუის კონფერენციას მაინც მოვუცადოთ და არ მივცეთ დასტური ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც ყოველმხრივ საზიანოა ჩვენთვის“.

გაზეთი „ტრიბუნა“ ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ გაილაშქრებს უშუალოდ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის წინაც – 6 სექტემბერს გამოქვეყნებული ს. დევიანის სტატიით „მეზობლური ურთიერთობისათვის“. მასში დაგმობილია ყარსის ხელშეკრულება და მისი რატიფიკაცია საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ შეცდომადაა გამოცხადებული. ავტორი საქართველოს ბოლშევიკურ მთავრობას შეახსენებდა, რომ „თუ დიდტანიან საბჭოთა რუსეთს უფლება აქვს იბრძოლოს თავისი ტერიტორიების დასაცავად და დიპლომატიური კონფლიქტები შექმნას ბესარაბიის, კორეისა და სხვებისათვის, პატარა საქართველოს იმ უფლებას ვერავინ წაართმევს, რომ თავისი გულწრფელი პროტესტი განაცხადოს მისთვის საზიანო ხელშეკრულებისათვის და მოითხოვოს ნორმალური პირობების დადგენა“.

ქართველი და რუსი ბოლშევიკებისათვის ეს წინადადება მიუღებელი იყო, რადგან ქართული ემიგრაციული მთავრობის მეცადინეობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გენუის კონფერენციაზე დასმა იყო მოსალოდნელი. ყოველგვარი შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად ბოლშევიკები დაჩქარებულად მოქმედებდნენ – აუცილებელი იყო ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ოფიციალური პრესაც, სადაც ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ყარსის შეთანხმება ხალხთა მეგობრობისა და მხარეთა შორის განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიმუშად წარმოადგინოს (სხვათა შორის, იმავეს ცდილობს თურქეთის მხარეც). ამიტომ ხელშეკრულების განმარტებებისას, ძირითადად, ლოზუნგებით შემოიფარგლებიან, კონკრეტული საკითხების გაშუქებას ერიდებიან. მხოლოდ ერთხელ, 1922 წლის მაისში შედგა საკითხის საგნობრივი განხილვა და ისიც იმის გამო, რომ ბოლშევიკებს მოუწიათ ცაკის საგანგებო სესიაზე ახსნა-განმარტებების მიცემა.

მოხსენება ხელშეკრულების შესახებ თურქეთში საბჭოთა რუსეთის პირველმა წარმომადგენელმა, იმ დროისთვის საქართველოსა და ამიერკავკასიის სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარმა, ამ ხელშეკრულების ერთ-ერთმა შემოქმედმა შ. ელიავამ გააკეთა. მან ყარსის ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის ძმობის, მეგობრობისა და სოლიდარობის საფუძვლად მიიჩნია. მისი აზრით, იგი ხელს შეუწყობდა აღმოსავლეთს ქვეყნების ჩართვას რევოლუციაში, რითაც იგი დაუპირისპირდებოდა დასავლეთს. „ამისთვის, აღნიშნავდა იგი, ჩვენ ბევრი უნდა დავთმოთ. ამას მოითხოვს რევოლუციის უმაღლესი კანონი“ („კომუნისტი“. 1922 წლის 19 მაისი).

ს. ხუნდაძის მიერ სესიაზე წარმოთქმული სიტყვას ქართველმა ბოლშევიკებმა რეალური ვერაფერი დაუპირისპირეს. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს იყო პროპაგანდისტური ნაბიჯი.

ის, რომ ბოლშევიკები აშკარად თამაშობდნენ, ასევე ნათლად ჩანს ოფიციალური ცნობებიდან, რომლებიც ქვეყნდებოდა გაზეთებში კონფერენციის მიმდინარეობისას ან მის შემდეგ.

მოვიყვანო რამდენიმე ამონარიდს.

**«Правда Грузии». ტფ. 1921 წლის 16 ოქტომბერი.**

ყარსის კონფერენციის ირგვლივ. ყარსის ოლქის გლეხთა მიტინგი

ყარსი, 9 ოქტომბერი. სოფელ რომანოვოში შედგა სექტანტ მოლოკანთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც სრული შემადგენლობით დაესწრნენ თურქეთთან შეთანხმების გასაფორმებლად ჩამოსული მისიები. შეკრებილებმა თხოვნით მიმართეს რსფსრ-ს წარმომადგენელს ამხ. განეცკის გადასცეს მოკითხვა რუს ხალხს, რომელმაც მოახერხა კაპიტალის უღლის გადაგდება და დაამყარა მშრომელი მუშებისა და გლეხობის ხელისუფლება, ასევე მოკითხვა მოძმე თურქ ხალხს, რომელიც ებრძვის ანტანტას თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

**«Правда Грузии». ტფ. 1921 წლის 18 ოქტომბერი. გვ. 1**

ყარსის კონფერენციის ირგვლივ. ერევანში

ერევანი, 15 ოქტომბერი. ყარსის კონფერენციის დელეგატები, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან — ამხ. მრავიანი და მაკინციანი (სომხეთისგან), ბეიურთ შახტახტინსკი (აზერბაიჯანისგან), განეცკი (საბჭოთა რუსეთისგან) ჩამოვიდნენ ერევანში. საქართველოს წარმომადგენელი ავადმყოფობის გამო ყარსიდან პირდაპირ თბილისისკენ გაემართა.

დელეგატთა ჩამობრძანების დღეს პირველ საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებისა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

15 ოქტომბერსვე, 17 საათზე, ყველა დაწესებულებაში შეწყდა მუშაობა, წითელარმიელებმა, მუშებმა და მოსამსახურებმა დროშებითა და ორკესტრის მუსიკის თანხლებით თავი მოიყარეს ამხ. შაუმიანის სახელობის მუშათა კლუბის წინ. კლუბის აივნიდან შეკრებილებს მიმართეს ამხ. შახტახტინსკიმ, მრავიანმა და მაკინციანმა. გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს, რომ დადებული შეთანხმება ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იქნებოდა და ღრმა კმაყოფილების გრძნობით ხაზი გაუსვეს იმ გულწრფელ დამოკიდებულებას, რომ-



ლითაც იყვნენ განმსჭვალულნი მონაწილე მხარეები.

ორატორთა გამოსვლებს თან ახლდა შეკრებილი მრავალრიცხოვანი მასის მქუხარე აპლოდისმენტები.

**«Правда Грузии». ტფ. 1921 წლის 26 ოქტომბერი.**

ყარსის კონფერენციის ირგვლივ. სომხეთის მუშათა რეზოლუცია ერევანი, 22 ოქტომბერი. მოვისმინეთ რა ყარსის კონფერენციაზე აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის მხარის წარმომადგენელთა ინფორმაცია ყარსში კავკასიურ რესპუბლიკებსა თურქეთს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, ჩვენ, სომხეთის მუშები, გლეხები და წითელარმიელები მივესალმებით ამ რევოლუციურ ხელშეკრულებას, რომელიც ძმობის მჭიდრო კავშირით კრავს კავკასიისა და თურქეთის მუშათა და გლეხთა მასებს. მივესალმებით თურქეთის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას ანტანტის იმპერიალისტთა წინააღმდეგ; მათ შეუძლიათ ზურგიდან უსაფრთხოდ იგრძნონ თავი და დაე, იცოდნენ, რომ ჩვენ მათთან ვართ...

დაე, იცოდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია შეწყვიტოს საუკუნო მტრობა და დაპირისპირება ხალხებს შორის. გაუმარჯოს ძმურ შეთანხმებას! გაუმარჯოს აღმოსავლეთის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ! გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს – მსოფლიო რევოლუციის ციხე-სიმაგრეს!

**«Правда Грузии». ტფ. 1921 წლის 27 ოქტომბერი.**

კონსტანტინეპოლი. გაზეთ „ბარლიკის“ 14 ოქტომბრის ნომრის მეწინავე სტატიაში აღნიშნულია: „ყარსის კონფერენცია დასრულდა წარმატებით. ხელი მოეწერა შეთანხმებებს, რომელთაგან თითოეული მოსკოვის სამეგობრო შეთანხმების შვილობილია. ამ ხელშეკრულებებმა ფორმალურად დაიწყეს თურქეთსა და კავკასიელ ხალხებს შორის გულწრფელობისა და სიყვარულის ახალი ერა.“

ეჭვგარეშეა, რომ ამ ხელშეკრულებებით თურქეთსა და რუსეთს შორის დამყარებული სასიყვარულო კავშირები კიდევ უფრო გამყარდება და, შესაბამისად, მთელი აღმოსავლეთის სამყარო გადადგამს კიდევ ერთ ნაბიჯს წინ სიმშვიდის, თანხმობის, კეთილმეზობლობისა და ბედნიერებისაკენ“.

შემდეგ პუნქტობრივად განიხილება ხელშეკრულების ძირითადი დებულებები. პუბლიკაცია მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„ერთი სიტყვით, ყარსის ხელშეკრულებათა ყველა პარაგრაფი უზრუნველყოფს მომავალში თურქეთსა და კავკასიის რესპუბლიკებს შორის საკ-

მაოდ ბედნიერ ურთიერთობებს. მთელი გულით ვუსურვებთ ჩვენ პატივცემულ მეზობლებს, მიაღწიონ პროგრესსა და ბედნიერებას თურქეთსა და რუსეთს შორის ყოფნით“.

დასასრულ, გვინდა კვლავ აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ყარსის ხელშეკრულება „მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაა“ და სხვა მნიშვნელობა დღესდღეობით არ ენიჭება, როგორც ჩანს, იგი მაინც დიდხანს დარჩება დავისა და კამათის საგნად, რადგან მისი გაფორმების პერიოდში, გარეგნული მოწესრიგებულობისა და თავისი დროისათვის პროგრესული დებულებების შემცველობისა,<sup>8</sup> დარღვეული იყო მონაწილე მხარეთა სუვერენული უფლებები – კერძოდ, მეორე მხარეს მონაწილე სუბიექტები (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) ერთად აწერენ ხელს, მაშინ როცა მათი გაერთიანება ჯერ არ არსებობდა; ამასთან, გასაბჭოება, ძირითადად, ძალდატანებით მოხდა და, შესაბამისად, ხელისუფლებაც, რომელმაც გააფორმა ეს ხელშეკრულება, არალეგიტიმურია და სხვა.

აღნიშნული ხელშეკრულება 1921 წლიდან მოყოლებული არაერთხელ მოექცა ქართული საზოგადოების ყურადღების ქვეშ: მაგალითად, 1943 წლიდან საბჭოთა პრესაში და ანტიჰიტლერული კოალიციის ოფიციალურ შეხვედრებზე ყარსში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთმა არქიტექტორმა ი. სტალინმა დააყენა ამ ხელშეკრულების გამო თურქეთის პასუხისმგებლობის საკითხი; ყარსის ხელშეკრულება აქტუალური გახდა 1992 წლის შეთანხმების გაფორმებისას, 1999 და 2004 წლებში აჭარის ავტონომიურობის სტატუსზე აქტიური მსჯელობისას და კიდევ ერთხელ წამოიწია 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობისას, როდესაც ცნობილი გახდა თურქეთის პრემიერის მოსკოვში ვიზიტის თაობაზე. პოზიცია ყველა შემთხვევაში ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება, ოპოზიცია კი კვლავ ტერიტორიული პრეტენზიებით გამოდის.

ერთი სიტყვით, ამ ხელშეკრულების ირგვლივ დავა-კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ყველა მხარეს აქვს თავისი სიმართლის დამადასტურებელი არგუმენტები. მხოლოდ ეს სჯავ-ბაასი სასურველია არ გასცდეს სამეცნიერო ფარგლებს და, როგორც ერთ-ერთ თურქულ გაზეთში წერდნენ, შევინარჩუნოთ აღებული კურსი კეთილმეზობლობისა და მეგობრობისა.

---

<sup>8</sup> ლ. ალექსიძე, მ. სვანიძე, ნ. კობახიძე. თურქეთი შეიცვალა ჩვენთვის, საქართველოსთვის, მოგვაპყრო ახალი სახე, და ამას დღეს ვიგებთ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992 წლის 6 აგვისტო. გვ. 3; ლ. ალექსიძე, დ. კობახიძე. ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი). ქართული დიპლომატია. წელიწადი. 1. თბ. 1994. გვ. 238-251.

*Mariam Chkhartishvili, Sophio Kadagishvili*

## **Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols\***

### **Introduction.**

Social theorists distinguish two principal types of nations: nations being direct products of modernization processes and nations emerged as results of nationalisms. The Georgian nation belongs to the later type. Accordingly, representation of the history of Georgian nationalism is a key task of Georgian historiography. The Soviet historians treated nationalism as a false bourgeois ideology and placed it beyond the academic interests. It is why during the long period (until very recently) in Georgia the phenomenon of Georgian nationalism was neglected issue. Hence today the study of the problem lacks necessary insights.

Our goal is to fill up (of course, in short paper like the present one it is possible only partially) the existed gap and provide up-to-date discourse on the history of Georgian nationalism. In particular, we attempt to argue alternative view on the time of Georgian nationalism's emergence and define principle sources and stages of Georgian nationalism development. We introduce the early nineteenth century as a date of Georgian nationalism's origin instead of generally accepted late nineteenth century. We also try to show that the matrix of Georgian nationalism despite its west-European design was not always completely matched with the paradigmatic models. The ethnic legacy of nationalizing Georgian community and impacts coming from Russian empire part of which Georgia was in the nineteenth century gave to Georgian case specific coloring. All above components, namely, rich ethnic heritage ("the usable past"), European ideas of nation and Enlightenment, and disadvantages experienced by Georgians as ethnic minorities within Russian gosudarstvo,

---

\* The paper was presented at the 5<sup>th</sup> Via Egnatia Conference held by the Saints Cyril and Methodius University of Skopje (17-19 June, 2011, Ohrid, Macedonia).

should be considered as sources of Georgian nationalist ideology.

**Theoretical Background.**

‘An ideological movement for attaining and maintaining autonomy, unity and identity for a population which some of its members deem to constitute an actual or potential nation’<sup>1</sup>.

This working definition by A. D. Smith we are providing immediately so that to avoid ambiguity in understanding of the term.

In different environments nationalism is colored differently, however, essentially (in regards of general tactics and strategy) it remains everywhere same because of its fundamental ideals (national autonomy, national unity and national identity<sup>2</sup>) as well as core concepts (authenticity, continuity, dignity, destiny, attachment (‘love’) and homeland<sup>3</sup>), as convincingly assert A. D .Smith, are universal. These generic features give to nationalist ideology objective character: ‘Nationalism has its own rules, rhythms and memories, which shape the interests of its bearers even more than they shape its contours, endowing them with recognizably “nationalist” political shape and directing them to familiar national goals’.<sup>4</sup>

Like many specialists in field we think that nationalism is linked exclusively with modernity and its appearance on historical arena might be dated by the late eighteenth century, the period since French Revolution of 1789.

Very often nationalism concerns the realm of politics, ‘but the significance of nationalism is not confined to the world of politics. It is also cultural and intellectual, for “the world of nations” structures our global outlooks and symbolic systems’.<sup>5</sup>

Again like many specialists in field we are sure that decisive role in the process of national consolidation belongs to the cultural elite, but we understand role of the elite not as voluntary social engineering, but see it through the lens of ethno-symbolist approach, in particular, we consider it as a process of cultural self-identification in the limits set by the cultural givens of the populace being aspirant (potential nation) of nationhood. Here again we

---

<sup>1</sup> A. D. Smith. *Nationalism. Theory, Ideology, History*. First was published by Polity Press in 2001. We use the reprint of 2003. See p. 9.

<sup>2</sup> Ibid. 25.

<sup>3</sup> Ibid. pp. 28-33.

<sup>4</sup> Ibid. p. 3.

<sup>5</sup> Ibid. p. 2.

share A. D. Smith's opinion treating the process of transition from ethnic community to national one as the process of selection and reinterpretation of the ethnic legacy conducted by intellectuals.

We think that most of the modern nations are products of nationalisms and only few (according to L. Greenfeld solely one – England<sup>6</sup>) had emerged as direct products of modernization. The principal indicator of nationalism is a conceptualizing of “people”. As L. Greenfeld puts it: ‘The specificity of nationalism...derives from the fact that nationalism locates the source of individual identity within a ‘people’, which is seen as a source of sovereignty, the central object of loyalty and the basis of collective solidarity’.<sup>7</sup>

The people becomes the only source of the authority and the ground for its legitimacy. The people begins venerating its own cult occupying the place which in pre-modern Christian Europe belonged to consecrated monarch: ‘Collective identity in the Christian world is grounded on two basic postulates: on Eucharistic unity of the Christian people...whose embodiment is the Church. The second is a loyalty of Church to the consecrated monarch. The king's immortal body is his kingdom’.<sup>8</sup>

The Enlightenment had changed the situation drastically. In public perceptions *sovereign people* occupied the place of the monarch. As a part of the Enlightenment project nationalism and nationalist movements are inseparable from extending of educational, mass media networks and creating new and essentially novel (in regards of their social functions) public spaces.<sup>9</sup>

Some scientists justifiably argue that from the very beginning nationalism came as a form of democracy. ‘The location of sovereignty within the people and recognition of the fundamental equality among the various strata, which constitutes the essence of the modern national idea are at the same time the basic tenets of democracy. The democracy was born with the sense of nationality’.<sup>10</sup>

---

<sup>6</sup> L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts, London England, 1992. We use the paperback edition 1993. See p. 23.

<sup>7</sup> Ibid. p. 4.

<sup>8</sup> Z. Andronikashvili, G. Maisuradze. Secularization and Its Vicissitudes in Georgia. – Identity Studies. Ilia State University, Tbilisi, 2010,#2, p. 6.

<sup>9</sup> G. Tevzadse in his recent internet publications ‘What is the Enlightenment’ and ‘Great Identity’ (See the Journal Solidaroba) provides important data for showing the inherited links between the Enlightenment project and emergence of national identity.

<sup>10</sup> L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity, p.10.

### **Forms, Principal Sources and Stages of Georgian Nationalism Development in the Nineteenth Century.**

The nineteenth century Georgian nationalism represents combination of political and cultural forms. It had arisen as a part of political movement, as a respond on Russian oppression. The abolishment of Georgian royal dynasty of Bagratians by Russian Emperor's decree in 1801 represented the fact provoked it. This was extraordinary event for Georgians. Bagratians were in power at least during ten centuries. In pre-modern era in many regards Georgian identity was built on loyalty to the kings of this dynasty. It is why some scholars even assert that 'The abolition of the Georgian monarchy in 1801 assumed in the collective memory the character of a kind of traumatic fixation, to a significant extend, this became a determinant of those processes which occurred in Georgian political consciousness during the subsequent two centuries and which also occur today'.<sup>11</sup>

The respond to this challenge was immediate. It was expressed in popular uprisings of 1802, 1804, 1812-1813 against tsarist Russia. The goals of these uprisings were political: restoration of Georgian monarchy. It was for the first time when people acted independently, however, it was not yet aware of the concept of *sovereign people* and its own (dominant) position on the social scale. People still longed to restore authority of Bagratians' dynasty. The Georgian princes were invited to lead these movements. One of them even was consecrated as king of Georgia.

These uprisings were not successful. However, they are interesting as events announcing the birth of Georgian nationalism. Despite the fact that, in principal, monarchy as a form of political order, is incomparable with the Enlightenment project and, accordingly, with initial idea of nationalism, the mass character of these movements allows us to treat them as nationalist ones.

The failure of above uprisings made the Georgian elite to think that the spontaneous rebellions might not be successful; it was necessary to conduct some preliminary work among Georgian nobility, defining the goals and tactic of liberation movement.

The result of the relevant activities during several years was conspiracy of 1832. Almost all representative of Georgian high nobility were involved in it. The conspiracy too had political goal: to restore political autonomy of Georgia. Despite the facts that among the participants of this conspiracy were Georgian

---

<sup>11</sup> Z. Andronikashvili, G. Maisuradze. *Secularization and its Vicissitudes in Georgia.*, p.7.

princes, conspirators perceived constitutional monarchy or republic as political form for future Georgian polity. They were well aware the ideas of the Enlightenment and longed to make native country republican, 'to make Georgia as France'.

For ensuring mass character for their movement the conspirators intended to involve in the movement the people. However, they did not plan to inspire the people with liberation ideas, but attempted to involve the people in the movement by false alarm concerning danger coming from Russian officials. The conspiracy was elite's movement, though it recognized the importance of popular participation and popular governance as a form of political order.

The conspiracy was betrayed some time before of its first action. Thus, this conspiracy as well as above mentioned popular uprisings was failed. However, the importance of the 1832 conspiracy for the history of Georgian nationalism was great.

The birth of Georgian nationalism at the opening years of the nineteenth century shows palpable discrepancy from its models: in England and France the kings were executed and only after these symbolic sacrificing the sovereign people had occupied the place of the monarch. In Georgia the people had not killed the king (the dynasty, as it was mentioned, was abolished by Russia), on the contrary: the people achieved its social visibility in the struggle for restoration of kingship.

Later on, namely 1860-1880s the premature Georgian political nationalism was replaced by fully developed Georgian cultural nationalism. Its main designer and promoter was writer and public worker Ilia Chavchavadze (1837-1907) who with his co-workers took an active part in societal life from 1860s. For this reason this group of young Georgians was named as "generation of sixties". They were referred as *Tergdaleulni* as well. The literary meaning of this word is as follows: 'those who drank water of Terek (in Georgian *Tergi*) River. Terek was perceived as borderline between of Georgia and Russia. *Tergdaleulni* were intellectuals who had received education in Russia.

The generation of sixtieth was also called as "sons". The "fathers" were the generation of 1830s, i.e. those who had taken part in the conspiracy of 1832. However, after the conspiracy's failure, these political radicals were transformed into the loyal subjects and the devoted servants of Russian *gosudarstwo*. For this they were severely criticized by "sons", however, the "sons", in particular, Chavchavadze, considering the conspiracy as a very important stage in the way of Georgian national idea's development, always

showed his deep appreciation to the contribution of “fathers”.

The cultural definition of the nation and cultural autonomy within Russian empire were Chavchavadze’s principal tasks. In his story *The Letters of the Traveler* (1861) he expressed regret for Georgians being not independent as it was case in the past times. However, afterwards, Chavchavadze did not articulate publicly the independence of Georgian state as political program. This position was result of his pragmatic calculations: by this time Christian Europe showed no interest to Georgia, whereas Georgia’s immediate neighbors – Ottomans and Persians – were non-Christian and expansionist countries. Accordingly, Russia as political partner had no alternative in the eyes of Georgian nationalists: Russia was perceived by them not only as the guarantor of peace, but also as the creator of environment favorable for promoting the ideas of the Enlightenment.

According some theorists of nationalism the process of national consolidation begins with cultural mobilization resulted in cultural self-identification. M. Hroch, for instance, who has studied European nationalisms, was able to found out the common paradigm for development of nationalists movements: according to him national movements begin from small circles of intellectuals (scholars, writers, artists etc) who try to elaborate the idea of nation. It is phase A, which is followed by dissemination of the idea through patriotic circles of agitators, educators and journalists (phase B). Only after this these ideas begin to infect the wider masses of the middle and lower classes (phase C).<sup>12</sup>

This pattern shows straightforward linear link between elites’ politics and mass movements. However, Smith and Hutchinson have found out that the real interrelation between cultural and political forms of nationalism is even more complicated and ‘in practice, cultural and political forms of nationalism often succeed each other, and nationalists may oscillate between them’.<sup>13</sup>

As one was able to see Georgian case is more fit with Smith- Hutchinson pattern according to which political and cultural forms of nationalism may follow each other and cultural form should not necessarily predate the political one as was argued by Hroch.

### **Chavchavadze’s Cultural Nationalism and Idea of Georgian Nation.**

Chavchavadze began with reinterpretation main ethnic markers. These

---

<sup>12</sup> M. Hroch. *Social Preconditions of National Revival in Europe*, Cambridge, 1985, pp. 22-24.

<sup>13</sup> A. D. Smith. *Nationalism. Theory, Ideology, History*, pp. 76-77.



were: (1) territory which Chavchavadze conceptualized as *mamuli* (fatherland), (2) language which was expression of national spirit, and (3) Christian faith to which Georgians' devotion was unprecedented. Chavchavadze wrote:

‘From our ancestors, we inherited the three sacred treasures: fatherland, language, and faith. If we do not even take good care of them, what kind of men we are, what will we be able to say to our heirs?’

Each element of the triad was a building block of the Georgian national identity.<sup>14</sup>

To the fatherland as national identity marker Chavchavadze ascribed a special importance. He idealized Georgian peasantry<sup>15</sup> considering it repository of true virtue and authenticity just because of peasantry's firm attachment to the native land.

On the second place of the triad was language. The “sons” started debates with “fathers” on the issues of language. They tried to make close language of literature with Georgian of everyday communication. Some scholars consider these debates between the two generations of Georgian nationalist in the secularization process context: they assert that this was struggle for secular Georgian.<sup>16</sup>

We think that the said polemic was connected not only with secularization, but also with desire to conceptualize *people* as source of legitimacy. Chavchavadze underlined that the arbiter of the language was people and not “theory of alphabet”. *Theory of Alphabet* is a title of the composition by Georgian Catholicos Anton (Bagrationi) who had tried to reform Georgian in the eighteenth century. Catholicos Anton distinguished different styles of Georgian: one for literature, another for common people. Chavchavadze and his followers insisted on one standard language. As it was already mentioned in special literature, sometimes Chavchavadze's linguistic proposals had populist nature and the criticism towards Catholicos Anton's innovations was not always fully correct. But for Chavchavadze was not enough to create the national standard language; he intended to cultivate the idea of Georgian *people as the source of legitimacy*. As oppression inflicted by

---

<sup>14</sup> G. Nodia. *Components of Georgian National Idea: an Outline*, Identity Studies, I, 2009, p.89. (Iliia State University, Institute of Genealogy of Modernity: internet publication).

<sup>15</sup> Idealization of peasantry is a common feature of nationalist worldview. As E. Hobsbaum puts it ‘...since the later eighteenth century... Europe had been swept by the romantic passion for the pure, simple and uncorrupted peasantry...’ (E.Hobsbaum, *Nations and Nationalism since 1780. Programme, Myth, Reality*. Cambridge University Press. 1990, Reprint 2008, p. 103).

<sup>16</sup> Z. Andronikashvili, G.Maisuradze. *Secularization and its Vicissitudes in Georgia*, p.11.

Russian empire on Georgia did not allow him to promote this idea in political life, he tried to establish it in the cultural sphere.

Chavchavadze presented Georgian community as a martyr for Christianity. He wrote: ‘Christ our Lord had sacrificed for our sake, and we had sacrificed for Him’. However, as it was mentioned in the special literature, Chavchavadze’s attitude to religion was rather ambivalent.<sup>17</sup> It is not accident that in above triad religion occupies last place. To Christianity Chavchavadze attached great importance, however, his nationalism was secular in its character.

Chavchavadze saw that in new political realities Orthodox Christianity could not work properly as Georgian identity marker. As it well known for identity-building process is important to show authenticity which means the permanent affirmation of differences in face of others. Orthodox Christianity was not useful for this purpose as it stressed Georgia’s similarity (not distinctiveness) with Russians being Georgians’ *significant others*.

An additional factor against putting emphasis on religion was the existence of Islamicized Georgians. They lived in the southwestern Georgian province of Achara. In 1877 in the war with the Ottoman Empire, Russia (with support of Georgians) occupied Achara. Thus, through the inclusion of Achara into Russian empire it was regained by Georgia. The new political reality created the new practical task for Georgian nationalists: they should conduct the augmenting of Achara with other Georgian provinces. It is why Chavchavadze proposed a modified concept of the Georgian identity, based primarily on the idea of common historical experience. He wrote: ‘Every nation lives by its history. In history nation finds its power, its soul, and its moral and mental superiority. In our opinion, neither common language, nor faith and kinship can tie (nail) humans with each other stronger, than the unity of history’.

As it was noted the above mentioned triad of sacred treasures represented the principal Georgian identity markers. In this definition Georgian identity was represented as not fully exclusive, but, at the same time not sufficiently inclusive. By ascribing to historical memory the decisive importance, Chavchavadze made Georgian identity more open, more inclusive and prepared ground for development of civic idea of Georgian nation.

The modern Georgian nation emerged in the late nineteenth century and first two decades of twentieth century. We can point to many indicators that bear this out. The most characteristic indicator was the fact of inter-group

---

<sup>17</sup> G. Nodia. *Components of Georgian National Idea: an Outline*, p. 90.

bonds' rethinking. If in the previous period the designation of Georgian in-group was the term *natesavi* (the main segment of this word, *tes-l-i*, in Georgian is "seed", so, *natesavi* means a group of humans being of a common origin), now it was *eri*. Simultaneously with this change, the sphere of usage of *natesavi* was narrowed to immediate relatives. In the Middle Ages *eri* was used to refer to socially-based identities. Only from nineteenth century did it begin to operate as term designating in-groups based on ethno-cultural grounds. *Natesavi* meant that the in-group consisted of members sharing a common origin, while in the case of *eri* the basis for membership was not specified. Thus, *eri* as well as *natesavi*, refer to a group of humans, though the last one does not accentuate (though does not exclude) the common origin of its members. They might be, but they also might not be the descendants of a common forebear. In current usage, *eri* means nation. Already in the second half of nineteenth century Ilia Chavchavadze entwined the term *eri* with the term of *nation*. For instance, E. Renan's famous work's title "What is a nation?" he translated as "What is *eri*?"

Thus, Chavchavadze was proponent of both ethnic and civic models of nation simultaneously. As it well known that nationalists' views lack inner coherence and often are characterized by paradoxes. The Georgian case is an eloquent testimony to this general assertion. On one hand, Chavchavadze saw Georgian nation in organicist and determinist way perceiving Georgian *eri* as living personality; on other hand, he promoted the liberal ideal of nationality; On one hand, the addressee of Chavchavadze's appeals were exclusively ethnic Georgians, as his main task was to define Georgian ethno-nation; on the other hand, Chavchavadze viewing the solidarity within a community based on kin identity less powerful than entities bound by political ties tried to cultivate the ideals of civic community.

Pragmatic calculations drove Chavchavadze to ambiguity of this kind: ethnic image of nation ensured firm bonds between community members and unbroken in-group solidarity; It was helpful for defining ethno-cultural boundaries of the nation. However, it was not enough for political self-determination: historically Georgia was multiethnic and multi-confessional country. Its existence was not possible without tolerant and in certain degree inclusive society. It is why for Chavchavadze was so important to promote and cultivate the ideal of nation's civic model as well.

Ilia Chavchavadze's object of inspiration was civilized West. Chavchavadze had an eye on events in Italy and Ireland. The hero of nationalist

movements for him was Garibaldi whose photo he had of in his study. His close relative and friend Kote Abkhasi recalled: 'Ilia wanted to be a priest and only because of Garibaldi had changed his mind'. He dedicated very nice poem to the victory of Garibaldi at Messina.

Chavchavadze thought that Georgians should follow the Western way. However, according to him Georgians should not transplant in their native country class struggle, which was not characteristic for Georgia. As most nationalists he was proponent of the social harmony. He thought that every rank in the Georgian society had its irreplaceable function. He believed that Georgian nobility (he belonged just to stratum of Georgian high nobility) should preserve its role of cultural elite. At the same time he was against serfdom and welcomed when it was abolished in 1864.

Some specialists in field assert that Georgian nationalism begins with Chavchavadze. As it was already mentioned, we think that Georgian nationalism began in the early nineteenth century with political demands. Chavchavadze was designer of Georgian cultural nationalism. This was the second stage of Georgian national idea's development. The main result of this stage was the conceptualization of Georgian nation.<sup>18</sup>

---

<sup>18</sup> For some more details concerning the Georgian nationalism and, in particular, on Chavchavadze's public activities see M.Chkhartishvili. *Molding of Nationalist Ideology and Printed Media: Georgian Case.*- Ivane Javakhshvili Tbilisi State University. Faculty of Humanities. Institute of Georgian History. Proceedings, vol. II, pp. 426-447.

*Giuli Shabashvili*

## **Georgian Social Stereotype According to the Estimation of the Citizens of Europe Visiting Georgia \***

Georgia is the country, located at the verge of Europe and Asia, counting the centuries-old history, by stages reflecting the impact of as Western so of Oriental politics and culture according to the variable geo-political situation. It is natural that these factors had the immense influence on formation of Georgian mentality and creation of social capital. Although, it is impossible to reiterate in single regards the affiliation of Georgian social stereotype to the European or Asian society.

Georgia was always attractive for the European travelers, who had the particular interest and describing in detail Georgian social way of life and cultural values. Georgian and foreign archives keep the great volume of documentation, allowing the clear conception of the Georgian reality in the corresponding epoch. Besides, the attitude of the authors of records, which they express towards Georgian way of life, culture and traditions, their estimations and general perceptions are of utmost interest.

Today Georgia is intensively engaged in the process of European integration and correspondingly, many foreign citizens (as from Western so from Asian countries) arrive in the country with various purposes (business visit, official obligations, traveling etc). It is interesting what is the attitude of the Western citizens towards Georgian way of life, culture and generally, to Georgian social stereotype today, what is the subject of their approval or inadmissibility.

As it is known, **coordination**, i.e. **consensus** is considered as one of the core features of social stereotype. A. Teshfel considered the coordination exactly as the core feature of stereotypes. In his opinion, the perceptions and

---

\* The paper was presented at the international conference – Encounters Between the Caucasus and the West: Image and Reality. VU University Amsterdam, April 23<sup>th</sup>, 2010.

attitudes, shared by the great number of individuals of one social group, can solely be attributed to social stereotypes<sup>1</sup>. Correspondingly, the objectives of the work are to detect the feature, according to the emotional estimation, and also the stable cognitive aspects of Georgian ethnic stereotype, and study/description of the basics of stereotyping, implemented by the European citizens and creation of final picture. The research is aimed to reveal the estimation of the European citizens on Georgian society – as European or Asian socium.

The empiric and analytical research methods are used in the work. The special questionnaires were deliberated for this purpose and distributed to the citizens of various countries, gender, age and social requirement, stayed in Georgia at least over one-month period and who more or less are familiar to the Georgian way of life.

The questionnaire consists of several sections: 1. information on respondent: name, age, gender, citizenship, profession; 2. the basic part, containing several questions: a) which Georgian tradition/behaviour do you like most? why? b) which georgian tradition/behaviour do you like least? why? c) arrange the list of traditions / behaviours by the order, which from your point of view shows Georgian characters most; d) what were your first impressions when you came to Georgia? e) what has changed since then in your impressions? 3. Conclusive part with estimation and summarizing question: do you think that Georgia is more European or Asian country?

One paragraph from the basic part was particularly relevant and important for the research: c) arrange the list of traditions / behaviours by the order, which from your point of view shows Georgian characters most. Respondent were offered the list of Georgian traditions and the way of life. They had to arrange the list in the succession according to what they considered the most important or less valuable for Georgian character. The list included the following traditions and the way of life:

- hospitality traditions;
- family life-style;
- “supra” (banquet) and cuisine;
- orthodox religious life;
- political life-style;
- artistic temperament;


---

<sup>1</sup> [http://www.krugosvet.ru/enc/gumanitarnye\\_nauki/sociologiya/STEREOTIPI\\_SOCIALNIE.html](http://www.krugosvet.ru/enc/gumanitarnye_nauki/sociologiya/STEREOTIPI_SOCIALNIE.html)

- others (very patriotic);
- Dress code (black etc.);
- civic behavior ;
- driving behavior;
- Mountain life-style.


As a consequence of studying the questionnaires, we obtained very interesting results. Those core features which according to the opinion of the European citizens, create Georgian social stereotype and become the basis for the Georgian-European social perceptions and entail the types of relations, were detected. In opinion of inquired, the following are the six most dignified features of Georgian social stereotype: hospitality traditions, “Supra” (banquet) and cuisine, Family life-style, artistic temperament, orthodox religious life-style, driving behaviour. Reasoning from their position and estimation, the civil self-perceptivity and responsibility are the less characteristics of Georgian mentality. On the other hand, political activity, dress code and the mountain traditions less create the Georgian social stereotype in their opinion.

Besides, on the basis of the material study, the consequence of the mentioned factors was outlined. Upon estimation of Georgian social stereotype, the tradition of hospitality occupies the top rank for the European citizens. The Supra (banquet) tradition takes the second place. The family life-style also is the integral part of Georgian social stereotype. The material is summarized in the following way:



18% of inquired persons consider hospitality as the core feature of Georgian social stereotype, 16% votes for the banquet tradition, 14% consider

the family life-style as the core feature. The rest of material is assessed in the following way:



Obtained material was processed in several more directions:

Upon answering the questions, the internal differentiation was outlined considering several factors: the steady, single-angled estimations from one side, supported and recognized by almost all inquired respondents, and variable estimations, depending on various external factors from another side.

For the most of the inquired, the core features of Georgian social stereotype are hospitality, banquet tradition, family life-style in a single regard. These three factors take the first three places upon sharing the Georgian social stereotype to everyone, i.e. identification of Georgian socium is performed according to these three factors. Estimation of several traditions/ways of life varies between several indicators, i.e. the answers are not single-angle, and can be said that they are conditions with specific concrete reasons:

Upon estimation of Georgian social stereotype, driving rule is actualized for the foreigners, who recently (for more than one year) arrived to Georgia, and those, visited Georgia a long time ago, pay particular attention to civil self-perceptivity for Georgian routine reality.

Instead, the citizens under the age of 40 consider the civil self-perceptivity as the less characteristic of Georgian social stereotype, for foreign guests over the age of 40 the particular love and talent of Georgians to arts are actualized. The estimation of the mountain traditions is not single-angle as well.



Reasoning from this, we can discuss, what the core markers of Georgian national way of life are for the European citizens, which factors become the basis for the stereotyping and which features are subject to dissociation according to the emotional estimation. Thus, the objective of the work is final detection of the stabile and variable values of Georgian social stereotype.

As it is known, upon researching the phenomenon of the stereotype, four main aspects are outlined:

- 1) cognitive aspect;
- 2) affective aspect;
- 3) social- psychological aspect;
- 4) sociological aspect.

Stereotype is considered as the integral part of cognitive process, as a result of stereotyping, dissociation and schematization. Moreover, the gnoseological analyses and structural analyses are as well linked to the same aspect. Structural analyses implies the study of the features, such are fixity and steadiness. In regards with the affective aspect, stereotype is studied in different manner, as the element of the emotional estimation process. In sociological-physiological regards, the stereotype is studied as the general type of a human – the representative of some definite social group. In this regards, the attention is emphasized to ethnic superstitions.

The focus is attached to overemphasization of concrete signs of some specific objects, ranking thereof in essential type, the criteria of which are their social meaning. According to this concept, stereotype differs from other types of knowledge with the fact that it is basically directed not to the corresponding object, but to the knowledge of another person, related to the object. Although, it is noteworthy that different researchers considered various factors on various stages as the leading idea upon researching the social stereotype<sup>2</sup>.

Naturally, the question arises, which factors, according to the held research, represent the dissociation, the result of schematization and which features depend on the concrete situation according to the emotional estimation and finally, what Georgian social stereotype is.

It can be said that hospitality, family life-style, banquet tradition and orthodoxy mean the steady social stereotype, apprehended by the European citizen. This is proved by their single-angle estimations. Other estimations

---

<sup>2</sup> P. N. Shikhirov, *Researching of Stereotypes in American Social Studies, Issues of Philosophy*, 1971, N5, p. 171.

presumably have emotional-analytical basis, depending on concrete situation of the concrete estimator, thus apparently represent the part of Georgian social stereotype in less grade.

We shall separately discuss the traditions, as a result of research of which, the basis of Georgian cultural identity is:

### **Family life-style tradition**

Most of inquired are amazed in Georgian environ by the family life-style tradition, when parents and grown-up children live under one roof. Moreover, sometimes one family consists of parents, children, their spouses and accordingly the representatives of three generations live together. Presumably, this cannot be explained with social and material background solely, as possibly in western countries this reason exactly could become the reason for dissociation from the family in the juvenile age and the foreground of separate life and nuclear family tradition. Juveniles of the age of 17-18, living separately, can to some extent be considered as indignity of the family, this issue in Georgian environ is not yet actual. Although, in the event when the family is represented with the three generation, the family life-style tradition is acceptable and valuable for the European citizens. It can be said that patriarchal traditional family appeared on the strongest factors of preservation and survival of national identity under the severe geo-political conditions.

Worship of a family becomes the basis for one more social stereotype, which is reflected on firmness of sibling relations. The part of inquired approve the close sibling relations and commitment for mutual aid in Georgian environ, which is necessary for social integration and cooperation, is not blind and comprises the prognosis for the behavior of personages. Such prognosis in scanty societies, the example of which is Georgian society, is mainly based on personal relations and “peculiar trust”. It can be said that the process, which converts personal trust to social trust is principally important for social integration. Besides, close sibling and friendly relations persist the spiritual degradation, total depression and sense of solitude of a person. Although, it is noteworthy that such close sibling relations are one of the strongest factors of nepotism domination in the country and hinder the statehood development.

### **Georgian banquet tradition**

For most of the inquired Georgian banquet tradition - Georgian banquet academy, as it is also called, is acceptable and interesting. The banquet occupies

considerable time and place in life of a Georgian, as the integral part of the national way of life. The behavior norms, toasts, as well as essence and substance of the dishes, timely consequent appearance thereof at the table are preliminarily defined. Georgian feast, first of all, represents the act of co-integration and socialization of individuals. The impact of Georgian banquet and banquet relations are as well recognized by the Western anthropologists in their researches. Though, for more precision, it shall be noted that socialization of Georgian banquet differs from the Western-puritanical type socialization, which is based on apprehension of definite norms of social-political or religious obligations and responsibilities. As distinct from this, banquet socialization represents sensual-emotional “unity”, harmonization of different individuals, where attitude to another person, as responsibility is substituted with the principle of sensual-aesthetic “embrace”, i.e. the banquet, human relations, estimation of the events, own views and attitudes, combined with various forms of eloquence, are certain type of means for self-actualization and relief. Moreover, it can be said that business relations in Georgia are formed and established at the banquet as well.

Georgian banquet is the arrayed system of self-actualization, social hierarchy and culture. Each toast has own consequence, appropriate cliché, verbal decoration and sacral significance. The toast of the Lord is a must. Georgians raise toasts of parents, then of siblings, of deceased, died for the homeland, and then of children, new life etc. Besides, the banquet leader (Tamada), according to the definite situation and talent, can include own interpretations in any of the toasts. In other words, the banquet tradition is the one of the strongest marker of nationality for every Georgian of any layer, social requirement or age. In spite the fact that views and social perceptions of juveniles alter today, they get education in Europe and in USA, the banquet tradition remains still the characteristic of their national identity, perhaps the severe subsequence and the form of the toasts are modified, but they stay the same in essence. On the contrary, Georgians even spread and inculcate this tradition among unknown society for them.

It can be said that the results of the research give a very interesting picture and clearly reflect compatibility and sections of western and Georgian social stereotypes.

### **Hospitality tradition:**

Georgia is the small collective-oriented culture. The culture of such type

is utterly oriented on relations. The primacy of relations, hospitality and several other factors are outlined in such culture as a norm. These norms are much more important and efficient than any other abstract norm, as is the Law, religious concept etc. The conscious that you can always understand your folks, is the linking layer for all this.

The main channel of socialization, for sure is the family but afterwards, from the age of 13-14, it moves on districts, street and the circle of friends. Georgia is interesting with the fact that friendly relations are deeper and more important than in any other culture. Correspondingly, any guest, visiting the home, according to the mountain tradition, shall be considered as a friend, even if the guest is a deadly enemy, the host is obliged to properly respect him/her, share own food. In western Georgia, no matter how poor the family is, they give away the last slice of bread and host the guest properly. This is the norm, which is not subject to alteration. For Europeans this is a sort of exotics, definitely they like this tradition, although this factor appeared incomprehensible for one European respondent and even caused his irritation.

### **Orthodox religion:**

Christianity became one of the most important factors of Georgian national identity just upon the spread of Christianity. Moreover, it is said in the ancient hagiographic work “Torture of Abo” that Georgians have particular mission, Georgia is the edge of the Christian world and Georgians have obligation to protect Christianity, even at the price of own physical torture. Georgia was called “the mother of the saints”, i.e. there are a great number of saints in Georgia, who were tortured for Christianity (including the day of 100 000 saint martyrs). Rejection of Christianity means rejection of the national conscious, and this is equal to destruction of Georgian statehood. Thus, the orthodox rule is one of the strongest and invariable traditions in Georgia even today. People go to churches for the service with the whole families, parents and minor children, juveniles, from the age of 15 approximately independently go the churches, it is noteworthy that the elderly people keep all ecclesiastic traditions, attend services every Saturday and Sunday, keep Lent, tell the confession etc. It can be said that orthodox religious tradition is one of the most important factors of socialization. One of the inquired states that he is surprised when Georgian intersect passing the churches, no matter are they walking or driving.

**Low civil self-conscious:**

It is a paradox that real power of our society is exactly where unbiased and impartial observers see the weakness solely. It can be definitely said that the underlined disobedience to the laws of conquerors and the empires during the centuries, disparaging attitude towards them created the low law-abiding culture, though the same circumstances strengthened the degree of freedom and the immortal value of Georgian individualism as well.

As a result of the research, the positive and negative estimations of respondents were also outlined, i.e. positive and negative stereotypes. We wonder what is not acceptable for a person with the European mentality in Georgian stereotype most of all and what is incompatible with their views and ideology. Georgian hospitality appeared interesting, acceptable and noteworthy for most of inquired. They do like this tradition and attitude. Here we represent the answers of several respondents:

**Question: which Georgian Tradition/behaviour do you like most? Why?**

***Esther, 30 years old, profession: germanous/slavish, citizenship: Czech:***

Fine humor, Creativity and sense for the grotesque/absurd in difficult situations/circumstances. This is a sign of intelligence.

***Susanne: 33 years old, teacher, German:***

Generosity, which is closely interconnected to their talent for friendship and their capacity to seize the day.

***Christopher: 40 year's old, male, Dr. Phil, Swiss:***

Hospitality, social cohesion, emotional warmth, sensitivity. Because in Switzerland people are colder and relations are more rational.

***Holgeri, 46 years old, male, German, teacher:***

Hospitality traditions, it is a good feeling – warm, friendly, open for everyone.

***Raymond, 65 years old, male, Swiss, Entrepreneur:***

Hospitality. Georgians in their country would give away their last shirt to welcome their guests. When I came first to Georgia in 1990, you could not buy anything in the shops, but guest tables were full of everything I could not even dream of. I just wondered how this could work. I was also very much attracted by the tamada tradition of toasting positive statements for every person around the table, once the traditional toasts were through. I never before experienced such an arty-lifting tradition. I have traveled many continents and countries of

this world but never have I found such an overwhelming hospitality. Several characteristics of national routine, existing in Georgian reality appeared utterly unacceptable for the European way of life: unpunctuality, lack of responsibility, impulsive character and driving rule of course.

**Question: which Georgian Tradition/behavior do you like least? Why?**

***Chshishtoph, 23 years old, male, student, Polish:***

Non-punctuality.

***William, 38 years old, associate professor, male, US:***

Punctuality. I realized that Georgian people are unable to complete a required task or fulfill an obligation on time or a previously designated time.

***Tomasz, 42 years old, male, teacher, linguist, Polish:***

Impulsiveness and hot-headedness (difficult in the long run)

***Vaida, 23 years old, female, historian, Lithuanian:***

Driving culture. Drivers signalize too much, also you must be very careful if you want to cross the street even if traffic light is green.

***Trevor, 67 years old, male, British:***

Aggressive behavior in men. Such behavior in England is rear. It would often lead in violence.

***Susanne, 33 years old, female, teacher, German:***

Unreflected conservatives, e.g. as for double standards in the relationships between men and woman.

The answer on the last question of the questionnaire is particularly interesting:

**Is Georgia European or Asian country?**

80% of inquired suppose that Georgia is the European country. One of the basics for this is orthodoxy. Part of inquired (10%) suppose that Georgia is neither Europe nor Asia, it represents the specific phenomenon. In opinion of part of inquired (10%), Georgia is the mix of European and Asian mentality and temper. And the part of inquired suppose that Tbilisi is the European city, and other small towns of Georgia less reflect the European features.

***Vaida, 23 years old, female, historian, Lithuanian:***

it is between europe and azia. tbilisi is more european than other cities in georgia, but still i couldn't say that it is Europe, also not Asia.

**Kavagan, 44 years old, male, lawyer, university professor, Spanish:**

I think it is a mixture of both, which is a great advantage in order to play a leading role in the future between Europe and Asia. many arias of the capital Tiflis resemble any European city but when one travels to rural areas or small cities of Georgia, the influence of Europe is much less and traditional Georgian ways of live and attitudes are strongly rooted.

***William, 38 years old, associate professor, male, US:***

I would say that Georgia has combination elements of Europe and Asia. I find 1) European style of architecture in Rustaveli Avenue, vake and saburtalo neighborhoods, 2) European style for woman fashion and 3) maintaining Christian identity. However, I find also Asian elements in Georgian tradition such as family oriented, the attitude of tardiness and women stereotype. In general, I realize that Georgia is in the process of integration and moving more close to the European style of life and tradition.

In the end it can be said that the most of the inquired suppose that Georgia is European country, in spite of the fact that Georgians have not completely established the European mentality. In their opinion, Georgia gradually approximates the European standards of statehood. It must be mentioned that in the VI century B.C. Greeks considered Georgia as the best and perspective Geographical substratum for colonial life<sup>3</sup>. In the end, Georgian chatacter is closer to the european phycology than to the asian mentality. It is natural because Georgian feudalism, social structure always was like european, although georgian character is more like south european, especially spanish mentality and behaviour.

---

<sup>3</sup> Tedo Dundua, Colchis in the 6<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cc.b.c. The Geek Settlements in Western Georgia, Tbilisi, 2009.

## რეცენზია

---

*თედო დუნღუა*

**რეცენზია ნინო ჩიქოვანის მიერ ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ  
საკვალიფიკაციო ნაშრომზე – „საქართველოს კულტურული  
რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა  
თეორიის კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური  
ასპექტები)“**

**(სპეციალობა 24. 00. 02 – ისტორიული კულტუროლოგია)\***

ვიდრე საკვალიფიკაციო ნაშრომის დეტალურ განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროა ზოგიერთი ტერმინის ადეკვატური სემანტიკის დაკონკრეტება – ყოველივე ეს ეხება „კულტურას“ და „ცივილიზაციას“. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი შემდეგში – უნივერსალური სოციალური ელემენტის არსებობის პირობებში, როცა პროფესიები კი სახეზეა, მაგრამ – არა პროფესიული სეგრეგაცია, სხვა სიტყვებით, როცა ყველა ერთი და იგივეს აკეთებს და არ არის არც მკაფიო „მე“ და არც მკაფიო პროფესიული „ჩვენ“, როცა ნებისმიერი კლანი უსტილო სახმარი ღირებულებების იდენტურ ასორტიმენტს ამზადებს და სწორედ რომ კლანის ტერიტორიით იფარგლება ეკონომიკური ფსევდოსისტემა და ლინგვისტური სივრცე, ცნობიერება პრაქტიკულად დაუნაწევრებელია. ცნობიერების მომდევნო თვითსტრუქტურალიზმი ერთდროულად ეგოცენტრული, დარგობრივი და ინტერდარგობრივია: ეგოცენტრული თვითსტრუქტურალიზმი მოითხოვს ნაცვალსახელს „მე“ – ვთქვათ, მე – ისტორიკოსი; დარგობრივი – ნაცვალსახელს „ჩვენ“, ვთქვათ, ჩვენ – ისტორიკოსები, საისტორიო ჰიპოთეზების შიდაბრუნვის პირობებში; ინტერდარგობრივ თვითსტრუქტურალიზმს ასევე „ჩვენ“ შეესაბამება სამხარეო სპეციალი-

---

\* დისერტაციის დაცვა შედგა 2002 წლის 23 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ზაციის და აგროინდუსტრიული საქონელბრუნვის პირობებში. ეკონომიკური სისტემა – ქვეყანა – ცნობიერების თვითსტრუქტურალიზმის ბოლო საფეხურია; გლობალური უსტილობა კი კონკრეტული სემანტიკების ფარგლებში სტილის კატეგორიის ავტონტონური გენეზისებით იცვლება – მსოფლიო მრავალფეროვანი გახდა. და მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თანდათან საინტეგრაციო ზონების ფორმირების კვალდაკვალ ეს ზონები ჯერ, ნაწილობრივ, უნიფიცირებული სტილით განმსჭვალულიყო, ხოლო შემდეგ – მოდერნიზტულ კონცეფციებს სტილი საერთოდ ჩაეყლაპა. რა საჭირო იყო ცნობიერების თვითსტრუქტურალიზმი? ამიერიდან პირობითად სტრუქტურალიზებული მატერიის სტრუქტურულ ერთეულებს – ვთქვათ, მადანს და სავარგულს – კონკრეტული აპარატი, ადამიანის ფიზიკური კომპლექსი, მიესადაგა, ამით ეკონომიკური დღის განმავლობაში ეკონომიკურ-ფუნქციური დატვირთვა დაკონკრეტდა, და ცნობიერების შეღწევის ხარისხს სხვა სუბსტანციურ კატეგორიაში – მატერიაში – უკეთესი პირობები შეექმნა. ცნობიერების სტრუქტურალიზმის მეორე დონეს განაპირობებს კრეატიული თვისების შეზღუდული არსებობის რეალობა; ახლის შექმნა ყველას არ შეუძლია, რეცეპცია კი საყოველთაოა. ამიტომაც ნებისმიერი დარგი ბევრი პროფესიონალით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ცნობიერების თვითსტრუქტურალიზმის III დონე – ქვეყანა – გეოგრაფიული დეტერმინიზმის მუდმივი პერცეფციის განხორციელებაა, მისი ფიზიკური სუბსტრატი ყველგან სავეგეტაციო ტემპერატურის იდენტურობით გამოირჩევა. ქვეყანა საბაჟო სისტემით დაცული კონკრეტული საინფორმაციო სივრცეა განვითარების კონკრეტული ტემპებით. სავეგეტაციო ტემპერატურის სხვადასხვა, მაგრამ ტიპოლოგიურად იდენტური მაჩვენებლები საინტეგრაციო ზონებს განსაზღვრავს – ევროპა და აზია სწორედ რომ მათი სუბსტრატებია. ევროპა დედამიწის ის ნაწილია, რომელიც დღეს ან ხვალ განვითარების ერთ დონეს განაპირობებს. ყოველივე ეს ყოველთვის ცნობიერდებოდა, და პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ალიანსებში რეალიზდებოდა; ევროპის „შეერთებული შტატები“ რიგი სემანტიკების ფარგლებში ერთ საინტეგრაციო სტილსაც შეიმუშავებდა – მაგ. „ევროპის შეერთებული შტატების“ რომაული რეალიზაცია და ანტიკური სტილი არქიტექტურაში, საღვთო რომის იმპერია და რომანულ-გუთური სტილი, ბიზანტიური „თანამეგობრობა“ და ბიზანტიური სტილი, ერთიანი ევროპის კონცეფცია და ბაროკო – თანხვედრი კატეგორიებია. ჩვენის აზრით, კულტურა არასტრუქტურალიზებული ცნობიერებაა; სტრუქტურალიზებული და, შესაბამისად,

„ურბანიზებული“ ცნობიერება ცივილიზაციების შესაბამისია. ტექნოლოგიურად იდენტური ან პერსპექტივაში ტექნოლოგიურად იდენტური ცივილიზაციები ქმნის საინტეგრაციო ზონებს; ასეთი, ძირითადად, ორია – ევროპა და აზია; კონტინენტურ დაყოფას ამ კუთხით მნიშვნელობა არ აქვს.

საკვალიფიკაციო ნაშრომში კულტურა ქვეყნის, ხოლო ცივილიზაცია საინტეგრაციო ზონის ადეკვატურია. აქედან მოკიდებული აღნიშნულ ტერმინებს ამ მნიშვნელობით ვიხმართ.

დისერტანტი ცდილობს ქართული კულტურისათვის ცივილიზაციური ლიმესის დადგენას; ცდა, უდავოდ, მისასაღმებელია, ავტორის ერუდიცია კი – შესაშური.

დისერტაციის სტრუქტურა ასეთია: შესავალი, პარაგრაფებად დაყოფილი ოთხი თავი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

**შესავალი.** აქ საუბარია ისტორიულ კულტუროლოგიაზე, როგორც შედარებით ახალგაზრდა ინტერდისციპლინაზე. გვეჩვენება, რომ ეს ისევ და ისევ ისტორიის ფილოსოფიაა, ოღონდ, გარკვეულწილად, ვულგარიზებული.

აღნიშნულია ისტორიის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განზომილებანი – დრო და სივრცე. დრო და სივრცე/მატერია სუბსტანციებია, და არა განზომილებანი.

მოვერიდოთ ასეთ ფრაზებს – თანამედროვე კულტუროლოგიური მეცნიერების მოთხოვნათა შესატყვისი განმაზოგადებელი გამოკვლევა ქართველოლოგიას ჯერ კიდევ არ მოეპოვება. სქოლირებისას, უმეტესწილად, არაქართველოლოგები და არაისტორიკოსნი სახელდებიან. ქართველოლოგია და ფილოსოფიური გააზრება რატომღაც აბსტრაპირებულია ერთმანეთისაგან.

## თავი I. კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა შინაარსისათვის

### § 1. კულტურის ცნების დეფინიციის პრობლემა

დისერტანტი საუბრობს ტერმინის – „კულტურა“ – სემანტიკურ ვარიაციებზე.

აქ ლაპარაკია კულტურაზე, მას ადამიანი ქმნის, მაგრამ რა არის ადამიანი?! კულტურა თუ ცნობიერებაა, მას ვერავინ შექმნის. ის თვითონ სწავ-

ლობს მატერიას.

პარაგრაფში წარმოდგენილი კონკრეტული დეფინიციების კლასიფიკაცია ძალზედ აკადემიურია.

### § 2. ცივილიზაციის ცნების მრავალმნიშვნელოვნება

კლასიფიკაცია კვლავაც აკურატულია. კომენტარი სახეზეა, მაგრამ, ოღნავ, გაუბედავი.

### § 3. ცივილიზაციათა კვლევა XX-XXI სს. მიჯნაზე

აქ საუბარია დღეს საოცრად პოპულარულ ფუკუიამასა და ჰანთინგ-ტონზე. ბოლოს განცხადებაა – ცივილიზაციური პრობლემატიკის შესწავლა აქტუალურია საქართველოსათვის. ის მხოლოდ ბოლო დროს დაიწყო.

**თავი II. საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი**

### § 1. სასაზღვრო კულტურა, განაპირა კულტურა, მარგინალური კულტურა, ლიმიტროფი

აქ საინტერესოა შემდეგი განსაზღვრება – საზღვრულად შეიძლება ჩაითვალოს კულტურული სივრცეები, რომლებიც ცივილიზაციათა განაპირას მდებარეობენ და უშუალო კონტაქტი აქვთ მეზობელი ცივილიზაციის პერიფერიასთან.

### § 2. ცივილიზაციათა კონტაქტის ზონა

გვ. 104. აქ საინტერესოა შემდეგი ფრაზები –

ა) მართლმადიდებელი და მუსლიმური სამყაროების შეხვედრის თვალსაზრისით, ცივილიზაციათა კონტაქტის ზონად შეიძლება განვიხილოთ კავკასია და საქართველო.

ბ) ქართული კულტურა სწორედ ცივილიზაციათა კონტაქტის ზონაში ყალიბდებოდა და მისი ისტორიის ერთ ეტაპზე მას, თითქოს, გაუჩნდა ახალი ცივილიზაციურ-კულტურული ტიპის საფუძვლად ქცევის შანსი (კავკასიური კულტურული ერთობა).

როცა საუბარია „ჩემს“ და „სხვის“ კულტურაზე, წინ უნდა იქნას წამოწეული სტილის კატეგორია და ამ კუთხით დივერგენცია.

### § 3. ბირთვი – პერიფერია.

აქ საინტერესოა ავტორისეული შეფასება – ქართული კულტურის რაობას ყველაზე უკეთ შეესაბამება სასაზღვრო და განაპირა კულტურათა ცნებები. ყოველივე დეტალურად უფრო ქვემოთ განიხილება.

**თავი III. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცნებათა კულტუროლოგიური შინაარსის პრობლემა**

### § 1. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურულ-ცივილიზაციური მახასიათებლები თანამედროვე კულტუროლოგიაში

ბევრი აქ მიმოხილული თეორია ბელეტრისტიკის სფეროს თუ განეკუთვნება, ვიდრე მეცნიერების; ევროპის ატრიბუტიკაა ისტორიზმი, ხაზოვანი დრო, აზიის – აისტორიზმი, ციკლური დრო, არაეკოლუციურობა. თეზა ევროპული კულტურის რაღაც შინაგანი თავისებურების, სიცოცხლისუნარიანობის შესახებ მისტიკაა, და სხვა არაფერი.

ევროპა თავისუფლების პერმანენტული რეალიზაციაა – ასეთია ზოგიერთის შეფასება. ამასთან დაკავშირებით დისერტანტი ფაზისის სტატუსზე საუბრობს, დასძენს, რომ ის პოლისად ვერ იქცა. ჩვენ ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ყოველივეს. თავი გავანებოთ არაპირდაპირ არგუმენტებს, პირდაპირი ინფორმაცია გვაქვს ფაზისის ელინურობის და მისი კონსტიტუციურ-ინსტიტუციური მოწყობის – პოლიტიის – შესახებ. რა ვუყოთ თბილისს XI-XII სს. მიჯნაზე?! მისი კონსტიტუცია, ალბათ, ოლიგარქიულია. და თუ დადგინდა, რომ სებასტოპოლისს გენუელთა ხელში ისეთივე სტატუსი ჰქონდა, როგორც გალატას – მაშინ რა ვქნათ? (გვ. 127).

გვ. 129 – საუბარია არადასავლურ ინსტიტუტებზე ბიზანტიაში. გვეჩვენება, რომ აქ იგულისხმება სახელმწიფო სექტორის პრიმატი, ბასილევსის უნიკალური ეკონომიკური ინიციატივა და დარგების უმკაცრესი კოორდინაცია. ეს სახელმწიფო სოციალიზმია, რომელიც რომს ახ. წ. III ს. ეწვია, ხოლო აღმოსავლეთ ევროპას – XX ს. სახელმწიფო სოციალიზმია ევროპაშიც და აზიაშიც.

გვ. 130 – ანტიკურობასა და რომანულ-გერმანულ სამყაროს შორის აშკარა მემკვიდრეობითობაა, მაგრამ არა სემანტიკურ-ტექნოლოგიური – რომი ბევრად უფრო მაღლა დგას – არამედ სტილისტური დერივაციების კუთხით.

**§ 2. დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციათა ურთიერთობის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე**

აქ საუბარია ვესტერნიზაციასა და უარყოფით რეაქციაზე, ერთის მხრივ, მეორე მხრივ კი receptio-ზე და აფრო-აზიურ მიგრაციებზე მეტროპოლისურ ეკონომიკურ სტრუქტურებში.

**თავი IV. საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური განვითარების ისტორიული და თანამედროვე პრობლემები**

**§ 1. საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე**

აქ ერთი საინტერესო ფრაზაა, კომენტარი უფრო ქვემოთ დაფიქსირდება – „ქართული კულტურა ერთ-ერთი იმ სასაზღვრო თუ განაპირა კულტურათაგანია, რომლებიც დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა კონტაქტის ზონაში მდებარეობს“.

სხვა ფრაზებს კი უნდა მოვერიდოთ:

1) ქართული კულტურის რაობის და საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემათა მეცნიერული კვლევა ახლა იწყება.

2) დასავლეთთან მიმართების პრობლემა სწორედ ბიზანტიის დაცემის შემდეგ იღებს სათავეს? დასავლეთი აქ თითქოს ევროპის სინონიმია; რა, ბიზანტია არ არის ევროპა?!

**§ 2. კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება**

XI-XII სს. თითქოს რაღაც „კავკასიური ცივილიზაციის“ გენეზისის პერიოდია ქართული ჰეგემონიით. სახეზე კი მხოლოდ მუსლიმური ჩრდილოეთ კავკასია და შირვანი, და მონოფიზიტური სომხეთია.

**§ 3. მარგინალიზმის და განაპირულობის პრობლემა ქართული კულტურის ისტორიაში**

ეს პარაგრაფი ძალზედ ორიგინალური და საინტერესოა. ქართული კულტურის ცივილიზაციური კუთვნილების დისერტანტისეული დიალექტიკა კი ასეთია –

I – ანტიკურობა (ძვ. წ. VI - ახ. წ. IV სს.); მარგინალური კულტურა უფრო აზიური იმპულსებით. სად არის სეგრეგაცია დასავლეთსა და აღ-

მოსავლეთს, კოლხეთსა და იბერიას შორის?! შეიძლება კი აზიური სტილის ძიება დასავლეთ საქართველოში, რომელიც ბერძნულად წერს, ელინური ორდერის ტაძრებს აშენებს, სადაც ონომასტიკონი, ნაწილობრივ, ბერძნულია; და სადაც, ბოლოს და ბოლოს, ათეული ათასობით ბერძენი ცხოვრობს. კოლხური ნუმიზმატიკური ტიპოლოგია ელინურია, ხშირად – სტილიც; კერამიკული წარმოება სინოპეს ბაძავს; ახ. წ.-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი კასტელუმებით მოიფინა; ლაზიკაში „ევროპული“ მითრახშია. ელინური პერცეფციით, ფაზისს ზემოთ ყველაფერი ევროპაა. დასავლეთ საქართველოს სრული აბსორბცია ელინურ/რომეულ ეკონომიკურ სისტემაში ვერ მოხერხდა ერთადერთი იმიტომ, რომ კოლხეთის არანორმალურმა სინოტივემ (3000 მმ. 800 მმ-თან შეფარდებითად) ბერძნული ტექნოლოგიები აქ დაბლოკა – აგრარულმა სტრუქტურამ ელინური ინდუსტრიული კომპლექსი ვერ შეინახა, ის კი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ადეკვატური უნდა ყოფილიყო. ეს არის აზია?! არა, ეს ევროპაა. ახლა იბერიაზე. სტილისტური სინბიოზის შესახებ ინფორმაცია არტეფაქტების ღონეზე თვით ნაშრომში რომ ყოფილიყო დაფიქსირებული, კარგი იქნებოდა. ჩვენ კი ვიტყვით შემდეგს – მართალია, რომ ერისთავების სამოსი პიტიახშებისას ჰგავდა; მართალია, რომ იბერები ბერძნულთან ერთად არამეულ ალოგლოტოგრაფიას მიჰყვებოდნენ; მაგრამ, თუკი ირანული ონომასტიკონი ირანო/არიული, ანუ იმ სუპერსტრატების მიგრაციის შედეგია, რომელსაც ლოკალურ-ქართული ადმინისტრაციული ელიტა უნდა შეექმნა – პოლიტიკური სემანტიკები – მართვა, სამართალი – ხომ ტერმინოლოგიური კუთხით დაკავშირებულია „მითრასთან“, რომლის ეტიმოლოგიაც ადამიანებს შორის დადებულ სოციალურ კონტრაქტს შეესაბამება – მაშინ რა ვქნათ, ეს ირანის ეკონომიკური სისტემის ჰეგემონიის აღიარების ილუსტრაცია კი არა, ჩვეულებრივი receptio და ნატურალიზაცია ყოფილა. იგივე ითქმის პანთეონზე – არმაზ/აკურა მახლაზე, აინინა/ანაპიტზე და ა.შ. ქართლის ფარნავაზიანები დიდი მეფის ამაყ ტიტულსაც ატარებდნენ, რაც აზიურ სივრცეში მეფეთა მეფის შემდგომ პირველობას ნიშნავდა; ამავე დროს, ისინი რომის მოქალაქეებიც არიან. პოლიტიკური სიმპათიებიც პრორომაულია. მოხმარებული მაღალი კატეგორიის იმპორტი იტალიკური, ელინისტურ-სირიული და ელინისტურ-ევკვიპტურია, და არა ირანული. სამონეტო საქმეში ბაძავენ ავგუსტუს დენარისებს და რომაულ აურეუსებს, და არა პართულ დრაქიმებს. ან როგორ თავსდება აზიაში იონური კაპიტელი და ძალისას რომაული ტიპის აბანო?!

IV-XI სს. ქართული კულტურა დასავლურ-ქრისტიანული ცივილიზაციის განაპირა სუბიექტია. მართალია, მხოლოდ ტერმინი „განაპირა“ ზედმეტი, ჩვენის აზრით. არ შეიძლება განაპირა იყოს სეკსტოსების და კესაროსების ქვეყანა, მით იმეტეს, თუ ეს ქვეყანა ტექნოლოგიურად ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე, მაგალითად, სერბეთი, ან ბულგარეთი სამეფო.

ქართველოცენტრული კავკასიური ცივილიზაციის ისტებლიშმენტის იდეა არ არის საკმაოდ არგუმენტირებული. XI-XII სს. საქართველო დუალური de jure მართლმადიდებელი იმპერიის სუბიექტია – ქართველი მეფეები სტემებს, საიმპერატორო გვირგვინს, ატარებენ.

XIII-XVI სს. მარგინალიზმი კვლავ სეგრეგაციას საჭიროებს; ეს პერიოდი იმერეთის და ტრაპეზუნტის ურთიერთობაში ზენიტია. აზიური სტილისტური შტრიხები აღმოსავლეთ საქართველოში კი აზიური კონფედერაციების ჰეგემონიის იძულებითი ცნობის შედეგია. არის კი ეს მარგინალიზმი?

XVI-XVII სს.-ში ქართული კულტურა ფასდება, როგორც უცხო გარემოცვაში მყოფი. მართლაც, საინტეგრაციო არხები მოშლილია; მაგრამ მაინც, აღმოსავლეთეგროპული მართლმადიდებელი ქრისტიანული სტილისტიკა შენარჩუნებულია.

XIX-XX სს. საერთო-ევროპული სტილისტური კონცეფციების აბსოლუტიზაციაა.

რაც შეეხება ქართული ეთნოკულტურის კომპარატიულ დიალექტიკურ ტიპს, ის ასეთია: ჩვენთვის საინტერესო ეკონომიკური სისტემის და სოციალური კონტრაქტების გენეზისს ადგილი ჰქონდა ძვ. წ. II ათასწლეულში; სამხრეთ ბალკანეთი, მცირე აზია და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორია ამ კუთხით გარკვეული პარალელია.

დასავლეთ საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისი I ს. უნდა დათარიღდეს, აღმოსავლეთ საქართველოში – IV ს.; კონკრეტული ასპექტით ქართლი ირანს უახლოვდება.

შემდგომი წინსვლა უკვე აღმოსავლეთეგროპულ თარგზე გამოჭრილი – ბატონყმობის გაუქმება – 1864/71 წწ., რუსეთში – 1861 წ., პოლონეთში – ნაპოლეონის ომების დროს; წოდებრიობის დენონსაცია – 1917 წ., აქაც და რუსეთშიც; ლიბერალური რევოლუცია – დღევანდელი დღე. აზიური კომპარატივიზმი შემდეგია – ბატონყმობის დენონსაცია, ვთქვათ, ირანში – XX ს.; დღეს აზია ძალზედ შორს არის ლიბერალიზმისაგან.

§ 4. ქართული კულტურის ტიპოლოგიური რაობისა და ცივილიზაციუ-  
რი კუთვნილების კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მიმართულება

აქ ეთნიკური ფსიქოლოგიური ინდივიდუალური ტიპაჟის დაფიქსირების  
ცდებზეა საუბარი.

ბოლოს დასკვნა და ლიტერატურის სიაა.

აი, რა საინტერესო პრობლემებია აღნიშნულ საკვალიფიკაციო ნაშრომ-  
ში, რომელიც ტექნიკური კუთხითაც სრულად არის გამართული.

ვშუამდგომლობ საკვალიფიკაციო საბჭოს წინაშე, რათა დისერტანტს  
მიენიჭოს ძიებული ხარისხი.



პოლემიკა

---

*ჯონი კვიციანი*

**კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური  
კუთვნილების შესახებ  
(პასუხი რ. თოფჩიშვილის ინტერპრეტაციებს) \***

თანამედროვე მსოფლიოში და კერძოდ კავკასიაშიც ყალიბდება ახალი რეალობა, რომელიც სულ უფრო ფართოდაა დაკავშირებული გლობალიზაციასთან და მის თანმხლებ რეგიონალიზაციის პროცესებთან. ეს ტენდენცია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების პირობებში სწრაფად მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ადამიანის იდენტურობისა და მისი ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემები.

ამასთან დაკავშირებით ავტორი მიიჩნევს, რომ არსებობს ერთი მსოფლიო ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაცია, რომელიც შედგება ადგილობრივი, ლოკალური და რეგიონული ცივილიზაციებისგან. აქვე აღსანიშნავია, რომ კაცობრიობამ თავისი ევოლუციის გზაზე განვლო კულტურის/ცივილიზაციის აგრარული, ინდუსტრიალური ეპოქები და ამჟამად მიმდინარეობს მისი ინფორმაციული განვითარების ეტაპი. კულტურისა და ცივილიზაციური კუთვნილების განმსაზღვრელ უამრავ ლეფინიციებს შორის მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ:

**პირველი** – კულტურა არის ადამიანის მოღვაწეობის საყოველთაო ტექნოლოგია. ასეთი მიდგომა ცხადყოფს, რომ ადამიანის კულტურას შესაბამის ცივილიზაციურ ეპოქაში განსაზღვრავდა მისი აზროვნების დომინანტური მატრიცა (მაგალითად, აგრარულში – არქაული და რელიგიური, ინდუსტრიალურში კი რაციონალური).

**მეორე**. – ცივილიზაცია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნოსთა ჯგუფები და სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ფასეულო-

---

\* ავტორის სტილი დაცულია.

ბათა საერთო გაგებით. დღეს ინფორმაციული ცივილიზაციის „გახსნილობა“ და მზარდი მიგრაციული პროცესები ბევრად განაპირობებს ადამიანის ინტეგრაციული აზროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობას, რაც აგრეთვე აიხსნება იმ რისკებითა და გამოწვევებით, რის წინაშეც კაცობრიობა დღეს დადგა.

ქართულ კულტურას კავკასიური აგრარული (ტრადიციული) ცივილიზაციის ჩამოყალიბების საქმეში ისტორიული როლი მიუძღვის. კავკასიური ცივილიზაცია განვითარების უმაღლეს წერტილს XI-XII საუკუნეებში აღწევს. ის ეფუძნებოდა კავკასიის ხალხთა ერთიან, ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ღირებულებებს – ეტიკეტს, საკომუნიკაციო კულტურას, ეთნოლინგვისტურ ნათესაობას და კავკასიის ინტეგრაციის იდეოლოგიურ ბაზას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, შემდგომ საუკუნეებში, თვით რეგიონში და მის გარეთ არსებული პრობლემების გადაუჭრელობას კავკასიელთა დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა, რის გამოც კავკასიური ტრადიციული კულტურა (თავის ნიადაგზე დაყრდნობით) თანამედროვე კულტურაში ვერ ტრანსფორმირდა. შემთხვევითი არაა, რომ დღესაც კავკასიაში, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პრობლემასთან დაკავშირებით, ტრადიციული კულტურა ადამიანის ეთნიკური კუთვნილების ძირითად მარკერად გვევლინება. ხაზგასასმელია ისიც, რომ რეგიონში ამჟამად არსებული კულტურულ-ცივილიზაციური რეალობა ტრადიციულისა და თანამედროვე კულტურის ნარევის – „სიმბიოზს“ წარმოადგენს, რაც ხელს უშლის დემოკრატიული განვითარების პროცესს (სეპარატიზმი, კონფლიქტები და ა.შ.).

ამრიგად, კავკასიაში იკვეთება ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა: პირველი – ცივილიზაციური მემკვიდრეობის პრობლემა (კავკასიური ტრადიციული კულტურის ტრანსფორმაცია თანამედროვეში); მეორე – ახალი, სამოქალაქო კულტურისა და საგანმანათლებლო სტანდარტების ჩამოყალიბების აუცილებლობა. ყოველივე ეს უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სივრცის დომინანტური ეთნოსის ტრადიციული კულტურის ფასეულობათა ბაზას.

კავკასიაში ამჟამად შექმნილი კულტურულ-ცივილიზაციური სურათი, ზოგიერთი მეცნიერისათვის (რ.თოფჩიშვილი და სხვ.) გახდა საფუძველი იმისა, რომ კავკასიური ცივილიზაცია მითად გამოეცხადებინათ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არა მარტო ეს გახლავთ. ამგვარი თვალსაზრისი მეტწილად განპირობებულია ისტორიულ მეცნიერებაში არსებული მეთოდოლოგიური კრიზისით. ისინი ინერციულად განაგრძობენ საზოგადოებრივი განვითარების

ხედვას მარქსისტულ-ევროპაცენტრისტული კანონზომიერებით და ახდენენ მის ექსტრაპოლირებას კავკასიურ სივრცეში. ამგვარ მიდგომას კავკასიის ხალხთა დიდი ნაწილი ჩამორჩენილ „გვაროვნულ წყობამდე“ დაჰყავს.

თუ ისტორიის მარქსისტულ ხედვას ხალხები უნიფიცირებამდე მიჰყავდა, მაქს ვებერის თვალსაზრისი კულტურულ თავისებურებებს ითვალისწინებდა, ანუ ეკონომიკური ცხოვრების წესი ყალიბდება და მყარდება კულტურის საბაზო ფასეულობებზე დამოკიდებულებით. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველმა მეცნიერებმა (გ.მელიქიშვილი, ა.რობაქიძე და სხვ.) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-ან წლებში დაიწყეს კავკასიის „მთიელთა ფეოდალიზმის“ უნიკალურ თავისებურებებზე ლაპარაკი, რითაც ზემოხსენებული მარქსისტული ფორმაციული მეთოდოლოგიური მიდგომა კავკასიასთან მიმართებაში ეჭვქვეშ დააყენეს.

ამრიგად, ისტორიის მარქსისტული ფორმაციული ხედვა, რომლის თანახმად მატერიალური წარმოების პროცესი მთავარია და რომელიც საზოგადოების სოციალურ და სულიერ ცხოვრებას განსაზღვრავს, სრულიად განსხვავდება მაქს ვებერის მიდგომისაგან.

როგორც ჩანს, ცივილიზაციური მიდგომა ჯერ კიდევ არ გამხდარა ზემოთხსენებული მეცნიერებისათვის პრიორიტეტული, რაც ხელს უშლის მათ ახლებურად მიუდგნენ რეგიონის სოციალურ-კულტურული პროცესების ანალიზს.

სამწუხაროდ, პროფესორ რ.თოფჩიშვილს ამ ბოლო დროს კავკასიის ხალხების ისტორიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თავის შრომებში (1. Этническая обстановка на историческом и современном Кавказе // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010 და 2. „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ // თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 2011) ცალსახად ნეგატიური შეფასებები აქვს წარმოდგენილი მათი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და კულტურის შესახებ, უარყოფილია რეგიონის ხალხთა ერთიანი ცივილიზაციური კუთვნილება. მოდით განვიხილოთ, რამდენად დამაჯერებელია ეს ყოველივე.

პირველ ნაშრომში კავკასიის ხალხები ძველებურად დაყოფილია „სტუმრებად და მასპინძლებად“, „კულტურულებად და ნაკლებ კულტურულულებად“ და ა.შ. შესავალში, სადაც საუბარია კავკასიის პოლიეთნიკურობაზე, აქ მცხოვრებ ხალხებს (ადილები, აფხაზები, ვაინაზები, დაღესტნელები, ქართვე-

ლები და ა.შ.) ავტორი კავკასიურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებს, მაგრამ იქვე რატომღაც დასძენს, რომ “ რაც მავარია, მართო ქართველები არიან ერთადერთი ხალხი კავკასიური წარმომავლობისა” და რომელთაც “ გააჩნიათ თავისი ორიგინალური დამწერლობა” (თოფჩიშვილი, 2010, გვ.59). მისი აზრით, ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები შედარებით ახლახან დასახლებულან კავკასიაში. გაუგებარია ბალყარელთა და ყარაჩაელთა წარმოშობის რომელ ვერსიას ემხრობა ავტორი, რადგან ერთ შემთხვევაში ის ამტკიცებს, სავიარეზობიდან (ჰუნების ერთ-ერთი ტომი) წარმოიქმნენ და მეორე შემთხვევაში მათ ყივჩაღურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს (თოფჩიშვილი, 2010, გვ.63).

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არამართო კავკასიური ხალხების, არამედ ბევრ სხვა ხალხთა წარმოშობა დაუდგენელია და ამიტომ კატეგორიული მინიშნებების გაკეთება - ვინ არის “კავკასიური წარმოშობის ერთადერთი ხალხი”, მართებულად არ მიმაჩნია. ადიღების, ვაინახების, სომხების, ოსების, ბალყარელების და სხვა ხალხების კავკასიური წარმომავლობა, ავტონთონური-მიგრაციული თეორიის თანახმად (მაბლუშელიშვილი, გ.მელიქიშვილი, გ.ჩიტაია და სხვ), ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ ეთნოსის კუთვნილებასთან დაკავშირებით ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ცნობილია, რომ ოსების, სომხების, ბალყარელების, ყუმუხების, აზერბაიჯანელების და სხვა ხალხების ფიზიკური წინაპრების უმეტესი ნაწილი ძირ-ძველი კავკასიელებია, რომლებმაც კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, საკომუნიკაციო ენად ინდოევროპული ან თურქული მიიღეს.

ავტორის დებულება, თითქოს მონღოლები თავიანთი დაპყრობების იდეოლოგიურად უზრუნველყოფას არ ცდილობდნენ და ამიტომ მოხდა მათი აღრევა ადგილობრივ მოსახლეობაში (თოფჩიშვილი, 2010, გვ.57), საკამათოა. ცნობილია, რომ ოქროს ურდოში, რომლის ნაწილიც ჩრდილოეთი კავკასია იყო, სახელმწიფო ენა არაბული გახლდათ, მეორე სახელმწიფო ენა კი დამორჩილებულ ხალხების - ყივჩაღების ენა იყო. 1312 წელს უზბეკ-ხანმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, ამასთან ერთად ადგილობრივ ხალხებში მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა ტრადიციული კულტურა, წარმართული რწმენები და მართლმადიდებლური ქრისტიანობა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მონღოლებს ნამდვილად გააჩნდათ თავიანთი სახელმწიფო “იდეოლოგიური უზრუნველყოფა”, ხოლო ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ მოხდა მათი გათქვეფა-აღრევა დაპყრობილ ხალხებში. ეს მეტყველებს ადგი-

ლობრივი სუბსტრატის დომინირებაზე, ანუ კავკასიური ეთნოსები მონღოლურზე უფრო კონსოლიდირებული გამოდგა.

არ მიგვაჩნია მართებულად ოსების წარმომავლობაზე - როგორც კავკასიაში სულ ახლახან მოსულ ხალხზე - ხაზგასმა. ცნობილია, რომ ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობასთან (ყობანის კულტურის შემქმნელებთან, რომელთა ეთნიკური კუთვნილება ჯერ არ არის გარკვეული) და ირანულენოვან ხალხებთან - სკვითებთან, სარმატებთან, ალანებთან. არ არის გარკვეული ბალყარელების, ყარაჩაელების ეთნიკური კუთვნილებაც - 1959 წელს ქალაქ ნალჩიკში ამ ხალხებთან დაკავშირებით სპეციალურად ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე მათი წარმომავლობის 14 თეორია დასახელდა. ამიტომ ავტორისათვის უძგობესი იქნებოდა თავი შეეკავებინა კატეგორიული განცხადებებისაგან ამა თუ იმ ხალხების ეთნიკურ კუთვნილებაზე და მათ დაყოფაზე “ადგილობრივად” და “მოსულებად”.

სადაოა ავტორის მიერ თათებისა და თალიშების ნამდვილ, ძირ-ძველ კავკასიელებად გამოყოფა. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი თათებს და მთიელ ებრაელებს ერთ ხალხად მიიჩნევს, მეორე კი სხვადასხვა ხალხებად.

არ შეესაბამება სინამდვილეს ავტორის მტკიცება იმის შესახებაც (აპელირება კეთდება ჯუანშერის ისტორიაზე), რომ ალანები კავკასიაში მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. პირიქით, ამ დროს მთავარი პოლიტიკური ძალა ქართული სამეფო იყო და ვახტანგ მეფის პირად დაცვაში სამასი დაქირავებული ალან-ოსიც მსახურობდა. (იხ. Аланы: история и культура III Владикавказ, 1995, с 105). მე-5 საუკუნის ბოლოს, პირველად, სამი ასწლეულის შემდეგ (ჩვ.წ.აღ. 72 წლიდან), ხდება ალან-ოსების საქართველო-ქართლთან შეჯახება და მათი დამარცხება. ჯუანშერისვე გადმოცემით, დარიალის კარში ვახტანგმა “ალაშენა გოდოლნი მადალნი” და რომ დღემდე არავის შეეძლო გადმოსვლა “თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა”.

უზუსტობაა ტექსტში მონღოლების შემდგომ ყაბარდოელების განსახლებასთან დაკავშირებით. ოქროს ურდოს დამარცხების შემდეგ ყაბარდოელებს (ადიღე თემთა ერთ-ერთ დიდ გაერთიანებას) არა მარტო ალანთა დასავლური განსახლების ტერიტორია ჰქონდა დაკავებული, არამედ მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილი: დასავლეთით მდინარე ყუბანიდან და აღმოსავლეთით - მდ.სუნჟისა და თერგის შესართავამდე. აქ ყა-

ბარდოელ ფეოდალებს ოსები, ვაინახები მე-16 - მე-17 საუკუნეებში ვასალურ დამოკიდებულებაში ჰყავდათ და ხარკსაც უხდიდნენ.

ბუნდოვანია ავტორის მოსაზრება აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში ავტორი აზერბაიჯანელებს კავკასიის მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევს (თოფჩიშვილი, 2010, 59), მეორე შემთხვევაში კი ჯერ ამბობს, ალბანელები აზერბაიჯანელთა წინაპრებიან (ქრისტიანები - თავიანთი დამწერლობით), რომლებიც მთლიანად გამქრალანო, მაგრამ იქვე, მისივე მტკიცებით, თურმე “ალბანელები არ გადაგვარებულან” და რომ ისინი თურქულენოვან ხალხში თანამედროვე აზერბაიჯანელებად გარდაქმნილან. გაუგებარია, მაინც რა მოხდა - გამქრალან თუ გარდაქმნილან? (თოფჩიშვილი, 2010, 63).

რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში, აქაც უზუსტობებია დაშვებული. რუსეთის იმპერია, როგორც ავტორი წერს, ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში არაკავკასიური წარმომავლობის ხალხების - პირველ რიგში რუსების ჩასახლებას. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორი, რუსების გარდა, ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასია ქრისტიანული ხალხებითაც, მათ შორის სომხებითა და ქართველებით დაესახლებინა. მცდარია ავტორის მტკიცება, რომ საბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ (თოფჩიშვილი, 2010, 65), შევნიშნავთ, რომ რუსები აბსოლუტურ უმრავლესობას (ადიღეს რესპუბლიკის გარდა), არცერთ ავტონომიურ რესპუბლიკასა თუ ოლქში არ წარმოადგენდნენ (მხედველობაში გვაქვს დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი). ავტორი ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაზე და რატომღაც ყურადღებას ამახვილებს მე-19 საუკუნეში ჩეჩნეთში მცხოვრებ რუსების ფაქტზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ავტორის მიერ მოტანილი სტატისტიკა რუსების ჩეჩნეთში უმრავლესობაში ყოფნის თაობაზე მის დებულებასვე ეწინააღმდეგება.

ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალმილიონიანი რუსი ეროვნების მოსახლეობის უმეტესობა წარმოდგენილია არა ამ რეგიონის რესპუბლიკებში, არამედ კრასნოდარის, სტავროპოლის მხარეებსა და დონის როსტოვის ოლქში. უნდა ითქვას, რომ აქ მცხოვრები რუსები მიეკუთვნებიან ჩრდილოკავკასიელ მოსახლეობას და თავიანთ თავს კავასიელებად აღიქვამენ კავკასიის ეთნიკური მოზაიკა, რომელზეც ავტორი შესავალში მართებულად ლაპარაკობს, როგორც ანტიკური ხანიდან რეგიონის დამახასიათებელ თავისებურებაზე, დასკვ-

ნის მიხედვით ისე ჩანს, რომ თურმე ამგვარი მდგომარეობა კავკასიაში რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია (თოფჩიშვილი, 2010, 67).

რ. თოფჩიშვილის ზემოთდასახელებულ მეორე ნაშრომში უარყოფილია კავკასიის ხალხთა ერთიანი ცივილიზაციური კუთვნილება. ავტორს მოჰყავს უამრავი დეფინიციები მის განსაზღვრასთან დაკავშირებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას ვერ გადაუწყვეტია რომელ მათგანზე შეაჩეროს ყურადღება. როგორც ნაშრომის ერთ-ერთ გვერდზე ხაზგასმული ნაწილიდან ჩანს, ის მაინც ინგლისელი მეცნიერის გ.ჩაილდის მიხედვით ცივილიზაციის ათ არსებით ნიშანს გამოყოფს (სახელმწიფო ორგანიზაცია; სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება; მიწაზე მემკვიდრეობითი საკუთრება; დამწერლობა და ა.შ.). რამდენად მართებულია ცივილიზაციის ევროპაცენტრისტული ხედვით სხვა რეგიონების ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრა, ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა მინიშნება. მაგრამ, თუნდაც ამ მიდგომითაც კავკასიელი ხალხები, როგორც სამხრეთელები, ასევე ჩრდილოელები, ამ მოთხოვნებს ბევრად აკმაყოფილებენ. რ. თოფჩიშვილის მტკიცებით, „კავკასიის ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური კულტურა გააჩნია, მაგრამ ამ კულტურის ელემენტები მათ საერთო არა აქვთ, არა აქვთ საერთო „ცივილიზაციის“ ნიშნები. ჩრდილო-კავკასიელების კულტურა ცივილიზაციაში ვერ გადაიზარდა“ (თოფჩიშვილი, 2011, გვ.60).

ავტორი, ახასიათებს რა კავკასიის ცივილიზაციურ კუთვნილებას, დასძენს, რომ „რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ორ სრულიად სხვადასხვა სამყაროსთან, რომელიც გაყოფილია კავკასიის დიდი წყალგამყოფი ქედით“ (თოფჩიშვილი, 2011, გვ.60).

არადა, როლანდ თოფჩიშვილის მსჯელობა ეხება ჩვენს უშუალო მოსაზღვრე ჩრდილოელ მეზობლებს, ეთნოგენეტიკურად დაკავშირებულ ხალხებს, რომლებსაც ქართველებთან ეთნოკულტურული კავშირები არასდროს გაუწყვეტიათ. შემთხვევითი არ არის, რომ ივ.ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა – ქართველებისთვის მოსაზღვრე რაიონებში ორენოვნება ჩვეულებრივი ამბავი იყო. ეს იმ ხალხებზეა ლაპარაკი, რომლებმაც შექმნეს მსოფლიო კულტურის შედეგრი „ნართული ებოსი“. აქვე აღსანიშნავია, რომ უსაფუძვლოა რ.თოფჩიშვილის კრიტიკა ცნობილი კულტუროლოგის ვსევოლოდ დავილოვიჩის მიმართაც. ჩემთვის სრულიად გაუგებარია ავტორის აღშფოთება, რომლის თანახმად, დავილოვიჩი თურმე „ქართული მწერლობის შედეგს „ვეფხისტყაოსანს“ ავლებით მოიხსენიებს, როდესაც ამ ნაწარმოებსა და „ნართების“

ეპოსს ერთმანეთს ადარებსო“ (თოფჩიშვილი, 2011, გვ. 32). არადა დავილოვიჩი, რომელიც კავკასიელ ხალხთა ცივილიზაციის საერთო მახასიათებლებზე წერს, მხოლოდ ხაზს უსვამს ამ ორ ნაწარმოებში ასახულ მსგავს სულიერ სიუჟეტებს, რომლებიც, ვიმეორებ, მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურს წარმოადგენენ. აი, როგორ წერს ვსევოლოდ დავილოვიჩი: «Совпадают многие черты духовной культуры. В эпосе «Нарты» есть то, что роднит его со строками Шота Руставели» («Научная мысль Кавказа» №2, 2000 с. 28-29).

რატომ დუმს რ. თოფჩიშვილი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე, რომ ჩრდილო კავკასიელებს და კერძოდ, ადიღების წინაპრებს – მეოთხესა და სინდებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში – ძვ. წ. აღ. მე-5 საუკუნეში ჰქონდათ შექმნილი სახელმწიფო სინდიკა? დაღესტნელი ხალხების დიდი ნაწილი ხომ კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოში იყო გაერთიანებული. „ქართლის ცხოვრებიდან“ ხომ ვიცით, რომ ქართველთა დიდმა მეფემ ფარნავაზმა ძურძუკთა მეფის ასული შეერთო ცოლად. აღარაფერს ვლაპარაკობთ შუა საუკუნეების ჩრდილოკავკასიელების სახელმწიფოებრიობის ტრადიციაზე (ალანიის სამეფო, ხაზარის ხაკანატი, სერირი, 11–12 სს. საქართველოს ეგიდით გაერთიანებული კავკასია, დარუბანდი, კაიტავი, სიმსიმი – ვეინახები, ყაბარლო და სხვა).

აღსანიშნავია აგრეთვე ადიღური ეტიკეტის „ადიღე ხაბუეს“ მნიშვნელობა, სადაც გაწერილია ადამიანის ყოფა-ქცევის მორალურ-ზნეობრივი ნორმები დაბადებიდან გარდაცვალებამდე. შემთხვევითი არ არის, რომ მას ბევრი მკვლევარი იაპონური სამურაის კოდექსსაც კი ადარებს. მათივე მაღალი კულტურის ნაყოფია უნიკალური ყაბარლოული ცხენის ჯიშის გამოყვანა. იტალიელმა მოგზაურმა, მეცნიერმა ჯორჯო ინტერიანომ კი ჩერქეზებს კავკასიაში მოდის ფუძემდებლები უწოდა.

რაც შეეხება მიწაზე კერძო საკუთრების ტრადიციას: დაღესტნელი პროფესორი ხ. მ. ხაშაევი აღნიშნავს, რომ მისი წინაპრებისთვის ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დასასრულს იყო ცნობილი კერძო საკუთრება ტერასულ მიწის კუთვნილებაზე. მიმაჩნია, რომ ქ. დარუბანდითა და აულ ყუბაჩის ტრადიციებით, იქაური ვაჭრებითა და ხელოსნებით ნებისმიერი ცივილიზაციის – ევროპელი თუ აღმოსავლელი ადამიანი იამაყებდა. აღარაფერს არ ვამბობ იმამ შამილის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოზე, რომელიც 25 წლის მანძილზე უმკლავდებოდა ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიას.



არ მგონია რასულ გამზათოვის, ყაისინ ყულიევის, ალიმ კეშოკოვის, მაჰმუდ ესამბაევის, იური ტემირყანოვის, ჯოხარ დუდაევის და სხვა გამოჩენილი ჩრდილოკავკასიელი ხალხების წარმომადგენლების წინაპრები ცივილიზაციის მიღმა ყოფილიყვნენ.

უნიკალურია კავკასიის აგრარული ცივილიზაციის ტრადიციული საკომუნიკაციო კულტურა – სტუმართმოყვარეობა და მასთან დაკავშირებული „სუფრის“, ათალიყობის, ყონალობის, ძმადნაფიცობის, სასიგნალო სისტემის და სხვა ინსტიტუტები. ფაქტიურად, რ.თოფჩიშვილის მიერ ყოველივე ამას ყურადღება არ ექცევა და როცა ის კავკასიაში სხვადასხვა ჯგუფების მიგრაციაზე ლაპარაკობს, დაასკვნის, რომ ასეთ გადასახლებებს რაიმე სიმპტომიკი არ ჰქონდა კულტურათა დასახლოებლად. არადა, ჩვენ ვიცით, რომ „ადილე-ხაზეს“ თანახმად, ნათესავებს შორის მეშვიდე თაობამდე ქორწინება იკრძალებოდა, რაც ხელს უწყობდა ახალგაზრდას ოჯახის შესაქმნელად ხშირად მეზობელი ეთნოსისათვის მიემართა. ამით, რა თქმა უნდა, ეთნოსთა-შორისო კულტურულ დილაოგს ხელი ეწყობოდა.

პოსტსაბჭოურ კავკასიაში, სადაც საზოგადოების კულტურულ-ცივილიზაციური ტრანსფორმაცია მიმდინარეობს, ეთნოსი კვლავ რჩება რეგიონის ქვეყნების სოციალურ-კულტურული თვითორგანიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად.

ამავე დროს რეალობაა ისიც, რომ კავკასიაში ზოგიერთ შემთხვევაში ეთნოცენტრიზმი, ეთნოეტატიზმი და სხვა ნეგატიური მოვლენები ხშირად თავს იჩენენ, რასაც ეთნოკონფლიქტებამდე და ქსენოფობიამდე მიყვავართ. ყველა ვხედავთ, რომ ამით, სამწუხაროდ, ჩვენი რეგიონი გამორჩეულია.

მართალია, ბატონი რ.თოფჩიშვილი ხაზს უსვამს, რომ თუ კავკასია ერთიანი ცივილიზაციის მქონე რეგიონად მიგვაჩნია, მაშინ რატომ ხდება ამდენი კონფლიქტი და რატომაა ვაჰაბიზმი „ფართოდ“ გავრცელებული, ამას თავისი ობიექტური ახსნა აქვს: რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ბუნდოვანი კავკასიური პოლიტიკა და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაზე კონტროლის დაწესებით გამოწვეული უკმაყოფილებაა. რაც შეეხება ვაჰაბიზმს, ეს რელიგიური მიმდინარეობა ისე ფართოდ არაა გავრცელებული, როგორც ამას ამტკიცებს ავტორი (მოსახლეობის 5–7%) და თუ მაინც გავრცელდა, ეს განაპირობა მოსახლეობის მცირე ჯგუფების რადიკალიზმმა, რომლებიც ძალზე კრიტიკულად არიან განწყობილი პოსტსაბჭოური პერიოდის ნეგატიური მოვლენების მიმართ (კორუფცია, უმუშევრობა,

ნარკომანია და ა.შ.). ვაჰაბისტები სწორედ ამ უარყოფით პროცესებს აკრიტიკებენ, რითაც მოსახლეობის გარკვეულ „სიმპათიებს“ იწვევენ.

რაც შეეხება ეთნიკურ კონფლიქტებს და ტერორიზმს, ისინი არ არიან მხოლოდ კავკასიური წარმომავლობისა და მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, გავიხსენოთ ბალკანეთში მომხდარო ომები, გავიხსენოთ ჩრდილოეთ ირლანდია, გავიხსენოთ ესპანეთი.... საკმარისია? ასე რომ, ტერორიზმი და ტერორისტები ყველა რეგიონში, მათ შორის ცივილიზებულშიც გვხვდება და კავკასია ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. შესაბამისად, იბადება კითხვა: რატომ აიგივებს ბატონი თოფჩიშვილი მხოლოდ კავკასიელებს ტერორისტებთან და რაში გამოიხატება ამ მოვლენის დაკავშირება კავკასიელი ხალხების ცივილიზაციურობასთან? (თოფჩიშვილი, 2011, გვ.59).

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ 21-ე საუკუნის მსოფლიოში სულ სხვა პროცესებიც მიმდინარეობს. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით დაწყებულია ადამიანის ჩამოყალიბება ინტეგრალური აზროვნების დომინანტური მატრიცით (ამის კარგი მაგალითია ევროკავშირის ქვეყნები). ასეთ ვითარებაში კონფლიქტოგენურ კავკასიაში აუცილებელია ადამიანის აზროვნებაში სიღრმისეული ცვლილებები მოხდეს. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა კავკასიის ხალხთა ისტორიაში ნეგატიური ნარატივი პოზიტიურით შეიცვალოს. ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო დასავლეთის ქვეყნებისათვის მოდერნიზაციულ და პოსტმოდერნიზაციულ პერიოდში. ვფიქრობ, ჩვენთან ყოველივე ამას უნდა ახლდეს კავკასიური ცივილიზაციის იდეოლოგიურ საფუძვლად აღიარება რეგიონში მცხოვრებ ხალხთა ინტეგრაციის მიზნით.

2011 წლის ივნის–ივლისი

*ლერი თავაძე*

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის  
კონფერენცია  
2011**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 კორპუსში, 214-ე აუდიტორიაში 2011 წლის 1-2 დეკემბერს გაიმართა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ისტორიის თემატიკით დაინტერესებულმა პროფესორ-მასწავლებლებმა და დოქტორანტებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ როგორც თსუ, ასევე სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, თუ კვლევით ცენტრებს. კონფერენციის თემატიკა ფართო იყო, ხოლო მოხსენებები შეეხებოდა საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით. კონფერენცია გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში, ჩატარდა ოთხი სხდომა, რომლებიც, დღეების მიხედვით, ქრონოლოგიური პრინციპით დალაგდა. პირველ დღეს გაიმართა ორი სხდომა, ხოლო მეორე დღეს – დარჩენილი ორი.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა თედო დუნდუამ. კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, რომელიც მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს.

პირველ სხდომას უძღვებოდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. თსუ ასისტენტ-პროფესორმა ქეთევან ქუთათელაძემ წაიკითხა მოხსენება სათაურით: „ლერწმის ქალი“. მოხსენება შეეხებოდა ნაყოფიერების ქაღალდის ზოგად სახეს, რომლის საკრალურ სიმბოლოს, მომხსენებლის მტკიცებით,

ლერწამი წარმოადგენდა. ქართული ხალხური ზღაპრები და ეპოსი არის ის ძირითადი მასალა, რომელიც გამოყენებულ იქნა ქართული ასტრალური ქალღმერთის ძირითადი ნიშნების დასადგენად.

ოსუ დოქტორანტმა ნათია ფიფიამ წარმოადგინა მოხსენება: „ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო ბერძნულ-კოლხური ურთიერთობებისთვის“. მომხსენებელმა წარმოადგინა ის ბერძნული ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც გვაძლევს კონკრეტულ, პირდაპირ, თუ ირიბ მინიშნებას ბერძნულ-კოლხური კონტაქტების შესახებ. მანვე გამოყო წარწერების ორი ძირითადი კატეგორია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი წარწერები. კვლევის გამარტივების მიზნით, ყველა ეს წარწერა დაიყო ხუთ ჯგუფად: 1. პოლიტიკური ურთიერთობის შემცველი შინაარსის მქონე წარწერები, 2. ეკონომიკური ურთიერთობის შემცველი წარწერები, 3. ტერიტორიული ერთეულების მოხსენიების შემცველი ტექსტები, 4. რელიგიური შინაარსის შემცველი ტექსტები, 5. ეთნონიმების შემცველი ეპიგრაფიკული წარწერები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა ვლადიმერ კეკელიამ წარმოადგინა მოხსენება – „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XI საუკუნის იერუსალიმური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა“. მომხსენებელმა განიხილა რამდენიმე ხელნაწერზე არსებული ანდერძ-მინაწერები, მოიყვანა მათი ტექსტები შესაბამისი კომენტარებით. მისივე თქმით, აღნიშნული ხელნაწერების შედგენა მოხდა ქალაქ იერუსალიმში და ისინი შეიცავს ძვირფას ცნობებს შუა საუკუნეებში წმინდა მიწაზე მოღვაწე ქართველების შესახებ.

ოსუ მაგისტრმა აკაკი ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება: „რამდენიმე სამუშაო თეზა ცხუმის საერისთავოს და „ცხუმური თეთრის“ შესახებ“. მომხსენებელი შეეხო ისეთ საკითხს, როგორც არის ოდიშისა და ცხუმის საერისთავოს ურთიერთობა. განიხილა ორი საერისთავოს გაერთიანების წინაპირობები, რომლებიც დაუკავშირა რუსუდანის სამონეტო რეფორმას და შენიშნა, რომ 1230 წელს მის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტა შესაძლოა უკავშირდებოდეს რუსუდანის ვაჟის, დავითის, თანამოსაყდრედ კურთხევას.

ოსუ ასოციირებულმა პროფესორმა დიმიტრი შველიძემ წაიკითხა მოხსენება: „თეიმურაზ I-ის პრორუსული პოლიტიკა და მისი შედეგები“. მომხსენებლის თქმით, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ირანის მხრიდან შეექმნა საფრთხე, რომ მოხდებოდა მისი ინკორპორაცია. აღნიშნულის განმაპირობებელ მიზეზად მომხსენებელი თეიმურაზ I-ის არათანმიმდევრულ და

მცდარ პოლიტიკას ასახელებს. მისმა პრორუსულმა ორიენტაციამ იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთი თავად იყო დაკავებული შვედეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ ომებით, ნიადაგი შეუშადა ირანის აგრესიას აღმოსავლეთ საქართველოში.

ოსუ პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა (თანაავტორი ისტ. დოქტ. ქეთევან მანია) წარმოადგინა მოხსენება: „ე. რენანის „რა არის ერი“ და ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია XIX საუკუნეში“. მოხსენება შეეხება ერნესტ რენანის ცნობილ ესეს „რა არის ერი?“, რომელიც ავტორმა 1882 წელს წარმოადგინა სორბონის უნივერსიტეტში ლექციის სახით. ესეს დიდი ყურადღება დაუთმეს საქართველოშიც. მის მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატა ილია ჭავჭავაძემ, რომლის აქტიური მონაწილეობით რენანის ლექციის განხილვა ხდებოდა გაზეთ „ივერიაში“. რენანს ერის არსებობისათვის გადამწყვეტად მიაჩნდა საერთო წარსულის მახსოვრობა და აწმყოში ერთად ცხოვრების სურვილი. ილიამ თავისი იდეების თანხვედრა დაინახა რენანისეული ერის დეფინიციაში, რის გამოც ამ ესესადმი აღფრთოვანებას გამოხატავდა. მომხსენებლის მითითებით, აღნიშნული ფაქტი გვეხმარება ღრმად გავივით XIX საუკუნეში ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის არსი.

ოსუ დოქტორანტმა ნატო სონღულაშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ქართული სოციალური გარემო 1900-1921 წლებში (გლენობა)“. მომხსენებლის თქმით, 1900-1921 წლების მოვლენები გარკვეულ გავლენას ახდენს სოციალურ გარემოზე, ყველაფერი ეს კი გარკვეული ცვლილებების დასაბამი ხდება. ავტორმა შეისწავლა გლენების მდგომარეობა და გადმოგვცა მათი პოლიტიკური თუ ინტელექტუალური აზროვნების დონე.

მეორე სხდომას გაუძღვა ოსუ პროფესორი თედო ღუნდუა. აღნიშნულ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ხუთი მოხსენება. პირველი მომხსენებელი იყო ისტორიის დოქტორი რუსუდან ლაბაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი): „ცოდვილობის კულტურული ისტორიიდან. ცოდვის ტერიტორია“. მომხსენებელმა ისაუბრა ცოდვითა იმ განმარტებების შესახებ, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა რელიგიურ ტექსტებში, მათ შორის ბიბლიაში. მისივე თქმით, ძირითადად გამოყოფენ შვიდი ცოდვის მოტივს, რაც განპირობებულია რიცხვი „შვიდის“ საკრალურობით. მომხსენებელმა ჩამოთვალა ის ქართული ძეგლები, რომლებშიც საუბარია იმ ცოდვების შესახებ, რომელიც ქართულ სააზროვნო სისტემაში ცოდვითა კატეგორიას განეკუთნება.

ოსუ ასოცირებულმა პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა წარმოადგინა მოხსენება: „ექვთიმე თაყაიშვილის წინაპრები და ოჯახური გარემო“. მომხსენებელმა ისაუბრა ექვთიმე თაყაიშვილის ოჯახის ირგვლივ. აღნიშნა, რომ თაყაიშვილების გვარი მომდინარეობს თაყა სალუქვაძისგან, რომელმაც თავი გამოიჩინა ერთ-ერთ ბრძოლაში, რის გამოც მეფემ იგი მამულით დააჯილდოვა. ხაზი გაუსვა ექვთიმეს მეუღლის, ნინო პოლტორაცკაიას, პოლონურ წარმომავლობას. მისივე თქმით, ეს ქორწილი შედგა ილია ჭავჭავაძის აქტიური ძალისხმევით.

ოსუ დოქტორანტმა მიხეილ ქართველიშვილმა წარმოადგინა მოხსენება: „საეკლესიო საკითხი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში“. მომხსენებელმა, საარქივო მასალაზე დაყრდნობით აღწერა სასულიერო პირების როლი 1924 წლის აჯანყებაში, ხაზი გაუსვა იმ რეპრესიებს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ეწეოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა როზეტა გუჯეჯიანმა წაიკითხა მოხსენება: „თურქეთელი“ ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირ ჰაირი-ოღლუ)“. საუბარი შეეხო წარმოშობით ქართველ ვახტანგ მალაყმაძეს, რომელიც დაიბადა თურქეთის სოფელი ჰაირიეში. მომხსენებლის მტკიცებით, ვახტანგ მალაყმაძემ დაწერა და თარგმნა მრავალი ქართული წიგნი. 1982 წლიდან სწორედ მალაყმაძე იყო ძირითადი მონაწილე და სულისჩამდგმელი ყველა ქართული პროექტისა, რომლებიც განხორციელდა თურქეთში. ის გარდაიცვალა 2002 წელს.

ოსუ ასოცირებულმა პროფესორმა ელისო ბჟალავამ (თანამომხსენებელი ასოცირებული პროფესორი გიული შაბაშვილი) წარმოადგინა მოხსენება: „წყევლა-კრულვის ფორმები ქართულ და თურქულ ენებში“. მომხსენებელმა ერთმანეთისგან გამოყო წყევლა-კრულვის თურქულსა და ქართულში გავრცელებული ფორმები. მანვე პარალელები გაავლო მათ შორის და აღნიშნა იმის შესახებ, თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს მათში.

მესამე სხდომას თავმჯდომარეობდა პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. აღნიშნულ სხდომაზე წარმოდგენილი იყო ხუთი მოხსენება. პირველი მოხსენება წაიკითხა პროფესორმა თედო ღუნდუამ – „ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ“. ჰალიკარნასის თეატრის ელნისტური ხანის ბერძნული წარწერები ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის. ერთ-ერთი ასეთი ეპიგრაფიკული ძეგლი წარმოადგინა თ. ღუნდუამ. მასში იხსენიება ვინმე მოსხი, ძე მოსხისა, რომლის ბაბუაც მსგავს სახელს ატარებდა. თ. ღუნდუა თვლის, რომ ძვ. წ. II საუკუნეში ქა-

ლაქ სმირნაში მოღვაწე მაგისტატი, რომელიც ჭრის ბრინჯაოს ფულებს სახელით ΜΟΣΧΟΣ ΜΟΣΧΟΥ, წარწერაში მოხსენიებული პიროვნებაა, და რომ ამკარაა ქალაქ სმირნაში მოღვაწე ქართული წარმოშობის ერთი წარჩინებული ოჯახი. ბაბუა, ალბათ, მესხეთიდან ჩამოიყვანეს, როგორც მონა, და დაარქვეს მას პროვინციის შესაბამისი სახელი. მამა აზატია, ხოლო შვილი უკვე სმირნის მოქალაქე და ასტინომია.

ოსუ ასოცირებულმა პროფესორმა ნინო სილაგაძემ წაიკითხა მოხსენება: „ტიმპანის კომპოზიციის განვითარების საკითხისთვის ქართულ ხუროთმოძღვრებაში“. მისი თქმით, გვხვდება ტიმპანების რამდენიმე განსხვავებული მაგალითი ქართულ არქიტექტურულ ძეგლებზე. მთავარი ელემენტია მედალიონში ჩადგმული ჯვარი, რომელიც ორ ანგელოზს უპყრია ხელთ. მისივე აღნიშვნით, ჯვართამაღლება არა მხოლოდ ტიმპანებისთვის, არამედ სხვა რელიეფური ნიმუშებისთვისაც არის დამახასიათებელი. მნიშვნელოვანია ტენდენცია ფიგურულიდან დეკორატიული მხატვრობისკენ გადასვლისა. მომხსენებლის თქმით, ტიმპანებზე ვხვდებით როგორც სააღმშენებლო წარწერებს, ასევე მტევნებჩამოკიდებული ჯვრის გამოსახულებას, რაც მხოლოდ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა წაიკითხა მოხსენება: „ზოგი რამ საქართველო-უნგრეთის შესაძლო კონტაქტების შესახებ შუა საუკუნეებში (X საუკუნე – XIII საუკუნის I ნახევარი)“. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა უნგრეთის მნიშვნელობას შუა საუკუნეების ევროპაში. მისი თქმით, XII საუკუნის 40-იან წლებში უნგრეთის სამეფოსა და კიევის სამთავროს შორის დინასტიური კავშირი დამყარდა. იმავე ხანებში საქართველოს მეფის, დიმიტრი I-ის ასული ცოლად მოიყვანა კიევის მთავარმა. მომხსენებლის შენიშვნით, აღნიშნული კავშირები არაპირდაპირი მოწმობაა ზემოხსენებული ქვეყნების ანტიბიზანტიური ალიანსისა. მანვე ისაუბრა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს უნგრეთის მეფე ანდრამ II-ს, და გიორგი IV ლაშას დროინდელი საქართველოს ურთიერთობაზე, რომლის შესახებ მასალები ცნობილმა უნგრელმა მკვლევარმა ლაიოშ ტარდიმ გამოსცა.

ოსუ დოქტორანტმა ლერი თავაძემ წაიკითხა მოხსენება: „ფეოდალური საქართველოს სოციალური შემადგენლობის შესახებ ქოროლოს რელიეფების მიხედვით“. მომხსენებელი შეეხო ხადას ხეობაში მდებარე ქოროლოს ეკლესიის რელიეფებს, სადაც ეკლესიის მშენებლობის სცენაა წარმოდგენილი. გა-

მოყო ორი სოციალური ფენა, რომლებიც აღნიშნულ რელიეფებზე გამოისახება – პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული. ამათაგან, უკანასკნელის პორტრეტული გამოსახულებები დიდ იშვიათობას წარმოადგენს ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში. პრივილეგირებული ფენიდან რელიეფებზე გამოსახულია ქტიტორი, ხუროთმოძღვარი და ადგილობრივი ფეოდალური ოჯახის სამი წევრი. მომხსენებელი ფიქრობს, რომ ოჯახის მეთაური უნდა იყოს ერისთავის სახელის მფლობელი. ტაძარის რელიეფების მიხედვით, მთავარი ეკლესია X ს-ის პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული.

თსუ ასოცირებულმა პროფესორმა ანდრო გოგოლაძემ (თანამომხსენებელი ისტორიის დოქტორი მედეა გოგოლაძე) წარმოადგინა მოხსენება: „დავით აღმაშენებლის ხელისუფლების ცენტრალიზაციის ერთი ასპექტი (ბედიელ-ალავერდელი)“. მომხსენებელი შეეხო ბედიელ-ალავერდელის საეპისკოპოსო სახელოს და აღნიშნა, რომ სვიმონ ბედიელ-ალავერდელი, რომელიც მწიგნობართუხუცესად იწოდება, ჯერ დავით IV აღმაშენებლის დროს ბედიელ-ალავერდელი ეპისკოპოსი ხდება, ხოლო შემდეგ მისი ბიძის გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სიკვდილის (1118 წელი) შემდეგ იღებს მწიგნობართუხუცესობის სახელოს. მისი ვარაუდით, მეფეს ეს ღონისძიება სამეფოს ცენტრალიზაციისთვის უნდა განეხორციელებინა.

მეოთხე სხდომას უძღვებოდა თსუ ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე. სხდომაზე წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება. პირველი მომხსენებელი იყო თსუ ასოცირებული პროფესორი ჯაბა სამუშია: „ბაგრატ III-ის ლაშქრობა შამქორზე“. მომხსენებელი მოკლედ შეეხო ბაგრატ III-ის მეფობის (978-1014 წწ.) მიწურულს მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს. აღნიშნა იმ სამეცნიერო ექსპედიციების შესახებ, რომლებიც მოეწყო შამქორში, სადაც აღწერილ იქნა შამქორის ციხის მიმდებარე ტერიტორია მისი ხეობების, გზების, ციხეებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი პუნქტების ჩათვლით. მისი თქმით, ბაგრატი, რომელიც ძალისმიერი პოლიტიკის მომხრე იყო, სომხეთის მეფესთან ერთად არბევს განძის საამიროს ტერიტორიას და შამქორის ციხეს სააღმოსავლეთი მანქანების გამოყენებით უტევს. განძის ამირა ფადლონი იძულებული გახდა მორჩილება და ხარკი ეკისრა ქართველი მეფის სასარგებლოდ.

თსუ დოქტორანტმა ალექსანდრე ბოშიშვილმა წარმოადგინა მოხსენება: „დავის სამართლებრივი ასპექტები XVIII საუკუნის საქართველოში (სოლოლაშვილების და იესე ოსეს-ძის შვილების დაპირისპირების ნარატივი)“. მომხსენებელი შეეხო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ორ ფეოდალურ ოჯახს



შორის სოციალურ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტს. უთანხმოების მიზეზი სა-  
თიბი მიწა იყო, რასაც შედეგად მოჰყვა იესე ოსეს ძე ბარათაშვილის შვილე-  
ბსა და ზაზა სოლოლაშვილს შორის არსებული მრავალწლიანი სასამართლო  
გარჩევები. მოხსენებაში, სწორედ, აღნიშნული კონფლიქტისა და სასამარ-  
თლო პროცესის დაწვრილებითი ანალიზია წარმოდგენილი.

თსუ ასისტენტ-პროფესორმა გიორგი ჟუჟუნაშვილმა (თანამომხსენებე-  
ლი ასისტენტ-პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი) წაიკითხა მოხსენება: „სა-  
ქართველო და იმერეთი“ იოსებ შაგუბატოვის 1819 წლის აღწერის მიხედ-  
ვით“. მომხსენებლის შენიშვნით, იოსებ შაგუბატოვი თბილისის პოლიცემის-  
ტერი იყო, რის გამოც იგი გათვითცნობიერებული უნდა ყოფილიყო თბილი-  
სისა და, ზოგადად, საქართველოში არსებული ვითარებით. ნაშრომში დიდი  
აღვივებული ეთიმობა თბილისის აღწერას, სოციალურ ურთიერთობებს, ეკონომი-  
კასა და დემოგრაფიას. მისივე თქმით, შაგუბატოვთან აღწერილია სასახლე-  
ები, ეკლესია-მონასტრები, ადმინისტრაციული შენობები და მრავალი სხვა  
ღირსშესანიშნავი ადგილები.

თსუ ასოცირებულმა პროფესორმა მიხეილ ბახტაძემ წაიკითხა მოხსე-  
ნება: „1920 წლის მაისში საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარე  
სამხედრო მოქმედებების შესახებ (გენერალური შტაბის ოფიციალური მონა-  
ცემების მიხედვით)“. მომხსენებელი მოკლედ მიმოიხილავს იმ პოლიტიკურ  
ვითარებას, რომელიც წინ უძღვოდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე  
არსებულ კონფლიქტს. მისი თქმით, 1920 წლის მაისის თვეში საქართველო-  
აზერბაიჯანის საზღვარზე სამხედრო კონფლიქტი გაჩაღდა. ოფიციალურად  
ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის საბ-  
ჭოთა რესპუბლიკას შორის მიმდინარეობდა, ხოლო რეალურად საქართველოს  
საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია ებრძოდა. კონფლიქტი იმავე თვეში  
ამოიწურა, როდესაც საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეწყვიტეს  
შეტევები საქართველოს წინააღმდეგ.

კონფერენციის მიმდინარეობის დროს არაერთი კითხვა დაისვა, გამოით-  
ქვა მრავალი შენიშვნა და სურვილი მომხსენებლების მისამართით. დასკვნითი  
სხდომის თავმჯდომარე დიმიტრი შველიძემ მოკლედ შეაჯამა განვილილი ოთ-  
ხი სხდომა, მაღლობა გადაუხადა კონფერენციის ყველა დამსწრესა თუ მონ-  
აწილეს, რის შემდეგაც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია  
დასრულებულად გამოცხადდა.